ჯენ უაითი

თამაში და სწავლა გარეთ

პრაქტიკული გზამკვლევი და სახელმძღვანელო ადრეული ასაკის ბავშვებისთვის გარე სივრცეში საუკეთესო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად

მესამე გამოცემა

Jan White

Playing and Learning Outdoors

The practical Guide and Sourcebook for Excellence in Outdoor Provision and Practice with Young Children

Third edition

ჯენ უაითი

თამაში და სწავლა გარეთ

პრაქტიკული გზამკვლევი და
სახელმძღვანელო ადრეული ასაკის
ბავშვებისთვის გარე სივრცეში საუკეთესო
პრაქტიკის უზრუნველსაყოფად

მესამე გამოცემა

Third edition published 2020
by Routledge
2 Park Square, Milton Park, Abingdon, Oxon, OX14 4RN
and by Routledge
52 Vanderbilt Avenue, New York, NY 10017
Routledge is an imprint of the Taylor & Francis Group, an informa business
© 2020 Jan White
The right of Jan White to be identified as author of this work has been asserted by her in accordance with sections 77 and 78 of the Copyright, Designs and Patents Act 1988.
Disclaimer: Neither the author not the publisher can accept any legal responsibility of liability for any harm arising from the use of the resources and experiences described in this book.
All rights reserved. No part of this book may be reprinted or reproduced or utilised in any form or by any electronic, mechanical, or other means, now known or hereafter invented, including photocopying and recording, or in any information storage or retrieval system, without permission in writing from the publishers.
Trademark notice: Product or corporate names may be trademarks or registered trademarks, and are used only for identification and explanation without intent to infringe.
First edition published by Routledge 2007
Second edition published by Routledge 2014
British Library Cataloguing-in-Publication Data
A catalogue record for this book is available from the British Library
Library of Congress Cataloging-in-Publication Data
Names: White, Jan, 1956- author.
Title: Playing and learning outdoors : making provision for the high quality experiences in the outdoor environment with children 3-7 / Jan White.
Description: Third Edition. | New York : Routledge, 2020. | “First published by Routledge 2007”—T.p. verso. | Includes index.
Identifiers: LCCN 2019014926| ISBN 9781138599758 (Hardback) | ISBN 9781138599765 (Paperback) | ISBN 9780429469435 (Ebook)
Subjects: LCSH: Play environments. | Outdoor education. | Outdoor recreation for children. | Education, Preschool.
Classification: LCC GV424.5 .W45 2020 | DDC 371.3/84—dc23
LC record available at https://lccn.loc.gov/2019014926
ISBN: 978-1-138-59975-8 (hbk)
ISBN: 978-1-138-59976-5 (pbk)
ISBN: 978-0-429-46943-5 (ebk)
Typeset in Bembo
by Cenveo® Publisher Services
All Rights Reserved. Authorized translation from the English language edition published by Routledge, a member of Taylor & Francis Group.

თამაში და სწავლა გარეთ

თამაში და სწავლა გარეთ ადრეული ასაკის პრაქტიკოსებს აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება მაქსიმალური სარგებლის მიღება ღია ცის ქვეშ თამაშისა და სწავლებისაგან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვების გართობის, ჯანმრთელობისა და განათლებისათვის.

ეს სრულიად განახლებული გამოცემა აღწერს დიდ ბრიტანეთში ადრეული განათლების დაწესებულებებში გარეთ თამაშისა და სწავლების თანამედროვე პრაქტიკებსა და გამოცდილებას.

გამოცემის მიზანია:

- ხელი შეუწყოს ადრეული განათლების დაწესებულებებში მდიდარი და მასტიმულირებელი სივრცეების მოწყობას გარეთ თამაშისა და სწავლებისთვის;
- პრაქტიკოსებს მისცეს თავდაჯერებულობა დაგეგმონ და განახორციელონ გარეთ თამაშისა და სწავლების აქტივობები ღია სივრცეში ყოფნის დროს მაქსიმალური სარგებლის მისაღებად.

თამაში და სწავლა გარეთ გვთავაზობს კვლევაზე დაფუძნებული მიდგომებით გამყარებულ მიღწევად რჩევებს, რომლებიც შეესაბამება და ხელს უწყობს ბავშვების კეთილდღეობასა და განვითარებას. ეს ფასდაუდებელი რესურსი წარმოადგენს პრაქტიკულ გზამკვლევს და მიმართულია შემდეგი შედეგების უზრუნველყოფისკენ:

- თამაშები წყლით, ქვიშით და სხვა ბუნებრივი მასალებით;
- მცენარეებთან, ცოცხალ ორგანიზმებთან ურთიერთობა;
- მოძრაობა და ფიზიკური თამაში;
- მშენებლობა, წარმოსახვითი და შემოქმედებითი თამაში;
- ბაღის მიღმა ადგილებისა და საზოგადოების „კვლევა”.

წინამდებარე, ილუსტრირებული მესამე გამოცემა კიდევ უფრო დაიხვეწა და წარმოადგენს შესაბამისი მასალების, წიგნებისა და რესურსების ამომწურავ ცნობარს, უმაღლესი ხარისხის გარეთ თამაშისა და სწავლების ძირითადი კომპონენტების გზამკვლევს; თითოეული თავი ასევე მოიცავს თემატიკის შესაბამის ილუსტრირებულ საბავშო წიგნების მთელ კოლექციას.

თამაში და სწავლა გარეთ ძირითად პრაქტიკულ სახელძღვანელოდ იქცა ადრეული ასაკის ყველა დაწესებულებისთვის. ეს ცოცხალი, შთამაგონებელი და ხელმისაწვდომი წიგნი ნებისმიერ განმანათლებელს დაეხმარება სწავლების წარმატებული და სასიამოვნო მიდგომის ჩამოყალიბებაში გარეთ თამაშის გზით.

ჯენ უაითი მოაზროვნე, მწერალი და წამყვანი სპეციალისტია შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ღია ცის ქვეშ თამაშისა და სწავლების მაღალი ხარისხის პრაქტიკის უზრუნველყოფის მიმართულებით. იგი საპატიო პრაქტიკოსი პროფესორია უელსის თრინითი სენთ დევიდის უნივერსიტეტში და ღია ცის ქვეშ ადრეული განათლების მიმართულების სტრატეგიული დირექტორი გარეთ თამაშების, სწავლისა და კეთილდღეობის ეროვნულ ცენტრში.

თამაში და სწავლა გარეთ

პრაქტიკული გზამკვლევი და სახელმძღვანელო ადრეული ასაკის ბავშვებისთვის გარე სივრცეში საუკეთესო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად

მესამე გამოცემა

ჯენ უაითი

ქართულ ენაზე თარგმნა
მაია ბოლქვაძე, ფილოლოგიის დოქტორი

რედაქტორი
ნაზიბროლა ბერიძე გაბაიძე

მთავარი რედაქტორები:
ლელა თავდგირიძე, განათლების დოქტორი
ნატო შეროზია, განათლების დოქტორი

კორექტორი
დალი დობორჯგინიძე, ფილოლოგიის დოქტორი

შპს "საჩინო"

თბილისი-ბათუმი
2023

ნაშრომის ქართულ ენაზე თარგმნის და
ქართულენოვანი გამოცემის საავტორო უფლება:
© ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფლება ქართულენოვან გამომცემლობაზე განისაზღვრა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით №211 (თარგმანის ხელშეკრულება), რომელიც გაფორმდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და TAYLOR & FRANCIS GROUP შორის 28.07.2022 წ.

წიგნის თარგმნა განხორციელდა
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს
„უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“
პროგრამის ფარგლებში.

დამკაბადონებელი პაატა ქორქია

ყდის დიზაინი პაატა ქორქია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2023

ქართულენოვანი გამოცემა გამოიცა 2023 წელს გამომცემლობა „საჩინოს“ მიერ.

თბილისი, გრიგოლ რობაქიძის 7, sachino64@mail.ru

ISBN 978-9941-9890-1-8

შპს "საჩინო"

ჯენ უაითი

თამაში და სწავლა გარეთ

პრაქტიკული გზამკვლევი და სახელმძღვანელო ადრეული ასაკის ბავშვებისთვის გარე სივრცეში საუკეთესო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად

მესამე გამოცემა

Routledge
Taylor & Francis Group
LONDON AND NEW YORK

წიგნი ეძღვნება ყველა იმ ბავშვს, რომლებმაც მაჩვენეს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათთვის გარეთ ყოფნა; ყველა იმ ზრდასრულს, ვისაც სიამოვნებას ანიჭებს ბავშვების გარეთ ყოფნის სიხარულის გაზიარება და იმ ჩემს კოლეგებს, რომლებიც იცავენ ბავშვების უფლებას, ქმნიან გარეთ თამაშისა და სწავლების მრავალფეროვან, მდიდარ, ყოველდღიურ შესაძლებლობას ყველა ბავშვისთვის.

ერინს, პატივისცემით, დიდი სიყვარულითა და მონატრებით.
ერინ კენი, „სიდერსონგის ბუნების წიაღში სკოლის" და „სიდერსონგ ვეის" დამფუძნებელი

შინაარსი

რედაქტორებისაგან 11

სამადლობელი 15

შესავალი:

გარეთ ყოფნა, თამაში და სწავლა ადრეულ ასაკში 17

1. გარეთ თამაში წყლით - 50

2. გარეთ თამაში ბუნებრივი მასალებით 87

3. გარეთ თამაში და ცოცხალი სამყარო 130

4. ფიზიკური თამაშები გარეთ 169

5. წარმოსახვითი, შემოქმედებითი და გამომსახველობითი თამაში გარეთ 215

6. მშენებლობა გარეთ და ფუღუროებში თამაში 267

7. გამოცდილება გარეთ, საბავშვო ბაღის მიღმა 305

საძიებელი 340

რედაქტორებისაგან

დიდი სიამოვნებითა და ენთუზიაზმით წარმოგიდგენთ ჯენ უაითის გამორჩეული ნაშრომის „**თამაში და სწავლა გარეთ. პრაქტიკული გზამკვლევი და სახელმძღვანელო ადრეული ასაკის ბავშვებისათვის გარე სივრცეში საუკეთესო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად**“ მესამე რედაქტირებული გამოცემის თარგმანს. წიგნის თარგმნის იდეა გაჩნდა მას შემდეგ, რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში გამოცხადდა უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნის საგრანტო კონკურსი.

რატომ შევარჩიეთ ჯენ უაითის სახელმძღვანელო **„თამაში და სწავლა გარეთ. პრაქტიკული სახელმძღვანელო ადრეული ასაკის ბავშვებისთვის გარე სივრცეში საუკეთესო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად“?** სახელმძღვანელო არის მესამე განახლებული გამოცემა და მასში თავმოყრილია ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის პრაქტიკული აქტივობები, რჩევები და თამაშები საბავშვო ბაღს მიღმა. ეპოქაში, რომელიც აღინიშნება ეკრანების მზარდი გავრცელებით და შიდა გართობის მიმზიდველობით, ჯენ უაითის ეს პრაქტიკული გმზაკვლევი გვახსენებს იმ უზარმაზარ ღირებულებას, რომელიც თან ახლავს გარეთ თამაშს, კვლევასა და სწავლას, განსაკუთრებით ადრეული ბავშვობის წლებში. ავტორის შეხედულებები არ არის მხოლოდ თეორიული. სახელმძღვანელო უამრავ პრაქტიკულ რჩევას გვთავაზობს მასწავლებლებისთვის, მშობლებისთვის და პრაქტიკოსებისთვის, რომლებსაც უნდათ შექმნან გამამდიდრებული გარე გამოცდილებები ბავშვებისთვის და ასახავს იმ გზებს, რომლითაც გარე სამყარო შეიძლება გახდეს მდიდარი და დინამიური სასწავლო გარემო. გარე სივრცის დაგეგმვისა და დიზაინიდან დაწყებული უამრავი აქტივობით დამთავრებული, უაითის ყოვლისმომცველი მიდგომა გვაჩვენებს, რომ ყველა ბავშვს შეუძლია მიიღოს სარგებელი ბუნებაში სწავლით.

ჯენ უაითის **„თამაში და სწავლა გარეთ. პრაქტიკული გზამკვლევი და სახელმძღვანელო ადრეული ასაკის ბავშვებისათვის გარე სივრცეში საუკეთესო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად“**

გვახსენებს, რომ ღია ცის ქვეშ თამაში მხოლოდ გართობა არ არის; ეს არის ბავშვის ჰოლისტური განვითარების ქვაკუთხედი. ის ხელს უწყობს ფიზიკურ ჯანმრთელობას, გონებრივ განვითარებას, კეთილდღეობას და ბუნებრივ სამყაროსთან კავშირის გრძნობას.

2023-2024 სასწავლო წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტმა დაიწყო სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამის განხორციელება. რადგან საქართველოს უნივერსიტეტებში ამ დრომდე არ ხორციელდებოდა ადრეული განათლების საბაკალავრო პროგრამები, სასწავლო რესურსი სკოლამდელ განათლებაში ქართულ ენაზე მწირია, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით. ვფიქრობთ ჯენ უაითის წიგნი ***„თამაში და სწავლა გარეთ. პრაქტიკული გზამკვლევი და სახელმძღვანელო ადრეული ასაკის ბავშვებისათვის გარე სივრცეში საუკეთესო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად“*** გახდება მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსი და დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოში სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამების განმახორციელებლებს, აკადემიურ პირებს, სტუდენტებს, მკვლევრებს, სკოლამდელი დაწესებულებების პრაქტიკოსებს და ხელს შეუწყობს მათი ინტერესების სფეროს გაფართოებას. სახელმძღვანელოში აღწერილი აქტივობები, თამაშის სახეები დაეხმარება ადრეული და სკოლამდელი განათლების საკითხებით დაინტერესებულ პირებს იმის გაგებაში, თუ როგორ გამოიყენონ სწავლების ეს მეთოდები პრაქტიკაში, წიგნი ილუსტრირებულია და თანდართული საილუსტრაციო მასალა აადვილებს ამ საკითხების უკეთ გაგება-გააზრებას.

სახელმძღვანელოს ავტორი ჯენ უაითი ცნობილი მოაზროვნე და მწერალია ადრეულ განათლებაში, განსაკუთრებით საინტერესოა მისი პუბლიკაციები ღია ცის ქვეშ თამაშების მიმართულებაში. იგი უელსის ტრინიტი სენტ დევიდის უნივერსიტეტში პრაქტიკის საპატიო პროფესორი და ღია ცის ქვეშ ადრეული განათლების, თამაშის, სწავლისა და კეთილდღეობის ეროვნული ცენტრის სტრატეგიული დირექტორია.

ჯენ უაითის **„თამაში და სწავლა გარეთ. პრაქტიკული გზამკვლევი და სახელმძღვანელო ადრეული ასაკის ბავშვებისათვის გარე სივრცეში საუკეთესო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად“** ღირებული რესურსი და პრაქტიკული სახელმძღვანელოა, რომე-

ლიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: რესურსები, პრაქტიკული აქტივობები, რჩევები; გარეთ ყოფნა, თამაში და სწავლა ადრეულ ასაკში: გარეთ თამაში წყლით; გარეთ თამაში ბუნებრივი მასალებით; გარეთ თამაში და ცოცხალი სამყარო; ფიზიკური თამაშები გარეთ; წარმოსახვითი, შემოქმედებითი და გამომსახველობითი თამაში გარეთ; მშენებლობა გარეთ და ფუღუროებში თამაში; გამოცდილება გარეთ, საბავშვო ბაღის მიღმა. სახელმძღვანელოს წინამდებარე მესამე გამოცემა დაიხვეწა და წარმოდგენილია შესაბამისი მასალების, რესურსებისა და წყაროების კრებული, რომელიც ხელს შეუწყობს მაღალი ხარისხის გარეთ სათამაშო გარემოს უზრუნველყოფის ძირითად ელემენტებს; „თამაში და სწავლა გარეთ. პრაქტიკული გზამკვლევი და სახელმძღვანელო ადრეული ასაკის ბავშვებისათვის გარე სივრცეში საუკეთესო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად“ დაეხმარება თითოეულ პრაქტიკოსს განავითაროს და სრულჰყოს გარე თამაშით სწავლება ყველა ბავშვისთვის.

ჯენ უაითის წიგნი **„თამაში და სწავლა გარეთ. პრაქტიკული გზამკვლევი და სახელმძღვანელო ადრეული ასაკის ბავშვებისათვის გარე სივრცეში საუკეთესო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად“** არის მოწოდება მოქმედებისკენ. ის გვეპატიჟება გარეთ გავიდეთ, ვისუნთქოთ სუფთა ჰაერი და ხელახლა აღმოვაჩინოთ ბუნებრივი სამყაროს სილამაზე და შესაძლებლობები. ჯენ უაითის გამოცდილება ფასდაუდებელია. ვინც არ უნდა იყოთ, მასწავლებელი, მშობელი, ან უბრალოდ ადამიანი, რომელიც ღრმად ზრუნავს მცირეწლოვანი ბავშვების კეთილდღეობაზე და განვითარებაზე, ეს წიგნი შთაგაგონებთ და მოგცემთ ძალას, გამოიყენოთ ღია ცის ქვეშ სწავლის უსაზღვრო პოტენციალი.

სახელმძღვანელოს ქართულენოვანი თარგმანის მომზადება საინტერესო, ხანგრძლივი, შრომატევადი და რთული საქმე აღმოჩნდა. პროცესში ჩართული იყო არა ერთი პროფესიონალი, ადრეული განათლების სპეციალისტი და მხარდამჭერი. უპირველესად მადლობა გვინდა გადავუხადოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სამინისტროს, რომელმაც საშუალება მოგვცა სკოლამდელ განათლებაში არსებული თანამედროვე უახლოესი უცხოენოვანი სახელმძღვანელო ხელმისაწვდომი გაგვეხადა საქართველოს უნივერსიტეტების ადრეული განათლების პროგრამების სტუდენტებისათვის, მკლევრე-

ბისა და ამ სფეროთი დაინტერესებული პირებისათვის. მადლობას მოვახსენებთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მუდმივი მხარდაჭერისთვის.

წიგნის ქართულ ენაზე თარგმანს დიდი ინტერესით და გაგებით მოეკიდა სახელმძღვანელოს „თამაში და სწავლა გარეთ. პრაქტიკული გზამკვლევი და სახელმძღვანელო ადრეული ასაკის ბავშვებისათვის გარე სივრცეში საუკეთესო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად“ სათარგმნი ლიტერატურის საავტორო უფლების მფლობელი გამომცემლობა Routledge და მისი წარმომადგენელი ქალბატონი renata.kasprzak, რომელმაც გაითვალისწინა ჩვენი სურვილი სახელმძღვანელოს თარგმანისა და ყველა ღონე იხმარა იმისთვის, რომ დროულად გაფორმებულიყო შესაბამისი დოკუმენტაცია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გამომცემლობა Routledge-ს შორის. ჩვენ უდიდესს მადლიერებას გამოვხატავთ მის მიმართ. განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებს მთარგმნელი მაია ბოლქვაძე, მადლობა ტექსტის რედაქტორებს, კორექტორს და გამომცემლობის თანამშრომლებს.

ვიმედოვნებთ, მკითხველი გაგებით მოეკიდება ტექსტის თარგმანისა და რედაქტირების დროს გაპარულ უზუსტობებსა და ხარვეზებს. დიდი სიამოვნებით მივიღებთ და გავითვალისწინებთ ყველა საქმიან რჩევას. ვიმოდევნებთ, რომ ამ გვერდებზე იპოვით არა მხოლოდ თქვენთვის საჭირო პრაქტიკულ ინსტრუმენტებს, არამედ შთაგონებას ბავშვებსა და ბუნებას შორის უწყვეტი სიყვარულის გასაძლიერებლად.

ლელა თავდგირიძე,
განათლების დოქტორი, პროფესორი
ნატო შეროზია,
განათლების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ნაზიბროლა ბერიძე გაბაიძე,
ფილოლოგიის დოქტორის კანდიდატი

2023 წელ

სამადლობელი

წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ჩემს მიერ წლების განმავლობაში დაგროვილი იმ გამოცდილების უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელმაც სკოლამდელი განათლების საკითხების ცოდნა და გააზრება მომიტანა.

უპირველეს ყოვლისა, მადლობელი ვარ ჩემი მშობლების - ჯეინისა და ჯონის, რომლებმაც ბავშვობაში გარეთ თამაშის არაჩვეულებრივი შესაძლებლობები მომცეს; ასევე ჩემი და-ძმის - ჯულისა და ფილის, რომლებიც საუკეთესო მოთამაშეები იყვნენ კენტში, სოფელ სენტ მერი პლეტის მრავალფეროვან და საუცხოო სათამაშო გარემოში.

დიდი მადლობა ჯაკი ფინისა და ჰილ ენდის ბანაკებს, ქრისტინა გოლდსაკს და შეფილდის ხარისხის განვითარების სქემას, ჩემი კარიერის დასაწყისში მხარდაჭერისა და გამოცდილებისათვის. მადლობა ორგანიზაცია “Learning through Landscapes”-ს ერთად გატარებული მრავალი წლისთვის, ასევე “Vision and Values Partnership”-ს, განსაკუთრებით მარჯორი უვრის, ქალბატონს, რომელიც ჩემი პირადი შთაგონება და გმირია. მეგობრობა, შეხედულებები და შესანიშნავი პრაქტიკა, რომელთაც ბოლო წლებში მენნა გოდფრეისთან ერთად ვეზიარე. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ადრეული ასაკის ბავშვებთან ერთად ღია ცის ქვეშ მიღებული გამოცდილების აღქმის გაღრმავება და სიამოვნების მიღება.

ასევე მადლიერებით აღვნიშნავ იმ ადამიანთა ზრუნვას, რომლებიც სულ უფრო აფართოვებენ საზღვრებს იმ მიმართულებით, რასაც ამჟამად ღია ცის ქვეშ ადრეულ განათლებას ვუწოდებთ; ისინი უკვე ორი ათწლეულია ჩემს მსოფლმხედველობაზე ახდენენ გავლენას, მათი გაცნობაც ბედმა მარგუნა. ამ წიგნზე გავლენა მოახდინა ასობით ინტერაქციამ, რომელმაც წარმოშვა და გააფართოვა ჩემი გამოცდილება და ცოდნა, დიდ პატივს ვცემ თითოეულ მათგანს. აღფრთოვანებული ვარ იმის წარმოდგენით, თუ რა მელის წინ! მკითხველს ექნება შესაძლებლობა გაეცნოს კიდევ უფრო მეტ ინფორმაციას ღია ცის ქვეშ ადრეული განათლების შესახებ მითითებულ ვებ გვერდზე www.earlychildhoodoutdoors.org.

განსაკუთრებული მადლობა ყველა იმ ბავშვებს, რომლებმაც უფლება მომცეს დაკვირვება მეწარმოებინა მათზე გარეთ თამაშის დროს, ასევე ყველა იმ განმანათლებელს დიდი ბრიტანე-

თის მასშტაბით, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში მიზიარებდნენ თავიანთ პრაქტიკას.

უდიდესი მადლობა იმ აღსაზრდელებს, მშობლებს და პრაქტიკოსებს, რომლებმაც თავიანთი ფოტოების ამ წიგნში გამოყენების ნება დამრთეს. ესენია: ეიქორნ მონტესორი (Acorn Montessori); ენდი ბერთის და ფიშერგეითის დაწყებითი სკოლა (Andy Burt and Fishergate Primary School); ბენთს გრინ სკოლამდელი დაწესებულება Bents Green Preschool); ბონორ რეჯის საბავშვო ბაღი და საბავშვო ცენტრი (Bognor Regis Nursery School and Children's Centre); ქეროლ დაფი (Carol Duffy); ქლერ ფოსტერის, ჯილ უატსის და უინდსორის ბავშვებისა და ოჯახების ცენტრი (Claire Foster, Jill Watts and Windsor Centre for Children and Families); ლიზ ედუარდსი (Liz Edwards); ლიზ მეგროუს (Liz Magraw), რუს შარპისა და ჰინდ ლეისის სკოლამდელი დაწესებულება (Ruth Sharpe and Hind Leys Preschool); ჯეინ რეტენისა და სლინ სთრითის სტარტერები (Jane Wratten and Slinn Street Starters); მეტაფიჰის საბავშვო ბაღი, ახალი ზელანდია (Matapihi Kindergarten, New Zealand); მენნა გოდფრი და კვაკერები (Menna Godfrey and Quackers); პეტრა აზბერგერი და ბავშვთა ოაზისის საბავშვო ბაღები, დუბაი (Petra Arzberger and Children's Oasis Nurseries, Dubai); სიუზან სკოტის, ანნ ტომსონისა და სენდფილდის ბუნებრივი სათამაშო ცენტრი (Suzanne Scott, Ann Thompson and Sandfield Natural Play Centre); ვანესა ლოიდი, ქრაისტჩერჩ სიფის სკოლა და სენტ ესეფ უიფის საბავშვო ბაღი (Vanessa Lloyd, Christchurch CP School and St Asaph VP Infant School); ვანესსა ჯილიამი, აშშ (Vanessa Gilliam, USA). პირველი გვერდის ფოტო: მენნა გოდფრი, კვაკერები (Menna Godfrey, Quackers).

უდიდესი მადლობა ჩემს შვილებს, ლორისა და ბრინს, რომლებმაც ენთუზიაზმით აღმავსეს, საშუალება მომცეს ხელახლა ვზიარებოდი ხალისიან ბავშვობას და ბევრი რამ მესწავლა ამ პროცესში.

ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს გამომცემელს, ელისონ ფოილს და მის გუნდს იმისათვის, რომ ენთუზიაზმით შეხვდნენ ამ მესამე გამოცემას და მოთმინებით ელოდნენ მას. ჩემს მეუღლეს, ედს, არა მხოლოდ იმისთვის, რომ მშვიდად ეგუებოდა მუდმივ ქაოსს ჩვენს სახლში და დღის განრიგში, არამედ ასევე ყველა იმ მასალის „დაბინავებისთვის", რომელიც კვლევისთვის მჭირდებოდა.

შესავალი

გარეთ ყოფნა, თამაში და სწავლა ადრეულ ასაკში

ადრეული ასაკის ბავშვის გარეთ ყოფნის, თამაშისა და სწავლის უფლება

„საერთო ხედვა და ღირებულებები ადრეულ ასაკში გარეთ თამაშისა და სწავლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით" (ხედვისა და ღირებულებების პარტნიორობა 2004) დოკუმენტის თანახმად:

- ყველა ბავშვს აქვს უფლება გამოსცადოს და ისიამოვნოს გარეთ ყოფნით და მისი განსაკუთრებულობით.
- ადრეული ასაკის ბავშვების გონება და სხეული საუკეთესოდ ვითარდება მაშინ, როდესაც მათ თავისუფალი წვდომა აქვთ გარე მასტიმულირებელ გარემოსთან, სადაც სწავლობენ თამაშით და რეალურად განიცდიან მას.
- ცოდნითა და ენთუზიაზმით აღსავსე უფროსებს გადამწყვეტი როლი აქვთ იმაში, რომ ბავშვებს გაუხსნან გზა გარე სივრცეების შესაძლებლობებისკენ.

ადრეული ასაკის ბავშვებს უფლება აქვთ:

- გამოიკვლიონ რა არის მათთვის მნიშვნელოვანი და რისთვის არიან ბიოლოგიურად განპირობებულები;
- გამოსცადონ ნივთები, მოვლენები და იდეები აქტიური, მულტისენსორული და მრავალფეროვანი გზებით, რაც მათ საშუალებას აძლევს იფიქრონ და გაიგონ განცდის დონეზე;
- გაიფურჩქნონ შინაგანად, რასაც ბუნებაში ყოფნა უზრუნველყოფს;
- იყვნენ გარემოში, რომელიც ბუნებრივად შთანთქავს მათ თავისი მრავალფეროვნებისა და მოქნილობის წიაღში;
- ჰქონდეთ თანაბარი და თანასწორი ურთიერთობა იმ ბავშვებთან და უფროსებთან, რომლებიც მათთან ერთად ცხოვრობენ და სწავლობენ.

მოკლედ, ბავშვების უფლებაა იყვნენ გარეთ, სადაც დამოუკიდებლად თამაშის თავისუფლება ყველა ზემოთ ჩამოთვლილის შესაძლებლობას იძლევა.

ადრეული ასაკის ბავშვებს ესაჭიროებათ გარეთ თამაში. არჩევანის არსებობისას, ბავშვების უმეტესობა გარეთ ყოფნას

ანიჭებს უპირატესობას და გარეთ თამაში არის ის, რაც ყველაზე მეტად უნდათ.

ბოლო წლებში ჩატარებული გამოკითხვები, მათ შორის ისინიც, რომლებიც ინგლისში და უელსში ადრეული განათლების სტრატეგიის შემუშავებისთვის ჩატარდა, აჩვენებენ, რომ გარეთ ყოფნა ადრეული განათლების დაწესებულებებში ბავშვების პრიორიტეტული და საყვარელი საქმიანობაა.

ასევე, მშობლებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, ის რომ ადრეული ასაკის დაწესებულებები მათ შვილებს აძლევენ გარეთ ყოფნის იმ შესაძლებლობას, რასაც თავად სათანადოდ-ჯეროვნად ვერ უზრუნველყოფენ. სულ უფრო მეტად ვრწმუნდებით და მივიწევთ იმ გაგებისკენ, რომ დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში გამოცდილებით და თამაშით სწავლა ყველაზე შესაფერისი და ეფექტური მიდგომაა შვიდ წლამდე ასაკის ბავშვების განათლებისთვის (განსაკუთრებით უელსისა და ირლანდიის და ბოლო პერიოდში შოტლანდიის კურიკულუმებში/ხარისხის განვითარების დოკუმენტებში), გარე სამყაროს გადამწყვეტი როლი კი ბავშვების განვითარებაში სულ უფრო აქტუალური ხდება.

ეფუძნება რა ადრეული განათლების მრავალწლიან პრაქტიკასა და სიღრმისეულ გაგებას, ნორჩი ტვინებისა და სხეულების განვითარების შესახებ, ამ ახალი გამოცემის „თამაში და სწავლა გარეთ“ მიზანია, შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებთან მომუშავე ყველა განმანათლებლის დახმარება.

ხანგრძლივი ისტორიის მანძლზე ადამიანები, როგორც სოციალური ჯგუფი, ცხოვრობდნენ, მუშაობდნენ გადარჩენისთვის და განვითარებისთვის საჭირო რესურსს მოიპოვებდნენ გარე სამყაროში. შედეგად, ჩვენი სხეულები და გონება ბუნებრივი სამყაროს სირთულეების შესაბამისად ჩამოყალიბდა და დაიხვეწა. ზრდასრულები დიდ სარგებელს ვიღებთ გარეთ, სუფთა ჰაერზე ყოფნისას და ბუნებასთან კონტაქტით. ასევე აუცილებელია, რომ ადრეული ასაკის ბავშვები დაბადებიდან საკმარის დროს ატარებდნენ გარეთ და ეზიარებოდნენ თვალწარმტაცი და მრავალფეროვანი გარემოს სიმდიდრეებს. გარე სამყარო უდიდესი როლს თამაშობს და გააჩნია შესაბამისი პოტენციალი ბავშვების ჯანმრთელი და სრულყოფილი ემოციური, ფიზიკური, სოციალური და კოგნიტური განვითარებისთვის.

დახურული სივრცე ვერ მოიცავს იმ გამოცდილებებსა და საჭიროებებს, რაც ბავშვის სრული განვითარებისთვისაა საჭირო. ადრეული ასაკის ბავშვებს უყვართ გარეთ ყოფნა: ისინი მინიმუმ სამ საათს უნდა ატარებდნენ გარეთ. ისინი ჩვენგან საჭიროებენ ამის უფრო ღრმა და მრავალმხრივ გაგებას. მათ იმედი აქვთ, რომ ჩვენ, რაც შეიძლება მეტ ხანს ვუზრუნველყოფთ მათ გარეთ ყოფნას ყოველ დღე, მთელი წლის განმავლობაში. ისინი ვითარდებიან, როცა ჩვენ ვიღებთ სიამოვნებას მათთან ერთად გარეთ გატარებული წუთებისგან.

ადრეული ასაკის ბავშვებს თავიანთ სამყაროსთან ურთიერთქმედების, მის შესახებ და მისგან სწავლის განსაკუთრებული მეთოდი აქვთ. ისინი ურთიერთქმედებენ და სწავლობენ მოძრაობით და მოქმედებით, კვლევის და გამოხატვის პროცესში მთელი სხეულის ჩართულობით და გამოყენებით. ისინი, ზრდასრულებისგან განსხვავებით, ნაკლებად აქცენტირებენ მეტყველებაზე და ინფორმაციას თავიანთი შეგრძნებებით იღებენ. მათი ტვინი ღრუბელივით ისრუტავს, ამჩნევს ან ფილტრავს ისეთ დეტალებსა და საგნებს, რაც უფროსებს ყურადღების მიღმა გვრჩება. მათ სჭირდებათ რეალური და რელევანტური გამოცდილებები, მასალებთან ურთიერთობით, პირდაპირი კონტაქტით და თამაშით შესწავლით. მათ ასევე სჭირდებათ თავიანთი თამაშების იმიტირებისა და განმეორების შესაძლებლობები. სწავლა ყველაზე ეფექტური მაშინ არის, როცა ბავშვები უფროსებსა და განსაკუთრებით, სხვა ბავშვებს თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ. ეს არის ყველა ის ფაქტორი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ იმ სასწავლო გარემოში, რომელსაც ვუზრუნველყოფთ შიგნით თუ გარეთ; თუმცა გარე სივრცე განსაკუთრებით ეფექტურია მაშინ, როცა ბავშვებს მათთვის შესაფერის გამოცდილებებს ვთავაზობთ.

გარეთ თამაში ბავშვებს სთავაზობს:

- ისეთ სივრცეებთან წვდომას, რომლებიც შეესაბამება მათ მდიდარ ბუნებას, ენერგიულ ფიზიკურ და შინაგან სამყაროს;
- სუფთა ჰაერს და ამინდის ცვალებადობის უშუალო განცდას;
- ბუნებრივ და ცოცხალ არსებებთან კონტაქტს, ბავშვების თანდაყოლილი სიახლოვის, ცნობისმოყვარეობისა და ინტერესის გამოყენებით, რაც ხელს უწყობს ბუნებასთან მათი კავშირისა და სიახლოვის გაზრდას;

- თავისუფლებას - იყოს ცნობისმოყვარე, მკვლევარი, თავგადასავლების მოყვარული და ინოვაციური;
- შესაფერისი, შინაარსიანი და საინტერესო რეალური გამოცდილებების ფართო შესაძლებლობას;
- აღმოჩენების, თამაშისა და საუბრის უსასრულო შესაძლებლობებს, ისე, რომ გადაამუშავონ ახალი გამოცდილება, გაიგონ და გამოიყენონ ის;
- გარემოს, რომელიც შეგრძნების ყველა დონეზე გადასცემს ინფორმაციას;
- მთელი სხეულით ჩართულობის შესაძლებლობას, რაც მნიშვნელობების ღრმა შეგრძნების საშუალებასა და ფიზიკურ სიჯანსაღეს უზრუნველყოფს;
- მოძრაობის შესაძლებლობას, რაც ავითარებს ტვინისა და ნერვული სისტემის ძირითად სტრუქტურებს;
- ემოციურ და მენტალურ კეთილდღეობას, საკუთარი თავის შესახებ დადებითი წარმოდგენისა და თვითშეფასების გაზრდას;
- ხშირ შესაძლებლობას ზემოქმედება მოახდინონ სამყაროზე, გამოიწვიონ მოვლენები და გამოსცადონ თავიანთი შესაძლებლობები, კომპეტენციები და ეფექტურობა;
- სოციალურ ინტერაქციებს, რაც აყალიბებს ურთიერთობებს, სოციალურ უნარებსა და სხვებთან ყოფნის სიამოვნებას;
- საკუთარი თავისთვის გამოწვევების დასახვის უამრავ შესაძლებლობას და საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფას;
- ადგილს, სადაც ისინი საუკეთესოდ სწავლობენ და რომელიც მათ საშუალებას აძლევს გამოხატონ თავიანთი გრძნობები, ფიქრები და იდეები მათთვის საუკეთესო ფორმით.

გარე სივრცე, როგორც განათლების ძლიერი ხელშემწყობი

მდიდარ გარე სასწავლო გარემოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ადრეული ასაკის კურიკულუმის ყველა მიმართულებაში.

- *პირადი და სოციალური განვითარება, კეთილდღეობა და მორალური განათლება.* გარე სამყარო ბავშვებს საშუალებას აძლევს იმუშაონ სხვადასხვა ჯგუფებში და სხვადასხვაგვარად, რაც ხელს უწყობს მათ წახალისებას იფიქრონ განსხვავებულად და გამოიყენონ მრავალფეროვანი მიდგო-

მები, გამოსცადონ და ისწავლონ თანამშრომლობა, თვითრეგულირება, მოლაპარაკება და კომპრომისი.

- *კომუნიკაცია, ბილინგვიზმი და წიგნიერების საფუძვლები.* რეალურ ფიზიკურ და ადამიანურ სამყაროსთან შეხება ქმნის ახალი ლექსიკური მარაგის, გამოცდილებების გაზიარების, მსჯელობისა და ენის სააზროვნოდ გამოყენების კონტექსტსა და მოტივაციას. ეს განსაკუთრებით ღირებულია იმ ბავშვებისთვის, რომლებიც დამატებით ენას სწავლობენ, რადგანაც გამოცდილება კონკრეტული და არსებითია.
- *მოძრაობა, ფიზიკური განვითარება და ნატიფი მოტორული უნარები.* მოძრაობის სტიმულირება და შესაძლებლობები, რასაც გარეთ ყოფნა უზრუნველყოფს, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ადრეული განვითარებისთვის და სწორედ ეს უდევს საფუძვლად განვითარების სხვა ასპექტებსა და ცხოვრებისეულ წარმატებას.
- *სამყაროს გაგება, მათ შორის მათემატიკური აზროვნება, ტექნოლოგიები და დიზაინი.* გარე სივრცე განსაკუთრებით მდიდარია იმისათვის, რომ ბავშვებში გამოიწვიოს ცნობისმოყვარეობა, აღტაცება, ფიზიკური და ადამიანური სამყაროს ყველა ასპექტის კვლევისა და მისი აღქმით სიამოვნება.
- *შემოქმედებითი, ესთეტიკური და გამომხატველობითი განვითარება.* გარეთ არსებული განსაკუთრებული პირობები კვებავს, უზრუნველყოფს და ახალისებს მგრძნობელობას, ემოციას, წარმოსახვას, გამომხატველობასა და ინოვაციას.

სწორედ ამიტომ, ადრეული განათლების კურიკულუმებში გარე სივრცეების შესაძლებლობების გათვალისწინება და უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია. თუმცა, გარეთ თამაშები შეიძლება სცდებოდეს ზემოთ ჩამოთვლილ სასწავლო მიზნებს და მიმართული უნდა იყოს იმ სოციალური პრობლემების გადასაჭრელადაც, რომლებსაც ეს თაობა ეჯახება თავისი ცხოვრების გზაზე. უკვე დროა, რომ კომპლექსური ზრუნვისა და განათლების მშობლებთან და მზრუნველებთან ერთად თანამომწოდებლებმა - ადამიანებმა, რომლებიც მნიშვნელოვან საფუძველს ვუყრით თითოეული ბავშვის განვითარებას - მეტი ყურადღება დავუთმოთ ამ დიდ ასპექტებს, როდესაც ვფიქრობთ, ვგეგმავთ და ვუზრუნველყოფთ ბავშვების გარეთ ყოფნის გამოცდილებებს. როგორც კენ რობინსონი (Ken Robinson) აღნიშნავს “Out of Our Minds:

Learning to Be Creative" („ჩვენი გონების მიღმა: როგორ ვიყოთ კრეატიულები") (Capstone Publishing 2011:10 &16) – „მშობლებს... უნდათ, რომ განათლება ადრეული ასაკის ბავშვებს დაეხმაროს მათი უნიკალური ნიჭის იდენტიფიცირებაში და ცხოვრების შინაარსიანად და მიზნობრივად მართვაში... განათლება არ არის მომავლისათვის მომზადების სწორხაზოვანი პროცესი: ეს არის ნიჭისა და გრძნობების იმგვარი განვითარება, რომელთა წყალობითაც შევქმნით საუკეთესო ცხოვრებისეულ გამოცდილებას აწმყოში და ვუზრუნველყოფთ საუკეთესო მომავლს".

ადრეული ასაკი წარმოადგენს 21-ე საუკუნის განათლების მიზნების მიღწევისთვის სწორი საფუძვლის ჩაყრის პერიოდს და შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ღია ცის ქვეშ სწავლა მისი აუცილებელი ნაწილია.

- *ფიზიკური ჯანმრთელობა მთელი ცხოვრების მანძილზე.* ჩვენი ამჟამინდელი, დახურულ სივრცეში და მჯდომარე ცხოვრების სტილი, წარმოადგენს დიდ გამოწვევას ნევროლოგიური და ფიზიოლოგიური განვითარების, მხედველობის, ფიზიკური ფორმის, წონის კონტროლისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართ სწორი დამოკიდებულებისთვის.
- *მენტალური ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და ბედნიერება.* საკუთარ სხეულში, სამყაროში, სხვებთან და საკუთარ თავთან თავის კარგად გრძნობა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ცხოვრების აზრისა და დანიშნულების შეგრძნება. სივრცე, თავისუფლება, ღიაობა და ბუნებასთან კონტაქტი, რასაც გარეთ ყოფნა გვთავაზობს გამოიყენება ფსიქიკური პრობლემების დასაძლევად.
- *სოციალური ერთობა და თანასწორობა.* გარეთ სწავლა ინტერაქციის, ერთად თამაშისა და კოლაბორაციის ბევრ საშუალებას იძლევა, მიმართულია საერთო მიზნების მისაღწევად, და ერთობლიობაში ხელს უწყობს მოქალაქეობის, დემოკრატიის, სოციალური სოლიდარობისა და მშვიდობის ჩამოყალიბებას.
- *შემოქმედებითობა, ინოვაცია და მეწარმეობა.* მრავალფეროვან გარემოში სწავლის კომპლექსურობა, გახსნილობა, მოქნილობა და რეაგირების შესაძლებლობა ხელს უწყობს წარმოსახვის, გამჭრიახობის, ადაპტაციისა და შესაძლებლობების გამოყენების უნარების ჩამოყალიბებას, რასაც ბიზნეს

ლიდერები საჭიროდ მიიჩნევენ მომავალი ეკონომიკური წარმატებისთვის.

- *კომპეტენტურობა და რისკებისადმი მედეგობა.* რისკების ამოცნობის უნარი, უსაფრთხო თავგადასავლების მოყვარულობა, ცვლილებებთან, სირთულეებთან და მათ შედეგებთან გამკვლავება, უდაოდ მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული უნარებია, რომლებიც ბავშვებში განათლების გზით უნდა განვითარდეს, რათა მოამზადოს ისინი მომავალი ცხოვრებისთვის.
- *თვითრეგულირება და უწყვეტი სწავლა.* სხვებთან თამაშისა და მამოტივირებელი, შინაარსიანი სასწავლო შესაძლებლობების კომბინაცია ღია ცისქვეშ, თვითმართვისა და კონტროლის განვითრებას უწყობს ხელს, რაც საჭიროა ცხოვრების ყველა ასპექტში წარმატებისთვის, უწყვეტი სწავლისთვის და ადაპტიციისთვის.
- *მდგრადობა და მმართველობის უნარი.* გარე სამყაროსა და იქ ყოფნის სიყვარული, მდგრადი ცხოვრებისთვის საჭირო დამოკიდებულებების საფუძველია. ჩვენ გვჭირდება თაობა, რომელიც ბუნების წიაღში თავს ისე იგრძნობს, როგორც საკუთარ სახლში, იზრუნებს სამყაროზე, ექნება ის შესაძლებლობები და შემოქმედებითობა, რათა ცხოვრებისეულ გზაზე გაუმკლავდეს გარემოს დაცვის, ადამიანურ და ეკონომიკურ პრობლემებს.

სპეციალური და განსხვავებული ადგილი თამაშით სწავლისთვის

გარე სივრცე დახურული სივრცის ჰარმონიულ გაგრძელებას წარმოადგენს და დამატებითი გარემოს უზრუნველყოფით ხელს უწყობს და ამრავალფეროვნებს ყველაფერს, რასაც ბავშვებს დახურულ სივრცეში ვთავაზობთ. ცენტრალური იდეა, რაც გარე სივრცეზე ფიქრისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ არის ის, რომ გარე სივრცე განსხვავებულია დახურული სივრცისგან. გარე სივრცეების არსებობა ადრეული ასაკის დაწესებულებებისათვის აუცილებელი პირობაა. ის წარმოადგენს ადრეული ასაკის ბავშვების საჭიროებების წარმატებით დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ძალიან მკაფიოდ უნდა ჩამოვყალიბდეთ იმაზე,

თუ რით განსხვავდება გარე სივრცე დახურული სივრცისგან, რა სარგებელი მოაქვს გარეთ ყოფნას და რატომ არის ის კარგი ადრეული ასაკის ბავშვების განვითარებისა და სწავლისთვის. ამ განსხვავებების აღიარება მყარ საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რომ გარე სივრცის მოწყობასა და აქტივობების დაგეგმვაში ისეთივე ძალისხმევა ჩავდოთ, როგორიც შიდა სივრცეების მოწყობაში. არანაკლებ მნიშვნელოვანი, საკვანძო მომენტია - გადავწყვიტოთ **რა** ვუზრუნველვყოთ და **როგორ** დავგეგმოთ გარე სივრცე. იმის ცოდნა, თუ რა ხდის გარე სივრცეს განსაკუთრებულს და უნიკალურს, არის გზამკვლევი როგორ დავგეგმოთ, დავსახოთ ინტერაქციული აქტივობები ბავშვებთან მიმართებაში გადაწყვეტილებების მიღებისას.

გარეთ სწავლებისას, არსებობს იმის დაკარგვის საშიშროებაც, რაც უნიკალური და განსაკუთრებულია ბავშვებისთვის გარეთ ყოფნისას. რასაკვირველია, გარეთ სწავლება არ მოისაზრებს დახურულ სივრცის გარეთ გატანას და არც „მასწავლებლის" როლის მორგებას გარეთ. ეს არის ბავშვის სამფლობელო, უფრო დემოკრატიული ადგილი სამყაროსა და ადამიანების შესაცნობად, სადაც ბავშვი თავად ურთიერთობს ადამიანებთან, ადგილებთან და ნივთებთან და თავად სწავლობს მნიშვნელობებს. მნიშვნელოვანია იმ მახასიათებლების შენარჩუნება, რომლებიც გარე სივრცეს ბავშვებისთვის განსხვავებულს და განსაკუთრებულს ხდის. სანაპირო და ტყე საუკეთესო სასწავლო გარემოა ადრეული ასაკის ბავშვებისთვის. რომელი ელემენტები და მახასიათებლები ხდიან ამ ადგილებს საოცარს? როგორ შეიძლება დავიჭიროთ მათი საკვანძო ელემენტები და მახასიათებლები და შესაბამისად ხელმისაწვდომი გავხადოთ ისინი ჩვენს საკუთარ გარე სივრცეებში? თუკი ჩვენ შევეცდებით გავიმეოროთ მათი მრავალფეროვნება და მოქნილობა, საბოლოოდ შევძლებთ ისეთი გარემოს უზრუნველყოფას, რომლის მანიპულირება, ცვლილება და კონტროლი შეუძლიათ ბავშვებს, რაც მათ საკუთარი კვლევებისა და თამაშის ავტორებად და შესაბამისად, თავიანთი სხეულისა და გონების არქიტექტორებადაც აქცევს. ნათელი ხდება, რომ ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ გარე სივრცეების ბაღებად და არა სათამაშო მოედნებად ან სათამაშო სივრცეებად გააზრების იდეას, სადაც ბავშვები იკვლევენ და თამაშობენ, სწავლობენ მოქმედებებითა და გრძნობებით, ივითარებენ წარმოსახვას, შემოქმედებით უნარებსა

და ლოგიკური აზროვნების წარმოუდგენელ შესაძლებლობებს. უპირველეს ყოვლისა, სამყაროსადმი მიჯაჭვულობისა და მიკუთვნებულობის გრძნობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბავშვების კეთილდღეობისთვის, ისევე როგორც ჩვენი ლამაზი, მშვენიერი, მომხიბლავი და მზრუნველი დედამიწის კეთილდღეობისთვის. გარე სივრცის განსაკუთრებულ ბუნებაზე შემდგომი მოსაზრებებისთვის იხილეთ ჩემი ავტორობით გამოცემული წიგნი, თავი „თამაში გარეთ ადრეულ ასაკში" (Outdoor Provision in the Early Years).

მნიშვნელოვანია, რომ ადრეული ასაკის ბავშვებთან მომუშავე ზრდასრულებმა მეტი დრო დაუთმონ გარე სივრცეებში მიღებულ გამოცდილებაზე, ბუნებაზე ფიქრს. გასული ორი ათწლეულის განმავლობაში, საგრძნობლად წინ წავიწიეთ გარე სივრცეების სათამაშო, კეთილდღეობისა და სწავლის მიზნებით გამოყენებაში. თუმცა, ბევრი პრაქტიკოსი ჯერ კიდევ მუშაობს ისეთ რთულ გარემოში, რომელიც არ იყო შექმნილი იმ დანიშნულებით და იმ ცოდნაზე დაყრდნობით, თუ რა სჭირდებათ ბავშვებს და მოზარდებს. წარმატებული გარე თამაშისა და სწავლების უზრუნველყოფა იმდენივე ფიქრს, მომზადებასა და დაგეგმვას მოითხოვს, რამდენსაც დახურული სივრცის მოწყობა - და ეს ძალიან ბევრია. ეფექტური უზრუნველყოფის მიღწევა ნელი პროცესია, რომელიც სიფრთხილითა და ბევრი ფიქრით, მცირე ნაბიჯებით უნდა განხორციელდეს. არსებითი მნიშვნელობა აქვს დაწყებას, მაგრამ არ უნდა ვიჩქაროთ! გარე სივრცეების მოწყობისა და პრაქტიკის შემუშავება ისეთივე გრძელვადიანი და კომპლექსური პროცესია და ისევე მოითხოვს ვრცელი ლიტერატურის გაცნობას სხვადასხვა ასპექტების გასააზრებლად, როგორც დახურული სივრცეების მოწყობისა და პრაქტიკის შემუშავება. რა თქმა უნდა, შეუძლებელია გარეთ თამაშისა და სწავლის შესახებ დაგროვილი ცოდნის ერთ წიგნში დაფარვა. 2007 წელს ამ წიგნის პირველი გამოცემის შემდეგ გარეთ თამაშებისადმი ინტერესი გაიზარდა და ბევრი სასარგებლო, შთამაგონებელი ტექსტია გამოქვეყნებული, რომელიც ფოკუსირებულია და მნიშვნელოვანია პრაქტიკოსებისათვის. ამ თავის ბოლოს მითითებული რესურსების ნაწილში შეთავაზებები გავანაწილე სექციებში ფუნქციონალურად, იქვე მოცემულია მოკლე მონახაზი თითოეული რესურსის ფოკუსისა და გამოყენების შესახებ. ჯერ

კიდევ ბევრი საკითხი (მაგალითად, მშობელთა ჩართულობაზე ფოკუსირებული მუშაობა) საჭიროებს კვლევას ადრეული ასაკის ბავშვების გარეთ თამაშის მიმართულებაში. ვიმედოვნებ, რომ შემდგომი პუბლიკაციებით დაიწყება ამ საკითხების კვლევა და ავტორები გააგრძელებენ ფიქრს, განხილვას და ჩვენი მსოფლმხედველობის გაფართოებას გარეთ ყოფნის, თამაშისა და სწავლის საკითხებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამგვარი კვლევები განხორციელდეს ფორმალური კურიკულუმების მიღმა, ბავშვზე ფოკუსირებით.

როგორ მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი ამ წიგნიდან

ნებისმიერი კარგი რეცეპტი მოიცავს ჯანსაღ ინგრედიენტებს, რომლებიც კარგად ერწყმიან ერთმანეთს გემრიელი და სასარგებლო კერძის მისაღებად. ინგრედიენტების ხარისხთან დაკავშირებული მოლოდინები და კერძის მოსამზადებლად მკაფიო ინსტრუქციები ეყრდნობა გამოცდილ და სანდო ტექნიკებს თუ ტექნოლოგიებს? გარეთ თამაშისა და სწავლების პრაქტიკაზე დაკვირვების მრავალწლიანმა გამოცდილებამ მიმიყვანა იმის აღიარებამდე, რომ არსებობს ექვსი ძირითადი ინგრედიენტი, რომლებიც შეადგენენ ადრეული ასაკის ბავშვებისთვის გარე სივრცეში მდიდარი და საინტერესო უზრუნველყოფის სრულ მენიუს. სწორედ ამიტომ, თითო თავი ამ ინგრედიენტებს - წყალი, ბუნებრივი მასალები, ცოცხალი სამყარო, მოძრაობა და ფიზიკური თამაში, წარმოსახვა და შემოქმედებითობა და მშენებლობა (მათ შორის ფუღუროების შენება და თამაში) - დავუთმე. ჩემთვის ასევე ნათელი გახდა, რომ მეშვიდე, არსებითი ინგრედიენტი უნდა დაემატოს ამ ჩამონათვალს და ეს გახლავთ იმ გასაოცარი ადგილების, გამოცდილებების, ადამიანების, არსებებისა და მოვლენების გამოყენება სასწავლო პროცესში, რომლებიც ადრეული განათლების დაწესებულებების საზღვრებს მიღმა არსებობენ. ამ ინგრედიენტის დამატებით შრედ გათვალისწინება გარეთ თამაშისა და სწავლების დროს შესაძლებელს ხდის პრაქტიკული სწავლების იმ პოტენციალის გამოყენებას, რომელიც ვერ იქნებოდა შესაძლებელი ადრეული განათლების დაწესებულების საზღვრებში. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ინგრედიენტი ამჟამად სერიოზულად ნაკლებად გამოიყენება. ამრიგად, გარეთ

თამაშისა და სწავლების საუკეთესო პრაქტიკა გულისხმობს გამოცდილებების გაფართოებას ადრეული განათლების დაწესებულებების საზღვრებს მიღმა არსებულ გარემოსა და საზოგადოებაში და მე ვთხოვ მკითხველებს გაითვალისწინონ პრაქტიკის ეს უაღრესად ღირებული ასპექტი. თითოეული ეს ინგრედიენტი გვთავაზობს ჰოლისტურ მიდგომას, რომელსაც ადრეული ასაკის ბავშვის განვითარებასა და სწავლაში შეაქვს წვლილი. განურჩევლად იმისა, თუ რა კატეგორიებად ანაწილებს თქვენი კურიკულუმი სწავლის სფეროებს, დაინახავთ, რომ აქ განხილული თითოეული ინგრედიენტი თამაშისა და ჰოლისტური მიდგომის გზით ყველა მათგანს ფარავს ისე, როგორც ეს ადრეული ასაკის ბავშვებს ესაჭიროებათ.

კეთილდღეობისა და სწავლისთვის სრულყოფილი გარემოს შესათავაზებლად საჭიროა შვიდივე ინგრედიენტის გარკვეულწილად უზრუნველყოფა, თუმცა შეიძლება მცირედით დაწყებაც, იმით რაც მარტივად განხორციელებადია და თავდაჯერებულობისა და ცოდნის ზრდასთან ერთად ეტაპობრივად განვითარება. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ სახელმძღვანელოში თავები ამ ძირითადი ინგრედიენტების მიხედვითაა ორგანიზებული, რთულია მათი მკაფიო გამიჯვნა ერთმანეთისგან, რადგანაც თითოეული მათგანი ურთიერთმოქმედებს და გადაკვეთს ერთმანეთს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული თავი გარკვეულწილად დამოუკიდებელია, შეამჩნევთ, რომ თავებს შორის ბევრი ჯვარედინი მითითებაა. ასე მაგალითად, ცეკვა როგორც ფიზიკური, ასევე შემოქმედებითი აქტივობაა, რომელზეც დამატებითი განხილვებია ორივე თავში.

სახელმძღვანელოს თითოეული თავი შემდეგი სტრუქტურითაა წარმოდგენილი:

- რატომ არის ეს ინგრედიენტი მთავარი და რას სთავაზობს ის ბავშვებს;
- როგორ ვუზრუნველვყოთ ამ ინგრედიენტის შეთავაზება. აქვეა რესურსების ჩამონათვალიც;
- როგორ მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი ამ ინგრედიენტის შეთავაზებით;
- საბავშვო ლექსებისა და ნახატებიანი წიგნების ჩამონათვალი, რომელიც ამ ინგრედიენტით შეთავაზებული თამაშების გასამყარებლად გამოდგება;

- ფუნციონალურ სექციებად დაჯგუფებული ინფორმაციის და რესურსების წყაროები.

მესამე გამოცემაში საბავშვო წიგნების ჩამონათვალი მნიშვნელოვნად განვავრცე (ღია ცისფერი გვერდები) და დავაჯგუფე თემატურ სათაურებად, რათა გამემარტივებინა სწორედ იმ წიგნის პოვნა, რომელიც ბავშვების მიერ გამოვლენილ ინტერესებს ან თამაშს შეესაბამება. წერის პროცესში ამაზონზე ყველა რესურსი იყო ხელმისაწვდომი, თუმცა, ბევრი ძველი ან მეორეულია. კარგია, რომ გვაქვს ახლად გამოცემული მაღალი ხარისხის ნახატებიანი წიგნების უხვი მარაგი ადრეული ასაკის ბავშვებისთვის, და მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება სწრაფად გაიყიდოს, ინტერნეტი საშუალებას გვაძლევს შევიძინოთ მეორეული წიგნები ძალიან დაბალ ფასად. ადრეული განათლების დაწესებულებებს ეს ფულის დაზოგვისა და ხარისხიანი წიგნების დაბალ ფასად შეძენის შესაძლებლობას აძლევს. ეს თავის მხრივ, ხელახლა გამოყენებისა და მდგრადი განვითარების ეთიკის პრაქტიკაში დანერგვასაც უყრის საფუძველს. წიგნები, რომლებიც შედარებით უფროსი ასაკობრივი ჯგუფისთვისაა შესაბამისი, მონიშნულია ვარსკვლავით. ჩემი რჩევაა შერჩეული წიგნები უმეტესწილად შეინახოთ და გამოიყენოთ დახურულ სივრცეში (თუმცა, ასევე იხილეთ სექცია მეხუთე თავში).

ამავე გამოცემაში მნიშვნელოვნად გავაფართოვე დამატებითი ინფორმაციისა და რესურსების სიები (ღია მწვანე გვერდები) თითოეული ინგრედიენტისთვის და დავაჯგუფე ისინი შესაბამის სექციებად, იმისთვის რომ ეს წიგნი გამოიყენოთ, როგორც სასარგებლო რესურსი გარეთ თამაშისა და სწავლების პრაქტიკის გასამდიდრებლად, გასამყარებლად და გასაფართოვებლად. ვიცი, რომ ამ წიგნს ბრიტანეთის მიღმაც გაეცნობიან, და მიუხედავად იმისა, რომ ფოკუსი დიდ ბრიტანეთში ხელმისაწვდომ რესურსებზეა გაკეთებული, დარწმუნებული ვარ, მსგავსი რესურსები მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მოპოვებადი იქნება.

ისევე, როგორც კარგ რეცეპტში ყველა ინგრედიენტი საგულდაგულოდ არის შერჩეული, საუკეთესო პირობებში გაზრდილი და საუკეთესო ტექნიკით მომზადებული, ეს წიგნიც მოიცავს თემების ხაზს ადრეული ასაკის ბავშვებთან ეფექტურ პრაქტიკისა და ბავშვების გარეთ თამაშთან კავშირის შესახებ.

რადგანაც განმეორებადი იქნებოდა ამ თემების შესწავლა თითოეულ ინგრედიენტთან მიმართებით, მიზანშეწონილობის ფარგლებში, შევარჩიე თითო თავი კონკრეტული თემის უფრო ღრმად შესასწავლად, თუმცა თითოეული თემა ასევე ეხება ყველა ინგრედიენტს. ეს თემები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

- განვითარება და სწავლა რეალური გამოცდილებებისა და ძიების ნაზავით, რომელიც დაბალანსებულია ბევრი თამაშით;
- ბავშვის ბუნებრივი ინტერესებიდან და მოტივებიდან გამომდინარე და ბავშვის წინამძღოლობით განხორციელებული ეფექტური ადრეული განათლების უზრუნველყოფა;
- პირდაპირი და პრაქტიკული წვდომა რეალურ ფიზიკურ და ადამიანურ სამყაროზე, რაც ბავშვისთვის წარმოადგენს ყველაზე აქტუალურ, მამოტივირებელ და შინაარსიან სასწავლო კონტექსტსა და შესაძლებლობას;
- უწყვეტი პრაქტიკისა და გარემოს შექმნა, სადაც ბავშვები თავად არჩევენ და წარმართავენ საკუთარ სწავლას;
- რესურსების დასაწყობება, შენახვა და ორგანიზება, როგორც ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ფიქრსა და ყურადღებას საჭიროებენ;
- მუდმივი და მოქნილი დაგეგმარების პროცესი, რომელიც შესაძლებლობებისა და სპონტანურობის მაქსიმალურად გამოყენების საშუალებას იძლევა;
- „შენელების“ პრაქტიკა, ბავშვის ტემპის შესაბამისად შენელება, ბავშვის ინტერესისა და ყურადღების შესაბამისად თითოეული დეტალის მაქსიმალურად გამოყენება;
- ბავშვებისთვის დიდი დროის მიცემა ძიებისა და კვლევის, თამაშის, უკან დაბრუნების, გამეორებისა და „ნებივრობისთვის”, რათა ისინი ღრმად ჩაერთონ პროცესში, რაც ასე აუცილებელია ეფექტური და შინაარსიანი სწავლებისთვის;
- მშობლებისა და მზრუნველების ჩართვა იმაში, რასაც ბავშვი გარეთ თამაშიდან იღებს; ასევე იმის შესწავლა, რაც მათ იციან ბავშვის შესახებ;
- დაგეგმარება, რომელიც ეფუძნება მუდმივ დაკვირვებას, განმავითარებელ და გააზრებულ შეფასებას ღია ცის ქვეშ: ციკლი „შენიშვნა - აღიარება - რეაგირება“, ან „რა? - მერე რა? - ახლა რა?» (Claire Devlin, პირადი კომუნიკაცია, 2012);

- ინკლუზია თითოეული და ყოველი ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით;
- გარეთ თამაშისა და სწავლების ჰოლისტური მიდგომა სწავლის თითოეულ სფეროს გათვალისწინებით;
- გარეთ თამაშისა და სწავლების თითოეული ინგრედიენტი გარკვეული ფორმით ხელმისაწვდომია გარე სივრცის უმეტეს ან ყველა ნაწილში;
- გამოწვევა, როგორც არსებითი მნიშვნელობის მქონე ელემენტი სწავლისა და განვითარებისთვის, გამოწვევისგან მიღებული სარგებლის დაფასება და რისკების მართვა, როგორც უსაფრთხოებისთვის, ასევე შესაძლებლობისთვის (სარგებლის და რისკის შეფასება);
- ბავშვების ჩართვა გადაწყვეტილებებში, ორგანიზებაში და გარემოზე ზრუნვაში;
- მოაზროვნე, კომპლექსური, გამოცდილი და მგრძნობიარე ზრდასრულის როლი.

ამ წიგნში მე არ მომეცა იმის შესაძლებლობა, რომ სათანადოდ განმეხილა ისეთი საკითხები, როგორიცაა ტრანზიციის ორგანიზება შიდა და გარე სივრცეებს შორის, ასევე გარეთ თამაშისა და სწავლების პოლიტიკის როლი პრაქტიკის მართვაში. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების ინკლუზიის შესწავლისთვის, გირჩევთ გაეცნოთ ტერეზა კეისის (Theresa Casey) წიგნს, სახელწოდებით "Inclusive Play" („ინკლუზიური თამაში" (2010). რისკის შეფასებისა და მენეჯმენტის შესახებ უფრო მეტი შეგიძლიათ ჯანი ლინდონის (Jennie Lindon) (2010) წიგნში "Too Safe for Their Own Good?" („მეტი უსაფრთხოება მათივე უსაფრთხოებისთვის?") წაიკითხოთ, ასევე იხილეთ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების აღმასრულებელი სამსახურის ვებ-გვერდი www.hse.gov.uk. გარდა ამისა, გირჩევთ სარგებლისა და რისკის შეფასების სპეციალურ ტრენინგსაც და იმ პერსონალის იდენტიფიცირებას, რომელთაც რისკის მართვის შესაბამისი პროცედურების უზრუნველყოფისა და დაცვის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ (განსაკუთრებით პერსონალის ინდუქციისა და ზედამხედველობის მეშვეობით). გარეთ თამაშისა და სწავლების პრაქტიკის განვითარების მუდმივი ინსპირაციისა და მხარდაჭერისთვის, განსაკუთრებით გირჩევთ მოიძიოთ წიგნი "Learning through Landscapes" („სწავლა პეიზაჟებით") (www.ltl.org.

uk) და ასევე გამოიყენოთ “Muddy Faces”-ის („ტალახიანი სახეები”) ონლაინ რესურსები (www.muddyfaces.co.uk/outdoor-hub).

ბევრი ავტორი გვთავაზობს რჩევებს გარე სივრცეების დიზაინსა და დაგეგმარებასთან დაკავშრებით (იხ. თავი ქვემოთ), თუმცა, მე გირჩევთ, რომ არ გადააჭარბოთ დაგეგმვა, ნუ დანიშნავთ გარე სივრცეებს და ნუ დაყოფთ სივრცეს ძალიან ბევრ საგნობრივ „ზონად“. სტრუქტურისა და მოძრაობის ნაკადის მართვა მნიშვნელოვანია ადრეული ასაკის ბავშვებისთვის და მარტივი ზონირება შეიძლება ძალიან სასარგებლო იყოს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სივრცე მოქნილობასა და დინამიურობას ინარჩუნებდეს და გარეთ თამაშისა და სწავლების ელემენტები არ იყოს გამოყოფილი ან შეზღუდული კონკრეტული ადგილებით. მაგალითად, საკვებად ვარგისი მცენარეები ინტეგრირებულია გარე სივრცეში, რათა ბავშვებს მაქსიმალურად ჰქონდეთ მჭიდრო, არსებითი კონტაქტი ბუნებრივ სამყაროსთან; მოქმედება და მოძრაობა შეიძლება და უნდა ხდებოდეს თითქმის ყველგან. უნიკალური მოწყობა თუ სად და როგორ შესთავაზებთ ძირითად ინგრედიენტებს, დამოკიდებულია თქვენს სივრცესა და პრიორიტეტებზე. ადრეული ასაკის ბავშვებისთვის გარეთ თამაშისა და სწავლების პრაქტიკის მახასიათებლებზე შემდგომი იდეებისთვის იხილეთ ჯენ უაითის და ჰელენ ვულის (Jan White and Helen Woolley) წიგნი “Exploring Outdoor Play in the Early Years” („თამაში გარეთ ადრეულ წლებში”).

ვინაიდან, თქვენ იყენებთ რეალურ, ყოველდღიურ და ბუნებრივ მასალებს, დიდი ყურადღება უნდა მიაქციოთ იმას, წარმოადგენენ თუ არა ისინი საფრთხეს ბავშვებთან გამოყენებისას. ისევე როგორც ადრეული განათლების ყველა ასპექტში, ბავშვების უსაფრთხოება ამ შემთხვევაშიც უმთავრესია. ადრეული განათლების დაწესებულების პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს, რომ ყველა გამოცდილება, შიგნით თუ გარეთ, ამ წიგნიდან თუ სხვა წყაროდან გამომდინარე, იყოს შესაბამისი და არ შეიცავდეს დაზიანების რისკებს. ავტორი და გამომცემლები ყველანაირად ეცადნენ მკითხველის ყურადღება გაამახვილონ დაზიანების შესაძლებლობებზე, გონივრული და ეფექტური სარგებლის, რისკის შეფასებისა და მართვის პროცედურებზე, თუმცა, ამის მიღწევა შეუძლებელია პრაქტიკოსების მიერ უსაფრთხოების პროტოკოლის აქტიური და გულმოდგინე დაცვის გარეშე. ავტორი

და გამომცემლები არ იღებენ პასუხისმგებლობას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გამოიყენება ამ წიგნის იდეები და წინადადებები ადრეული განათლების დაწესებულებებში.

ამ წიგნში ყველაფერი ემყარება იმ იდეებსა და მოსაზრებებს, რომლებიც მოცემულია 2004 წლის Vision and Values Partnership-ის დოკუმენტში "Shared Vision and Values for Outdoor Provision in the Early Years" („საერთო ხედვა და ღირებულებები ადრეულ ასაკში გარეთ თამაშისა და სწავლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით"). ჩემი მიზანია ამ წიგნით დაგეხმაროთ გარეთ თამაშისა და სწავლების უზრუნველყოფაში ადრეული ასაკის ბავშვების განვითარებისთვის. შეგიძლიათ დაიწყოთ მოგზაურობა მკაფიო ხედვით თუ რა გინდათ ბავშვებისთვის. სწორი მიმართულების შეგრძნება, პოზიტიური დამოკიდებულება და მზადყოფნა ნებისმიერი სირთულის დასაძლევად დაგეხმარებთ ამ გზის გავლაში, თუნდაც თავიდან ძალიან მცირე ნაბიჯებით. ძალიან მომწონს ერთი შეგონება, რომელიც აშშ-ში სკოლის გარე სივრცის დეველოპერისგან - შერონ დანქსისგან მოვისმინე: „იფიქრეთ მასშტაბურად; გადადგით მცირე ნაბიჯები; არასოდეს დანებდეთ!". დაწყების შემდეგ, ეს შეიძლება ყველაზე სასიამოვნო მოგზაურობა იყოს და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ყველა ადრეული ასაკის ბავშვისთვის.

მინდა რეიჩელ კარსონის (Rachel Carson) ამ ბრძნული და მეტად შესაფერისი სიტყვებით დაგტოვოთ, რომელიც 1956 წელს დაიწერა და 1998 წელს შესანიშნავ წიგნად "The Sense of Wonder" („საოცრების გრძნობა") გამოიცა:

> *„გაცილებით მნიშვნელოვანია გრძნობდე, ვიდრე იცოდე. თუ ფაქტი მარცვალია, რომელიც მოგვიანებით ცოდნას და სიბრძნეს წარმოშობს, მაშინ ემოციები და შთაბეჭდილებები ნოყიერი ნიადაგია, რომელშიც ეს მარცვალი უნდა გაიზარდოს. ადრეული ბავშვობის წლები ნიადაგის მომზადების დროა... უფრო მნიშვნელოვანია ბავშვს გზა გავუკვალოთ იმისთვის, რომ სურდეს იცოდეს, ვიდრე გამოვკვებოთ ფაქტებით, რომელთა მოსანელებლადაც მზად არ არის".*

გარეთ თამაშისა და სწავლის ძირითადი ღირებულებები ადრეული ასაკის ბავშვებისთვის

1 - *ადრეული ასაკის ბავშვები გარეთ იმდენივე დროს უნდა ატარებდნენ, რამდენსაც შიგნით. მათ სჭირდებათ კარგად დაგეგმილი და კარგად ორგანიზებული შიდა და გარე სივრცების ინტერგრირებული გარემო. სასურველია, რომ ორივე ერთდროულად იყოს ხელმისაწვდომი.*

გარეთ თამაში და სწავლა ბავშვის ყოველდღიურობის მნიშვნელოვანი ნაწილია და არა მეორეხარისხოვანი დანამატი. ადრეული ასაკის ბავშვებს შიდა და გარე სივრცეების თითოეული ნაწილი მნიშვნელოვნად განსხვავებულ, თუმცა ერთმანეთის შემავსებელ გამოცდილებას და შესაძლებლობებს სთავაზობს. შიდა და გარე სივრცეები ერთდროულად უნდა იყოს ხელმისაწვდომი და ერთობლიობაში განცდილი, თითოეულ მათგანს უნდა მიენიჭოს თანაბარი სტატუსი და დაეთმოს თანაბარი ყურადღება ადრეული ასაკის ბავშვების კეთილდღეობის, ჯანმრთელობის, სტიმულირებისა და განვითარების ყველა სფეროში წვლილის შესატანად.

ადრეული ასაკის ბავშვისთვის გარე სივრცე წარმოადგენს აუცილებელ გარემოს, შესაბამისად ის კარგად უნდა იყოს გააზრებული და ორგანიზებული, რათა გაიზარდოს მისი გამოყენება და მისგან მიღებული სარგებელი. გარე სივრცეების დიზაინი და დაგეგმვა უნდა იძლეოდეს ბავშვის ინტერესებითა და საჭიროებებით განპირობებული, ბავშვის განვითარებისთვის სათანადო პრაქტიკის უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

2 - *თამაში ადრეული ასაკის ბავშვებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივობაა გარეთ ყოფნისას.*

თამაში არის საშუალება, რომლის მეშვეობითაც იზრდება ბავშვების სტიმულაცია, კეთილდღეობა და ბედნიერება. თამაში არის საშუალება, რომლითაც ისინი იზრდებიან ფიზიკურად, ინტელექტუალურად, ემოციურად და სოციალურად. თამაში ყველაზე მნიშვნელოვანია, რითაც შეიძლება ბავშვები დაკავდნენ გარეთ და იგი ყველაზე ეფექტური საშუალებაა გარეთ სწავლისთვის. გარე სივრცე ძალიან კარგად შეეფერება უშუალო გამოცდილებაზე დაფუძნებულ ყველა სახის თამაშს.

3 - გარეთ თამაშისა და სწავლების ფუნქციაა შესთავაზოს ადრეული ასაკის ბავშვებს მათთვის მნიშვნელოვანი და მათ მიერ მართვადი გამოცდილებები.

თავისუფლება, რომელსაც გარე სივრცე სთავაზობს ბავშვებს: უფრო დიდ ფართობზე მოძრაობა, აქტიურობა, ხმაური და არეულობა, ასევე მათი ყველა შეგრძნების, მთელი სხეულის გამოყენება, ხელს უწყობს ბავშვებს იმდენად ჩაერთონ პროცესში, რამდენადაც მათ კვლევისთვის, ცხოვრების შეგრძნებისთვის და თავიანთი გრძნობებისა და იდეების გამოსახატავად ესაჭიროებათ. ბევრი ადრეული ასაკის ბავშვი გაცილებით უკეთ სწავლობს გარე სივცეში.

გარე სივრცეში თამაში და სწავლება უნდა დაეყრდნოს ჰოლისტურ მიდგომას, იყოს როგორც აქტიური, ასევე მშვიდი და მაქსიმალურად გამოიყენოს გარე სივრცეების პოტენციალი.

გარე სივრცეში თამაში და სწავლება ისეთნაირად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ბავშვებს სტიმულს აძლევდეს და უვითარებდეს უნარს დაიცვან საკუთარი ინტერესები და საჭიროებები თამაშზე დაფუძნებული აქტივობების მეშვეობით. ეს მათ დამოუკიდებლობას, თვითორგანიზებას, ჩართულობასა და გაძლიერებას უზრუნველყოფს. ზრდასრულთა როლი გადამწყვეტია ამის ეფექტურად მიღწევაში.

4 - ადრეული ასაკის ბავშვებს მათ ირგვლივ სჭირდებათ ისეთი უფროსები, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ თუ რატომ არის აუცილებელი გარეთ თამაში და რომლებიც ემხრობიან და შეუძლიათ გარე სივრცეების პოტენციალი ხელმისაწვდომი გახადონ ბავშვებისთვის.

ადრეული ასაკის ბავშვებს სჭირდებათ პრაქტიკოსები, რომელთათვისაც ღირებულია და სახალისოა გარეთ ყოფნა, რომლებიც ხედავენ თუ რა პოტენციალი და შედეგები აქვს მას ადრეული ასაკის ბავშვების კეთილდღეობისა და განვითარებისთვის და უნდათ ბავშვებთან ერთად გარეთ ყოფნა. მნიშვნელოვანია პრაქტიკოსებს ჰქონდეთ შესაბამისი დამოკიდებულება, ცოდნა, გულმოდგინება და პოზიტიური აზროვნება, ისევე როგორც უნარი საუკეთესოდ გამოიყენონ გარე სივრცეების შესაძლებლობები და ეფექტურად შეუწყონ ხელი ბავშვის მიერ მართულ სწავლას; უფროსების როლს გარეთ და შიგნით თანაბარი ყურადღება უნდა

მივაქციოთ. მნიშნელოვანია, რომ პრაქტიკოსებმა ამოიცნონ, აღ-ბეჭდონ და გაუზიარონ ბავშვების მიერ გარეთ სწავლით მიღ-წეული წარმატებები მშობლებსა და ბავშვებთან მომუშავე სხვა პირებს, რათა ისინიც აღივსონ ენთუზიაზმით. გარე სივრცეების გამოყენებისას საჭიროა კულტურული განსხვავებების ცოდნა და სიფრთხილე, ბავშვების საუკეთესო ინტერესების დაცვისთვის.

5 - გარე სივრცეების მოწყობა და კურიკულუმი უნდა ითვალისწინებდეს გარე სამყაროს განსაკუთრებულ ბუნებას, რათა ბავშვებს შესთავაზონ ის, რაც შეუძლებელია დახურულ სივრცეში. ამაზე უნდა იყოს ფოკუსირებული გარე უზრუნველყოფა, როგორც შიდა უზრუნველყოფის შემავსებელი და გამაფართოვებელი.

გარე სივრცე ბავშვებს იმ გამოცდილებას სთავაზობს, რო-მელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათი კეთილდღეობის, ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის ყველა სფეროში. ბავ-შვები, რომლებიც ამ გამოცდილებას ტოვებენ, მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან განვითარებაში. გარეთ ბავშვებს აქვთ თავისუფლე-ბა შეისწავლონ „ყოფნის", გრძნობის, ქცევისა და ურთიერთობის სხვადასხვა ფორმა; მათ აქვთ სივრცე და უფლება იყვნენ აქტი-ურები, ინტერაქციულები, არეულები, ხმაურიანები და ჩაატარონ „დიდი" სამუშაოები; ისინი ნაკლებ კონტროლს გრძნობენ უფრო-სების მხრიდან.

ამინდთან, წელიწადის დროებთან და ბუნებრივ სამყა-როსთან რეალური კონტაქტი, პერსპექტივებისა და შეგრძნებების მრავალგანზომილებიანი და მრავალსენსორული სპექტრი და ყო-ველდღიური ცვალებადობა, გაურკვევლობა, გაოცება და მღელ-ვარება, ახალისებს ადრეული ასაკის ბავშვებში გარეთ ყოფნის სურვილს. შიდა სივრცე ასეთი ვერ იქნება, ბავშვი ვერ იქნება ასეთი შიდა სივრცეში. გარე სივრცე სასიცოცხლო, განსაკუთრებული ადგილია ბავშვების ღრმა ჩართულობისთვის.

6 - გარე სივრცე უნდა იყოს დინამიური, მოქნილი და ცვა-ლებადი ადგილი, სადაც ბავშვებს შეუძლიათ არჩევა, შექმნა, შეცვლა და პასუხისმგებლობის აღება თავიანთ სათამაშო გა-რემოზე.

გარე სივრცეები დაუსრულებლად მრავალმხრივ, ცვალებად და მგრძნობიარე გარემოს უნდა სთავაზობდეს ადრეული ასაკის

ბავშვებს ნებისმიერი თამაშისთვის, სადაც მათ მანიპულირება, კეთება, კონტროლი და გაუმჯობესება შეუძლიათ. ეს ადრეული ასაკის ბავშვებს თავისუფლების განცდას უჩენს, რაც შიდა სივრცეში ნაკლებად შესაძლებელია. გარე სივრცეები ხელს უნდა უწყობდეს შემოქმედებითობის განვითარებასა და სწავლისადმი ინტერესს. თავად სივრცე, ისევე როგორც რესურსები, განლაგება, დაგეგმვა და რუტინა უნდა იყოს მრავალმხრივი, ღია და მოქნილი, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს სარგებელი ბავშვებისთვის.

7 - ადრეული ასაკის ბავშვებს უნდა ჰქონდეთ მდიდარი გარე სივრცე, რომელიც სავსეა ამოუწურავი სტიმულით, სათამაშო კონტექსტით, კვლევისა და საუბრის შესაძლებლობით, უამრავი რეალური გამოცდილებით, ბუნებრივ სამყაროსთან და საზოგადოებასთან კონტაქტით.

გარე სივრცეებში ადრეული ასაკის ბავშვებს შეუძლიათ განივითარონ სოციალური უნარები, იზრუნონ ცოცხალ არსებებზე და თავიანთ გარემოზე, იყვნენ ცნობისმოყვარეები და მოიხიბლონ, განიცადონ შიში, გაოცება და სიხარული, „დაიკარგონ გამოცდილებაში". შეუძლიათ დაიკმაყოფილონ კვლევის ღრმა სურვილი, გამოსცადონ, გაიგონ და გააცნობიერონ საზოგადოება და გარემო ირგვლივ. ამით განივითარებენ ფიზიკურ, ბუნებრივ და ადამიანურ სამყაროსთან კავშირის შეგრძნებას.

გარე სივრცეების განსაკუთრებული სიძლიერე იმაშია, რომ ის ბავშვებს უამრავ შესაძლებლობას სთავაზობს განიცადონ რეალური სამყარო, მიიღონ უშუალო გამოცდილება, ამოხსნან რეალური ამოცანები და გააკეთონ ის, რასაც უფროსები აკეთებენ, მათ შორის, ჩაერთონ გარე სივრცის მოვლაში. გარე სივრცეების მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ეს ასპექტი.

ესთეტიკური ცნობიერება და ემოციური კავშირი არაკონსტრუირებულ, არაკონტროლირებად, მრავალსენსორულ და მრავალგანზომილებიან ბუნებრივ სამყაროსთან ადამიანის კეთილდღეობისთვის გადამწყვეტი კომპონენტია, რომელიც სულ უფრო და უფრო უჩინარდება ადრეული ასაკის ბავშვების ცხოვრებიდან. კულტურული მრავალფეროვნება ჩვენი ყოველდღიური სამყაროს ნაწილია, ის შეიძლება და უნდა გამოიკვლიონ ბავშვებმა გარეთ. ბავშვებისთვის იმის გაცნობიერების ხელშეწყობა, რომ ისინი გაცილებით უფრო დიდ რამეს მიეკუთვნებიან ვიდრე ოჯახს

ან დაწესებულებას, საფუძველს უყრის მათ საზოგადოებაში ცხოვრებას.

8 - ადრეული ასაკის ბავშვები დიდ დროს უნდა ატარებდნენ გარეთ. მათ უნდა იცოდნენ, რომ შეუძლიათ გარეთ ყოფნა ყოველდღე, როცა მოისურვებენ და დროთა განმავლობაში შეუძლიათ განავითარონ თამაშის იდეები.

ხარისხიანი თამაში ღია ცის ქვეშ, რომელშიც ბავშვები ღრმად ერთვებიან მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც იციან, რომ არსად ეჩქარებათ. მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მოირგონ სივრცეები, რესურსები და დრო, რათა განავითარონ თამაშები, ან შექმნან სათამაშო სივრცეები და ითამაშონ მასში, ან ჩაერთონ მასშტაბური პრობლემების გადაჭრაში. მათ უნდა შეძლონ პროექტებთან დაბრუნება ისევ და ისევ, ამ პროექტების „დასრულებამდე".

აუჩქარებლად სწავლა კარგია, ის ათვისების დროს გვაძლევს. როდესაც ბავშვებს გადაადგილება შეუძლიათ შიდა და გარე სივრცეებში, მათი თამაში ან ძიებები კიდევ უფრო ვითარდება. ბავშვებს ასევე სჭირდებათ დრო (და სივრცე) რომ იოცნებონ, თვალყური ადევნონ ან უბრალოდ დაისვენონ გარეთ.

9 - ადრეული ასაკის ბავშვებს სჭირდებათ გამოწვევა და რისკი დაცულობისა და უსაფრთხოების ფარგლებში. გარე სივრცეები ბავშვებს გამოწვევებს სთავაზობს და ეხმარება მათ ისწავლონ უსაფრთხოება და სხვების გათვალისწინება.

ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია ისწავლონ ფიზიკური და ემოციური რისკებისადმი მიდგომები და მართვა. სხვა შემთხვევაში ისინი მოერიდებიან რისკებს ან პირიქით, ზედმეტ რისკებს გასწევენ და ვერ გაუმკვლავდებიან შედეგებს. ბავშვებმა უნდა შეძლონ საკუთარი გამოწვევების დასახვა და გადაჭრა, გააცნობიერონ საკუთარი შეზღუდვები და გააფართოვონ შესაძლებლობები (შესაბამისი ტემპით), მოემზადონ შეცდომების დაშვებისათვის და „ისიამოვნონ" თავიანთი უნარებითა და კომპეტენტურობით. ამისთვის გამოწვევები და მასთან დაკავშირებული რისკები არსებითი მნიშვნელობისაა. ადრეული ასაკის ბავშვებს ასევე სჭირდებათ რისკების ამოცნობისა და მართვის ცხოვრებისეული უნარი, რათა იმოქმედონ საკუთარი და სხვისი უსაფრთხოების დაცვით.

ადრეული ასაკის ბავშვების უსაფრთხოება ღია სივრცეებში უმთავრესია, „რისკის შეფასების" კულტურა კი, რომლითაც „გაჟღენთილია" გარეთ თამაშისა და სწავლების თითოეული ასპექტი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყველა ადრეული განათლების დაწესებულებისთვის. ადრეული ასაკის ბავშვებმა თავი უსაფრთხოდ, მზრუნველ გარემოში და ღირებულად უნდა იგრძნონ. ეს მოიცავს მკაფიო ქცევით საზღვრებს (წესების შეთანხმება თავისუფლების უზრუნველსაყოფად), განმავითარებელ სივრცეებსა და ღია ცისქვეშ გატარებულ დროს, ასევე თითოეული ბავშვისთვის თამაშისა და სწავლის ინდივიდუალური საჭიროებების პატივისცემას.

10 - გარეთ თამაში და სწავლება უნდა ემყარებოდეს ინკლუზიის და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების პრინციპებს და ქმნიდეს თამაშზე დაფუძნებულ მრავალფეროვან გამოცდილებებს. ადრეული ასაკის ბავშვებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ იმ გადაწყვეტილებებში და მოქმედებებში, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ თამაშზე გარეთ.

გარე სივრცეები პასუხობს ძალიან აქტიური მოსწავლეების საჭიროებებს - მათ, ვისაც სენსორული ან ენობრივი სტიმულაცია სჭირდება და იმათაც, ვისაც დიდი სივრცე სჭირდება სხვებისგან მოშორებისთვის - და თამაშისა და სწავლების პრაქტიკას უფრო ინკლუზიურს ხდის და სწავლებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. სწავლის ინდივიდუალური სტილის გათვალისწინება ზრდის ბავშვებში თვითშეფასებას. ბიჭები, რომლებიც როგორც წესი, უფრო აქტიური მეთოდებით სწავლობენ გოგონებთან შედარებით, გარკვეულ ასაკამდე განსაკუთრებით, არამომგებიან მდგომარეობაში არიან შეზღუდული გარე სივრცეების პირობებში.

ყველა ბავშვს სჭირდება გარე სივრცეებთან სრული ხელმისაწვდომობა და მნიშვნელოვანია თითოეული ბავშვის, როგორც ინდივიდის საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინება და დაკმაყოფილება. ადრეული ასაკის ბავშვები განსხვავებულად რეაგირებენ ბუნებრივ ან შექმნილ სივრცეებსა და გამოცდილებებზე. ზრდასრულებისთვის მნიშვნელოვანია ამის კარგად გაცნობიერება და მოქნილობა. დაკვირვება და შეფასება (განმავითარებელი და შემაჯამებელი) და ჩარევა

კონკრეტული დახმარების გასაწევად უნდა განხორციელდეს გარეთ. მნიშვნელოვანია ყველა ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ყველა ბავშვისთვის შესაფერისი გამოწვევების უზრუნველყოფაც.

ადრეული ასაკის ბავშვებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ გარე სივრცეებთან დაკავშირებულ დიდ თუ მცირე გადაწყვეტილებებში და ქმედებებში. მათი შეხედულებები კრიტიკულად მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია; მათ შეუძლიათ გარე სივრცის მოწყობაში, დასუფთავებასა და მასზე ზრუნვაში მონაწილეობის მიღება.

წყარო: *The Shared Vision and Values for Outdoor Provision in the Early Years* (საერთო ხედვა და ღირებულებები ადრეულ ასაკში გარეთ თამაშისა და სწავლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით) (Vision and Values Partnership 2004) is available as a copyright-free PDF download from http://outdoormatters.co.uk/wp-content/uploads/2011/03/eyfs_res_vision_outdoor_play1.pdf

გარეთ ყოფნის, თამაშისა და სწავლის დამატებითი რესურსები და დამხმარე ნაწილი

გარეთ თამაშისა და სწავლის ხედვა და დასაბუთება

ტრიშა მაინარდი და ჯეინ უოთერსი (Trisha Maynard & Jane Waters) (რედაქტორები) წიგნი "Exploring Outdoor Play in the Early Years" (Open University Press 2014) - დიდ ბრიტანეთში გარეთ თამაშისა და სწავლის ირგვლივ მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების უფრო აკადემიური და კრიტიკული ანალიზი.

ჰელენ ბილტონი (Helen Bilton) "Outdoor Learning in the Early Years: Management and Innovation" (3rd edition Routledge 2019) - გარეთ თამაშის, სწავლისა და უზრუნველყოფის შესახებ მოსაზრებების ძირითადი რესურსი.

როსალინ ჯოისი (Rosaleen Joyce) "Outdoor Learning: Past and Present" (Open University Press 2012) - ღირებული ინფორმაცია გარეთ თამაშის შესახებ არსებულ ცოდნაში პიონერთა და ინოვატორთა წვლილის შესახებ;

ამანდა ფურტადო (Amanda Furtado) მიერ განახლებული მარჯორი უვრის (Marjorie Ouvry) "Outdoor Play and the Early Years Curriculum: Exercising Muscles and Minds" (2nd edition Jessica Kingsley Publishers 2019) – მნიშვნელოვანი ტექსტი უშუალოდ პრაქტიკოსებისათვის;

ჯენ უაითი (Jan White, რედაქტორი) "Outdoor Provision in the Early Years" (Sage Publications 2011) – იკვლევს იმ ღირებულებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მაღალეფექტურ პრაქტიკას გარეთ (საერთო ხედვასა და ღირებულებებს, რომლებიც წარმოდგენილია ამ წიგნში).

როს გარრიკი (Ros Garrick) "Playing Outdoors in the Early Years" (2nd edition Continuum 2009) – დაწერილია ადრეული ასაკის განათლების სტუდენტებისთვის. წიგნის ძლიერი მხარე ისაა, თუ როგორ სვამს იგი რეალურ პრობლემებს და არსებული სააზროვნო ჩარჩოს გამოყენებით როგორ აგვარებს მათ.

ჰელენ ტოვი (Helen Tovey) "Playing Outdoors: Spaces and Places, Risk and Challenge" (Open University Press 2007) – ხშირად ციტირებული ტექსტი, შესანიშნავია როგორც ღია ცის ქვეშ გარემოს კვლევისა და ფიქრისთვის, ასევე რისკებზე/გამოწვევებზე სადებატოდ.

ქლერ უარდენი (Claire Warden) "Potential of a Puddle: Creating Vision and Values for Outdoor Learning" (2nd edition Mindstretchers 2012) – იკვლევს გარეთ თამაშისა და სწავლების ხარისხის ირგვლივ არსებულ საკითხებს, რათა დაეხმაროს დაწესებულებებს შექმნან საერთო ხედვისა და ღირებულებების შესაბამისი პროგრამა და პრაქტიკა (რაც ასახულია ამ წიგნში).

სარა ნაითი (Sara Knight) "Risk and Adventure in Early Years Outdoor Play: Learning from Forest Schools" (Sage Publications 2011) – გამოწვევების აუცილებლობის სიღრმისეული შესწავლა და როგორ ვუზრუნველვყოთ ისინი სათანადო გზით სასწავლო პრაქტიკაში.

კეთრინ სოლი (Kathryn Solly) "Risk, Challenge and Adventure in the Early Years: A Practical Guide to Exploring and Extending Learning Outdoors" (David

Fulton 2015) – „ჩელსის ღია ცის ქვეშ საბავშვო ბაღის“ დირექტორის გამოცდილებაზე დაყრდნობით, იკვლევს იმას თუ რატომ და როგორ უნდა მივცეთ ბავშვებს გამოწვევების თავისუფლება და ჩამოვაყალიბოთ ისინი თავგადასავლების მოყვარულ მასწავლებლებად.

ელისონ კლარკი და პიტერ მოსი (Alison Clark & Peter Moss) “Spaces to Play: More Listening to Young Children Using the Mosaic Approach” (National Children’s Bureau 2005) – იკვლევს თუ როგორ შეიძლება ადრეული ასაკის ბავშვებისგან ვისწავლოთ გარე სივრცეების გაუმჯობესებისა და განვითარების გზები.

პეთ ბროდჰედი და ენდი ბარტი (Pat Broadhead & Andy Burt) “Understanding Young Children’s Learning Through Play: Building Playful Pedagogies” (Routledge 2012) – აკადემიკოსისა და მასწავლებლის მიერ განხორციელებულ კვლევაზე დაფუძნებული ვრცელი ნაშრომი ადრეული ასაკის დაწესებულებებში (3-5 წელი) „სწავლა თამაშით“ შესახებ, სადაც გარე სივრცეში აქცენტირებულია შეუზღუდავი დანიშნულების თავისუფალი ზონები.

სალი შვაიცერი (Sally Schweitzer) “Under the Sky: Playing, Working and Enjoying Adventures in the Open Air” (Sophia Books 2009) – გარეთ ყოფნასთან დაკავშირებით შტაინერის ფილოსოფიისა და მიდგომის ვრცელი აღწერა.

ჯენ უაითი და ლიზ ედუარდსი (Jan White & Liz Edwards) “Valuing the Outdoors” (Muddy Faces 2018) – თავისუფლად ხელმისაწვდომი ბუკლეტი, რომელიც ასახავს საერთო ხედვასა და ღირებულებებს გარე თამაშის უზრუნველყოფისთვის ადრეულ ასაკში ფერადი ფოტოებით ხელმისაწვდომია www.muddyfaces.co.uk.

ევა მ. სელჰაბი და ალან სი. ლოგანი (Eva M. Selhub & Alan C. Logan) “Your Brain on Nature: The Science of Nature’s Influence on Your Health, Happiness and Vitality” (John Wiley & Sons 2012) – ვრცელი და ღირებული კვლევა, რომელიც ჯანმრთელობასა და სწავლას ბუნებაში ყოფნასთან აკავშირებს.

გარეთ თამაშისა და სწავლების პრაქტიკის განვითარება

ჯულიეტ რობერტსონი (Juliet Robertson) “Dirty Teaching: A Beginner’s Guide to Learning Outdoors” (Independent Thinking 2014) – გამიზნულია დაწყებითი სკოლების მასწავლებლებისა და მშობლებისათვის: „ბედნიერი და კრეატიული კლასის ერთ-ერთი „გასაღები” მის კედლების გარეთაა”.

ტერი გოულდი (Terry Gould) “Effective Practice in Outdoor Learning” (Featherstone Education 2012) – მოიცავს გარე უზრუნველყოფის განვითარების რამდენიმე ასპექტის ხელმისაწვდომ და სასარგებლო წყაროს, ფერადი სურათებით, მათ შორის ადრეული ასაკის ფუნდამენტური სტადიის (EYFS) კეთილდღეობის მოთხოვნებისა და მშობლების ჩართულობის შესახებ.

ჰელენ ბილტონი და ენნ კრუკი (Helen Bilton & Anne Crook) “Exploring Outdoors Ages 3-11: A Guide for Schools” (David Fulton 2016) – მიჰყვება ოქსფორდშირი (ინგლისი) დაწყებით სკოლას მთელი აკადემიური წლის

განმავლობაში, გამოწვევების, აღმოჩენებისა და ბავშვების სიხარულის და გარე სივრცის უფროსებთან ერთად შესწავლის დაფიქსირებით, აღწერს თუ როგორც განავითარეს და უვლიან ტერიტორიას.

ჯენ უაითი (Jan White) "Every Child a Mover: A Practical Guide to Providing Young Children with the Physical Opportunities They Need" (Early Education 2015) – სავსეა ფერადი სურათებით, აქცენტირდება გარე სივრცეში მთელი სხეულით მოძრაობის შესაძლებლობისა და თავისუფლების უზრუნველყოფის საკითხებზე (Nursery World ჯილდოს გამარჯვებული 2016 წელს).

თერესა ქეისი (Theresa Casey) "Inclusive Play: Practical Strategies for Children Aged Birth to 8" (2nd edition Sage Publishing 2010) – საფუძვლიანი და სიღრმისეული მიმოხილვა, თუ როგორი უნდა იყოს რეალურად ინკლუზიური სათამაშო გარემო. ავტორი „თამაშის საერთაშორისო ასოციაციის" ყოფილი პრეზიდენტია).

ჰელენ ბილტონი (Helen Bilton) (რედაქტორი) "Learning Outdoors: Improving the Quality of Young Children's Play Outdoors" (David Fulton 2005) – დოკუმენტურად ასახავს ბრენტის გარეთ თამაშების პროექტის (ლონდონი, ინგლისი) განხორციელების ეტაპებს ფერადი ფოტოებით.

"Learning Through Landscapes/Grounds for Learning", დიდი ბრიტანეთის ეროვნული სკოლის საქველმოქმედო ორგანიზაცია, ვებ გვერდის საშუალებით უზრუნველყოფს გარეთ თამაშებისა და სწავლის ყველა ასპექტის მხარდაჭერას. მხარდამჭერთა წევრობა უფასოა; სრული საწევროს ღირებულება დაბალია; იხ. www.ltl.org.uk.

ლინდა ტორნტონი და პეთ ბრანტონი (Linda Thornton & Pat Brunton) "Making the Most of Outdoor Learning" (Featherstone Education 2013) – გარეთ თამაშისა და სწავლების ხელმისაწვდომი და ვიზუალური მაგალითები, როგორც ბაღში, ასევე მის მიღმა.

ჯულიეთ რობერტსონი (Juliet Robertson) "Messy Maths: A Playful, Outdoor Approach for Early Years" (Independent Thinking Press 2017) – გარე სივრცეების არაჩვეულებრივი პოტენციალის გამოყენება მათემატიკური აზროვნების განვითარებისთვის. გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ გარე სივრცე ეფექტურად და ვაქციოთ ის მნიშვნელოვან სასწავლო გარემოდ (მრავალი ჯილდოს მფლობელი).

ჰელლე ჰეკმანი (Helle Heckman) "Nokken: A Garden for Children" (2nd edition Waldorf Early Childhood Association North America 2016) – დანიური მიდგომა შტაინერ უალდორფზე დაფუძნებული განათლებისა და ზრუნვისადმი.

ჰელენ ლითლი, სიუ ელიოტი და შირლი ვაივერი (რედაქტორები) (Helen Little, Sue Elliott & Shirley Wyver) "Outdoor Learning Environments: Spaces for Exploration, Discovery and Risk-Taking in the Early Years" (Allen & Unwin 2017) – დაწერილია ავსტრალიელ და ახალ ზელანდიელ პროფესიონალთა და მკვლევართა მიერ, ფარავს პრობლემების მთელ რიგს (ავსტრალიაზე ფოკუსირება).

ენნ უოტსი (Ann Watts) “Outdoor Learning Through the Seasons: An Essential Guide for the Early Years” (David Fulton 2013) – იკვლევს, თუ როგორ გამოვიყენოთ წელიწადის დროების, ჰაერის, მიწის, წყლისა და ცეცხლის ელემენტები ეფექტურად ადრეული ასაკის ბავშვის განვითარებისთვის.

როს ბეილი, ლინ ბროდბენტი და სალი ფეზერსტოუნი (Ros Bayley, Lynn Broadbent & Sally Featherstone “Outdoor Play: Carrying on in Key Stage 1” (Featherstone Education 2011) – სასარგებლოა ხუთიდან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვების მასწავლებლებისათვის, იმის სანახავად თუ რამდენად მნიშვნელოვანია გარეთ თამაშები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მისაღწევად.

ჰელენ ბილტონი (Helen Bilton) “Playing Outside: Activities, Ideas and Inspiration for the Early Years” (2nd edition David Fulton 2004) – წიგნი სავსეა ფერადი სურათებით და ფოკუსირდება უფროსების როლზე გარეთ თამაშების დაწყებამდე, მიმდინარეობისას და შემდეგ.

სიუზან როუვი და სიუზან ჰამფრი (Susan Rowe & Susan Humphries) “The Coombes Approach: Learning Through an Experiential and Outdoor Curriculum Susan Rowe & Susan Humphries” (Continuum International Publishing Groups 2012) – აღწერს ფილოსოფიას, ლანდშაფტს, სასწავლო გეგმას და პრაქტიკას, რომელიც 40 წლის განმავლობაში ვითარდებოდა საერთაშორისოდ აღიარებულ ბაგა-ბაღში და ჩვილ ბავშვთა სკოლაში ბერკშირში, ინგლისი.

ანნა ეფგრეივი (Anna Ephgrave) “The Nursery Year in Action: Following Children’s Interests Through the Year” (David Fulton 2015) – გვიჩვენებს, თუ რამდენად ეფექტურად შეიძლება ფუნქციონირებდეს ინტეგრირებული დახურული და ღია სივრცეები სამი და ოთხი წლის ბავშვებისთვის სკოლაში და სხვა დაწესებულებებში.

ანნა ეფგრეივი (Anna Ephgrave) “The Reception Year in Action: A Month-by-Month Guide to Success in the Classroom” (2nd edition Routledge 2012) – გვიჩვენებს, თუ რამდენად ეფექტურად შეიძლება ფუნქციონირებდეს ინტეგრირებული დახურული და ღია სივრცეები ოთხი-ხუთი წლის ბავშვებისთვის სკოლაში, აკადემიური წყლის დასაწყისიდან.

ჯენი ლინდონი (Jennie Lindon) “Too Safe for Their Own Good? Helping Children Learn about Risk and Life-Skills” (2nd edition, National Children’s Bureau 2011) – მნიშვნელოვანი და ხელმისაწვდომი ტექსტი - მოსაზრებები ადრეული ასაკის ბავშვბთან პრაქტიკაში რისკებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით

ანნა ეფგრეივი (Anna Ephgrave) “Year One in Action: A Month-by-Month Guide to Taking Early Years Pedagogy into Key Stage One” (David Fulton 2017) – გვიჩვენებს, თუ რამდენად ეფექტურად შეიძლება ფუნქციონირებდეს ინტეგრირებული დახურული და ღია სივრცეები ხუთი - შვიდი წლის ბავშვებისთვის სკოლაში, აკადემიური წყლის განმავლობაში.

უზრუნველყოფისა და პრაქტიკის განვითარება ბუნებასა და მდგრად განვითარებაზე აქცენტირებით

ნიკი ბიუქენი (Niki Buchan) "A Practical Guide to Nature-Based Practice" (Featherstone 2016) – ხელმისაწვდომი და ილუსტრირებული წიგნი მრავალი ადგილიდან და ქვეყნიდან ფოტოგრაფიული მაგალითებით, ბუნებრივ პირობებში ყველა სახის პრაქტიკის გამოსაკვლევად (Nursery World ჯილდოს გამარჯვებული 2018).

ენნი დეივი (Annie Davy) "A Sense of Place: Mindful Practice Outdoors" (Featherstone 2019) – გარეთ სწავლაზე და სამყაროსთან კავშირზე ფოკუსირდება, წარმოგიდგენთ სტრატეგიებს ბავშვების კეთილდღეობისა და სასწავლო მოგზაურობის, გამძლეობისა და გამჭრიახობის, სამყაროში გადარჩენისა და განვითარების შესახებ.

სანდრა შმიდტი (Sandra Smidt) "Early Childhood Education and Care for a Shared Sustainable World: People, Planet and Profits" (Routledge 2019) – იკვლევს ადრეული განათლების წვლილს საერთაშორისო მაგალითებით და ხაზს უსვამს ზრუნვაზე დაფუძნებული პედაგოგიკის მნიშვნელობას ბავშვების, როგორც აქტიური მოქალაქეების ჩამოყალიბებისთვის.

ვალერი ჰაგინსი და დევიდ ევანსი (Valerie Huggins & David Evans) "Early Childhood Education and Care for Sustainability: International Perspectives" (TACTYC 2018) – განიხილავს პრაქტიკოსების პროფესიულ პასუხისმგებლობას ყოველდღიურ პრაქტიკაში მდგრადობის დასანერგად, ადრეული ასაკის ბავშვებში პრობლემების გადაჭრისა და სასურველი ცვლილებების გატარების უნარების განვითარების გზით.

ენი ვუდსი (Annie Woods) "Elemental Play and Outdoor Learning: Young Children's Playful Connections with People, Places and Things" (David Fulton 2017) – სიღრმისეული და კარგი კვლევა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ბავშვები, იკვლევენ, ეცნობიან და აყალიბებენ ურთიერთობებს ადამიანურ და ეკოლოგიურ სამყაროსთან.

ენნ უოთსი (Ann Watts) "Every Nursery Needs a Garden: A Step-by-Step Guide to Creating and Using a Garden with Young Children" (David Fulton 2011) – როგორ მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი მებაღეობისგან, მცენარეებისა და ცოცხალი ბუნებისგან მთელი წლის განმავლობაში.

ჯული ჯონსონი და ენ უაიტი (Julie Johnson & Ann Watts) "Developing Creativity and Curiosity Outdoors: How to Extend Creative Learning in the Early Years" (David Fulton 2019) – დიდი ბრიტანეთის ტყის სკოლის კონტექსტში გამოცდილებაზე აქცენტით, ეს წიგნი დაეხმარება ამ სახის დაწესებულებებს ადრეული ასაკის ცენტრებში ყოველდღიურ პრაქტიკაში.

სარა ოლმსტედი (Sarah Olmsted) "Imagine Childhood: Exploring the World Through Nature, Imagination and Play" (Roost Books 2012) – წარმოდგენილია კარგად გააზრებული პროექტების ნაკრები, რომელთა „მიზანია ბავშვების სამყაროში ჩართულობის ილუსტრირება" და განხილულია საფეხურები ბავშვებში ცნობისმოყვარეობის, თავგადასავლების ან

კვლევის წასახალისებლად. კარგია როგორც მშობლებისთვის, ასევე პრაქ-ტიკოსებისთვის.

რუთ უილსონი (Ruth Wilson) "Learning Is in Bloom: Cultivating Outdoor Explorations" (Gryphon House 2016) –ფოკუსირებულია იმაზე, თუ როგორ და რატომ არის დაკავშირებული ბუნება და ადრეული ბავშვობის გარემოსდაცვითი განათლება. ეს წიგნი ვრცლად იკვლევს "როგორ"-ს.

რობინ დაკეტი და მერი ჯეინ დრამონდი (Robin Duckett & Mary Jane Drummond) (რედაქტორები) "Learning to Learn in Nature" (Sightlines Initiative 2014) – ზღაპრული ოთხწლიანი პროექტის შედეგი. წიგნი მოგვითხრობს ისტორიებს მთელი წლის განმავლობაში ტყეში ყოველკვირეული ვიზი-ტებიდან შემოქმედებითი პრაქტიკოსების მხარდაჭერით მიღებულ შთაბეჭდილებებზე. აღწერილია, თუ როგორ გაგრძელდა ეს პრაქტიკა ადრეული განათლების დაწესებულებებში.

მარინა რობის, ვიქტორია მიუს და ანა რიჩარდსონი (Marina Robb, Victoria Mew & Anna Richardson) "Learning with Nature: A How-to Guide to Inspiring Children Through Outdoor Games and Activities Marina Robb, Victoria Mew & Anna Richardson" (Green Books 2015) – გარეთ და ბუნებაში დაფუძნებული აქტივობების წიგნი, მართლაც კარგი კვლევაა წარმოდგენილი: ეს ბევრად მეტია, ვიდრე იდეების მარტივი ჩამონათვალი. კარგია როგორც მშობლებისთვის, ასევე პრაქტიკოსებისთვის.

კლერ უარდენის (Clare Warden) "Learning with Nature: Embedding Outdoor Practice" (Sage Publications 2015) – იკვლევს მთელი მსოფლიოს მასშტაბით 2-დან 11 წლამდე ბავშვებთან ბუნებაში მუშაობის რეალურ პედაგოგიურ პროცესებს, როგორც „ბუნების პედაგოგიკას".

რუთ უილსონი (Ruth Wilson) "Nature and Young Children: Encouraging Creative Play and Learning in Natural Environments" (3rd edition David Fulton 2018) – ფოკუსირებულია ბავშვის განვითარების მხარდაჭრასა და ბუნებასთან კავშირზე ადრეული განათლების დაწესებულებების გარე სივრცეებში.

ჯული ფაუერსი და შილა უილიამს რიჯი (Julie Powers & Sheila Williams Ridge) "Nature-Based Learning for Young Children: Anytime, Anywhere, on Any Budget" (Redleaf Press 2018) – მიზნად ისახავს გაზარდოს ბუნებაზე დაფუძნებული განათლების პრაქტიკები ადრეული განათლების ნების-მიერ პროგრამაში, კლიმატის, რეგიონის, ბიუჯეტის ან გამოცდილების მიუხედავად (ფოკუსირებულია ჩრდილოეთ ამერიკაზე).

კლერ უარდენი (Claire Warden) "Nurture Through Nature: Working with Children Under Three in Outdoor Environments" (2nd edition Mindstretchers 2012) – ილუსტრირებულია ჩვილების, ორ წლამდე ასაკისა და ორი წლის ასაკის ბავშვების ფერადი სურათებით; წიგნი ხაზს უსვამს ღია ცისქვეშ უზრუნ-ველყოფის საჭიროებას ყველა ბავშვისთვის, განურჩევლად მათი ასაკისა.

რეიჩელ ლერიმორი (Rachel Larimore) "Preschool Beyond Walls: Blending Early Childhood Education and Nature-Based Learning" (Gryphon House 2019) – პრაქტიკული სტრატეგიები განმანათლებლებისთვის, გარე სივრცეებში მდიდარი, კვლევაზე დაფუძნებული და ინტერდისციპლინარული სასწავლო პირობების შექმნისთვის (ფოკუსირებულია ჩრდილოეთ ამერიკაზე).

რასტი კილერი (Rusty Keeler) “Seasons of Play: Natural Environments of Wonder” (Gryphon House 2016) – ადრეული ასაკის ბავშვების ღია ცის ქვეშ თამაშის შთამაგონებელი და ენერგიული ფოტოგრაფიული (ძალიან შეზღუდული ტექსტით) ქეის-სთადი ჩრდილოეთ ამერიკის ბავშვთა განვითარების სამ ცენტრში, წელიწადის ოთხივე დროის განმავლობაში (ფოკუსირებულია ჩრდილოეთ ამერიკაზე)

რეიჩელ კარლსონი (Rachel Carson) “The Sense of Wonder”, ნიკ კელშის (Nick Kelsh) ფოტოებით (HarperCollins Publishers 1998) – ყველაზე ლამაზი და მნიშვნელოვანი წიგნი ბავშვისა და უფროსის ურთიერთობის შესახებ ბუნების ერთად გაზიარებისას. ყველას უნდა ჰქონდეს ამ წიგნის პირადი ასლი!

დაიან ბოიდის, ნიკი ჰიორსტი და ჯონ სირაჯ-ბლეჩფორდი (Diane Boyd, Nicky Hirst & John Siraj-Blatchford) (რედაქტორები) “Understanding Sustainability in Early Childhood Education: Case Studies and Approaches from Across the UK” (David Fulton 2018) – ასახავს დიდი ბრიტანეთის ოთხივე ნაწილში საერთო სურათს: შედარებითი პოლიტიკა, ინტერპრეტაციები და პრაქტიკა.

რიჩარდ ლუვის (Richard Louv) “Vitamin N: The Essential Guide to a Nature Rich Life” (Atlantic Books 2017) – პოზიტიური გაგრძელება იმ წიგნისა, რომლითაც ინიცირებული იყო აშშ-ში და სხვაგან „ბუნების აშლილობების“ მოსაგვარებლად და ბავშვების ბუნებასთან კავშირის გასაძლიერებლად (ფოკუსირებულია ჩრდილოეთ ამერიკაზე).

ჯული მ. დეივისი (Julie M. Davis) (რედაქტორი) “Young Children and the Environment: Early Education for Sustainability” (2nd edition Cambridge University Press 2015) – სიღრმისეული ანალიზი იმისა, თუ რას ნიშნავს განათლება მდგრადი განვითრებისთის ადრეული ასაკის ბავშვებისა და ადრეული ასაკის პედაგოგიკისათვის.

გარე სივცეების მოწყობა და განვითარება

მოლი დანენმაიერი (Molly Dannenmaier) “A Child’s Garden: 60 Ideas to Make Any Garden Come Alive for Children” (Timber Press 1998) – ფოტოებით კარგად ილუსტრირებული შესანიშნავი წიგნი საბავშვო თამაშების სიღრმისეული გაგებით; სახლის გარე სივრცეების ადრეული განათლების ცენტრებში გადატანის შესაძლებლობებზე (ფოკუსირებულია ჩრდილოეთ ამერიკაზე).

შერონ გემსონ დენკსი (Sharon Gamson Danks) “Asphalt to Ecosystems: Design Ideas for Schoolyard Transformation” (New Village Press 2010) – მოცულობითი, დეტალური და სიღრმისეული მასალა, ფერადი ფოტოებით (ფოკუსირებულია ჩრდილოეთ ამერიკაზე).

გეილ რაიდერ რიჩარდსონი (Gail Ryder Richardson) “Creating a Space to Grow: Developing Your Enabling Environment Outdoors” (2nd edition David Fulton 2014) – გარე უზრუნველყოფის განვითარების პროცესი

ბავშვების მონაწილეობაზე აქცენტით, რეალური მაგალითებითა და ფერადი სურათებით “Kent Space to Grow” პროექტში ჩართული დაწესებულებებიდან (კენტი, ინგლისი).

ერიკ ნელსონი (Eric Nelson) “Cultivating Outdoor Classrooms: Designing and Implementing Child-Centered Learning Environments” (Redleaf Press 2012) – სიღრმისეული და სასარგებლო სახელმძღვანელო, რომელიც დიდ გამოცდილებას ეყრდნობა და ილუსტრირებულია ფოტოებით (ფოკუსირებულია ჩრდილოეთ ამერიზე).

პრუ უოლში (Prue Walsh) “Early Childhood Playgrounds: Planning an Outside Learning Environment” (David Fulton 2016) – პრაქტიკული წიგნი ბავშვზე და თამაშზე ფოკუსირებულ მიდგომებზე ადრეული ასაკის ბავშვებისათის გარე სივრცეების დაგეგმარების, დიზაინისა და შექმნის დროს (ფოკუსირებულია ავსტრალიაზე).

თერე ქიესი (Theresa Casey) “Environments for Outdoor Play: A Practical Guide to Making Space for Children” (Sage Publications 2007) – ფოკუსირებულია სათამაშო და შემოქმედებითი სივრცეების მოწყობის პროცესზე (ავტორი გახლავთ International Play Association ყოფილი პრეზიდენტი).

არდენ ბაკლინ-სპორერი და რეიჩელ კეთლინ პრინგლი (Arden Bucklin-Sporer & Rachel Kathleen Pringle) “How to Grow a School Garden: A Complete Guide for Parents and Teachers” (Timber Press 2010) – “Edible Schoolyard” პროექტზე დაყრდნობით, სან ფრანცისკოს ორგანიზაცია “Green Schoolyard Alliance” ავითარებს სასწავლო ბაღებს და ამწვანებს სკოლის ეზობს (ფოკუსირებულია ამერიკაზე).

რასტი კილერი (Rusty Keeler) “Natural Playscapes: Creating Outdoor Play Environments for the Soul” (Exchange Press 2008) – შესანიშნავი წიგნი, ილუსტრირებული ბევრი ფოტოთი, ბავშვობისა და თამაშის ღრმა გაგებით (ფოკუსირებულია ჩრდილოეთ ამერიკაზე).

ნენსი სტრინისტე (Nancy Striniste) “Nature Play at Home: Creating Outdoor Spaces that Connect Children with the Outdoor World” (Timber Press 2019) – გამწვანების არქიტექტორისგან, რომელიც კარგად აცნობიერებს გარე-მოს სათამაშო და განმავითარებელ პოტენციალს ადრეული ასაკის ბავ-შვებისთვის. მართალია, აქცენტი კეთდება მშობლის როლზე სახლში, სკოლასა თუ თემში, მაგრამ წიგნი ასევე ღირებულია პრაქტიკოსებისთვის (ფოკუსირებულია ჩრდილოეთ ამერიკაზე).

დასკვნები: გარეთ სწავლის ხარისხის ინდიკატორები

ისევე, როგორც დახურულ სივრცეში საუკეთესო პრაქტიკის მიღწევა უწყვეტი პროცესია, რომელიც ხანგრძლივ დროს, დიდ ყურადღებასა და მონდომებას მოითხოვს, გარეთ თამაშისა და სწავლების საუკეთესო პრაქტიკაც ხანგრძლივ და თავდადებულ შრომას საჭიროებს. მიუხედავად ამისა, მისი ფასი უცვლელია. ქვემოთ მოცემულია ჯენ უაითისა და სიუ სტოკოეს (Jan White and Sue Stokoe) მიერ შემოთავაზებულ ინდიკატორთა სია „გარეთ სწავლების უზრუნველყოფა: გარეთ თამაშის „რატომ", „რა" და „როგორ" ადრეულ განათლებაში დაყრდნობით (წიგნის თავი "Achieving Excellence in the Early Years: A Guide for Headteachers, Early Education" 2015: 56-73), სადაც ასახულია, რას უნდა ეფუძნებოდეს სრულყოფილი გარემოს უზრუნველყოფის პრაქტიკა და როგორ შეიძლება შეფასდეს თქვენი, როგორც გუნდის პრაქტიკა, რათა სწორად განსაზღვროთ ფოკუსი და ძალისხმევის მიმართულება.

- მთელი წლის მანძლზე ბავშვები ყოველდღიურად, ხანგრძ-ლივი დროის განმავლობაში სწავლობენ გარეთ და ადვილად შეუძლიათ წვდომა ადგილობრივ გარე სივრცეებთან.
- გარე უზრუნველყოფა და პრაქტიკა ასახავს და მაქსიმალურად იყენებს გარე სივრცის განსაკუთრებულ ბუნებას და არსებული შესაძლებლობების უნიკალურობას.
- ბავშვებს აქვთ მთელი თავიანთი სხეულითა და გრძნობებით მოძრაობისა და მუშაობის თავისუფლება.
- გარემო მდიდარია მამოტივირებელი და ავთენტური შესაძ-ლებლობებით, რათა ბავშვებმა გაიგონ საკუთარი თავისა და თავიანთი სამყაროს შესახებ.
- ბავშვები თანმიმდევრულად ავლენენ კეთილდღეობისა და ჩართულობის მაღალ დონეს გარეთ ყოფნის დროს.
- ბავშვებს ასაკის შესაბამისი გამოწვევები აქვთ განვითარების ყველა სფეროში (ფიზიკური, ინტელექტუალური, ემოციური და სოციალური), რაც უზრუნველყოფილია რისკის მართვის ეფექტური სისტემით.
- უფროსები აქტიურად უჭერენ მხარს ბავშვების ჩართულობას და კვლევას, სიამოვნებას იღებენ ბავშვებთან ერთად გარეთ ყოფნით და იხიბლებიან მათი აზროვნებით.
- თითოეული ბავშვი მონაწილეობს და ჩართულია გარე სივრცეში მისი მრავალფეროვნებისა და მოქნილობის წყალობით.

- მოწყობილობები და რესურსები გარეთ კარგად ორგანიზებულია, იმისათვის, რომ ბავშვებმაც და უფროსებმაც მარტივად გამოიყენონ და მართონ ისინი.
- რესურსები და სივრცეები გარეთ თავისუფალია წინასწარ განსაზღვრული დანიშნულებისგან, უნივერსალურია და ბავშვებს შეუძლიათ მათი გამოყენება (შეუძლიათ იმოძრაონ, შეცვალონ ან ხელახლა შექმნან); ამასთან ისინი უზრუნველყოფენ მოქნილობას და პასუხობენ ბავშვების საკვლევ და სათამაშო მიზნებს.
- მაღალი ხარისხის დაკვირვება და შეფასება შესაძლებელია მაშინ, როცა უფროსები ბავშვების გვერდით იმყოფებიან („თანაზიარი სწავლა") და დაგეგმარება ეფუძნება ბავშვების ინტერესებისა და აზროვნების მექანიზმების ცოდნას. მოქნილი დაგეგმარება საკვანძოა ბავშვების მიერ მართული სწავლის მხარდასაჭერად.
- გარეთ სწავლის მნიშვნელობა გაგებულია და ღირებულია ადრეული განათლების დაწესებულების თითოეული წევრისათვის, მათ შორის მშობლების, ხელმძღვანელებისა და ვიზიტორებისათვის; თანმიმდევრული და აქტიური ძალისხმევა მიმართულია ამის უზრუნველსაყოფად.

სურათი 0.1. ღია ცისქვეშ თვითმართვადი თამაშის თავისუფლება შეუზღუდავია!

თავი 1
გარეთ თამაში წყლით

ამ თავში განხილულია შემდეგი საკითხები:

- რატომ უნდა გავიტანოთ წყლით თამაში ღია სივრცეში?
- წყლის მიწოდება ღია სივრცეში;
- ტანსაცმელი წყლით თამაშისთვის;
- წყლით სათამაშო რესურსების შერჩევა;
- წყლით სათამაშო რესურსების შენახვა;
- თამაში კონტეინერებში ჩასხმული წყლით;
- თამაში გამდინარე წყლით;
- თამაში წვიმაში;
- წყალი და სხვა რესურსები;
- საბავშვო წიგნები, ლექსები და სიმღერები;
- დამატებითი ინფორმაცია და რესურსები.

რატომ უნდა გავიტანოთ წყლით თამაში ღია სივრცეში?

წყალი ჯადოსნური, უნიკალური და დამამშვიდებელია. იგი ადრეული ასაკის ბავშვებს ძალიან იზიდავს. წყალი ყოველთვის მიიჩნეოდა ადრეული განათლების მნიშვნელოვან ნაწილად, როგორც კეთილდღეობისა და სწავლის საშუალება. დახურულ სივრცეში, როგორც წესი, წყალი კონტეინერში უნდა იყოს ჩასხმული და აქტივობების დროს უნდა ვაკონტროლოთ შხეფები, რათა ავიცილოთ იატაკზე მისი დაღვრა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კარგი რესურსი არსებობს კონტეინერში წყლის შესასწავლად და სათამაშოდ, ბავშვებს მასთან კონტაქტი მხოლოდ თვალებით და ხელებით შეუძლიათ, რაც ზღუდავს იმ სენსორულ ინფორმაციას, რომელიც მათ ტვინში იგზავნება. პრაქტიკოსი აღმზრდელები იმასაც აღნიშნავენ, როგორ უხარიათ ბავშვებს ონკანიდან მოშვებული წყლის შეგრძნება და მასზე დაკვირვება, მაგალითად ხელების დაბანის დროს. გამდინარე წყალი თამაშისა და სწავლის კიდევ უფრო მეტ საშუალებას იძლევა, მაგრამ ამის უზრუნველყოფა დახურულ სივრცეში რთულია და უფროსებს

ხშირად უწევთ ბავშვების ფანტაზიების შეზღუდვა. შესაბამისად, ბავშვების სურვილი, რომ „დატბორონ აბაზანა", შეუსრულებელი რჩება.

წყლის ღია სივრცეებში შეთავაზება აფართოებს ბავშვების წყალთან ინტერაქციისა და მისი განცდის შესაძლებლობას. შეუზღუდავი სივრცე მოძრაობის და ფართო-მასშტაბიანი კვლევის თავისუფლებას იძლევა. ამასთან ღია სივრცეში წყლის მოშვებაც მარტივადაა შესაძლებელი. ბავშვებს შეუძლიათ წყლის ერთი ადგილიდან მეორეში გადატანა ან იმაზე დაკვირვება, თუ როგორ მოძრაობენ ობიექტები წყალში. ამ დროს წყლის დაღვრა და არეულობა პრობლემას არ წარმოადგენს. ბავშვებს შეუძლიათ დააკვირდნენ წყლის დინებას და იმას, თუ როგორ ზემოქმედებს წყალი ზედაპირებსა და ნივთიერებებზე; ამ მოცემულობაში ბავშვები ავითარებენ იდეებს, ექსპერიმენტებსა და თეორიებს და ავლენენ გამომგონებლობისა და წარმოსახვის საოცარ ნიჭს. შესაბამისი ტანსაცმლით ბავშვებს წყლით თამაში ნებისმიერ სეზონზე შეუძლიათ, მთელი სხეულისა და ყველა შეგრძნების ჩართულობით. წყალი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ამინდის მიუხედავად, იგი გავლენას ახდენს თითოეული დღის შეგრძნებაზე: წყლის კვლევა და შესწავლა წვიმის დროს ან წვიმის შემდეგ კიდევ უფრო მრავალ სენსორულია და ადრეული ასაკის ბავშვებს უფრო მეტად ეხმარება შეისწავლონ მათ ირგვლივ არსებული სამყარო.

წყლის მიწოდება ღია სივრცეში

ზოგადი რესურსები წყლით თამაშებისთვის

- დიდი ზომის დახურული კონტეინერი წყლის გადასატანად, შესაძლებელია გორგოლაჭიანი ურიკით
- გარე ონკანი ჩამკეტით ან მოსახსნელი სახელურით
- რეზინის მილის ხვეულა ონკანზე გადამყვანით
- დამატებითი რეზინის მილი და დასაერთებელი თავაკები
- წყლის კასრი ონკანით და უსაფრთხო თავსახურით
- საწვიმარი და მაღალი ბოტები (ველინგტონები) ბავშვებისა და უფროსებისთვის
- სველი საგარეო ტანსაცმლის საშრობი-საკიდი
- თარო ბოტების ხელმისაწვდომ ადგილზე მოსათავსებლად

- ბაღში სიცივეში სამუშაო მცირე ზომის რეზინის ხელთათმანები ბავშვებისთვის
- წყლის ავზები და დიდი ღია კონტეინერები თამაშისთვის

მნიშვნელოვანია იმაზე დაფიქრება, თუ როგორ ეფუძნება და ავსებს ღია სივრცეში შეთავაზებული წყლით თამაშები დახურულ სივრცესა და სახლში მიღებულ გამოცდილებებს. ერთნაირი გამოცდილებების შეთავაზება ღია და დახურულ სივრცეში წყლის კონტეინერით შეიძლება წყლით თამაშის კარგი დასაწყისი იყოს, თუმცა სასურველია წაახალისოთ ბავშვები, რომ მეტად გამოიყენონ სხვადასხვა ღია სივრცეები. ბავშვები უცებ მიხვდებიან, რომ ღია სივრცეში წყლის დაღვრა პრობლემას არ წარმოადგენს და შეუძლიათ კონტეინერების შევსება და გადაადგილება. ისინი ასევე გააცნობიერებენ, რომ შეიძლება წყლის გამოყენება ზედაპირების დასაფარად ან შეიძლება მისი შერევა ქვიშასთან და მიწასთან. დიდი ალბათობით, მათ მოუნდებათ წყლით სავსე ავზებში ნივთების ჩაყრა ან მათი „გარეცხვა".

ამ აქტივობებისთვის დაგეგმილი გარკვეული რაოდენობის წყლის გარეთ გასატანად დაგჭირდებათ დიდი დახურული კონტეინერი. გორგოლაჭიანი ურიკა დაგეხმარებათ კონტეინერების მარტივად და უსაფრთხოდ გადატანაში. თუმცა, თუკი ბავშვებმა წყლით უნდა ითამაშონ ღია სივრცეში, ადრეული განათლების დაწესებულებებმა უმჯობესია გარეთ ონკანი დაამონტაჟონ ან უზრუნველყონ რეზინის მილით გადაყვანა ღია სივრცეში (გადამყვანები ონკანებისთვის საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიებშია ხელმისაწვდომი), რათა ბავშვებს ჰქონდეთ წყალი ყოველდღიურად, საჭიროებისამებრ. გარეთ ონკანის გათვალისწინება მნიშვნელოვანია ადრეული განათლების დაწესებულების მშენებლობის ან რეაბილიტაციის პროექტირების პროცესში, რადგან იგი გარე უზრუნველყოფის რამდენიმე ასპექტს უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი მცენარეების მოვლას. რეკომენდებულია შენობის შიგნით წყლის ჩამკეტი ონკანის დამონტაჟება იმისათვის, რომ წყლის მოშვება შეუძლებელი იყოს გარედან ამ აქტივობისთვის გათვალისწინებული საათების გარდა. ამის ალტერნატიულ ვარიანტად შესაძლებელია მოხსნადი ონკანის გამოყენებაც (თუმცა, ის ადვილად შეიძლება დაიკარგოს!). აგრარული მეურნეობის ცენტრებში ხელმისაწვდომია რეზინის

მილის ხვეულები, რომლებიც შეგიძლიათ კედელზე ან სადგამზე დაამაგროთ; გორგოლაჭებიანი სადგამის გამოყენების შემთხვევაში რეზინის მილები შეიძლება მარტივად გადაიტანოთ საჭირო ადგილას. ასევე შეგიძლიათ გადააერთოთ რეზინის მილები გადამყვანით იმისთვის, რომ მილი ყველა საჭირო ადგილს მიწვდეს. თუკი შეუძლებელია გარეთ ონკანის დამონტაჟება ან მილის გაყვანა, წყლის კასრი უსაფრთხო სახურავით კარგი ალტერნატივაა. საჭიროა კასრები მიწიდან 30-50 სანტიმეტრის სიმაღლეზე დაიდგას, რათა ბავშვებმა მოახერხონ კონტეინერის შესავსებად შედგმა. რამდენიმე დღის დამდგარ წყალში შესაძლოა მიკრობები გაჩნდეს, რადგანაც დიდია ალბათობა იმისა, რომ ბავშვები თამაშის დროს დალევენ ამ წყალს, გონივრულია კასრებში წყლის ყოველდღიურად შეცვლა. ბავშვების უმეტესობას იზიდავს ონკანის მიზეზ-შედეგობრივი ოპერაცია კონტეინერების შევსების დროს. ამ აქტივობის ხშირად გამეორების შემთხვევაში ბავშვებს უძლიერდებათ თითები და უვითარდებათ მოხერხებულობა. ეს აქტივობა განსაკუთრებით ხიბლავს იმ ბავშვებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ბრუნვის პროცესით და მბრუნავი საგნებით.

არ დაგავიწყდეთ კიდევ ერთი წყლის რესურსი, რომელიც ხშირია და უხვად მოიპოვება დიდ ბრიტანეთში - წვიმა! ქოლგებითა და კარგი საწვიმარებით აღჭურვილებს წვიმის შესწავლა უამრავი გზით შეგიძლიათ, ასევე იმის შეცნობა, თუ რა ხდება წვიმის შემდეგ.

ტანსაცმელი წყლით თამაშისთვის

იმისთვის, რომ ბავშვებს შეუზღუდავად და სრული ჩართულობით შეეძლოთ ღია სივრცეში წყლით თამაში, მათ შესაბამისი, კომფორტული ტანსაცმელი სჭირდებათ. რადგანაც ბავშვებს ყველაზე მეტად ტერფები, ფეხები და ფეხის თითები უსველდებათ, ველინგტონებისა და კომბინეზონის კომბინაცია იდეალურია წლის უმეტეს დროს. ცივ ამინდებში შესაძლებელია ქურთუკის დამატება, სიცხეში კი საუკეთესო გამოსავალია დიდი პირსახოცებისა და გამოსაცვლელი ტანსაცმლის უზრუნველყოფა. ისეთი თამაშებისთვის, რომლებიც ბავშვებს სრულ თავისუფლე-

ბას სთავაზობს, ერთიანი კაპიუშონიანი საწვიმარები სცადეთ. ასეთი საწვიმარები, როგორც წესი, მსუბუქია და მარტივად სატარებელი, ბავშვებს ერთმანეთისთვის წყლის შესხმისა და თავზე გადასხმის საშუალებას აძლევს. ამასთანავე, შესაძლებელია მათი პატარა ყუთში ჩაკეცვა ან ჩანთაში შენახვაც.

წყლით ხანგრძლივად და სასიამოვნოდ თამაშისთვის აუცილებელია, რომ ბავშვებს ხელები არ გაუცივდეთ, თუმცა შესაფერისი პატარა ზომის ხელთათმანების პოვნა შეიძლება რთული აღმოჩნდეს. აგრარული მეურნეობის ბევრ ცენტრში ამჟამად იყიდება მცირე ზომის რეზინის ხელთათმანები, რომლებიც ბავშვებს იფარავს სიცივისაგან და ცივ ამინდებში სამუშაოდ გამოადგებათ. გაითვალისწინეთ ასევე, რომ ცივი ზამთრის თვეებში ველინგტონებიც ძალიან ცივია ჩასაგების გარეშე, ამიტომ თბილი წინდებია საჭირო. ამ შემთხვევაში დათბილული, წყალგაუმტარი თოვლის ბოტები უკეთესი ვარიანტია. მოძებნეთ მაღალი ბოტები, რომლებიც გუბეებში ჩადგომისა და ხტომის საშუალებას მისცემენ ბავშვებს, ამასთან საწვიმარი შარვლების ელასტიური ტოტები ზედ ბოტებზე უნდა გადმოუშვათ, რაც აგაცილებთ ფეხების დასველებას.

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს ტალახიანი ტანსაცმლის ჩამორეცხვა და საშრობზე გადაფენა დაავალოთ, რათა ტანსაცმელი მზად იყოს მომდევნო გამოყენებისთვის. გაცილებით ხალისიანი იქნება რეზინის მილით ყოველივე ამის გაკეთება, რადგანაც ბავშვებს ჯერ კიდევ თავიანთი საწვიმარები ეცმებათ! ბავშვების ჩართვა თავიანთი სველი ან ტალახიანი ტანსაცმლის მოწესრიგებაში, მნიშვნელოვანია საკუთრების გრძნობის განვითარებაში გარე აქტივობების მიმართ, ასევე პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლობის ჩამოყალიბებაში და მნიშვნელოვანი სასწავლო გამოცდილებების უზრუნველყოფაში. დრო, ორგანიზება, მოლოდინები და უფროსების მოთმინება - ყოველივე ამას კი გათვალისწინება სჭირდება, რათა ბავშვებმა თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ მოირგონ ეს როლი და მისგან მაქსიმალური სარგებელი მიიღონ.

წყლით სათამაშო რესურსების შერჩევა

უამრავი რესურსი არსებობს, რომლებიც ბავშვებს ღია სივრცეში წყლის შესწავლაში დაეხმარება. შეახსენეთ თქვენ თავს თურაარის ღია სივრცეში ისეთი განსაკუთრებული, რაც დახურულ სივრცეში ხელმიუწვდომელი ან შეუძლებელია (მაგალითად, სივრცე, მასშტაბი, მოძრაობა, არეულობა, კლიმატი და სტიმული რეალური სამყაროდან), რათა გააფართოვოთ და არ გაიმეოროთ შიდა სივრცეში წყლით თამაშები. რადგანაც წელიწადის დროები და ამინდი ცვალებადია, წყალი განსხვავებულად აღიქმება და ეს, დიდი ალბათობით, გავლენას მოახდენს აქტივობებზე მუდმივად, ახალი განზომილებების დამატებით. ზოგიერთი რესურსი ყოველთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, იმისთვის, რომ ბავშვები:

- დააკვირდნენ წყალს კონტეინერებში;
- შეისწავლონ გამდინარე წყალი;
- რეაგირება მოახდინონ წვიმაზე;
- შეურიონ წყალი სხვა ნივთიერებებს.

თითოეულ ზემოთჩამოთვლილს, დროთა განმავლობაში შეიძლება სხვა რესურსებიც დაუმატოთ, რათა ბავშვების იდეები, კვლევები, აზროვნება და შემეცნება უწყვეტად განვითარდეს და გაიზარდოს.

წყლით სათამაშო რესურსების შენახვა

დაფიქრდით იმაზე, თუ როგორ უნდა შეინახოთ წყლით სათამაშო რესურსები ბავშვებისთვის მარტივად ხელმისაწვდომ ადგილას. გრძელი ღარები და მილები კარგად ინახება პლასტმასის სანაგვე ყუთებში (რომლებსაც ქვემოდან სადრენაჟო ნახვრეტი ექნება გაკეთებული). გორგოლაჭიან, მავთულის ბადისებრ ღრმა კალათებში რესურსები თვალსაჩინო იქნება, მასალების დაწურვა/გაშრობის საშუალებასაც მოგვცემს.

თუკი პლასტმასის ყუთებს იყენებთ, დახვრიტეთ ისინი რამდენიმე ადგილას მასალების დასაწურად და ნესტის გაჩენის თავიდან აცილების მიზნით გაშრობამდე თავი მოხდილი დაუ-ტოვეთ. კონტეინერებად შეგიძლიათ გამოიყენოთ სარეცხის პლასტმასის კალათებიც, თუმცა ბევრი მასალა არ ჩადოთ ერთ

კონტეინერში, რათა ერთმანეთში არ გადაიხლართოს. ბავშვების ვიზუალური აღქმა განსხვავდება უფროსებისგან და ისინი ნაკლებად განასხვავებენ ერთმანეთისგან კონტეინერში ერთად დაჯგუფებულ საგნებს. შესაბამისად, უმჯობესია კონტეინერები არ იყოს ღრმა და მათში ნაკლები ნივთი იყოს მოთავსებული. კონტეინერებზე შეიძლება დაამაგროთ ლამინირებული ეტიკეტები, რათა რესურსები კარგად იყოს ორგანიზებული. ეტიკეტირების პროცესში ბავშვების ჩართვა სწავლების პოტენციალს წარმოადგენს, ხოლო ამ რესურსებით თამაშის ამსახველი ფოტოები - რესურსების გამოყენების პერსონალიზებულ მინიშნებებს. თუკი ეს შესაძლებელია, განალაგეთ რესურსები ახლოს იმ ადგილთან, სადაც ბავშვები წყლით თამაშობენ, რათა ბავშვებში ფიქრისა და მოქმედების სტიმულირება მოახდინონ. წყლის რესურსების მოძრავი ყუთის გამოყენება იმის საშუალებას მოგცემთ, რომ თამაში სივრცეში არ იყოს შეზღუდული და მოიცვას წყლითა და წვიმით თამაშების მთელი რიგი შესაძლებლობები გარე სივრცის სრულ პერიმეტრზე.

სურ. 1.1. შესაბამისი ტანსაცმლით ბავშვები თავისუფლად თამაშობენ

რეკომენდებულია წყლის სათამაშო რესურსების რეგულარული რეცხვა შესაბამისი სადეზინფექციო ხსნარებით. შეგიძლიათ რესურსები უფრო ხშირადაც გარეცხოთ თბილი საპნიანი წყლით და, რა თქმა უნდა, ბავშვებიც ენთუზიაზმით შეასრულებენ ამ საქმეს. ეს უნდა წარმოადგენდეს კიდეც მათთვის დაგეგმილი და დაუგეგმავი წყლით თამაშების ნაწილს. ბავშვების ასაკის მატებასთან ერთად, მნიშვნელოვანია რომ სხვა დავალებების პარალელურად, მათ გარე სივრცეზე ზრუნვის პასუხისმგებლობაც დავაკისროთ. ადრეული ასაკის ბავშვები აფასებენ იმას, რომ დახმარება შეუძლიათ და ვითარდებიან ამ ტიპის ჩართულობით - თამაში და დავალებები მხარდაჭერილია უფროსების ინტერაქციით. მოზრდილ ბავშვებს ასევე შეიძლება დაავალოთ წყლით სათამაშო რესურსების ორგანიზება, რათა რესურსები ხელმისაწვდომი იყოს დამოუკიდებელი წვდომისთვის. თითოეული ნაბიჯი რესურსების შესაფერისად დაჯგუფების პროცესში; გადაწყვეტილება, თუ რომელი კონტეინერის გამოყენებაა საჭირო კონკრეტული ტიპის თამაშისთვის; დრენაჟის საჭიროების გათვალისწინება, თითოეული რესურსის ფოტოგრაფირება, ვიზუალური და წერილობითი ეტიკეტების შექმნა და ლამინირება, ასევე თითოეული კონტეინერისთვის თაროებზე ადგილის გამოყოფა ხელს უწყობს ბავშვებში კითხვების წამოჭრას, დისკუსიებს, რაციონალიზაციას, მოლაპარაკებისა და სხვა უნარების განვითარებას. ამასთანთავე, თუკი ბავშვები თავად განალაგებენ ნივთებს, მასალები ყოველთვის ხელმისაწვდომი იქნება და შემდგომში დალაგებაც გამარტივდება.

თამაში კონტეინერებში ჩასხმული წყლით

რესურსები კონტეინერებში წყლით თამაშებისთვის

- საყოფაცხოვრებო საღებავი ფუნჯების ფართო ასორტიმენტი - დაწყებული სახვითი ხელოვნების ფუნჯებით, ქვისა და შპალერის მოსახატი ფუნჯებით დამთავრებული;
- დიდი და პატარა ემულსიური საღებავის ლილვაკები (იპოვეთ ზრდადი ტარით) და ქვესადგამი;
- ემულსიური საღებავის ლილვაკები კუთხეებისთვის (მრგვალი, თხელი კიდით);
- საყოფაცხოვრებო საწმენდი ინსტრუმენტები, როგორიცაა სარეცხი, საწმენდი და კბილის ჯაგრისები;

- სპრეის ბოთლები, ღრუბლები, ტილოები, საშრობი „ტყავი";
- სამზარეულოს და/ან კემპინგის ჭურჭელი - დოქები, ჭიქები, თასები, ქვაბები და ტაფები, ჩამჩები და ა.შ.;
- ვერცხლის, სპილენძისა და ბრინჯაოს ჩაიდნები, დოქები და თასები;
- პატარა და დიდი სათლები და სხვა კონტეინერების ფართო არჩევანი, ზოგიერთი სახელურით;
- საწური, საცერი, ჩაის საწურები, ყვავილის ქოთნები;
- მცირე და დიდი ზომის ძაბრები, პლასტმასის მოკლე მილები;
- ურიკა;
- სარეცხი თასები, ბავშვის აბაზანა და სარეცხის კალათები;
- თოჯინები, თოჯინისა თუ ჩვილის ტანსაცმელი, თოკი სარეცხისთვის და სხვადასხვა კაუჭი;
- სამშენებლო ლანგარი ან მცენარეების სადგამი;
- საბავშვო საცურაო აუზი;
- მტკიცე ორსაფეხურიანი კიბე.

ღია სივრცეში წყლით თამაშებისთვის უმარტივესი გზაა ბავშვებს მივცეთ ფუნჯები და წყალი (პატარა ავზით). მიუხედავად სიმარტივისა, ეს ინტერაქცია წყალთან ადრეული ასაკის ბავშვებისთვის მეტად ჩამთრევი აქტივობაა და საშუალებას აძლევს მათ გამოიკვლიონ თავიანთი სამყარო დეტალურად და აღმოაჩინონ როგორ მუშაობს იგი. შეგვიძლია გავიხსენოთ ეს საკუთარი გამოცდილებებიდან. ბავშვისთვისაც ამ აქტივობებს მნიშვნელოვანი ემოციური შინაარსი გააჩნია. ღია სივრცეში ბავშვებს შეიძლება ნებისმიერი ადგილის და ყველაფრის „მოხატვის" უფლება მივცეთ, თანდათანობით, დროთა განმავლობაში, შეიძლება სამუშაოდ სხვადასხვა ინსტრუმენტი მივცეთ. შეაგროვეთ სხვადასხვა ზომის ფუნჯები, განსაკუთრებით დეკორატიული ფუნჯები ხელნაკეთობების მაღაზიებიდან: თხელი ფუნჯიდან დაწყებული ფილიგრანული სამუშაოსთვის, უზარმაზარი შპალერის ფუნჯებით დამთავრებული, რომელთა დასაჭერადაც ბავშვებს ორივე ხელი სჭირდებათ. შესთავაზეთ ლილვაკები და ემულსიური საღებავის ჯამები, ღრუბლები და საღებავი სპრეის ბოთლები. ეს აქტივობა უფრო ბევრად უკეთესია (განსაკუთრებით ბიჭებისთვის), მყარი, ორსაფეხურიანი კიბით უზრუნველყოფა იმისთვის, რომ ბავშვები უფრო მაღალ ადგილებს მისწვდნენ. ერთიანი წყალგაუმტარი „დეკორატორის კომ-

ბინეზონი” კარგი დამატებაა როლური თამაშების შესაძლებლობების გასაზრდელად.

ბავშვები ყველა ხელმისაწვდომ ზედაპირს „მოხატავენ“, მათ შორის აგურებს და ასფალტს. ხე, საბურავები, ცარცით საწერი დაფა და ფიქალის ზედაპირები განსაკურებით მომხიბლავია, რადგანაც ისინი წყალთან შეხებისას და გაშრობისას ფერსა და ტექსტურას იცვლიან. ამის გათვალისწინებით, სცადეთ სხვადასხვა ტიპის ზედაპირების გამოყენება გარე აქტივობებისთვის. ბავშვებს ყურადღებით დააკვირდით, იმისთვის, რომ მეტი აღმოაჩინოთ მათი ინტერესების შესახებ ამ „ხატვის” პროცესში: ზოგი თავის სქემას ან აღნიშვნის სისტემას გამოიყენებს. ამგვარად, თქვენ შეძლებთ თითოეულ ბავშვს დაეხმაროთ აზროვნების განვითარებაში.

მიეცით ბავშვებს გარეთ წყლით სავსე დიდი ზომის კონტეინერი, სამზარეულოს დიდი ჭურჭლით ან ქვაბებით (შეგიძლიათ გამოიყენოთ სამზარეულოს ძველი ჭურჭელი, მაგალითად ჩამჩა და საწური), იმისთვის, რომ ბავშვებმა დახურულ სივრცეში წყლის ავზებში ან წყლის ნიჟარებში გართობით მიღებული ცოდნა უფრო ფართო და თავისუფალი მასშტაბით გამოიყენონ. ეცადეთ იქონიოთ ერთზე მეტი დიდი კონტეინერი ან წყლის ავზი ერთმანეთისგან მოშორებით და ბევრი სათლი ან სხვა სახის კონტეინერი იმისთვის, რომ ბავშვებმა წყალი ერთიდან მეორეში გადაიტანონ - ამაში ურიკაც დაგეხმარებათ.

თუკი გარეთ გაქვთ წყალი გაყვანილი, მაშინ ბავშვებს შეიძლება შეავსებინოთ ეს კონტეინერები სხვადასხვა მეთოდით, მაგალითად დოქებით, სათლებით, სარწყავებით, რეზინის მილებით ან ღარებით. ბავშვებს, რომლებსაც საგნების გადატანა უყვართ, მოეწონებათ ეს აქტივობა და თქვენც გათავისუფლდებით შრომატევადი საქმიანობისგან.

თოჯინების, ჩვილების ტანსაცმელების, ფანჯრების, ველოსიპედების თუ სხვა გარე მოწყობილობების რეცხვა ძალიან პოპულარული აქტივობებია ბავშვებისთვის: მოამარაგეთ ბავშვები ჭურჭლის სარეცხი თასებით, ჩვილების აბაზანებით, სარეცხის კალათებით, ქაფით, ღრუბლებითა და ტილოებით, ასევე გაამზადეთ სარეცხი თოკი და სამაგრები. ეს აქტივობები მდიდარია წიგნიერების განმავითარებელი შესაძლებლობებით და შეიძლება როლური თამაშების თემებადაც იქცეს, მაგალითად მანქანის სამრეცხაოს ფორმების შევსება ან ბილეთების მომზა-

დება ჯავშნის გასაკეთებლად. დგინდება, რომ ამ ტიპის კონტექ-სტებში აღნიშვნების გაკეთების აქტივობაში ბიჭები უფრო მეტად ერთვებიან. შეაგროვეთ შესაფერისი წიგნები ბავშვებთან გას-აზიარებლად და წარმართეთ თამაშის და სწავლების პროცესი ბავშვების მიერ გამოვლენილი ინტერესების შესაბამისად (იხ. მარჯორი უვრის წიგნი "Exercising Muscles and Minds" (კუნთებისა და გონების ვარჯიში), 2003, გვ.67, ქალბატონი მოპლის სარეცხი თოკის მიხედვით თემატური გეგმის გასაცნობად [Hewitt, 1994]).

ბავშვებს უყვართ ფეხების წყალში ჩაწყობა, როგორც ფეხ-საცმლით, ასევე ფეხსაცმლის გარეშე. შეიძლება, სამშენებლო ლანგრები გამოიყენოთ „გუბეებად", როდესაც არ წვიმს. "Darnall Community"-ის საბავშვო ბაღის პრაქტიკოსი-აღმზრდელები გვიზიარებენ გამოცდილებას ორი ბიჭუნას შესახებ, რომლებიც სპონტანურ ცეკვას ასრულებდნენ წყლით სავსე სამშენებლო ლანგრებში რიგ-რიგობით. საბავშვო აუზი ბავშვებს საშუალებას აძლევს შიშველი ფეხი დაისველონ ამ მშვენიერ, სამკურნალო ნივთიერებაში წლის ნებისმიერ დროს, ასევე მისგან შესაძლებელია ქვიშის აუზის ან წარმოსახვითი ოკეანის შექმნა.

სურათი 1.2. ადრეული ასაკის ბავშვების მიერ სამყაროს დეტალური კვლევა წყალთან ინტერაქციისას

თამაში გამდინარე წყლით

გამდინარე წყლით სათამაშო რესურსები:

- სხვადასხვა ზომისა და თავაკების სარწყავები;
- სასხური და სარწყავი ბოთლები, სხვადასხვა მექანიზმებითა და ბოლოებით (საყოფაცხოვრებო მაღაზიებსა და აგრარული მეურნეობის ცენტრებში შეძენილი), მათ შორის სატუმბი მოქმედების ვაკუუმური შესასხურებლები;
- სასხური და სარწყავი ბოთლები გადამუშავებული კონტეინერებისგან სხვადასხვა მექანიზმებითა და ბოლოებით, მაგალითად შამპუნის, ფხვნილის ან სოუსების ბოთლები (დარწმუნდით, რომ კონტეინერები კარგადაა გამორეცხილი);
- ერთი და ორლიტრიანი ბოთლები;
- პატარა და დიდი ძაბრები;
- 25-30 მეტრის სიგრძის რეზინის მილი და ხვეულა;
- რეზინის მილის თავაკები, შხაპის მილი და თავი;
- რეზინის მილი (2.5 სმ დიამეტრი), სხვადასხვა დიამეტრისა და სიგრძის დრეკადი სადრენაჟო მილი და რეზინის მილის სხვა ნაწილები;
- წყლის ტუმბოები, გამწოვი ტუმბო ძაბრით და რეზინის მილით (ლუდის ან ბენზინის ძაბრი);
- გრძელი ღარები და წყალსადენი მილები;
- წყალსადინარი მილების ძაბრი, ღარი და მილის დამაერთებლები;
- საბჯენები, ყუთები, თოკები, ველკროს ზოლები ან მცენარეების სამაგრები;
- საშხაპე ფარდები, დიდი პლასტმასის ფურცლები, ბრეზენტი ან დახლის გამჭირვალე გადასაფარებელი (წიგნიდან “Muddy Faces”);
- პატარა ქოლგები, მათ შორის გამჭვირვალე;
- დიდი (ზღვის) ქოლგები ან წყალგაუმტარი ბაღის ქოლგები;
- გრძელტარიანი ცოცხები (ბავშვის და უფროსების ზომები).

გამდინარე წყალს დამატებითი და საინტერესო მახასიათებლები გააჩნია. ის მგრძნობიარეა კონტაქტზე, იტაცებს და აირეკლავს შუქს, მოძრაობს სხვადასხვანაირად და გააჩნია საგნების გადაადგილების საოცარი უნარი. რეზინის მილის გამოყენებით სათლის ჭავლით ავსება საოცარ ქაფებს და მორევს წარმოქმნის, ხოლო კონტეინერიდან ნაზად გადმოსული ან გადმოღვრი-

ლი წყალი ახლებურად და საინტერესოდ „იქცევა“. გამდინარე წყლით თამაშს კითხვების წამოჭრის, კვლევის, ექსპერიმენტების და პრობლემის გადაწყვეტის უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია, განსაკუთრებით იმ ბავშვებისთვის, რომლებიც ინტერესდებიან ხაზებით (ტრაექტორიებით), მოძრაობით, ბრუნვითა და ზღუდეებით. მოძრავი წყლის შესწავლა თამაშით ბავშვებს დაეხმარება მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხების მიღებაში თუ როგორ მუშაობს სამყარო, მათ შორის როგორ იქცევიან ნივთიერებები მოძრაობითა და გრავიტაციით სავსე სამყაროში.

წყლით გამოწვეული პირველადი ხიბლი დაკავშირებულია სარწყავებთან - მოიმარაგეთ სხვადასხვა ზომისა და თავაკებიანი სარწყავები, მათ შორის გამფრქვევი ბოლოებით. წვრილი ღია ბოლოებიანი სარწყავები (სახლის მცენარეებისთვის) გამოდგება ქვაფენილისა და ასფალტის მოსახატად. ამ დროს ბავშვები აცნობიერებენ, რომ წყლის ნაკადის კონტროლი და ზოლების, სხვადასხვა მოხატულობის ან ასოების გამოყვანა შეუძლიათ. ბავშვები ასევე სიხარულით იტვირთავენ მცენარეების მორწყვის პასუხისმგებლობას. (დარწმუნდით, რომ მცენარეების ქოთნებს კარგი დრენაჟი აქვთ!).

სწრაფად მოძრავი წყალი განსხვავებულად იქცევა მდორედ მომდინარე წყალთან შედარებით. მექანიზმებიანი ბოთლების შეთავაზებით ბავშვებს საშუალებას მისცემთ დააკვირდნენ წყლის ქცევას გაფრქვევისა და გასხურების დროს. დროთა განმავლობაში შესაძლებელია გასხურების სხვადასხვა მექანიზმის შეგროვება, რაც ხელს შეუწყობს უნარებისა და გამოყენების შემდგომ განვითარებას. ასევე სცადეთ დიდი ბოთლების დახვრეტა რათა ბავშვებმა შეძლონ გაჟონვისა და წყლის მოძრაობის ტრაექტორიების შესწავლა. წყლის ქცევითა და სხვადასხვა ნივთსა თუ ზედაპირზე წყლის დასხმის შედეგით გამოწვეული აღფრთოვანების წახალისება ხელს უწყობს ბავშვებს გაიგონ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესახებ. ის, რომ ეს ორი ცალკეული ფენომენი დაკავშირებულია, ბავშვებს ეხმარება იდეისა და თეორიის განვითარებაში იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მუშაობს სამყარო (თეორიის განვითარება). როგორც კი ეს მოხდება, ბავშვებმა ასევე შეიძლება ივარაუდონ თუ რა შეიძლება მოხდეს წარმოსახვით მომავალში. დიდი ოდენობით ასეთი გამოცდილებები მნიშვნელოვანია, როგორც სამეცნიერო,

ისე შემოქმედებითი აზროვნების თანდათან და საფუძვლიანად ჩამოყალიბებისთვის. ამასთან, საოცარია იყო რაიმე მოვლენის მიზეზი და ხედავდე საკუთარი მოქმედებების შედეგს. ასეთი ზემოქმედებისა და კონტროლის გამოცდილებები ხელს უწყობს თვითშეფასების და თვითრწმენის განვითარებას, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ბავშვებს უყვართ ამ ხერხებით თამაში!

რეზინის მილებს ნაკრებში სხვადასხვა თავაკი მოყვება, რაც შესაძლებელს ხდის სხვადასხვა ეფექტის წარმოქმნას - ნაზი გაფრქვევითა და დელიკატური შესხურებით დაწყებული ძლიერი ჭავლით დამთავრებული; ასევე შეიძლება რეზინის მილზე შხაპის თავის დამაგრება სცადოთ. არაფერი შეედრება სიცხეში რეზინის მილით თამაშს, თუმცა ეს წლის ნებისმიერ დროს შეიძლება ერთიანი საწვიმარებით. რეზინის მილის დაჭერა და კონტროლი განსაკუთრებით სასარგებლოა მორცხვი და ნაკლებად თავდაჯერებული ბავშვებისთვის, მაშინ როცა სხვები შეიძლება სიამოვნებას წყლით დაფარვის ან სხეულზე წყლის შესხმის შეგრძნებისგან იღებდნენ. აუცილებელია მკაფიო საზღვრების დადგენა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ და სად სველდება! სცადეთ შხაპის გამჭვირვალე ფარდის ან დიდი ზომის პლასტმასის ნაჭრის გადაფარება კედლის ზედაპირზე იმისთვის, რომ ბავშვებმა მოახერხონ ორივე მხრიდან დახატონ ან შეასხან წყალი ან თხელი საღებავი და დააკვირდნენ ზედაპირზე ჩამოღვენთილ ფერად წვეთებს. რეზინის მილის დახმარებით ეს ყველაფერი შეიძლება ჩანჩქერის ქვეშ ყოფნის გამოცდილებად გადაიქცეს. შეგიძლიათ იგივე სცადოთ დიდი ქოლგების გამოყენებით. რეზინის მილის რეგულირებადი თავაკის მეშვეობით შეგიძლიათ ცვალოთ წყლის დინება სხვადსხვა ხმის გამოცემის, მათ შორის კოკისპირული წვიმის „სიმფონიის" შექმნის მიზნითაც კი.

გარეთ უსწორმასწორო სივრცისა და ზედაპირების პირობებში წყლის მასშტაბური გადაადგილებაა შესაძლებელი. დაჭერით საყოფაცხოვრებო ღარები და წყალსადენი მილები (ხელმისაწვდომია საყოფაცხოვრებო ნივთების მაღაზიაში) მოკლე - დაახლოებით 1 მეტრიან მონაკვეთებად და უხეში პირები გასწორეთ ზუმფარა ქაღალდით. ამ რესურსებს მრავალმხრივი დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს წყლით თამაშების გარდა, ამასთან მარტივად ინახება გარეთ. რესურსების მოცულობის გამო, დასახული მიზნების მისაღწევად ბავშვებს თანამშრომლობა და

ერთად მუშაობა დასჭირდებათ, შესაბამისად, ეს გამოცდილებები ძალიან ეფექტურია, როგორც კომუნიკაციისა და მოლაპარაკების წახალისებისთვის, ასევე თვითრეგულირებისა და სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობისათვის. ბიჭებს განსაკუთრებით იზიდავს ამ ტიპის თამაშები, ისინი იკვლევენ და პოულობენ სირთულეებს, და დიდი ხნით ინარჩუნებენ ინტერესს (იხ. სიუ დინვიდლის (Sue Dinwiddle) წიგნი "Playing in the Gutters"). მოიმარაგეთ ისეთი რესურსები, როგორიცაა, მაგალითად რძის ყუთები მილებისთვის დახრილობების შესაქმნელად, ბაღის ცხაურები სხვადასხვა კუთხეებისა და თოკების რიგის შესაქმნელად, წებოვანი ლენტები ან მცენარეების სამაგრები იმისთვის, რომ ღარები და მილები დამაგრდეს ღობეებზე. გაახანგრძლივეთ თამაში დამატებითი რესურსების შემოტანით, როგორიცაა ჩამტვირთავი ძაბრები და Y-ტიპის დაერთებები, ასევე შემოიტანეთ ახალი თავსატეხები, მაგალითად პლასტმასის იხვების გადაადგილება წყლის ნაკადით, კაშხლების მოწყობა ან მცენარეებისთვის წყლის მიწოდება ონკანიდან.

ხის ან ბადის გრძელი ღობეების გამოყენება შესაძლებელია წყლის კედლის მოსაწყობად სხვადასხვა კონტეინერისა და მილის ვერტიკალურ ზედაპირზე დამაგრებით, რათა წყალი კასკადური მიმდევრობით ჩამოიღვაროს. წყლის კედელი სხვადასხვა გზით და მრავალფეროვანი რესურსებით შეიძლება გაკეთდეს, თუმცა მნიშვნელოვანია მოქნილობის შენარჩუნება, რათა ბავშვებმა კონსტრუქცია ადვილად შეცვალონ ახალი მოქმედებებისა და ექსპერიმენტების ჩატარების მიზნით. თუ ეს განლაგება მუდმივი და უცვლელი იქნება, მაშინ დიდი ალბათობით, ინტერესი შემცირდება. კედელი გაცილებით უფრო მეტ საგანმანათლებლო ღირებულებას შეიძენს, თუკი ის ინტერაქტიული იქნება, ბავშვებს და უფროსებს ერთობლივი მუშაობით მისი განვითარება შეეძლებათ. ინტერნეტში მრავლად მოიპოვება სხვადასხვა იდეები ამ საქმიანობის წასახალისებლად ბლოგების, პოსტებისა და "Pinterest"-ზე იდეების სახით.

ბავშვები ასევე დაინტერესდებიან თუ სად იწურება წყალი და სად მიდის ის დაწურვის შემდეგ. მიეცით ბავშვებს გრძელტარიანი ცოცხები, იმისთვის რომ გადახვეტონ დაგროვილი წყალი დინების მიმართულებით. ბავშვებმა შეიძლება სხვადასხვა თეორია განავითარონ იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ გადმო-

ედინება წყალი მხოლოდ ზოგიერთ ფერდობზე, ასევე ბავშვებს მოეწონებათ ჯგუფურად მსჯელობა იმაზე, თუ სად წავიდა წყალი და ვის შეხვდა მიწის ქვეშ. ამ ასაკში ყველა იდეა და თეორია თანაბრად მართებულია, რადგან ჩვენ ყველაზე მეტად ის გვინდა, რომ ბავშვებმა დასვან კითხვები და თეორიულად იმსჯელონ წარმოსახვით დონეზე, თანაც რაც უფრო მეტი შემოქმედებითობაა, მით უკეთესია! მეცნიერებაში ძირითადი ცვლილებები ყოველთვის მომდინარეობდა არსებული ცოდნის ჩარჩოდან გასვლით. ეს სწორედ აზროვნების ის ფორმაა, რომელიც ჩვენ შვილებს სჭირდებათ მომავალი ცხოვრებისთვის.

არსებობს გამდინარე წყლით სათამაშო ბევრი კომერციული მოწყობილობა, რომლებიც ადრეული განათლების დაწესებულებების გარე სივრცეში შეიძლება განთავსდეს; ეს განსაკუთრებით კარგად მუშაობს სენსორული და რეფლექსიური აქტივობებისთვის. გახსოვდეთ, რომ ბავშვებმა შეიძლება დალიონ ეს წყალი, შესაბამისად მნიშვნელოვანია გამოყენებული წყლის გამწმენდი, მაგალითად ულტრაბგერითი, მექანიზმის გათვალისწინება.

სურათი 1.3. გამდინარე წყლის მეშვეობით შეიძლება დავაკვირდეთ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებსა და მოვლენების განვითარებას

თამაში წვიმაში

წვიმაში სათამაშო რესურსები:

- საწვიმარები, ბოტები;
- დიდი და პატარა ქოლგები (განსაკუთრებით გამჭვირვალე);
- წყალგაუმტარი მზის ქოლგა;
- პლასტმასის ფურცლები, დიდი გამჭვირვალე პლასტმასის ბრეზენტი, ბრეზენტი, ტენტები, ფანჩატურები;
- წვიმის წყლის შესაგროვებელი კონტეინერები;
- პლასტმასის დიდი კონტეინერები, ხის და მეტალის კოვზები;
- სამშენებლო ლანგარი, მცენარეების დასარგავი ლანგარი;
- გრძელტარიანი ცოცხები, ჯაგრისები, ველოსიპედები;
- საღებავი ფხვნილი, მზა საღებავი, საღებავი სპრეები, ცარცი;
- ალუმინის ფოლგა ქოლგების დასაფარად;
- წყალგაუმტარი კამერა, დიქტოფონი, საზომი ლენტი.

ისეთი კლიმატის პირობებში, სადაც წვიმა ხშირია, საჭიროა დადებითი დამოკიდებულება შევქმნათ მის მიმართ! ბავშვებს უყვართ წვიმა და კმაყოფილები იქნებიან წვიმასთან და წვიმაში თამაშის ნებისმიერი შესაძლებლობით. თავის ბუნებრივ ჰაბიტატში, წვიმა - წყალია. იმის გათვალისწინებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია წყალი ჩვენს პლანეტაზე ცხოვრების ყველა ასპექტისათვის, ასევე მისი კრიტიკული როლი დედამიწაზე მიმდინარე ბევრი ფუნდამენტური პროცესისათვის, ალბათ არც არის გასაკვირი, რომ წვიმა ასე ძლიერ იზიდავს ბავშვებს და წვიმის წყალი ასეთ აუცილებელ სათამაშო რესურსს წარმოადგენს. ამ საოცარი რესურსის გამოყენებისთვის საჭიროა შესაბამისი ტანისამოსი ყველა ბავშვისთვის და უფროსისთვის, ასევე უფროსებისა და ბავშვების ენთუზიაზმის თანხვედრა. წყლით თამაშები წვიმიანი დღის მაქსიმალურად ეფექტურად გატარების საშუალებაა და წყალთან ინტერაქციის ყველა ის მეთოდი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, უფრო მრავალსენსორული იქნება და მეტი მნიშვნელობა ექნება ადრეული ასაკის ბავშვებისთვის, თუკი ისინი ამას ყველაფერს წვიმის დროს გააკეთებენ!

წვიმაში წაახალისეთ ბავშვები შეიგრძნონ წვიმის წვეთები თავიანთ ხელისგულებზე, სახესა და ენაზე. ნებართვის შემთხვევაში, ბავშვები იხალისებენ ღარიდან თავზე დასხმული წყლით, ხოლო ვისაც მშრალად დარჩენა ურჩევნია, ქოლგებით მოამარაგეთ. გუბეებში და გუბეებზე გადახტომაც სახალისოა,

ისევე, როგორც გუბეებიდან წყლის „გადახვეტა". მოათავსეთ გუბეში საღებავი ზეთის გარეშე, რათა ბავშვებმა თვალ-ყური ადევნონ ფერის ბუნებრივად გავრცელებას სხვადასხვა ფორმებით, შემდეგ ველოსიპედებით გაატარეთ ბავშვები ამ გუბეებში, რომ ასფალტზე ნაკვალევი დარჩეს (მცირე სარეცხი საშუალების შერევით საღებავი მარტივად ჩამოირეცხება). წვიმაში დიდი ზომის პლასტმასის ფურცელზე ხატვა ძალიან სახალისო და მომხიბლავია, რადგან წვიმა საღებავს რეცხავს. მიეცით ბავშვებს ცარცი, რომ სველ ზედაპირზე ან გუბეებში დახატონ - ეს სულ სხვა განცდა და ეფექტია მშრალ ზედაპირებზე ხატვასთან შედარებით (ცარცი მალე თავდება გარეთ, ამიტომ დიდი რაოდენობით მოიმარაგეთ).

თვალ-ყური ადევნეთ სხვადასხვა ზედაპირზე - ვერტიკალურზე და ჰორიზონტალურზე - წვიმის წვეთების დაცემას და დააკვირდით როგორ გროვდება წყალი, როგორ მიედინება, ქრება ან რჩება; იმსჯელეთ იმაზე თუ რატომ ხდება ასე და სად წავიდა წყალი. როგორც ზემოთ განვიხილეთ, მნიშვნელოვანია მოვერიდოთ ჭეშმარიტი ან სწორი პასუხის ცდუნებას - წარმოსახვა, იდეები, თეორიების ფორმირება და ამ ყველაფრის გაზიარების შესაძლებლობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, ღირებული და პროდუქტიულია სამეცნიერო აზროვნების განვითარებისთვის. დააკვირდით წვიმის წვეთების მიერ გუბეებში დაცემის დროს გამოსახულ ფორმებს; ეს განსაკუთრებით შთამბეჭდავია შავ ფონზე მოთავსებულ სამშენებლო ლანგრებზე. გაარკვიეთ თუ როგორ ხვდება წვიმის წყალი სახურავებიდან სანიაღვრე ღარებში და მილებში და სად მიედინება იქედან. ამ კვლევის დაკავშირება გამდინარე წყალისა და წყლის კედლიდან მიღებულ გამოცდილებებთან ბავშვებს შესაძლებლობას მისცემს შეამჩნიონ, ვიზუალიზაცია გაუკეთონ და გაიღრმავონ მიმდინარე მოვლენათა შესახებ ცოდნა. შესთავაზეთ ბავშვებს კამერა (წყალგაუმტარი, ციფრული), რომ ჩაწერონ მათთვის საინტერესო კადრები და ფორმები; წიგნად შეკარით შედეგები და დაუმატეთ ბავშვების კომენტარები. მოუსმინეთ და ჩაიწერეთ წვიმის წკაპუნის ხმა ფანჯრებზე, სახურავებზე, ფოთლებზე, საცოც კედელზე, ფოლგადაფარულ ქოლგებზე და სანიაღვრე მილებში. ამ ეფექტის გაძლიერება შეიძლება ბრეზენტის, კარვის ან ფანჩატურის მოწყობით (ან უბრალოდ მზის დიდი ქოლგის გამოყენებით), ისე რომ ჯგუფი

ერთად მყუდროდ მოთავსდეს შიგნით - წასახემსებლად, ამბის მოსაყოლად ან ტაშის შემოკვრით წვიმის ცეკვის შესასრულებლად. დიდი პლასტმასის კონტეინერები შეიძლება დოლებად გამოიყენოთ და ხის კოვზები დოლის ჩხირებად, იმისთვის, რომ ბავშვებმა რეაგირება მოახდინონ წვიმის ხმებზე, შეგრძნებებზე და ემოციებზე ბრეზენტის ქვეშ ან ღია ცისქვეშ.

მსოფლიოს იმ ადგილებში, სადაც წვიმა ჩვეულებრივი მოვლენაა, საოცრად ვრცელი ლექსიკა გააჩნიათ მის აღწერად და გრძნობების გამოსახატად. გაიხსენეთ ყველა ის სიტყვა და ფრაზა, რომლებიც დაკავშირებულია წყალთან და წვიმასთან, მოემზადეთ, რომ ეს თამაშით წარმოადგინოთ შესაბამის მომენტში და კონტექსტში, რათა ბავშვებმა შეძლონ ენის გამოყენება და თამაში, საკუთარი გამოცდილებებისა და გრძნობების თავისებურად გამოხატვით. გაითვალისწინეთ თავად წვიმის ხარისხი - ჟინჟღლი, თქორი, ნისლი, ჟუჟუნა წვიმა, გერილი, თავსხმა წვიმა, კოკისპირული წვიმა, გრიგალი, ქარიშხალი; ასევე ის ფრაზები, რომლებსაც ადგილობრივები იყენებენ, მაგალითად „გაწუწული", „გალუმპული", და სხვა.

კიდევ ბევრი კარგი სიტყვა და ფრაზა იქნება სხვა ენებშიც. შეაგროვეთ სიტყვები, რომლებიც აღწერენ წვიმის ზემოქმედებას ადამიანზე და ნივთებზე - სველი, უფრო სველი, ყველაზე სველი, გაჟღენთილი; როგორ იქცევა წყალი, როდესაც მოდის და გროვდება წვიმის დროს - წვეთი, შხაპუნი, ჩქაფუნი, ტყაპუნი, თხლაშუნი, ჩხრიალი, წვრილი ნაკადი, გაჟონვა, დინება, დაღვრა, თქრიალი, ღვარი, გადმოდინება, მოზვავება, კოკისპირული, ჩანჩქერი; და ბოლოს, უამრავი სიტყვა არსებობს წვიმის შედეგად დაგროვილი წყლის ასაღწერად - ნაკადული, გუბე, თხრილი, წყალდიდობა, აუზი, მდინარე, ტბა, ზღვა და ოკეანე.

წვიმის შემდეგ, დააკვირდით სად დაგროვდა წყალი და როგორ იმოქმედა გარე სივრცეზე. მიწის აშრობის დროს დარჩენილი წყლით დაამჩნიეთ ნაკვალევი ტოტებით, ცოცხებით, ფეხებითა და ბორბლებით. ბავშვები ისიამოვნებენ სველი დანადგარების გაშრობამდე ხვეტვით, ისიამოვნებენ ამ პასუხისმგებლობით და უფრო მეტს გაიგებენ იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებენ ნივთიერებები ჩვენს საოცარ სამყაროში. შეიძლება ზოგიერთმა ბავშვმა წვიმის წყლის შეგროვების ისეთი გზა გამოიგონოს, რომ ამ წყლის შენახვა ან შემდგომი გაწვიმებისას მისი მცენარეებთან

გაშვება გახდეს შესაძლებელი. გამოიყენეთ ყველა შესაძლებლობა იმისთვის, რომ გამოსცადოთ და გამოიკვლიოთ წყლის სხვადასხვა ფორმები - ცვარი, თრთვილი, ყინული და თოვლი - ამინდის შესაბამისად.

წყალი და სხვა რესურსები

წყლის სხვა მასალებთან შეზავებისთვის საჭირო ძირითადი რესურსები:

- სილა
- მიწა
- ქვიშა
- მცენარეული მასალა (მწვანილი, არატოქსიკური კენკრა, ბაბუაწვერები და სხვ.)
- კალათები მცენარეული მასალის შესაგროვებლად
- საპნის ფანტელები, ბუშტუკების ნარევი, სარეცხი სითხე, სიმინდის ფქვილი
- საცხობი ან საჭმლის მოსამზადებელი მოწყობილობა
- სამზარეულოს ჭურჭელი
- თასები შესაზავებლად

სურათი 1.4. ბავშვები ბუნებრივად აქცევენ ყურადღებას ამ ლამაზ, მომაჯადოვებელ და ამაღელვებელ ფენომენს

- პატარა კონტეინერები და ბოთლები (მაგალითად, სასტუმროს შამპუნის ბოთლები) ხუფებით
- მლესავის ინსტრუმენტები
- საპნის ბუშტების გასაბერი ჯოხები, სათქვეფელები, საცრები
- გამადიდებელი შუშები

სპეციალური მოწყობილობა ღვეზლების, ჩაშუშულის, წამლისა და სუნამოების დასამზადებლად

- საცხობი ფორმების, ლანგრების და პატარა ქვაბების არჩევანი
- დიდი და პატარა ზომის თასები და დოქები
- სამზარეულოს ჭურჭელი (ყოველდღიური და იშვიათი გამოყენების): კოვზები, სათქვეფი, კარტოფილის საჭყლეტი, ჩამჩები, პატარა ნიჩბები, მაშები, ნაყინის კოვზი, სახეხი, ნივრის საჭყლეტი და სხვა
- სამზარეულოს პიპეტი, პატარა პიპეტები, ძაბრები
- საწურები, ცხრილები და საცერები
- პატარა ფუნჯი, კვერცხის მოსახატი ფუნჯი, საწუწნი კამფეტის ჩხირები

სურათი 1.5. მეცნიერები დაკავებული არიან შეზავების ჯადოქრობით

- სხვადასხვა ფორმისა და ზომის ბოთლები, კონტეინერები (საჭმლისა და ჰიგიენის პროდუქტების პლასტმასის კონტეინერებს დიდი სათამაშო პოტენციალი აქვთ)
- სუპის პლასტმასის კონტეინერები მაღალფარდოვანი სახელებით
- საინტერესო და უჩეულო კონტეინერები, მაგალითად სოუსის ან საწებლის
- ვერცხლის, სპილენძისა და ბრინჯაოს ჩაიდნები, რძის დოქები და თასები (მეორეული)
- კვერცხის ჭიქები და ძალიან პატარა თასები
- პატარა ბოთლები (საკვების საღებავის ბოთლები იდეალურია), სოუსის ბოთლები, შოკოლადის რძის ბოთლები
- ფილთაქვა (ზომები და მასალები სხვადასხვაა, ქვის, თიხის და ხის)
- ტაიმერი, სასწორი, საზომი კომპლექტები
- ცომის გასაყვანი და დაფა
- მავთულის ბადის გასაგრილებელი ლანგარი
- საკონდიტრო მაკრატელი
- საპიკნიკე მოწყობილობა, ლანგარი, კოქტეილის პლასმასის ჭიქები და სანაყინეები
- მოსაყრელები (გასალამაზებლად)

მნიშვნელოვანია ბავშვებს წყლისა და სხვა, გარე სივრცეში ნაპოვნი ნივთიერებების შეზავების საშუალება ჰქონდეთ; წყლისა და სილის, მიწის, ყვავილების თუ ფოთლების შერევის პროცესიც და შედეგიც თერაპიული და ამაღელვებელია, რამაც შეიძლება არაჩვეულებრივად შეუწყოს ხელი წარმოსახვით თამაშებს. ბევრი პრაქტიკოსი თბილად იხსენებს ტალახისგან ღვეზლების, გულიაშების, წამლის თუ ვარდის ფურცლებისგან სუნამოს კეთების პროცესს. ეს აშკარად სასარგებლო გამოცდილებაა შვიდ წლამდე და კიდევ უფრო დიდი ასაკის ბავშვებისთვის. ორი და სამი წლის ბავშვებს იზიდავს ავსებისა და დასხმის, გარდაქმნისა და შერევის აქტივობები, კვლევა იმისა თუ „რა არის ეს?" და „რას აკეთებს ეს?". ფიზიკური ტრანსფორმაციის გამოწვევა წარმოსახვითი აზროვნების განვითრებას უწყობს ხელს - შეზავებული ნივთიერება ფინჯან ყავად, შაქრიან ჩაიდ გადაიქცევა, ან დაბადების დღის ტორტადაც კი. თუკი შეზავებას და „საჭმლის მზადებას" ყოველდღიურ საქმიანობად

ვაქცევთ, პროცესი დროთა განმავლობაში მკვეთრად შეიცვლება სირთულის და გამოყენებული უნარების თვალსაზრისით და ისეთ აქტივობებში გადაიზრდება როგორიცაა დაფქვა, გაცრა და გადასხმა; შესაბამისად კითხვა „რას აკეთებს ეს" გადაიქცევა „რა შეიძლება ამით გავაკეთო?" ბავშვებმა წყალთან შეზავებული სილა შეიძლება გამოიყენონ, როგორც კირდუღაბი მცირე ზომის აგურებით მშენებლობის ან კედლების გასამაგრებლად. ოთხი წლის ასაკის ბავშვებისთვის, ახალი კომბინაციების ფიზიკურად შექმნისას კითხვა „რა მოხდება თუ" მჭიდროდაა დაკავშირებული უფრო რთულ წარმოსახვით თამაშებთან, სადაც სუპები, მოთუშული ხორცი, ნაყინები, პასტა, პიცა და ბევრი სხვა კერძი მზადდება. ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში ასეთი აქტივობები ხელს უწყობს „რა გავაკეთო, რომ გამოვიდეს?" ეტაპზე გადასვლას და ეს ნაზავები ელექსირების, წამლების და კიდევ უფრო რთული მაგიური ნივთიერებების ფორმას ღებულობენ. ხუთ წელზე უფროს ბავშვებთან, კარგი ხელშეწყობის პირობებში, ასეთი აქტივობები უფრო კომპლექსური ლოსიონების და სუნამოების დამზადების უნარებს აღვივებენ, ალქიმიის მიმზიდველობასა და ფანტაზიის სრულ გამოყენებასთან ერთად.

სურათი 1.6. მასალების ფიზიკური ტრანსფორმაცია მარტივად იწვევს მათ წარმოსახვით ტრანსფორმაციასაც

პრაქტიკოსებმა იდენტიფიცირება უნდა მოახდინონ და დააფასონ სწავლების ეს ფენომენალური რესურსი. ეს უნდა გაუზიარონ მშობლებსაც, რათა მათ თავის მხრივ გაიაზრონ თუ რაოდენ სასარგებლოა ტალახიანი აქტივობები და ყველასთვის ხელმისაწვდომად უზრუნველყონ ასეთი გარემო. „ტალახის სამზარეულოები" ამის მიღწევის შესანიშნავი გზაა. ისინი უდიდესი პოპულარობით სარგებლობენ, როგორც საბავშვო ბაღებში, ასევე საცხოვრებელი სახლების ეზოებში მას შემდეგ, რაც ეს იდეა დიდ ბრიტანეთში 2011 წელს ბუკლეტის „ტალახიანი სამზარეულოს მოწყობა" სახით გავრცელდა (Making a Mud Kitchen, მეორე გამოცემა, 2018 - იხილეთ მეტი რესურსისთვის). კიდევ მოზარდებისათვის სცადეთ „ტალახის ლაბორატორიის" შექმნა, რომელიც ასტიმულირებს მეცნიერების მიმართ ინტერესს, კვლევას და ფანტაზიას.

საუკეთესო დამხმარე რესურსები შეიძლება შეგროვდეს სამზარეულოს ნაჩუქარი მოწყობილობებიდან - შესარევი თასები, გამოსაცხობი მოწყობილობები, პიპეტები, ფილთაქვა, პატარა ბოთლები, პატარა ნიჩბები და ხის კოვზები. მეორადი ქოთნები, როგორიცაა სუპის პლასტმასის კონტეინერები, პომიდვრის სოუსის და შამპუნის ბოთლები წარმოადგენენ სახურავების საინტერესო მექანიზმებს და მეორეული მოხმარების გზით გარემოსდაცვითი მიდგომის დანერგვის შესაძლებლობასაც იძლევიან. სუპების გამოგონილმა დასახელებამ, მაგალითად, მარკ და სპენსერის ბრენდის, შეუძლია წაახალისოს ბავშვები თავიანთ „სოუსებს" და „ჩაშუშულებს" ასეთივე ეგზოტიკური სახელები დაარქვან. მიმზიდველი და შეხებისთვის მგრძნობიარე კონტეინერებია ვერცხლის (EPNS), სპილენძისა და ბრინჯაოს ძველი ჩაიდნები, დოქები, თასები და სხვა. ამ ნივთების უკან ოჯახური ისტორიებია - სადღესასწაულო სუვენირები, ბებია-ბაბუების საქორწილო ნაკრებები, სამახსოვრო თასები და ა.შ. - რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე სწრაფი მოხმარებისა და ახლისკენ მისწრაფების სამყაროში. ამასთან ისინი მეტად გამძლეა ღია სივრცეში მოხმარებისთვის და არ იჟანგებიან, როგორც რკინის ჭურჭელი. გახსოვდეთ, რომ სათამაშოდ გამოსაყენებელი ნივთები ტექნოლოგიის მიმართ ინტერესის გაძღვიძებას უწყობს ხელს - ეს ნივთები ხომ ადამიანების მიერაა შექმნილი კონკრეტული დანიშნულებით

და გამოყენების წესებით. გაითვალისწინეთ თუ რამდენად კარგად ერგება ესა თუ ის ნივთი ბავშვების ხელებს იმისთვის, რომ ბავშვებმა გამოიყენონ და დაამზადონ რამე. ასევე, ისიც თუ როგორ შეიძლება მათი გამოყენებით გამოიწვიოთ და დაეხმაროთ საზრიანობის, სიძლიერისა და კონტროლის განვითარებას.

ახალი ნივთები მხოლოდ ეტაპობრივად შეიტანეთ, იმუშავეთ ბავშვებთან და ყურადღებით დააკვირდით, რათა დაინახოთ, თუ როგორ იყენებენ ამ ნივთებს და ასწავლეთ მათი უსაფრთხო გამოყენება. შეინახეთ ნივთები ეტიკეტირებულ კონტეინერებში, რომლებიც კარგად იწურება და აცალეთ ჰაერს კონტეინერში ცირკულირება რათა ნივთები კარგად გაშრეს. უმჯობესია ბავშვებმა მიწა გამოიყენონ არა ნარგავების, არამედ სათხრელი ზონიდან და თამაშის დასრულების შემდეგ შეზავებული მასალა უკან დააბრუნონ; ან გამოიყენეთ აგრარული მეურნეობის ცენტრებში შეძენილი მიწა. საუკეთესო მიდგომაა იმუშავოთ ბავშვებთან ერთად „ტალახის სამზარეულოს" ზონის მოწყობაზე, რათა გარე სივრცის ეს ზონა იყოს გარეთ თამაშისა და სწავლის ყოველდღიური, მთავარი და უწყვეტი ნაწილი. ამ საკითხთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ჯენ უაითისა და ლიზ ედუარდსის (Jan White and Liz Edwards) წიგნი "Mud Kitchen" („ტალახის სამზარეულო") (ამ თავის ბოლოს იხილეთ დამატებითი რესურსების ჩამონათვალი). ტალახის სამზარეულოები/ტალახის ლაბორატორიები განხილულია მეორე თავში.

ტალახის სამზარეულოში თუ ლაბორატორიაში თამაში თითოეულ ბავშვს საკუთარი ინტერესებისა და მოტივაციის შესაბამისად ჩართულობის შესაძლებლობას აძლევს; ამასთან, ეს პროცესი ბავშვებში უკონფლიქტო ინტერაქციას უზრუნველყოფს და ხელს უწყობს ერთად თამაშის ფონზე ემოციების მართვისა და სოციალური უნარების განვითრებას. ტალახით თამაშის პროცესში ბევრი იდეა და კონცეპტი ბუნებრივად ინერგება. ეს მარტივი აქტივობა ადრეული ასაკის ბავშვებს ეხმარება კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში, ამასთან ყველა ინტერესისა თუ თემის შესაბამისად არაჩვეულებრივი წიგნებიც არსებობს! ამ თავის ბოლოს წარმოდგენილი წიგნების სია მოიცავს წყლით თამაშების სხვადასხვა და არაჩვეულებრივ შესაძლებლობებს, შესაბამისი სამოტივაციო და გააზრებული მეთოდით. (რეკომენდებულია წიგნების დახურულ სივრცეში ან

წყლით თამაშების ადგილიდან მოშორებით, უფრო მშრალ, მართვად და სახალისო პირობებში გამოყენება).

მთელი რიგი რეცეპტების წიგნები გამიზნულადაა ჩართული რეკომენდაციების სიაში ბავშვებთან სწორედ ამ კონტექსტში გამოყენებისათვის. თითოეული მათგანი იმიტომ შეირჩა, რომ ისინი სავსეა იმ კერძების ფერადი ფოტოებით, რომლებსაც ბავშვები ახსენებენ „ტალახის სამზარეულოში" კერძების მომზადების დროს. მიწის ფერისა და ტექსტურის (თიხის შემცველობა) ან სხვა ხელმისაწვდომი მასალების შესაბამისად მომზადებული „კერძები" შეიძლება იყოს: ცხელი შოკოლადი, დაბადების დღის ტორტი, წვნიანი, ნაყინი, რძის-შეიკი, წვენი, ღვეზელი, ბლინები, პიცა, პასტა, სოსისი, ბურგერი და სხვა. სასარგებლო იქნება რეცეპტების წიგნების შეგროვება ბავშვების მიერ გამოვლენილი ინტერესების შესაბამისად, რათა შესაფერისი წიგნი მზად იყოს გამოყენებისთვის გარეთ თამაშების დასრულებისთანავე. ასეთი დასურათებული წიგნები შეიძლება გამოიყენოთ ბავშვების „ქმნილებების" გააზრებისა და აღიარებისათვის, ასევე საუბრებში პირადი გამოცდილებების არაფორმალურად გაზიარების წახალისებისთვის. ბავშვებმა შეიძლება ეს იდეები შემდგომ თამაშებში განავრცონ, რაც ხელს უწყობს კვლევის და ცდის საფუძველზე თამაშის სრულყოფას. ამ ასაკის ბავშვებისთვის დაწერილი რეცეპტები, დიდი ალბათობით, არ იქნება საინტერესო, თუმცა, უფრო დიდი ასაკის ბავშვებისთვის შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს საკუთარი რეცეპტების მომზადება. Mud Pies and Other Recipes „ტალახის ღვეზელები და სხვა რეცეპტები" (იხილეთ ქვემოთ მოცემულ სიაში) გვაჩვენებს თუ რა მარტივია ამის გაკეთება, ერიდეთ გართულებებს და ყურადღების გამახვილებას გამართულობაზე ან წერაზე!

ტალახის წებოვანი მასის მომზადებისას გართობის, კვლევისა და ხალისის აბსოლუტურად ახალი სფერო იხსნება წყალში ქაფის, სარეცხი საშუალების ან საპნის ფირფიტების დამატებით; მიეცით ბავშვებს ქაფის ბუშტების გამოსაშვები ჩხირები, სათქვეფები და საცრები. წარმოუდგენლად სახალისოა ნახევრად მყარი/ნახევრად თხევადი ნაერთის მომზადება სიმინდის ფქვილისა და წყლის შეზავებითაც, რომელიც ასევე თავისუფლად და საფუძვლიანად შეიძლება იქნეს შესწავლილი ღია სივრცეში.

ლექსები და სიმღერები:

Ding Dong Bell, Pussy's in the Well
Dr Foster Went to Gloucester
Five Little Raindrops
Five Little Speckled Frogs
I Hear Thunder
I'm a Little Teapot
Incy Wincy Spider
It's Raining, It's Pouring
It's Raining Men
Jack and Jill Went up the Hill
Mud, Mud, Glorious Mud
Rain on the Green Grass
Rain, Rain, Go Away
Row, Row, Row Your Boat
Singing in the Rain
Somewhere over the Rainbow
The Day I Went to Sea
The Rain in Spain
The Rainbow Song
Umbrella, Ella, Ella[1]

საბავშვო წიგნები სახლში წყლით თამაშისთვის:

შენიშვნა: (*) აღნიშნავს, რომ წიგნი 3-7 წლამდე ასაკის ბავშვებს უფრო შეეფერება

სარა გარლანდი (Sarah Garland) "*Doing the Washing*" (Francis Lincoln Children's Books 2009)

პამელა ალენი (Pamela Allen) "*Mr Archimedes' Bath"* (Puffin 1994)

ალან ალბერტი და ანდრე ამსტუცი (Allan Ahlberg & Andre Amstutz) "*Mrs Lather's Laundry"* (Puffin Books 2016)

ანიტა ჰიუვიტი (Anita Hewitt) "*Mrs Mopple's Washing Line"* (Red Fox 1994)

ჯოი ქოუვლი და ელიზაბეტ ფულერი (Joy Cowley & Elizabeth Fuller) "*Mrs Wishy-Washy"* (McGraw-Hill 1990)

---

1 ***მთარგმნელის შენიშვნა:*** წინამდებარე წიგნის ავტორები გვთავაზობენ სხვადასხვა საბავშვო სიმღერას, წვიმაში ბავშვების გასართობად. ეს სიმღერები წვიმის თემატიკაზეა. ქართულ რეალობაში გთავაზობთ იგივე სიმღერების სწავლებას ბავშვებისთვის, რაც დამატებითი ენობრივი უნარის განვითარების ხელშეწყობა იქნება, ან იგივე თემატიკის ქართულენოვანი სიმღერების სწავლება, მაგ. „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა", „წვიმავ, წვიმავ გადაიღე…" და სხვა.

ჯოი ქოუვლი და ელიზაბეტ ფულერი (Joy Cowley & Elizabeth Fuller) "*Mrs Wishy-Washy's Scrubbing Machine"* (Philomel Books 2005)

ჯოი ქოუვლი და ელიზაბეტ ფულერი (Joy Cowley & Elizabeth Fuller) "*Mrs Wishy-Washy's Splishy Sploshy"* (Philomel Books 2005)

იან უაიბროუ და ედრიან რეინოლდსი (Ian Whybrow & Adrian Reynolds) "*Romp in the Swamp"* (წიგნი და CD) (Puffin 2006)

საიმონ პატოქი და მერი მაკქილანი (Simon Puttock & Mary McQuillan) *"Squeaky Clean"* (Red Fox 2003)

ჯულია დონალდსონი და დევიდ რობერტსი (Julia Donaldson & David Roberts) *"The Flying Bath"* (Macmillan Children's Books 2015)

*ჯონ იომენი და ქვენტინ ბლეიკი (John Yeoman & Quentin Blake) *"The Wild Washerwomen"* (Andersen Press 2009)

მიკ ინკპენი (Mick Inkpen) *"Threadbear"* (Hodder Children's Books 2007)

ჯონ ბერნინგემი (John Burningham) *"Time to Get Out of the Bath, Shirley"* (Red Fox 1999)

ჯეზ ალბოროუს (Jez Alborough) *"Washing Line"* (Walker Books 2007)

გვენიზ სვუონი (Gwenyth Swain)*"Washing! (Small World Series)"* (Zero to Ten 2005)

საბავშვო წიგნები აუზის, მდინარისა და ზღვის წყლით თამაშებზე:

* კვენტინ ბლეიკი (Quentin Blake) *"A Sailing Boat in the Sky*" (Red Fox 2003)

ტონი მიტონი და გაი პარკერ-რისის (Tony Mitton & Guy Parker-Rees) *"All Afloat on Noah's Boat!"* (Orchard Books 2016)

სტელა ბლექსტოუნი და ნიკოლეტა სეკოლი (Stella Blackstone & Nicoletta Ceccoli) *"An Island in the Sun"* (Barefoot Books 2014)

კეს გრეი და გარი პარსონსი (Kes Gray & Garry Parsons) *"Billy's Bucket"* (Red Fox 2003)

ტონი მიტონი და ანტ პარკერი (Tony Mitton & Ant Parker) *"Brilliant Boats"* (Kingfisher 2012)

ჯონ ბარნინგემი (John Burningham) *"Come Away from the Water, Shirley"* (Red Fox 2000)

საიმონ პატოკი და სტეფან ლამბერტი (Simon Puttock & Stephen Lambert) *"Coral Goes Swimming"* (Hodder Children's Books 2000)

ტონი მიტონი და გაი პარკერ-რიზი (Tony Mitton & Guy Parker-Rees) *"Down by the Cool of the Pool*" (Orchard Books 2016)

* დევიდ ვიზნერი (David Wiesner) *"Flotsam"* (Andersen Press 2006)

მენი ჰადითი და ადრიენ კენევეი (Mwenye Hadithi & Adrienne Kenaway) *"Hot Hippo"* (Hodder Children's Books 1986)

ალისონ ლესტერი (Alison Lester) *"Magic Beach"* (Allen & Unwin 2004)

ჯონ ბერნინგემი (John Burningham) *"Mr Gumpy's Outing"* (Red Fox 2001)

ლუსი კოლინსი (Lucy Collins) "*Noah's Ark"* (Walker Books 2013)

ტონი მიტონი და სელინა იანგი (Tony Mitton & Selina Young) *"Once upon a Tide"* (Picture Corgi 2006)

მაიკლ ფორმანი (Michael Foreman) *"One World"* (Anderson Press 2011)
ჯონ იომანი და კვენტინ ბლეიქი (John Yeoman & Quentin Blake) *"Sixes and Sevens"* (Andersen Press 2011)
ლეო ლიონი (Leo Lionni) *"Swimmy"* (Andersen Press 2015)
მარტინ ვედელი და ჯენიფერ იჩუსი (Martin Waddell & Jennifer Eachus) *"The Big Big Sea"* (Walker Books 2009)
როს მუელერი და ქრეიგ სმიტი (Ross Mueller & Craig Smith) *"The Boy Who Built the Boat"* (Allen & Unwin 2010)
* სკოტ მენი და ნილ გრიფიტსი (Scott Mann & Neil Griffiths) *"The Journey"* (წიგნი და CD) (Red Robin Books 2012)
რონდა არმიტაჯი და დევიდ არმიტაჯი (Ronda Armitage & David Armitage) *"The Lighthouse Keeper's Lunch"* (Scholastic 2017)
ლინლი დოდი (Lynley Dodd) *"The Other Ark"* (Puffin Books 2006).
ედვარდ ლეარი და იან ბეკი (Edward Lear & Ian Beck) *"The Owl and the Pussy Cat"* (Corgi Children's 1996)
მარტინ უადელი და ჯილ ბარტონი (Martin Waddell & Jill Barton) *"The Pig in the Pond"* (Walker Books 2006)
* გრემი ბეისი (Graeme Base) *"The Water Hole"* (Puffin Books 2004)
ლორა პარდი სალისი და ვიოლეტა დაბიჟა (Laura Purdie Salis & Violeta Dabija) *"Water Can Be…"* (Millbrook Press 2014)
სუზი ლიი (Suzy Lee) *"Wave"* (Chronicle Books 2008)
ჯუდით ნიკოლისი და რობინ დევისი (Judith Nicholls & Robin Davies) *"Who Am I?"* (Picture Ladybird 1999)
პამელა ალენი (Pamela Allen) *"Who Sank the Boat?"* (Puffin 1988)

საბავშვო წიგნები წვიმაში თამაშებზე:

შირლი ჰიუსი (Shirley Hughes) *"Alfie's Feet"* (Red Fox 2009)
ვერნა აარდემას და ბიატრის ვიდალი (Verna Aardema & Beatriz Vidal) *"Bringing the Rain to Kapiti Plain"* (Macmillan Children's Books 2019)
ტონი როსი და ჯინ უილისი (Tony Ross & Jeanne Willis) *"Daft Bat"* (Andersen Press 2007)
პენი დენის (Penny Dann) *"Incey Wincey Spider"* (Little Orchard 2003)
* კარლა კასკინი და რეგ კარტრაითი (Karla Kuskin & Reg Cartwright) *"James and the Rain"* (Simon & Schuster Books for Young Readers 1995)
* დევიდ კონვეი და ჯუდ დელი (David Conway & Jude Daly) *"Lila and the Secret of Rain"* (Frances Lincoln Children's Books 2009)
ბილ მარტინ ჯნ., ჯონ არჩამბაულტი და ჯეიმს ენდიკოტი (Bill Martin Jr, John Archambault & James Endicott) *"Listen to the Rain"* (Henry Holt & Company 1988)
მიკ ინკპენი (Mick Inkpen) *"Kipper's Rainy Day"* (Hodder Children's Books 2001)
შირლი ჰიუსის (Shirley Hughes) *"Ollie and Me: Out and About"* (Walker Books 2005)
ბიატრის ალემანა (Beatrice Alemagna) *"On a Magical Do-Nothing Day"* (Thames & Hudson 2018)

ემ ქრისტინა ბატლერი და ტინა მაკნაუტონი (M Christina Butler & Tina Macnaughton) *"One Rainy Day"* (Little Tiger Press 2008)

კირსტი მურეი და კარენ ბლერი (Kirsty Murray & Karen Blair) *"Puddle Hunters"* (Allen & Unwin 2019)

ჯონათან ლონდონი (Jonathan London) *"Puddles"* (Puffin Books 1997)

კეთრინ ჩემბერსი (Catherine Chambers) *"Rain*" (აფრიკული ამბავი) (A&C Black 2010)

სემ აშერი (Sam Usher) *"Rain"* (Templar Publishing 2016)

ეიპრილ პული სეირი (April Pulley Sayre) *"Raindrops Roll"* (Beech Lane Books 2015)

მერი ლინ რეი და ლორენ სტრინგერი (Mary Lyn Ray & Lauren Stringer) *"Red Rubber Boot Day"* (Voyager Books 2005)

ტიმ ჰოფგუდი, არტურ ფრიდი და ნაციო ჰერბ ბრაუნი (Tim Hopgood, Arthur Freed & Nacio Herb Brown) *"Singing in the Rain"* (Oxford University Press 2017)

მიკ ინკპენი (Mick Inkpen) *"Splosh!* (Little Kippers)" (Hodder Children's Books 1998)

"The Biggest Muddy Puddle in the World (Peppa Pig)" (Ladybird 2012)

ანნა მილბურნი და სარა ჯილი (Anna Milbourne & Sarah Gill) *"The Rainy Day'* (Usborne Publishing 2012)

* რასსელ ჰობანი და კვენტინ ბლეიკი (Russell Hoban & Quentin Blake) *"The Rain Door"* (Walker Books 2014)

ედი ბოსუელი და ერიკ ველასკესი (Addie Boswell & Eric Velasquez) *"The Rain Stomper"* (Two Lions 2008)

* ბარბარა ტოდი (Barbara Todd) *"The Rainmaker"* (Annick Press 2003)

გრეჰემ ბეიკერ-სმიტი (Graham Baker-Smith) *"The Rhythm of the Rain*" (Templar Publishing 2018)

ილ სუნგ ნა (Il Sung Na) *"The Thingamabob"* (Meadowside Children's Books 2008)

ბენ ფოლკსი და ბენ კორტი (Ben Faulks & Ben Cort) *"Watch Out for Muddy Puddles"* (Bloomsbury Children's Books 2016)

ნორმა საიმონი (Norma Simon) *"Wet World"* (Walker Books 1995)

უონგ ჰერბერტ იი (Wong Herbert Yee) *"Who Likes Rain?"* (McGraw-Hill Education 2010)

საბავშვო წიგნები წყლის შესახებ:

ბარბარა კერლეი (Barbara Kerley) A Cool Drink of Water (National Geographic 2007)

სელი ჰიუვიტი (Sally Hewitt) *"A Walk by the River"* (Franklin Watts 2012)

ტომას ლოკერი (Thomas Locker) *"Cloud Dance"* (Houghton Mifflin Harcourt 2000)

"Let's Look at a Puddle (Material Detectives: Water)" (Raintree Publishers 2007)

ჯეიმს კარტერი და ნომოკო (James Carter & Nomoco) "*Once upon a Raindrop: The Story of Water"* (Caterpillar Books 2018)

ქეთრინ ჩემბერსი (Catherine Chambers) *"Rain: An African Tale*" (A&C Black 2010)

მიკ მენინგი და ბრიტა გრენსტორმი (Mick Manning & Brita Granstrom) *"Splish, Splash, Splosh! A Book About Water"* (Franklin Watts 2014)
სემ გუდვინი (Sam Goodwin) *"The Drop Goes Plop: A First Look at the Water Cycle"* (Hodder Wayland 2004)
ჯოანა გრეის და დუბრავკა კოლანოვიჩი (Joanna Gray & Dubravka Kolanovic) *"The Little Raindrop"* (Imagine That Publishing 2013)
შერონ კატც კუპერი (Sharon Katz Cooper) *"Using Water (Exploring Earth's Resources Series)"* (Harcourt Education 2007)
კესი მეიერი (Cassie Mayer) *"Water"* (Pearson Education 2008)
ფრენკ ეში (Frank Asch) *"Water"* (Voyager Books 2000)
ტომას ლოკერი (Thomas Locker) "Water Dance" (Houghton Mifflin Harcourt 1997)
* ნიკოლა ედუარდსი და ჯეინ ჰარისი (Nicola Edwards & Jane Harris) "*Water: Exploring the Science of Everyday Materials"* (A&C Black 2002)
სარა ლევეტი (Sarah Levete) *"Water: The Tale of One Well"* (A&C Black 2010)
მონიკა ჰიუსი (Monica Hughes) *"What Is an Ocean? (The World Around Us)*" (Harcourt Education 2005)
მირანდა ეშველი და ენდი ოუვენი (Miranda Ashwell & Andy Owen) *"What Is Weather: Rain"* (Heinemann Library) (Reed Educational & Professional Publishing 2002)

წიგნები ტალახის სამზარეულოში შეზავებაზე და თამაშზე:

ანდრეა ბიტი და დევიდ რობერტსი (Andrea Beaty & David Roberts) *"Ada Twist, Scientist"* (Abrams Books for Young Readers 2016)
პიპა გუდჰარტი და ლიზი ფინლეი (Pippa Goodhart & Lizzie Finlay) *"Chapati Moon"* (Tamarind 2017)
ჰელენ კუპერი (Helen Cooper) *"Delicious"* (Picture Corgi 2007)
* როალდ დალი და კვენტინ ბლეიკი (Roald Dahl & Quentin Blake) *"George's Marvellous Medicine"* (Puffin 2016)
ლორენ ჩაილდი, პოლი ბორლანდი და ემილი ჯენკინსი (Lauren Child, Polly Borland & Emily Jenkins) *"Goldilocks and the Three Bears"* (Puffin 2009)
როუზ იმპი (Rose Impey) *"Joe's Café"* (Orchard Books 1993)
* მერი ჩემბერლინი, რიჩ ჩემბერლინი და ჯულია კეირნსი (Mary Chamberlin, Rich Chamberlin & Julia Cairns) *"Mama Panya's Pancakes: A Village Tale from Kenya"* (Barefoot Books 2013)
* ბეზ შოსანი და ქეთი პამმენტი (Beth Shosan & Katie Pamment) *"Memory Bottles"* (Meadowside Children's Books 2004)
ლინ რეი და ლორენ სტრინგერი (Lyn Ray & Lauren Stringer) *"Mud Mary"* (Voyager Books 1996)
სიუ ბიუკენანი და დანა შაფერი (Sue Buchanan & Dana Shafer) *"Mud Pie Annie"* (Zonder Kids 2001)
მარჯორი უინსლოუი და ერიკ ბლეგვადი (Marjorie Winslow & Eric Blegvad) *"Mud Pies and Other Recipes"* (The New York Review of Children's Collection, 2010 – originally 1961)

რობერტ მუნში და სამი სუომალაინენი (Robert Munsch & Sami Suomalainen) *"Mud Puddle"* (Annick Press 2019)
შირლი ჰიუსი (Shirley Hughes) *"Mudlarks" in Out and About"* (Walker Books 2016)
ერიკ კარლეს (Eric Carle) "*Pancakes, Pancakes"* (Aladdin Paperbacks 1998)
ლოის ეჰლერტი (Lois Ehlert) *"Pie in the Sky"* (Harcourt Inc 2004)
ლინ პლოურდი და ჯონ შოენჰერი (Lynn Plourde & John Schoenherr) *"Pigs in the Mud in the Middle of the Road"* (Down East Books 1997)
პიტერ ბენტლი და სერნურ ისიკი (Peter Bently & Sernur Isik) *"Potion Commotion"* (Scholastic 2016)
კორნელია ფუნკეს და კერსტინ მეიერი (Cornelia Funke & Kerstin Meyer) "*Princess Pigsty*" (Chicken House 2007)
* რობინ ტზანესი და კორკი პოლი (Robin Tzannes & Korky Paul) *"Professor Puffendorf's Secret Potions"* (Oxford University Press 2008)
ჰელენ კუპერი (Helen Cooper) *"Pumpkin Soup"* (Picture Corgi Books 1999)
ემილის გრავეტი (Emily Gravett) *"Spells"* (Macmillan Children's Books 2008)
კლერ ფრიდმანი და სიუ ჰენდრა (Claire Freedman & Sue Hendra) *"Spider Sandwiches"* (Bloomsbury Children's Books 2013)
ჯეს სტოკჰემი (Jess Stockham) *"Stone Soup"* (Child's Play 2006)
გერი პარსონსი და ჯეინ კლარკი (Garry Parsons & Jane Clarke) *"Stuck in the Mud"* (Puffin 2007)
როზი დიკენსის, კარლ გორდონი და მაილს გორდონი (Rosie Dickens, Carl Gordon & Miles Gordon) *"The Magic Porridge Pot"* (Usborne Publishing 2012)
* ბეთსი ჯეიმსი და პოლ მორინი (Betsy James & Paul Morin) *"The Mud Family"* (Oxford University Press 1998)
ბაბეტ კოლი (Babette Cole) *"The Slimy Book"* (Red Fox 2003)
ნიკ შარატი (Nick Sharratt) *"What's in the Witch's Kitchen?"* (Walker Books 2018)

რეცეპტების წიგნი ტალახის სამზარეულოში თამაშზე:

რეიჩელ კარტერი (Rachel Carter) *1 Base 50 Pizz*as (Parragon Books 2011)
200 Cocktails: All Colour Cookbook (Hamlyn 2008)
Bountiful Bowls: Fresh, Vibrant and Nutritious Flavours in a Bowl Love Food (Parragon Books 2017)
Cooking with Flowers: Sweet and Savoury Recipes with Rose Petals, Lilacs, Lavender and Other Edible Flowers Mich Bacher (Quirk Books 2013)
ჰანა მაილსი (Hannah Miles) *Doughnuts: Delicious Recipes for Finger-Licking Treats* (Ryland Peters & Small 2012)
Fantastic Cocktails & Mixed Drinks Family Circle (Murdock Books 1994)
ჰანა მაილსი (Hannah Miles) *Hot Chocolate: Rich and Indulgent Winter Drinks* (Ryland Peters & Small 2015)
მორფუდ რიჩარდსი (Morfudd Richards) *Lola's Ice Creams & Sundaes: Iced Delights for All Seasons* (Ebury Press 2009)
ჰანა მაილსი (Hannah Miles) *Milkshake Bar: Shakes, Malts, Floats and Other Soda Fountain Classics* (Ryland Peters & Small 2016)

ჰანა მაილსი (Hannah Miles) *Pancakes, Crepes, Waffles and French Toast: Irresistible Recipes from the Griddle* (Ryland Peters & Small 2014)
ჰანა მაილსი (Hannah Miles) *Sundaes and Splits: Delicious Recipes for Ice Cream Treats* (Ryland Peters & Small 2010)
ბობი ნიუვლინ-ჯონსის რედაქტორობით (Bobby Newlyn-Jones) (editor) *Super Juicing* (Igloo Books 2017)
The Australian Women's Weekly range of small, full-colour illustrated recipe books, including Café Cakes; Cheesecakes, Pavlovas & Trifles; Jams & Jellies; Pickles & Chutneys; Casseroles; Curries; Outdoor Eating; Pasta Sauces and many others (ACP Publishing various dates)
The Australian Women's Weekly *The Essential Soup Cookbook* (Bauer Media Books 2000)
ემილი ელსენი და მელისა ელსენი (Emily Elsen & Melissa Elsen *The Four & Twenty Blackbirds Pie Book: Uncommon Recipes from the Celebrated Brooklyn Pie Shop* (Grans Central Publishing 2013)
ჯაკლინ ბელაფონტეინი (Jacqueline Bellafontaine) *What's Cooking Barbeque* (Parragon Plus 2000)

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები - წიგნები წყლის თემებზე

Parkstone პრესა "Bridges" (Parkstone Press International 2010) – დიდი ფერადი ფოტოების ზღაპრული კოლექცია მდინარეების შესახებ
დენიელ როზენშტროში და შირი სლევინი "Brush" (Daniel Rozensztroch & Shiri Slavin) (Pointed Leaf Press 2005) – ყველა დანიშნულებისა და დიზაინის საყოფაცხოვრებო ფუნჯების შესანიშნავი ფოტო კოლექცია
როს ბეილი, ლინ ბორადბენტი და სალი ფეზერსტოუნი (Ros Bayley, Lynn Boradbent & Sally Featherstone) "Carrying on in Key Stage 1: Water" (Featherstone 2011)
ინგრიდ შალუფოური და კარენ უორსი (Ingrid Chalufour & Karen Worth) "Exploring Water with Young Children" (Redleaf Press 2005)
კლერ უარდენი (Claire Warden) "Fascination of Water: Puddles" (Mindstretchers 2013) – წვიმაში და გუბეებში თამაშისგან სარგებლის მიღებაზე, ფერადი ფოტოთი
ბეატრის ჰოლიერი და ოქსფამი (Beatrice Hollyer & Oxfam) "Our World of Water" (Frances Lincoln Children's Books 2008) – ბავშვების წყალთან ერთად ყოველდღიური ცხოვრების შესახებ ამბების შესანიშნავი ნაკრები დედამიწის ყველა კუთხიდან
ვალ კორბეტი (Val Corbett) "Rainy Days in the Lake District" (Frances Lincoln 2012) – ლეიკის უბანში ფოტოგრაფის მიერ დანახული წვიმა და წყალდიდობა
ევან სლეიტერი და პიტერ ტარასი (Evan Slater & Peter Taras) "Swell: A Year of Waves" (Chronicle Books 2012) – მსოფლიო ზღვებისა და ოკეანეების ტალღების ფერადი ფოტოები
სალი ფეზერსტოუნი და რებეკა სავანია (Sally Featherstone & Rebecca Savania) "The Little Book of Sand and Water" (2nd edition Featherstone 2014) – ორიგინალური პატარა წიგნებიდან ერთ-ერთი, მრავალფეროვანი აქტივობით, როგორც დახურული, ასევე ღია სივრცისთვის

ფიონა დანკსი და ჯო შოლფილდი (Fiona Danks & Jo Scholfield) “The Wild Weather Book: Loads of Things to Do Outdoors in Rain, Wind and Snow” (Frances Lincoln 2013) – შესანიშნავი იდეები წვიმიან დღეებში, წვიმის შემდეგ (ტალახის ჩათვლით) და სუსხიან დღეებში (ყველა ასაკის ბავშვებისთვის) თამაშისთვის

მარკ დენტონი (Mark Denton) “The Yorkshire Coast” (Frances Lincoln 2006) – სანაპიროებისა და ზღვის არაჩვეულებრივი, ფერადი ფოტოების ნაკრები

სტივ ჰოუკი (Steve Hawk) “Waves” (Chronicle Books 2005) – სხვადასხვანაირი ტალღების ლამაზი, დიდი ფერადი სურათები

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები - სხვა წყაროები წყლის თემებზე

ტბების, მდინარეების, ჩანჩქერების, ტალღების, ოკეანეების, წყალქვეშა სამყაროს, სანაპიროების, გემების, შუქურების, ამინდის და ა.შ. სურათებიანი კალენდარები შეიძლება ინტერნეტში ვიპოვოთ და წარმოადგენენ შთაგონებისა და საუბრის ხელშემწყობ ძალიან ხელმისაწვდომ ნაკრებს (გარეთ გამოყენებისთვის გაუკეთეთ ლამინირება)

„Google” სურათებში იპოვით წყლის შხეფების, წვეთების, ჭავლების, ტალღებისა და წყლისა თუ წვიმის სხვა მახასიათებლების სურათებს - სცადეთ ასევე „Flickr” და სხვა სურათების საიტები ინტერნეტში

“Let The Children Play” ვებ-გვერდზე ბევრ რესურსს იპოვით წყლის თამაშების, წყლის კედლებისა და ტალახის სამზარეულოების შესახებ, ასევე სხვა ბლოგებისა და “Pinterest”-ის საიტებზე ფანტასტიურ იდეებს და სურათებს იხილავთ ბმულზე: www.letthechildrenplay.net and www.facebook.com/letchildrenplay

წიგნი “Outdoor Learning Cards Portable Ideas: Puddles Claire Warden” (Mindstretchers 2013) – ძალიან მარტივი და წარმოსახვითი ფოტოები, პატარა ზომის, ლამინირებულია გარეთ გამოსაყენებლად

Oxfam მასწავლებლების ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია და რესურსები ადამიანების

ცხოვრებაში წყლის როლის მნიშვნელობის შესახებ www.oxfam.org.uk/education/resources/water-week

სიუ დინვიდი (Sue Dinwiddie) “Playing in the Gutters: Enhancing Children’s Cognitive and Social Play” www.communityplaythings.co.uk/learning-library/articles/playing-in-the-gutters

“Singing in the Rain DVD” (Warner Home Video) – ჯინ კელის ცეკვა თავსხმაში

“Water Aid” ვებ-გვერდი - ინფორმაცია და რესურსების სამყაროში ბავშვების ცხოვრებაში წყლის როლის შესახებ, www.wateraid.org/uk/get-involved/teaching/ks1-resources

რობ გილი (Rob Gilley) “Waves” (Chronicle Books 2008) – წიგნი ტალღების ამსახველი 30 ფერადი ბარათით

მსოფლიო წყლის დღე ყოველწლიურად 22 მარტს აღინიშნება გაეროსა და სხვა ორგანიზაციების მიერ. http://worldwaterday.org

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები - შეზავება და ტალახის სამზარეულოებში თამაში

დიდ ბრიტანეთში და მის საზღვრებს მიღმა ტალახის სამზარეულოების ქეის სთადი, სხვა აქტივობებთან ერთად, www.muddyfaces.co.uk/activity_category/outdoor-play

საერთაშორისო ტალახის დღე აღინიშნება ადრეული ზრუნვისა და განათლების მსოფლიო ფორუმის ფონდის მიერ ყოველწლიურად 29 ივნისს https://worldforumfoundation.org/workinggroups/nature/mud-day

ჯენ უაითი და ლიზ ედუარდსი (Jan White & Liz Edwards) "Making a Mud Kitchen" (Muddyfaces 2011, 2nd edition 2018) – შესანიშნავი და დეტალური ბუკლეტი ტალახით თამაშის ხელშეწყობისა და განვითარების ყველა ასპექტის შესახებ, არაჩვეულებრივი სურათებითა და დამატებითი რესურსების სიით. ხელმისაწვდომია ხორვატიულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ბერძნულ, იტალიურ, უნგრულ, უელსურ, პორტუგალიურ და ესპანურ ენებზე, უფასო ჩამოტვირთვა შესაძლებელია შემდეგი ვებ-გვერდიდან - Muddy Faces' Outdoor Hub, www.muddyfaces.co.uk/outdoor-hub/mud

ალისონ ნორმანი და ჯანეტ სმიტი (Alison Norman & Janette Smith) "Mud Kitchens and Beyond: 50 Exciting Ideas for Investigative Play" (Lawrence Educational 2016) – გვაცნობს დამატებით წიგნებს აქტივობების გასაზიარებლად

"Muddy Faces" ინფორმაცია ტალახის სამზარეულოსთვის მთელი რიგი რესურსების, მათ შორის ჯენ უაითის მიერ შემუშავებული აქტივობების სპეციალური ნაკრებების შესახებ, www.muddyfaces.co.uk/product-category/play-learning/mud-sand-water-play/mud-kits

"Muddy Faces" ყოველწლიურად წარმოგვიდგენს რესურსებს, რომლებიც ხელს უწყობს ტალახის საერთაშორისო დღის ჩატარებას – იხილეთ მთელი რიგი მასალებისა „ტალახის შეკვრაში", www.muddyfaces.co.uk/outdoor-hub/mud

ქლერ უარდენი (Claire Warden) "Outdoor Learning Cards Portable Ideas: Mud" (Mindstretchers 2013) – ძალიან მარტივი და წარმოსახვითი ფოტო მასალა, ჯიბის ზომის, ლამინირებული გარეთ გამოსაყენებლად

"The Cosy" კატალოგი მოიცავს ბევრ არაჩვეულებრივ რესურსს გარე სივრცეში ტალახში თამაშების ხელშესაწყობად და გასავრცობად www.cosydirect.com

ბეკი ჯენსენი და ჯული ბალარდი (Becky Jensen & Julie Bullard) "The Mud Centre: Recapturing Childhood", www.communityplaythings.co.uk/learning-library/articles/the-mud-centre

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები - რესურსები და ტანსაცმლის მარაგი

"Early Excellence"-ში ხელმისაწვდომია გარე სივრცეში წყლის თამაშების მთელი რიგი რესურსი, http://earlyexcellence.com/product-category/outdoor-3-7-years/outdoor-essentials

"Learning through Landscapes" მხარდამჭერებსა და წევრებს გვიზიარებს ინფორმაციას წყლის თამაშთან დაკავშირებით, წყლის მახასიათებლებსა

და საწვიმარების მომწოდებლებთან დაკავშირებით, www.ltl.org.uk

“Mindstretchers” გვაწვდის მაღალი ხარისხის საწვიმარებსა და სხვა რესურსებს წვიმაში სასეირნოდ, სარბენად და საშხაპუნოდ www.minstretchers.co.uk

“Muddy Faces” არის რესურსების არაჩვეულებრივი მომწოდებელი, რომლებიც ორიენტირებულია გარე თამაშებზე წყლით, მათ შორის დიდი, გამძლე, გამჭირვალე ბრეზენტებისა და საწვიმარების, www.muddyfaces.co.uk/product-category/play-learning/mud-sand-water-play/water-play

“The Cosy” კატალოგი მოიცავს ბევრ არაჩვეულებრივ რესურსს ღია ცის ქვეშ წყლით თამაშების ხელშესაწყობად და გასავრცელებლად, მათ შორის ტანსაცმელს www.cosydirect.com

დასკვნა

- წყალი მომაჯადოვებელი, თერაპიული და ადრეული ასაკის ბავშვების განვითარების პოტენციალით აღსავსე რესურსია და შესაბამისად, ნებისმიერი დაწესებულების გარე უზრუნველ-ყოფის მთავარი ინგრედიენტია;
- წყალი ჩვენს პლანეტაზე არსებულ ელემენტებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანისთვის. შესაბამისად საჭიროა, რომ ბავშვებს ჰქონდეთ წყალთან ინტერაქციის, მისი შესწავლისა და დაფასების ბევრი შესაძლებლობა, რათა მთელი ცხოვრება იზრუნონ მასზე, როგორც შეზღუდულ რესურსზე;
- წყლით თამაშები დაუსრულებელი და საინტერესო აქტივობე-ბის წყაროს წარმოადგენს ადრეული ასაკის ბავშვების სასწავ-ლო პროგრამაში, ხელს უწყობს მათ სწავლასა და განვითარების ყველა სფეროში;
- აუცილებელია შესაფერისი წყალგაუმტარი ტანსაცმელი და უფროსების ენთუზიაზმი ღია სივრცეში წყლით წარმატებული და ეფექტური თამაშებისთვის;
- ღია სივრცეში წყლით თამაშის გზით ბავშვებმა მაქსიმალური სარგებელი უნდა მიიღონ, შეავსონ და გააფართოვონ დახურულ სივრცეში და სახლში მიღებული გამოცდილებები;
- ღია სივრცეში თამაში სხვადასხვა ფორმის შეიძლება იყო და მისი შეთავაზება წლის ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი;
- ადრეული ასაკის ბავშვებს უყვართ წვიმა: მიიღეთ მაქსიმალური სარგებელი თავად წვიმისგან და გააუმჯობესეთ წყლით თამაშები - გახადეთ ისინი ხელმისაწვდომი წვიმიან დღეებში;

- წყლით თამაშით მიღებული სარგებელი იზრდება, როცა ბავშვებს ეხმარებიან წყლის სხვა - გარეთ მოძიებულ მასალებთან შეზავებაში, მაგალითად სილასთან, მიწასთან და მცენარეებთან;
- უწყვეტი გარე უზრუნველყოფა ყველაზე ეფექტურია, როცა ბავშვებს აქვთ კონტეინერში ჩასხმული წყლით თამაშის, მოშვებული/გამდინარე წყლის შესწავლის, წყლის სხვა მასალებთან შერევისა და წვიმაზე რეაგირების შესაძლებლობა;
- მნიშვნელოვანია შევამჩნიოთ, დავაფასოთ და გავაზიაროთ სწავლების მთელი სპექტრი, რომელსაც ადამიანები ღია ცის ქვეშ წყლით თამაშში მონაწილეობით იღებენ: ამ თამაშით ბავშვები ბევრ რამეს გვაჩვენებენ თავიანთი კომპეტენციის, ინტერესებისა და განვითარების შესახებ;
- წყლით თამაში წარმოადგენს მის სილამაზესთან, საოცრებასთან და ღირებულებასთან ღრმა მიჯაჭვულობის ჩამოყალიბების ყველაზე სარწმუნო მეთოდს. გამოიყენეთ ეს, რათა ჩამოაყალიბოთ იმის გაგება, რომ წყალი ჩვენი პლანეტის შეზღუდული და ძვირფასი რესურსია და თითოეულ ჩვენგანს შეუძლია და უნდა გაუფრთხილდეს მას მომავალში.

სურათი 1.7. საოცარ და ძვირფას რესურსთან ურთიერთობის ჩამოყალიბება

თავი 2
გარეთ თამაში ბუნებრივი მასალებით

ამ თავში განხილულია შემდეგი საკითხები:

- ბუნებრივი მასალები და ადრეული ასაკის ბავშვების თამაში ღია სივრცეში
- ბუნებრივი მასალები რას თავაზობს ადრეული ასაკის ბავშვებს?
- სად მოვიპოვით სასარგებლო ბუნებრივი მასალები კვლევისა და თამაშისთვის?
- ბუნებრივი მასალების მიწოდება ღია სივრცეში
    - ქვიშა
    - ნიადაგი
    - ხრეში
    - სხვა ბუნებრივი მასალები
- ბუნებრივ მასალებთან გამოსაყენებელი რესურსები
- როგორ მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი ბუნებრივი მასალებისგან
- საბავშვო წიგნები, ლექსები და სიმღერები
- დამატებითი ინფორმაცია და რესურსები

ბუნებრივი მასალები და ადრეული ასაკის ბავშვების თამაში ღია სივრცეში

ბავშვობაში, გარეთ თამაშისას დროის დიდ ნაწილს ბუნებრივ მასალებთან ინტერაქციას ვუთმობდი, განსაკუთრებით დიდ დროს ჩემს და-ძმებთან ერთად ქვიშით სავსე ორმოში ვატარებდი, რომელიც სამშენებლო ქვიშით შევსებული ერთი ჩვეულებრივი ორმო იყო. ჩვენ ავსტრალიამდე უნდა გაგვეთხარა გვირაბი ან მინიმუმ, ჩვენი მეზობლის ბაღამდე უნდა მიგვეღწია, რაშიც ჩვენი ენთუზიაზმით აღსავსე ძაღლიც გვეხმარებოდა. ფოთლებით და ქვებით სხვადასხვა კერძებს ვამზადებდი და ყველა შესაძლო ზედაპირს სველი, ტალახიანი ნარევით ვღებავდი. სკოლიდან სახლისკენ მიმავალ გზაზე სარეველა მცენარეებს ვკრეფდი, შემ-

დეგ ჯემის პატარა ქილებში ვანაწილებდი, ვარდის ფურცლებისგან სუნამოს ვამზადებდი და პაწაწინა ბოთლებში გასაყიდად ვასხამდი; ზღვისპირეთში მოგზაურობისას შეგროვებული ნიჟარებისგან სხვადასხვა მოტივებს ვქმნიდი, ქვების და კენჭების „განძეულობას" ვაგროვებდი, რომლებიც ყველაზე მიმზიდველი და ძვირფასი მეჩვენებოდა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ თამაშებმა დიდი წვილილი შეიტანეს ჩემს უსასრულო სიყვარულში ბუნებრივი სამყაროსადმი და მის შესახებ ყველაფრის შესწავლის ძლიერი ინტერესის გაღვივებაში. ჩემი ოთხი წლის ქალიშვილი მთელი ზაფხულის განმავლობაში სხვადასხვა „საჭმელს" აკეთებდა სამზარეულოს პროდუქტებისგან; იგი ფქვილს და შაქარს ურევდა სხვა მასალებს, რომლებსაც ბაღში პოულობდა - ნიადაგს, ხრეშს, ფოთლებს, კენკრას, წყალს. უმეტესად იგი რაღაცეებს აფრქვევდა, ურევდა და ამ ნაერთებს ასხამდა ერთმანეთში. კმაყოფილებით და გაკვირვებით ვაკვირდებოდი ამ საოცრად ცნობისმოყვარე, გამომგონებელ და წარმოსახვით აღსავსე ბავშვს, რომელსაც აშკარად ეტყობოდა მეცნიერებისკენ მიდრეკილება. იგი ახლაც, ზრდასრულობაშიც, ცხოვრებას ინტერესით, კრეატიულობითა და მარჯვედ უდგება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს თამაშები ძალიან მნიშვნელოვანი იყო მისი განვითარებისთვის.

ბუნებრივი მასალები საუკეთესო რესურსია ღია სივრცეში თამაშებისთვის და მათი გამოყენება სასარგებლოა ბავშვების სწავლისა და განვითარებისთვის. ბუნებრივი მასალები მარტივად მოიპოვება ყველგან - ისინი შეგვიძლია შევაგროვოთ გარეთ ან იაფად ვიყიდოთ. მათი შენახვა მარტივია და ისინი ბავშვებისთვის მიმზიდველია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ მასალებს არაჩვეულებრივი სათამაშო ღირებულება აქვთ, რადგან ისინი სტიმულს აძლევენ და ხელს უწყობენ სხვადასხვა თამაშს, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებულ მოტივირებულ და შინაარსიან სწავლებას. ასეთი თამაშები ბავშვის ნებისმიერ ასაკს და მისი განვითარების ნებისმიერ ეტაპს შეეფერება; ამასთან, ბავშვების ასაკის მატებასთან ერთად, სათამაშო შესაძლებლობებიც ფართოვდება - მაგალითად, მიწის ჩვეულებრივი ამოთხრა და ორმოების შევსება უფრო რთულ - სუნამოს შექმნის აქტივობად გადაიქცევა.

ტრადიციულად, ქვიშა, წყალი და სხვა ბუნებრივი მასალები საკლასო ოთახში შეგვაქვს, რადგან ვიცით, რომ ისინი მდიდარ

სასწავლო რესურსს წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, დახურულ სივრცეში ამ მასალების შესწავლა და გამოყენება შეზღუდულია ჩვენივე აკრძალვების გამო მათ გამოყენებასთან დაკავშირებით: წესრიგის კონტროლი და მცირე სივრცე ტენდენციურად თამაშსაც ზღუდავს. გაცილებით უკეთესია ღია სივრცის თავისუფალი და მასტიმულირებელი გარემოს გამოყენება, რომლის პირობებშიც ბავშვებს შეუძლიათ:

- იურთიერთონ, ქონდეთ კონტაქტი მასალებთან მთელი სხეულით, რაც განსხვავდება ლანგრებზე შებოჭილად თამაშისაგან;
- გამოიყენონ თავიანთი შეგრძნებები ბევრი მოძრაობითა და მოქმედებით;
- იმუშაონ დიდ და მცირე მასშტაბებზე;
- გადაიტანონ მასალები სხვადასხვა ადგილებში და ახლებურად გამოიყენონ ისინი;
- აღიქვან მასალები ბუნებრივ კონტექსტში;
- სხვადასხვაგვარად აღიქვან მასალები ამინდისა და წელიწადის დროების ცვლასთან ერთად;
- შეურიონ მასალები ერთმანეთს, შექმნან ახალი, განსხვავებული მასალა;
- არ იდარდონ უწესრიგობაზე და იყვნენ უფრო კრეატიულები;
- ჰქონდეთ მეტი სივრცე სხვებთან ერთად სათამაშოდ;
- კომფორტულად იგრძნონ თავი უფროსების თანდასწრებით თამაშის პროცესში;
- მიიღონ სტიმული გარემოდან და სათამაშო ზონის სიახლოვეს მიმდინარე მოვლენებიდან.

ზღვის სანაპირო ყველაზე ღირებული სათამაშო გარემოა ბავშვებისთვის, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ იგი ბავშვების საყვარელი ადგილია! ქვიშა თავისთავად ყველაზე ჯადოსნური, მიმზიდველი და თერაპიული მასალაა. სწორედ ქვიშის, წყლის, ნიჟარების, ხრეშის, მცენარეული მასალის, ბუმბულების, ღია სივრცისა და ამინდის ერთობლიობა ქმნის მასალების კომბინაციებისა და ინტერაქციის უსაზღვრო შესაძლებლობებს. ბავშვებს აქვთ კვლევის, აღმოჩენის, გაუმჯობესების, ექსპერიმენტების ჩატარების, აშენების, წარმოსახვის, ვარაუდებისა და ცდების ჩატარების შესაძლებლობა. თქვენს ღია სივრცეში ზღვის სანაპიროს მსგავსი გარემოს შექმნა უდიდესი სტიმული იქნება ბავშვების განვითარებისა და სწავლის ხელშეწყობისთვის.

წყალი მნიშვნელოვნად აძლიერებს ბუნებრივი მასალებით სიამოვნებას და ამაღლებს ამ მასალებით კვლევა-ძიების დონეს; ამ ორი ელემენტის გაერთიანება სრულყოფილებას ქმნის. სარგებლისა და რისკის კარგი შეფასება, ასევე ყოველდღიური რისკებისა და შესაძლებლობების მენეჯმენტი შინაარსიანი და სასიამოვნო გამოცდილებების უზარმაზარ პოტენციალს შეუქმნის თქვენს ბავშვებს ღია სივრცეში. ბავშვებთან ერთად შეიმუშავეთ გარემოს გამოყენების წესები, რათა ყველა ბავშვმა მიიღოს სარგებელი ამ ზღაპრული რესურსების სასიამოვნოდ, უსაფრთხოდ და ეფექტურად გამოყენებისგან.

რას სთავაზობენ ბუნებრივი მასალები ადრეული ასაკის ბავშვებს?

ბუნებრივი რესურსებით თამაში ძალიან მნიშვნელოვანია და მას დიდი წვლილი შეაქვს ბავშვის განვითარების ძირითად სფეროებში. როგორც სათამაშო რესურსი, ბუნებრივი მასალები სრულიად შეუზღუდავია დანიშნულებებში და მათი გამოყენება ნებისმიერი გზით შეიძლება. ისინი ბავშვებს გარე სამყაროს აღქმის საშუალებას აძლევენ - პირველ რიგში, ელემენტებთან პირდაპირი კონტაქტით, შემდეგ, კი როგორც სათამაშო მასალები ბავშვების ინტერესებისა და შემოქმედებითი იდეების შესაბამისად. გახსენდებათ სხვა რომელიმე საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც ამდენ სარგებელს გვაძლევს ასეთი მცირე დანახარჯებით?

ბუნებრივი მასალების კარგი მარაგი:

- პასუხობს ბავშვის დაუოკებელ ცნობისმოყვარეობას გამოიკვლიოს მის ირგვლივ არსებული სამყაროს ელემენტები და გაიგოს მათი ურთიერთმიმართება ამ სამყაროსთან. საკუთარი სამყაროს კვლევა-ძიების პროცესში, თავდაპირველად ბავშვები კითხულობენ „რა არის ეს და რას აკეთებს იგი?" შემდგომ კი მოსდევს შეკითხვა „რა შეიძლება ამით გავაკეთო და რა შეიძლება გავაკეთო აქ?"; ამის შემდეგ, მალევე, ბავშვები იკითხავენ „რა შეიძლება ამას გავაკეთებინო და რად შეიძლება იგი გადავაკეთო?"
- ეხმარება ნორჩ მკვლევარს უფრო მეტი გაიგოს საკუთარი თავის შესახებ; სამყაროს კვლევის პროცესში ჩნდება ისეთი კითხვები,

როგორიცაა „ვინ ვარ მე?", „რას მომცემს ეს ობიექტი და რას მაგრძნობინებს იგი?", „რას მეტყვის ეს გამოცდილება ჩემს შესახებ?" და „რა შეიძლება გავაკეთო ან რა შეიძლება ვიყო აქ?"

- უზრუნველყოფს თერაპიულ თამაშს, რაც ემოციურ კმაყოფილებას და მენტალურ ჯანმრთელობას უწყობს ხელს. ბავშვები ხშირად კარგავენ თავს საკუთარ სამყაროში, როდესაც მართავენ, მანიპულირებენ, იკვლევენ და იგონებენ თამაშს. ბუნებრივი მასალები თავად წარმოადგენენ როგორც სათამაშო გარემოს, ასევე ამ გარემოში სათამაშო რესურსს.
- ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას და აღვივებს ემოციურ კავშირს გარემომცველ სამყაროსთან. იგი ხელს უწყობს ბუნებრივი სამყაროს ელემენტებით თამაშს, სეზონური რიტმების განცდას და ბუნებრივი მასალების ესთეტიურობისგან სიამოვნების მიღებას. ეს კი ბავშვებში ბუნების გაფრთხილების სურვილს წარმოშობს და მის მიმართ ინტერესიანი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს მთელი ცხოვრების მანძილზე.

სურათი 2.1. სამყაროს კვლევა

- ახალისებს სენსორული სისტემის განვითარებას და ხელს უწყობს სენსორულ ინტეგრირებას. ბუნებრივი მასალები მრავალსენსორული საშუალებებია, რომლებიც ვიზუალურ, ასევე ტექსტურის, ტემპერატურის, წონის, სურნელის, ხმის და მოძრაობის სტიმულებს გვაძლევს.
- ავითარებს ინტეგრირებულ ნატიფ და მსხვილ მოტორულ უნარებს, მაგალითად ბარვის, რაიმე საგნის წამოწევის ან გადაადგილების (მაგ. მორების) შედეგად.
- ხელს უწყობს ხელებში გრძნობის, ძალისა და მოქნილობის განვითარებას, როგორც ხელის კანით - შეხების გზით, ასევე კუნთებით, სახსრებით და მყესებით შიდა პროპრიოცეპტიური შეგრძნების გზით (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. თავი 4).
- ავითარებს წარმოსახვას და შემოქმედებითობას: ბუნებრივი მასალების მართლაც შეუზღუდავი ხასიათი მათ მრავალ-მხრივ დანიშნულებას სძენს. ამასთან, მათი კომპლექსური სტრუქტურა და „ქცევა" მდიდარ სტიმულირებას უზრუ-ნველყოფს. მათი გამოყენება და კომბინირება სხვადასხ-ვანაირად შეგვიძლია, როგორც ინდივიდუალური, ასევე ერ-თობლივი წარმოსახვითი თამაშებისთვის.
- ავითარებს სამეცნიერო და მათემატიკური შემეცნების უნა-რებს. მაგალითად, მსგავსებებისა და განსხვავებების გარ-ჩევის უნარები დეტალებზე დაკვირვებით ვითარდება - მა-სალების დახარისხებით, მიმდევრობით დალაგებით და კლასიფიცირებით. მშენებლობა და მოდელების შექმნის გამოცდილება ხელს უწყობს მათემატიკურ აზროვნებას - რაოდენობასთან, ზომასთან, განზომილებასთან, ფორმასა და განლაგებასთან დაკავშირებით.
- ავითარებს სიმბოლური შემეცნების უნარებს. ერთი საგნის გამოყენება მეორე საგნის რეპრეზენტაციისთვის საფუძვლად ედება სიმბოლური აზროვნების წარმოქმნას და არსებული სიმბოლოების სისტემის - ასოების, სიტყვების, რიცხვების, მუსიკალური ნოტების, რუკების, შუქნიშნებისა და ა.შ. გამო-ყენებას გვასწავლის.
- ხელს უწყობს მეტყველების განვითარებას მხიარული ინტერ-აქციის გზით, მაგალითად, მასალების დახასიათებისას აღწე-

რილობითი ენის გამოყენებით, ან უფროსების მოსმენისას, როცა ისინი აღწერენ კვლევისა და თამაშის პროცესს.

ბუნებრივი მასალები განსაკუთრებით ეფექტურად უწყობს ხელს ბავშვებს იკვლიონ საკუთარი სქემატური ინტერესები (სქემები).

სქემა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ აქტივობებს (ქცევებს), რომელსაც ბავშვი განუწყვეტლივ იმეორებს, ავლენს რა დიდ ინტერესს, კონკრეტული ქმედებისა და აზროვნების პროცესის მიმართ სხვადასხვა კონტექსტში, რაც ეხმარება მას გაიგოს თუ როგორ მუშაობს სამყარო. ბავშვები ხშირად ავლენენ დიდ ინტერესს კონკრეტული თემის მიმართ, ისინი ამჩნევენ და ინტერესდებიან ყველაფრით, რაც ამ თემასთანაა დაკავშირებული. რაც მათ საშუალებას აძლევს სიღრმისეულად გამოიკვლიონ ეს თემა, გამოსცადონ იგი და გააფართოვონ თავიანთი ცოდნა სამყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ. კვლევებმა და პრაქტიკამ აჩვენა, რომ გარკვეულ ეტაპზე თითქმის ყველა ბავშვი ინტერესდება რაღაც გარკვეული თემით. ამის გათვალისწინებით, ბავშვებზე დაკვირვება გვაჩვენებს თუ რომელ თემაზე ან საკითხზე მუშაობენ ისინი კონკრეტულ მომენტში. სქემები გვეხმარება გავიგოთ ფიზიკური სამყაროს რთული, მასშტაბური სტრუქტურა. ბავშვებიც, მეცნიერების მსგავსად, სამყაროს შესწავლისას აყალიბებენ თეორიებს და ამ თეორიების თავისებურ გაგებას, რაც ხელს უწყობს აზროვნებისა და სწავლის მექანიზმების განვითარებას, შესაბამისი სამეტყველო რესურსისა და ცნებების ჩამოყალიბებას. რომელიმე კონკრეტული სქემის სიჭარბე, მაგალითად უცვლელი და მუდმივი ინტერესი ხაზების გავლების მიმართ, გვაფიქრებინებს, რომ ამ დონეზე განმეორებადი ქცევა ტვინის არქიტექტურის ფუნდამენტურ ასპექტებს ავითარებს, რაც თავის მხრივ, აღვივებს უმნიშვნელოვანეს ემოციურ და სააზროვნო პოტენციალს. აქედან გამომდინარე, გარემო, სადაც ბავშვებს სქემების განვითარების უამრავი საშუალება აქვთ, მდიდარია აზროვნებისა და სწავლის ხელშეწყობის თვალსაზრისით. ბევრი ბუნებრივი მასალისა და კარგი დამხმარე რესურსების პირობებში, დიდი ალბათობით, ბავშვები თამაშის პროცესში დაიწყებენ საგნების სილაში „დამარხვას", დამალვას და პოვნას (დაფარვა და გამოჩენა); სათლებისა

და ურიკების ხრეშით შევსებას და გადაადგილებას (შევსება და ტრანსპორტირება); ტოტებითა და ნიჟარებით სხვადასხვა ზოლების, ბადისებრი ხაზების და ფიგურების მოხაზვას (დაკავშირება, ტრაექტორიები და ბადეები); საგნების შეგროვებას, დახარისხებას და დალაგებას (ადგილის მიჩენა, დალაგება და მიმდევრობა); მორების გადაგორებას (ბრუნვა) და პატარა ქვების პლასტმასის გრძელ მილებში გატარებას (საგნების სხვა საგანში გატარება). ბავშვების ქცევით სქემაზე დაკვირვება მაშინ ხდება საინტერესო, როცა იმის მიხვედრას ვიწყებთ, თუ როგორ ფიქრობენ ისინი; ამ არაჩვეულებრივ, მრავალფეროვანი დანიშულების მქონე მასალებს უდიდესი პოტენციალი აქვთ დააკმაყოფილონ ბავშვების საჭიროებები, რათა მათ ენთუზიაზმით გამოხატონ ინტერესები და წარმათონ კვლევები. ახლო დაკვირვება ასევე გვაჩვენებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ასეთი სქემატური ინტერესები მომავალი კონცეფციებისა და სასწავლო მიდგომების მყარი საფუძვლის შესაქმნელად.

ბუნებრივი მასალების მრავალფეროვანი მიზნობრიობა მათ კიდევ ერთ ძლიერ როლს ანიჭებს, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადრეულ ასაკში სწავლებისთვის - ისინი ბუნებრივად მიეწოდება ბავშვებს სხვადასხვა დანიშნულებით გამოსაყენებლად. ბუნებრივი რესურსებით ბავშვების წარმოსახვითი თამაშების პრაქტიკა, სადაც ერთი საგანი მეორე საგნად გამოიყენება (ან წარმოადგენს მეორე საგანს), ძალიან ღირებულია სიმბოლური აზროვნების განვითარებაში. სიმბოლოები გამოიყენება სხვა საგნების აღმნიშვნელად; ყოველდღიურობაში სიმბოლოების ბევრ სისტემას ვიყენებთ, მათ შორის ასოები და სიტყვები, რიცხვები და არითმეტიკული აღნიშვნები (ოპერატორები), ფული, დროშები, რუკები, საგზაო ნიშნები და სუპერმარკეტების ლოგოები - სიმბოლოების მხოლოდ ნაწილია. სიმბოლოების გამოყენებისათვის მზაობა თითქოს იმთავითვე ჩვენშია, მაგრამ ეს უნარი კარგად ვითარდება მხოლოდ დიდი გამოცდილებისა და პრაქტიკის პირობებში. თუ გვინდა, რომ ბავშვები სრულფასოვნად ფლობდნენ კითხვის, წერისა და მათემატიკურ უნარებს, მათ ბავშვობიდანვე უნდა მივცეთ ბევრი აქტივობა წარმოსახვისა და რეპრეზენტაციის განვითარებისთვის. განათლების ამ კრიტიკულად მნიშვნელოვანი ასპექტის

უზრუნველსაყოფად, შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის მდიდარი და მრავალფეროვანი მიკროსამყარო და მრავალმხრივი ელემენტებით გაჯერებული როლური თამაშები ბუნებრივი მასალებით, იდეალური და ყველაზე შესაბამისი მექანიზმია.

კარგი ბუნებრივი მასალები კვლევისა და თამაშისთვის სად მოვიპოვოთ ისინი?

ქვიშა და ნიადაგი

მაღალი ხარისხის სათამაშო ქვიშის მოწოდება შეუძლიათ ორგანიზაციებს, რომლებიც სათამაშო მოედნებს აწყობენ. ხარისხიანი ქვიშის დიდი რაოდენობით მოწოდება შეუძლიათ ასევე სამშენებლო მასალების კომპანიებსაც. დარწმუნდით, რომ მასალა ნამდვილად ხარისხიანია და მისი ბავშვებთან სათამაშოდ გამოყენება შეიძლება. ქვიშა, რომელიც ქვიშაქვით მიიღება, შეიძლება შეიცავდეს მცირე ნაწილაკებს, რომელთა შესუნთქვაც საზიანოა. რეკომენდებულია სამჯერ გარეცხილი თეთრი ქვიშის გამოყენება - მართალია ძვირია, თუმცა, სარგებელი უფრო მაღალი აქვს. ქვიშა, რომელიც მოედნების უსაფრთხო საფარის შემცველობაში შედის, მოუხერხებელია როგორც საყალიბე მასალა სხვადასხვა ფორმების გამოსაყვანად, რადგანაც ასეთი მასალა მომრგვალებულ ნაწილაკებს შეიცავს, კარგი საყალიბე ქვიშა კი ბასრ ნაწილაკებს უნდა შეიცავდეს; ამიტომ, უპირატესობა სათამაშოდ განკუთვნილ ქვიშას მიანიჭეთ. ჩვეულებრივი სამშენებლო სილა უხეშია და რკინის მაღალი შემცველობა აქვს, ამიტომ დიდი ალბათობით, თამაშის შემდეგ კანზე (დროებით) და ტანსაცმელზე (თუმცა ნაკლებად) ნარინჯისფერი კვალები დარჩება, თუმცა ისინი უსაფრთხო უნდა იყოს ბავშვებისთვის. ქვიშის დიდი მოედნებისთვის უკეთესია უფრო მაღალი ხარისხის თაბაშირის ქვიშის გამოყენება, თანაც იგი შედარებით იაფია.

მაღალი ხარისხის თიხანარევი ნიადაგის შეძენა ტომრებითაა შესაძლებელი აგრარული მეურნეობის ნებისმიერ ცენტრში, ამასთან იგი თავისუფალი უნდა იყოს ცხოველთა პათოგენებისგან. ასეთი მასალის უფრო დიდი ოდენობით (ნახევარი ტონა ან ტონა) შესყიდვა შესაძლებელია სამშენებლო მასალების სავაჭრო ცენტრებში, ამასთან, დიდი ალბათობით, იგი ბაღის ნიადაგთან

შედარებით ნაკლებად დაბინძურებული იქნება ძაღლის ან კატის პათოგენებით (მცირე ნაწილაკებად დაშლილი ბიოლოგიური ნარჩენები). ნიადაგი მიწის ზედაპირული ფენაა ბალახის საფარის ქვემოთ, რომელიც მიწის სამუშაოების შედეგად თანაბრადაა გაჯერებული და შეზავებული თიხით, ქვიშითა და ნეშომპალით (ფოთლებისა და ფესვების გახრწნის შემდეგ). ტალახის სამზარეულოში სათამაშოდ, თქვენ მიერ შერჩეულ ნიადაგს თიხის მაღალი შემცველობა უნდა ჰქონდეს - იგი წებოვანი და კარგად ფორმირებადი უნდა იყოს; აგრარული მეურნეობის ცენტრებში ნაყიდ ნიადაგში შეიძლება ბევრი დაუშლელი ორგანული მასალა იყოს. არაჩვეულებრივი თიხნარი მასალაა თხუნელების მიერ ახლად ამოთხრილი მიწაც, რომელიც შეუდარებელია სოსისის, პიცისა და ბურგერების „მოსამზადებლად"! ასევე ნიადაგში შეიძლება შევაზავოთ თიხის ფხვნილი, რათა უკეთეს „საყალიბე" მასალად ვაქციოთ იგი. ეკოლოგიური თვალსაზრისით გაუმართლებელია ტორფიანი კომპოსტის გამოყენება, რადგანაც ჭაობები, საიდანაც ასეთი მასალა მოიპოვება, სერიოზული საფრთხის წინაშეა. ტორფის გარეშე კომპოსტი კი ნაკლებად ექვემდებარება მანიპულაციებს - იგი ცუდად ერწყმის წყალს, რის გამოც ნაკლებად სასიამოვნოა სათამაშოდ, თუმცა ნიადაგთან ერთად, ის მაინც მშვენიერ ტაქტილურ მასალას წარმოადგენს.

ქვის მასალები: რიყის ქვები, კენჭები, ფიქალი, ხრეში

აგრარული მეურნეობის ცენტრებსა და ხელნაკეთობების მაღაზიებში არსებულ მებაღეობის განყოფილებებში სხვადასხვა სამშენებლო მასალა მოიპოვება - კენჭები და დიდი ზომის საინტერესო ქვები, რომლებსაც ბაღების ლანდშაფტის მოსაწყობად იყენებენ. რიყის ქვებით სავსე დიდი ტომარაც საკმარისი იქნება, ამასთან ბევრი სხვადასხვა ქვის შეძენაა შესაძლებელი მცირე დანახარჯით. სამშენებლო მასალების სავაჭრო ცენტრებში ტონობით შეიძლება ხრეშის, წვრილი ღორღის და სხვა სამშენებლო მასალის შეძენა. ხელნაკეთობების მაღაზიებში ასევე ხელმისაწვდომია ქვის იატაკის ფილები, რომლებიც ბუნებრივი მასალებით თამაშისას საინტერესო ზედაპირების გასაკეთებლად გამოგვადგება. საოჯახო მეურნეობის მაღაზიებში ხშირად გვხვდება გაპრიალებული კენჭებით სავსე პატარა ტომრები; ასევე შინაური ცხო-

ველების მაღაზიებში, აკვარიუმების განყოფილებებში, ბევრი საინტერესო კენჭი და ხრეშია წარმოდგენილი (თუმცა, მოერიდეთ ხელოვნურად შეღებილ ქვებს). ადრეული ასაკის ბავშვებმა კარგად იციან დეტალების გარჩევა და ხრეშით სავსე სათლშიც კი ბევრ რამეს აღმოაჩენენ. წვრილი ხრეში (ძალიან პატარა ზომის მომრგვალებული ქვები) განსაკუთრებით სენსორულია, იგი თითქმის წყალივით მოძრაობს და იყრება. თამაში კიდევ უფრო მრავალფეროვანი იქნება სხვადასხვა ზომის, ტექსტურის, ფორმისა და ფერის ქვების შეთავაზებით. დამატებითი სათამაშო რესურსების შესაქმნელად, ბავშვებს დიდი ზომის რიყის ქვების მოხატვა და ლაქით დაფარვა შეუძლიათ.

ხის მასალები: მორები, ხის ტოტების ნაჭრები, ტოტების მონაკვეთები, ჯოხები და ყლორტები

თქვენს მუნიციპალურ სამსახურებს და ბუნების დაცვის ორგანიზაციებს, რომლებიც უვლიან მუნიციპალურ ტერიტორიას და ხეებს, შეგროვებული ექნებათ ზედმეტი მასალები - ხის ტანი და ტოტები. ისინი სიხარულით მოგაწოდებენ ხეებიდან ჩამოყრილ და მოჭრილი ზედმეტ ტოტებს, ასე რომ არ მოგერიდოთ თხოვნა. გარდა ამისა, თქვენს სიახლოვეს შეიძლება ხის პროდუქციის მწარმოებელი კომპანიებიც იყოს, რომლებიც მზად იქნებიან საჭირო მასალებით, მაგალითად, ხის ტანის ნაჭრებითა და მცირე ზომის ტოტებით მოამარაგონ მსურველები. შეამოწმეთ, რომ ხის მასალის რომელიმე ნაწილი არ იყოს ბასრი და არ ჰქონდეს მსხვილი ანატეხები, ასწავლეთ იგივე ბავშვებსაც. ხის ნაჭრებს მოაჭერით და ჩამოათალეთ ნებისმიერი რისკის შემცველი ნაწილი, ბავშვები სწრაფად სწავლობენ თავიანთი ჯოხების მოვლას და სიამოვნებით დაამუშავებენ მათ ზუმფარის ქაღალდით. სამშენებლო ფიცრები ასევე არაჩვეულებრივი რესურსია თამაშებისთვის, სთხოვეთ მშობლებს და ოჯახებს მასალები, რომლებიც შეიძლება მორჩენილი ჰქონდეთ სახლის რემონტის შემდეგ. წვრილმანების მაღაზიებს ხშირად აქვთ სხვადასხვა არასაჭირო მასალა, რომლებსაც დიდი სიამოვნებით მოგაწოდებენ უფასოდ. „Treeblocks”-ის მაღაზიებს აქვთ პატარა ხის ბლოკების საყვარელი შეკვრები ტილოს ტომრებში (www.treeblocks.com), მაღაზია

„Muddy Faces”-ში იპოვით ხის დეტალების ფართო ასორტიმენტს სახელწოდებით „ტოლჩები”(www.muddyfaces.co.uk/shop/), ასევე მაღაზია „Cosy”-ში ხელმისაწვდომია უამრავი მოზრდილი ზომის ხის ტოტი და ტოტების ნაჭრები (www.cosydirect.com). ყოველთვის მოიმარაგეთ ბევრი ჯოხი და ტოტი. ბაღებში ხეების მოჭრილი ტოტები შეიძლება ტექსტურისა და ფერთა ნაირსახეობას ქმნიდეს, მაგალითად, მწვანე ბამბუკი, თეთრი-ვერცხლისფერი არყის, ყავისფერი თხილის და წითელი შინდის ხის ტოტები; თხილის დაგრეხილი ტოტები საინტერესო ფიგურებს ქმნის, რომლებიც ასტიმულირებს წარმოსახვას. თამაშის გამრავალფეროვნების მიზნით, ჯოხები სხვადასხვა სიგრძით შეგვიძლია დავჭრათ.

მცენარეები: ყვავილები, ფურცლები, მწვანილი, ფოთლები, ბალახი

ყვავილები და ფოთლები ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ სათამაშო მასალას წარმოადგენს. ბავშვებმა შეიძლება მცენარეული მასალები დროებითი ფორმების შესაქმნელად, შენობების გასაფორმებლად და ბუნაგებში სათამაშოდ გამოიყენონ. რაც შეიძლება მეტად გამოიყენეთ მინდვრის ყვავილები, რომლებიც თქვენს ღია სივრცეში ან მის სიახლოვეს იზრდება: გვირილები, ბაბუაწვერები, ბაიები, ვარდის ფურცლები, ალუბლის ყვავილები - ნებისმიერი უსაფრთხო მცენარე, რომელიც ხელმისაწვდომია წელიწადის სხვადასხვა დროს. სცადეთ შეაგროვოთ წელიწადის სხვადასხვა დროს ხელმისაწვდომი რესურსები, რათა ბუნებრივი მასალების მდიდარი მარაგი შექმნათ საკვლევად და სათამაშოდ; ბაბუაწვერას ყვავილები განსაკუთრებით კარგი და ეფექტური სათამაშო რესურსია, თანაც უხვად მოიპოვება. სათამაშო მასალად გამოდგება ზოგიერთი ეზოს ან ბაღის მცენარეც, ასე მაგალითად, მწვანილების ფოთლები, მდელოს ბალახები, ბუჩქის ყლორტები; შეუწყვეთ ხელი მცენარეების გამრავლებას სათამაშოდ განახლებადი მარაგის შესაქმნელად და არ შეუშალოთ ხელი ბაღში სარეველა მცენარეების ზრდას! უფრო იშვიათად მოთიბეთ ბალახი, აცალეთ ბაბუაწვერებს და გვირილებს ამოსვლა; მოთიბული ბალახიც დატოვეთ რამდენიმე დღე, რათა ბავშვებმა ითამაშონ. თუმცა, ყურადღებით იყავით სენსიტიურ/ალერგიულ ბავშვებთან.

ბავშვებს ბევრი შესაძლებლობა მიეცით ფოთლების გროვებში სათამაშოდ. წაიყვანეთ პარკში ფოთლებით სათამაშოდ და უკან დაბრუნებისას გამოიყოლეთ რაც შეიძლება ბევრი ფოთოლი შემდგომი თამაშისა და კვლევისათვის (თუკი ფოთლები დაბინძურებულია, მაშინ შეაგროვეთ ისინი თქვენი თანამშრომლების და ოჯახების ბაღებში). ლამაზი ფოთლები ფერად ქსეროქსზე გადაიღეთ, ისე რომ ნამდვილი ფერები აღიბეჭდოს ფურცელზე, შემდეგ რამდენიმე ფოთოლი დაალამინირეთ, იმისთვის, რომ გარკვეული დროით შეინარჩუნონ თავი.

მარცვლები: ცხენის წაბლები, რკოები, ნეკერჩხლის მარცვლები, ფიჭვის გირჩები

ატარეთ ბავშვები მასალების შესაგროვებლად, წაახალისეთ ისინი თავიანთ ოჯახებთან ერთად შეაგროვონ მასალები, რათა ბევრი რესურსი გქონდეთ. კიდევ ერთხელ განვმეორდები, მთავარი მიზანი მასალების სიუხვეა, ამიტომ აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე რაც სეზონურად და ადგილობრივად ხელმისაწვდომია. კონკრეტული მასალის სიუხვეს განსაკუთრებულობა ახასიათებს, რაც ვერ იქნება უზრუნველყოფილი რამდენიმე განსხვავებული რესურსის მცირე მარაგებით; სწორედ ამით განსხვავდება ღია სივრცე დახურული სივრცეებისაგან.

ცხენის წაბლის დიდი კოლექცია კვლევითი თამაშების უსასრულო შესაძლებლობას იძლევა სათლების, ღარებისა და შკივების გამოყენებით. თამაშში გამოყენების შემდეგ რამდენიმე რკოს თუ ცალ-ცალკე ქოთანში დარგავთ, გაზაფხულზე მუხის პატარა ნერგებიც გექნებათ (თუმცა მოგიწევთ მათი დაცვა მშიერი ციყვებისგან!). გირჩები სხვადასხვა ზომის და ფორმის შეიძლება იყოს, რადგან მათ სხვადასხვა ხიდან ვღებულობთ, ამიტომ მათი ხანგრძლივი დროის მანძილზე შეგროვების შემდეგ არაჩვეულებრივი და მრავალფეროვანი რესურსი გექნებათ; სთხოვეთ თქვენს თანამშრომლებს და ოჯახებს შეაგროვონ და ჩამოგიტანონ გირჩები თავიანთი მოგზაურობებიდან. გაითვალისწინეთ, რომ საზღავგარეთიდან ჩამოტანილ მცენარეულ მასალებს შეიძლება მწერები ჩამოყვეს, ასევე სოკოვანი პათოგენები, რომლებიც აზიანებენ და ანადგურებენ კიდეც ჩვენს ხეებს, ამი-

ტომ უნდა გამოირიცხოს მათი შემთხვევითი ტრანსპორტირება. ხელნაკეთობებისა და საოჯახო მეურნეობის მაღაზიებში ხშირად იპოვით ნიჟარებით, კენჭებით, შუშის ნატეხებითა და მცენარეული მასალებით სავსე პატარა ტომრებს ყვავილების მოსართავად; დარწმუნდით, რომ ეს მასალები უსაფრთხოა ბავშვებისთვის.

ნიჟარები, ბუმბულები, მინერალები

ჩვენი სანაპიროებიდან დიდი რაოდენობით ნიჟარებისა და კენჭების წაღება აკრძალულია კანონმდებლობით, თუმცა დროთა განმავლობაში მშობლების ჩართულობით შესაძლებელია მცირე კოლექციის შეგროვება. შეაგროვეთ სხვადასხვა ტიპის, ფერის და ზომის - პატარა და დიდი - ნიჟარები. სცადეთ შეაგროვოთ ბევრი პატარა, რამოდენიმე დიდი და ასევე, გამორჩეული ნიჟარები. ბუმბულების შეგროვება მეტ დროს მოითხოვს, თუმცა ასევე შესანიშნავი დანამატი იქნება თქვენს კოლექციაში; უფრო დიდ ხანი იმუშავეთ კოლექციაზე და განსაკუთრებული სიფრთხილით შეაგროვეთ ასეთი დელიკატური რესურსები.

სურათი 2.2. საოცარი და მრავალსენსორული მასალები

ჰიგიენური თვალსაზრისით შეგიძლიათ ბუმბულის პირები მილტონის ხსნარში[1] ჩაალბოთ (თუმცა, ბავშვებს ურჩიეთ არ მიიტანონ პირთან). დაალაგეთ ნიჟარები, ბუმბულები და განსხვავებული ქვები ისეთნაირად, რომ ისინი მიმზიდველად გამოიყურებოდნენ და ხელმისაწვდომი იყვნენ ბავშვებისთვის, მაგალითად, კასრებში ან მოძრავი ურიკების უჯრებში; მოიმარაგეთ ბევრი პატარა და საინტერესო კალათა ამ მასალების დასახარისხებლად.

არსებობს რამდენიმე ადგილი, სადაც მცირე რაოდენობით ნიჟარების შეძენა შეგვიძლია, მაგალითად „Early Excellence"-ის ცენტრებს ბევრი საყვარელი „განსხვავებული" ნიჟარა აქვს ((https://earlyexcellence.com), ასევე „Cosy"-ის კატალოგში წარმოდგენილია საინტერესო ნიჟარები (www.cosydirect.com) და TTS ონლაინ მაღაზიას აქვს ჯალიოტისის ნატეხებით სავსე ლამაზი ტომრები (www.tts-group.co.uk). თუმცა, გარე სივრცეში სასიამოვნო თამაშისათვის დიდი რაოდენობით ნიჟარაა საჭირო და მაღაზია „Muddy Faces" ამ შემთხვევაში ყველაზე კარგია, სადაც დიდი შეფუთვით - დაახლოებით 3 კგ-მდე სხვადასხვა სახის შერეული ნიჟარების ყიდვა შეიძლება (ნიჟარები დანაწილებულია მოსახერხებელ თავსახურიან კასრებში). იქ ასევე მოიპოვება ბევრი სხვადასხვა კალათა ნიჟარების შესანახად და გადასატანად (www.muddyfaces.co.uk). ნიჟარების უდიდეს ასორტიმენტთან დაკავშირებული ინფორმაციის სანახავად დაათვალიერეთ ვებ-გვერდები www.seashells.org და https://seashells.com, რომლებიც დაგეხმარებათ ნიჟარების გარჩევაში ბევრი სხვადასხვა მკაფიო სურათით (თუმცა, მათ არ აქვთ აშშ-ის ტერიტორიის გარეთ მიწოდება).

ბუნებრივი მასალების მიწოდება ღია სივრცეში

ქვიშა

ქვიშა მრავალმხრივი დანიშნულების მქონე მასალაა, რომელიც კარგად პასუხობს ცალკეული ბავშვის ინტერესებს. ეს თვისება ქვიშას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც ადრეული განათლების დაწესებულების ღია სივრცეში სათამაშო ელემენტს, და ის ხელმისაწვდომი უნდა იყოს წელიწადის ნების-

1 მთარგმნელის შენიშვნა: სპეციალური სადეზინფექციო ხსნარი.

მიერ დროს. ქვიშის მოედნები შეძლებისდაგვარად დიდი ზომის უნდა იყოს - რაც უფრო დიდია ასეთი ზონები, მით უფრო მეტი შესაძლებლობები აქვთ ბავშვებს. ამასთან, ეს ზონები შეძლებისდაგვარად ღრმა უნდა იყოს, რათა ბავშვები ენერგიულად ჩაერთონ ნამდვილი თხრის პროცესში, დიდი ხვრელებისა და არხების მოწყობისას. ბავშვები შეძლებენ თავიანთი ზურგის, მუცლისა და კიდურების კუნთების გამოყენებას, ქვიშის მთელი სხეულით შეგრძნებას, ღრმად თხრასა და დიდ ფართობზე მუშაობას, ასევე სხვა ბავშვებთან თანამშრომლობას და ზომიერი რაოდენობით წყლის დასხმასაც კი. იფიქრეთ ერთზე მეტი ქვიშის ზონის შექმნაზე, რადგან ქვიშის ზედაპირი არაჩვეულებრივად იცავს დაზიანებისგან, იგი ურთიერთქმედებს გარე სივრცის სხვა ასპექტებთან და ზრდის თამაშისა და კვლევის პოტენციალს. წარმოიდგინეთ, როგორ შეუწყობს ქვიშა ხელს ბავშვების თამაშს საცოცი კედლის ჩარჩოზე, თუკი შესაძლებელი იქნება სათლების შევსება და თოკებით აზიდვა ან ჩამოზიდვა მარტივი შკივის სისტემის მეშვეობით.

დახურული სივრციდან ღია სივრცეში ქვიშით სავსე ლანგრის გატანას დიდი ძალისხმევა სჭირდება და მხოლოდ უმნიშვნელო სარგებელი მოაქვს. მნიშვნელოვანია რაც შეიძლება მეტად ისარგებლოთ იმ განსხვავებებით, რომლებსაც ღია სივრცე გთავაზობთ დახურულ სივრცესთან შედარებით, რათა დახურული სივრცის გამოცდილებები გააფართოვოთ და შეავსოთ - განსაკუთრებით ის განსხვავებები, რომლებიც დაკავშირებულია მასშტაბებთან, სიღრმესთან, უწესრიგობასთან, მოძრაობასთან, ქვიშის ტრანსპორტირებასთან და იმ ცვლილებებთან, რომლებსაც ქვიშა ამინდის ზეგავლენით განიცდის. ეცადეთ ქვიშის მოედანი სანაპიროს მსგავსად მოაწყოთ, თუნცად ის პატარა იყოს. მშობლებთან ერთად იმსჯელეთ, თუ რისი გაკეთება უყვართ ბავშვებს ქვიშის გამოყენებით დიდ სათამაშო ზონებში და სანაპიროზე; სწორედ ამას დაეყრდენით შესაბამისი გარემოს შექმნის დროს, რათა კეთილდღეობას და განვითარებას შეუწყოთ ხელი.

ქვიშის მოედნის კიდეებზე დამოკიდებულია მისი გამოყენება. მიწის დონესთან გასწორებული კიდეები მარტივ წვდომას უზრუნველყოფს გადაადგილების შეზღუდვის მქონე ბავშვებისათვის, ამასთან ბავშვებს ურიკების შევსებისა და გადაადგილების საშუალება ექნებათ. ქვიშა ირგვლივ მიმოიყრება, მაგრამ

ბავშვები სიამოვნებით მოაგროვებენ მას, ამიტომ ბევრი ცოცხი მოიმარაგეთ. ბავშვებს ასევე გაუხარდებათ შეგროვებული ქვიშის გაცრის პროცესი მისი უკან - ქვიშის ზონაში დაბრუნებამდე გასუფთავების მიზნით. გარე სივრცეზე ზრუნვისა და მისი მოვლის პასუხისმგებლობის ბავშებზე დაკისრება მნიშვნელოვნად გაზრდის სასწავლო პოტენციალს. ამაღლებული კიდეები ქვიშის მოედნიდან ამოყრას აგაცილებთ თავიდან. ისინი დამატებით სათამაშო ზედაპირების როლსაც შეასრულებენ, სადაც ბავშვებს ჯდომა, შიშველი ფეხების ქვიშაში ჩაწყობა და საუბარი შეეძლებათ; იქედან ქვიშაში გადახტომაც კი შეიძლება. კიდეებზე უფროსებსაც შეუძლიათ ჯდომა და ბავშვების თამაშზე დაკვირვება ან მათთან ინტერაქცია. ამ მიზნების გათვალისწინებით, კიდეების ზედაპირები ფართო და მოსახერხებელი უნდა იყოს დასაჯდომად. ქვიშის მოედნის კიდეების გასწვრივ დასაჯდომი სკამები ბავშვებისთვის საუკეთესო სამუშაო ზედაპირი იქნება ქვიშისა და წყლის შესარევად და „კერძების" მოსამზადებლად. ქვიშით თამაშის ამ მნიშვნელოვანი ასპექტის ხელშესაწყობად მიეცით ბავშვებს ქვაბები და კოვზები. დიდი ზომის ქვიშის მოედანზე ხის მორები და დიდი ლოდები შეგიძლიათ გამოიყენოთ დაჯდომის ან ცოცვის მიზნით, ხოლო კაბელის მასრები შესანიშნავი სამუშაო ზედაპირი იქნება. ქვიშა ბალახზეც შეგიძლიათ განათავსოთ და უფრო რბილ, ოდნავ დახრილ კიდეებს მიიღებთ; ქვიშა ბალახში აირევა და ეს პატარების სამყაროში ახალი სათამაშო ლანდშაფტი იქნება. ბალახით გარშემორტყმული ქვიშით სავსე ორმოებიდან ქვიშა ნაკლებად მიმოიბნევა, რადგან ბავშვების ფეხსაცმელი ორმოებიდან ამოსვლის დროს ბალახზე გაიწმინდება.

ქვიშის მოედანზე წყლის უზრუნველყოფა მთელ რიგ ახალ საკვლევ შესაძლებლობებს და გამოცდილებებს სთავაზობს ბავშვებს. სველი ქვიშა განსხვავდება ნოტიო ქვიშისგან; ძალიან საინტერესოა, რომ წყალი ჯერ ავსებს ქვიშას, შემდეგ კი იცლება; ქვიშაში თხრილების გაკეთებაც შეიძლება წყალსადენი სისტემის შესაქმნელად. წყლით გათხელებული ქვიშა საოცარია და მისგან საინტერესო სკულპტურების „ჩამოსხმაც" შეიძლება ხელის გულებიდან. სველ ქვიშაში კაშკაშა მარცვლები დაამატეთ და დაბალი ჯამებითა და საცერებით ბავშვებს „ოქროს" მოპოვებაც შეეძლებათ!

აუცილებელია ქვიშის ვარგისიანობის შენარჩუნება. ქვიშის დიდი მოედნების გადახურვა ადვილია, მაგრამ გადასახური მასალა მსუბუქი და ფორებიანი უნდა იყოს, რათა წვიმის წყალი დაიწრიტოს. მყარი თავსახურები ზღუდავენ ჰაერის მოძრაობას ქვიშაში, რაც იწვევს ქვიშის ინერტულობას, დაობებას და მასში არასასურველი მწერების გაჩენას. აგრარული მეურნეობისა და სამშენებლო მასალების ცენტრებში სხვადასხვა სახის პლასტმასის ბადეების შეძენაა შესაძლებელი, რომელთა გაჭიმვაც სათამაშოდ განკუთვნილი პატარა საბურავების დახმარებით შეიძლება - ამაში ბავშვებიც სიამოვნებით დაგეხმარებიან. "Chelsea Open-Air" საბავშვო ბაღი ლონდონში ძალიან წარმატებულად იყენებს სათევზაო ბადეს დიდი ქვიშის მოედნის გადასახურად, რაც ჩაძირული გემის იმიტაციას ქმნის. ასევე შეგიძლიათ სათბურის დასაჩრდილი მასალისგან შეკვეთით დაამზადებინოთ გადასახური ბადე (მჭირდო ნეილონის ბადისებრი ქსოვილი) ქვიშის მოედნის ზომების შესაბამისად, კიდეებზე შიდა მხრიდან ჩატანებული მძიმე ჯაჭვით. ჯაჭვი საიმედოდ დაამაგრებს ბადეს ქვიშაზე და ამასთან ადვილი იქნება მისი გადაძრობა და გადაფარება. ცხოველთა დამფრთხობი ულტრაბგერითი მოწყობილობები, რომლებიც აგრარული მეურნეობის ცენტრებში და რამდენიმე სპეციალურ მიმწოდებელთან მოიპოვება, გამოგადგებათ ქვიშის ძაღლების, კატებისა და მელიებისგან დასაცავად. სანაპიროსმაგვარი ოქროსფერი ქვიშის მოედნები სწორედ ამგვარ მოწყობილობებს იყენებენ მოედნების გადახურვის ალტერნატივად.

ქვიშის მოედნის მოწყობისას დარწმუნდით, რომ წვიმისა და თამაშის დროს გამოყენებული წყლის დაწრეტას არაფერი უშლის ხელს - ქვიშის ქვეშ ხრეშის დაფენა დაგეხმარებათ ამაში - მყარი, გამტარი ლანდშაფტური მემბრანა შეამცირებს შერევას (ლანდშაფტის დიზაინერის რჩევა დაგეხმარებათ კონკრეტულად თქვენს ღია სივრცეში მოედნის მოწყობისათვის; ან იქნებ რომელიმე მშობელს ჰქონდეს საჭირო გამოცდილება ამ საქმეში.) თამაშის დროს წაახალისეთ ბავშვები ღრმად ამოთხარონ ქვიშა, რაც ხელს შეუწყობს აერაციას; ასევე აუცილებელია ქვიშის ღრმა და საფუძვლიანი გადარეცხვა წყლის ძლიერი ნაკადით და გადაბრუნება სეზონზე ერთხელ მაინც. გადასარეცხ წყალში სასტერილიზაციო აგენტების გაზავებით თავიდან აიცილებთ

ქვიშაში ბაქტერიებისა და წყალმცენარეების გაჩენას. პატარა ტოტები და ფოთლები, რომელიც ბუნებრივად გროვდება ღია სივრცეში ქვიშის მოედნებზე პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს; ისევე როგორც ნამდვილ სანაპიროზე, ეს მასალები კიდევ უფრო ზრდის თამაშის ღირებულებას. თუმცა, ხეების ქვეშ ან სიახლოვეს განლაგებული ქვიშის მოედნების არასამუშაო დროს ბადით გადახურვა სასარგებლო იქნება, მასზე დაცვენილი ფოთლებიც სათამაშო მასალად გამოგადგებათ.

ჩრდილი ქვიშის მოედანზე უნდა შეესაბამებოდეს მზის (დღის 12 საათიდან 2 საათამდე ყველაზე საზიანოა) გადაადგილებას. თუკი საჩრდილავ ტენტებს იყენებთ, დარწმუნდით, რომ ქსოვილი ულტრაიისფერ სხივებს ფილტრავს. ხის სათამაშო ქვიშის მოედნები, როგორც წესი იმ ადგილს არ ჩრდილავენ სადაც საჭიროა, ამიტომ ყურადღებით შეარჩიეთ იგი. თუმცა, ეცადეთ საჩრდილავი ტენტები არ დატოვოთ გრილ და სველ თვეებში, რადგანაც ქვიშა გამუქდება და თამაში აღარ იქნება სასიამოვნო. ქვიშით თამაშების რისკის შეფასებისთვის აუცილებელია, რომ კარგად იცნობდეთ ბავშვებს, გასათვალისწინებელია კანისა და თმის მგრძნობელობა, ასევე ისიც, რომ ბავშვებმა ქვიშა შეიძლება პირში ჩაიდონ.

გარე სივრცეში ქვიშით სათამაშო გარემოს შესაბამისი აღჭურვილობებითა და შესაძლებლობებით უზრუნველყოფისას კი არ უნდა გავიმეოროთ დახურული სივრცის გარემო, არამედ უნდა შევავსოთ და გავაფართოვოთ იგი. ამისათვის აუცილებელია ქვიშით თამაშების პარალელურად დაგეგმვა დახურულ და ღია სივრცეებში და ამ ორ გარემოს შორის არსებული განსხვავებების მაქსიმალური გამოყენება. შიდა და გარე სივცეებში მოწყობილ ქვიშით სათამაშო გარემოს შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი განსხვავება ღია სივრცის მკაფიო, სამგანზომილებიან ბუნებაში მდგომარეობს. მიეცით ბავშვებს ბევრი შესაძლებლობა გამოიკვლიონ ვერტიკალური განზომილება - თხარონ ღრმად, აზიდონ ქვიშით სავსე კონტეინერები რაც შეიძლება მაღლა და გადააადგილონ საგნები სხვადასხვა დონეებს შორის. გამოიყენეთ თქვენს ხელთ არსებული ნებისმიერი შესაძლებლობა - ტოტები, კედლები, ტერასები და გორაკები, რათა მრავალდონიანი ქვიშის ლანდშაფტები შექმნათ კაუჭების, გორგოლაჭების, თოკების, არხების, მილებისა და ღარების გამოყენებით. თვალსაჩინოდ და

ხელმისაწვდომად დაასაწყობეთ ხის ნაჭრები, ნიჟარები, კენჭები და სხვა ბუნებრივი მასალები თქვენს სიახლოვეს, რათა ქვიშასთან და ნიადაგთან მათ ინტერაქციას შეუწყოთ ხელი.

მნიშვნელოვანია, რომ ქვიშისა და ნიადაგის მოედნები არ გადაიტვირთოს რესურსებით, რაც ხელს შეუშლის ბავშვების თამაშს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოედნები პატარაა. ეცადეთ კვირაში ერთხელ მაინც გაათავისუფლოთ სათამაშო მოედანი რესურსებისგან, იმისთვის, რომ ბავშვებს უშუალო და მარტივი ინტერაქციის შესაძლებლობა ჰქონდეთ ბუნების ფუნდამენტურ ელემენტებთან. ქვიშა განსაკუთრებით ლამაზი, თერაპიული ნივთიერებაა, რომლის სრულფასოვანი შეგრძნება ბავშვებს ჩაჯდომით ან ჩაწოლით შეუძლიათ, ხელებითა და შიშველი ფეხებით, მისი სიგრილისა და სასიამოვნო შეგრძნების აღქმა კანით, ხელისა და ფეხის თითებს შორის. ტენიან ქვიშაში ვრცელი ლანდშაფტების ფორმირებაა შესაძლებელი გვირაბებითა და გასასვლელებით, ბავშვების ფანტაზიის დასაკმაყოფილებლად სხვა დამატებითი საგნების საჭიროების გარეშე.

სურათი 2.3. შეძლებისდაგვარად ბავშვები მეტი ქვიშით უზრუნველყავით ღია სივრცეში

ნიადაგი

ნიადაგი მართლაც საოცარი რესურსია ადრეული ასაკის მკვლევართათვის. ბავშვებს შეუძლიათ მისი ამოთხრა, ჩაბრუნება, არტეფაქტების შიგნით დამარხვა და ხელახლა პოვნა, ხვრელების გაკეთება, სათლებისა და ურიკების შევსება, შემდეგ ხვრელების ისევ ამოვსება. მიუხედავად იმისა, რომ ნიადაგი ქვიშის მსგავსია, იგი სხვანაირად გამოიყურება და ხასიათდება, ამასთან იქ საინტერესო მცოცავი არსებებიც შეიძლება აღმოაჩინოთ; ამიტომ კარგია უზრუნველყოთ ორივე - ნიადაგიც და ქვიშაც. როცა ნიადაგი მშრალია, ის მყარი და ფხვიერია, თუმცა ტენიანი ნიადაგი ძერწვის შესაძლებლობას იძლევა; კარგ თიხნარ ნიადაგს საოცარი სურნელი აქვს. წყლის დამატების შემთხვევაში ისევ განსხვავებულ მასას მიიღებთ. სველი ტალახი საინტერესოა - მასზე კვალის დატოვება ან მისი საღებავად გამოყენება შეგვიძლია, ასევე გასაოცარი შეგრძნებაა, როცა იგი ხელის ან ფეხის თითებს შორის იწრიტება! თიხის მაღალი შემცველობის ტალახით ჯამების ან საინტერესო ფიგურების გამოძერწვა შეგვიძლია, განსაკუთრებით საინტერესოა მცენარეული მასალებისა და ქვების დამატება (იხ. წიგნი "Nature's Playground" 2017, გვ. 52-54). თუმცა, ნებისმიერი სახის ტალახისგან შეიძლება გაკეთდეს მშვენიერი ღვეზლები, ნაცხვრები, სუპები, ხორცის კერძები, ნაყინები, წამლები და მაგიური სასმელები. კომპოსტი, ნიადაგთან შედარებით, ცუდი ფაქტურისა და მახასიათებლების მქონე მასაა, რომელიც ცუდად ზავდება წყალში და უვარგისია ტალახის ღვეზლების გასაკეთებლად, ამიტომ ეცადეთ კარგი ხარისხის თიხნარი ნიადაგით მოამარაგოთ ბავშვები. ნიადაგთან ნებისმიერი სახის მუშაობის პროცესში მიღებული ჭრილობები, განსაკუთრებით ღრმა ჭრილობები, დაამუშავეთ - დააკარით ლეიკოპლასტირი ან გამოიყენეთ ხელთათმანები ინფექციის შეჭრის თავიდან აცილების მიზნით, ასევე დაეხმარეთ ბავშვებს თამაშის შემდეგ ხელების დაბანის წესი გამოიმუშაონ, განსაკუთრებით საკვების მიღების წინ.

ბავშვებისთვის მიწით თამაშის შეთავაზების ორი გზა არსებობს და ორივე მათგანი თავისებური და ღირებულია. ტალახით თამაშისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი მიწასთან ფიზიკური, მთლიანი სხეულით ურთიერთობის შესაძლებლობას იძლევა, რაც ბავშვებისთვის განსაკუთრებით მიმზიდველია. მიწა წარმოადგენს მცენარეების განვითარების გარემოს და მიწით

თამაში მნიშვნელოვანია მებაღეობისა და მიწათმოქმედების ფუნდამენტური გაგების ჩამოყალიბებისთვის; ეს გამოცდილება ასევე მდიდარია სხვა სფეროების, განსაკუთრებით, პიროვნული, სოციალური, ემოციური და ფიზიკური განვითარების პოტენციალით. წინასწარ მომზადებულ სარგავ ორმოსთან ხელსაწყოებით მისვლის ნაცვლად, ბავშვები დასაბარი მიწის ნაკვეთზე გრძელტარიანი ხელსაწყოებით თავად უნდა თხრიდნენ მიწას ყველა კუნთის ჩართულობით. ასწავლეთ ბავშვებს ბარის გამოყენება, ეს საუკეთესო ფიზიკური ვარჯიშია და თან ბარვასაც სწავლობენ. თუმცა, თუკი შესაბამისი მიწის ნაკვეთი არ გაქვთ, გამოიყენეთ კაშპო ან დიდი ზომის საბურავი (რომელსაც გამოკრული აქვს სარეველებისგან დამცავი სპეციალური ქსოვილი მიწის დასაკავებლად) ან გააკეთეთ ამაღლებული სარგავი ორმოები. მნიშვნელოვანია ჰიგიენის შენარჩუნება: კატებისა და სხვა ცხოველების თავიდან არიდების მიზნით, გამოიყენეთ სამაგრიანი ბადე, ტენტი ან შრეებიანი ფიცრის თავსახური (შეიძლება ულტრაბგერითი ან სურნელოვანი დამაფრთხობელი მოწყობილობის გამოყენებაც).

მიწის ბარვასთან შედარებით ტალახის სამზარეულოები განსხვავებულ შესაძლებლობებს გვთავაზობენ, ამასთან მათი მოწყობა კიდევ უფრო მარტივია. ტალახის სამზარეულოები შიდა სივრცეების ყველასთვის საყვარელ ელემენტებს - სახლში და სამზარეულოში ფუსფუსი აერთიანებს. ტალახის სამზარეულოები გამდიდრებულია ღია სივრცეების განსაკუთრებული ბუნებით და იმ ფუნდამენტური მასალებით, რომლებსაც ბავშვები თამაშის დროს იყენებენ. ტალახის სამზარეულოები და ლაბორატორიები (იხ. თავი 1) ძალიან ეფექტურია მთელი წლის განმავლობაში და ისინი ღია სივრცის უმთავრესი კომპონენტებია. შეარჩიეთ კარგი განლაგება, სადაც ბავშვებს წვდომა ექნებათ სხვადასხვა ბუნებრივ მასალებთან - ქვიშასთან, ნიადაგთან, წყალთან და მცენარეებთან. გამოყავით დახურული კუთხე ან სხვა ადგილი, სადაც კედლებზე თაროები და სამზარეულოს სხვადასხვა ნივთი იქნება ჩამოკიდული; ეს კუთხე ისეთი ზომის უნდა იყოს, რომ რამდენიმე ბავშვმა ერთად შეძლოს თამაში. ამ სივრცეში შექმნილი გარემო გავლენას მოახდენს ბავშვების ქცევასა და თამაშზე. ეს დამატებითი კუთხე ბავშვებს უსაფრთხოებისა და სიმყუდროვის განცდას შეუქმნის მეგობრებთან ერთად წარმოსახვითი თამაშის

პროცესში და თერაპიულ და საყოფაცხოვრებო როლურ თამაშებს გაუხსნის გზას. ორივე მხრიდან ხელმისაწვდომი ღია ზედაპირები ხელს უწყობს ინტერაქციის მაღალ ხარისხს და ახალისებს მოძრაობას, შესაბამისად თამაში ღია სივრცის უფრო მეტ ნაწილს აკავშირებს ერთმანეთთან - მაგალითად, ბავშვებს პიცების სხვა ადგილზე გადატანა შეუძლიათ ველოსიპედით! კარგია თქვენი ტალახის სამზარეულოების დროგამოშვებით დათვალიერება ბავშვებთან ერთად, მისი მდგომარეობის და ფუნქციონირების შესამოწმებლად. ცვალეთ პოზიციები და განლაგებები, დააკვირდით როგორ აისახება ეს ცვლილებები თამაშზე: შეგიძლიათ ერთზე მეტი ტალახის სამზარეულო მოაწყოთ და ეს განსხვავებული ასპექტები გამოიყენოთ.

ტალახის სამზარეულოსა და ლაბორატორიის უმნიშვნელოვანესი ელემენტი სამუშაო ზედაპირია, რომელსაც სწორი სიმაღლე და საკმარისი სივრცე უნდა ჰქონდეს სამზარეულოში შემოქმედებით არეულობასთან გასამკვლავებლად. გააფორმეთ სამზარეულო სხვადასხვანაირი ქვებებითა და სამზარეულოს ნივთებით. თაროები დაგეხმარებათ ნივთების ისეთ ორგანიზებაში, რომ რესურსები თვალსაჩინო და მარტივად ხელმისაწვდომი იყოს ბავშვებისთვის. ერიდეთ ბევრი რესურსის ერთმანეთზე დალაგებას, რათა თავიდან აიცილოთ ქაოტურობა. კარებიანი კარადების გამოყენება სახალისოა ადრეული ასაკის ბავშვებისთვის, ისინი საათობით გაერთობიან შიგნით საგნების შელაგება-გამოლაგებით კარების გაღება-დახურვით; ამ პროცესში ისინი სწავლობენ თუ როგორ ინახება საგნები. ბავშვები ენთუზიაზმით შეცვლიან თავიანთ სათამაშო აქტივობას ტალახიანი ქვაბების რეცხვით, თუკი მიწით თამაშის დასრულების შემდეგ ბავშვებს საპნიან, თბილი წყლით სავსე ჯამს და ქვაბების სახეხს მიაწოდებთ. ეს აქტივობა ხელების დაბანის პირველი ეტაპიცაა!

ტალახის სამზარეულოებში არ უნდა იყოს ძვირადღირებული ნივთები. ვერაფერი შეედრება საკუთარი ხელით, შეგროვებული, ნაჩუქარი და აღმოჩენილი საგნებით შექმნილი უნიკალური სამზარეულოსა თუ ლაბორატორიის სისადავესა და ხასიათს. იმდენად, რამდენადაც ტალახის სამზარეულოების თემა აქტუალური გახდა ბოლო ხანებში, ბევრი კომპანია ახლა უკვე მზა ტალახის სამზარეულოებს ყიდის, მაგრამ ბევრი მიზეზია იმისთვის, რომ სამზარეულოები საკუთარი ხელით შექმნათ, მათ შორის:

- ოჯახების შემოწირულობებით იზრდება მშობლების ჩართულობა ადრეული ასაკის დაწესებულების ცხოვრებაში, ასევე იზრდება ასეთი სახის თამაშების სარგებლის გაგება და მიმღებლობა მათი შვილებისათვის;
- საქველმოქმედო მაღაზიებიდან ნივთების შეძენა ყოველთვის ამაღელვებელი და სასარგებლო საქმიანობაა;
- თქვენი ტალახის სამზარეულოს ნაწილები და ელემენტები უფასო ან ძალიან იაფი, ამავდროულად განსხვავებული და უცნაური შეიძლება იყოს;
- თქვენი სამზარეულო უნიკალური და განსაკუთრებული, ადრეული ასაკის დაწესებულებისთვის დამახასიათებელი კონკრეული კულტურის ამსახველი იქნება;
- რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვები იგრძნობენ მათთვის ნაცნობი საშინაო გარემოსთვის დამახასიათებელ წესსა და კულტურას;
- თქვენი სამზარეულო და ლაბორატორია არ მოითხოვს დიდ დანახარჯებს და შესაძლებელი იქნება მისი მორგება/რეგულირება სხვადასხვა პოზიციაზე სხვადასხვა განლაგებით;
- არასაჭირო ნივთები ახალ დანიშნულებებს იძენენ, საგნების ხელახალი დანიშნულებით გამოყენება კი ადრეული ასაკის დაწესებულების მდგრადობას უზრუნველყოფს;
- თქვენი ბავშვები მიიღებენ გზავნილს, რომ საგნების ხელახლა გამოყენება შეიძლება, რაც მათ გააცნობიერებინებს ეკოლოგიური მდგრადობის მნიშვნელობას.

დაიმახსოვრეთ, რომ საუკეთესო ტალახის სამზარეულოები იმ ბავშვებთან თანამშრომლობით იქმნება, რომლებიც თავადვე გამოიყენებენ მათ. გარე სივრცის ამ მშვენიერი ზონის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ უფასო რესურსი - ჯენ უაითისა და ლიზ ედუარდსის (Jan White and Liz Edwards) "Making a Mud Kitchen", ასევე იხილეთ პირველ თავში წარმოდგენილი რესურსების ჩამონათვალი. მაღაზია "Muddy Faces"-ში ასევე იპოვით ბევრი სხვადასხვა რესურსის კოლექციას, რომლებიც შემუშავებულია ჯენ უაითთან თანამშრომლობით; რესურსები ასტიმულირებენ და ხელს უწყობენ ორიდან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვების ტალახის სამზარეულოში თამაშის კონკრეტულ ასპექტებს (იხ. www.muddyfaces.co.uk).

ხრეში

დიდი რაოდენობით ხრეში თამაშის სხვადასხვა შესაძლებლობებს ქმნის: როგორც ფხვიერი მასალა - შესავსებად, დასასხმელად და გადასაადგილებლად; როგორც ლანდშაფტი - პატარა სამყაროს თამაშებისთვის და როგორც ბევრი წვრილი ელემენტისგან შემდგარი მასალა - დასალაგებლად, დასახარისხებლად. თითოეული ქვა უნიკალურია. ადრეული ასაკის ბავშვებს, დეტალებისადმი უდიდესი ინტერესის გამო, ქვების ეს უნიკალური დეტალები არ რჩებათ შეუმჩნეველი. ახლოდან ფერები განსხვავებულია, ისევე როგორც ფორმები და ზომები, რაც ბავშვებს საშუალებას აძლევს დაახარისხონ და სხვადასხვა ფიგურებად დაალაგონ ქვები. პატარა კენჭები თითქოს იგივე, თუმცა მაინც განსხვავებულ სათამაშო მასალას წარმოადგენს, რომელიც ასევე საინტერესო და სასიამოვნოა. შეგიძლიათ დიდი სათამაშო ლანდშაფტების მოწყობა რკინიგზის ძელების გამოყენებით; თუკი სივრცე ამის საშუალებას გაძლევთ, მოაწყვეთ სათამაშო ზედაპირები სხვადასხვა დონეებზე. ამით სათამაშო შესაძლებლობები გაფართოვდება. ამ რაოდენობით ხრეში კარგ

სურათი 2.4. ტალახის სამზარეულოები საშინაო თამაშის, ცხობისა და ღია სივრცის საოცარ შეზავებას წარმოადგენენ

დრეკად ზედაპირს წარმოადგენს ფეხქვეშ, რაც ადრეული ასაკის ბავშვების ფიზიკური განვითარებისთვის მნიშნელოვან შესაძლებლობებს ქმნის (იხ. თავი 4). ტრაქტორის საბურავები ასევე კარგ კონტეინერებს წარმოადგენენ (ოღონდ შიგნიდან გამოკრული უნდა ჰქონდეს ლანდშაფტის სპეციალური ქსოვილი ან პლასტმასის ნასვრეტებიანი შრე). განსხვავებული ლანდშაფტების შექმნა სხვადასხვა მასალებითაა შესაძლებელი - მათ შორის ქვიშით სავსე საბურავების დაჯგუფებით; ასევე სცადეთ ბალახების ან სხვა გამძლე მცენარეების დარგვა, მორებისა და დიდი ზომის სკულპტურული ქვების დამატება. ყურადღებით იყავით, რომ ბავშვებმა ხრეში პირთან არ მიიტანონ, რადგან ეს პატარა კენჭები დახრჩობის საშიშროებას წარმოადგენენ, თუმცა მსგავსი პრობლემა ჯერ არ დაფიქსირებულა იმ დაწესებულებებში, სადაც ბავშვებს ხრეში მიეწოდებათ.

სხვა ბუნებრივი მასალები

ბევრი პატარა საგანი მალე ირევა ერთმანეთში და რთული იქნება მათი გამოყენება თუკი საჭირო ყურადღება არ დაეთმობა მათ ორგანიზებას და მიმზიდველად წარმოჩენას. მასალები გაცილებით უფრო მრავალფეროვნად იქნება გამოყენებული, თუკი მათ ისეთ კონტეინერებში შევინახავთ, რომელთა გადაადგილებაც მარტივია ღია სივრცის მთელ ტერიტორიაზე. შესაბამისი კონტეინერის შერჩევა დამოკიდებული იქნება რესურსების ზომასა და წონაზე, თუმცა აუცილებელია, რომ ბავშვებმა თავად შეძლონ მათი გადაადგილება. ღრმა და არაღრმა უჯრიანი ურიკები, ასევე ბოსტნეულის გორგოლაჭიანი თაროები მარტივად დაგორავს ქვიშაზე, ბალახზე ან ქვაფენილზე, იქ სადაც ბავშვებს სჭირდებათ ისინი. სარეცხის პლასტმასის კალათები და პურის ყუთებიც მშვენიერი კონტეინერებია მოზრდილი საგნებისთვის, მაგალითად ხის ნაჭრებისთვის, რომელთა გადაადგილებაც ბავშვებს ერთობლივად შეუძლიათ. ზოგი რესურსი შეგვიძლია გარეთ, უბრალოდ შეკრული ან ყუთებში დავტოვოთ (აუცილებელია, რომ მათ დასაწრეტი ხვრელი ჰქონდეთ); ბრეზენტით დახურვის შემთხვევაში მასალები სუფთად შეინახება. მსუბუქი რესურსებით სავსე კალათები და გამჭვირვალე პლასტმასის ყუთები შეგვიძლია გარეთ ფარდულის თაროებზე შევინახოთ.

კალათები განსაკუთრებით კარგია მცირე ზომის ბუნებრივი მასალების საინტერესოდ წარმოსაჩენად; შეიძლება მათი დახარისხება, კლასიფიცირება და ორნამენტების შექმნა, მაგალითად, პიკნიკის პლედზე; სახელურიან კალათებს ბავშვები მასალების გადასატანად იყენებენ, ხოლო განყოფილებიანს - მასალების კლასიფიცირებისა და დახარისხებისათვის. გადაიღეთ ფოტოები მსხვილი პლანით და გამოიყენეთ ლამინირებული ასლები კონტეინერების ეტიკეტირებისთვის: მოთამაშე ბავშვების სურათებმა შეიძლება ახალი იდეებით შთააგონოს შემდგომი მომხმარებლები. როგორც უკვე განვიხილეთ (თავი 1, „წყლის სათამაშო რესურსების შენახვა"), რესურსების ეტიკეტირებისა და ორგანიზების პროცესში ბავშვების ჩართულობა ნამდვილად ღირს იმ დროდ, რასაც ამ პროცესის ეფექტურობა მოითხოვს. მარტივად ხელმისაწვდომი მასალების კოლექციები განსაკუთრებული ნივთებით შეავსეთ, მაგალითად უფრო დიდი ზომის სადაფის ნიჟარებით. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ ასფალტზე და ქვაფენილზე, ისინი დიდი ალბათობით დაზიანდებიან და უმჯობესი იქნება მათი რბილ ზედაპირებზე გამოყენება (როგორიცაა ბალახი, ქვიშა და ხის ქერქი). ბავშვებს ბევრი დრო მიეცით და დიდი მხარდაჭერა გაუწიეთ თამაშის შემდეგ რესურსების უკან - კონტეინერებში ჩალაგებაში. თუკი მასალები არეულია ერთმანეთში, გამართეთ ერთობლივი დახარისხების აქტივობა მათემატიკური მსჯელობებით.

ბუნებრივ მასალებთან გამოსაყენებელი რესურსები

მნიშვნელოვანია, რომ ბუნებრივი მასალების გამოსაყენებლად საჭირო აღჭურვილობისგან მაქსიმალური სარგებელი მივიღოთ ღია სივრცეებში, რასაც დახურული სივრცე ვერ უზრუნველყოფს. ამ თვალსაზრისით სწორ ჩაცმულობას დიდი მნიშნელობა აქვს. ბავშვები კომფორტულად უნდა გრძნობდნენ თავს, განსაკუთრებით კი ცივ ამინდებში, რადგან ქვიშისა და ნიადაგის გამოყენება მთელი წლის მანძილზეა შესაძლებელი. შესაბამისი ტანსაცმლით მაქსიმალური სარგებლის მიღება შეგვიძლია ღია სივრცის დინამიკური ბუნებისგან. ქვიშისა და ნიადაგის თვისებები ხომ ძალიან განსხვავდება წელიწადის სხვადასხვა დროს და შესაბამისი ტანსაცმლით ბავშვებს ხანგრძლივი

პერიოდის განმავლობაში შეეძლებათ კომპლექსურ და სასიამოვნო თამაშებში ჩართვა. ღია სივრცეების ამ ზონების შესაბამისად აღჭურვა ბავშვებს აქტიური, კვლევითი, გამომგონებლური და ფართომასშტაბიანი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას მისცემს.

რესურსები ბუნებრივი მასალების გამოყენებისთვის

- გადამზიდი საშუალებები, როგორიცაა ურიკები, ეტლები და კალათიანი ველოსიპედები, სახელურიანი სათლები ტვირთის ასაზიდად და გადასატანად;
- ტომრები, კალათები, ხელსაწყოების ყუთები, ჩანთები, სასურსათო ჩანთები - ნებისმიერი რამ, რისი შევსებაც და გატანაც შეიძლება;
- სახურავიანი, შესაკრავიანი და განყოფილებიანი კონტეინერები თამაშის გასამრავალფეროვნებლად;

სურათი 2.5. იდეებისა და აზრების გაზიარება კენჭებისა და ქვების გამოყენებით

- გრძელტარიანი ნიჩბები, ფიწლები, ფოცხები (ძირითადად ბავშვის ზომის და რამოდენიმე მოზრდილი);
- ბავშვის ზომის სამშენებლო ნიჩბები და სხვა ხელსაწყოები (მეტალის ნიჩბები პლასტმასისას ჯობია);
- გრძელტარიანი ცოცხები, აქანდაზი და ჯაგრისი (დაგვა კარგი ფიზიკური აქტივობაა, რომელიც ძალიან უყვართ ბავშვებს, ამასთან მათ დახმარებაც შეეძლებათ დალაგებაში და ირგვლივ დაყრილი ქვიშის თავის ადგილას დაბრუნებაში);
- სკოლის ძველი სამზარეულოს ნივთები (მეტალის დიდი ქვაბები და ჩამჩები);
- საცხობი და სამზარეულოს ჭურჭელი;
- ტალახის სამზარეულოს/ლაბორატორიის რესურსები (იხ. ნაწილი 1);
- რძისა და პურის შესაფუთი ყუთები;
- პლასტმასის ღარები, წყალსადენი მილები და სხვა დიდი მილები;
- აგურები (პატარა, მაგრამ ნამდვილი) და ფიცრები;
- ბაღის ცხრილები/საცერები;

სურათი 2.6. საკვების მოპოვება და შეგროვება უძველესი და ბუნებრივი სტიმულია

- კაუჭები, ჭოჭონაქები და თოკები მასალების კონტეინერებით გადასატანად;
- წყალი, რეზინის მილები და სარწყავები;
- გამადიდებელი კოლბები და სახელურიანი ლინზები;
- კამერა ბავშვების სამუშაო პროცესის და იმ პროდუქტების გადასაღებად, რომლებსაც თავად ბავშვები შეარჩევენ;
- დამცავი ტანსაცმელი, როგორიცაა საწვიმარები; კომბინეზონი იდეალური ვარიანტია როცა არ წვიმს, რადგან იგი ფარავს მუცელს და ფეხებს, თუმცა ხელები თავისუფალია სამოძრაოდ;
- ბავშვის ზომის მებაღეობის ხელთათმანები (იმათთვის, ვისაც არ შეუძლია ან არ უყვარს პირდაპირი კონტაქტი მასალებთან);

ბუნებრივი მასალები კარგად უწყობენ ხელს ადრეული ასაკის დაწესებულების სხვადასხვა ზონებში თამაშს, თუმცა ბევრი სხვა რესურსიც წარმატებით გამოიყენება ბუნებრივ მასალებთან ერთად, განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც წარმოსახვითი თამაშისთვისაა შესაფერისი:

- პატარა ზომის ცხოველები, მაგალითად დინოზავრები, ფერმის, გარეული და შინაური ცხოველები და მწერები; დაალაგეთ ისინი თემატურად მარტივად ხელმისაწვდომ კონტეინერებში ან ურიკების ლანგრებზე;
- პატარა ზომის მანქანები, განსაკუთრებით კონტეინერიანი სატვირთოები;
- საყოფაცხოვრებო ნივთების პაწაწინა ვერსიები, საოჯახო საქმიანობის სტიმულირებისთვის, მაგალითად ზღაპრული ჩაის წვეულებების მოწყობისთვის;
- ფიცრები, პატარა აგურები და სამშენებლო ინსტრუმენტები, მაგალითად სველი ქვიშის ნარევისგან დამზადებული აგურის წყობისთვის;
- დიდი ზომის საგანძურის სკივრი ან ყუთი, რუკები და არტეფაქტები დასამარხად და საპოვნელად, არქეოლოგიური აღმოჩენების ან მეკობრეობისთვის;
- ნებისმიერი ნივთი, რომელიც სათამაშო სახლში გაზქურად გამოდგება, ასევე რესურსები „კაფეში" მაგიდებისა და სკამების მოსაწყობად მსუბუქი „წახემსებისთვის";
- რესურსები თემატური როლური თამაშებისთვის, როგორიცაა ლაშქრობა, მეკობრეები ან საექსკავაციო/სამშენებლო მოედანი;

- კედლებზე ან ღობეებზე დამაგრებული კაუჭები გორგოლაჭიანი ასაზიდი სისტემის მოსაწყობად სათლებისა და თოკების გამოყენებით;
- რესურსები „ბუნაგების" მშენებლობისთვის: ბუნებრივი მასალები ბავშვების მიერ გაკეთებულ ბუნაგებში და სხვა კონსტრუქციებში თამაშს ძალიან უწყობს ხელს.

როგორ მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი ბუნებრივი მასალებისგან

- გაიხსენეთ საკუთარი თამაშები ბავშვობაში და გუნდურად გაუზიარეთ ერთმანეთს: ვარდის ფურცლების სუნამოს ან ზღაპრული სახლების გახსენება როგორც წესი, ბუნებრივი მასალებით თამაშის სასიამოვნო მოგონებებს იწვევს. დარწმუნდით, რომ ბაღის პერსონალი კარგად აცნობიერებს ბავშვების ბუნებრივ მასალებთან ინტერაქციის მნიშვნელობას, საკმარისი დრო დაუთმეთ მსჯელობებს საერთო მიდგომებისა და პროცედურების შესამუშავებლად ბავშვების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.
- დაეხმარეთ მშობლებს გაიხსენონ მათი ბავშვობა, აჩვენეთ სურათები, რათა გაიგონ თუ რა მოაქვს მათი შვილებისთვის შემოქმედებით თამაშს; განუმარტეთ მშობლებს თქვენი უსაფრთხოების პოლიტიკა ბავშვებთან ბუნებრივი მასალების გამოყენებასთან დაკავშირებით.
- დარწმუნდით, რომ ბავშვები თავს კომფორტულად გრძნობენ, ასწავლეთ მათ, რომ ხელები და პატარა საგნები პირთან არ მიიტანონ; ამისთვის თამაშის შემდეგ ხელების დაბანის წესი შემოიღეთ, რათა ბავშვებმა საკვები სუფთა ხელებით მიირთვან.
- წაახალისეთ ბავშვები გამოიყენონ ყველა გრძნობა, მაგალითად ყურადღება გაამახვილებინეთ მასალების სურნელზე და შეაგრძნებინეთ ყვავილების ლოყებზე შეხება. წაახალისეთ ფეხშიშველა სიარული: ბავშვებს შიშველი ფეხებით სამყაროს შეგრძნების ძალიან ცოტა საშუალება აქვთ და ჩვენ ვცდილობთ ფეხის-მასაჟის თერაპია ვუზრუნველყოთ. ბალახის შეგრძნება საოცარია, ისევე როგორც ქვიშის და თავგადასავლების მოყვარულთათვის - ტალახისაც კი.

- ხელი შეუწყვეთ ადრეული ასაკის ბავშვების ცნობიერებისა და ინტერესის გაზრდას წვრილმანების მიმართ, პატარა საგნებითა და პაწაწინა დეტალებით აღტაცების გაზიარების გზით. საჭიროებისას მიეცით ბავშვებს გამადიდებელი შუშები, რათა ბავშვებმა გააცნობიერონ, რომ კიდევ უფრო ახლოდან დაკვირვებაა შესაძლებელი; მოიმარაგეთ ბუნებრივი მასალების მსხვილი პლანით გადაღებული სურათებით და შეადარეთ რეალურ აღმოჩენებს (იხილეთ რესურსების ჩამონათვალი).
- დააკვირდით ბავშვების მიერ ბუნებრივი მასალების გამოყენებას და შეაფასეთ ეს დაკვირვებები კვლევის ან განვითრების შესაძლო მიმართულებების გამოსავლენად, რათა თქვენი დაგეგმარება ბავშვების ინტერესებს დაეფუძნოს. გაოცდებით იმ შესაძლებლობების აღმოჩენით, რომლებსაც ასეთი დაკვირვებები გამოავლენენ (იხ. მაგალითი მარჯორი უვრის (Marjorie Ouvry) წიგნში "Exercising Muscles and Minds", 2003, გვ. 34, სადაც ბავშვები მოჭრილ ბალახს იყენებენ - ყრიან, აგროვებენ, შეიგრძნობენ, წარმოიდგენენ და აჭმევენ თავიანთ ქვიშაქექიებს).
- ბუნებრივ მასალებთან ახლო კონტაქტი აამაღლებს ბავშვების ცნობიერებას და გაუღვივებს ბუნებაზე ზრუნვის ინტერესს. მნიშვნელოვანია, რომ გამოვიყენოთ შესაბამისი შესაძლებლობები და დავეხმაროთ ბავშვებს იმის გაცნობიერებაში, თუ რა ზიანი შეგვიძლია მივაყენოთ ბუნებას და ვასწავლოთ გარემოს პატივისცემა.
- შეაგროვეთ კარგი ხარისხის სურათები ინტერნეტიდან, ასევე კალენდრებიდან და ღია ბარათებიდან; დაალამინირეთ ისინი გარეთ გამოყენების მიზნით. გადაიღეთ თამაშის ფოტოები და დაეხმარეთ ბავშვებს მათივე გაკეთებული სტრუქტურებისა თუ ფორმების ფოტოების გადაღებაში. შემდგომ გამოიყენეთ ფოტოები, რათა განიხილოთ და გაამრავალფეროვნოთ იდეები ბავშვებთან და მათ მშობლებთან ერთად, ასევე შეგიძლიათ ისინი გამოფინოთ ან ხელნაკეთი წიგნები შექმნათ.
- ყურადღება მიაქციეთ ისეთ შემთხვევებს, როცა ბავშვები მასალებს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებენ, რადგან სწორედ ასეთი ტიპის აზროვნება მნიშვნელოვანია კოგნიტური განვითარებისათვის. გამოიყენეთ ეს ჩანაწერები კოლეგებ-

თან ერთად შემდგომ დაგეგმარებაში, რათა მომავალი აქ-ტივობებიც ისეთივე სახალისო იყოს.

- ხელი შეუწყვეთ მეტყველების განვითარებას მასალების სი-ლამაზის, ფორმის, თვისებებისა და მახასიათებლების აღ-წერისა და შეფასების გზით. შექმენით წიგნი ფერადი სურათებით ან გამოფინეთ ისინი და ბავშვებთან ერთად შე-რჩეული სიტყვები მიუწერეთ ქვემოთ; დატოვეთ ცოტა ადგი-ლი ახალი სიტყვების დასამატებლად. განავითარეთ „კეთე-ბასთან" დაკავშირებული ბავშვების სიტყვათა მარაგი, მათი აქტივობების აღწერით, მაგალითად: შერევა, დაფქვა, შერხევა, გაცრა, ბარვა/თხრა, ჩაფლვა, პოვნა, გახსნა, გამოჩენა, შეშხე-ფება, ხელის თათუნი, ფორმირება, მოჭერა, გაჭყლეტა და ა.შ.
- დაეხმარეთ ბავშვებს მოგითხრონ და გამოიგონონ ბუნებრივი მასალების გამოყენებასთან დაკავშირებული ამბები, მაგა-ლითად, როგორ მოვამზადოთ სამი დათვის „ფაფა" ან მა-გიური ნარევი განსაკუთრებული ძალების მისაღებად. მაქ-სიმალურად გამოიყენეთ პატარა სამყაროს წარმოსახვითი თამაშის პოტენციალი; გამოიყენეთ ბუნებრივი მასალები როგორც ლანდშაფტად ასევე სათამაშო რესურსად, მაგა-ლითად სახლები, გამოქვაბულები და გვირაბები (მე-5 თავში იხილეთ ზღაპრული სახლები).
- წაახალისეთ შემოქმედებითი იდეები ნიშნების გასაკეთებ-ლად, მაგალითად, ქვიშის სველი მასითა და საღებავი ფუნჯებით, ან ტალახითა და ჯოხებით; „მოხატეთ" ფიგურები ფხვიერ ზედაპირებზე ტოტებითა და ფოცხებით; გამოიყენეთ ბოტები ტალახიანი ნაკვალევის დასამჩნევად.
- უთხარით ბავშვებს თამაშის დროს, რომ ისინი არიან გამო-მგონებლები, ინჟინრები, მეცნიერები, მხატვრები, მუსიკო-სები, მათემატიკოსები და მთხრობელები, რათა მათ დაინახონ თუ რაოდენ ღირებულია თქვენთვის მათი თანდაყოლილი სწრაფვა შეიგრძნონ თავიანთი სამყარო.
- განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეთ ცნობისმოყვა-რეობას, გამომგონებლობას, ექსპერიმენტირებას, აღმოჩენას და აღტაცებას; დაეხმარეთ ბავშვებს კომფორტულად იგრძ-ნონ თავი უწესრიგო გარემოში. ნურც თქვენ იდარდებთ არეულობაზე: არც ერთი შემოქმედებითი სახელოსნო არ არის დალაგებული მუშაობის პროცესში!

ლექსები და სიმღერები:

Five Big Ice Creams
Five Cream Buns in a Baker's Shop
Five Little Leaves So Bright and Gay
Little Miss Muffet
Mud, Mud, Glorious Mud
Pat-a-Cake
Pease Porridge Hot, Pease Porridge Cold
Polly Put the Kettle On
We're Going on a Bear Hunt

საბავშვო წიგნები სილაში, ზღვის სანაპიროზე თამაშებისთვის

შენიშვნა: ვარსკვლავით (*) აღნიშნული წიგნები უფრო დიდ - სამიდან-შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებს შეეფერება

კარი ბესტი და ქრისტინ დავენიერი (Cari Best & Christine Davenier) "A Perfect Day for Digging" (Two Lions 2014)

ჯო უოთერსი (Jo Waters) "A Walk on the Beach (Nature Detectives)" (Harcourt Education 2006)

* როლანდ ჰარვი (Roland Harvey) "At the Beach" (Allen & Unwin 2007)

კეს გრეი და გერი პარსონს (Kes Gray & Garry Parsons) "Billy's Bucket" (Red Fox 2003)

ჯონ ბარნინგემი (John Burningham) "Come Away from the Water, Shirley" (Red Fox 2000)

მარგარეტ მაიო და ალექს აილიფი (Margaret Mayo & Alex Ayliffe) "Dig, Dig, Digging (Awesome Engines)" (Orchard Books 2002)

ტანა ჰობანი (Tana Hoban) "Dig, Drill, Dump, Fill" (Mulberry Books 1992)

სარა მაქკონელი (Sarah McConnell) "Don't Mention Pirates" (Hodder Children's Books 2007)

ჯენიფერ ბუსროიდი (Jennifer Boothroyd) "Feathers" (Lerner Classroom 2011)

*დევიდ უიზნერი (David Wiesner) "Flotsam" (Andersen Press 2006)

ფრანსინ ბასედი (Francine Bassede) "George's Store on the Seashore" (Siphano Picture Books 1999)

როსალინდ ბერდშოუ (Rosalind Beardshaw) "Grandma's Beach" (Bloomsbury Publishing 2002)

მიკ ინკპენი (Mick Inkpen) "Little Kippers: Sandcastle" (Hodder Children's Books 1998)

ალისონ ლესტერი (Alison Lester) "Magic Beach" (Allen & Unwin 2004)

ემმა ჩიჩესტერ კლარკი (Emma Chichester Clark) "Melrose and Croc Beside the Sea" (HarperCollins Children's Books 2007)

პოლეტ ბოგანი (Paulette Bogan) "Mummy's Magical Handbag" (Bloomsbury Children's Books 2005)

დები ჰარტერი და ოსკარ სიუორსი (Debbie Harter & Oscar Seaworthy) "Port Side Pirates" (book and CD) (Barefoot Books 2011)

მელანი უატი (Melanie Watt) “Scaredy Squirrel at the Beach” (Happy Cat Books 2008)
* მონიკა ჰიუჯი (Monica Hughes) “Seaside Holidays” (Capstan Global Library 2011)
პოლ ჰამფრი (Paul Humphrey) “Seaside Nature” (Franklin Watts 2006)
ჯილ ბენეტი და ნიკ შარატი (Jill Bennett & Nick Sharratt) “Seaside Poems” (Oxford University Press 2006)
დოტ კლივი და კიმ ჰარლი (Dot Cleeve & Kim Harley) “The Feather” (Tamarind 2003)
* ენნ თარნბული და მაიკლ ფორმანი (Ann Turnbull & Michael Foreman) “The Sand Horse” (Andersen Press 2002)
*ემ პი რობერტსონი (M P Robertson) “The Sandcastle” (Frances Lincoln Children’s Books 2001)
პოლ ჰამფრი (Paul Humphrey) “Things to Do at the Seaside” (Franklin Watts 2006)
იან უიბროუ და რასელ აიტო (Ian Whybrow & Russell Ayto) “Tim, Ted & the Pirates” (HarperCollins Children’s Books 2013)
ემმა გარსია (Emma Garcia) “Tip Tip Dig Dig” (Boxer Books 2008)

საბავშვო წიგნები ქვებითა და ნიჟარებით თამაშებისთვის

* ლორა პერდი სალასი და ვიოლოტეა დაბიჟა (Laura Purdie Salas & Violotea Dabija) “A Rock Can Be…” (Millbrook Press 2015)
* დიანნა ჰათს ასტონი და სილვია ლონგი (Dianna Hutts Aston & Silvia Long) “A Rock Is Lively” (Chronicle Books 2015)
მერი უოლესი (Mary Wallace) “An Inuksuk Means Welcome” (Owlkids 2015)
ქესი მაიერი (Cassie Mayer) “Body Coverings: Shells” (Harcourt Education 2006)
გვინეთ სვეინი (Gwenyth Swain) “Carrying (Small World Series)” (Carolrhoda Books 1999)
ბირდ ბეილორი და პიტერ პარნელი (Byrd Baylor & Peter Parnall) “Everybody Needs a Rock” (Prentice Hall & IBD 1974)
ჯოსი ისელინი (Josie Iselin) “Heart Stones” (Harry N Abrams 2008)
ლესლი მაქგუირკი (Leslie McGuirk) “If Rocks Could Sing: A Discovered Alphabet” (Tricycle Press 2011)
* მარკ არონსონი (Marc Aronson) “If Stones Could Speak: Unlocking the Secrets of Stonehenge” (National Geographic Kids 2010)
პეგი ქრისრტიანი და ბარბარა ჰირჩ ლემბერი (Peggy Christian & Barbara Hirsch Lember) “If You Find a Rock” (Harcourt Books 2008)
“Let’s Look at Pebbles (Material Detectives: Rock)” (Harcourt Education 2006)
ლეო ლიონი (Leo Lionni) “On My Beach There Are Many Pebbles” (HarperCollins 1995)
* ჰენრი პლაქროსი (Henry Pluckrose) “Rock and Stone (Find Out About)” (Watts Books 2002)
ჯულია დონალდსონი და ლიდია მონკს (Julia Donaldson & Lydia Monks) “Sharing a Shell” (Macmillan Children’s Books 2018)
ჯეს სტოკჰემი (Jess Stockham) “Stone Soup” (Child’s Play 2006)
“Stones eyelike nature” (PlayBac Publishing 2009)

საბავშვო წიგნები ჯოხებითა და ფოთლებით თამაშებისთვის

*ლორა პარდი სალასი და ვიოლოტეა დაბიჟა (Laura Purdie Salas & Violotea Dabija) “A Leaf Can Be…” (Millbrook Press 2012)
პოლა შვარცი და სარა შვარცი (Paula Schwartz & Sara Schwartz) “A Leaf Named Bud” (Rizzoli International Publications 1992)
მერილინ სინგერი და ლეიენ ფამი (Marilyn Singer & LeUyen Pham) “A Stick Is an Excellent Thing: Poems Celebrating Outdoor Play” (Clarion Books 2012)
ერიკ კიმმელი და ჯენეტ სტივენსი (Eric Kimmel & Janet Stevens) “Anansi and the Magic Stick” (Holiday House 2001)
ჯულია როულინსონი და ტიჰანი ბიკი (Julia Rawlinson & Tihanie Beeke) “Ferdie and the Falling Leaves” (Gullane Children’s Books 2007)
*ჰენრი პლაქფინდი (Henry PluckFind) “Out About Wood rose” (Franklin Watts 2002)
ლორა ჰამბლტონი (Laura Hambleton) “I’m Afraid Too” (Milet Publishing Ltd 2001)
ქეროლ გერბერი (Carole Gerber) “Leaf Jumpers” (Charlesbridge Publishing 2006)
ლოის ეჰლერტი (Lois Ehlert) “Leaf Man” (Harcourt Children’s Books 2005)
პატრიცია უაიტჰაუსი (Patricia Whitehouse) “Leaves (Plants)” (Harcourt Education 2003)
ქესი მეიერი (Cassie Mayer) “Materials: Wood” (Pearson Education 2008)
ანტუანეტ პორტისი (Antoinette Portis) “Not a Stick” (HarperCollins Publishers 2008)
ტონი სპიდი და მინერვა მაქინტაიერი (Tony Speed & Minerva McIntyre) “One Leaf Fell” (Stewart, Tabori & Chang 1993)
ლოის ეჰლერტი (Lois Ehlert) “Red Leaf, Yellow Leaf” (Harcourt Publisher’s Group 1991)
მაკ ბარნეტი და ჯონ კლასენ (Mac Barnett & Jon Klassen) “Sam & Dave Dig a Hole” (Walker Books 2014)
ჯონ ჰეგლის და ნილ ლეიტონი (John Hegley & Neal Layton) “Stanley’s Stick” (Hodder Children’s Books 2011)
ფერი და რომ ლიხენჰელდი (Ferry & Tom Lichenheld) “Stick and Stone Beth” (Houghton Mifflin Harcourt 2015)
კარენ ჰარტლი, ქრის მაკროს და ფილიპ ტეილორი (Karen Hartley, Chris Macro & Philip Taylor) “Stick Insect” (Heinemann Library: Harcourt Education 2008)
ჯულია დონალდსონ და ალექს შეფლერ (Julia Donaldson & Axel Scheffler) “Stick Man” (Alison Green Books 2016)
“Sticks eyelike nature” (PlayBac Publishing 2009)
ლუის გრეიგი და ჯულია სარდა (Louise Greig & Julia Sarda) “Sweep” (Egmont 2018)
ლეტიცია დევერნეი (Laetitia Devernay) “The Conductor” (Chronicle Books 2011)
კრის ო’ლირის და პატრიცია მირანდა (Chris O’Leary & Patricia Miranda) “The Leaf Man” (Albert Whitman & Company 2019)
კარინ ბერგერი (Carin Berger) “The Little Yellow Leaf“ (Greenwillow Books 2008)

* ლორა ნოული და კრის მადენი (Laura Knowles & Chris Madden) “We Build Our Homes: Small Stories of Incredible Animal Architects” (words & pictures 2008)
სტივ მეტცგერი და მიკი საკამოტო (Steve Metzger & Miki Sakamoto) “We’re Going on a Leaf Hunt” (Scholastic 2008)

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები – სილა, ნიადაგი, თხრა და სანაპირო

ჯუდით ჰორვათი (Judith Horvath) “50 Fantastic Ideas for Things to Do with Mud and Clay” (Featherstone 2017)
დოქტორ გერი გრინბერგი (Dr Gary Greenberg) “A Grain of Sand: Nature’s Secret Wonder” (Voyageur Press 2017) – საოცარი ფერადი მიკროფოტოგრაფიით წარმოდგენილია ბუნებრივი მასალების ულამაზესი დეტალები (გამოიყენეთ მხოლოდ სურათები)
ჯოსი ისელინი (Josie Iselin) “Beach: A Book of Treasures” (Chronicle Books 2010) – ფოტოგრაფის მიერ სანაპიროზე გადაღებული შესანიშნავი ფერადი ფოტოები
ქლერ ტომპსონი (Clare Thompson) “Beach Treasures” (clarethompsonart.com 2018) – ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე www.etsy.com
როს ბეილი, ლინ ბროდბენტი და სალი ფეზერსტოუნი (Ros Bailey, Lynn Broadbent & Sally Featherstone) “Carrying on in Key Stage 1: Sand” (Featherstone Education 2007) – 0 – 5 წლამდე ასაკის აქტივობების საუკეთესო პრაქტიკებზე დაყრდნობა
ჯენ უაითი და ლიზ ედუარდსი (Jan White & Liz Edwards) “Making a Mud Kitchen” (Muddy Faces 2011, 2nd edition 2018) – საინტერესო და ამომწურავი ბუკლეტი ტალახში თამაშის ხელშეწყობის ყველა ასპექტთან დაკავშირებით, არაჩვეულებრივი გამოსახულებებით და დამატებითი რესურსების ჩამონათვალით. უფასო ჩამოტვირთვადი PDF ფაილი ხელმისაწვდომია ღია სივრცეების ჰაბიდან, www.muddyfaces.co.uk/outdoor-hub/mud
სიუ დინვიდი (Sue Dinwiddie) “Playing in the Gutters: Enhancing Children’s Cognitive and Social Play” www.communityplaythings.co.uk/learning-library/articles/playing-in-the-gutters
რონ კინგი (Ron King) “Playing in the Sand – Naturally”, www.communityplaythings.co.uk/learning-library/articles/playing-in-the-sand-naturally
ფიონა დანკსი და ჯო შოლფილდი (Fiona Danks & Jo Scholfield) “The Beach Book; Loads to Do at Lakes, Rivers and the Seaside” (Frances Lincoln 2015)
სტივი თიუჰელერი და ჯული ჰეტჩერი (Steve Tewheller & Julie Hatcher) “The Essential Guide to Beachcombing and the Strandline” (Wild Nature Press 2015)
სელი ფეზერსტოუნი და რებეკა სავანია (Sally Featherstone & Rebecca Savania) “The Little Book of Sand and Water” (2nd edition Featherstone 2014) –ერთ-ერთი ორიგინალური “პატარა წიგნი” უამრავი აქტივობით დახურულ და ღია სივრცეებში

ბეკი ჯენსენიდა ჯული ბულარდი (Becky Jensen & Julie Bullard) “The Mud Centre: Recapturing Childhood”, www.communityplaythings.co.uk/learning-library/articles/the-mud-centre
მერი როიბუში (Mary Ruebush) “Why Dirt Is Good: 5 Ways to Make Germs Your Friends” (Kaplan Trade 2009) – წიგნში ახსნილია თუ როგორ კაჟდება იმუნური სისტემა გამოცდილების გზით და როგორ ვითარდება ალერგიები

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები - ქვები და ნიჟარები

ჯოსი ისელინი და მარგარეტ ქარაზერსი (Josie Iselin & Margaret W Curruthers) “Beach Stones” (Harry N Abrams 2006) – სხვადასხვა კენჭების საოცარი ფოტოები შავ ფონზე, ზოგიერთს ახლავს გეოლოგიური ტექსტები
რიჩარდ ლამოტი და სელია პირსონი (Richard LaMotte & Celia Pearson) “Pure Sea Glass: Discovering Nature’s Vanishing Gems” (Sea Glass Publishing 2009) – ზღვის შუშის კოლექციონერების ძღვენი, გასაოცარი ფერადი სურათებით, რომლებიც ბავრ ბავშვს აღაფრთოვანებს
ზღვის შუშის გამოსახულებებიანი კალენდრები, როგორც წესი, ინტერნეტშია ხელმისაწვდომი (მაგ. Amazon-ზე), შეიძლება მათი ამოჭრა და ლამინირება მასტიმულირებელი სურათების ნაკრების შესაქმნელად, სანაპიროზე კენჭებით თამაშის დროს საჩვენებლად
სინდი ბილბაო (Cindy Bilbao) “Sea Glass Treasures from the Tide” (W. W. Norton & Company 2014)
ჯოსი ისელინი და სენდი კარლსონი (Josie Iselin & Sandy Carlson) “Seashells” (Harry N Abrams 2007) – ფოტოგრაფების მიერ გადაღებული ლამაზი ფოტოები, განმარტებებით
ბად ტიტლოუ (Budd Titlow) “Seashells: Jewels from the Ocean” (Voyageur Press 2007) – წიგნი-ცნობარი ნიჟარების შესახებ უამრავი ფერადი ფოტო-სურათით

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები – ჯოხები და ფოთლები

სედრიკ პოლეტი (Cedric Pollet) “Bark: An Intimate Look at the World’s Trees“ (Frances Lincoln 2010) – მართლაც შესანიშნავი წიგნია, რომელშიც მსხვილი პლანით გადაღებული ხეების ქერქის ფერადი ფოტოებია წარმოდგენილი მთელი მსოფლიოდან
უილ მენტერი (Will Menter) “Bits of Wood/Bouts de Bois” (a wider resonance 2007) – წიგნში წარმოდგენილია ხის ელემენტებით შექმნილი ლადნშაფტის ხელოვნების ფერადი სურათები
“Everyone Loves a Stick and Everybody Needs a Stone” (Creative Star Learning Company) – მაღაზია “Cosy”-ის დიდი ზომის, წყალგაუმტარი ფერადი პოსტერები გარეთ გამოსაყენებლად www.cosydirect.com

დენის შრადერი და სტივენ გრინ-არმიტაჯი (Dennis Schrader & Stephen Green-Armytage) “Extraordinary Leaves” (Firefly Books 2008) – მსხვილი პლანით გადაღებული ფოთლების სურათები, რომლებიც დალაგებულია ფორმის მიხედვით კეერ უარდენის (Clare Warden) “Fascination of Earth: Whittling” (Mindstretchers 2012) – ხეებთან მუშაობა, როგორც საგანმანათლებლო პროცესი

კლერ უორდენი (Clare Warden) “Fascination of Fire: Charcoal” (Mindstretchers 2012) – ხის ნახშირად გადაქცევა და მიღებული პროდუქტის საგან-მანათლებლო პროცესში გამოყენება

“Land Art 2019 Calendar Stickwork: The Sculptures of Patrick Dougherty” (Amber Lotus Publications 2018) – უცნაური სკულპტურული ტექნიკის საოცარი და საინტერესო სურათები

ჯოსი ისელინი და მერი ელენ ჰანიბალი (Josie Iselin & Mary Ellen Hannibal) “Leaves and Pods” (Harry N Abrams 2006) – ცალკეული ფოთლების ლამაზი ფოტოები მარტივი განმარტებებითა და ბევრი საინტერესო ინფორმაციით

ალესანდრო როკა (Alessandro Rocca) “Natural Architecture” (Princeton Architectural Press 2007) – ჯოხებითა და სხვა ბუნებრივი მასალებით მომუშავე სხვადასხვა ხელოვანის ლენდ არტის ფერადი ფოტოების კოლექცია

შერონ ბელსი, მორინ ფლანერი და ჯეკ დამბახერი (Sharon Beals, Maureen Flannery & Jack Dumbacher) “Nests” (Chronicle Books 2011) – ბუნებრივი მასალებით გაკეთებული სხვადასხვა ჩიტის ბუდეების ლამაზი სრულგვერდიანი ფოტოები

ლარს ვილკსი (Lars Vilks) “Nimis and Arx” – ხელოვანის ორი უზარმაზარი სკულპტურა, ნიმისი (ლათინურიდან „ძალიან ბევრი”) გაკეთებულია გამორიყული ხეებით და ტოტებით და არქსი, რომელიც ქვებითაა გაკეთებული („ციხე-სიმაგრე’), შვედეთის სანაპიროზე, www.ladonia.org – გამოიყენეთ ფოტოები “Google Images”-დან რომ ბავშვებს შთააგონოთ მშენებლობა

პატრიკ დოგერტი (Patrick Dougherty) “Stickwork” (Princeton Architectural Press 2010) – ცნობილი ლენდ არტისტის - პატრიკ დოგერტის მიერ შექმნილი უზარმაზარი და ზღაპრული ინსტალაციების სურათები

ჯო შოფილდი და ფიონა დანკსი (Jo Schofield & Fiona Danks) “The Stick Book: Loads of Things You Can Make or Do with a Stick” (Frances Lincoln 2012) – იდეების ზღაპრული კრებული იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი ადრეულ ასაკში ბავშვებთან ჯოხების გამოყენებისგან

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები - ზოგადი

მხატვარი ენდი გოლდსუორსის წიგნები (Andy Goldsworthy), იგი ბუნებრივი რესურსებით მუშაობს ლადშაფტში, წინები ინსპირაციულია; სცადეთ "Wood" (Harry N Abrams Inc 1996), "Stone" (Thames & Hudson 2011) და განსაკუთრებით "Andy Goldsworthy: A Collaboration with Nature" (Harry N Abrams Inc 1990)

კალენდრები და ღია ბარათები: ბარათებისა და წიგნების მაღაზიებში, მაგალითად "Nouvelles Images", ბევრი ხარისხიანი სურათია ხელ-მისაწვდომი

"Celebrating Dandelions for Earth Day" – ჯენ უაითის 2012 წლის 22 აპრილის ბლოგ-პოსტი ბავშვების თამაშებში ბაბუაწვერას გამოყენების შესახებ, იხილეთ ვებ-გვერდი janwhitenaturalplay.wordpress.com

ნორბერტ ლინტონი (Norbert Lynton) "David Nash" (Thames & Hudson 2007) – ცნობილი ლანდშაფტის მხატვრის ნამუშევრების ფერადი სურათები, რომელიც ფუნდამენტურ მასალებთან - მათ შორის ცეცხლთან მუშაობს

ბერი კეინი და ტრეისი კეინი (Barry Kane & Tracey Kane) "Fairy Houses Everywhere" (Lightbeams Publishing 2001), ასევე იხილეთ www.fairyhouses.com (ზღაპრებთან და ზღაპრულ სახლებთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციისთვის იხ. თავი 6)

Feathers – საოცარი ბუკლეტი, რომელშიც ასახულია ბავშვების ინტერესები და თამაში ვუდლენდის სკოლამდელ დაწესებულებაში, "Sightlines Initiative"-ის პროექტი www.sightlines-initiative.com (ინტერნეტ მაღა-ზიებში/საიტები)

ჯენ უაითი (Jan White) "Following Children's Interests: Resourcing and Supporting Schemas Through Outdoor Provision", ადრეული ასაკის გარე სივრცეები (სექტემბერი 2005) "Learning through Landscapes"-დან www.ltl.org.uk

პიტერ კოლი და ლესლი იონაჰი (Peter Cole & Leslie Jonath) "Foraged Art: Creative Projects Using Foraged Blooms, Branches, and Other Natural Materials" (Blue Streak Books 2018)

მარჩ პოიეტი (March Pouyet) "Land Art in Town: Simple Inspiration Through the Seasons" (Frances Lincoln 2013) – პირველი წიგნი "Natural"-ის გაგრძელება, მხატვარი მუშაობს მარტივ საგნებთან, რომლებსაც ბავშვები ამჩნევენ, მაგალითად კარის ზღურბლები და ბზარები ხეებზე

ლინდა ტორნტონი და პეტ ბრანტონი (Linda Thornton & Pat Brunton) "Making the Most of Reclaimed and Natural Materials" (Featherstone Education 2013)

ლიზ ბაკლერი (Liz Buckler) "Natural Materials" – "The Garden Room Art" პროექტის მონაწილე ბავშვების მიერ ბუნებრივი მასალების კრეატიული კვლევების ამსახველი საინტერესო ბუკლეტი (6 ნაწილიდან ერთ-ერთი) (email info@mylittlebooks.co.uk)

მარკ პოიეტი (Marc Poyet) "Natural: Simple Land Art Through the Seasons" (Frances Lincoln 2009) – მართლაც ინსპირაციული და თვალსაჩინო წიგნი, რომელშიც წარმოდგენილია მხატვრის - მარკ პოიეტი ნამუშევრების

ფერადი სურათები (მცირე განმარტებებით); ბევრი მათგანი ადრეული ასაკის ბავშვების "ქმნილებებს" ჰგავს
ენნ ტომსონი, ქლერ ტომსონი და გეინორ დევისი (Ann Thompson, Clare Thompson & Gaynor Davies) "Nature's Colour Palette" (CP Thompson Press 2018) – ფერების საუკეთესო წიგნი, რომელშიც წარმოდგენილია ბუნების ტონები, ფერები და ტექსტურა, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: www.etsy.com/uk/listing/655308423/natures-colour-palette-a-picture-book?ref=hp_rv
ფიონა დანკსი და ჯო შოფილდი (Fiona Danks & Jo Schofield) "Nature's Playground" (Frances Lincoln 2007) – მიმართულია უფროსი ასაკის ბავშვებზე, თუმცა შეიძლება კარგი შთაგონების წყარო იყოს ადრეული ასაკის პრაქტიკოსებისთვის მავნე ორგანიზმების კონტროლის ვებ-გვერდებზე წარმოდგენილია მთელი რიგი დამცავი საშუალებები ქვიშიანი და ნიადაგიანი ზონებისთვის
ალისონ ჰოუი (Alison Howe) "Play Using Natural Materials" (David Fulton 2005)
"Sand in School: Advice and Support" (Learning through Landscapes 2013) – უფასო PDF ჩამოტვირთვადი ფაილი საქველმოქმედო ორგანიზაციის ვებ-გვერდიდან www.ltl.org.uk/resources/results.php?id=455
"Sonic Animal and Bird Deterrents" – რეკომენდაციები წევრებისთვის, www.ltl.org/resources
პოლი ო'ნილი (Polly O'Neil) "Surfaces and Textures: A Visual Sourcebook" (A&C Black Publishers 2008) – ადრეული ასაკის ბავშვების ყურადღების უმცირეს დეტალებზე მიპყრობის საუკეთესო გზა, მხატვარი პოლი ო'ნილის მიერ შექმნილი ყოველდღიური ბუნებრივი მასალების მშვენიერების დათვალიერების გზით
"The Art of the Sandpit" – სათამაშო ჩანიშვნები "Learning through Landscapes"-ის წევრების სერვისებიდან, www.ltl.org.uk
რეიჩელ კარსონი და ნიკ კელში (Rachel Carson & Nick Kelsh) "The Sense of Wonder" (Harper Perennial 2017 – originally written for parents in 1956) – ბავშვებთან მომუშავე ყველა პრაქტიკოსის ძირითადი საკითხავი წიგნი, რომელიც გვახსენებს ჩვენი მუშაობის არსს
მერი როიბუში (Mary Ruebush) "Why Dirt Is Good" (Kaplan Publishing 2009) – ძალიან გასაგები ახსნა იმისა, თუ როგორ უწყობს ხელს ნიადაგისა და გარემოს სასარგებლო მიკრობები ჯანსაღი იმუნური სისტემის განვითარებას.

დასკვნა

- ქვიშა, ნიადაგი, ქვები, ნიჟარები და მცენარეული მასალა ყველაზე მრავალფეროვანი, მრავალსენსორული და ეფექტური რესურია, რომელთა მიწოდებაც შესაძლებელია ადრეული განათლების დაწესებულებებში. თავიანთი მრავალფეროვნების, თვისებებისა და შეუზღუდავი დანიშნულების წყალობით ამ მასალებს დიდი სათამაშო ღირებულება გააჩნიათ.
- გარე სივრცეში ბავშვებს რეალური ცხოვრების კონტექსტში შეუძლიათ ბუნებრივი მასალების შესწავლა, უფრო სრულყოფილი და შინაარსიანი კონტაქტის პირობებში და კიდევ უფრო შემოქმედებითად.
- ბუნებრივ მასალებს უზარმაზარი პოტენციალი აქვთ იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ ბავშვების ფიზიკურ, ემოციურ, სოციალურ, წარმოსახვით და ენობრივ განვითარებას.
- ადრეული ასაკის ბავშვებისთვის ბუნებრივი მასალების ღირებულების გაცნობიერება უმნიშვნელოვანესია და ეს აუცილებლად უნდა ვაჩვენოთ მშობლებს მათი შვილების სწავლების შედეგებით.
- პერსონალი უნდა შეთანხმდეს საერთო დამოკიდებულებებზე, მიდგომებზე და უსაფრთხოების დაცვის სპეციფიკურ პროცედურებზე. ფრთხილი და ყოველდღიური რისკ მენეჯმენტი მიზნად უნდა ისახავდეს ამ მასალების არაჩვეულებრივი პოტენციალის გაზრდას და ამასთან, ბავშვების უსაფრთხოებას.
- ნუ იდარდებთ უწესრიგობაზე: ეს შემოქმედებითი პროცესის ნაწილია და გარე სივრცეში პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. ბავშვებს კომფორტული ტანსაცმელი სჭირდებათ, რაც მათ გაჭუჭყიანების თავისუფლებას მისცემს.
- გამოიყენეთ ბუნებრივი მასალები ლანდშაფტად, ასევე სათამაშო და საკვლევ-საძიებო რესურსად. მოიმარაგეთ ბუნებრივი რესურსები რამდენიმე ადგილას, გარე სივრცეების სხვა ასპექტებთან ურთიერთქმედების მიზნით.
- ქვიშა ადრეული ასაკის დაწესებულებებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაწილია. ქვიშის ღია სივრცეში მიწოდებამ მნიშვნელოვნად უნდა გაამრავალფეროვნოს დახურული სივრცეების გარემო; ქვიშიანი ზონები რაც შეიძლება დიდი გააკეთეთ. მიეცით ბავშვებს საშუალება გადაიტანონ ქვიშა ერთი ადგილიდან მეორეში, დაასხან წყალი და შეურიონ სხვა მასალებს.

- ნიადაგი მშვენიერი, მიმზიდველი და მნიშვნელოვანი რესურსია; იგი ამდიდრებს ბავშვების გამოცდილებას, ამიტომ, ეცადეთ ბავშვებს ბაღში ბარვის და თხრის პირობები შეუქმნათ. როცა ბავშვებს ნიადაგისა და წყლის შეზავების პირობები აქვთ, მათ წინაშე უამრავი შესაძლებლობები იხსნება.
- ტალახის სამზარეულოს შექმნა მარტივი, თუმცა ბავშვების მოტივაციების მართვის და ღრმა, შინაარსიანი სწავლების სტიმულირების ძირეული გზაა. როგორც მუდმივი გარემო, ასეთი სახის თამაში უწყვეტად ვითარდება ყოველდღიურობაში ადრეული ასაკის მთელი პერიოდის განმავლობაში და მის შემდგომაც.
- გამოიყენეთ ბუნებრივი მასალები ლანდშაფტად, ასევე სათამაშო და საკვლევ-საძიებო რესურსად. მოიმარაგეთ ბუნებრივი რესურსები რამდენიმე ადგილას, გარე სივრცეების სხვა ასპექტებთან ურთიერთქმედების მიზნით.
- ქვიშა ადრეული ასაკის დაწესებულებებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაწილია. ქვიშის ღია სივრცეში მიწოდებამ მნიშვნელოვნად უნდა გაამრავალფეროვნოს დახურული სივრცეების გარემო; ქვიშიანი ზონები რაც შეიძლება დიდი გააკეთეთ. მიეცით ბავშვებს საშუალება გადაიტანონ ქვიშა ერთი ადგილიდან მეორეში, დაასხან წყალი და შეურიონ სხვა მასალებს.

სურათი 2.7. ბუნება უმდიდრესია საკვლევი და სათამაშო მასალებით

თავი 3
გარეთ თამაში და ცოცხალი სამყარო

ამ თავში განხილულია შემდეგი საკითხები:

- რატომ არის ცოცხალი სამყაროს განცდა მნიშვნელოვანი?
- რას აძლევს მცენარეთა მოვლა ადრეული ასაკის ბავშვებს?
- შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა მცენარეებთან და ცოცხალ სამყაროსთან ურთიერთობისთვის:
  - კონტეინერებისა და მათი ადგილმდებარეობის შერჩევა
  - მცენარეების შერჩევა
- აღჭურვილობა და რესურსები მცენარეების მოსავლელად და ბუნების საკვლევად
- მცენარეების მოვლა
- როგორ მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი მცენარეების მოვლისა და ცოცხალი სამყაროსგან?
- საბავშვო წიგნები, ლექსები და სიმღერები
- დამატებითი ინფორმაცია და რესურსები

რატომ არის ცოცხალი სამყაროს განცდა მნიშვნელოვანი?

განსაკუთრებით თვალშისაცემია ადრეული ასაკის ბავშვების ძლიერი მიჯაჭვულობა ცოცხალ სამყაროსთან - მცენარეებთან და ცხოველებთან. ცოტაა ბავშვი, რომელსაც ყოველდღიური შეხება აქვს ბუნებასთან, განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც საკუთარი ბაღი არ აქვს ან მათ ირგვლივ მყოფი ზრდასრულები სათანადოდ ვერ აცნობიერებენ ან ვერ აფასებენ ბუნების დიდ როლს თავიანთი შვილების ცხოვრებაში. ამიტომაც, ადრეული ასაკის დაწესებულებებში უზრუნველყოფის საკვანძო ელემენტი უნდა იყოს ბუნებასთან ბავშვების მჭიდრო, პირადი, ხშირი და შინაარსიანი კონტაქტი; სწორედ ამაში დაგეხმარებათ ღია სივრცე. ადრეული ასაკის ბავშვებს ბუნებასთან ყოველდღიური კონტაქტი სჭირდებათ, რაც გულისხმობს ყოველდღიურად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში რეალურ და პირდაპირ გამოცდილებებსა და ინტერაქციას გარშემო მყოფ ცოცხალ სამყაროსთან.

ადრეული ასაკის ბავშვებს მრავალსენსორული გარემო სჭირდებათ, მცენარეებთან კონტაქტი მათ სწორედ ასეთ გარემოს სთავაზობს, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მცენარეები ასე ეფექტურად უწყობენ ხელს სასწავლო და სათამაშო გარემოს გაუმჯობესებას. ბოსტნეულისა და ხილის მოყვანა დადებითად მოქმედებს ადრეული ასაკის ბავშვების განვითარებაზე, განსაკუთრებით ემოციური, ინტელექტუალური - სწავლის უამრავი შესაძლებლობით კურიკულუმის ყველა ასპექტის შესაბამისად, და ფიზიკური-უამრავიმოძრაობითადამოქმედებით-განვითარების, ასევე სამყაროს მიმართ დამოკიდებულებების, ინტერესებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის პოტენციალით. ბარვა, დარგვა, მოვლა, სიამოვნების მიღება და მოსავლის დაგემოვნება ბავშვის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის თითოეულ ასპექტს სწვდება. ცოცხალი სამყარო ცვალებადია, რაც ბავშვებს გამოცდილელებების მრავალფეროვნებას სთავაზობს წელიწადის დროებისა და ცხოვრების ციკლებისათვის დამახასიათებელი რიტმების შესაბამისად.

ყოველდღიურ ცოცხალ სამყაროს ყურადღებით თუ დააკვირდებით, აღმოაჩენთ, რომ იგი დამაინტრიგებელი და ჯადოსნურია, სავსეა საოცრებებით; დაფიქრდით რაოდენ ამაღელვებელია ბავშვის პირველი შეხვედრა ჭიამაიასთან. ადრეული ასაკის ბავშვები ამას ძლიერად გრძნობენ და ჩვენი ამოცანაა დავეხმაროთ მათ ამ შეგრძნებების მთელი ცხოვრების მანძილზე შენარჩუნებაში. ისევე, როგორც თბილი, ადამიანური ურთიერთობები ადრეული ასაკის ბავშვებში ემოციური მედეგობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, ბუნებასთან პოზიტიური ურთიერთობა წარმოშობს მასთან კავშირისა და ერთიანობის განცდას, რაც მნიშვნელოვანად ეხმარება სტრესულ მდგომარეობასთან გამკლავებისა და ემოციური სტრატეგიების შემუშავების პროცესს. ეს ძალიან სასარგებლოა ჩვენი შვილებისთვის დღევანდელი სწრაფი და მუდმივად ცვალებადი, მატერიალისტური ცხოვრების პირობებში.

ბავშვებს ღია სივრცეში რბილ ზედაპირიანი, მოქნილი, ზრუნვის მაპროვოცირებელი სათამაშო გარემო სჭირდებათ, თუმცა დღეისთვის ადრეული ასაკის დაწესებულებების დიდი ნაწილი ამას ვერ უზრუნველყოფს. ღია სივრცეების უხეშ, მყარ ზედაპირიან სათამაშო გარემოში ძირითადად ენერგიული და

ხმაურიანი თამაშები დომინირებს; ასეთ მოცემულობაში ბევრი ბავშვის საჭიროებები ვერ კმაყოფილდება და ზოგიერთი მათგანი ნაკლებ სიამოვნებას იღებს ღია სივრცეში შეთავაზებული აქტივობებით. მნიშვნელოვანია ღია სივრცეებში წყნარი, მშვიდი კუთხეების მოწყობა, სადაც ბავშვები ოცნებას და ბუნებით ტკბობას შეძლებენ; ასეთი მიმზიდველი, დაცული და მშვიდი კუთხეების შექმნაში მცენარეები დაგეხმარებათ. უმჯობესია, რომ მცენარეები მთელ ღია სივრცეში იყოს დარგული და არა რომელიმე ცალკეულ, „მცენარეულ" ზონაში, რადგან ეს ელემენტები, მთლიანობაში სასარგებლოა ბავშვებისთვის - როგორც ერთიანი სივრცის განუყოფელი ნაწილი. ყველანაირი მცენარის დარგვა, ხეებიდან დაწყებული ნიადაგის საფარი მცენარეებით დამთავრებული, კედლებისა და მიწის ზედაპირების მყარ მასალებთან ერთად შეიძლება ეფექტური იყოს ფიზიკური ღია სივრცის შესაქმნელად. ეს ხელს უწყობს სივრცის აღქმასა და შესაბამისი ატმოსფეროს შექმნას, ასევე მასტიმულირებელი, ამაღელვებელი, დამაკმაყოფილებელი და აღმზრდელობითი გამოცდილებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფას. ნებისმიერი ზომის მცენარის დარგვის უპირატესობა იმ დიდი თუ მცირე ზომის ბინადრებში მდგომარეობს, რომელიც ამ მცენარეებთან თანაცხოვრობენ. მცენარეები და ველური ბუნება ასტიმულირებენ და ხელს უწყობენ თამაშს და მასთან დაკავშირებული სპონტანური მოვლენები აძლიერებენ სწავლის პოტენციალს. გამოიყენეთ მცენარეები ყველა დანიშნულებით რაც შესაძლებელია - საჩრდილობლის, თავშესაფრის, საზღვრების, დასაჯდომი თუ სათამაშო ადგილების შესაქმნელად, სადაც ბავშვები შეძლებენ ძიებას, ყნოსვას, შეხებას, მოძრაობას და ჭამას. შესაძლებლობის ფარგლებში ჩართეთ ბავშვები მცენარეების გაზრდისა და მოვლის პროცესში.

მცენარეების გაზრდა და მოვლა სახლისა და ადრეული ასაკის დაწესებულების დაკავშირების შესანიშნავი შესაძლებლობაა. მშობლები ხშირად ენთუზიაზმით ხვდებიან თავიანთი შვილების ასეთ გამოცდილებებს და მარტივ გზებს პოულობენ რათა მეტად ჩაერთონ იმაში, რასაც ბავშვი ბაღში აკეთებს. ბავშვებს ცოდნა და გამოცდილება მოაქვთ სხვადასხვა გარემოდან, მაგალითად, მებაღეობით გატაცებულ ნათესავებთან ურთიერთობიდან

- აუცილებლად გამოიყენეთ ეს ცოდნა (და ასევე მათი ნათესავების). ნუ იღელვებთ საკუთარ გამოუცდელობაზე ამ მიმართულებით: მცირედით დაწყება და ბავშვებთან ერთად სწავლა საუკეთესო მიდგომაა. ამ პროცესში წარმოქმნილი ჭეშმარიტი ინტერესი, რომელიც ახლის შეცნობიდან მომდინარეობს, ღირებული იქნება ბავშვებისთვის და სწავლაც უფრო შედეგიანი გახდება, როცა ერთობლივად გააკეთებთ აღმოჩენებს და გამოიტანთ დასკვნებს. სწავლისა და მიღწეული წარმატების კვალობაზე თავდაჯერებულობის ზრდასთან ერთად, თქვენი გეგმებიც გაიზრდება. თქვენი ნებისმიერი მცდელობა კვლევისა და სწავლის შესაძლებლობას იძლევა: გაიაზრეთ, რომ შეცდომა მხოლოდ მაშინაა შეცდომა, თუკი მისგან ვერაფერს სწავლობთ! სწავლა-სწავლების მართებული გზა ისაა, რომელიც უფროსებს ფასილიტატორის როლს ანიჭებს და ყველა ერთობლივი აღმოჩენებით სწავლობს.

ცოცხალი ბუნების ღია სივრცეში ინტეგრირება დაუგეგმავ, გაუთვალისწინებელ შესაძლებლობებს შექმნის. მნიშნელოვანია ამ შესაძლებლობების ნაყოფიერად გამოყენება მათი გაჩენის პარალელურად. ზრდასრულებს, რომლებიც ყურადღებით აკვირდებიან ასეთ შესაძლებლობებს, სწავლა-სწავლების მოქნილი ჩარჩო სჭირდებათ, რომელიც განვითარების სხვადასხვა მიმართულებებს წარმოშობს - განსაკუთრებით კი ნაკლებად მოსალოდნელს ან საერთოდ მოულოდნელს. ღია სივრცის გასაუმჯობესებლად საჭიროა ისეთი რესურსების შეგროვება, შემატება ან დამზადება, რომლებიც ბავშვების პროგნოზირებადი ინტერესების გაღვივებას შეუწყობს ხელს. რაც ყველაზე მთავარია, ბავშვებს ხანგრძლივი დროის გატარება სჭირდებათ გარეთ, რათა ითამაშონ, მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება და აღმოაჩინონ ახალი.

რას აძლევს მცენარეთა გაზრდა და მოვლა ადრეული ასაკის ბავშვებს?

- რეალურ გამოცდილებებს და სწავლის შესაძლებლობას კეთებით;
- ძლიერ ემოციურ კონტექსტს;
- ყოველდღიური ახლო კონტაქტის შესაძლებლობას ცოცხალ სამყაროსთან, რაც ღრმა კავშირის შეგრძნებას აღვივებს;

- მთელი სხეულით მოძრაობის, ფიზიკური მოქმედებისა და ხელების გამოყენების უამრავ შესაძლებლობას;
- სენსორული განვითარებისა და ინტეგრაციის უამრავ შესაძ-ლებლობას;
- სქემატური (სქემების) ინტერესების შესაბამისად თამაშის შესაძლებლობას;
- ერთობლივად მუშაობის, საუბრისა და აღმოჩენების გა-ზიარების სტიმულს;
- ცოცხალი სამყაროს კეთილდღეობაზე პასუხისმგებლობის აღების შესაძლებლობას;
- წაახალისებს ჯანსაღი საკვების დაგემოვნებისა და მირთმევის ინტერესს;
- მიმზიდველ, სასიამოვნო და მყუდრო სივრცეს თამაშისთვის;
- დამოკიდებულებებისა და ინტერესების ფუნდამენტს, რაც ბავშვებს მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვებათ.

სურათი 3.1. ყურადღებით დაკვირვება აღტაცებას იწვევს და ბუნებასთან კავშირს აძლიერებს

შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა მცენარეებთან და ცოცხალ სამყაროსთან ურთიერთბისთვის

კონტეინერებისა და მათი ადგილმდებარეობის შერჩევა

მცენარეების დარგვა პატარა და შეზღუდულ სივრცეებშიც კი შეიძლება და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუკი თქვენი გარე სივრცე ნაკლებად მიმზიდველი ან უმეტესად მოასფალტებულია. შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა ფორმის და ზომის კონტეინერები, მაგალითად, საკიდი კალათები, საბურავები, სპეციალური ქოთნები მცენარეებისთვის, ხის კასრები, ასევე ძველი კერამიკული ხელსაბანები და სანაგვე ურნები, მეორეული კონტეინერები, სამზარეულოს ქვაბები და ჩაიდნები, მაღალი საწვიმარი ბოტები და კერამიკული ან პლასტმასის მილები (მოიკითხეთ ახლომდებარე სამშენებლო მოედანზე გამოყენებული ნარჩენი მასალები). მცენარეთა გრძელი მწკვრივებისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ბავშვების სიმაღლეზე განლაგებული აბაზანები, პლასტმასის სათბურები (იყიდოთ ან თქვენით დაამზადოთ), ტიხრები ან პატარა მიწის ნაკვეთები თქვენი დაწესებულების მიმდებარედ, მის საზღვრებში ან საკრებულოსგან იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთებზე.

ადრეული ასაკის ბავშვებისთვის პატარა მიწის ნაკვეთზე მოზაიკურად მოწყობილი ბაღი კარგი ალტერნატივაა - რვა მოსაპირკეთებელი ქვის ჭადრაკის დაფისებურად დალაგების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება თითოეულ ნაკვეთზე სხვადასხვა მცენარის დარგვა ან თითოეული მათგანის ცალკეულ ბავშვზე ჩაბარება. არ დაგავიწყდეთ, რომ კედლები და ღობეები ეფექტურად შეგიძლიათ გამოიყენოთ ვერტიკალური ბაღის მოსაწყობად - ზედ რამდენიმე პატარა კონტეინერის (მაგალითად ძველი ბოტები, ყვავილის ქოთნები ან თუნდაც ჩაის ჭიქები) ან მოკლე ღარების მიმაგრებით. ვერტიკალური ბაღების ავტომატური სარწყავი სისტემები ახლა უკვე ხელმისაწვდომია აგრარული მეურნეობის მასალების მიმწოდებლებთან ან ცენტრებში, თუმცა კარგი იქნება თავადვე დაამზადოთ ასეთივე სისტემა ბავშვებთან ერთად.

კონტეინერების შერჩევისას ან მათ განლაგებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანია შემდეგი ასპექტების გათვალისწინება:

- იტევს თუ არა კონტეინერი საჭირო ოდენობის ნიადაგს მცენარის გასახარებლად?
- არის თუ არა კონტეინერის სიღრმე საკმარისი ფესვების კარგად განვითარებისთვის?
- აქვს თუ არა კონტეინერს საკმარისი დრენაჟი, რათა ნიადაგი წყლით ზედმეტად არ გაიჟღინთოს?
- უსაფრთხოა თუ არა შერჩეული მცენარე ბავშვებისთვის? გაითვალისწინეთ, რომ ბავშვები დაინტერესდებიან ჩხვლეტის და სუსხვის ეფექტებით; უფრთხილდით სერიოზულ დაზიანებებს.
- აქვს თუ არა კონტეინერს/მცენარეთა მწკვრივს სწორი ადგილმდებარეობა (მზის შუქის, ჩრდილის და ქარის ზემოქმედების გათვალისწინებით)?
- წვდებიან თუ არა ბავშვები კონტეინერებს მცენარეთა მოსარწყავად და მოსავლელად?
- წვდებიან თუ არა ბავშვები მთლიან ზედაპირს ისე, რომ მცენარეები არ დააზიანონ?

სურათი 3.2. მებაღეობა და მემცენარეობა აზროვნებისა და სწავლის უსასრულო შესაძლებლობებს გვთავაზობს

- წვდებიან თუ არა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები ყველა მცენარეს შესახებად და მოსავლელად?
- შეუძლიათ თუ არა ბავშვებს მწკვრივებში გავლა მცენარეების ან ნიადაგის დატკეპნის გარეშე (მოაწყვეთ საფეხურები)?
- აქვს თუ არა კონტეინერს/მწკვრივს კარგი განლაგება სათამაშოდ (შეავსებს და გააუმჯობესებს თამაშის შესაძლებლობებს, თუ შეაფერხებს სხვა აქტივობებს, მაგალითად, ველოსიპედით მოძრაობას ან ბურთით თამაშს)?

მცენარეების შერჩევა

ღია სივრცეში მცენარეთა გაზრდას ბავშვების კეთილდღეობის, თამაშისა და სწავლის უდიდესი პოტენციალი გააჩნია, შესაბამისად, მათი გაზრდის უამრავი მიზეზი არსებობს. პირველ რიგში, ბავშვებთან და მშობლებთან ერთად დაფიქრდით სწავლა-სწავლების რომელი ასპექტის გაუმჯობესება გსურთ მცენარეებით. შემდეგ გადაწყვიტეთ, რომელი მცენარე დაგეხმარებათ ამ საქმეში და სად იქნება მათი დარგვა უკეთესი. შეიძლება უამრავი იდეა გაგიჩნდეთ, თუმცა გონივრულია დაიწყოთ მარტივით და ნელ-ნელა, თავდაჯერებულობისა და მეგაღეობის უნარების განვითარებასთან ერთად დაამატოთ მცენარეები. საერთო გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ, უკვე კონკრეტული მცენარეების შერჩევა და მათი განლაგების დაგეგმვა შეგეძლებათ. ქვემოთ მოცემული იდეები გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ:

- ხილისა და ბოსტნეულის დარგვა, გაზრდა და მირთმევა სწავლისა და სიამოვნების უამრავ საშუალებას გვაძლევს. გაესაუბრეთ ბავშვებს, რათა დაადგინოთ რა აინტერესებთ და რისი დაგემოვნება მოუნდებოდათ. მაგალითად, ბარდა უფრო გემრიელია ვიდრე მწვანე (პარკი) ლობიო, მაგრამ ლობიოს მოყვანა უფრო საინტერესოა. თუკი ზაფხულში ისვენებთ, დასარგავად ისეთი ბოსტნეული შეარჩიეთ, რომელიც მოსავალს სასწავლო წლის დასრულებამდე მოგცემთ (მაგალითად, მარწყვი ივნისში და ლობიო სექტემბერში). მოსავლის დაგემოვნება (და თესლის პოვნა) ახალი ბავშვების ინტერესის გაღვივების საუკეთესო გზაცაა!

- მწვანილებს ბევრი დანიშნულება აქვთ - ისინი არაჩვეულებრივად გამოადგება ბავშვებს „ჩაშუშულის” ან წამლის მოსამზადებლად.
- ზონა წარწერით „აქ შეიძლება მოკრეფა” მცენარეებით დაინტერესებას უწყობს ხელს - გამოიყენეთ სწრაფად ზრდადი ყვავილოვანი მცენარეები. ზოგიერთ საბავშვო ბაღში შედარებით უფროსს ბავშვებს ახალისებენ (შესაბამისი ზედამხედველობით) პირდაპირ ნარგავებიდან მიირთვან ბოსტნეული ან ხილი (არაფერია იმაზე გემრიელი ვიდრე ახალ მოკრეფილი პროდუქტი!)
- ყვავილობის დროს მცენარეები ბავშვებს ვიზუალური სიამოვნების, სურნელის შეგძნების, ფორმისა და ტექსტურის აღქმის საშუალებას აძლევს, ამასთან ისინი გაალამაზებენ თქვენს ღია სივრცეს და გააუმჯობესებენ ატმოსფეროს. ბავშვების წასაყვანად მოსული მშობლები კი ყვავილნარში დაელოდებიან მათ.
- მცენარეები საოცრად იზიდავენ ველური ბუნების ბინადართ - პეპლებს, მწერებს, ობობებს, ასევე ფრინველებსა და პატარა

სურათი 3.3. მცენარეები აუმჯობესებენ გარემოს და გავლენას ახდენენ თამაშზე

ძუძუმწოვრებს. მჭიდროდ დარგული რამდენიმე ბუჩქი და მცირე ზომის ხეები ფრინველებს შემოდგომაზე და ზამთარში საკვებით, ზამთარში - ჩამოსაჯდომი, ხოლო გაზაფხულზე - დასაბუდებელი ადგილებით მოამარაგებს.

- სწრაფად მზარდი ველური ყვავილების სხვადასხვა თესლი ზაფხულში საოცარი სანახაობის შექმნაში დაგეხმარებათ და ერთგვარი სამოთხე იქნება მწერებისთვის. შეარჩიეთ ადრე აყვავებადი მცენარეები, თუკი ბავშვები აგვისტოში ისვენებენ.
- ბაბუაწვერები, გვირილები, ვარდები და სხვა ყვავილები, რომელთა მოკრეფაც შეუძლიათ ბავშვებს, ძალიან პოპულარული და ეფექტური იქნება ნებისმიერი თამაშისათვის, მაგალითად ფიგურების შესაქმნელად ან „კოქტეილების" და „სუნამოების" დასამზადებლად.
- შეგიძლიათ ისეთი მცენარეების დარგვაც, რომელთა შორისაც ბავშვები ითამაშებენ. ბამბუკი და მაღალი ბალახი, მცირე ზომის წიწვოვანი ხეები და ბუჩქები, ტირიფის თაღები და გვირაბები - ყველა ეს მცენარე განსხვავებულ გარემოს ქმნის, რომელიც არაჩვეულებრივად ასტიმულირებს წარმოსახვას; ფარდულის კედლებს მოდებულმა მწვანე ლობიომ შეიძლება „ჯეკისა და ლობიოს ამბის" თამაში[1] წაახალისოს. გამოიყენეთ ეს სივრცეები შესაბამისი წიგნების წასაკითხად და ბავშვებთან ერთად ამბებიც გამოიგონეთ.
- მცოცავი, ხვიარა მცენარეები ჩრდილსა და თავშესაფარს ქმნიან; მცენარეებით დაფარული პაგოდა (კოშკი) განსაკუთრებულად საყვარელი ადგილია წიგნების განსახილველად ან უბრალოდ სასაუბროდ. ზოგიერთ საყვავილეს ორივე მხრიდან ხის ჩამოსაჯდომი და ერთიანი სახურავი აქვს გაკეთებული, რომლებსაც მცოცავი მცენარეები მიმზიდველ სივრცედ აქცევენ. მაგალითად, ფალოპია ძალიან სწრაფად იზრდება და კარგი საფარია.
- ისეთი პატარა ხეები, როგორიცაა მაგალითად, როუანი (ასევე ცნობილია ცირცელის სახელით), მთელი წლის მანძილზე საინტერესოა - ყვავილობის, ნაყოფის გამოღების და შემოდგომაზე ფოთლების ლამაზი შეფერილობით. ეცადეთ ბრი-

1 მთარგმნელის შენიშვნა: ცნობილი საბავშვო ამბავი ღარიბი ბიჭისა და მისი ჯადოსნული ლობიოს კაკლების შესახებ. წყარო: https://www.dictionary.com/browse/jack-and-the-beanstalk

ტანეთში გავრცელებული ჯიშები დარგოთ, რათა ხელი შეუწყოთ ადგილობრივი ბუნებისთვის დამახასიათებელი მწერების, ხავსურების, ფრინველებისა და სხვა ველური ბუნების ბინადართა გამრავლებას. “Woodland Trust” (ბრიტანეთის ტყის მასივების დაცვის სამსახური) ბევრ კარგ რესურსს მოგაწვდით ხეებთან და ცოცხალ ღობეებთან დაკავშირებით.

- მანქანის ორი ან სამი საბურავის ერთმანეთზე დალაგებით (რომელთა შორისაც ბავშვები მოძრაობას შეძლებენ) შეგიძლიათ ეფექტური ზონების მოწყობა (განსაკუთრებით ასფალტზე), ისევ საბურავებითვე გაკეთებული დასაჯდომი ადგილებით.
- პატარა ზომის ეფექტური ლანდშაფტების შექმნა შესაძლებელია ბალახის ან სხვა პატარა და გამძლე მცენარეების საბურავებში ან თუნდაც, სამშენებლო ლანგრებზე დარგვით. საბურავების დადებითი მხარე ისაა, რომ მათი ზედაპირები თბილია და ბავშვები მათ თამაშის პროცესში დასაჯდომად ან დასაყრდნობად გამოიყენებენ.
- მცენარეების გამოყენება შეიძლება ღია სივრცეებში სათამაშო ზონებისგადახურვისანგამიჯვნისმიზნით.ცოცხალიღობეები დაშორებებით, თაღებად ან ისეთი სტილით მოაწყვეთ, რომ მათი გადაკვეთა რამდენიმე ადგილზე იყოს შესაძლებელი; ამგვარად, თამაშის პროცესში განცალკევებული სივრცეები მაინც კარგად იქნება ერთმანეთთან დაკავშირებული.
- ბუჩქები მთელი წლის მანძილზე შეარბილებენ გარემოს და ველური სამყაროს ბინადართა თავშესაფარსაც უზრუნველყოფენ. საინტერესოა მრავალწლოვანი მცენარეებიც, რადგან ისინი ყოველწლიურად ბრუნდებიან, მაშინ როცა ერთწლიანი მცენარეები ახალმიღებულ ბავშვებს მემცენარეობის და ბაღის საკუთარ სივრცედ აღქმის შესაძლებლობას მისცემენ.
- დარგეთ მაღალი და სწრაფად მზარდი მცენარები, მაგალითად, სიმინდი და მზესუმზირა, რათა ბავშვებმა მცენარეთა ზრდის სრულ პროცესზე დაკვირვება შეძლონ - პაწაწინა თესლის დარგვიდან ადამიანზე მაღალი მცენარის გაზრდამდე. სალათის ფოთოლი იმდენად სწრაფად იზრდება, რომ ზრდის მთელ ციკლზე დაკვირვება სულ რამდენიმე კვირაშია შესაძლებელი.

- ბოლქვების ჯგუფებად და სხვადასხვა სიმაღლეზე დარგვით შეგიძლიათ მათემატიკური ლანდშაფტის შექმნა: მცენარეთა გაზრდა და მოვლა მათემატიკური და ენობრივი კომპეტენციების განვითარების უამრავ შესაძლებლობას ქმნის.
- საფეხურებიანი ბილიკების მოწყობა ბავშვებს მცენარეთა სიღრმეში შეღწევის და მათთან უფრო ახლო კონტაქტის საშუალებას მისცემს, ამასთან ნიადაგიც არ დაიტკეპნება.

აღჭურვილობა და რესურსები მცენარეების გასაზრდელად და საკვლევად

მცენარეების ზონები შეიძლება გადაანაწილოთ ღია სივრცის მთელ პერიმეტრზე, თუმცა, მებაღეობისთვის და ბუნებაზე დაკვირვებისთვის საჭირო აღჭურვილობა უმჯობესია ერთ, კარგად ორგანიზებულ და ხელმისაწვდომ ადგილზე - მცენარეების ძირითად ზონასთან ახლოს - განათავსოთ. პატარა

სურათი 3.4. ბავშვები ჰარმონიულად ერგებიან ბალახების და ყვავილების თავისებურებებს

ფარდული ბავშვებს ძალიან მოეწონებათ, იგი ხელს შეუწყობს მებაღეობას ნებისმიერ ამინდში და შეიძლება გააღვივოს მასთან დაკავშირებული წარმოსახვითი თამაშები (მაგალითად, „პარკის დარაჯი - პერსის"[2] ქოხი ან „ჯეკი და გოლიათის ციხესიმაგრე"[3]). გაითვალისწინეთ, რომ თუკი ფარდულში თამაშის უფლებას მისცემთ ბავშვებს, ეს გავლენას მოახდენს იმაზე თუ რას შეინახავთ იქ. მებაღეობის აღჭურვილობისთვის შესაბამისი ადგილები წინასწარ უნდა განსაზღვროთ, რათა ყველამ იცოდეს საჭიროების მიხედვით სად რა იპოვოს. კედელში ჩახრახნილ ხის ჯოხზე შეგიძლიათ ურიკები ან სხვა ხელსაწყოები ჩამოკიდოთ. კედელზე, ჩამოსაკიდი კაუჭების უკან შეგიძლიათ შესაბამისი ხელსაწყოების სილუეტები დახატოთ, რათა ბავშვებმა იცოდნენ სად დააბრუნონ ხელსაწყოები. ამ პროცესში გამოიყენეთ მათემატიკური შესატყვისობისა და ანგარიშის გამოცდილებები. ასწავლეთ ბავშვებს შენახვამდე ხელსაწყოების ტალახისგან გასუფთავება, რათა ხელსაწყოები უფრო დიდ ხანს იყოს გამოსადეგარი და მიმზიდველი სხვა ბავშვებისთვის; ბავშვები სიხარულით რეცხავენ ხელსაწყოებს თბილი საპნიანი წყლით. ბავშვების ჩართვა თქვენი დაწესებულების რესურსების ორგანიზებაში და მოვლაში, შესაფერისი და შინაარსიანი სწავლის უამრავ შესაძლებლობას ქმნის, ბავშვებს პასუხისმგებლობისა და ერთობის ღრმა გრძნობას უღვივებს და რესურსების გამოყენებასა და მათ მოწესრიგებაში ეხმარება.

გაითვალისწინეთ, რომ პესტიციდები და ჰერბიციდები საშიშია ადრეული განათლების დაწესებულებების გარემოში და საზიანოა ველური ბუნებისთვის (ისინი ვერც შესაბამისობაში მოდიან და არც საჭიროებას წარმოადგენენ). მავნებლებზე დაკვირვებით ბევრი რამის სწავლა შეიძლება: წარმოიდგინეთ დრამატული სანახაობა, როცა მწვანე ლობიოზე შემომჯდარი ჭიამაია ქინქლას მიირთმევს; ლოქორები ხომ ყველაზე საინტერესო არსებები არიან! არსებობს უამრავი მექანიკური და ორ-

2 მთარგმნელის შენიშვნა: ბრიტანული საბავშვო ანიმაციური სატელევიზიო სერიალი, ბრიტანელი ავტორის ნილ ბატერუორსის პოპულარულ ნაწარმოებზე დაყრდნობით, რომელიც პერსისა და ბევრი გარეული ცხოველის ამბავს მოგვითხრობს. წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Percy_the_Park_Keeper

3 მთარგმნელის შენიშვნა: ინგლისური ზღაპარი; წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Jack_and_the_Beanstalk

განული მეთოდი, რომლებიც შესაბამის კულტურებზე მავნებლების შემცირებისთვის გამოიყენება და ამ მავნებლების მიერ გამოწვეული ზემოქმედება ცოცხალი სამყაროს აღმოჩენის ნაწილს წარმოადგენს. სინამდვილეში, სწორედ მავნებლები წარმოადგენენ ველური ბუნების ყველაზე საინტერესო ნაწილს ბავშვებისთვის. სწორედ ამიტომ, სცადეთ მებაღეობა რაც შეიძლება მეტად კეთილგანწყობილი გახადოთ ველური ბუნების მიმართ, გამოიყენეთ თითოეული შანსი და ასწავლეთ ბავშვებს ჩვენს პლანეტაზე ზრუნვა.

რესურსები მემცენარეობისთვის

- დამცავი ტანსაცმელი, მათ შორის პატარა ზომის ხელთათმანები იმ ბავშვებისთვის, ვისაც არ უნდათ პირდაპირი კონტაქტი ნიადაგთან
- წყალმომარაგება - წყლის კასრი ან ონკანი ღია სივრცეში (მაქსიმალურად გამოიყენეთ შეგროვებული წვიმის წყალი და გამოყენებული წყალი)

სურათი 3.5. ახლო კონტაქტი ველური ბუნების ბინადრებთან

- რეზინის მილი და თავაკები
- ბევრი სხვადასხვა ზომის და სხვადასხვანაირ თავაკიანი სარწყავი (მოიმარაგეთ რამდენიმე მძიმე სარწყავი მათთვის, ვისაც ფიზიკური გამოწვევები იზიდავს)
- სახელურიანი პლასტმასის ბოთლები (0.5, 1 და 2 ლიტრიანები) შეგიძლიათ სარწყავად გამოიყენოთ
- დიდი და პატარა ზომის სახელურიანი სათლები
- გრძელტარიანი ნიჩბები, ფიწლები, ფოცხები, ცოცხები (ბავშვებისთვის უმეტესად პატარა ზომის და რამოდენიმე დიდიც)
- პატარა ზომის ხელსაწყოები ბავშვებისთვის და უფროსებისთვის (მეტალის უკეთესია პლასტმასთან შედარებით, თუმცა არასათანადო პირობებში შენახვის შემთხვევაში ისინი იჟანგება); ეცადეთ ბავშვებისთვის კარგი ხარისხის სპეციალური ხელსაწყოები შეიძინოთ
- ურიკები - იქონიეთ რამდენიმე ცალი. ბავშვები კარგად იყენებენ მათ
- ბიოდეგრადირებადი ქოთნები და დასარგავი ლანგრები (ან გამოიყენეთ რძის პროდუქტების გადამუშავებული კონტეინერები) - სხვადასხვა ზომა ხელს უწყობს მათემატიკური ცოდნის გამოყენებას
- ჩამოსაკიდი კალათები და სამაგრები (აწევა-დაწევის მექანიზმიანი სარწყავი საინტერესო ტექნოლოგიაა ბავშვებისთვის)
- სხვადასხვა საინტერესო კონტეინერი მცენარეებისთვის - თითქმის ყველაფერი შეგიძლიათ გამოიყენოთ, მთავარია საკმარისი ადგილი და დრენაჟი ქონდეს კონტეინერს ფესვების განვითარებისთვის
- სამაგრებიანი მოკლე ღარები ვერტიკალური ბაღის მოსაწყობად
- უტორფო კომპოსტი და თიხნარი ნიადაგი, თავსახურიანი დიდი კალათები ნივთების შესანახად, აქანდაზები
- ლანდშაფტის (სარეველების საწინააღმდეგო) ქსოვილი და მულჩი (მუქი, ხრეში, კენჭები, ფიქალი და სხვ.)
- ჯოხები (უსაფრთხოებისთვის ბოლოებზე ლენტი დაახვიეთ), ბაწარი, მცენარეებზე დასაწერი მარკერები, წყალგაუმტარი კალმები

- ხის მასალა მცენარეებისთვის ხელნაკეთი მარკერების დასამზადებლად
- მცენარეების საკვები ნივთიერებები, წყლის დამჭერი გრანულები - იყიდეთ კონტეინერები ისეთი თავსახურებით, რომლებსაც ბავშვები ვერ მოხსნიან და შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილზე
- ხალიჩა და ცოცხი, ტალახის შენობაში შეტანის თავიდან ასაცილებლად
- ჭურჭლის სარეცხი ნიჟარა ან თასი თბილი საპნიანი წყლით - ხელების დასაბანად
- საპნიანი წყალი, სახეხი ჯაგრისები და ძველი ტილოები ხელსაწყოების შენახვამდე გასაწმედად.

რესურსები კვლევისთვის:

- კალათები თესლის, მოჭრილი ყვავილებისა და მარცვლეულის გადასატანად
- მარცვლები, საკენკი და საბუდე ყუთები ჩიტებისთვის, ღამურებისთვის, ზღარბებისთვის, ფუტკრებისთვის და სხვა მწერებისთვის (ხელმისაწვდომია ველური ბუნების თემატიკის სხვადასხვა მაღაზიაში)
- ხალიჩის ფილები ან ნაჭრები, მორები ან ხის ბრტყელი ფიცრები ჭიების, ნამისჭიებისა და მილიპიდების მოსაზიდად (გაითვალისწინეთ რომ, თუ ამ მასალებს ხშირად აიღებთ და ამოძრავებთ, პატარა მწერები არ გაჩერდებიან)
- მასალები პატარა მწერებისთვის „სასტუმროების" მოსაწყობად - მათი მოწყობის შემდეგ ხელუხლებლად უნდა დატოვოთ, რათა კარგად შეივსოს
- ქოთნები შესაგროვებლად, კარგი ხარისხის A5 ზომის ქაღალდის ფურცლები და სახელურიანი გამადიდებელი შუშები პატარა მწერებზე დასაკვირვებლად; საუკეთესო ალტერნატივაა მწერებზე დასაკვირვებელი კოლბები გამადიდებელი შუშებით, რომლებშიც შესაძლებელია მწერის მოთავსებაც და მასზე დაკვირვებაც. ზოგიერთი მათგანი მთლიანად გამჭირვალეა და ერთდროულად ყველა მხრიდან შეიძლება მწერზე დაკვირვება

- პატარა მიკროსკოპი არაჩვეულებრივი დანამატი იქნება; ციფრული ვერსიები ხელმისაწვდომია ნებისმიერ საგანმანათლებლო მაღაზიაში
- ტელესკოპები და ბინოკლები ჩიტებზე სათვალთვალოდ; ასევე ხელმისაწვდომია სპეციალურ ყუთებში მოთავსებული ვებ-კამერები, თუმცა ძვირია
- ბავშვების ციფრული კამერები და მობილურის ხმის ჩამწერები.

მცენარეების მოვლა

როცა გადაწყვეტთ თუ რომელი მცენარე და სად უნდა დარგოთ თქვენს ღია სივრცეში, მნიშვნელოვანია მათ მოვლაზე დაფიქრებაც. ამ საპასუხისმგებლო საქმეში წამყვანი ძალა ბავშვები უნდა იყვენენ. ისინი სწრაფად და სიამოვნებით ჩაებმებიან, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებაში და საქმიანობის წარმართვაში: მორწყვა, სარეველების მოშორება, მწერებისგან დაცვა, მოსავლის აღება და მოწესრიგება. უფროსების როლი ბავშვებისთვის ამ გადაწყვეტილებებისა და დავალებების გადაცემასა და ამ დავალებების წარმატებით შესრულებისას მხარდაჭერაში მდგომარეობს, რათა მათ მაქსიმალური გამოცდილება მიიღონ და განივითარონ პასუხისმგებლობის, საკუთრების და ნდობის უნარები და ცოდნა. მსგავსი გამოცდილებები ბავშვებს ეხმარება მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვაში, აკვირდებიან რა გარემოში მიმდინარე მოვლენების ან მათ მიერ შესრულებული (ან შეუსრულებელი) მოქმედებების თანმიმდევრობას. წინასწარ განსაზღვრეთ მცენარეთა მოვლის რომელი ღონისძიებებია აუცილებელი პროექტის ფარგლებში და ამ ღონისძიებების ვადები. შეგიძლიათ ბავშვებთან ერთად შექმნათ ღონისძიებების ვიზუალური კალენდარი, იმისთვის, რომ ბავშებმა მიიღონ დავალება ან შეგატყობინონ თუ როდის და რა უნდა გაკეთდეს.

რეგულარული მორწყვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი მცენარეებისთვის, ყვავილობის და ნაყოფის ზრდის პერიოდში. ხშირად და ხანგრძლივად დაშრობის შემთხვევაში მცენარეები დასუსტდებიან, რაც მათ დაავადებას გამოიწვევს. მეორეს მხრივ, თუკი ფესვები ხანგრძლივად იქნება წყლით გაჟღენთილ ნიადაგში - რაც არასაკმარისი დრენაჟის და ნესტიანი კლიმატის

გამო ან კიდევ გადაჭარბებული მორწყვის შედეგად შეიძლება მოხდეს (ამ შეცდომას ადრეული ასაკის ბავშვები ხშირად უშვებენ), მცენარეები დაზიანდებიან.

საზაფხულო არდადეგების პერიოდში კონტეინერებში წყლის კარგად შენარჩუნებაში ნიადაგში კომპოსტის შეზავება და წყლის დამჭერი გრანულების დამატება დაგეხმარებათ. განიხილეთ ბავშვებთან წყლის დამჭერი გრანულების მუშაობის პრინციპი (ეს საოცარია), განიხილეთ თუ როგორ შეგიძლიათ მცენარეებს დაეხმაროთ გრანულების გამოყენებით (განიხილეთ ისიც თუ რატომ შეიძლება მათი გადაყლაპვა სახიფათო იყოს). აორთქლების გზით წყლის დაკარგვა და სარეველა ბალახების ზრდა მნიშვნელოვნად შეგიძლიათ შეამციროთ ნიადაგზე ქსოვილის გადაფარებით (მცენარის ტოტები გაატარეთ ქსოვილში), რომელსაც მულჩის სქელი ფენით დაფარავთ. აგრარული მეურნეობის ცენტრებში ახლა უკვე ხელმისაწვდომია მულჩის კარგი მასალა. მულჩი სათამაშოდაც გამოდგება. გირჩევთ წაიყვანოთ ბავშვები ღია სივრცისთვის მასალების ასარჩევად.

ცხადია, წყალმომარაგება ღია სივრცეში მოწყობილი ონკანიდან ან წყლის კარსიდან გაცილებით უფრო მარტივად მართვადია. ასევე შეძლებისდაგვარად შეაგროვეთ წვიმის წყალი და გამოიყენეთ თამაშიდან მორჩენილი წყალი. იმისთვის, რომ წყლით სავსე კასრები საშიშროებას არ წარმოადგენდეს, უზრუნველყავით, რომ კასრების სახურავები ყოველთვის მყარად იყოს დახურული. ამ საკითხზე ბავშვებსაც გაამახვილებინეთ ყურადღება. გამოიყენეთ ბავშვების გატაცება ტრანსპორტირებითა და მორწყვით, გარკვეული მანძილი დატოვეთ წყლის წყაროსა და მოსარწყავ მცენარეებს შორის, ამასთან მიაწოდეთ ბავშვებს საინტერესო სარწყავი კონტეინერები და სხვა საშუალებები. ასევე, მნიშვნელოვანია გააგებინოთ ბავშვებს თუ რაოდენ ძვირფასი რესურსია წყალი დედამიწაზე და რამდენად გასაფრთხილებელია მისი მარაგი, რათა მათ წყლის დაზოგვის ჩვევა ჩამოუყალიბდეთ. მიეცით ბავშვებს შესაძლებლობა თავად გადაწყვიტონ როდის მორწყან მცენარეები ამინდის პირობების შესაბამისად და მიაწოდეთ რაც შეიძლება მრავალფეროვანი სარწყავი საშუალებები - სარწყავები, სათლები და რეზინის მილები; წაახალისეთ მოზრდილი ბავშვები ღარებისა და მილების გამოყენებით საირიგაციო სისტემა შექმნან. განიხილეთ თუ როგორ მუშაობს სარწყავი მილი

და დააკვირდით, იქნებ ბავშვებსაც შეუძლიათ საკუთარი ხელით გააკეთონ ასეთი მილი. საირიგაციო სისტემები დიდი ალბათობით იმ ბავშვების ყურადღებას მიიპყრობს, რომლებსაც საგნების დაერთება-დაკავშირება აინტერესებთ (დამაკავშირებელი სქემა).

პატარა ზომის კონტეინერი მალევე იცლება მინერალებისა და მცენარეთა საკვები ელემენტებისგან - რაც საჭიროა მათი სრულფასოვანი ზრდისთვის: მცენარეების დარგვისას ნიადაგი დონეებად დაყავით, სადაც ზედა ფენა კონკრეტული მცენარის სახეობისთვის შესაბამისი თხევადი საკვები ელემენტებით იქნება გაჯერებული, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაყოფის გამოსხმის პერიოდში (განსაკუთრებული მოვლა პომიდორს სჭირდება). ეს ნივთიერებები უსაფრთხოდ უნდა იქნეს შენახული ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილზე; ესაუბრეთ ბავშვებს ამ ნივთიერებების უსაფრთხოდ გამოყენებაზე. გამოცვალეთ ნიადაგი მცენარეების გადარგვის დროს და თუკი რომელიმეს ზრდა გაუჭირდება, გადარგეთ უფრო დიდ კონტეინერში. უფრო დიდი კონტეინერები შეგიძლიათ გორგოლაჭიან სადგამებზე განალაგოთ, რაც საჭიროების შემთხვევაში მცენარეთა მარტივად გადაადგილებაში დაგეხმარებათ.

სურათი 3.6. მნიშვნელოვანია, რომ ადრეული ასაკის ბავშვებმა იკვლიონ დედამიწა

როგორ მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი მცენარეებთან და ცოცხალ სამყაროსთან ურთიერთობით ადრეული ასაკის ბავშვებთან ერთად

ადრეული ასაკის ბავშვები თამაშის პროცესში სწავლობენ, პრაქტიკას გადიან და ექსპერიმენტირებენ გრძნობების და შეგრძნებების, ახალ გამოცდილებების მიღებაში. მნიშვნელოვანია ღია სივრცეში აქტივობები იმგვარად დაგეგმოთ, რომ ბავშვებს უამრავი დრო და შესაძლებლობა ჰქონდეთ რეალური და უშუალო გამოცდილება მიიღონ მცენარეებთან და ცოცხალ არსებებთან ურთიერთობიდან. შეგიძლიათ უამრავი აქტივობა დაგეგმოთ, თუმცა მათი უმეტესობა თავად ბავშვების მიერ ინიცირებულ და ბავშვების მიერ მართვად თამაშს უნდა დაეყრდნოს. უფროსების როლია გავარკვიოთ თუ რა იწვევს ბავშვების ინტერესს და შესაბამისი სათამაშო კონტექსტებით უზრუნველვყოთ ისინი; ამასთან, ძალიან სასარგებლო იქნება ბავშვების ამ საქმიანობაში ჩართვა.

გთავაზობთ ბავშვების ხელშეწყობის რამოდენიმე გზას, რათა მათ კიდევ უფრო ღრმად შეიგრძნონ ახალი გამოცდილებები:

- მცენარეთა გაზრდის გარდა, ადრეული ასაკის ბავშვებს მიწის დამუშავების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ. შეეცადეთ გამოყოთ ნიადაგის გარკვეული ნაწილი, რომლის ფართიც ბავშვებს შესაძლებლობას მისცემს მთელი სხეულით გამოიყენონ გრძელტარიანი ხელსაწყოები (იხ. თავი 2 „ნიადაგის მიწოდება"). მიწის ამოთხრისას ბავშვები ჭიებს, მილიპიდებს და ნამისჭიებს იპოვიან, ასევე ორმოში წლის ჩასხმისას ტალახით თამაშს შეძლებენ. თხრისთვის განკუთვნილი ზონები მკაფიოდ უნდა იყოს მონიშნული და გამოყოფილი სარგავი ზონებიდან, რათა ბავშვებისთვის გასაგები იყოს სად შეიძლება თხრა და სად იზრდება მცენარეები - ამით თავიდან აიცილებთ ახალდათესილი მცენარეების გაფუჭებას!
- მებაღეობა და მემცენარეობა მთელი სხეულით მოძრაობისა და ფიზიკური აქტივობის სტიმულირებისათვის საჭირო უამრავ ბუნებრივ შესაძლებლობას ქმნის. ღია სივრცის საინტერესო და განვითარებაზე მიმართული გარემო და გარეთ ყოფნის უპირატესობები ემოციური და ფიზიკური განვითარებისთვის, ყოველმხრივ უწყობს ხელს ადრეული

ასაკის ბავშვების კეთილდრეობას და ჯანმრთელობას. სცადეთ მაქსიმალური სარგებელი მიიღოთ ამ მასტიმულირებელი სივრციდან, რომელიც ყველაფერთან ერთად ჯანსაღი კვების ჩვევებს წაახალისებს, როგორც ბავშვებში, ასევე ზრდასრულებშიც.

- მეგაღეობა ხელების კონტროლის, სიძლიერისა და სიმარჯვის განვითარებას უწყობს ხელს. ყოველთვის გაითვალისწინეთ ფიზიკური განვითარების ეს ასპექტი, როცა რესურსებზე და აქტივობებზე დაფიქრდებით.
- მიეცით ბავშვებს დიდი დრო იმისთვის, რომ ახლო და შინაარსიან კონტაქტში იყვნენ ცოცხალ სამყაროსთან, ინებივრონ იმ შეგრძნებებითა და გრძნობებით, რომელსაც ბუნება სთავაზობს და ჩაერთონ მიმდინარე მოვლენებში. ეს ბავშვებს მარტივად და ბუნებრივად გამოსდით, თუმცა რატომღაც ჩვენ, პედაგოგები ვთვლით, რომ აუცილებელია რაღაც ვაკეთოთ, რათა ბავშვები გადავიდნენ განვითარების შემდეგ საფეხურზე.
- დარწმუნდით, რომ ბავშვებს უამრავი შესაძლებლობა და საკმარისი დრო აქვთ, იმისთვის რომ სრულად მიყვნენ ცოცხალი სამყაროთი გამოწვეულ აღტაცებას. საგნების უბრალოდ დასახელება ინტერესისა და ამ საგნებთან კავშირის შესაქმნელად არასაკმარისია - შესთავაზეთ ბავშვებს სახელები თავად გამოიგონონ - ეს უფრო ღირებულ კავშირებს შექმნის. ბავშვებთან ერთად მუდმივი დაკვირვება ბაღის ფრინველებზე, მწერებზე და პატარა ძუძუმწოვრებზე - მაგალითად, ციყვებზე, მათი მოსმენა და აღფრთოვანება, ბავშვებისთვის ჩვეული აქტივობებისა და ერთმანეთთან ინტერაქციის შეუზღუდავად, ხელს შეუწყობს ყურადღების შენარჩუნებას, წაახალისებს გაცილებით მეტი დეტალის შემჩნევას და მეტი ცოდნის მიღებას ცოცხალი სამყაროს ბინადართა შესახებ.
- რაც შეიძლება ბუნებრივად ესაუბრეთ ბავშვებს ახალი გამოცდილებების მიღების პროცესშიც და შემდეგაც; დიდი დრო მიეცით ბავშვებს თავიანთი აღტაცებისა და სიამოვნების გასაზიარებლად: ფიქრის და გრძნობების გაზიარება ურთიერთგაგების ჩამოყალიბების ეფექტური გზაა. სიფრთხილით გაყევით ბავშვების ემოციურ ტალღას და ნუ ჩაერევით იმ მომენტებში, სადაც უმჯობესია გაჩუმდეთ!

- ნარატიული ფორმა ეხმარება ადამიანის ტვინს უკეთესად გაიაზროს მიღებული გამოცდილება, ამასთან, ბავშვები ხომ კარგი მეზღაპრეები და მსმენელები არიან. რეალური გამოცდილებები (პროცესში ან შემდგომ) გამოიყენეთ იმისთვის, რომ მოუყვეთ ბავშვებს გამოგონილი ამბავი ან ცნობილი ზღაპარი და მიიღოთ მათი კომენტარები. ეს კარგ საფუძველს შექმნის ერთობლივად ამბების შესათხზველად - იქნება ეს მარტივი თუ მოკლე ამბავი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს პროცესი სახალისო და მხიარული უნდა იყოს (გახსოვდეთ, რომ ეს ყველაფერი კავშირებისა და სწავლის გაღრმავებას ემსახურება და არა შეფასებას).
- თან წაიყვანეთ ბავშვები აგრარული მეურნეობის ცენტრებში, ბაზარში, ყვავილებისა თუ მწვანილის მაღაზიებში; მიაწოდეთ ბავშვებს წარმოსახვითი თამაშის იდეები, გაუნაწილეთ როლები, მიეცით მასალა და წაახალისეთ დიალოგი მცენარეების დარგვიდან მოსავლის აღებამდე თანმდევი პროცესების ირგვლივ. მაგალითისთვის, მარტივი ხის ფარდული როლური თამაშებისთვის გაცილებით მეტ შესაძლებლობას შექმნის, ვიდრე სპეციალურად ამისთვის შექმნილი პლასტმასის სტრუქტურა.
- მიეცით ბავშვებს შესაძლებლობა გაიმეორონ გარკვეული გამოცდილებები, მაგალითად, დამარხონ და აღმოაჩინონ ბუნებრივი ან ხელოვნური ბოსტნეული თხრისთვის გამოყოფილ ზონაში, ამისთვის ნამდვილი სტაფილოები, თალგამები და კარტოფილები გამოგადგებათ.
- დამარხეთ პლასტმასის მწერები თხრისთვის გამოყოფილ ზონაში (ალტერნატიული ვარიანტებია ნიადაგით სავსე დიდი კონტეინერი ან სამშენებლო ლანგარი), რომლებსაც ბავშვები მოძებნიან, შეაგროვებენ და ხელახლა დამარხავენ.
- დააკვირდით ბავშვების სქემატურ ინტერესებს და დარწმუნდით, რომ შეუძლიათ ამ ინტერესების შემდგომი კვლევა მემცენარეობასთან დაკავშირებული აქტივობებისა და რესურსების გამოყენებით. მაგალითად, თესლისა და ბოლქვების დამარხვა და დაფარვა (შეფუთვა), შეგროვება, კალათებისა და სათლების ნიადაგით ან პროდუქტით შევსება (შენახვა ან შემოღობვა), მათი ტრანსპორტირება ურიკებით და ველოსიპედებით მაღალ მცენარეებს შორის (ობიექტების

გავლით) ან მორწყვა სარწყავებით, რეზინის მილით (ტრანსპორტირება და ტრაექტორიები). დიდი ალბათობით სხვა ბავშვებიც დაინტერესდებიან მსგავსი სქემატური ხაზით და სიხარულით შეუერთდებიან თამაშს.

- ბევრი ბავშვი ჩაერთვება ყვავილების თავების (ბაბუაწვერები და გვირილები ყველაზე მეტად უყვართ ბავშვებს), ასევე რკოსა და ჭადრის თესლების შეგროვებაში. ბავშვებმა შეიძლება კიდევ დიდი ხანი გამოიყენონ შეგროვებული მასალა სურათებში და მოდელებში ან წარმოსახვით თამაშებში. დაფიქრდით, რამდენად შესაძლებელია ბავშვების საკვების მოსაპოვებლად წაყვანა, იქ, სადაც მცენარეები ბუნებრივად იზრდება - მაგალითად, ველური მაყვლის, ან ხილის ფერმაზე მარწყვის ან ჟოლოს საკრეფად.
- პეპლებისა და ჭიამაიების ფრთების იმიტირება შეგიძლიათ გრძელი ფერადი ლენტების ბავშვების მაჯაზე დამაგრებით (თმაში ჩასაწნავი მასალა იდეალურად გამოგადგებათ); ამ „ფრთებით“ სირბილით, ცეკვით და ბზრიალით ბავშვები შეძლებენ იმის განცდას, თუ რას ნიშნავს იყო ფრინველი ან მწერი - ეს ასევე შეიძლება წარმოსახვით თამაშში გადაიზარდოს.

სურათი 3.7. დარწმუნდით, რომ ბავშვებს დიდი დრო აქვთ შეგრძნებებსა და გრძნობებში „ჩასაძირად”

- ბუნებრივი სამყაროს გამოცდილებები, დიდი ალბათობით, შთააგონებენ ბავშვების შემოქმედებით აქტივობებს ცარცით და საღებავით მუშაობის ან ქსოვისა თუ ძერწვის დროს. სტიმულის შენარჩუნების მიზნით უზრუნველყავით, რომ ბავშვებს წვდომა ჰქონდეთ ასეთ რესურსებთან და გამოხატონ თავიანთი იდეები როგორც ღია, ასევე დახურულ სივრცეში (წარმოსახვითი, შემოქმედებითი და ექსპრესიული თამაშების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხ. თავი 5).
- დაეხმარეთ ბავშვებს ფოტოაპარატის გამოყენებაში, რათა ერთად შექმნათ წიგნები, სადაც ნაჩვენები იქნება რომელიმე მცენარის ზრდის მიმდევრობითი პროცესი; შეგიძლიათ დაალამინირეთ ფოტოები, რათა ამ ბარათებით შესატყვისობის ან მიმდევრობის თამაშები ითამაშოთ. გადიდებული ფოტოები შეგიძლიათ ფაზლებად დაჭრათ. ეს ყველაფერი ეფექტურად დაეხმარება ბავშვებს ხელახლა განიცადონ საკუთარი გამოცდილება. ბავშვები კიდევ უფრო მეტ სარგებელს მიიღებენ, თუკი მათ წიგნების, თამაშებისა და ფაზლების დამზადებაში დაეხმარებით.
- შექმენით კარგი ხარისხის მხატვრული და დოკუმენტური წიგნების, მებაღეობის შესახებ ჟურნალებისა და კატალოგების კოლექცია. ამ თემაზე უამრავი შესაფერისი საბავშვო წიგნი არსებობს, როგორც ბუნებრივი სამყაროს მიმართ ბავშვების მუდმივი ინტერესის მტკიცებულება. შეარჩიეთ ისეთი წიგნები, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვების რეალურ გამოცდილებებთან. ასევე ხელმისაწვდომია სხვადასხვა თემატიკის „ამბების/ზღაპრების ხელნაკეთი ტომრებისათვის" ნაკრები რეკვიზიტებით, მაგალითად „ჰანდას სიურპრიზი" ("Handa's Surprise", Eileen Brouwn, 2005) და „ოლივერის ბოსტნეული" ("Oliver's Vegetables", Vivian French, 1995), რომელთა გამოყენებაც არაჩვეულებრივად შეგიძლიათ ღია სივრცეში.
- იმის გამო, რომ საუკუნეების მანძილზე ადამიანთა ცხოვრებაში და კულტურებში საკვები მცენარეების გაზრდას/მოყვანას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ბევრი ტრადიციული სიმღერა და ლექსი დაკავშირებულია მცენარეთა ზრდასთან, ამინდთან, მოსავლის აღებასთან და იმ არსებებთან, რომლებთანაც ამ სამყაროს ვიზიარებთ. სთხოვეთ მშობლებს და ბავშვების ბებია-ბაბუებს გაიხსენონ თავიანთ ბავშვობაში საყვარელი

სიმღერები, რათა ბავშვები ეზიარონ ამ მემკვიდრეობას და ისწავლონ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ლექსები.

- ზონა, სადაც სხვადასხვა მცენარეებია დარგული, შეგიძლიათ მშვიდი თამაშისა და ბავშვების მიერ ამბების გამოგონების მყუდრო ადგილად გადააქციოთ. ასეთი ზონა იდეალურია წიგნის კუთხის მოსაწყობად - მიეცით ბავშვებს საბნები, შესაბამისი წიგნები და შერჩეული თოჯინები კალათებში. ასევე სხვანაირად გემრიელია წახემსება ღია სივრცეში ბავშვების მიერ გაზრდილი მცენარეების გარემოცვაში!
- მცირე ზომის ბუნებრივი რესურსები ფასდაუდებელია სათამაშო შესაძლებლობების შესაქმნელად და რეალური გამოცდილებებიდან გამოწვეული ინტერესების დასამუშავებლად, რომლებიც შემდგომაც ხანგრძლივად ნარჩუნდება. გორგოლაჭიანი ურიკები ლანგრებით შესაბამისი საგნების გარეთ გატანაში დაგეხმარებათ - როგორც ღია სივრცის უწყვეტად გამოყენების ნაწილი, რათა ბავშვებმა შეძლონ თავიანთი იდეებისა და გრძნობების „გათამაშება". შექმენით შესაძლებლობების და რესურსების ის ჯაჭვი, რომელიც თქვენივე ვარაუდით, ბავშვების ინტერესებს პასუხობს და მზად იყავით ამ ჯაჭვის გასაძლიერებლად, დამატებითი ინტერესების წარმოშობის შემჩნევისას.
- ღია სივრცე სავსეა იმ შესაძლებლობებით, რაც დაეხმარება ბავშვებს ისწავლონ საკუთარი თავისა და სხვების უსაფრთხოების დაცვა. ბავშვების აღელვებისა და დაფრთხობის გარეშე, გამოიყენეთ მათი მოტივაცია და ყურადღება, რისკებისა და უსაფრთხოების შესახებ ცოდნის შინაარსიანად დასანერგად. განეწყვეთ იმისთვის, რომ ბავშვებს ბევრჯერ უნდა გაუმეოროთ ამის შესახებ, რათა მათ ავტომატურად გამოიყენონ ეს ცოდნა.
- ბევრ დაწესებულებაში ღია და დახურული სივრცეების ერთმანეთთან დაკავშირება შეიძლება ჭიების გამოჩეკვითა და დახურულ სივრცეში შენახვით, შემდეგ კი პეპლების გარეთ - მცენარეებში გაშვებით. ფოტოები, საინფორმაციო წიგნები და კომპიუტერი - წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს ღია სივრცეში გამოცდილების გაფართოების მეთოდების შესახებ, აქვეა პასუხები ბავშვების ამოუწურავ კითხვებზე ცოცხალი სამყაროს შესახებ.

ლექსები და სიმღერები

ვებ-გვერდზე www.bigeyedowl.co.uk მოცემულია ადრეული ასაკის ბავშვებისათვის შესაფერისი ტრადიციული სიმღერებისა და ლექსების ტექსტები[4].

An Apple a Day
Autumn Leaves
Baa Baa Black Sheep
Chick, Chick, Chick, Chick, Chicken
Cut Thistles in May
Daffy Down Dilly
Dingle Dangle Scarecrow
Falling Leaves
Five Little Peas in a Peapod
Here's the Beehive
In Spring I Look Gay
Incy Wincy Spider
Ladybird, Ladybird
Little Robin Redbreast
Mary Had a Little Lamb
Mary, Mary Quite Contrary
Little Boy Blue
Oats and Beans and Barley Grows
One Potato, Two Potato
The Fly Has Married the Bumblebee
The North Wind Doth Blow
There's a Big Eyed Owl
To Market, to Market.

4 მთარგმენლის შენიშნვნა: ჩამონათვალი მოიცავს სხვადასხვა ინგლისურენოვან სიმღერას, ქართულ სინამდვილეში შესაძლებელია ქართულ საბავშვო ბაღებში პოპულარული სიმღერებითა და ლექსებით ჩანაცვლება.

საბავშვო წიგნები მებაღეობისა და მცენარეების შესახებ - მხატვრული ლიტერატურა

შენიშვნა: ვარსკვლავით (*) აღნიშნული წიგნები უფრო დიდ - სამიდან-შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებს შეეფერება

მელანი ეკლერი (Melanie Eclare) “A Harvest of Colour” (Ragged Bears 2002)

ლორა პერდიე სალას და ვიოლეტა დაბიჟა (Laura Purdie Sala & Violeta Dabija) “A Leaf Can Be…” (Millbrook Press 2012)

ქესი ჰენდერსონი (Kathy Henderson) “And the Good Brown Earth” (Candlewick 2008)

შარლოტა მიდლტონი (Charlotte Middleton) “Christopher Nibble” (OUP Oxford 2010)

სარა გარლენდი (Sarah Garland) “Doing the Garden” (Francis Lincoln Children’s Books 2007)

სარა გარლენდი (Sarah Garland) “Eddie’s Garden and How to Make Things Grow” (Frances Lincoln Children’s Books 2006)

სტელა ფრაი და შეილა მოქსლი (Stella Fry & Sheila Moxley) “Grandpa’s Garden” (Barefoot Books 2012)

ჯორჯ ბირკეტი (Georgie Birkett) “Grow It!” (Child’s Play International 2009)

ლუის ეჰლერტი (Lois Ehlert) “Growing Vegetable Soup” (Turtleback Books 1999)

ჰანა როში და პიერ პრეტი (Hannah Roche & Pierre Pratt) “Have You Ever Picked a Dandelion?” (Kingfisher 1998)

*ვიკ პარკერი (Vic Parker) “How Big Is Big? Comparing Plants” (Harcourt Education 2011)

ლორენ ჩაილდი (Lauren Child) “I Really Wonder What Plant I’m Growing” (Puffin 2009)

ქეთი კურპიე და ანტონინ ლუჩარდი (Katy Couprie & Antonin Louchard) “In the Garden” (Tate Publishing 2004)

ნიკ ბატერუორსი და მიკ ინკპენი (Nick Butterworth & Mick Inkpen) “Jasper’s Beanstalk” (Hodder Children’s Books 2014)

მალაქი დოილი და ჯუდით ოლიბოუნი (Malachy Doyle & Judith Allibone) “Jody’s Beans” (Walker Books 2010)

ვივიან ფრენჩი და ალისონ ბარლეტი (Vivian French & Alison Bartlett) “Oliver’s Vegetables” (Hodder Children’s Books 1995)

ქესრინ ქეივი Oxfam-თან თანამშრომლობით (Kathryn Cave in association with Oxfam) “One Child One Seed” (Frances Lincoln Children’s Books 2003)

ლუის ეჰლერტი (Lois Ehlert) “Planting a Rainbow” (Harcourt Books 1988)

ქეით პეტი და ალექს შეფლერი (Kate Petty & Axel Scheffler) “Rosie Plants a Radish” (Macmillan Children’s Books 2000)

მარგარეტ ნეში და სტეფენ ლამბერტი (Margaret Nash & Stephen Lambert) “Secret in the Mist” (Gullane Children’s Books 1989)

პეტ ზიეტლოუი და ანნე უილსდორფი (Pat Zietlow Miller & Anne Wilsdorf) “Sophie’s Squash” (Random House Children’s Books 2013)

ივ ბანთინგი და ქესრინ ჰიუიტი (Eve Bunting & Kathryn Hewitt) “Sunflower House” (Voyager Books 1996)

ჯოსეფ ენტონი და ქრის არბო (Joseph Antony & Cris Arbo) “The Dandelion Seed” (Dawn Publications 1999)
ჯოსეფ ენტონი და ქრის არბო (Joseph Antony & Cris Arbo) “The Dandelion Seed’s Big Dream” (Dawn Publications 2014)
ემილი ჰიუჯი (Emily Hughes) “The Little Gardener” (Flying Eye Books 2017)
ერიკ კარლი (Eric Carle) “The Tiny Seed” (Puffin 1997)
რუზ ბრაუნი (Ruth Brown) “Ten Seeds” (Andersen Press 2010)
ქეროლინ მოქფორდი (Caroline Mockford) “What’s This: A Seed’s Story” (Barefoot Books 2007)

საბავშვო წიგნები მებაღეობისა და მცენარეთა მოყვანის შესახებ - დოკუმენტური ლიტერატურა

ჯონ ჰიმელმანი (John Himmelman) “A Dandelion’s Life” (Children’s Press 1998)
ჰათს ასტონი და ლივია ლონგი (Hutts Aston & Sylvia Long) “A Seed Is Sleepy Dianna” (Chronicle Books 2007)
მერი მაკკენა სილადსი (Mary Mckenna Sidals) “Compost Stew” (Dragonfly Books 2014)
ლ. პატრიცია ქაითი და ანკა ჰარტონი (L. Patricia Kite & Anca Harton) “Dandelion Adventures” (Millbrook Press 1998)
ელენ უეისი (Ellen Weiss) “From Seed to Dandelion” (How Things Grow) (Children’s Press 2007)
ლორა ნოულსი და ჯენი უებერი (Laura Knowles & Jennie Webber) “It Starts with a Seed” (words & pictures 2016)
*ანიტა განერი (Anita Ganeri) “Plant Life Cycles” (Nature’s Patterns) (Harcourt Education 2006)
პატრიცია უაითჰაუსი (Patricia Whitehouse) “Seeds” (Plants) (Harcourt Education 2003)
ჯოის სიდმანი და ბეზ ქრომსი (Joyce Sidman & Beth Krommes) “Swirl by Swirl: Spirals in Nature” (Houghton Mifflin Harcourt 2011)
*რუთ ჰელერი (Ruth Heller) “The Reason for a Flower” (Puffin 1999)
მიკ მენინგი და ბრიტა გრანსტრომი (Mick Manning & Brita Granstrom) “The Seed I Planted” (Franklin Watts 2002)
მელანი ეკლერი (Melanie Eclare) “Tilda’s Seeds” (Ragged Bears 2006)
*ბერი უოთსი (Barrie Watts) “Watch It Grow: Pumpkin” (Franklin Watts 2002)

საბავშვო წიგნები მოსავლის აღებასთან და მზარეულობასთან დაკავშირებით

(ასევე იხილეთ თავი 2 – „წიგნები ტალახის სამზარეულოში თამაშის ხელ-შესაწყობად“)
ჯონ სიგალი (John Segal) “Carrot Soup” (Simon & Schuster 2006)
ეილინ ბრაუნი (Eileen Browne) “Handa’s Surprise” (Walker Books 2006)

კოლინ სტიმპსონი (Colin Stimpson) “Jack and the Baked Beanstalk” (Templar Publishing 2013)
რეიმონდ ბრიგსი (Raymond Briggs) “Jim and the Beanstalk” (Puffin 1973)
მერი პოუპ ოსბორნი (Mary Pope Osborne) “Katy and the Beanstalk” (Aladdin Paperbacks 2005)
იფეომა ონიფულუ (Ifeoma Onyefulu) “Look at This: Food” (Frances Lincoln Children’s Books 2012)
სტელა ბლექსტოუნი და ნენ ბრუკსი (Stella Blackstone & Nan Brooks) “Making Minestrone” (Barefoot Books 2000)
ჰელენ კუპერი (Helen Cooper) “Pumpkin Soup” (Corgi Children’s 1999)
ობრი დეივისი და დიუსან პეტრიჩიკი (Aubry Davis & Dusan Petricic) “The Enormous Potato” (Kids Can Press 1997)
ალექსეი ტოლსტოი და ნაიმ შარკი (Aleksei Tolstoy & Niamh Shark) “The Gigantic Turnip” (book with CD) (Barefoot Books 2006)
მინი გრეი (Mini Grey) “The Pea and the Princess” (Red Fox 2004)

საბავშვო წიგნები წელიწადის დროების შესახებ

ლეო ლიონი (Leo Lionni) “A Busy Year” (Alfred A Knopf Books for Young Readers 1992)
ნიკოლა დეივისი და მარკ ჰიერლდი (Nicola Davies & Mark Hearld) “A First Book of Nature” (Walker Books 2012)
ფიონა უოტერსი და ფრენ პრესტონ გენონი (Fiona Waters & Fran Preston Gannon) “I Am the Seed that Grew the Tree: A Nature Poem for Every Day of the Year” (Nosy Crow Ltd 2018)
ფილის გერშატორი და ალისონ ჯეი (Phillis Gershator & Alison Jay) “Listen, Listen” (Barefoot Books 2008)
ჯენი ბოუერსი (Jenny Bowers) “Little Tree” (Big Picture Press 2014)
ენნ ტომსონი, ქლერ ტომსონი და გეინორ დეივისი (Ann Thompson, Clare Thompson & Gaynor Davies) “Nature’s Colour Palette” (CP Thompson Press 2018) – ხელმისაწვდომია www.etsy.com
ქეი მაგუაიერი და დანიელ კროლი (Kay Maguire & Danielle Kroll) “Nature’s Day: Discover the World of Wonder on Your Doorstep” (Wide Eyed Editions 2015)
სუზი ჯენკინ პირსი და ჯულია მალიმი (Susie Jenkin-Pearce & Julia Malim) “Rabbit Magic” (Bodley Head Children’s Books 1993)
სიუ ბალაქლოფი (Sue Barraclough) “Seasons” (Wayland 2011)
სტელა ბლექსტოუნი და მარია კარლუჩიო (Stella Blackstone & Maria Carluccio) “Skip Through the Seasons” (Barefoot Books 2006)
დები მაკკინონი და ანთეა სივიკინგი (Debbie MacKinnon & Anthea Sieveking) “The Seasons: Spring, Summer, Autumn, Winter” (Francis Lincoln Children’s Books 1995)
პარტიცია ჰეგარტი და ბრიტა ტეკენტრაპი (Patricia Hegarty & Britta Teckentrup) “Tree: Seasons Come, Seasons Go” (Little Tiger Kids 2015)
ჯენ ორმეროდი და ლონდსი გარდინერი (Jan Ormerod & Lindsey Gardiner) “Whoosh Around the Mulberry Bush” (Oxford University Press 2007)

საბავშვო მხატვრული წიგნები მწერების, ჩიტებისა და პატარა ცხოველების შესახებ ინტერესის გასაღვივებლად

ჯინ როუსენი და ემანუელ უოლკერი (Jean Roussen & Emmanuelle Walker) Beautiful Birds (Flying Eye Books 2015)

ქეით პეტი და ალექს შეფლერი (Kate Petty & Axel Scheffler) "Ben Plants a Butterfly Garden" (Macmillan Children's Books 2000)

დევიდ ფეისი (David Pace) "Edward Goes Exploring" (Ladybird Books 1999)

ჯულია დონადლსონი და პემ სმი (Julia Donaldson & Pam Smy) "Follow the Swallow" (Egmont 2007)

ვივიან ფრენჩი და ალისონ ბარტლეტი (Vivian French & Alison Bartlett) "Growing Frogs" (Walker Books 2015)

რუთ ბრაუნი (Ruth Brown) "If at First You Do Not See" (Red Fox 1983)

ლეო ლიონი (Leo Lionni) "Inch by Inch" (Dragonfly Books 2018)

ქენ უილსონ-მაქსი (Ken Wilson-Max) "Lenny in the Garden" (Frances Lincoln Children's Books 2009)

ლოის ეჰლერტი (Lois Ehlert) "Nuts to You!" (Voyager Books 2004)

ჯული დონალდსონი და ნიკ შარატი (Julie Donaldson & Nick Sharratt) "One Mole Digging a Hole" (Macmillan Children's Books 2008)

რუზ ბრაუნი (Ruth Brown) "Snail Trail" (Anderson Press 2010)

ჯენი უილისის და ტონი როსი (Jeanne Willis & Tony Ross) "Tadpole's Promise" (Andersen Press 2018)

ერიკ კარლი (Eric Carle) "The Bad-Tempered Ladybird" (Puffin Books 2010)

საიმონ ჯეიმსი (Simon James) "The Birdwatchers" (Walker Books 2002)

ტრუდი ესბერგერი (Trudi Esberger) "The Boy Who Lost His Bumble" (Child's Play International 2014)

ჯენი უილისი და გვენ მილუარდი (Jeanne Willis & Gwen Millward) "The King of Tiny Things" (Puffin 2010)

ემილი გრავეტი (Emily Gravett) "The Rabbit Problem" (Simon & Schuster Books for Young Readers 2010)

ერიკ კარლი (Eric Carle) "The Very Busy Spider" (Grosset & Dunlap 2006)

ერიკ კარლი (Eric Carle) "The Very Hungry Caterpillar" (Puffin Books 2002)

დენის ფლემინგი (Denise Fleming) "Under Ground" (Beach Lane Books 2012)

საბავშვო დოკუმენტური წიგნები მწერების, ჩიტებისა და პატარა ცხოველების შესახებ ინტერესის გასაღვივებლად

*დაიანა ჰათს ასტონი და სილვია ლონგი (Dianna Hutts Aston & Sylvia Long) "A Beetle Is Shy" (Chronicle Books 2016)

*დაიანა ჰათს ასტონი და სილვია ლონგი (Dianna Hutts Aston & Sylvia Long) "A Butterfly Is Patient" (Chronicle Books 2015)

*დაიანა ჰათს ასტონი და სილვია ლონგი (Dianna Hutts Aston & Sylvia Long) "A Nest Is Noisy" (Chronicle Books 2015)

*დაიანა ჰათს ასტონი და სილვია ლონგი (Dianna Hutts Aston & Sylvia Long) “An Egg Is Quiet” (Chronicle Books 2014)
პატრიცია ჰეგარტი და ბრიტა თრექენთრაპი (Patricia Hegarty & Britta Treckentrup) “Bee: Nature’s Tiny Miracle” (Little Tiger Kids 2016)
ჯეფრი ფიშერი (Jeffrey Fisher) “Birds” (Chronicle Books 2009)
კარენ ჰართლი და კრის მაკრო (Karen Hartley & Chris Macro) “Bug Books” (Ladybird, Bee, Ant, Caterpillar, Fly, Worm, Snail, Woodlouse, Beetle, Earwig, Spider, Pillbug) (Harcourt Education 2007–2008)
შარლოტ გილენი (Charlotte Guillain) “Comparing Minibeasts Series (Minibeast Homes, Minibeast Senses, Minibeast Body Parts, Minibeast Babies, Minibeast Food, Minibeasts on the Move)” (Harcourt Education 2010)
თრეისი ქროუფორდი (Tracey Crawford) “Creature Comparisons: Birds” (Harcourt Education 2007)
ლორა ნოული და ქეთელ რონკა (Laura Knowles & Catell Ronca) “How to Be a Butterfly” (words & pictures 2019)
ქრის ჰენვუდის და ბერი უოტსი (Chris Henwood & Barrie Watts) “Keeping Minibeasts (Spiders, Earthworms, Slugs and Snails)” (Franklin Watts various dates)
ვიკ პარკერი (Vic Parker) “Life as a Butterfly” (Harcourt Education 2003)
*ბრაიან მელნი და რობერტ ინგპენი (Bryan Mellonie & Robert Ingpen) “Lifetimes: A Beautiful Way to Explain Death to Children” (Bantam Books 1983)
მეტ სიუელი (Matt Sewell) “Our Garden Birds: A Bird for Every Week of the Year” (Ebury Press 2012)
ალექს გრიფისი (Alex Griffiths) “The Bug Collector” (Andersen Press 2019)
ბრიტა ტრეკენტრაპი (Britta Treckentrup) “The Egg” (Prestel 2017)
ქიან ში (Quian Shi) “The Weaver” (Andersen Press 2020)
* ვივიან ფრენჩი და ჯესიკა ალბერგი (Vivian French & Jessica Ahlberg) “Yucky Worms” (Walker Books 2015)

საბავშვო წიგნები: კავშირი ბუნებასთან, მის მიმართ ინტერესი, თანაგრძნობა და ზრუნვა

*მაიკლ ფორმანი (Michael Foreman) “A Child’s Garden: A Story of Hope” (Walker Books 2010)
ლუის გრეიგი და ეშლინგ ლინდსეი (Louise Greig & Ashling Lindsay) “Between Tick and Tock” (Egmont 2018)
მერილ დონი (Meryl Doney) “Ears and the Secret Song” (Williams B Eerdmans Publishing 1995)
ანა უოლკერი (Anna Walker) “Florette” (Clarion Books 2018)
ჯონ არნო ლოუსონი და სიდნი სმიზი (Jon Arno Lawson & Sydney Smith) “Footpath Flowers” (Walker Books 2015)
ლეო ლიონი (Leo Lionni) “Frederick” (Andersen Press 2011)
ბარბარა ჰელენ ბერგერი (Barbara Helen Berger) “Grandfather Twilight” (Puffin Books 1996)

ანუქ ბუარობერტი და ლუის რიგაუდი (Anouck Boisrobert & Louis Rigaud) “In the Forest” (Tate Publishing 2012)
იუკიკო კატო და კომაკო საკაი (Yukiko Kato & Komako Sakai) “In the Meadow (Being in the World Series)” (Enchanted Lion Books 2011)
ჯენი უილისი და ტონი როსი (Jeanne Willis & Tony Ross) “Mayfly Day” (Andersen Press 2012)
*ჯონ ბარნინგემი (John Burningham) “Oi! Get Off Our Train” (Red Fox 1991)
მაიკლ ფორმანი (Michael Foreman) “One World” (Andersen Press 2011)
ეიპრილ პული საირი (April Pulley Sayre) “Thank You Earth: A Love Letter to Our Planet” (Greenwillow Books 2018)
*ჯონ ლაითი და ლიზა ევანსი (John Light & Lisa Evans) “The Flower” (Child’s Play International 2006)
შელ სილვერსტეინი (Shel Silverstein) “The Giving Tree” (Particular Books 2010)
*რობერტ მაკფარლენი და ჯეკი მორისი (Robert Macfarlane & Jackie Morris) “The Lost Words” (Hamish Hamilton 2017)
ბრიტა ტეკენტრაპი (Britta Teckentrup) “The Memory Tree” (Orchard Books 2014)
ჩარლზ გიგნა და ენი უილკინსონი (Charles Ghigna & Annie Wilkinson) “The Night the Forest Came to Town” (Orca Book Publishers 2018)
* ბირდ ტეილორი და პიტერ პარნალი (Byrd Taylor & Peter Parnall) “The Other Way to Listen” (Aladdin Press 1978)
*ნიკოლა დეივის და ლორა კარლინი (Nicola Davies & Laura Carlin) “The Promise” (Walker Books 2013)
ლინდა სარა და ფიონა ლამბერსი(Linda Sarah & Fiona Lumbers) “The Sky Garden” (Simon & Schuster Children’s UK 2018)
ჰელენ უარდი და უეინ ანდერსონი (Helen Ward & Wayne Anderson) “The Tin Forest” (Templar Publishing 2013)
ბობ ტიელი, ჯორჯ დევიდ უეისი და ტიმ ჰოპგუდი (Bob Thiele, George David Weiss & Tim Hopgood) “What a Wonderful World” (book and CD) (Oxford University Press 2015)
ენდი სტენტონი და დევიდ ლიჩფილდი (Andy Stanton & David Litchfield) “When I Was a Child” (Hodder Children’s Books 2018)
დუგლას ვუდი და ვენდი პოპი (Douglas Wood & Wendy Popp) “Where the Sunrise Begins” (Simon & Schuster 2010)
ემილი ჰიუსი (Emily Hughes) “Wild” (Flying Eye Books 2013)
*ჯენი ბეიკერი (Jeannie Baker) “Window” (Walker Books 2002)
ემ ეიჩ კლარკი (M H Clark) “You Belong Here” (Compendium Publishing & Communications 2016)

მებაღეობა - დამატებითი ინფორმაცია და რესურსები

ჯუნ ო’სალივანი და ქლოდაჰ ჰალსი (June O’Sullivan & Clodagh Halse) “50 Fantastic Ideas for Nursery Gardens” (Featherstone 2018)
სიდნი კრეზელი (Cindy Krezel) “101 Kid-Friendly Plants: Fun Plants and Family Garden Projects” (Ball Publishing 2007)
კალენდრები და ჟურნალები მებაღეობაზე უამრავი ფერადი სურათით

ბეთ რიჩარდსონი (Beth Richardson) “Gardening with Children” (Taunton Press 1998)
ბეატრის ლოკი (Beatryce Lockie) “Gardening with Young Children” (Hawthorne Press 2007) –მებაღეობა, როგორც ადრეული ასაკის ბავშვებთან ყოფნისა და მუშაობის საფუძველი შტაინერ ვალდორფის პრაქტიკაში
დორლინგ კინდერსლი (Dorling Kindersley) “Grow It, Eat It: Simple Gardening Projects and Delicious Recipes” (Dorling Kindersley 2008)
ეიმი სები (Aimee Selby (editor)) “Growing Stuff: An Alternative Guide to Gardening” (Black Dog Publishing 2009) – მცენარეთა მოყვანის მარტივი პროექტები პატარა სივრცეებისა და შეზღუდული ბიუჯეტებისთვის
ელიზაბეტ მაქკორკოდალი (Elizabeth McCorquodale) “Kids in the Garden: Growing Plants for Food and Fun” (Black Dog Publishing 2010)
ალისტერ ბრაის-ქლეგი და ჯენი ლინდონი (Alistair Bryce-Clegg & Jennie Lindon) “Planning for the Early Years: Gardening and Growing” (Practical Preschool Books 2012)
კრის კოლინგსი და ლია ლეენდერტზი (Chris Collings & Lia Leendertz) “RHS Grow Your Own for Kids!” (Mitchell Beazley 2012)
შერონ ლავჯოი (Sharon Lovejoy) “Roots, Shoots, Buckets & Boots: Activities to Do in the Garden” (Workman Publishing Company 1999)
სიუ უარდი (Sue Ward) “The Early Years Gardening Handbook” (Practical Pre-School Books 2010)
ელის ფაულერი (Alys Fowler) “The Edible Garden: How to Have Your Garden and Eat It” (BBC Books 2010)
ელის უოტერსი (Alice Waters) “The Edible Schoolyard: A Universal Idea” (Chronicle Books 2010)
ქესი ჯეიმსი (Cathy James) “The Garden Classroom: Creative Ways to Use the Garden to Inspire Learning for Children Ages 4 to 8” (Roost Books 2015)
სელი ფეზერსტოუნი (Sally Featherstone) “The Little Book of Growing Things” (Featherstone Education 2003)
მერი რუბუში (Mary Ruebush) “Why Dirt Is Good” (Kaplan Publishing 2009) – განმარტება, თუ როგორ უწყობენ სასარგებლო მიკრობები ხელს ჯანსაღი იმუნური სისტემის განვითარებას

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები მოსავლის აღებისა და მზარეულობის შესახებ

ჯუდიტ ჰორვასი (Judit Horvath) “50 Fantastic Ideas for Exploring Food” (Featherstone Education 2017)
ქესი ბრაუნი და მიშელ გარეტი (Kathy Brown & Michelle Garrett) “Edible Flower Garden: From Garden to Kitchen – Choosing, Growing and Cooking Edible Flowers” (Anness Publishing Limited 2011)
მოლი კატზენი და ენნ ჰენდერსონი (Mollie Katzen & Ann Henderson) “Pretend Soup and Other Real Recipes” (Tricycle Press 1994)

კეროლაინ კრეიგი და ჯო არჩერი (Caroline Craig & Joe Archer) “The Kew Gardens Children’s Cookbook: Plant, Cook, Eat” (Wayland 2016)
ილარია კავალინი და მადლენა ტედეში (Ilarria Cavallini & Maddalena Tedeschi) “The Languages of Food: Recipes, Experiences, Thoughts” (Reggio Children 2008) – რეჯიო ემილიას (იტალია) მიდგომა საკვების შერჩევის, მზარეულობისა და კვების ყოველდღიურობაში ჩართვისათვის
ქრისტინა სელეშანკო (Kristina Seleshanko) “The Ultimate Dandelion Cookbook: 148 Recipes for Dandelion Leaves, Flowers, Buds, Stems and Roots” (Createspace Independent Publishing Platform 2013)
პეპინ ვან რუჟენი და განტერ ბიერი (Pepin van Roojen & Gunter Beer) “Visual Dictionary of Fruit” (The Pepin Press 2003) – ხილის უზარმაზარი ასორტიმენტის უამრავი მკაფიო, მარტივი ფოტოები
პეპინ ვან რუჟენი და განტერ ბიერი (Pepin van Roojen & Gunter Beer) “Visual Dictionary of Vegetables” (The Pepin Press 2006) – ბოსტნეულის უზარმაზარი ასორტიმენტის უამრავი მკაფიო და მარტივი ფოტოები
ელიზაბეტ კარუსერსი, კეროლ კეანე და ჯო ინგელბი (Elizabeth Carruthers, Carole Keane & Jo Ingelby) “Young Children’s Experimental Cookery” (Routledge 2017) – საკვების, როგორც შემოქმედებითი გარემოს ზეიმი

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები – მებაღეობა და ველური ბუნების მდგრადობა

შარლოტა ვოაკი და ქეით პეტი (Charlotte Voake & Kate Petty) “A Little Guide to Wild Flowers” (Eden Children’s Books 2007) – ხელით დახატული მშვენიერი ილუსტრაციები ცოტა მოზრდილ ბავშვებთან გასაზიარებლად
ემი ს. უილენსკი და იუმი ჰეო (Amy S. Wilensky & Yumi Heo) “Dandelion: Celebrating the Magical Blossom“ (Council Oak Books 2000)
კეროლ პეტრაში (Carol Petrash) “Earthwise: Environmental Crafts and Activities with Young Children” (Floris Books 1993) – ეფუძნება შტაინერ ვალდორფის განათლების ფოკუსს წელიწადის ბუნებრივ რიტმთან კავშირზე
ენტონი დეივიდი (Anthony David) “Get Set Go! Sustainability: A Step-by-Step Guide to Creating a Sustainable Early Years Setting” (Practical Pre-School Books 2010)
ელიზაბეტ მაკკორკოდალი (Elizabeth McCorquodale) “Kids in the Wild Garden: Fun Activities for the Great Outdoors” (Black Dog Publishing 2011)
“My Favourite Colour Is Green: Inspiring Children to Care for Their Planet” (Pre-school Learning Alliance 2010)
ჰელენ ბრომლი და სელი ფლეიერი (Helen Bromley & Sally Player) “Plant an Idea: 50 Exciting Ideas for Using Flowers, Trees and Plant Life” (Lawrence Educational Publications 2003)
კრის ბაინსი (Chris Baines) “RHS How to Make a Wildlife Garden” (Frances Lincoln 2016)

ქენდი ვერნი (Candy Verney) “The Singing Year” (Hawthorne Press 2006) – ეფუძნება შტაინერ ვალდორფის განათლების ფოკუსს წელიწადის ბუნებრივ რიტმთან მუსიკალურ კავშირზე
ანიტა სანჩეზი (Anita Sanchez) “The Teeth of the Lion: The Story of the Beloved and Despised Dandelion” (McDonald & Woodward Publishing Company 2006)
ეიპრილ პული საირი (April Pulley Sayre) “Touch a Butterfly: Wildlife Gardening with Kids” (Roost Books 2013)
ქეით ბრედბერი (Kate Bradbury) “Wildlife Gardening: For Everyone and Everything” (Bloomsbury Publishing 2019) – მარტივი სახელმძღვანელო მებაღეობაში, დამტკიცებულია RHS-სა და Wildlife Trusts-ის მიერ

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები – მწერების, ჩიტებისა და პატარა ცხოველების შესახებ

ტომას მარენტი (Thomas Marent) “Butterfly: A Photographic Portrait” (Dorling Kindersley 2008) – მთელი მსოფლიოდან ჭიაყელებისა და პეპლების გასაოცარი დიდ-ფორმატიანი ფოტოების საგანძური
ჯეფ სემპლის მიხედვით (by Geoff Sample) “Garden Bird Songs and Calls – 60 minutes of CD recordings” (Collins 2009)
რებეკა ფარლი-ბრაუნი და კრის შილდსი (Rebecca Farley-Brown & Chris Shields) “Garden Bugs and Beasties” (Field Studies Council 2014)
ედვარდ ჯექსონი, ენდი სიმსი და პიტერ ჰეიმანი (Edward Jackson, Andy Simms & Peter Hayman) “Guide to the Top 50 Garden Birds” (Field Studies Council 2010)
რამდენიმე შესანიშნავი იდეა Pinterest -დან “Ideas for bird feeders” – შემდეგ ვებ-გვერდზე www.pinterest.com
რიჩარდ ჯონსი (Richard Jones) “Nano Nature: Nature’s Spectacular Hidden World” (Collins 2008) –მორიგი არაჩვეულებრივი ცნობარი ბუნების პატარა ბინადრების შესახებ, დიდი ფორმატითა და ახლო ხედის სურათებით, ბავშვების გასახარებლად და დასაინტრიგებლად
ყოველწლიური საოჯახო და სასკოლო ღონისძიება იანვრის ბოლო შაბათ-კვირას (ოჯახებისთვის) ან ბოლო კვირას (სკოლებისთვის) - “RSPB Big Garden Birdwatch”, www.rspb.org.uk/get-involved/activities/birdwatch
დეივიდ კრომაკი (David Cromack) “The Garden Bird Survival Guide” (Ringpress Books 1999)
ლინდა თორნტონი და პეტ ბრანტონი (Linda Thornton & Pat Brunton) “The Little Book of Living Things” (Featherstone Education 2005)
ენნ რობერტსი (Ann Roberts) “The Little Book of Mini Beast Hotels” (Featherstone Education 2011)

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები - ხელშეწყობა ორგანიზაციების მხრიდან

ორგანიზაცია "Countryside Classroom" – ორგანიზაციების ჯგუფი, რომლებიც ერთად მუშაობენ საგანმანათლებლო დაწესებულებების დასაკავშირებლად საკვებთან, სოფლის მეურნეობასთან და ბუნებრივ გარემოსთან

ორგანიზაცია "Earth Day" – ქსელი მუშაობს მსოფლიოს მასშტაბით გარემოსდაცვითი მოძრაობების გასააქტიურებლად; 22 აპრილს დედამიწის დღის აღნიშვნაში ჩართულია 1 მილიარდი ადამიანი მსოფლიოს 192 ქვეყნიდან, www.earthday.org

ორგანიზაცია "Edible Playgrounds – Trees for Cities" მუშაობს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ჰაერის დაბინძურებისა და სხვა პრობლემების მოგვარების მიმართულებით დიდი ბრიტანეთისა და მსოფლიოს სხვადასხვა ურბანულ გარემოში ხეებისა და საკვები მცენარეულობის მოშენების გზით www.treesforcities.org/our-work/edible-playgrounds

ორგანიზაცია "Food for Life Early Years Programme – The Soil Association" ასოციაციის საწევრო მომსახურება მოიცავს რესურსებს ჯეიმი ოლივერის (Jamie Oliver's) "Kitchen Garden" პროექტიდან და "Food for Life" ადრეული ასაკის ჯილდოს ნაკრებებიდან www.foodforlife.org.uk/early-years

ორგანიზაცია "Garden Organic" – უამრავი რჩევა და რესურსი, ასევე უზრუნველყოფს ტრენინგების ჩატარებას, www.gardenorganic.org.uk/education

ორგანიზაცია "Incredible Edible" – ნერგის გაზრდიდან - კერძების მომზადება და გამასპინძლებამდე, საზოგადოების ჩამოყალიბების საუკეთესო მიდგომა, რომელმაც შრომა წაახალისა დიდ ბრიტანეთში და მის საზღვრებს მიღმა www.incredibleedible.org.uk

ორგანიზაცია "Learning through Landscapes" – ზოგადი რჩევების, წერილობითი რესურსების, ტრენინგების, საკონსულტაციო ვიზიტებისა და მხარდაჭერის ფართო ასორტიმენტი მისი ადრეული ასაკის წევრობის სქემის მეშვეობით, www.ltl.org.uk

ორგანიზაცია "Muddy Faces Outdoor Hub" – იმ ორგანიზაციების დეტალები და ბმულები, რომლებიც ხელს უწყობენ მებაღეობას, მცენარეთა მოშენებას, ფერმებსა და ცხოველებს, www.muddyfaces.co.uk/

ორგანიზაცია "Muddy Faces Outdoor Hub" –ღია სივრცეში ყოფნასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ განახლებული ინფორმაციის შეუდარებელი წყარო

ორგანიზაცია "Nature Detectives – The Woodland Trust" - მხარს უჭერს ბავშვების ჩართულობას ბუნებაში, 3-5 წლამდე და 6+ ასაკის ბავშვებისთვის შესაფერისი აქტივობებით www.woodlandtrust.org.uk/naturedetectives/schools-and-groups

ორგანიზაცია "Royal Horticultural Society (RHS) – Campaign for School Gardening" – განათლების სპეციალისტების მხარდაჭერა და გადამზადება, schoolgardening.rhs.org.uk/home

ორგანიზაცია “Royal Horticultural Society (RHS)” – ვებ-გვერდზე უამრავი რჩევა მოიპოვება ყველა მიმართულებით, www.rhs.org.uk/advice/advice-search

ორგანიზაცია “Royal Society for the Protection of Birds (RSPB)” – მიუხედავად იმისა, რომ ფრინველებზე ფოკუსირდება, იგი ბევრ ინფორმაციას გვაწვდის ბავშვებისა და ბუნების შესახებ www.rspb.org.uk/fun-and-learning

ორგანიზაცია “Wild Classroom – World Wildlife Fund (WWF)” website, connecting educators and parents with the tools and resources they need to help kids explore and understand the world around them ვებ-გვერდი განმანათლებლებსა და მშობლებს აკავშირებს იმ ხელსაწყოებთან და რესურსებთან, რომლებიც საჭიროა ბავშვების დასახმარებლად მათ ირგვლივ სამყაროს კვლევისა და გაგებისთვის, www.worldwildlife.org/teaching-resources

ორგანიზაცია “Wild Time Learning – The Wild Network’s” ონლაინ ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება პედაგოგებს მეტი დრო დაუთმონ ბავშვების ღია სივრცეში სწავლას, www.thewildnetwork.com/inspiration/ ველური ბუნება - დრო - სწავლა

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები - მიმწოდებლები

“Cosy” – მებაღეობის მთელი რიგი მოწყობილობების მიმწოდებელი, www.cosydirect.com/early-years/gardening-and-fences

“Hens for Hire” – საქათმე მეურნეობის სასკოლო სპეციალისტები, რომლებიც ქირით გასცემენ კვერცხს, ინკუბატორებს, წიწილებსა და ქათმებს; ატარებენ „წიწილების მოფერების” მოკლე სესიებს და უზრუნველყოფენ მხარდაჭერას, ტრენინგებს, რესურსებს და (რაც მნიშვნელოვანია) მზრუნველობას არდადეგებზე, www.hensforhire.co.uk

“Insect Lore” – მწერებისა და სხვა დაკავშირებული საგანმანათლებლო რესურსების მიმწოდებელი, www.insectlore.co.uk

“Muddy Faces” – ღია სივრცის ველურ ბუნებასთან დაახლოვების მიზნით მებაღეობის კარგი ხარისხის მოწყობილობებისა და ცოცხალი სამყაროს რესურსების მიმწოდებელი, www.muddyfaces.co.uk/shop

“Naturescape” – ველური ყვავილების ფერმა, სადაც წარმოუდგენელი რაოდენობის სხვადასხვა ველური ყვავილის თესლი და ნარგავი მოიპოვება, ასევე შესაძლებელია ფერმის უფასოდ მონახულება (ლანგარი, ნოთინგემშირი), www.naturescape.co.uk

RSPB-ის მაღაზია, https://shopping.rspb.org.uk, და “Cosy”, www.cosydirect.com, ხის ბუდეებში მოთავსებული ვებკამერების მომწოდებელი

“The Woodland Trust” – საგულდაგულოდ შერჩეული და ადგილობრივი პატარა ხეებისა და ცოცხალი ღობეების უსასყიდლოდ მიმწოდებელი სკოლებისა და საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის, www.woodlandtrust.org

“Vine House Farm” – ფრინველების კონსერვაციისთვის საჭირო მთელი რიგი საკვებისა და სხვა პროდუქტების მიმწოდებელი, ველური ბუნების მხარდასაჭერად “The Wildlife Trusts” მოგების გარკვეული ნაწილით, www.vinehousefarm.co.uk

“Wiggly Wigglers” – ორგანული და ველური ბაღის პროდუქტების მიმწოდებელი, www.wigglywigglers.co.uk

დასკვნა

- გაზარდეთ მცენარეები ყველგან, სადაც თქვენი ღია სივრცე ამის შესაძლებლობას იძლევა. გაზარდეთ ყველა სახის მცენარე, რათა შექმნათ და გააუმჯობესოთ თქვენი ღია სივრცე. იკონტაქტეთ ბუნებრივ სამყაროსთან - ცოცხალი არსებები და მცენარეები არსებითად მნიშვნელოვანია ადრეული ასაკის ბავშვების კეთილდღეობისა და ემოციური განვითარებისათვის. ბუნება ზრუნავს ბავშვებზე და ბავშვებმა ეს უნდა დაიმახსოვრონ მთელი სიცოცხლის მანძილზე.
- ბოსტნეულისა და ხილის მოყვანა, შემდეგ კი ამ პროდუქტების დაგემოვნება ხელს უწყობს ადრეული ასაკის ბავშვების ფიზიკურ ჯანმრთელობას - ვარჯიშითა და სწორი კვებით, ასევე მათ მენტალურ ჯანმრთელობას - ბუნებით დაინტერესების, მასთან ერთობისა და ჰარმონიის შეგრძნებით. მცენარეთა გაზრდამ ბავშვებს შეიძლება მთელი ცხოვრების მანძლზე ინტერესი გაუღვივოს და ჯანსაღი ცხოვრების წესები ჩამოუყალიბოს.
- ბუნებრივი სამყარო კომუნიკაციისთვის ფანტასტიურ სტიმულს ქმნის, რადგანაც ბავშვებს ძალიან უყვართ აღმოჩენების გაზიარება. სასწავლო პოტენციალი მდიდარია საგანმანათლებლო კურიკულუმის ყველა ასპექტთან მიმართებით.
- შეანელეთ ტემპი, რათა თითოეული შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოიყენოთ. მცენარეთა მოშენების პროცესის თითოეულ ეტაპზე და ცოცხალ სამყაროსთან თითოეულ ინტერაქციას უდიდესი პოტენციალი გააჩნია.
- ზრდასრულებს ექსპერტობა არ მოეთხოვებათ, თუმცა ისინი დაინტერესებული ფასილიტატორები უნდა იყვნენ. გაცილებით სახალისოა, როცა ჯერ კიდევ ბევრია აღმოსაჩენი და ერთად სწავლა/სწავლების ძალიან ეფექტური სტრატეგიაა.
- დაიწყეთ მარტივად და განახორციელეთ მებაღეობისა და ველური ბუნების პროექტები მცირე ნაბიჯებით, რაც გაზრდის თქვენს თავდაჯერებულობას. გამოიყენეთ რაც შეიძლება მეტი მხარდაჭერა.
- მიანიჭეთ ბავშვებს წამყვანი როლი განვითარების პროცესში, გამოიყენეთ მათი ენთუზიაზმი და ცოცხალ არსებებთან ინტერაქციისა და მისი შეცნობის სურვილი. ყურადღება გაამახვილეთ მათთვის საინტერესო საკითხებზე და მოამზადეთ კურიკულუმი არა წინასწარ გეგმაზე დაყრდნობით, არამედ რეალურად წარმოშობილი საჭიროებების შესაბამისად.

- მოსწავლეების ოჯახებს ბევრი რამის შეთავაზება შეუძლიათ თქვენი დაწესებულებისთვის, პირველ რიგში კი მცენარეთა გაზრდა. ეს თემა მშობელთა და მზრუნველთა ბავშვების სწავლაში ჩართულობის ძალიან ეფექტური გზაა, როგორც დაწესებულებაში, ასევე სახლში.
- მაქსიმალურად გამოიყენეთ გარემო ირგვლივ, რათა ბავშვები ბუნებრივ სამყაროსთან წელიწადის ნებისმიერ დროს დააკავშიროთ. მაგალითად, რკოს და ცხენის წაბლის შეგროვება აღფრთოვანებას იწვევს ბავშვებში, ფოთლების უზარმაზარ გროვებში თამაშის შესაძლებლობა კი პარკში გაცილებით მეტია, ვიდრე თქვენს ღია სივრცეში.
- ფოკუსირება მოახდინეთ დასვენებაზე, სიამოვნებაზე, დაინტერესებაზე, სიხარულსა და ცოცხალ სამყაროსთან კავშირში ყოფნის ესთეტიურ მხარეზე. ბავშვები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ და ურთიერთობენ, თუმცა ეს ყოველთვის შეუწყობს ხელს ღრმა პიროვნულ კეთილდღეობას გრძელვადიან პერსპექტივაში.
- სცადეთ საფუძველი ჩაუყაროთ პლანეტისადმი მზრუნველობით აღსავსე მიდგომის ჩამოყალიბებას, მის წიაღში დროის გატარებისა და მისი შეცნობის დაუოკებელ სურვილს. როდესაც ბავშვები იზრდებიან იმის განცდით, რომ ცოცხალი სამყარო ზრუნავს და კვებავს მათ, მათი მომავალი გადაწყვეტილებებიც ბუნებაზე ზრუნვის სურვილს დაეფუძნება.

სურათი 3.8. მცენარეები იდეალურ გარემოს ქმნიან ადრეული ასაკის ბავშვებისათვის

თავი 4
ფიზიკური თამაშები გარეთ

ამ თავში განხილულია შემდეგი საკითხები:

- რატომ სჭირდებათ ბავშვებს ფიზიკური თამაშები?
- რა სარგებლობა აქვს მოძრაობასა და ფიზიკურ აქტივობას ადრეული ასაკის ბავშვებისთვის?
- რა სახის ფიზიკური თამაშები სჭირდებათ ადრეული ასაკის ბავშვებს ღია სივრცეში?
- სხვადასხვა სახის მოძრაობისა და ფიზიკური გამოცდილების შესაძლებლობის უზრუნველყოფა
    - o მოძრაობისა და ფიზიკური აქტივობის წახალისება
    - o კარგი რესურსები ფიზიკური თამაშებისთვის და როგორ შეუძლიათ ბავშვებს მათი გამოყენება
- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა: რისკების მართვა და გამოწვევები
- დამატებითი ინფორმაცია და რესურსები

რატომ სჭირდებათ ბავშვებს ფიზიკური თამაშები?

ადრეული ასაკის ბავშვებს ძალიან უყვართ მოძრაობა და ფიზიკური უნარების განვითარებას ჯერ კიდევ დაბადებამდე იწყებენ. მათ ასევე სხვა ბავშვებთან და მოზარდებთან ურთიერთობის უდიდესი მოტივაცია აქვთ, ამასთან უფროსი ბავშვები უმცროსებს არაჩვეულებრივ სტიმულს აძლევენ. ლტოლვა მოძრაობისადმი იმიტომ არის ამდენად ძლიერი, რომ იგი ფუნდამენტურ გავლენას ახდენს ბავშვის ცხოვრების ყველა სხვა ასპექტზე. თუმცა, თანამედროვე ცხოვრების პირობებში ბავშვები ვერ ღებულობენ საკმარისს ფიზიკურ დატვირთვას - რაც საჭიროა მათი ჯანმრთელობისათვის, ბედნიერებისთვის მიმდინარე პერიოდში და მომავალშიც. ადრეული განათლების დაწესებულებების როლი სულ უფრო იზრდება ბავშვებისთვის საჭირო მოძრაობის და ფიზიკური გამოცდილებების უზრუნველყოფაში და გარე სივრცე ამ თვალსაზრისით ძალიან ეფექტურია.

დაწესებულებების უმეტესობისთვის გარე სივრცის ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებას სწორედ ფიზიკური განვითარების

ხელშემწყობი აქტივობები განსაზღვრავს, წარმოადგენს რა თავისუფლების, სტიმულებისა და შესაძლებლობების რეპერტუარს. თუმცა, ჩვენ, პრაქტიკოსებმა, უნდა ვიკვლიოთ თუ რა სარგებელი მოაქვს მოძრაობას ბავშვებისთვის, რათა გავაფართოვოთ და გავაუმჯობესოთ პირობები, სრულიად დავაკმაყოფილოთ ფიზიკური, ემოციური და ფსიქიკური განვითარების საჭიროებები და ვაღიაროთ მოძრაობის ცენტრალური როლი ტვინის განვითარებასა და სწავლაში. არსებითად მნიშვნელოვანია ბავშვებს დიდი დრო და მოძრაობის უამრავი შესაძლებლობა შევთავაზოთ. ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვების მისწრაფებებთან და ინტერესებთან მუშაობა, რათა ისინი წინ წაიწიონ ჩვეული ტემპით და მათი ყველა ფიზიკური გამოცდილება სასიამოვნო და სახალისო იყოს. ადრეული ასაკის ბავშვებმა თითქოს ინტუიციურად იციან თუ რა სჭირდება მათ სხეულს. ბავშვის სიხარული და კმაყოფილება სწორედ მოძრაობაში მდგომარეობს, ჩვენი მიზანი და სიამოვნება კი ამაზე დაკვირვებაა.

გაიხსენეთ რომელი ფიზიკური აქტივობები გიყვარდათ ბავშვობაში: თავბრუსხვევამდე ტრიალი, კედლების გასწვრივ სიარული და კიდეებიდან გადმოხტომა, მაღლა ცოცვა „სამყაროს" დასანახად, საქანელები, საქანელების თოკების დასაბზრიალებლად გადახლართვა, ხელებზე დგომა და სალტოების

სურათი 4.1. ადრეული ასაკის ბავშვებს უზომოდ უყვართ მოძრაობა

კეთება, თავდაყირა ჩამოკიდება, უკანსვლა, მეგობრებთან ერთად ხტომა, და-ძმებთან ჭიდაობა. ყველაფერ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ტვინის და სენსორული სისტემების განვითარებისთვის, სავარაუდოდ, სწორედ ამიტომაც მოგწონდათ ეს აქტივობები და გინდოდათ ისევ და ისევ მათი გამეორება. ადრეულ ასაკში ბავშვებს ყველაზე მეტად უვითარდებათ სხვადასხვა ფიზიკური შესაძლებლობა, მათი ცოდნის 50 პროცენტი სწორედ პირველი ხუთი წლის განმავლობაში ყალიბდება. ფიზიკური უნარების მოგვიანებით განვითარება გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე სხვა რომელიმე უნარის და თავად მოძრაობა დიდ გავლენას ახდენს ბავშვების განვითარებაზე, განსაკუთრებით მათ თვითშეფასებაზე.

რა სარგებლობა აქვს მოძრაობასა და ფიზიკურ აქტივობას ადრეული ასაკის ბავშვებისთვის?

ხალისიანი მოძრაობითა და ფიზიკური აქტივობით ბავშვები შეიმეცნებენ საკუთარ თავს, სამყაროს და თავიანთ ადგილს ამ სამყაროში. ადრეული ასაკის ბავშვები მოძრაობით აღიქვამენ საკუთარ სხეულს და დიდ სიამოვნებას იღებენ ახალი უნარების დაუფლებით. ამ პროცესში მათ შეიძლება განიცადონ მნიშვნელოვანი იმედგაცრუება, განივითარონ სიმტკიცე და ურყეობაც. ბავშვები ასევე სწავლობენ მოქმედებას გრავიტაციისა და საგნებით სავსე სამყაროში. მოძრაობა დიდ როლს თამაშობს ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, რაც იწყება მშობლებთან ან მზრუნველებთან ერთად საქანელებზე გართობით და შემდგომ სხვა ბავშვებთან აქტიურ თამაშად და კავშირებად გარდაიქმნება. როლურ მოძრაობებსა და მოქმედებებზე დაფუძნებულ თამაშზე დაკვირვება გვიჩვენებს რაოდენ მნიშვნელოვანია გარე სივრცის ეს ასპექტი.

ფსიქიკური ჯანმრთელობა და მოძრაობა

- ბავშვებს სიამოვნებთ თავიანთი სხეულის შეგრძნება და ის, რაც მათ სხეულს შეუძლია.
- მოძრაობა ტვინს აფხიზლებს და გარკვეული ქიმიური ელემენტების (როგორიცაა ნეიროტრანსმიტერების) წარმოქმნის სტიმულირებით მთელ სხეულს ენერგიით ავსებს.

- მოძრაობის სასიამოვნო განცდა ფსიქიკურ კეთილდღეობას უწყობს ხელს და ბავშვებში მოძრაობის კვლევისა და შესაძლებლობების გაფართოების ძლიერ სურვილს წარმოქმნის.
- საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენა, თავდაჯერებულობა, ქმედითობისა და საკუთარი თავის პატივისცემის შეგრძნება ახალი უნარების დაუფლებით ყალიბდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა სხვები აფასებენ ამას (შესაძლოა სწორედ ამიტომ, ადრეული ასაკის ბავშვები განუწყვეტლივ გვთხოვენ - „შემომხედე").
- მოქმედებისა და მოძრაობისადმი სიყვარული მთელი ცხოვრების მანძილზე გვავსებს დადებითი ემოციური შეგრძნებებით.

ფიზიკური ჯანმრთელობა და მოძრაობა

- მოძრაობა სხეულს კუნთების, სახსრების, მყესების, ძვლების, ნერვული კავშირების, ასევე გულისა და ფილტვების ფუნქციების განვითარებაში ეხმარება, შესაბამისად, ხელს უწყობს სხეულის გაძლიერებას, სისხარტეს, მოქნილობასა და კარგ ფიზიკურ მდგომარეობას.
- მოძრაობა სხეულის და ტვინის სისტემაში სენსორულ და ნერვულ ცენტრებს ქმნის, რაც მოქმედებების შესრულების და კოორდინაციის, ასევე სიცოცხლისთვის საჭირო უნარების კონტროლის საფუძველია.
- ადრეული ასაკის ბავშვები საკუთარი სხეულის მართვის უნარის განვითარებაზე და სივრცეში გრავიტაციასთან და სხვა საგნებთან მიმართებაში მათ პოზიციონირებაზე კონცენტრირდებიან.
- ტორსი, კისრის, მხრის, იდაყვის და წელის განვითარება გადამწყვეტია ხელის ეფექტური ფუნქციონირებისთვის და შესაბამისად უდიდეს როლს თამაშობს ინსტრუმენტების გამოყენების ან წერის დროს. ხელებში ძალისა და ნატიფი, ზუსტი კონტროლის განვითარება ასევე ხანგრძლივ და აქტიურ გამოცდილებას მოითხოვს. მსხვილი და ნატიფი მოტორიკის განვითარების გამიჯვნა ახლა უკვე არამართებულად მიიჩნევა, რადგან ხელების კარგი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მთელი მკვლავისა და სხეულის ზედა ნაწილის ინტეგრირებული განვითარებით.

- ადრეულ ასაკში ენერგიის ხარჯვა და წონის კონტროლი, შემდგომ პერიოდებში ხელს უწყობს ჭარბი წონის, დიაბეტის, გულის დაავადებებისა და კიბოს პრევენციას.
- მედიკოსები განსაკუთრებულ წუხილს გამოხატავენ ადრეული ასაკის ბავშვებისთვის ფიზიკური ვარჯიშის უკმარისობის გამო, იმ შემთხვევაშიც კი თუ ბავშვს ჭარბი წონა არ აწუხებს. დიდი ბრიტანეთის ეროვნული სამედიცინო სახელმძღვანელოს თანახმად „სკოლამდელი ასაკის ბავშვები, რომლებსაც სიარულის უნარი აქვთ, დღის განმავლობაში, ჯამში მინიმუმ 180 წუთი (3 საათი) უნდა დაკავდნენ ფიზიკური აქტივობით. ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების უმოძრაობის (მჯდომარე მდგომარეობა) დრო მინიმალური უნდა იყოს (გარდა ძილის საათებისა)" (Start Active, Stay Active, 2011).
- მოძრაობას აქტიურად ყოფნის სიამოვნების განცდა ახლავს, შესაბამისად ბავშვები განაგრძობენ მოძრაობის შესაძლებლობების ძიებას, აქტიური ცხოვრებისადმი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას და ინტერესების გაღვივებას. (Ouvry, Exercising Muscles and Minds, 2003, გვ. 13).

ძირითადი ნევროლოგიური სენსორული სისტემების ჩამოყალიბება

- მოძრაობით ყალიბდება სხეულის და ტვინის შიდა სენსორული სისტემები, რის საფუძველზეც ვგრძნობთ სხეულს და ვავითარებთ წონასწორობის, კონტროლის, კოორდინაციის და მოქნილობის უნარებს.
- ეს სენსორული სისტემები უზრუნველყოფს ჩვენს უსაფრთხოებას სივრცის და გრავიტაციის პირობებში, მკაფიოდ გვაგრძნობინებს საკუთარ შესაძლებლობებს, გავლენას ახდენს ცხოვრების ყველა ასპექტზე და ფუნდამენტურ როლს თამაშობს თავდაჯერებულობის, კომპეტენტურობისა და ავტონომიურობის ჩამოყალიბებაში.
- მოძრაობა ხელს უწყობს ტვინის ორივე ნახევარსფეროს ელვისებური სისწრაფით ურთიერთმოქმედებას, რაც მათ ერთობლივ მუშაობას უზრუნველყოფს.

- მოძრაობა ყურადღებისა და კონცენტრაციის უნარებს გვიყალიბებს და იგი მნიშვნელოვანია ტვინის იმ სფეროების განვითარებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ თვითრეგულირებასა და თვითორგანიზებულობაში.
- მოძრაობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მხედველობის განვითარებაში - სივრცეში მოძრაობა ავითარებს აღქმის, ინტერპრეტაციისა და როგორც საკუთარი სხეულის, ასევე სხვა საგნების მოძრაობაზე რეაგირების უნარს. სამ განზომილებიან სივრცეში მოძრაობა აკავშირებს მხედველობას წონასწორობასა და სმენასთან.
- მოძრაობა მხედველობის ბევრ ასპექტს ავითარებს, რომლებიც მნიშვნელოვანია სიცოცხლის მანძილზე ფუნქციონირებისა და უსაფრთხოებისათვის, მათ შორისაა მეთვალყურეობა, სტერეოსკოპული მხედველობა, სიღრმისეული და პერიფერიული მხედველობა.

პიროვნული და სოციალური ჯანმრთელობა სხვა ბავშვებთან ფიზიკური თამაშების გზით

- მოძრაობა და ფიზიკური კომპეტენციები ბავშვებს ეხმარება მეგობრებთან ერთად სახალისო თამაშებში ჩაერთონ.
- ეს უნარები ბავშვებს ეხმარება გააკეთონ ის, რასაც სხვები აკეთებენ, განსაკუთრებით კი ის, რაც სოციალურად ღირებულია თანატოლებში.
- მოძრაობა ეხმარება ბავშვებს ისწავლონ სხვებთან თამაში; კვლევების თანახმად, უბრალოდ ერთად სირბილიც კი დამეგობრებას უწყობს ხელს.
- ბავშვის უმრავლესობა ურთიერთობებს ხმაურიანი ფიზიკური ინტერაქციის გზით აყალიბებს, მაგალითად ბიჭების საყვარელი თამაშია ერთმანეთზე დადევნება, ჭიდაობა და სუპერ გმირების როლების მორგება. ამ თამაშების მეშვეობით, ისინი საკუთარი ემოციების მართვას, დადგენილი ზღვარის შეგრძნებას სწავლობენ, ასევე სოციალურ ცნობიერებას და უნარებს ავითარებენ.

სწავლა მოქმედებითა და მოძრაობით

- ადრეული ასაკის ბავშვებს მოძრაობა და მოქმედება სწავლისთვის სჭირდებათ - სწავლა დამოკიდებულია მოქმედებასა და სენსორულ გამოცდილებებზე.
- კონკრეტული გამოცდილებები, რომლებიც მთელი სხეულის გამოყენებით იქმნება, უფრო სრულყოფილ მნიშვნელობებს ქმნის და მეხსიერებაშიც ხანგრძლივად აღიბეჭდება.
- მოქმედება ტვინს ააქტიურებს, აძლიერებს ყურადღებას და ამზადებს მას ახალი ცოდნის მისაღებად, ამასთან ზრდის ტვინის ყველა ნაწილის ჩართულობას.
- ტვინისა და სხეულის განვითარება დაკავშირებულია ერთმანეთთან და დანაწევრებას არ ექვემდებარება - ჩვენი სხეულისა და ტვინის სისტემა ერთიანია!
- ფიზიკური მოძრაობა ტვინის განვითარებას უწყობს ხელს ქიმიური ელემენტების (BDNF) წარმოქმნის გზით, რაც ხელს უწყობს ნერვული ქსელის ურთიერთდაკავშირებას - ეს ეხმარება ახალი ცოდნის მეხსიერებაში ჩაბეჭდვას.
- მოძრაობა ჩვენი პირველი „ენაა“ და უმნიშვნელოვანესია როგორც ჩვენი აზროვნებისთვის, ასევე კომუნიკაციისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე. საკუთარი დამოკიდებულებებისა და გრძნობების გამოსახატავად ვიყენებთ ჟესტებს, სახის გამომეტყველებას და სხეულის მდგომარეობას/პოზებს.
- მოძრაობების მეშვეობით ახალი ცოდნის გამოხატვა აღრმავებს სწავლის პროცესს.

რა სახის ფიზიკური თამაშები სჭირდებათ ადრეული ასაკის ბავშვებს ღია სივრცეში?

ღია სივრცეში ბავშვების მოქმედებების დიდ ნაწილს მოძრაობა და ფიზიკური აქტივობა წარმოადგენს, რადგანაც ბავშვები ცოდნას ყველაზე ეფექტურად სწორედ მოძრაობით იძენენ. მნიშვნელოვანია ბავშვების ამ მისწრაფების გათვალისწინება, რათა მაქსიმალურად გავზარდოთ მათი აქტივობა და მოძრაობა. ეს ყველაზე მეტად ეხმარება მათ ფიზიკურ განვითარებაში. თუკი გვეცოდინება რომელი ფიზიკური გამოცდილებები სჭირდებათ ბავშვებს ყველაზე მეტად, შეგვეძლება სწორედ ასეთი აქტივობე-

ბის ჩართვა გარე სივრცის მთელ ტერიტორიაზე, ყოველდღიურ თამაშში, ასევე სპეციფიკური ფიზიკური აქტივობების დაგეგმვა ან ფიზიკური თამაშებისთვის სპეციალური ზონის გამოყოფა. ბავშვებს, ცხადია, ყოველდღიურად ძალიან ბევრი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ თამაშისთვის, გარე სივრცე კი ამისთვის იდეალურ გარემოს წარმოადგენს. ბავშვის განვითარების ამ ასპექტთან და ამ მიზნით გარე სივრცის გამოყენებასთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ ჯენ უაითის წიგნი „*Every Child a Mover: A practical Guide to Providing Young Children with the Physical Opportunities They Need"* (Early Education, 2015).

- იმისთვის, რომ ბავშვს წონასწორობა განუვითარდეს და გრავიტაციას შეეგუოს, საჭიროა მას სივრცის სამ განზომილებაში მოძრაობისა და გადაადგილების უამრავი შესაძლებლობა მივცეთ. ბავშვებს უნდა ჰქონდეთ ტრიალის, ბზრიალის, გორვის, რწევის, რხევის, გრეხის, გადახრის, გადაზნექის, ხტომის, ვარდნის, სრიალის, თავდაყირა მდგომარეობაში ყოფნისა და სწრაფი მოძრაობის უამრავი შესაძლებლობა. ზრდასრულ ადამიანებს, ზოგადად, არ სიამოვნებთ ტრიალისა და რხევების შეგრძნებები, რადგანაც მათი სისტემა კარგადაა განვითრებული. ბავშვები კი პირიქით, ეძებენ ამ შეგრძნებების განცდის შესაძლებლობებს. ეს მნიშვნელოვანია მათი სენსორული სისტემის განვითარებისთვის, ისინი პოულობენ კიდეც ამ შესაძლებლობებს. ეს განცდები მოძრაობის შეგრძნებებს წარმოქმნის, რაც ხელს უწყობს ყურსა და ტვინში ვესტიბულარული აპარატის დაკავშირებას. ეს რთული სენსორული სისტემა მართავს მოძრაობას გრავიტაციის პირობებში და საშუალებას გვაძლევს სხეულის საჭირო პოზიციონირებით ავტომატურად მოვახდინოთ რეაგირება წონასწორობისა და კონტროლის შესანარჩუნებლად. ის გვაძლევს ბალანსისა და კონტროლის შეგრძნებას. ვესტიბულარული აპარატი თავდაჯერებულობისა და ფიზიკური კოორდინაციის საფუძველია, ამიტომ როცა იგი კარგად ფუნქციონირებს, სხეულის ფლობა და კონტროლი შეგვიძლია. თავის მხრივ, წონასწორობა, კოორდინაცია და კონტროლი საფუძვლად უდევს იმდენად ბევრ ფუნქციას, რომ ისინი უაღრესად მნიშვნელოვანი არიან ადრეული ასაკის ბავშვების განვითარებისთვის.

- სხეულის განვითარებისათვის და საკუთარი შესაძლებლობების შეცნობისათვის ბავშვებს მიწოლის, ქაჩვის, მიწვდომის, გაწელვის, ჩამოკიდების, სროლის, აწევისა და გადაზიდვის, კოტრიალისა და რამეში გახვევის ბევრი საშუალება სჭირდებათ. ეს გამოცდილებები ნერვულ შეგრძნებებს ავითარებენ კუნთებში, სახსრებში, იოგებსა და მყესებში და მათ ტვინთან ისეთნაირად აკავშირებენ, რომ ჩვენ ვგრძნობთ სხეულის თითოეული ნაწილის მდებარეობასა და მოძრაობას. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სენსორული სისტემა, რომელიც სხვაგვარად თვითშეგრძნებად მოიხსენიება, გვეხმარება საკუთარი თავის შიგნიდან შეგრძნებაში, რათა შეუფერხებლად მოვახერხოთ ფუნქციონირება ყოველდღიურად, ათასობით სხვადასხვა მარტივი მოძრაობის შესრულებისას. უფრო მეტიც, იგი სხეულს და მასში ჩვენს არსებობას გვაგრძნობინებს (ის, რაც თავისთავად გაგვაჩნია, თუმცა რეალურად გამოცდილებაზე

სურათი 4.2. ბზრიალი და თავდაყირა დგომა ძალიან უყვართ ბავშვებს და ორივე მნიშვნელოვანია ნევროლოგიური თვალსაზრისით

დაფუძნებული განვითარების პროცესია). სწორედ ამ სენსორული სისტემის მეშვეობით შევიგრძნობთ ფიზიკურ არსებობას და მას უამრავი შესაბამისი ფიზიკური აქტივობა სჭირდება. კარგად განვითარებული და თვითშეგრძნების მქონე ბავშვებს საკუთარი „მე"-ს მყარი აღქმა აქვთ, ისინი კარგად უმკვლავდებიან ყოველდღიურ საქმიანობას და შესაბამისად, თავდაჯერებულად გრძნობენ თავს სამყაროში.

- სტერეოსკოპული მხედველობისა და სივრცის აღქმის ჩამოსაყალიბებლად - რათა ბავშვებმა შეძლონ თავისუფლად მოძრაობა, დისტანციის, მიმართულების, მოძრაობის კონტროლი და აღქმა (თუ რამდენად მოშორებითაა საგნები); ბავშვებს უამრავი შესაძლებლობა სჭირდებათ, რომ თავიანთი სხეული მოარგონ სივრცეს, მოახერხონ მანევრირება საგნების ირგვლივ და ამ საგნებს შორის, საფეხურებზე ასვლა-ჩამოსვლის შესაძლებლობები (რათა მიიღონ გადაწყვეტილება თუ სად დაადგან ფეხი). ასეთი გამოცდილება სხეულის შესახებ ცოდნას (სხეულის შესახებ ცნობიერება და მოძრაობის/ბალანსის შინაგანი შეგრძნებები) აკავშირებს მხედველობით სენსორულ სისტემასთან და უზრუნველყოფს სხეულისა და თვალის კოორდინაციას.
- მოძრაობა ააქტიურებს სხეულის ორივე მხარეს, აკავშირებს ტვინის ორივე ნახევარსფეროს მათ შორის ნერვული ხიდების წარმოქმნით. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია სხეულის ფუნქციონირებისთვის (მათგან ერთ-ერთია ფურცელზე დაწერილი ტექსტის შეუფერხებლად წაკითხვა). სინამდვილეში, თითოეული მოქმედება და აზროვნება ტვინის ორივე ნახევარსფეროს ააქტიურებს, ამიტომ მნიშვნელოვანია ინფორმაციის სხარტად და წარმატებით ურთიერთგაცვლა მათ შორის. ბავშვებს ძალიან ბევრი შესაძლებლობა და წახალისება სჭირდებათ რათა მოახერხონ ზურგზე დაწოლა, გვერდზე და მუცელზე გადმობრუნება, ხოხვა, ცოცვა, სიმაღლეზე ასვლა, სირბილი, ხტომა, პედლების დატრიალება, საფეხურებზე ასვლა, ქვებზე გადასვლა/გადაბიჯება, დაღმართზე ჩამოსვლა და სხვა ნებისმიერი ჯვარედინი მოქმედების შესრულება, რასაც ისინი დაბადებიდან სულ რამდენიმე თვეში იწყებენ და აგრძელებენ სკოლის დასრულებამდე.

- ბავშვებს მივცეთ უსასრულო შესაძლებლობები: კუნთის ტონუსის და ძვლის სიმკვრივის, მსხვილი მოტორიკის განვითარების, ზედა მკვლავის სიძლიერის, კონტროლისა და მოძრაობის, ნატიფი მანიპულაციური სიძლიერისა და მოქნილობის, ამა თუ იმ მოქმედების შესასრულებლად. საჭირო ძალის გათვლის უნარის განვითარების, კიდურების, ხელებისა და ფეხების გამოყენების, აწევისა და გადაზიდვის, მოქაჩვის, ხტომის, ჩაჭიდებისა და დაკავების, მანიპულირებისა და მანევრირების, სროლისა და დაჭერისთვის. ვინაიდან ძვლები წინააღმდეგობების, დარტყმის და შეჯახებების შედეგად მკვრივდება, რაც გარე სივრცეში ენერგიული თამაშების დროს ხდება, ასეთი თამაშები ბავშვის ჯანსაღი განვითარების ნაწილად უნდა განვიხილოთ.
- სხვადასხვა პოზიციებში ადვილად მოძრაობის უნარი, ერთმანეთზე მიყოლებით მოძრაობების შესრულება (მოქნილობა და სიმკვირცხლე), შესაბამისი სისწრაფით მოძრაობა და მოძრაობის დაწყებისა და შეწყვეტის დროის განსაზღვრა (დროის შერჩევა), ასევე ზუსტი კორექტირების შეტანა მიზნის მისაღწევად ან საგნის ასაღებად - ეს ყველაფერი

სურათი 4.3. ბავშვებს კიდურების, ხელებისა და ფეხების გამოყენების უსასრულო შესაძლებლობები სჭირდებათ

წარმოადგენს ფიზიკურ შესაძლებლობებს, რომლებიც დამოკიდებულია მთლიანი სხეულის მოძრაობაზე ადრეული ასაკის პერიოდის განმავლობაში. ეს ფიზიკური აქტივობები ავითარებენ სხეულისა და სივრცის აღქმის უნარს, ბალანსსა და კოორდინაციას, აერთიანებენ შინაგან შეგრძნებებს მხედველობასთან, შეხებასთან და სმენასთან, ასევე აკავშირებენ ტვინის სხვადასხვა ზონებს, რომლებიც პასუხისმგებელია მოტორული აქტივობების დაგეგმარებაზე, ინიცირებასა და ზუსტ კორექციაზე (ეს ასევე ცნობილია პრაქსის სახელწოდებით. დისპრაქსია გულისხმობს მოტორული დაგეგმარების სირთულეებს). იმის გათვალისწინებით თუ რამდენად კომპლექსური ფიზიკური განვითარება სჭირდებათ ბავშვებს ადრეული ასაკის წლებში, ლოგიკურია, რომ ისინი ისწრაფვიან მოძრაობისა და აქტიურობისაკენ ყველაფერში, რასაც აკეთებენ. კარგია, რომ ევოლუციამ აქტიური თამაშებისადმი სწრაფვა წარმოშვა და ეს ყველაფერი მარტივად განხორციელებადია.

- განვითარებისათვის ბავშვს ასევე სჭირდება მოძრაობა ისეთ გარემოში, რომელიც მდიდარია სხვადასხვა ზედაპირებით. რაც უფრო მეტ დროს ატარებენ ადრეული ასაკის ბავშვები დახურულ სივრცეებში, მით უფრო იშვიათად აქვთ უსწორმასწორო, არაერთგვაროვან, გამოუცნობ ან კიდევ არამყარ ზედაპირზე მოძრაობის შესაძლებლობა. დაბალი და მაღალი ბალახი, ოღრო-ჩოღრო ფილაქანი, ტყის უსწორმასწორო ზედაპირი, ხის გამოფიტული ქერქი, რბილი ქვიშა და არამყარი ხრეში - ეს ყველაფერი გვაძლევს ისეთ ზედაპირებს, რომლებიც მოითხოვს ყურადღებას და ყოველწამიერ რეაგირებას ნაბიჯის გადასადგმელად, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბავშვი გადაადგილდება ერთი სახის ზედაპირიდან მეორეზე.
- ბავშვის სხეული დიდ ინფორმაციას იღებს ტერფებიდან და შესაბამისად რეაგირებს შემდგომი წარმატებული მოძრაობისთვის, ამიტომ დასაფიქრებელია თუ რამდენად საჭიროებს ბავშვი გარეთ ფეხსაცმლის ჩაცმას. ხშირად ფეხსაცმელი ბავშვებს იმ საოცარი შეგრძნებების მიღებაში უშლის ხელს, რომლებსაც ისინი მიწიდან ღებულობენ, ამასთან ფეხსაცმელი ხელს უშლის ფეხის გულების, თაღებისა და

თითების გადაადგილებისათვის საჭირო, სწორ მუშაობას. შესაძლო საფრთხეებზე გარე სივრცის გულდასმით შემოწმების შემდეგ, შესაძლებელი იქნება შესაბამისი ზონისა და დროის გამოყოფა იმისთვის, რომ ბავშვებმა შიშველი ფეხებით შეიგრძნონ ბალახი, ქვიშა და ტალახი, განიცადონ სამყარო სხეულის ამ უაღრესად მგრძნობიარე, საოცრად ძლიერი ნაწილით.

- ფიზიკური ჯანმრთელობისთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია დასვენება. ბავშვებმა უნდა იცოდნენ თუ როგორ დაისვენონ, როგორ ისიამოვნონ სიმშვიდით და სიწყნარით; ბავშვებს უნდა შესწევდეთ აქტივობისა და დასვენების ბუნებრივი ციკლების აღქმის უნარი, რაც ესოდენ სჭირდებათ ნორჩ სხეულებს. ადრეული განათლების დაწესებულებებში და სკოლებში მყოფი ბავშვებისთვის ეს ციკლი დღის განმავლობაში რამდენჯერმე შეიძლება განმეორდეს, ამიტომ კომფორტული მოსასვენებელი სივრცეების მოწყობა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ენერგიული თამაშების ზონების გამოყოფა. „ფუღურეები" იდეალური ადგილია დასაწოლად და ცაზე დასაკვირვებლად ან დასაჯდომად და სასაუბროდ. თუმცა გახსოვდეთ, რომ მშვიდად ჯდომა უაღრესად რთული „აქტივობაა" ადრეული ასაკის ბავშვის ბალანსის და კონტროლის გათვალისწინებით და ბავშვების უმეტესობას არ შეუძლია (და არც უნდა შეეძლოთ) ამის ხანგრძლივად კეთება.

სხვადასხვა სახის მოძრაობისა და ფიზიკური გამოცდილების შესაძლებლობის უზრუნველყოფა

მოძრაობისა და ფიზიკური თამაშების ელემენტები:

- სივრცე შეუფერხებელი სირბილისთვის
- სხვადასხვა სახის ზედაპირი: რბილი, მყარი, ფხვიერი, წებოვანი, დაბალი ხახუნის მქონე, არათანაბარი ან ოღროჩოღრო
- სხვადასხვა დონის ზედაპირი: მაღალი, დაბალი და გასაძვრომი
- დახრილობები: ნაკლებად და მკვეთრად დაქანებული, საფეხურები, სასრიალოები და კიბეები
- ურთიერთდაკავშირებული ბილიკები ჩაშენებული მრავალფეროვანი წინააღმდეგობებით

- ამაღლებული ზედაპირები ბალანსირებისა და გადმოხტომისთვის (იდეალურია სხვადასხვა სიმაღლეებით)
- საფეხურები: სხვადასხვა სიმაღლისა და დაშორებებით
- საცოცი, რთული ზედაპირები ზედ ასაცოცებლად, ქვემოთ ჩამოსაცოცებლად და შიგნით გასაძვრომად
- ვერტიკალური ბოძები და ჰორიზონტალური ძელები, განსაკუთრებით ტურნიკები
- ადგილები და ინსტრუმენტები სათხრელად და შესავსებად: ქვიშა, ნიადაგი, კენჭები
- ვერტიკალური ზედაპირები სამიზნეებისთვის, სატყორცნი და გადასაკვეთი თამაშებისთვის
- ფართო ვერტიკალური და ჰორიზონტალური ზედაპირები „ფართომასშტაბიანი" მხატვრობის, ცარცით მოხატვისა და ქსოვისთვის
- მრავალფეროვანი ბორბლიანი მანქანები, მათ შორის ურიკები და ეტლები
- სხვადასხვა ასაწევი, გადასაზიდი (ზოგიერთი მძიმე და მოუხერხებელი) საგანი, სხვადასხვა კონტეინერები და ამ საგნების გადასატანი საშუალებები;
- გადაადგილებისა და მოდიფიცირებისთვის ბევრი შესაძლებლობა
- მულტისენსორული რესურსები, რომლებიც ასტიმულირებენ გრძნობებს და ხელს უწყობენ სენსორულ ინტეგრაციას
- ექსკურსიები დაწესებულების გარეთ, ძალისა და გამძლეობის განვითარებისთვის (იხ. თავი 7 „გამოცდილება გარეთ, ბაღის მიღმა")
- კომფორტი და აქტივობებისგან დასასვენებელი სივრცეები

მოძრაობისა და ფიზიკური აქტივობის წახალისება

გარე სივრცე მოძრაობისა და ფიზიკური განვითარების განსაკუთრებით ბევრ შესაძლებლობას მაშინ გვაძლევს, როდესაც მას განსხვავებული გამოცდილებების უზრუნველყოფის ფართო სპექტრი გააჩნია. გარე სივრცის ზოგიერი ელემენტი მუდმივია, ზოგიერთი კი - დროებითი და მოძრავი - შეგვიძლია ჩვენს ხელთ არსებული რესურსებით შევქმნათ.

- *მყარი, სწორი და შედარებით ბრტყელი* ზედაპირები გვაძლევს სირბილის, ველოსიპედების, სხვადასხვა ბორბლიანი ტრანსპორტისა და სათამაშოების გამოყენების, ასევე ცარცით მოხატვის, ბილიკების ან უბრალო ზოლების დახაზვის საშუალებას, რაც ბალანსირების (წონასწორობის) შენარჩუნების სწავლებაში დაგვეხმარება. მყარზედაპირიანი დიდი ზონები სასარგებლოა, თუმცა სცადეთ, რომ ასეთი ზედაპირები არ ჭარბობდეს თქვენს გარე სივრცეში; ბილიკები კარგი საშუალებაა მყარი და რბილი ზედაპირების გასაერთიანებლად.
- *რბილი, უსწორმასწორო ზედაპირები,* როგორიცაა ბალახით, ქვიშით და ხის ქერქით დაფარული პატარა მონაკვეთები, ან თუნდაც ტალახიანი ადგილები, უამრავი აქტივობის განხორციელების საშუალებას გვაძლევს - უსწორმასწორო ან სრიალა ზედაპირზე გადაადგილების სწავლა, „მიზანმიმართული დაცემა" და გადაბრუნება, თავბრუსხვევამდე ტრიალი - არანაკლებ მნიშვნელოვანია.

სურათი 4.4. პატარა, მაგრამ წარმოსახვით სივრცეში, ბევრი ფიზიკური გამოწვევის შეთავაზებაა შესაძლებელი

- *ღია უბნები და ბილიკები* ბავშვებს ენერგიული ფიზიკური აქტივობის საშუალებას აძლევს შეუფერხებლად, სხვების შეწუხების ან ერთმანეთზე შეჯახების გარეშე. ბიჭებს განსაკუთრებით უყვართ ერთად სირბილი ან ძალიან ენერგიულ წარმოსახვით თამაშებში ჩაბმა, მაგალითად, „პოლიციელობანა" და „ქურდობანა", ან კიდევ სუპერ გმირების განსახიერება. ღია სივრცეები ბავშვების ყველა სახის მოძრაობებს ახალისებს: იპოვეთ გოგონების აქტივობებში ჩართვის გზებიც, მაგალითად, ცეკვა ენერგიულ მუსიკაზე. ეცადეთ, რომ მყარი კონსტრუქციები არ ზღუდავდეს სირბილის სტიმულსა და შესაძლებლობას.
- *პატარა სივრცეები,* როგორიცაა გვირაბები და ბუჩქებში სამალავი ადგილები, ახალისებენ ბავშვების ცოცვას, შიგნით დამალვას და იმის შეგრძნებას, თუ როგორ ერგება მათი სხეული გარემოს. შეეცადეთ გარეთ არსებული სივრცეები, მაგალითად, ფანჩატური ან სამეთვალყურეო ხიდი - გამოიყენოთ მცირე ზომის სივრცეების მოსაწყობად, ასევე შეგიძლიათ ხელსაწყოების - კასრებისა და მუყაოს ყუთების გამოყენებაც.
- *დაქანებებისა და სხვადასხვა დონეების* მოწყობა საფეხურებით, დახრილობებით, ღრმულებითა და ბორცვებით - შესანიშნავია ბავშვების ასვლა-ჩამოსვლის და სიმაღლეზე ყოფნის მკაფიო ინტერესის დასაკმაყოფილებლად. საფეხურებსა და დახრილ ზედაპირებზე მოძრაობის სწავლა ძალიან მნიშვნელოვანია ადრეული ასაკის ბავშვებისთვის, რომლებიც ძირითადად ხალიჩებზე, ქვაფენილებსა და სავაჭრო ცენტრების ზედაპირებზე გადაადგილდებიან, ამიტომ, რაც შეიძლება მაქსიმალურად გამოიყენეთ შესაძლებლობები და შექმენით გორაკები თქვენს გარე სივცეში. თუნდაც მცირე ზომის ბალახიანი ბორცვი ერთი მხრიდან რამდენიმე საფეხურით, მალევე ძალიან პოპულარული გახდება ბავშვებისათვის წარმოსახვითი და ფიზიკური თამაშებისთვის. ლამაზი ტალღოვანი ზედაპირის შესაქმნელად ამოთხარეთ მიწა ბალახიან ზედაპირზე და ამ მასალითვე გააკეთეთ გორაკები. ბალახიან ზედაპირებზე დაშვება შესანიშნავი გრძნობაა, ეს თქვენც გემახსოვრებათ. თუკი გარე სივრცეში ჩამოსასრიალებელი ადგილი გაქვთ,

იგი მრავალნაირად შეგიძლიათ გამოიყენოთ ასასვლელ-ჩამოსასვლელების მოწყობით. ფიზიკური აქტივობებისა და სწავლების მეთოდების კონტრასტული პარალელები გაზრდის სწავლების ღირებულებას. ასევე, სთხოვეთ ბავშვებს გამოიგონონ საკუთარი მარშრუტები.

- ხვეული *ბილიკები, გვირაბები, თაღები* და *ხიდები* იზიდავს ბავშვებს და ახალისებს მათ გადაადგილებას ერთი ადგილიდან მეორეში, ამასთან ასწავლის მოხვევას, ტრანსპორტის მობრუნებას ან მანევრირებას ვიწრო გასასვლელებში. ფიზიკური დატვირთვის გასაზრდელად, შეგიძლიათ ბილიკებზე კენჭები ან სხვა საგნები დაყაროთ, მოაწყოთ რბილი ან ციცაბო დაქანებები, საგზაო მოძრაობის შემაფერხებელი ბორცვები. დროებითი ბილიკები შეგიძლიათ ცარცით მონიშნოთ მყარ ზედაპირზე ან გამოიყენოთ თოკები, კონუსები და სხვა პატარა სანიშნე ობიექტები. სცადეთ ბამბუკის ჯოხების რბილ ბალახში ან ქვიშიან ზონებში ჩარჭობა შესასვლელებისა და გამოსასვლელების მოსაწყობად.
- *საფეხურებად განლაგებული ქვები* ახალისებს ბავშვებს მოძრაობის სხვადასხვა გზების საპოვნელად, მაგალითად, ხტომა, ხტუნვა, დიდი ნაბიჯების გადადგმა ან მათ შორის შესვლა-გამოსვლა. შეგიძლიათ ქვები სხვადასხვა დაშორებითა და სხვადასხვა სიმაღლეზე დაალაგოთ, ასევე პერიოდულად შეუცვალოთ განლაგება, რათა ბავშვებს ახალი გამოწვევები შეუქმნათ, რამდენიმე ქვა არამყარად დამაგრებული დატოვეთ. გარკვეული რესურსებით ბავშვები საფეხურისებრი სირთულეების შექმნას თავადაც შეძლებენ. დარწმუნდით, რომ ბავშვებისთვის შესაფერისი რესურსები ხელმისაწვდომია და ბავშვებმა იციან ამ რესურსების უსაფრთხო გამოყენება.
- *დაბალი კედლები* ფართო ზედაპირით ძალიან მიმზიდველია იმ ბავშვებისთვის, რომლებიც ბალანსისა და კოორდინაციის განვითარებას ცდილობენ. გადმოხტომა ბავშვებს გადახრისა და ვარდნის გამოცდილებას აძლევს, ასევე კონტროლის უნარს, რომელიც საჭიროა მიწაზე დაშვებისას. კედლები, რომელთა სიმაღლეც თანდათან მატულობს, ბავშვებს კიდევ უფრო მეტ სირთულეს და გამოწვევას სთავაზობს. მარგარეტ მაკმილნი, ადრეული განათლების ინოვატორი,

განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მიიჩნევდა გადმოსახტომი ადგილების მოწყობას საბავშვო ბაღში. მყარი კედლებისა და გადმოსახტომი ადგილების გარდა, რომლებიც ეფექტურად გამოიყენება გარე სივრცეში, ასევე შესაძლებელია დროებითი გადმოსახტომების მოწყობაც ისეთი რესურსებით, როგორიცაა ყუთები და საბურავები - დაეხმარეთ ბავშვებს ისწავლონ ამ რესურსების უსაფრთხოდ გამოყენება.

- *საცოცი კედლები,* რომლებზეც სახელურები ბავშვებისათვის შესაფერის სიმაღლეზეა განლაგებული კედლის მთელ სიგრძეზე გადასაადგილებლად (ფეხის დასადგამები უნდა განლაგდეს მიწიდან არაუმაღლეს 20-30 სმ-ისა), წარმოუდგენელ ფიზიკურ შესაძლებლობებს უქმნიან ბავშვებს. ამას დიდი წვლილი შეაქვს ბალანსის განვითარებაში, ასევე ზურგის, კისრის, კიდურების, ხელების და სხეულის ორივე მხარის კოორდინაციის გაძლიერებაში. ბავშვები სწავლობენ საკუთარი შესაძლებლობების შეფასებას და ყოველ ჯერზე ამ უნარების გაუმჯობესებას: სახელურები შეგიძლიათ თქვენი ბავშვების ფიზიკური მონაცემების შესაბამისად განალაგოთ. ეს სპეციალისტმა უნდა გააკეთოს, თუმცა, სათამაშო მოედნების მოწყობილობების მწარმოებელ კომპანიებსაც შეუძლიათ მათი სტანდარტის შესაბამისად მოწოდება და აწყობა.
- *კედლები და ღობეები* ბევრი სხვა დანიშნულებითაც შეგიძლიათ გამოიყენოთ ფიზიკურ თამაშებში. სცადეთ ეს სივრცეები ხელმისაწვდომი იყოს. კედლებზე და ღობეებზე ცარცით ან სახატავი საღებავით აღნიშვნების გაკეთება შეიძლება - ეს თქვენი გარემოს ყოველდღიურად შეცვლაში დაგეხმარებათ, რასაც მუდმივი, უცვლელი აღნიშვნებით ვერ მოახერხებთ. ამიტომ, კარგად დაფიქრდით პერმანენტული მარკირების ან საღებავების შერჩევისას. კედლებსა და მიწაზე ცარცით, წყლის ან სხვა საღებავებით ხატვა ეფექტური, ენერგიული და მთელი სხეულის ჩართულობით შესასრულებელი აქტივობაა, სადაც ბავშვები ორივე ხელით, დიდ ფართობზე განფენილად და გვერდიგვერდ - თანამშრომლურად მუშაობენ. თუკი პირდაპირ კედლების მოხატვა არ არის მიზანშეწონილი, შეგიძლიათ დაამაგროთ დიდი ზომის ხის ფიცრები ან პლასტმასის ფურცლები,

საშხაპე ფარდაც კი გამოგადგებათ! ღობეებზე თოკების, ლენტების და მბზინავი ქსოვილების დამაგრება სხეულის ზედა ნაწილის გავარჯიშების შესანიშნავი საშუალებაა. კედელზე მიმაგრებული კაუჭები სამიზნე კალათების ჩამოსაკიდად გამოგადგებათ; შეგიძლიათ დიდი ზომის პლასტმასის კალათით დაიწყოთ და ბავშვების უნარების განვითარებასთან ერთად შეამციროთ კალათების ზომები.

- *ხოხვა და ცოცვა* კარგად ავითარებს სხეულის ორივე მხარის კოორდინაციას. მარცხენა და მარჯვენა მხარეების მონაცვლეობით გამოყენება ნორჩი ტვინის ორივე ნახევარსფეროს შორის კავშირს აძლიერებს. ხელებითა და ფეხებით მიწვდომის, გაწელვის, მიწოლისა და მოქაჩვის აქტივობები კი ეხმარება სხეულის შეგრძნების (პროპრიოცეფციის) განვითარებას. ამ ფიზიკური აქტივობების განსახორციელებლად საჭირო კომპონენტები ნაირსახოვანია და შესაძლებელია მათი გადაადგილება და მოდიფიცირება მოძრაობის მოდელების შესაცვლელად. დიდ ლოდებს ან ხის მორებს ბავშვები საცოცად იყენებენ - ისინი საოცარ და უჩვეულო შესაძლებლობებს გვთავაზობენ, რაც საცოც კონსტრუქციებს ხშირად აკლიათ. უძრავი კონსტრუქციების შერჩევისას ისეთი აირჩიეთ, რომელიც შიგნით შეძვრომის, გაძვრომის და ცოცვის საშუალებას იძლევა და აქვს დამატებითი ნაწილები ძირითადი სტრუქტურის მოდიფიკაციისთვის. ზოგიერთ დაწესებულებას ისეთი საცოცი კონსტრუქციები აქვს, რომლებიც სხვადასხვა ზომის საბურავებითაა გაკეთებული - უზარმაზარი ტრაქტორის საბურავებით დაწყებული, პატარა მანქანის საბურავებით დამთავრებული, ასევე გამოყენებულია მოტოციკლეტების ან კარტინგის მანქანების საბურავები. ბადეები, გვირაბები, საბურავები, კასრები და მუყაოს ყუთები - ასევე წაახალისებენ ცოცვას.
- ბავშვებს შეუძლიათ გაჭიმვა, ხელებით ჩამოკიდება ან თავდაყირა ჩამოკიდება *ბოძებზე და ჰორიზონტალურ* ძელებზე. ეს ბავშვებს სხეულის შეგრძნების უნარის განვითარებაში უწყობს ხელს. შეარჩიეთ ისეთი კონსტრუქცია, რომელიც ბავშვების მთელ წონაზეა გათვლილი და მათ ხელებითა და ტორსით გაჭიმვას, ასევე ჩაჭიდებისა და

ჩაბღაუჭების უნარის განვითარებას შეუწყობს ხელს. ამ თვალსაზრისით კარგია „მაიმუნის ძელები", მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებმა შეიძლება სულ ცოტა ხანი გაძლონ ჩამოკიდებულ მდგომარეობაში. ასევე ძალიან კარგია ხის დაბალი, ჰორიზონტალური ტოტები ამ აქტივობებისთვის, თუ ბავშვებს მიწიდან ფეხების მოწყვეტის საშუალება ექნებათ, თუმცა დარწმუნდით, რომ ხის ტოტი მყარია. ვერტიკალური ხის ბოძი, ზედ ჩამოკიდებული გრძელი ლენტებით შეგიძლიათ „მაისის ხედ"[1] გადააქციოთ და მის ირგვლივ ცეკვა-თამაშები გამართოთ.

- *ველოსიპედები, სამბორბლიანი ველოსიპედები, ურიკები და სხვა ბორბლიანი სატრანსპორტო საშუალებები* არაჩვეულებრივ რესურსს წარმოადგენენ სწორედ იმ მოძრაობებისა და აქტივობების წასახალისებლად, რომლებიც ბავშვის სხეულსა და ტვინს ავითარებს; არ არის გასაკვირი, რომ ბავშვებს ასე ძალიან უყვართ ისინი. კუნთებში, სახსრებსა და მყესებში პროპრიორეცეპტორული შეგრძნების გაასაქტიურებლად ბავშვებს უწევთ ხელებით, ფეხებით, ზურგითა და მხრებით მიწოლა ან მოქაჩვა. ამ დროს ისინი მონაცვლეობით იყენებენ სხეულის ორივე მხარეს, რითაც ტვინის ორივე ნახევარსფეროს აკავშირებენ; ბავშვები ასევე ასრულებენ მოძრაობებს, რომლებიც ასტიმულირებენ ვესტიბულარულ აპარატს წონასწორობის შესანარჩუნებლად მოხვევის, სწრაფი მოძრაობის, აჩქარებისა და გაჩერების გზით. ძალის, მოქნილობის, ხელისა და თვალის კოორდინაციის განვითარება და დროის მართვის უნარის ჩამოყალიბება - ბორბლიანი სათამაშო რესურსების უპირატესობებს წარმოადგენენ. უპედლო ველოსიპედები იდეალურია ადრეული განათლების დაწესებულებებისთვის, რადგანაც ბავშვები სწრაფად სწავლობენ სხეულის ბალანსის შენარჩუნებას (და ასევე გვაჩვენებენ, რომ სტაბილიზატორები არ არის საჭირო!). სატრანსპორტო რესურსების სწორად შერჩევა არსებითად მნიშვნელოვანია, რათა ბევრი სხვადასხვა

1 მთარგმნელი შენიშნვა: მაისის ხე, დეკორით გაფორმებული ხე ან მაღალი ბოძი, რომელსაც ტრადიციულად ყოველწლიურად პირველი მაისისთვის ამზადებდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში; ამ ხის ირგვლივ ცეკვა-თამაში და შეჯიბრებები იმართებოდა. წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Maypole

კარგი გამოწვევა შესთავაზოთ ბავშვებს, მაგალითად, ველოსიპედების გამოყენებით (ტვირთის გადატანა ან მგზავრების გადაყვანა) და ველოსიპედით თამაში ჩართოთ შესაფერის, კარგად დაგეგმილ და გამართულ როლურ თამაშებში. მუდმივი საგზაო მარკირებები მართალია მოსახერხებელია უფროსებისთვის, თუმცა ბავშვებისთვის ნაკლებად მრავალფეროვანი და მოქნილია, ამიტომ იფიქრეთ საკუთარი მარკირებების გაკეთებაზე, რომლებიც ინტერესებისა და თემატიკის შესაფერისი იქნება. რადგან ველოსიპედებით თამაში განმეორებადი და თუნდაც ქაოტური აქტივობა შეიძლება იყოს, კარგი დაგეგმარებით იგი დაწესებულების ყველაზე შემოქმედებით და სოციალურ ზონად შეიძლება გადაიქცეს, რომელიც ფიზიკური განვითარების მოთხოვნების შესაბამისი იქნება.

- *მიწაში სათამაშო სივრცეები, რესურსები* და გრძელტარიანი ხელსაწყოები, მაგალითად, ქვიშიანი, ნიადაგიანი ან ხრეშიანი ზონები, ფიზიკური ვარჯიშის საოცარი შესაძლებლობებს

4.5. ველოსიპედები ძალიან სასარგებლოა ბავშვებისთვის, როგორც სოციალური, ასევე ფიზიკური განვითარების თვალსაზრისით

სთავაზობს ბავშვებს; განსაკუთრებით კარგია თუკი ამ სივრცეებს საკმარისი სიღრმე ექნებათ, რათა ბავშვებმა შეძლონ მიწის ღრმად ამოთხრა და დატვირთული ბარის იქვე მდგომ კონტეინერში გადაცლა. ადრეული ასაკის ბავშვებს ძალიან უყვართ ღრმა ხვრელებისა და არხების გაყვანა, სავსე ურიკებითა და სათლებით სირბილი და მიწის უკან დაბრუნება. ასეთი ბუნებრივი მასალებით თამაში მსხვილი და ნატიფი მოტორიკის განვითარების საუკეთესო საშუალებაა. ნაკადულის შესაქმნელად ცარიელი თხრილების წყლით სავსე მძიმე სათლებით შევსება, ახანგრძლივებს ბავშვების ინტელექტუალური, სოციალური, ფიზიკური და ემოციური აქტივობების შედეგად მიღებული სიამოვნების განცდას. ასევე, ქვიშის ან ხრეშის გადახვეტვა, ბავშვებში იწვევს ანალოგიურ გრძნობებს.

- *მიეცით ბავშვებს რაც შეიძლება მეტი ასაწევი, გადასატანი და გადასაადგილებელი საგანი, ასევე ბევრი კონტეინერი.* ადრეული ასაკის ბავშვები აქტიურად ერთობიან საგნების აკრეფა-შეგროვებით და ხელით ან სახელურიანი კონტეინერებით (მაგალითად, სათლებით, კალათებითა და ჩანთებით), ასევე ბორბლიანი კონტეინერებით (როგორიცაა ეტლები, ურიკები, ბრტყელძირიანი ეტლები, დასაკეცი საბავშვო ეტლები და ა.შ.) გადატანით, უყვართ ურიკების გადაყირავება და მანევრირება სასურველი მიმართულებებით. ხშირად, ასეთი თამაშის მიზეზი უბრალოდ მოძრაობა ან გადაადგილებაა და არა რაიმე წინასწარ განზრახული მიზანი! რა თქმა უნდა, ასეთი ენერგიული ფიზიკური აქტივობის დროს, ბავშვები იკვლევენ თუ როგორ მოძრაობენ ობიექტები და მასალები სივრცეში და როგორ გრძნობენ ისინი თავს ამ აქტივობის განხორციელების პროცესში. დიდი, მძიმე და მოუქნელი საგნების მანიპულირება ასტიმულირებს პროპრიოცეფციულ სენსორულ სისტემას (შესაბამისად, ავითარებს სხეულის შეგრძნების უნარს), ეს კი თავის მხრივ, სასიამოვნო გრძნობებს იწვევს ტვინსა და სხეულში, ამიტომაც, ბავშვი აგრძელებს ამ აქტივობას. გარემო, სადაც ბავშვებს ბევრი ფხვიერი და სამანიპულაციო მასალა აქვთ (იხილეთ თავი 6, „მშენებლობა გარეთ და ფუღუროებში თამაში”), რომელთა გადატანა, თრევა, დაგორება, შეგროვება, კონტეინერში ჩაყ-

რა, ჩაგდება, აღება, დაფლეთა, სროლა, დაგდება, ფორმის შეცვლა, დამარხვა, ამოთხრა, დაკავშირება და თამაშში სხვაგვარად გამოყენება, ასევე აქტივობაში ფიზიკურად ან ახლებურად ჩართვა შეუძლიათ. ეს ყველაფერი კი - შესანიშნავ ინტელექტუალურ და ფიზიკურ ვარჯიშს წარმოადგენს. ფხვიერ მასალებზე ფიზიკური აქტივობისთვის დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ჯული მაუნთინის (Julie Mountain) წიგნში „Outdoors and Active" (დეტალებისთვის იხილეთ დამატებითი რესურსების ჩამონათვალი).

რესურსები ფიზიკური თამაშებისთვის და როგორ შეუძლიათ ბავშვებს მათი გამოყენება

- პლასტმასის ყუთები
- მორები, ტოტები, ჯოხები
- პატარა საბურავები, კაბელის ხვეულა, თივის პატარა შეკვრები
- კასრები, მუყაოს ყუთები და გვირაბები
- ხალიჩის გადასახვევი მილები, დიდი ზომის სანტექნიკის მილები
- ღარები და წყალსადენი მილები, დრეკადი მილები
- ბრეზენტები, ტვირთის სამაგრი ბადეები
- „A" ფორმის კონსტრუქციები, კიბეები, ფიცრები
- პატარა აგურები, კენჭები, მსუბუქი ბლოკები, ხის მასალების ნარჩენები (დაგლუვებული პირები და ნაფოტები)
- კალათები, სათლები, ჩანთები (სხვადასხვა ზომის და ფორმის)
- მეტალის ქვაბები და ჩაიდნები
- გრძელი და მოკლე, სქელი და წვრილი თოკები, გორგოლაჭები/ჭოჭონაქები
- ურიკები, ეტლები
- გადაადგილების სხვადასხვა საშუალება, ველოსიპედები (განსაკუთრებით ტვირთის გადასატანი ან მგზავრების გადასაყვანი საშუალებები), ბალანს-ველოსიპედები
- დასაკეცი სკამები და საბავშვო ეტლები
- სარწევი და საბზრიალო სათამაშოები
- გრძელტარიანი ცოცხები, ნიჩბები და ფოცხები
- ბურთები, ჩხრიალები, პომპონები
- დისკები, რგოლები, სატყორცნი დისკოები, რკალები

- დიდი ზომის სავარჯიშო ბურთი, პატარა პარაშუტი
- კონუსები
- საფეხურები და გადასასვლელი ქვები, ჭურჭლის სარეცხი ჯამები (ერთმანეთზე გადაბმული)
- ხალიჩის ფილები
- ჰამაკები
- ლიკრის წელვადი ზეწრები, დასაკეცი გვირაბები
- სხვადასხვა ზომისა და ტექსტურის ქსოვილი
- დიდი ზომის თხელი შარფები, თერმო-პლედი (მეტალიკი)
- ლენტები, შარფები, ბაფთები, ქსოვილის ზოლები
- მაჯისა და ტერფის ზარები
- ქაფის ბუშტები, გასაბერი ბუშტები, ბუმბულები, ფოთლები - დასაჭერად
- ცარცი (იქონიეთ საკმარისი მარაგი), ქაფი, წყალი და საღებავი დიდი ფუნჯებითურთ
- პატარა რბილი პლედები, ბალიშები, პიკნიკის პლედები
- მუსიკა და CD ან MP3 დამკვრელი
- წამზომი, ქვიშის საათი, საზომი ლენტი

მიუხედავად იმისა, რომ მოძრაობისა და ფიზიკური თამაშის ხელშესაწყობად უამრავი სპეციალური რესურსი არსებობს, ამისთვის თქვენი სივრცის რესურსებიც გამოგადგებათ, მათ შორის: ბუნებრივი მასალებიდან - მორები და ტოტები; სამშენებლო მასალებიდან - შესაფუთი ყუთები და დიდი ზომის ხის ბლოკები; სოფლის მეურნეობიდან - ბარები, ფოცხები და ცოცხები; ასევე შარფები და ქსოვილები - როლური თამაშებისთვის. გარე სივრცის ყველა ასპექტს შეუძლია ბავშვებისთვის საჭირო ფიზიკური გამოცდილების შეთავაზება, ამიტომ გამოიყენეთ ისეთი რესურსები, რომლებიც აუმჯობესებენ ფიზიკურ გარემოს და ახალისებენ მოძრაობას. ასე მაგალითად, ქვიშიან ზონაში თოკებითა და სათლებით ჭოჭონაქიანი ამწე სისტემის მოწყობა შეიძლება, რათა ბავშვები ენერგიულად ჩაერთონ მძიმე ტვირთის აწევა-დაწევის პროცესში, გამოიკვლიონ ქვიშა და წარმოსახვითი თამაშით გაერთონ. ტალახის სამზარეულოსთვის ისეთი ჭურჭლის შერჩევა შეიძლება, რომელიც კარგ ფიზიკურ აქტივობას შესთავაზებს ბავშვებს ხელების გასავითარებლად, მათ შორის სათქვეფები - მოსარევად, ნიჩბები - წასასმელად, საჭყლეტი - დასაქუცმაცებლად, ფილთაქვა - დასანაყად, მაშები - დასაწურად

და ა.შ. მებაღეობა, დურგლობა და ენერგიული როლური თამაშები ასევე, ბევრ მოძრაობას და ფიზიკურ აქტივობას გულისხმობს. ბიჭებს განსაკუთრებით იზიდავს აქტიური თამაშები, ბორბლებიანი სატრანსპორტო საშუალებების ამ კონტექსტში ჩართვა, როგორც წესი, ძალიან მარტივია. დარწმუნდით, რომ ნაკლებად აქტიურ ბავშვებს მათი ინტერესებისა და სტილის შესაბამის თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა აქვთ - ამ ბავშვებს შეიძლება ისეთი სამუშაო შესთავაზოთ, რომლის შესრულებაც ხელების, მკვლავების, მხრებისა და ტორსის გამოყენებითაა შესაძლებელი, მაგალითად, ფანჯრების წმენდა, მანქანების ან ველოსიპედების რეცხვა.

თავად გარემო, რომელშიც ბავშვი იმყოფება, იმთავითვე მოიცავს მოძრაობის უამრავ შესაძლებლობას და არ საჭიროებს დამატებით რესურსებს. მაგალითად, ბავშვებს შეუძლიათ წინ და უკან ხტომა და ხტუნვა; გორაკიდან ჩამოგორება; თამაში „მიბაძეთ ლიდერს"; გადახტომა, მარშირება, სირბილი და დევნა; ადგილზე თავბრუსხვევამდე ტრიალი ან ბოძის ირგვლივ ტრიალი; ბალახზე ან ქვიშაში ხოხვა; გუბეებზე გადახტომა; უზარმაზარი ნაბიჯების გადადგმა; ჩრდილებით მონსტრების „გაკეთება"; ბუმბულების ან ფოთლების ცვენის დროს მათი დაჭერა და ფოთლების გროვის ფეხებით გაფანტვა; დაბალ კედლებზე წონასწორობის შენარჩუნება; „ოთხ ფეხზე" სიარული; ხელებზე დგომა და სხვ. ეს მცირე ჩამონათვალია იმ აქტივობებიდან, რაც ბავშვებთან ერთად შეგიძლიათ გააკეთოთ.

შეარჩიეთ გარე სივრცისთვის შესაფერისი თამაშები, მოქმედების წამახალისებელი ლექსები და სიმღერები: მშობლებს და კოლეგებს შეუძლიათ უამრავი იდეის მოწოდება, ეს დაგეხმარებათ რომ ფიზიკური აქტივობები და საჭირო რესურსები თქვენი აღსაზრდელების ქვეყნებს, კულტურებს და ენებს ასახავდეს. ამობეჭდეთ და დაალამინირეთ აქტივობების სიები, გაუკეთეთ ჩამოსაკიდები და გარეთ, ფანჩატურში ჩამოკიდეთ. ამ გზით, არასოდეს მოგაკლდებათ იდეები, ამასთან ძველი აქტივობების განმეორებას შეძლებთ, რომლებიც თქვენც და ბავშვებსაც ადგილზევე გაგახსენდებათ. კვირაში ერთხელ ახალი თამაში ან ლექსი შემოიტანეთ, გამოიყენეთ იგი ყოველდღე, რათა ყველამ კარგად ისწავლოს და შემდეგ დამოუკიდებლად გამოიყენოს; არ დაგავიწყდეთ ახალი ლექსის ლამინირებულ ქაღალდზე

ამობეჭდვა და თქვენს კოლექციაში დამატება. ფიზიკური აქტივობების რესურსების კოლექციას სათამაშო რეკვიზიტები შეამატეთ, მაგალითად, ბაყაყის ფორმის ჩხრიალები „ხუთი პატარა კოპლებიანი ბაყაყის" („Five Little Speckled Frogs") სათამაშოდ. წაახალისეთ ბავშვების მოძრაობა, მაგალითად, უკვე ნახსენები თამაშის შემთხვევაში, ბავშვებს ბაყაყთან ერთად შეუძლიათ ხტომა ცარცით დახატულ „გუბურაში". ცარცი შეუცვლელია სივრცეების, სარბენი ბილიკების, მარშრუტების, წონასწორობის ზოლების დასახაზად, სამიზნეების დასახატად და სათამაშოდ; ბავშვებს ძალიან უყვართ ცარცით ხატვა, ამიტომ მარაგში იქონიეთ სათამაშო მოედნისთვის განკუთვნილი სქელი ცარცები. თოკები ძალიან მრავალფეროვანი რესურსია და ბავშვები მათი გამოყენების უამრავ გზას გამონახავენ - მაგალითად, თოკის მიწაზე გაჭიმვით შეიძლება წონასწორობის ზოლის გავლება, ასევე შეიძლება დაკლაკნილ თოკზე ხტომა, გადახტომა ან თოკის ქვეშ გაძვრომა. ოთხი და ხუთი წლის ბავშვების უმრავლესობას შეუძლია ხტუნვა, რაც საოცრად განმავითარებელი აქტივობაა; მოიმარაგეთ რბილი, მოკლე თოკები და შესთავაზეთ ბავშვებს ისეთი აქტივობები, რომლებიც გამძლეობას და სხვა უნარებს, ავითარებს. უფრო რთული ჯგუფური და თანამშრომლობითი თამაშები, მაგალითად „მე მიყვარს ყავა, მე მიყვარს ჩაი, მე მიყვარს... ჩემთან ერთად", შედარებით უფროს ბავშვებთან გამოგადგებათ და ისინი შეუცვლელია კოორდინაციის, კომუნიკაციისა და სოციალური უნარების განვითარებისათვი. როგორც ცნობილია, სინქრონიზებული მოძრაობა მეგობრობისა და ურთიერთობის განმტკიცებას ღრმა, ქვეცნობიერ დონეზე უწყობს ხელს.

ბავშვებს უყვართ ცეკვა და ისინი კარგად რეაგირებენ მუსიკაზე. რიტმული მოძრაობები შესანიშნავი გზაა იმისთვის, რომ ბავშვებმა საკუთარი სხეული იგრძნონ, ასევე სხვებთან ერთად ჰარმონიული მოძრაობით ჩამოაყალიბონ სოციალური ურთიერთობები. თუ შესაძლებელია, გაიტანეთ მუსიკალური მოწყობილობა გარე სივრცეში (კარგი იქნება დაცული ელექტრო როზეტის გაკეთება გარეთ), რათა წაახალისოთ ბავშვების მოძრაობა ენერგიული ან მშვიდი ატმოსფერული ჟანრის მუსიკით. წარმოუდგენელია ადრეული ასაკის ბავშვს არ ჰქონდეს რეაქცია უილიამ ტელის ოვერტურის ან კარმენის გაგონებაზე. ირლანდიური მუსიკა ან სამბა ბავშვს მოანდომებს ხტომას, გრეხას

და ტრიალს, აფრიკული დრამები კი ფეხების ბაკუნს და რიტმულ ტაშებს. დაგჭირდებათ სულ რამდენიმე უბრალო რეკვიზიტი, მაგალითად ბაფთები, გრძელი მსუბუქი ქსოვილის ნაჭრები და მაჯის ზარები; თმის რბილ რეზინაზე დამაგრებულ ბაფთებს, ბუშტებს და შარფებს ბავშვები მაჯებზე გაიკეთებენ. ცოტა დიდი ზომის გამჭვირვალე ქსოვილი ბავშვებს წაახალისებს, რომ თავზე და მხრებზე მოისხან და ირბინონ - საოცარია ჰაერში ლივლივის შეგრძნებები. რაც უფრო მეტად გაეცნობიან ბავშვები მუსიკას, მით უფრო გართულდება მათი მოძრაობების მიმდევრობა; გადაიღეთ ეს ყველაფერი და შემდეგ ბავშვებთან ერთად უყურეთ.

უამრავი საგანი არსებობს, რასაც ბავშვები მისაწოლად და მოსაქაჩად გამოიყენებენ, მათ შორის: ველოსიპედები, ეტლები, მისაბმელები, თვითგორიები, საბავშვო დასაკეცი ეტლები, ურიკები, ცოცხები, ფოცხები, გრძელტარიანი ბარები, შკივები და სათლები. ბავშვებს თავადაც შეუძლიათ შექმნან სათამაშო რესურსები, მაგალითად, შეუძლიათ რძის ყუთს თოკი გამოაბან და ირბინონ ეზოში. შესთავაზეთ ბავშვებს ამ სათამაშოებზე სიმძიმეების დადება, რათა წინაღობის ძალა განიცადონ; ასევე, ბორბლიანი სათამაშოები გადააბან ერთმანეთს ისე, რომ ერთი მეორეს ქაჩავდეს. ჩანთებით, კალათებით, სათლებით, სარწყავებით და ურიკებით მძიმე საგნების *აწევა, გადატანა და მანევრირება* (მაგალითად ყუთების, ხის ფიცრების, პატარა საბურავებისა და მორების) ბავშვებს გაწელვის, კოორდინაციის, კონტროლისა და გაძლიერების შესაძლებლობას მისცემს, ამასთან, ამ მასალების შევსების, შეფუთვისა და გადატანის ინტერესს გაუღვივებს. მიეცით ბავშვებს სხვადასხვა შესაგროვებელი და გადასატანი მასალა, მაგალითად ხეები, ქვიშა, კენჭები, ხრეში და წყალი. სხვადასხვა რესურსით ფუღუროების მოწყობა, შენება, ბაღში მუშაობა და წყლით თამაში, უამრავ ფიზიკურ მოქმედებას მოიცავს. შეაგროვეთ სხვადასხვა სახის ბურთები, ჩხრიალები, ასევე სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ტექსტურის რგოლები, რათა ბავშვებმა სხვადასხვანაირად გამოიყენონ ისინი თამაშში, მაგალითად, ისროლონ, გააგორონ ან დაიჭირონ და თანდათან განივითარონ ფიზიკური უნარები. მიწაზე ან კედლებზე გაკეთებული აღნიშვნების, ასევე სამიზნეებად ჩამოკიდული კალათების გამოყენებით ბავშვებს შეუძლიათ ყველა სახის გამოწვევა და თამაში გამოსცადონ, შემდეგ კი თავისით გამოიგონონ თამაშები.

ისეთი რესურსები, როგორიცაა პლასტმასის ყუთები და საბურავები ბავშვებს ბალანსირების, საბურავებში ჩაბიჯების, ტყორცნის, შეხტომა-ჩამოხტომისა და კიდეებიდან გადმოვარდნის ან გადაყირავების შესაძლებლობას აძლევს. მიეცით ბავშვებს ისეთი საგნები, სადაც ისინი ჩაძვრომას, ან გაძვრომას შეძლებენ, მაგალითად კასრები, გვირაბები, მილები და მუყაოს ყუთები. ეს საგნები ბავშვებს ასევე შიგნით ტრიალისა და გორვის საშუალებას მისცემს. მიუხედავად იმისა, რომ ადრეული განათლების ბევრ დაწესებულებას არ აქვს დიდი ზომის საქანელების დასადგამი ადგილი, ჰამაკი მშვენიერი საშუალებაა რწევის განცდისათვის და დასვენებისთვისაც არაჩვეულებრივია. აგრარული მეურნეობის ცენტრებსა და ავეჯის მაღაზიებში უამრავი სახის ჰამაკია ამჟამად ხელმისაწვდომი - სხვადასხვა მექანიზმი სხვადასხვა გამოცდილებას მისცემს ბავშვებს. ბავშვების რწევა აღმზრდელებსაც შეუძლიათ პლედის ან წელვადი ზეწრის, ან კიდევ მცირე ზომის პარაშუტის გამოყენებით. გადაყირავება, ბზრიალი და რწევა - ყველა ეს აქტივობა შესაძლებელია სათამაშო ბზრია-

სურათი 4.6. დიდი, მძიმე და მოუხერხებელი მასალები საუკეთესო რესურსია გარე სივრცისთვის

ლა თასით - იგი საუკეთესო რესურსია ფიზიკური თამაშისთვის და ბევრ საგანმანათლებლო თუ სპეციალური საჭიროებების მაღაზიაში მოიპოვება.

ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური განვითარებისთვის, ადრეული ასაკის ბავშვებს სხეულთან კონტაქტის მოთხოვნილება აქვთ. მიეცით ბავშვებს რბილი ზეწრები, პლედები და ქსოვილის ნაჭრები ტანზე შემოსახვევად, შეუქმენით სივრცე ჩასაძვრომად, მაგალითად, მუყაოს ყუთები და გვირაბები, ეთამაშეთ ლიკრის ზეწრებით, პატარა პარაშუტებით ან ხალიჩების ნაჭრებით, რომლებშიც ბავშვებს სურვილისამებრ გორვა შეეძლებათ (ყურადღება მიაქციეთ, რომ თავი არ ჰქონდეთ დაფარული). უმჯობესია ეს აქტივობები უფროსების ზედამხედველობით და ერთი-ორი ბავშვის მონაწილეობით შესრულდეს და ხანმოკლე იყოს, რათა ყურადღება მიექცეს ცალკეული ბავშვის საჭიროებებს - ზოგ ბავშვს ძალიან უყვარს ასეთი სახის გამოცდილება. შესაბამისი ზომის სავარჯიშო ბურთები ასევე უზრუნველყოფენ სხეულთან კონტაქტს მოძრაობებისას. კოლეგებთან ერთად განიხილეთ თქვენი მიდგომები მოუწესრიგებელ სასრიალო თამაშებთან და სხვა უფრო ენერგიული ფიზიკური კონტაქტის ფორმებთან (როგორც უფროსების ჩართულობით, ასევე ბავშვებს შორის) დაკავშირებით; ასეთ თამაშებს უმნიშვნელოვანესი განმავითარებელი როლი აქვს ყველა სოციალური არსებისთვის, მათ შორის ადრეული ასაკის ბავშვებისთვის და კარგად ორგანიზების შემთხვევაში თქვენს გარე სივრცეშიც შეიძლება დიდი როლი შეასრულონ. ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ფრანსის კარლსონის (Frances Carlson) წიგნი „Big Body Play" (მეტი დეტალისთვის იხილეთ დამატებითი რესურსები).

გახსოვდეთ, რომ ენთუზიაზმით აღსავსე და თამაშის მოყვარული უფროსები თამაშის პროცესს მნიშნელოვნად უწყობენ ხელს! იმის შემჩნევა, თუ რისი კეთება უყვარს ბავშვს და ინიციატივის თავზე აღება - საუკეთესო დასაწყისია. ბავშვები მართლაც აფასებენ თქვენს ყურადღებას და ჩართულობას და ინტერესით ერთვებიან ახალ სათამაშო ინიციატივებში. წაახალისეთ ბავშვების კვლევები და შემოქმედებითობა გარემოს და რესურსების სურვილისამებრ გამოყენებით, აიტაცეთ ცალკეული ბავშვის იდეები და წარუდგინეთ დანარჩენებს თამაშის ახალი მეთოდები. ზოგ მორცხვ და ფრთხილ ბავშვს შესაძლოა დახმარება

დასჭირდეთ გამოწვევებთან და რისკებთან გამკვლავებისთვის. დააკვირდით და ყურადღებით მოუსმინეთ. ნებისმიერი სახის მოდიფიკაცია და მრავალფეროვნების შეტანა ბავშვების მზაობის შესაბამისად დაგეგმეთ, თუმცა გახსოვდეთ, რომ განმეორებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

წაახალისეთ ინტერაქცია, საუბრები და თანამშრომლობა, ხელი შეუწყვეთ მოძრაობასთან დაკავშირებული ლექსიკონის სასარგებლო და საინტერესო სიტყვებით გამდიდრებას, მაგალითად ასხლეტა, გაჭენება და გაქროლება. ბავშვებისთვის სხეულის მოძრაობასთან, მოქმედებებთან და პოზიციებთან დაკავშირებული სიტყვების მიწოდება ლექსიკონის გამდიდრების ხელშეწყობაზე მეტია. როდესაც ბავშვებს ესმით და სწავლობენ საკუთარ მოძრაობებთან, მოქმედებებთან და პოზიციებთან დაკავშირებულ სიტყვებს, მათ პერსონალურ მნიშვნელობას ანიჭებენ. სიტყვების ცოდნა ხელს უწყობს უფრო გონივრულად იფიქრონ საკუთარ მოქმედებაზე, ბავშვებს უვითარდებათ მოძრაობების მიმდევრობის განსაზღვრისა და დაგეგმარების უნარი და ამ მიმდევრობასაც უფრო მარტივად ასრულებენ. მოძრაობებთან და მოქმედებებთან დაკავშირებულ ენას რამდენიმე განზომილება აქვს და თითოეული მათგანი საუკეთესოდ გამოიყენება სწავლის სხვადასხვა სფეროში:

- პოზიცია, სივრცე და ხედი - მაგალითად ზემოთ, ქვემოთ, ქვემოდან, ზემოდან, გვერდით, გავლით, ქვეშ, შიგნით, გარეთ, შორის, თავდაყირა, მორგება, დადება, განლაგება
- მოძრაობის ტიპი - მაგალითად, ძლიერი, მყარი, ნაზი, მსუბუქი, მძიმე, გაჭიმვითი, ზანტი, დაჭიმული
- მოქმედება - მაგალითად, მსუბუქი დარტყმა, დარტყმა, გამოტოვებით ხტომა, ხტუნვა, ფეხის დარტყმა, ახტომა, სრიალი, ჭენება, მივარდნა, გრეხა, დაცემა, ტყორცნა, რწევა, მიწოლა, ქაჩვა, მიწვდომა
- ხელის მოქმედება და მანიპულირება - მაგალითად, წარტყმა, ხელის კვრა, გაჭყლეტა, ჩაჭიდება, ჩაბღაუჭება, ქაჩვა, დაგრეხა, დაკვრა, მოსწორება, წაბიძგვა
- ინტერაქცია - მაგალითად, აყოლა, მართვა, მიბაძვა, იმიტირება, ჩახუტება, მიბიძგვა, გაღიმება
- სიჩქარე და დრო - მაგალითად, ჩქარი, ნელი, სხარტი, მიხვეულ-მოხვეული მოძრაობა, ხანმოკლე და ხანგრძლივი

- მიმდევრობა - შემდეგ, -მდე, როცა, თუ, ჯერ, მერე, დაწყება, დასრულება, საბოლოოდ

მოძრაობების აღწერილობითი ენა ბავშვების ყურადღებას იპყრობს. ისინი ყოველთვის მოტივირებული არიან ისწავლონ ისეთი სიტყვები, რომლებიც საკუთარი და მეგობრების მოქმედებებს აღწერენ, რადგან ეს მათთვის პირადი და საინტერესო სფეროა - ეს კი აქტიური სწავლის საუკეთესო გზაა. მნიშვნელოვანია, რომ ეს ენა ბუნებრივად შეეფერებოდეს საერთო გამოცდილებას და არ ატარებდეს ძალდატანებით ხასიათს. ასეთი პირობები შესანიშნავ კონტექსტს ქმნიან ახალი და საინტერესო სიტყვების შემოსატანად. ბავშვებს დინოზავრების სახელების გარდა, ისეთი ახალი სიტყვების შესწავლაც მოსწონთ როგორიცაა „დაგრეხა" და „სხარტი" ან თუნდაც (უფრო მოზრდილ ბავშვებთან) „დაკლაკნილი" და „ტალღოვანი", განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს სიტყვები სიტუაციის შესაბამისად გამოიყენება და პირადი მნიშვნელობებითაა დატვირთული. ბავშვები უნდა წავახალისოთ, რომ მოძრაობასთან დაკავშირებული ენა გამოიყენონ თამაშის დროს, ან თუნდაც საკუთარი სიტყვები შექმნან - ეს წაახალისებს თამაშს და გამომგონებლობას მოძრაობის დროს.

ბავშვების მოძრაობისა და აქტივობის სიყვარული ასევე შეიძლება გავაძლიეროთ მთელი რიგი დასურათებული წიგნებით, რომლებიც ამჟამად ხელმისაწვდომია (იხ. საბავშვო წიგნების ჩამონათვალი ამ თავის ბოლოს). ისარგებლეთ მათი ენთუზიაზმით და კარგი წიგნი გაუზიარეთ - შეარჩიეთ ისეთი, რომელიც პასუხობს ბავშვების ფიზიკურ ინტერესებს; ამ გზით აღიარებთ და დააფასებთ იმ აქტივობებს, რომლებიც ბავშვებს იმ მომენტისთვის აინტერესებთ; ამბებისა თუ სურათების გამოყენებით გაამრავალფეროვნეთ იდეები, ენა, წარმოსახვა და შემოქმედებითობა. წიგნები ასევე შესანიშნავი საშუალებაა ბავშვების ახალი ინტერესების სტიმულირებისათვის ან მათი წახალისებისთვის სხვა მიმართულებითაც გამოიყენონ თავიანთი განვითარებადი უნარები. თუმცა, საუკეთესოა ის წიგნები, რომლებსაც თავადვე შექმნით საბავშვო ბაღში ბავშვების აქტიური თამაშის დროს გადაღებული სურათებით: მაქსიმალურად გამოიყენეთ ისინი, დაეხმარეთ ბავშვებს სურათებზე ასახული მოქმედებების მიმდევრობით დალაგებაში, შემდეგ კი მოათხრობინეთ საკუთარი ამბავი.

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა: რისკების მართვა და გამოწვევები

ფიზიკური თამაში დაკავშირებულია უსაფრთხოების პრობლემებთან, რადგან ბავშვები მუდმივად სირთულეებს ეძებენ, მოქმედებენ საკუთარი შესაძლებლობების ზღვარზე და აფართოვებენ თავიანთ შესაძლებლობებს მათი კომპეტენციების საზღვრებს მიღმა. გარე სივრცეები გაცილებით უფრო უსაფრთხოა სამოძრაოდ ვიდრე დახურული სივრცეები, რადგანაც დახურული სივრცეები ყოველთვის სავსეა სხვადასხვა საგნებითა და დაბრკოლებებით; ადრეული განათლების დაწესებულების ანგარიშების თანახმად, გარე სივრცეში ინცინდენტების რიცხვი უფრო დაბალია, ვიდრე დახურულ სივრცეში. გარდამტეხი მომენტი კი მაშინ დგება, როცა აღმზრდელები გარე სივრცეს მიიჩნევენ ისეთ ადგილად, სადაც ბავშვები სწავლობენ უსაფრთხოებას და თანდათან იწყებენ პოტენციური საფრთხის ამოცნობას, იდენტიფიცირებას და მასთან გამკვლავებას. მათ ასევე შეუძლიათ უმნიშვნელო ინცინდენტებთან - მაგალითად მსუბუქ ჭრილობებთან გამკვლავება და იმის გაცნობიერება, რომ ტკივილი დროებითია და მალე გადაივლის. სწორედ ასეთი უმნიშვნელო დარტყმებითა და სხეულის მსუბუქი დაზიანებებით ეცნობიან ბავშვები საფრთხეებს და შემდგომში თავს არიდებენ მათ. ბავშვებს განვითარების შესაფერისი გამოწვევები უნდა ჰქონდეთ, მათ მცდელობის, წარუმატებლობის განცდისა და იმედგაცრუების მზაობა უნდა ჰქონდეთ რათა წარმატების მიღწევის გამბედაობა გამოიმუშაონ - რასაც დროთა განმავლობაში მოყვება წარმატების შინაგანი კმაყოფილება/ჯილდო, ასევე შეძენილი უნარებითა და კომპეტენცით კმაყოფილება. ეს ყველა უნარი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და მრავალი კვლევა აჩვენებს, რომ ავტონომია, კომპეტენცია და ოსტატობა ბედნიერებისა და მოტივაციის უმთავრესი ელემენტებია. ამ შესაძლებლობების ბავშვებისთვის შეზღუდვა სერიოზული შეცდომაა, რომელსაც ხანგრძლივი უარყოფითი გავლენა აქვს. ასეთი „ზრდაზე ორიენტირებული მენტალობის" წახალისება სახალისო ფიზიკური გამოცდილებებით, ხელს უწყობს გამძლე, თავდაჯერებული, უნარიანი და თვითდარწმუნებული ბავშვის აღზრდას, რომელიც ენთუზიაზმით ცხოვრებას შეძლებს.

ბავშვების უსაფრთხოება ღია სივრცეში, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია და ჩვენი მიზანია მათ გამოწვევები და თავისუფლება მივცეთ უსაფრთხოების ფარგლებში. ასეთი გარემო კი უსაფრთხოების საკმარის ზომებს გულისხმობს და არა რისკებისგან სრულიად დაცულ პირობებს. რისკებისგან დაცული გარემო გამოწვევებს და სირთულეებს გამორიცხავს და შესაბამისად, სწავლისა და განვითარების შესაძლებლობებს ზღუდავს. აქტივობების უმეტესობა, რომლებსაც ბავშვები ადრეული განათლების დაწესებულებების გარე სივრცეში ასრულებენ, ძალიან ღირებულია მათი ჰოლისტური განვითარებისათვის და ნაკლებად წარმოადგენენ სერიოზულ საფრთხეს და დაშავების საშიშროებას. მიუხედავად ამისა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ სრულიად ინფორმირებული და ყურადღებით ვიყოთ, მოვახდინოთ რისკების სრულფასოვანი მართვა ამ სასარგებლო გამოცდილებების უსაფრთხოდ უზრუნველყოფისათვის. უფროსებმა, რომლებიც ვზრუნავთ ბავშვებზე რომლებიც ადრევე სწავლობენ იმას, თუ რა არის სარისკო და სახიფათო, უნდა შევაფასოთ და ვმართოთ პოტენციური რისკები, რათა ბავშვებმა საჭირო გამოცდილებები სერიოზული დაზიანებების გარეშე მიიღონ (ეს პროცესი ცნობილია, როგორც „სარგებლისა და რისკის შეფასება". იხილეთ დამატებითი რესურსები მათი პრაქტიკაში დანერგვასთან დაკავშირებით).

რისკის მართვის მიდგომა მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს:

- გარე სივრცის შესაძლებლობების და რესურსების ყოველდღიური და ხშირი შემოწმება, დაზიანებული საგნების გადაყრა ან მათი ხელმისაწვდომობის შეზღუდვა; ასეთი საგნების შემლებისდაგვარად სწაფად შეკეთება ან ჩანაცვლება.
- დააკვირდით ბავშვების თამაშს და გარე სივრცის შესაძლებლობების და რესურსების გამოყენებას, მუდმივად შეაფასეთ სარგებელი და რისკები, ასევე საჭირო მომენტში შეიტანეთ კორექტივები.
- იცნობდეთ თქვენს ბავშვებს - შეაფასეთ ცალკეული ბავშვის რისკები და შეზღუდვების დაწესების ნაცვლად, ეცადეთ კრეატიული ფიზიკური თამაში შესთავაზოთ მათ.
- გამოიყენეთ თქვენი ცოდნა ფიზიკურ განვითარებასთან დაკავშირებით, რათა გაიგოთ თუ რისი კეთება უნდათ ბავშვებს თამაშის პროცესში და გამოავლინოთ ამ გამოცდილების

უპირატესობები. ფიზიკური აქტივობებით მიღებული სარგებლის გათვალისწინებით, შესაძლებლობის ფარგლებში, უზრუნველყავით უსაფრთხოება, მათი აკრძალვის ნაცვლად.

- დარწმუნდით, რომ თქვენი გუნდის ყველა წევრი აცნობიერებს რისკებს (მათი თავიდან არიდების გარეშე) და უწყვეტად განავრცობს თავის კომპეტენციას რისკებთან დაკავშირებით (და მათ შესწევთ უნარი ამოიცნონ და წარმატებით გაუმკვლავდნენ რისკებს, ასევე აქვთ მზაობა და უნარი მართონ მოვლენათა ნებისმიერი განვითარება).
- ხშირად ისაუბრეთ და განიხილეთ თქვენი საერთო მიდგომა გამოწვევებთან, რისკებთან და უსაფრთხოებასთან, ასევე ნებისმიერ წარმოშობილ სპეციფიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით. დარწმუნდით, რომ გუნდის ყველა წევრი კარგადაა ინფორმირებული, გრძნობენ თავდაჯერებულობას და სრულფასოვან მხარდაჭერას. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ გამოწვევების დაშვება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა მთელი გუნდის მიდგომას წარმოადგენდეს.

სურათი 4.7. დარწმუნდით, რომ ბავშვებს ყოველთვის აქვთ ერთად სირბილის შესაძლებლობა

- ასწავლეთ ბავშვებს ფიზიკური აქტივობების - მაგალითად ცოცვის - უსაფრთხოდ შესრულება; ბავშვებმა უნდა გააცნობიერონ საფრხთეები და რისკები, რათა ისწავლონ მათი უსაფრხთო მართვა.
- დაეხმარეთ ბავშვებს გააცნობიერონ საკუთარი მოქმედებების გავლენა სხვებზე - ეს მათ სხვა ბავშვების კეთილდღეობაზე ზრუნვასაც ასწავლის.

ლექსები და სიმღერები (გვთავაზობს ავტორი)

Everybody Says Sit Down!
Five Fat Peas in a Peapod Pressed
Five Little Monkeys Jumping on the Bed
Five Little Speckled Frogs
Head, Shoulders, Knees and Toes
Here We Go Round the Mulberry Bush
Hey Diddle Diddle the Cat and the Fiddle
Hickory Dickory Dock
Horsey, Horsey Don't You Stop
Humpty Dumpty
I'm a Little Indian
If You're Happy and You Know It
In and Out the Dusty Bluebells
Jack and Jill Went up the Hill
One Elephant Went Out to Play
Pop Goes the Weasel
Ride a Cock Horse to Banbury Cross
Ring Around the Roses
Round and Round the Garden
Row, Row, Row Your Boat
Ten in the Bed
The Animal Boogie
The Grand Old Duke of York
The Hokey-Cokey
This Is the Way the Lady Rides
This Way, That Way, Over the Deep Blue Sea
Walking Through the Jungle
We're Going on a Bear Hunt

უამრავი ტიპის მუსიკა არსებობს, რომლებიც გარე სივრცეში გამოგადგებათ. ქვემოთ წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს:

აფრიკული დრამები
„ბანგრა" მუსიკა
„ბოლერო" (რაველი)
„კარმენი" (ბიზე)
„კარმინა ბუნარა" (კარლ ორფი)
„ცხოველების კარნავალი" (სენ-სანსი)
ირლანდიური და შოტლანდიური ჯიგები
„ბაზის ფრენა" (რიმსკი-კორსაკოვი)
„ვალკირიების გასეირნება" (ვაგნერი)
„უილიამ ტელის ოვერტურა" (როსინი)
„სალსა"

საბავშვო წიგნები ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით

შენიშვნა: ვარსკვლავით (*) აღნიშნული წიგნები უფრო დიდ - სამიდან-შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებს შეეფერება

ქეით პეტი (Kate Petty) „Around the World: Bicycles" (Frances Lincoln with Oxfam 2006)

ქეით პეტი/ოქსფამ (Kate Petty/Oxfam)"Around the World: Playtime" (Frances Lincoln Children's Books 2006)

გიტა ვულფი, რამეშ ჰენგადი და შანტარამ დჰადპეი (Gita Wolf, Ramesh Hengadi & Shantaram Dhadpe) "Do!" (Tara Books 2015)

შერილ მერფი(Cheryl Murphy) „Dogs Just Wanna Have FUN! Picture This – Dogs at Play" (Hubble & Hattie 2018)

შერილ უილის ჰადსონი და ჯონ-ფრანსის ბურკე (Cheryl Willis Hudson & John-Francis Bourke) „Hands Can (Big Book)" (Candlewick Press 2012)

პოლ ჰარისონი(Paul Harrison) „Let's Play (Window on the World)" (Zero to Ten 2010)

იფეომა ონიფულუ (Ifeoma Onyefulu) „Look at This: Play" (Frances Lincoln Children's Books 2013)

დ მ სუზა (D M Souza) „Look What Feet Can Do (Look What Animals Can Do)" (Lerner 2008)

ტანა ჰობანი (Tana Hoban) „Over, Under & Through" (Aladdin Books 2008)

სარა შენონი (Sarah Shannon) „Pulls (How Things Move)" (Raintree Publishers 2010)

„პატრისია ჯეი მერფი (Patricia J Murphy) „Push and Pull (Rookie Read-About Science)" (Children's Press 2002)

*ანგელა როისტონი (Angela Royston) „Push and Pull (Science Corner)" (Wayland 2012)

ლოლა მ შეფერი (Lola M Schefer) „Push and Pull (The Way Things Move)" (Capstone Press 2000)
სიუ ბარაქლოფი (Sue Barraclough) „Pushing and Pulling (How Do Things Move)" (Harcourt Education 2007)
დოქტორ სეუსი (Dr Seuss) „The Foot Book" (HarperCollins Children's Books 2018)

საბავშვო წიგნები მოძრაობასა და ფიზიკურ თამაშთან დაკავშირებით

*ჯენ ფიერნლი (Jan Fearnley) „A Very Proper Fox" (HarperCollins Children's Books 2006)
ჯულია ჯარმანი და გაი პარკერ-რიისი (Julia Jarman & Guy Parker-Rees) „Ants in Your Pants!" (Orchard Books 2011)
ელენ სტოლ უოლში (Ellen Stoll Walsh) „Balancing Act" (Beach Lane Books 2010)
ჯულია ჯარმანი და ედრიან რეინოლდსი (Julia Jarman & Adrian Reynolds) Big Bouncy Bed" (Orchard Books 2015)
ტონი მიტონი და გაი პარკერ-რიისი (Tony Mitton & Guy Parker-Rees) „Bumpus Jumpus Dinosaurumpus!" (Orchard Books 2016)
ანნა კემპი და სარა ოგილვი (Anna Kemp & Sarah Ogilvie) „Dogs Don't Do Ballet" (Simon & Schuster 2010)
ტონი მიტტონი და გაი პარკერ-რიისი (Tony Mitton & Guy Parker-Rees) „Down by the Cool of the Pool" (Orchard Books 2016)
ტონი მიტტონი და გაი პარკერ-რიისი(Tony Mitton & Guy Parker-Rees) „Farmer Joe and the Music Show" (Orchard Books 2009)
სანდრა გილბერტი და ელიზაბეტ მოსენგი (Sandra Gilbert Brug & Elisabeth Moseng) „Football Feet" (Pocket Books 2003)
ალან დურანტი და ქეით ლიკი (Alan Durant & Kate Leake) „Football Fever" (Macmillan Children's Books 2006)
ჯუდი კორბალი და კორკი პოლი (Judy Corbalis & Korky Paul) „Get That Ball" (Andersen Press 2018)
გილის ანდრეა და გაი პარკერ-რიისი (Giles Andreae & Guy Parker-Rees) „Giraffes Can't Dance" (Orchard Books 2014)
დოქტორ სეუსი და ბ ტობი (Dr Seuss & B Tobey) „I Wish That I Had Duck Feet" (HarperCollins Children's Books 2018)
კეტრინ რეინერი (Catherine Rayner) „Harris Finds His Feet" (Little Tiger Press 2008)
რიკ უალტონი და ანნა ლოპეზ-ესცრივა (Rick Walton & Anna Lopez-Escriva) „How Can You Dance" (G P Putnam's Sons 2001)
ლეინ მარლოუ (Layn Marlow) „Hurry Up and Slow Down" (Oxford University Press 2008)
ალან ალბერგი (Allan Ahlberg) „Kicking a Ball" (Puffin 2014)
მიკ ინკპენი (Mick Inkpen) „Little Kipper Skates" (Hodder Children's Books 2001)
მიკ ინკპენი (Mick Inkpen) „Little Kipper Swing!" (Hodder Children's Books 2000)
ჯონ ბერნინგემი (John Burningham) „Mr Gumpy's Outing" (Red Fox 2001)

ჰაოაუინ ორამი და ლინ ჩეპმენი (Hiawyn Oram & Lynne Chapman) „Mr Strongmouse and the Baby" (Orchard Books 2006)
*კვენტინ ბლეიკი (Quentin Blake) „Mrs Armitage on Wheels" (Red Fox 1999)
ჯაკი ვუდი (Jakki Wood) „Noisy Parade: A Hullabaloo Safari" (Frances Lincoln 2002)
სარა გარლანდი (Sarah Garland) „Pass It Polly" (Frances Lincoln Children's Books 2009)
სტელა გერნი და მარკ ჩემბერსი (Stella Guerny & Mark Chambers) „Rabbit and the Big Red Scooter" (Templar Publishing 2011)
ქეროლ დიგორი შილდსი და სკოტ ნეში (Carol Diggory Shields & Scott Nash) „Saturday Night at the Dinosaur Stomp" (Walker Books 2008)
ტონი მიტონი და გაი პარკერ-რიისი (Tony Mitton & Guy Parker-Rees) „Spookyrumpus" (Orchard Books 2005)
ტრეისი კორდუროი და ჯეინ ჩეპმენი (Tracey Corduroy & Jane Chapman) „Squish, Squash Squeeze" (Little Tiger Press 2016)
ოლივერ ჯეფერსი (Oliver Jeffers) „Stuck" (HarperCollins Children's Books 2012)
კოლინ და ჟაკი ჰოუკინსი (Colin & Jacqui Hawkins) „The Dance of the Dinosaurs" (HarperCollins Children's Books 2002)
მალაჰი დოილი, სტივ ჯონსონი და ლუ ფანჩერი (Malachy Doyle, Steve Johnson & Lou Fancher) „The Dancing Tiger" (Simon & Schuster 2005)
კიმიკო ამანი და კომაკო საკაი (Kimiko Aman & Komako Sakai) „The Fox Wish" (Chronicle Books 2017)
*ამანდა მაკკარდი (Amanda McCardie) „The Frog Ballet" (Red Fox 1997)
ბრაიან უილდსმიტი(Brian Wildsmith) „The Hare and the Tortoise" (Oxford University Press 2007)
ტონი მიტონი და გაი პარკერ-რიისი (Tony Mitton & Guy Parker-Rees) „The Jungle Run" (Orchard Books 2011)
*ჯენის მეი ადრი და მაურის სენდაკი (Janice May Udry & Maurice Sendak) „The Moon Jumpers" (Red Fox 2002)
ტიმ არჩბოლდი (Tim Archbold) „The Race" (Picture Puffins 1990)
ედი ბოსველი და ერიკ ველასკეზი (Addie Boswell & Eric Velasquez) „The Rain Stomper" (Two Lions 2008)
რეიჩელ ბრაიტი და ჯიმ ფილდი (Rachel Bright & Jim Field) „The Squirrels Who Squabbled" (Orchard Books 2018)
ფილიპა ლეზერსი (Philippa Leathers) „The Tiptoeing Tiger" (Walker Books 2018)
ტონი მიტონი და გაი პარკერ-რიისი (Tony Mitton & Guy Parker-Rees) „Twist and Hop Minibeast Bop" (Orchard Books 2016)
მაურის სენდაკი (Maurice Sendak) „Where the Wild Things Are" (Red Fox 2000)

საბავშვო წიგნები აქტივობებთან დაკავშირებული ლექსებისა და თამაშების ხელშესაწყობად

ვიკ პარკერი და ემილი ბოლამი (Vic Parker & Emily Bolam) „Bearobics" (Hodder Children's Books 1996)

პაი კორბეტი, კოლინ მაკლინი და მოირა მაკლინი (Pie Corbett, Collin Maclean & Moira Maclean) „Clapping Rhymes and Ball-Bouncing Games" (Kingfisher Books 1993)

ჯენ ორმეროდი და ლინდსი გარდინერი (Jan Ormerod & Lindsey Gardiner) „Doing the Animal Bop" (Oxford University Press 2005)

ზიტა ნიუქამი (Zita Newcome) „Five Little Monkeys" (Walker Books 2003) – მოიცავს მოქმედების წამახალისებენ და სახალისო 50-ზე მეტ ლექსს, ბევრი მათგანი გარე სივრცეში გამოგადგებათ.

ალ პერკინსი და ერიკ გარნი (Al Perkins & Eric Gurney) „Hand, Hand, Fingers, Thumb" (Random House 2016)

მარკ ტოლონ ბრაუნი (Marc Tolon Brown) „Hand Rhymes" (Turtleback Books 1999)

ანნა მაკკუინი და სოფი ფატუსი (Anna McQuinn & Sophie Fatus) „If You're Happy and You Know It" (Barefoot Books 2011) – მულტიკულტურალური ვერსია

ჯენ ორმეროდი და ლინდსი გარდინერი (Jan Ormerod & Lindsey Gardiner) „If You're Happy and You Know It!" (Oxford University Press 2003)

ჯენ ორმეროდი და ლინდსი გარდინერი (Jan Ormerod & Lindsey Gardiner) „Join in the Zoo Hullabaloo!" (Oxford University Press 2013)

რობერტ ლუის სტივენსონი და სარა სანჩესი (Robert Louis Stevenson & Sara Sanchez) „My Shadow" (Top That Publishing 2014)

ჯენ ორმეროდი და ლინდსი გარდინერი (Jan Ormerod & Lindsey Gardiner) „Over in the Clover" (Oxford University Press 2009) – ეს სახელმძღვანელო მოიცავს უამრავ აქტივობას

ლუის ვოსე (Louise Voce) „Over in the Meadow: A Counting Rhyme" (Walker Books 1994) – ამ წიგნის რამდენიმე ვერსია არსებობს – შეარჩიეთ რომელიმე აქტივობა ან თქვენით გამოიგონეთ

სარა უილიამსი და იან ბეკი (Sarah Williams & Ian Beck) „Round and Round the Garden: Play Rhymes for Young Children" (Oxford University Press 2006)

ჯილის ანდრეა და დევიდ ვოჟტოვიცი (Giles Andreae & David Wojtowycz) „Rumble in the Jungle (book and CD)" (Orchard Books 2006)

ჯულია დონალდსონი და ნიკ შარატი (Julia Donaldson & Nick Sharratt) „Shuffle and Squelch: Poems and Rhymes for Children" (Macmillan Children's Books 2015)

პენი დეილი (Penny Dale) „Ten in the Bed" (Walker Books 1990)

ჯონ ბატლერი (John Butler) „Ten in the Den" (Orchard Books 2006)

ლინი ჩეპმენი (Lynne Chapman) „The ABC of Nursery Rhymes" (The Chicken House 2008)

დები ჰარტერი (Debbie Harter) „The Animal Boogie: A Barefoot Singalong" (Barefoot Books 2011)

მარსია ვოგანი და სტენლი ვონგ ჰუ ფუნი (Marcia Vaughan & Stanley Wong Hoo Foon) „The Dancing Dragon" (Mondo Publishing 1996)
ლუსი კოლინსი (Lucy Collins) „The Little Dog Laughed: And Other Nursery Rhymes" (Puffin 1995)
ლ ლესლი ბრუკი(L Leslie Brooke) „The Ring O' Roses Treasury: Nursery Rhymes and Stories" (Dover Children's 2015)
ჯენ ორმეროდი და ლინდსი გარდინერი (Jan Ormerod & Lindsey Gardiner) „The Wheels on the Bus" (Oxford University Press 2013)
ზიტა ნიუქომი (Zita Newcombe) „Toddlerobics" (Walker Books 1997)
ზიტა ნიუქომი (Zita Newcombe) „Toddlerobics Animal Fun" (Walker Books 2000) – მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო შედგენილია ორ წლამდე ბავშვებისთვის, ორიდან-სამ წლამდე ბავშვებთანაც შეგიძლიათ გამოიყენოთ
ვენდი კოუპი და სელი კინდბერგი (Wendy Cope & Sally Kindberg) „Twiddling Your Thumbs: Hand Rhymes" (Faber & Faber 1992)
ჯული ლაკომი (Julie Lacome) „Walking Through the Jungle" (Walker Books 1993)
მაიკლ როსენი და ჰელენ ოქსენბერი (Michael Rosen & Helen Oxenbury) „We're Going on a Bear Hunt" (Walker Books 2016)
დევიდ ახტელი (David Axtell) „We're Going on a Lion Hunt" (Macmillan Children's Books 2000)
ჯენ ორმეროდი და ლინდსი გარდინერი (Jan Ormerod & Lindsey Gardiner) „Whoosh Around the Mulberry Bush" (Oxford University Press 2007)
ჯულია დონალდსონი და ნიკ შარატი (Julia Donaldson & Nick Sharratt) „Wriggle and Roar! Rhymes to Join in With" (Macmillan Children's Books 2015)

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები - წიგნები მოძრაობებსა და ფიზიკურ მოქმედებებზე

ჯილ კონელი და შერილ მაკქერსი (Gill Connell & Cheryl McCarthy) „ A Moving Child Is a Learning Child: How the Body Teaches the Brain to Think" (Free Spirit Publishing 2014)
ანჟელა ჯ. ჰენსომი (Angela J. Hanscom) „Balanced and Barefoot: How Unrestricted Outdoor Play Makes for Strong, Confident and Capable Children" (New Harbinger Publications 2016)
ფრენს მ. კარლსონი (Frances M. Carlson) „Big Body Play: Why Boisterous, Vigorous and Very Physical Play Is Essential to Children's Development and Learning" (National Association for the Education of Young Children 2011)
ქეროლ არჩერის და ირამ სირაჯი (Carol Archer & Iram Siraj) „ Encouraging Physical Development Through Movement Play" (Sage Publications 2015)
ჯენ უაითი (Jan White) „Every Child a Mover: A Practical Guide to Providing Young Children with the Physical Opportunities They Need" (The British Association for Early Childhood Education 2015)
სელი გოდარდ ბლიზი და მაიკლ ლაზარევი (Sally Goddard Blythe & Micheal Lazarev) „Movement: Your Child's First Language: How Movement and Music Assists Brain Development in Children Aged 3-7 Years" (Hawthorne Press 2018)

ლალა მანერსი, ანნე ო'კონორი, ჯასმინ პაში და კეროლ არჩერი (Lala Manners, Anne O'Connor, Jasmine Pasch & Carol Archer) „Moving Right from the Start: The Importance of Physicality in the Early Years" (Pre-school Learning Alliance 2018)
დენიელ ჰოუელი (Daniel Howell) „The Barefoot Book: 50 Great Reasons to Kick Off Your Shoes" (Hunter House 2010)
ქეროლ სტოქ კრანოვიცი (Carol Stock Kranowitz) „The Out-of-Sync Child: Recognising and Coping with Sensory Processing Disorder" (Skylight Press 2005)
სელი გოდარდ-ბლიზი (Sally Goddard-Blythe) „The Well Balanced Child: Movement and Early Learning" (2nd edition Hawthorne Press 2005)
ანნე ო'კონერი და ანნა დელი (Anne O'Connor & Anna Daly) „Understanding Physical Development in the Early Years: Linking Bodies and Minds" (Routledge 2016)

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები - იდეები და დაგეგმარება

ალისტერ ბრუს-ქლეგი (Alistair Bryce-Clegg) „50 Fantastic Ideas for Physical Activity Outdoors" (Featherstone 2013)
სიუზან ბრევერი (Susan Brewer) „Classic Playground Games: From Hopscotch to Simon Says" (Remember When 2008)
ჯეიკ გრინი და სენდი გრინი (Jake Green & Sandy Green) „Encouraging Early Sports Skills" (Step Forward Publishing 2008)
ბეზილ პაო (Basil Pao) „Hands: A Journey Around the World" (Thames & Hudson 2008) –ს სხვადასხვანაირ მდგომარეობაში ხელების ამსახველი ასობით დიდი ზომის ფერადი ფოტოებით.
ვეინ ე. ნელსონი და ჰენრი გლასი (Wayne E. Nelson & Henry Glass) „International Playtime: Classroom Games and Dances from Round the World" (Fearon Teacher Aids 1992)
ჯილ ქონელი, ვენდი პირი და შერილ მაკქართი (Gill Connell, Wendy Pirie & Cheryl McCarthy) "Move, Play and Learn with Smart Steps: Sequenced Activities to Build the Body and the Brain" (Free Spirit Publishing 2016)
ქეროლ არჩერი და ირამ სირაჟი (Carol Archer & Iram Siraj) „Movement Environment Rating Scale: Improving Physical Development Through Movement and Physical Activity" (Trentham Books 2017)
ჯული მაუნთინის (Julie Mountain) "Outdoors and Active: Resources from a Recent Action Research Project Led by the London Borough of Newham" (The British Association for Early Childhood Education 2017) –ბუკლეტი და ვებ-გვერდი შემთხვევების ანალიზით (ქეის სთადი), www.early-education.org.uk/outdoorsandactive
ლინი გარნერი (Lynne Garner) „Running & Racing (Key issues)" (Featherstone Education 2005)
ჯული ქუინი და ნაომი ვეიჯერი (Julie Quinn & Naomi Wager) "The Little Book of Dance" (Featherstone Education 2004)
ქლერ ბესვიკი (Claire Beswick) „The Little Book of Parachute Play: Making and Using Parachutes in the Foundation Stage" (Featherstone Education 2013)

საიმონ მაკდონალდ (Simon MacDonald) „The Little Book of Playground Games: Simple Games for Out of Doors" (Featherstone Education 2014)
ქეროლ სტოქ კრანოვიცი (Carol Stock Kranowitz) „The Out-of-Sync Child Has Fun: Activities for Kids with Sensory Processing Disorder" (Perigree Books 2003)
„The Sounds of Leaping" – DVD, რომელიც მოგვითხრობს ამბავს იმის შესახებ თუ როგორ გამოიყენება ბავშვების ხტუნვის ენთუზიაზმი „Sightlines Initiative"-ის სიმფონიის შესაქმნელად, www.sightlines-initiative.com (online store under videos & DVDs)

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები - გამოწვევები და რისკები

„Children's Play and Leisure – Promoting a Balanced Approach" („ბავშვების თამაში და დასვენება - ბალანსირებული მიდგომის ხელშეწყობა") (Health and Safety Executive 2012) –განმარტავს ახალ ოფიციალურ და სამართლებრივ პოზიციას ბავშვებისათვის თამაშისა და სწავლის გამოცდილების უზრუნველყოფისას რისკსა და სარგებელს შორის სწორი ბალანსის დაჭერასთან დაკავშირებით, www.hse.gov.uk/entertainment/childrens-play-july-2012.pdf
ჯენ უაიტი (Jan White) „Embracing Life with Enthusiasm" (Community Playthings 2013) – ეს და სხვა სტატიები რისკებთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია უფასოდ შემდეგ ბმულზე www.communityplaythings.com/resources/articles/2013/embracing-life-with-enthusiasm
„Managing Risk in Play Provision: Implementation Guide" („სათამაშო სივრცეში რისკის მართვა: განხორციელების სახელმძღვანელო") (2nd edition National Children's Bureau 2012) – ძირითადი დოკუმენტი, რომლშიც აღწერილია და ახსნილია „Play England and the Play Safety" ფორუმის ოფიციალური მიდგომა „რისკებისა და სარგებლის შეფასებასთან" დაკავშირებით, უფასოდ ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე www.playengland.org.uk
ქესრინ სოლი (Kathryn Solly) „Risk, Challenge and Adventure in the Early Years: A Practical Guide to Exploring and Extending Learning Outdoors" (Routledge 2015)
მელანი უატი (Melanie Watt) „Scaredy Squirrel" (Happy Cat Books 2006)
ჯენი ლინდონ (Jennie Lindon) „Too Safe for Their Own Good? Helping Children Learn About Risk and Life-Skills" (2nd edition National Children's Bureau 2011)
ანნე გლედსტოუნი და გეინორ რაისი (Anne Gladstone & Gaynor Rice) „We're Okay with Risky Play: 50 Exciting Adventures to Build Resilience and Self-Confidence" (Lawrence Educational Publishers 2017)

დამატებითი ინფორმაცია - ანგარიშები, ვებ-გვერდები, დამხმარე ორგანიზაციები და მომწოდებლები

„Active Matters" – დოქტორ ლალა მენერსის დეტალური ვებ-გვერდი ადრეულ ასაკში ფიზიკურ განვითარებასთან დაკავშირებით - ცნობიერების გაზრდისა და ცოდნის გადაცემის ხელშესაწყობად https://www.activematters.org

„Community Playthings" მოგაწოდებთ ერთობლივი ბორბლებიანი სატრანსპორტო საშუალებებისა და ეტლების შესანიშნავ ასორტიმენტს, www.communityplaythings.co.uk

„Jabadao" – მოძრაობის, სწავლისა და ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი გთავაზობთ სპეციალისტების გადამზადებას და ადრეულ ასაკში მოძრაობასთან დაკავშირებულ რესურსებს, www.jabadao.org

„Knock on Wood" – მსოფლიო მუსიკისა და ინსტრუმენტების შესანიშნავი ონლაინ კატალოგი, www.knockonwood.co.uk

სპორტისა და ვარჯიშის მედიცინის ეროვნული ცენტრი (ლაფბოროს უნივერსიტეტში)- ვებ-გვერდზე იპოვით უფასო, ჩამოტვირთვად გამოცემებს დიდ ბრიტანეთში ადრეულ ასაკში ფიზიკური აქტივობის გაიდლაინთან დაკავშირებით www.ncsem-em.org.uk/resources/age-groups/early-years

„Peppa Pig's Muddy Puddle Walk" („პეპა გოჭის გასეირნება ტალახიან გუბეში") – საქველმოქმედო ორგანიზაცია "Save the Children"-ის მიერ ყოველწლიური საქველმოქმედო მოვლენა, რომელიც მაისის თვეში იმართება, www.savethechildren.org.uk

„Physical Activity in Early Childhood: Report by the APPG on a Fit and Healthy Childhood" („ფიზიკური აქტივობა ადრეულ ბავშვობაში: APPG-ს ანგარიში ჯანსაღი ბავშვობის შესახებ (2017) – მოიცავს რეკომენდაციებს ადრეული განათლების დაწესებულებებში გარე თამაშის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, https://royalpa.files.wordpress.com/2018/04/phyactinearlychildhoodoct17.pdf

„Position Statement on Active Outdoor Play (M S Tremblay et al.) "– საერთაშორისო აკადემიური ჯგუფი, რომელიც ახორციელების კვლევას ყველა ბავშვისთვის (International Journal of Environmental Research and Public Health 2015); ხელმისაწვდომია ჩამოსატვირთად შემდეგ ვებ-გვერდზე www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4483712

„Spacekraft" – დამატებითი საჭიროებების დასაკმაყოფილებელი სენსორული პროდუქტები და მოწყობილობები, www.spacekraft.co.uk

„Start Active, Stay Active: A Report on Physical Activity from the Four Home Countries' Chief Medical Officers" (Department of Health, Physical Activity, Health Improvement and Protection 2011) –წარმოადგენს ოფიციალურ სახელმძღვანელოს ადრეული ასაკის ბავშვებისთვის აუცილებელი ფიზიკური აქტივობის მოცულობასა და ტიპებთან დაკავშირებით, რაც ბავშვებს ზოგადი ჯანმრთელობის შენარჩუნებაში შეუწყობს ხელს.

დასკვნა

- ადრეული ასაკის ბავშვებს უყვართ მოძრაობა და ისინი მიისწრაფვიან ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებისკენ. ჩვენ უბრალოდ სრულყოფილად უნდა შევაფასოთ მოძრაობისა და აქტივობის მნიშვნელობა ადრეული ასაკის ბავშვების ჰოლისტური განვითარებისათვის.
- ყველაზე მნიშვნელოვანი იმის გაცნობიერებაა, რომ ფიზიკური განვითარება სხეულის „გამოყენებით" - სხეულის სივრცესა და გრავიტაციის პირობებში მოძრაობით მიიღწევა, მისი ყველა ნაწილის შეგრნებით, მთლიანი სხეულის გამოყენებით, ძალდატანებითა და სირთულეების დასახვით. განვითარება არ ხდება უმოძრაობის, შეზღუდულობის პირობებში ან მოძრაობის თავიდან აცილებით!
- ბავშვებს ფიზიკური განვითრებისთვის ყოველდღიურად სჭირდებათ სხეულის ჩართულობით უამრავი თამაშის, კვლევისა და ექსპერიმენტის შესაძლებლობა, სივრცე, აღჭურვილობა და რესურსები. ეს ბუნებრივად უნდა ხდებოდეს მთელი დღის განმავლობაში, მათ ყველა საქმიანობაში, დახურულ და განსაკუთრებით, ღია სივრცეებში.
- ფიზიკური თამაში ხელს უწყობს ფიზიკურ, გონებრივ და სოციალურ ჯანმრთელობას და კეთილდღეობას, ასევე სწავლას; ამასთან, ზოგიერთი მოძრაობა განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს ამ ასაკის ბავშვების განვითარებაში, მაგალითად, მხედველობის, ბალანსის, სხეულის შეგრძნებისა და კოორდინაციის ჩამოყალიბებში.
- გაუზიარეთ თქვენი ცოდნა და ხედვა მშობლებს და მზრუნველებს, რათა მათ შეაფასონ თუ რას აკეთებენ მათი შვილები, გაიგონ თქვენ მიერ დაწესებულებაში დანერგილი მიდგომები, ისიამოვნონ და სახლის პირობებში დაეხმარონ თავიანთ შვილებს ფიზიკურ აქტივობასა და მოძრაობაში, რაც ასე საჭიროა მათთვის.
- ბავშვებს ყოველდღიურად და მთელი წლის მანძილზე, უამრავი დრო უნდა მივცეთ გარეთ მოძრაობისა და ფიზიკური თამაშისთვის. ჯანსაღი ფიზიკური განვითარება უბრალოდ, ხანმოკლე „ფიზიკური აქტივობების აფეთქებებს" არ უნდა დაემსგავსოს, ეს უნდა იყოს ხანგრძლივი უწყვეტი აქტივობა, რომელიც მთელ რიგ სხვადასხვა მოქმედებას მოითხოვს ადრეულ წლებში.

- გარე სივრცის ყველა ასპექტს ახლავს მოძრაობისა და ფიზიკური აქტივობის შესაძლებლობები - მაქსიმალურად გამოიყენეთ ისინი აქტიური სწავლისთვის, რათა გაზარდოთ ფიზიკური გამოცდილებების ნაირსახეობა და უზრუნველყოთ მოძრაობის მოტივაცია.
- გარე სივრცე მოძრაობისა და ფიზიკური განვითარების განსაკუთრებულად ბევრ შესაძლებლობას მაშინ გვთავაზობს, როდესაც იგი სავსეა ისეთი დამატებითი ელემენტებით, რომლებიც ერთობლივად მიმართულია სხვადასხვა გამოცდილების უზრუნველსაყოფად. გარე სივრცე შეიძლება თანდათან განავითაროთ, რათა მასში ყველა სახის მოძრაობის შესრულება იყოს შესაძლებელი.
- საბავშვო ბაღების გარე სივრცეში სხვა დანიშნულებით არსებული ბევრი ელემენტი, მოწყობილობა თუ რესურსი, საუკეთესოა მოძრაობისა და ფიზიკური თამაშების ხელშესაწყობად.
- პრაქტიკოსები სიხარულით იზიარებენ ბავშვების მოძრაობისა და ფიზიკური აქტივობისგან მიღებულ სიამოვნებას და სიხარულს: უფროსები ბავშვების ფიზიკური თამაშის უდიდეს რესურსს წარმოადგენენ.
- უფროსების მუშაობა უნდა ეფუძნებოდეს ბავშვების ინტერესებსა და მიდრეკილებებს. ევოლუციამ ბავშვებს ჩამოუყალიბა ფიზიკურად აქტიური თამაშის ბიოლოგიური სურვილი, ამიტომ ბავშვებს თამამად შეგვიძლია მივანდოთ მათთვის საჭირო გამოცდილებების ძიება და საკუთარი გამოწვევების დასახვა. ინტერაქცია, დაკვირვება და შეფასება - არსებითად მნიშვნელოვანია დაგეგმარების დროს გავითვალისწინოთ, თუ რა გვინდა უზრუნველვყოთ, დავუშვათ, წავახალისოთ და შევუწყოთ ხელი.
- ბავშვების უსაფრთხოება უმნიშვნელოვანესია, მაგრამ მათ შესაბამისი, უსაფრთხო გამოწვევები სჭირდებათ, რათა წარმატებული ცხოვრებისთვის მომზადება შეძლონ. ჩვენ სრულიად გაცნობიერებული უნდა გვქონდეს ყველა საშიშროება და მათ შემცირებაზე უნდა ვიზრუნოთ. სწორედ ეს არის ის იდეალური შესაძლებლობები, რომლებიც ბავშვებს უსაფრთხოების ზომების სწავლაში დაეხმარება.

სურათი 4.8. ადრეული ასაკის ბავშვები ვითარდებიან მდიდარ გარემოში მოძრაობის შესაძლებლობების მიცემით.

თავი 5
წარმოსახვითი, შემოქმედებითი და გამომხატველობითი თამაში გარეთ

ამ თავში განხილულია შემდეგი საკითხები:

- რას აძლევს შემოქმედებითი და წარმოსახვითი თამაში ადრეული ასაკის ბავშვებს
- რატომ უნდა გავიტანოთ შემოქმედებითი და წარმოსახვითი თამაშები გარეთ?
- შემოქმედებითი თამაშები გარეთ
- ხელოვნება გარეთ
- ქსოვა და სკულპტურების შექმნა გარეთ
- მუსიკა და ცეკვა გარეთ
- წარმოსახვითი თამაში, ამბების თხრობა და სპექტაკლები გარეთ
- როგორ მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი შემოქმედებითი და წარმოსახვითი გარეთ თამაშებისგან
- საბავშვო წიგნები
- დამატებითი ინფორმაცია და რესურსები

რას აძლევს შემოქმედებითი და წარმოსახვითი თამაში ადრეული ასაკის ბავშვებს

შემოქმედებითი თამაში ადრეული ასაკის განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რადგან ბავშვობაშიც და ზრდასრულობაშიც შემოქმედებითობა ჩვენი ცხოვრების ფუნდამენტური ელემენტია. შემოქმედებითი აზროვნების უნარი - სიტუაციის გაანალიზება და ახალი იდეებისა თუ აქტივობების შეთავაზება - ხელს უწყობს სწავლისა და ცხოვრებისთვის საჭირო უნარების, მათ შორის ცნობის-მოყვარეობის, სილაღის, მოხერხებულობის, მცდელობის, ექსპერიმენტირების, პოზიტიური აზროვნების, გამჭრიახობის, „წარუმატებლობებისადმი" პოზიტიური დამოკიდებულების, მოქნილობის, გამძლეობის, ნოვატორობის, არასტანდარტული

აზროვნებისა და აზრებისა და იდეების გამოხატვის უნარების ჩამოყალიბებას. ბავშვები უნდა გავზარდოთ რწმენით, რომ ისინი კრეატიულები იყვნენ, რათა კომფორტულად იგრძნონ თავი გაურკვეველ სიტუაციებში და გადაწყვეტილებების ძიებისას, თუნდაც ამისთვის მეტი დრო შეიძლება დასჭირდეთ. სწორედ ეს ცხოვრებისეული უნარებია საჭირო 21-ე საუკუნეში, რომელიც მუდმივად ცვალებადია. „ჩვენ გვჭირდება ბავშვები, რომლებიც რთულ პრობლემებს თავსატეხებად აღიქვამენ და რომლებსაც ამ თავსატეხების გამოცნობის მიზანსწრაფულობა, შემოქმედებითი რესურსები და უნარები გააჩნიათ" (Gevel Tulley, TED Talk, 2011).

ნათელია, რომ ორიდან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვების ტვინის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი ვლინდება წარმოსახვითი უნარის ჩამოყალიბებასა და მის გამოყენებაში იდეებითა და გრძნობებით სავსე თამაშის დროს. წარმოსახვითი თამაში ნორჩი ტვინების აბსტრაქტული და სიმბოლური აზროვნების სფეროებს ავითარებს და ბავშვს გამოცდილებების გამეორების საშუალებას აძლევს, რათა დაამუშაოს, გაიგოს და გააცნობიეროს ისინი შემდგომი გამოყენებისთვის. წარმოსახვითი თამაში ბავშვებს განსხვავებული მოქმედებების საშუალებას აძლევს სხვადასხვა როლისა და ინტერაქციის ფორმების მორგების გზით; ეხმარება მათ სხვა ადამიანების მოსაზრებებისა და ფიქრების გაგებაში, ეს კი თავის მხრივ, ემპათიის უნარის განვითარებას და ურთიერთობების ჩამოყალიბებას უდევს საფუძვლად. წარმოსახვითი თამაში ძალიან მნიშვნელოვანია ემოციური განვითარებისთვის. ამასთან, ერთობლივი როლური თამაშები ადრეული ასაკის ბავშვების ურთიერთობის ყველაზე ეფექტური და სასიამოვნო გზაა. როლების მორგების მოტივაცია ხელს უწყობს ბავშვებში თვითრეგულირების უნარის განვითარებას, რადგან ასეთი ერთობლივი თამაში ხშირად მოითხოვს გრძნობების მართვას და დაძლევას. ადრეული ასაკის ბავშვები ყველაზე კარგად ამბების თხრობითა და წარმოსახვითი აქტივობებით ფიქრობენ და ურთიერთობენ, შესაბამისად, სასწავლო გეგმით გათვალისწიებულ მიზნებს ყველაზე ეფექტურად ისინი სწორედ ამ გზით აღწევენ.

წარმოსახვა და შემოქმედებითობა განუყოფელია. ახალი იდეების წარმოშობის, არსებული ცოდნისა და იდეების გაერთიანების გზების დასანახად წარმოსახვის უნარია საჭირო.

შთაბეჭდილების მიღება და მისი გამოხატვა ბავშვს სიღრმისეულ აღქმაში ეხმარება და მის გონებას სიახლის, რეალური გამოცდილებების შეგრძნების საშუალებას აძლევს - გრძნობებისა და აზრების თავისებურად გამოხატვის გზით. ლაღი, წარმოსახვითი აქტივობები სპონტანურობის, შემოქმედებითობისა და გამომხატველობის საფუძველია.

შემოქმედებითი, ესთეტიური და გამომხატველობითი თამაშები შესაძლებლობების ფართო სპექტრს მოიცავს და ბავშვების გამოცდილებების დიდ ნაწილს შეიძლება დაედოს საფუძლად. მართლაც, წარმოსახვითი და შემოქმედებითი აზროვნება ბავშვების ნებისმიერი მოქმედების - აღნიშვნების გაკეთება, ხელოვნება, ხატვა, სკულპტურების შექმნა, დიზაინი, მშენებლობა, პრობლემების გადაჭრა, მუსიკა, ცეკვა, მსახიობობა, წარმოსახვით თამაშები (როლური და ბავშვის სამყაროს შესაბამისი თამაშები), ამბების თხრობა, წიგნების გაზიარება და კითხვა - თანმდევი უნდა იყოს. სპონტანური და გამომხატველობითი თამაში შესაძლებელია ისეთ გარემოში, რომელიც მდიდარია პოტენციალით და ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი, მრავალფეროვანი და მრავალფუნქციური მასალებით. მოქნილადაა დაგეგმილი და ბავშვებმა კარგად იციან სად არის მოთავსებული და როგორ გამოიყენონ იქ არსებული რესურსები. ძირითადი რესურსები ყოველთვის გრძელვადიანი დაგეგმარების ნაწილი უნდა იყოს, რათა ბავშვებს შესაძლებლობა ჰქონდეთ რესურსების გამოყენებით ხანგრძლივი კვლევა-დაკვირვების წარმოების, მათი განსხვავებულად, ინოვაციურად და შემოქმედებითად გამოყენების. მოკლევადიანი დაგეგმარების ნაწილი კი ახალი კონტექსტების, ახალი მასალების, ახალი უნარების და გამოწვევების შემოტანაა. ეს ყველაფერი უნდა შეიქმნას ბავშვებზე დაკვირვებისა და მოსმენის საფუძველზე.

რატომ უნდა გავიტანოთ შემოქმედებითი და წარმოსახვითი თამაშები გარეთ?

ღია სივრცე ბავშვებს ისეთ შემოქმედებით თამაშებში ჩაბმის შესაძლებლობებს აძლევს, რასაც დახურული სივრცეები ვერ უზრუნველყოფენ, ამიტომ ღია სივრცის ეს ასპექტი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს და გააფართოვებს ბავშვების შემოქმედებით გამოცდილებებს. გარე სივრცეში ბავშვები მოდუნებას

ახერხებს, მიიჩნევენ რა ამ სივრცეს უფრო თავისუფალ, მოქნილ და სპონტანურ სათამაშო გარემოდ. დიდი სივრცეები მოძრაობის თავისუფლებას და მასშტაბური მუშაობის საშუალებას იძლევა - აქ შესაძლებელია ჯგუფებში, სამ განზომილებიანი და დიდი მასალებით მუშაობა. გარე სივრცე თითქოს მეტ თავისუფლებასა და სტიმულს გვთავაზობს გამომგონებლობისა და ახალი იდეებისთვის. აქტიურობა, ხმაური, მრავალსენსორული შესაძლებლობები და უწესრიგობა - ბევრი ბიჭის საყვარელი თამაშის სტილია. ამიტომ, გასაკვირიც არ არის, რომ ბიჭები გარე სივრცის ისეთ აქტივობებში ერთვებიან - მაგალითად, აღნიშვნების გაკეთება - რომლებითაც დახურულ სივრცეში არ ინტერესდებიან. გარე სივრცე ხელს უწყობს ბავშვების ბუნებრივი მისწრაფებების გამოვლენას, როცა ისინი უკრავენ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, მღერიან ან ცეკვავენ. ღია სივრცეში შემოქმედებითი უნარების გაღვივებას ხელს უწყობს ბუნება, რეალური გამოცდილებები და გარემო. ბევრი როლური თამაში გარეთ უფრო ეფექტურია, რადგან ღია სივრცე მათ მეტ ავთენტობასა და შინაარსს სძენს. ლიტერატურული და მათემატიკური აქტივობები გარე სივრცეში უნდა მიმდინარეობდეს და დაკავშირებული უნდა იყოს აქტიურ და წარმოსახვით თამაშებთან, რათა ბავშვებმა ისინი თვითმართვად აქტივობებად აღიქვან და არა დახურულ სივრცეში შესასრულებელ სამუშაოდ.

გარე სივრცის განვითარება მარტივი და სასიამოვნო საქმიანობაა და ამასთან, სასწავლო პროგრამის გამრავალფეროვნების არაჩვეულებრივი საშუალებაა. ამ დროს მთავარი მიზანია წარმოსახვისა და შემოქმედებითობის ხელშემწყობი პირობების შექმნა: შესაბამისი ადგილების გამოყოფა, მასალებისა და რესურსების უზრუნველყოფა, გარეთ ყოფნის განცდისა და შეგრძნების ხელშეწყობა, ინტერესის პროვოცირება, ბავშვების დაინტრიგება და საკმარისი დროის გამოყოფა მათთვის შემოქმედებითი თამაშის დაწყებისა და განვითარებისთვის. შემოქმედებითობა და ჩართულობა პიროვნულ დონეზე გამოიხატება და შესაბამისად, თითოეული ბავშვის შემთხვევაში თავისებური იქნება. კრეატიული იდეები, როგორც წესი, თავისთავად ჩნდებიან - ისინი თანდათან ვითარდებიან კვლევისა და თამაშის პროცესში, შეუძლებელია მათი წინასწარ გადაწყვეტა თუ დაგეგმვა; სწორედ ამიტომ, ღია სივრცეში ხალისი და დიდი დროის გატარება -ამოსავალი

წერტილია. გარეთ თამაშის ერთადერთი „სტრუქტურა"- უწყვეტი ჩართულობაა, ერთადერთი „მიზანი" ბავშვის მიზანია. გარე სივრცის ყველა ასპექტი მოიცავს შემოქმედებითი აზროვნების ხელშეწყობის პოტენციალს - შთაგონება, პრობლემების გადაჭრა და გამოხატვა ნებისმიერ ადგილზეა შესაძლებელი, ამიტომ ნუ შეზღუდავთ თქვენს გარე სივრცეებს რაიმე განსაკუთრებული „შემოქმედებითი ზონების" გამოყოფით.

შემოქმედებითი თამაშები გარეთ

შემოქმედებითი პროცესის პოტენციურად ქაოტური ბუნების გამო, მნიშვნელოვანია უწესრიგობისთვის, არეულობისთვის და უფროსების დამატებითი ჩართულობისთვის მზად ვიყოთ. ნამდვილი შემოქმედებითი პროცესისთვის მომზადებული გარე სივრცე სამშენებლო მოედანს უფრო გავს, ვიდრე სახელოსნოს! ამ პროცესის ეფექტურობისთვის, მნიშვნელოვანია კარგი საბაზისო ორგანიზება და პრაქტიკები. რესურსები ისე უნდა იყოს განლაგებული, რომ ბავშვებსაც და უფროსებსაც, საჭიროებიდან გამომდინარე, ნებისმიერ დროს ჰქონდეთ მათთან წვდომა. ფარდულში გამოყავით სივრცე მოძრავი კონტეინერებისთვის, რომლებიც ბავშვებს რესურსების სასურველ ადგილას გადატანაში დაეხმარება; ამისთვის ყველაფერი გამოგადგებათ - ურიკები, ლანგრები, ყუთები და ზურგჩანთები. კონტეინერებსა და თაროებს თუ ეტიკეტებს გაუკეთებთ, გაგიმარტივდებათ წესრიგის დაცვა; ყველაზე მარტივი და ეფექტური ეტიკეტები ლამინირებული ფოტოებია. ბავშვები საგნებს თავიანთ ადგილებზე დააბრუნებენ და მთლიანად ჩაერთვებიან დალაგების პროცესში; ამ რუტინის დასამკვიდრებლად ძალისხმევა დაგჭირდებათ, თუმცა უფროსი ბავშვები დაგეხმარებიან ამ პროცესში უმცროსების მართვაში. გახსოვდეთ, თუკი ბავშვები კონტეინერებს ეტიკეტებს გაუკეთებენ და მათ შესანახ ადგილებს განსაზღვრავენ, ეს წესრიგის დაცვას შეუწყობს ხელს. ღია სივრცეში შემოქმედებითი გარემოს შექმნაში პლასტმასის უჯრებიანი, ბორბლებიანი ურიკები დაგეხმარებათ. უჯრები შეგიძლიათ შეავსოთ სხვადასხვა სახატავი რესურსით, ფურცლებით, სამაგრი მასალებით ან მცირე სამყაროს რესურსებით და მარტივად გადაიტანოთ იქ, სადაც შემოქმედებითი საქმიანობა მიმდინარეობს.

დამცავი ტანსაცმელი უმნიშვნელოვანესია, რათა ბავშვებმა თბილად, მშრალად და კომფორტულად იგრძნონ თავი და მთელი წლის მანძილზე თავისუფლად ჩაებან გამომგონებლობასა და უწესრიგო თამაშებში. მოიმარაგეთ ძველი ან წყალგაუმტარი ტანსაცმელი, რადგანაც წინსაფრები, დიდი ალბათობით, ბოლომდე ვერ დაიცავენ ბავშვებს (ფეხებსა და ტერფებს) და ხელსაც შეუშლიან თამაშში, ისევე როგორც საწვიმარი პონჩოები. მიწაზე ჯდომა, ცოცვა და წოლა ბავშვებს გარე სივრცის უფრო ეფექტურად გამოყენების საშუალებას აძლევს; მათ გაჭიმვის, სირბილისა და ხტომის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, ამისთვის კი წყალგაუმტარი კომბინეზონები (სიცივეში ქურთუკების დამატებით) საუკეთესო გამოსავალია. გაითვალისწინეთ, რომ საჭირო იქნება ბავშვების დაბანა და გამშრალება, ასევე ტანსაცმლის გამოცვლა. აუცილებლად შეატყობინეთ მშობლებს თუ რა იგეგმება და რატომ: თუკი ბავშვების პროგრესი თვალსაჩინო გახდება მშობლებისთვის, ისინი გააცნობიერებენ სარგებელს და ითანამშრომლებენ თქვენთან. ხელების დაბანა აუცილებელი იქნება, ამიტომ მოიმარაგეთ თბილი წყლით სავსე ჯამები; გარე სივრცეში მოწყობილი ხელსაბანი ძალიან გაგიმარტივებთ ცხოვრებას.

იდეები ბავშვების ინტერესების შესაბამისად განავითარეთ. ბავშვების ინტერესებისა და იდეების გათვალისწინებით მუშაობა მოტივაციას ზრდის, რაც შედეგად უფრო სრულყოფილ და უფრო ხანგრძლივ ჩართულობას - შესაბამისად, უფრო კომპლექსურ და ღრმა ცოდნის შეძენას - უზრუნველყოფს. მნიშვნელოვანია, რომ სივრცე არ გადატვირთოთ შესაძლებლობებით, ამასთან პერიოდულად შეიტანოთ სიახლეები. სწავლის საუკეთესო პირობა მაშინ იქმნება, როდესაც ადრეული განათლების გარემოს ორივე მხარე ერთიანდება. შიდა სივრცის გარკვეული რესურსები გარეთ გაიტანეთ, ასევე გარე სივრცის სტიმულები დახურულ სივრცეში შემოიტანეთ. იმუშავეთ ორივე გარემოში იმის გამოყენებით, რაც განასხვავებს მათ, მაგალითად, მასშტაბის გაფართოების შესაძლებლობა. ღია სივრცეში მიღებული გამოცდილებები დახურულ სივრცეში გააღვივებს იდეებს და პირიქით. ამ თავის ბოლოს დამატებითი რესურსების ნაწილში კარგად ჩანს, “Cambridge Curiosity and Imagiantion” და “Sightlines

Initiative and Reggio Children" თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს „დაკავშირებული შიდა სივრცე" გარე სივრცეში მიღებულ გამოცდილებებთან.

ხელოვნება გარეთ

რესურსები ხელოვნებისა და აღნიშვნების გასაკეთებლად

- ეტლები, ხელსაწყოების ყუთები და სხვა მოძრავი კონტეინერები რესურსებისთვის (ხელმისაწვდომია საყოფაცხოვრებო ნივთების მაღაზიებში)
- დამცავი ტანსაცმელი - საწვიმარები და განსაკუთრებით, წყალგაუმტარი კომბინეზონები
- ქაღალდი, შპალერისა და გაზეთების ხვეულები
- პლასტმასის მოზრდილი ფირფიტა (საყოფაცხოვრებო ნივთების მაღაზიიდან), შხაპის თეთრი ან გამჭვირვალე ფარდები
- ბაზრის დახლის გამჭვირვალე სახურავი, გამჭვირვალე ქოლგა
- კედელზე დამაგრებული ან ხის ჩარჩოში ჩამაგრებული აკრილის ფირფიტები (Perspex-ის ბრენდის); ჩარჩოში ჩამაგრებული ფირფიტები ორივე მხარეზე მუშაობის საშუალებას მოგცემთ და უფრო თვალსაჩინოა
- თუკი აკრილის ფირფიტების ჩარჩოს კედელზე ანჯამებით მიამაგრებთ, საჭიროებისას მის გადაწევას შეძლებთ (აქ ფრთხილად უნდა იყოთ, რომ ბავშვებს ანჯამებში არ მოყვეთ თითები)
- პოლიესტერის/ბამბის ფირფიტები
- მუყაოს დიდი გახსნილი ყუთები, რათა დიდი მუყაოს „ტილო" გამოგივიდეთ
- შეღებილი ფანერის ფიცარი (კედელზე მიმაგრებული ან ღობეზე კაუჭებით ჩამოკიდებული)
- სამაგრიანი დაფები
- საკიდები, სამღებრო წებოვანი ლენტი, წებოვანი ლენტი და თოკი
- სხვადასხვა ფერის საიზოლაციო ლენტი
- კალმები, ნახშირი, ფანქრები, პატარა პალიტრები, ფერადი ფანქრები, ცვილის ფანქრები (დასახეხად/დასაზელად), დიდი ფლომასტერები

- დიდი რაოდენობით სქელი და ფილაქანზე სახატავი ცარცი, თეთრიც და ფერადიც
- სხვადასხვა სიგრძისა და სისქის ჯოხები
- სქელი და თხელი საღებავი ბოთლებში - შესასხურებლად, შესაფრქვევად ან დასაწვეთებლად
- საპარსი ქაფი (მგრძნობიარე კანისთვის), წებოვანი გელი, სიმინდის ფქვილი, საპნის ფანტელები ან სხვა მსგავსი მასალა
- საღებავის ჭიქები დამცავი თავსახურით, სპრეის ბოთლები, შესასხურებელი ბოთლები (შეგიძლიათ გამოიყენოთ კარგად გასუფთავებული საყოფაცხოვრებო ბოთლებიც, მაგალითად სოუსის ბოთლი)
- საბავშვო საღებავი ფუნჯები, სხვადასხვა ზომის - სტანდარტულით დაწყებული, სულ წვრილამდე (ფილინგარული სამუშაოებისთვის)
- უფრო დიდი სადეკორაციო ფუნჯები, ქვაზე და შპალერზე სახატავი ფუნჯები
- ემულსიური საღებავის დიდი და პატარა ლილვაკები (ხელმისაწვდომია საყოფაცხოვრებო ნივთების მაღაზიებში) და საღებავის ლანგარი
- სხვადასხვა ზომისა და ფორმის ღრუბელი
- ბუზის საკლავები, სამზარეულოს ჯაგრისები, იატაკის საწმენდი პატარა ჯოხები და სამზარეულოს სხვა საგნები - საღებავების ზედაპირზე დასატანად
- საბავშვო ზომის იატაკის საწმენდი ჯოხები და გრძელტარიანი ცოცხები
- წელზე სატარებელი საკალმეები, ჯიბეებიანი ქამრები, ბაღის ჯიბეებიანი ჩანთები, ხელსაწყოების ყუთები, ჩანთები, პატარა ზურგჩანთები და ფეხსაცმლის ორგანაიზერები (სცადეთ IKEA) - სახატავი რესურსების შესანახად
- სარეცხის პატარა კალათები სველი ფუნჯებისა და სხვა აპლიკატორებისთვის (პატარა ზომის კალათები შეგიძლიათ ღობეებზე ჩამოკიდოთ)
- ბუნებრივი მასალები, შუშის მძივებით, ფერადი და ბრჭყვიალა ელემენტებით გაფორმებული
- გადამუშავებული მასალები, მაგალითად, მუყაოს ყუთები და მილები

- გამადიდებელი შუშები საგნების ახლოდან დასათვალიერებლად, A5 ზომის რუკების წასაკითხი გამადიდებელი შუშა
- სამზარეულოს/საპირფარეშოს რულონებით დამზადებული ჩარჩო (ხედებზე ფოკუსირებისთვის)
- ფერადი ფარები, პერგამენტის გამჭვირვალე ფერადი ფურცლები, უსაფრთხოების სარკეები
- ციფრული კამერები (ტექნიკის მაღაზიაში ხელმისაწვდომია სხვადასხვა კამერა, მათ შორის საბავშვო კამერები)

ხელოვნება და ხატვა გარეთ

ნებისმიერ ღია სივრცეს უდიდესი პოტენციალი აქვს ისეთი რესურსებით სათამაშოდ, რომლებითაც სხვადასხვა სახის აღნიშვნების გაკეთება შეიძლება. ბავშვებს მიწაზე და სხვა ზედაპირებზე მასშტაბური სამუშაოების შესრულება შეუძლიათ მოქმედების, უწესრიგობისა და გამომგონებლობის თავისუფლებით. მეორეს მხრივ, მათ საშუალება აქვთ აღმოაჩინონ ბუნებრივი

სურათი 5.1 გარე სივრცე ხელს უწყობს ბავშვების წარმოსახვითი და შემოქმედებითი უნარის განვითარებას

სურათი 5.2. გამოიყენეთ ვერტიკალური ზედაპირები ფართომასშტაბიანი მხატვრობისთვის

და შექმნილი სამყაროს მომაჯადოვებელი დეტალები. ადრეული ასაკის ბავშვები სიხარულით იმუშავებენ იატაკზე, ამიტომ მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახადეთ მათთვის ყველა სახის ზედაპირი, მყარიც და რბილიც, მათ შორის, ასფალტი, ქვაფენილი, ბალახი, ქვიშა, ქერქი, კედლები და ღობეები. ღობეებითა და კედლებით წარმოდგენილი ვერტიკალური ზედაპირები ნაკლებად გამოიყენება ღია სივრცეებში და ეს განზომილება ხშირად ხელმიუწვდომელია ბავშვებისთვის დახურულ სივრცეში. ფართო მასშტაბები ბავშვებს ერთდროულად ორივე ხელით მუშაობის, შუა ტანის გამოყენებით ლაღი მოძრაობების შესრულების (რაც სასარგებლოა ტვინის, ასევე წერა-კითხვის უნარის განვითარებისთვის), სხვა ბავშვებთან თამაშის ან ერთობლივი ქმნილებების შექმნის საშუალებას აძლევს. თუკი ვერტიკალური ზედაპირები ორივე მხრიდან მისადგომი იქნება (მაგალითად, ჩამოკიდებული პლასტმასის ან აკრილის ფირფიტები), ბავშვები პირისპირ მუშაობას შეძლებენ, რაც ხელს შეუწყობს ინტერაქციას, ინტრიგას, ექპერიმენტირებას და ხალისიან აქტივობას. წყლის საღებავი და ცარცი ნებისმიერი კედლიდან ირეცხება (თუკი ზედაპირი ნაკლებად ფოროვანია), თუმცა სახატავ ზედაპირებად შეგიძლიათ დიდი დაფები ან ფიქალის ნაჭრებიც გამოიყენოთ. გააკეთეთ დაფები ემულსიით ან სასკოლო დაფების საღებავით დაფარული საზღვაო/ლამინირებული ფანერებით. დეფორმაციის შემცირების მიზნით უკანა მხრიდან ლაქით დაფარეთ. ღობეებზე დიდი ზომის კაუჭები დაამაგრეთ (რომლებსაც, ჩვეულებრივ, ფარეხებში ველოსიპედების ჩამოსაკიდად იყენებენ) დაფების ჩამოსაკიდად - ეს მათი შენახვის ან სხვაგან გადატანის საშუალებას მოგცემთ. კედლის აგურების საბაზისო ფერის საღებავით შეღებვა გაალამაზებს გარემოს და შესანიშნავი ზედაპირი იქნება ბავშვებისთვის წყლის ჩამოსარეცხი საღებავებით ნახატების შესაქმნელად; პერმანენტული საღებავებით შესრულებული მხატვრობა შეიძლება ძალიან ლამაზი იყოს, მაგრამ მაშინ ბავშვებს ნაკლები სამუშაო ადგილი დარჩებათ. ბამბის ფირფიტები, უბრალო საშხაპე ფარდები და შპალერის ხვეულები არაჩვეულებრივი დროებითი სახატავი ტილოებია, როგორც მიწაზე გაშლილი, ასევე ღობეზე დამაგრებული. დიდი ზომის ვინილის პოსტერები, რომლებსაც სუპერმარკეტები და სკოლები სარეკლამოდ იყენებენ, უკანა მხრიდან თეთრია და იდეალურია უზარმაზარი, მუდმი-

ვი სახატავი ზედაპირის შესაქმნელად. მოიკითხეთ მაღაზიებში/სკოლებში ან იქნებ იქ დასაქმებულ მშობლებს შეუძლიათ ასეთი მეორადი პოსტერების შოვნაში დახმარება.

ბევრ ბიჭს წერას ხატვა ურჩევნია, ისინი სიხარულით ერთვებიან მიწაზე ცარცით ჯგუფურ ხატვაში; მოიმარაგეთ საკმარისი რაოდენობის ცარცი, რათა აქტივობების სრულად განვითარება შეძლოთ ამ მიმართულებით. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია პატარა კომფორტული ადგილების გამოყოფა, სადაც გარე სამყაროთი შთაგონებული ბავშვები დაჯდომას და სამაგრიან დაფებზე ხატვას შეძლებენ. ხელსაწყოების პატარა მოძრავი ყუთით სახატავი მასალების მიწოდება, ან სახატავი ნაკრების ქამრები შეუწყობს ამ აქტივობას ხელს.

ხელოვნებისა და სახატავი რესურსების ორგანიზება გარე სივრცეში

რადგანაც სამხატვრო აქტივობები თქვენი ღია სივრცის ნებისმიერ ადგილას შეიძლება მიმდინარეობდეს, შესაბამისი მასალებიც მოძრავი უნდა იყოს. ასევე საჭიროა მასალების ორგანიზებულად შენახვა და მიმზიდველად წარმოდგენა, რათა ისინი არ აირიოს ერთმანეთში და არ შეაფერხოს ხარისხიანი შემოქმედებითი პროცესი. ბავშვებს რესურსების მოვლა უნდა ასწავლოთ, შეცვალოთ გამოყენებული მასალები და ყოველდღიურად მიაქციოთ ყურადღება, რათა რესურსები განახლებული და მიმზიდველი იყოს ბავშვებისთვის.

A3 ზომის, არაღრმა უჯრებიანი ურიკები შეგიძლიათ შეავსოთ ქაღალდით, ხელნაკეთი ბუკლეტებით, როლური თამაშებისთვის წინასწარ მომზადებული ანკეტებით, ასევე საკიდებით, სახატავი და სხვა რესურსებით. ფეხსაცმლის ორგანაიზერი (ხელმისაწვდომია IKEA-ში და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების მაღაზიებში) გამოგადგებათ სახატავი ფუნჯებისა და სხვა მასალების შესანახად; ასევე, ზოგიერთ საშხაპე ფარდას აქვს ჯიბეები აბაზანის სხვადასხვა საგნის ჩასალაგებლად; შეგიძლიათ ისინი ღობეზე მიამაგროთ იქ, სადაც ბავშვები მუშაობენ. ხელსაწყოების პატარა პლასტმასის ყუთები და ჩანთები, რომლებიც განკუთვნილია საყოფაცხოვრებო საწმენდი საშუალებების შესანახად, გამოგადგებათ სამხატვრო კომპლექ-

ტებისა და საღებავის ბოთლების ჩასალაგებლად. ეს და პატარა ზურგჩანთები ძალიან იზიდავს იმ ბავშვებს, რომლებიც შენახვისა და ტრანსპორტირების სქემებს იკვლევენ; მძიმე ზურგჩანთებიც კარგი გამოწვევა იქნება ბავშვებისთვის! რძის ყუთი სასარგებლო კონტეინერია მზა საღებავის შესასხურებელი ბოთლების შესანახად. ფარდულში მოამზადეთ თაროები ამ კონტეინერების ისეთნაირად დასალაგებლად, რომ ისინი მარტივად ხელმისაწვდომი იყოს ბავშვებისთვის. კონტეინერების და რესურსების შეხამება სახალისო პროცესია: სცადეთ სხვადასხვანარად შეხამება, რათა ბავშვებს ბევრი შესაძლებლობა მისცეთ და გაარკვიოთ თუ რომელი სამუშაო შეესაბამება თქვენს კონკრეტულ სიტუაციას ყველაზე მეტად.

ღია სივრცეში სამუშაო რესურსები: საღებავი, ცარცი, ხატვა და წერა

სცადეთ ბავშვებს ისეთი გამოცდილება მისცეთ, რომლებსაც დახურულ სივრცეში ვერ მიიღებენ და რომლებიც გარეთ ყოფნის განსაკუთრებულობას ეფუძნება. აღსანიშნავია, რომ წყლის საღებავი მარტივად ირეცხება ზედაპირებიდან. საღებავი მყარი კონტეინერით, ლანგრებითა და ბოთლებით მიაწოდეთ ბავშვებს. შეამხეფეთ, შეასხურეთ, დააწვეთეთ და გააკეთეთ აღნიშვნები და ნაკვალევები საღებავებით, ასევე გამოიყენეთ სხვადასხვა სახის აპლიკატორები და დიდი ფუნჯები საღებავის დასატანად; დროთა განმავლობაში შესაძლებელია საყოფაცხოვრებო, ბაღისა და დეკორატიული მარაგების საინტერესო კოლექციის შექმნა. თავისუფლად გამოიყენეთ ისინი დიდ ზედაპირებზე; გამოსცადეთ სხვადასხვა ზედაპირებზე; გამოიყენეთ სქელი და თხელი საღებავი სახატავი ზედაპირიდან ჩამოსაღვენთად; შეასხურეთ წყალი საღებავით შეღებილ ზედაპირებს და დააკვირდეთ თუ როგორ ირევა და ერთდება ფერები; დიდი პლასტმასის ფირფიტის ორივე მხარეს ერთდროულად დახატეთ საღებავით; ხატეთ წვიმაში და მშრალ ზედაპირებზე; დაიტანეთ საღებავიანი ხელის ანაბეჭდები კედლებზე; გაჭყლიტეთ საღებავის მზა ნარევი გამჭვირვალე ფურცლის ორ ფენას შორის; ჩაასხით საღებავი გუბეში, რათა ბავშვებმა ველოსიპედებით ან ბოტებით გადაიარონ; გაატარეთ ბავშვები ქაღალდზე შიშველი ტალახიანი ფეხებით.

გამოიყენეთ თქვენს ირგვლივ არსებული სტიმულები, რათა წაახალისოთ შემოქმედებითი პროცესი, მაგალითად, შემოდგომაზე ბავშვებს წითელი და ყვითელი საღებავები შესთავაზეთ. მოუყევით თაგვი ფრედერიკის შთამაგონებელი ამბავი, რომელიც გაზაფხულის ფერებს მთელი ზამთარი უნახავდა სხვა თაგვებს: „და როდესაც მან თაგვებს ცისფერი ლოკოკინების, ყვითელ ხორბალში ამოსული წითელი ყაყაჩოების და კენკრის ბუჩქის მწვანე ფოთლების შესახებ მოუყვა, მათ ისე ცხადად დაინახეს ფერები, თითქოს ისინი აღბეჭდილი იყო მათ გონებაში" (*Frederick*, Leo Leonni, 1971).

ცარცი საუკეთესო ინტერაქციული და სენსორული მასალაა გარე სივრცეში გამოსაყენებლად, განსაკუთრებით იმიტომ, რომ იგი ხელს უწყობს ბიჭების ჩართვასაც სახატავ აქტივობებში, ამასთანავე, ასფალტის, ქვაფენილისა და კედლების ვრცელი სივრცეები ბავშვების ერთობლივ მუშაობას ახალისებს. მათ შეიძლება შედარებით რთული საგზაო რუკების დახატვა მოუნდეთ, რითაც აჩვენებენ, რომ იციან ბაღის გზა და იცნობენ თავიანთ უბანს. სველი ცარცით სხვანაირად იხატება - შესთავაზეთ ბავშვებს წვიმაში და წვიმის შემდეგ სველ ზედაპირებზე დახატვა. ცარცი მარტივად შორდება, რასაც თავად ბავშვები სიხარულით გააკეთებენ წყლითა და ჯაგრისებით, ან შეიძლება უბრალოდ დააკვირდნენ, თუ როგორ შლის წვიმა მათ ნახატებს თანდათან. დააკვირდით თუ რას გრძნობენ ბავშვები ხელებსა და მკვლავებში ცარცით ხატვის დროს, ეს შეგრძნება განსაკუთრებით სასიამოვნოა საბურავის ზედაპირების მოხატვის დროს. დიდი ალბათობით, ისინი ასევე აღფრთოვანდებიან ხელებზე დაგროვებული ცარცის ფხვნილით და შეიძლება ამით თამაში მოუნდეთ. აუცილებლად მიეცით ბავშვებს დრო და საშუალება ამ პირადი შეგრძნების საკვლევად და აჩვენეთ მისი ღირებულება.

ბავშვებს ღია სივრცეში სახატავად ბევრი რამ შთააგონებთ, განსაკუთრებით ცოცხალი არსებები. სწორედ ასეთ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კარგი რესურსებით დატვირთული მოძრავი ურიკები ან ხელსაწყოების ყუთები, რომლებიც მომენტის დაჭერის საშუალებას მოგცემთ. ციფრული კამერა დაგეხმარებათ ასეთი ხანმოკლე მომენტის გადასაღებად და შემდგომ დაკვირვების გასაგრძელებლად. მოამზადეთ მასალების კარგი მარაგი, დაახარისხეთ ისინი, დააკვირდით და დაფიქრდით რამ

შეიძლება შეუწყოს ხელი ბავშვებისთვის სასურველ მოქმედებას და შესაბამისად შეავსეთ მარაგები. შეუერთდით ბავშვებს ამ აქტივობებში, რათა ხატვის პარალელურად მიმდინარე საუბრებით კიდევ უფრო სასიამოვნო გახდეს პროცესი, ამ მხრივ ჯგუფურად ხატვა განსაკუთრებით ეფექტური იქნება.

ღია სივრცე ბავშვებს უამრავ წამახალისებელს სთავაზობს რეალური მიზნებით წერისა და ჩართულობისთვის, იმათაც კი, ვისაც დახურულ სივრცეშიც არ უყვარს წერა. ამ დროს უფროსების როლია - ყურადღებით და მომზადებულები შეხვდნენ ასეთ წამახალისებლებს და ხელი შეუწყონ მათ გამოყენებას. ხშირად საჭიროა ნიშნების, მინიშნებებისა და ეტიკეტების მომზადება, განსაკუთრებით როლური თამაშების ხელშესაწყობად და სივრცის გასაფართოვებლად; ზოგჯერ თამაში დამალული განძის რუკების, ინსტრუქციებისა თუ საიდუმლო შეტყობინებების შექმნას მოითხოვს; ბავშვებმა შეიძლება ნანახი ჩიტების ან მწერების ჩაწერა მოისურვონ, ან კიდევ „კითხვების წიგნის" და „იდეების წიგნის" შევსება.

ღია სივრცეში სამუშაო რესურსები: ბუნებრივი მასალები, ამინდის ელემენტები და ახალი პესპექტივები

ბუნებრივი რესურსები შეიძლება შემოქმედებითად გამოვიყენოთ როგორც დროებით, ასევე მუდმივად, ისინი მშვენიერი არიან და მათი გამოყენება უსასრულოდ შეგვიძლია მიწაზე ფიგურების, მანდალების, მოზაიკების, სურათების, სკულპტურებისა და ფორმების დასახატად. დაუმატეთ ფერადი და ბრჭყვიალა ელემენტები, მაგალითად, მინის მძივები, ვიზუალური და ტაქტილური მიმზიდველობის გასაძლიერებლად. ფერადი საღებავებით შეფერილი და გაპრიალებული რიყის დიდი ზომის ქვები, არაჩვეულებრივი რესურსია ფიგურების შესაქმნელად. თაბაშირში, თიხაში ან ცემენტში ჩალაგებული ნიჟარები და კენჭები შეგიძლიათ საფეხურების სახით დაალაგოთ ნარგავებს შორის და ბალახში.

ტალახი, ძალიან სველი ქვიშა, წებოვანი მასა (სიმინდის ფქვილის, წყლისა და საკვები საღებავის ნარევი) და სლაიმი (წყალში ათქვეფილი საპნის ფირფიტები) ან საპარსი ქაფი შე-

გიძლიათ საძერწად გამოიყენოთ, ასევე ჯოხებითა და თითებით წვეთები და აღნიშვნები გააკეთოთ მიწაზე. გამოიყენეთ სხვადასხვა ამინდით განპირობებული შესაძლებლობები შემოქმედებითი თამაშებისა და აღნიშვნების გასაკეთებლად - მაგალითად, თოვლში შეგიძლიათ ანაბეჭდები, ბილიკები და ფიგურები გააკეთოთ ფეხებით, ტოტებით ან ცოცხებით, ასევე შეგიძლიათ თოვლის „ანგელოზებისა" და სხვა ადამიანებისა თუ ცხოველების მოდელების შექმნა. თავის წიგნში „Making My Own Mark" (2006, გვ. 57-58) ჰელენ ბრომლი (Helen Bromley) გვთავაზობს წვიმაში, ნისლში, ყინვაში, თოვლში, ქარში და მზიან ამინდში აღნიშვნების სხვადასხვა შესაძლებლობის შესანიშნავ ჩამონათვალს.

შემოქმედებითობის შთაგონება მაშინ ხდება, როცა ბავშვებს სამყაროს ახლებურად დანახვას ვთავაზობთ. აქ შესაძლებელია საგნებს გამადიდებელი შუშებით, ასევე სამზარეულოს ხელსახოცის რულონით ან მუყაოს ამოჭრილი ჩარჩოთი გაკეთებული „ოპტიკური ხელსაწყოებით" დააკვირდეთ; შეგიძლიათ სპეციალური სათვალით საგნების ჭიანჭველის ზომამდე დაპატარავება, ტელესკოპით ან ბინოკლებით მათი შორს „გატანა" და მაღლა „ატანა"; ასევე შესაძებელია ძელზე თავდაყირა ფეხებით ჩამოკიდებულ მდგომარეობაში „ამობრუნებული" საგნების დათვალიერება. შეისწავლეთ სამყარო დიდი ზომის ფერადი პერგამენტის ფურცლების მეშვეობით, დააკვირდით წარმოქმნილ ფერად ჩრდილებს. კამერები უკვე ნაცნობი საგნების სხვანაირად დანახვის საუკეთესო საშუალებაა. გახსოვდეთ, რომ ბავშვები ისედაც უფროსებისგან განსხვავებულად უყურებენ სამყაროს: ყურადღებით მოუსმინეთ და იხელმძღვანელეთ იმით, რასაც ბავშვები შეამჩნევენ და მოახდენენ რეაგირებას.

ქსოვა და სკულპტურების შექმნა გარეთ

რესურსები გარეთ ქსოვისა და სკულპტურების შექმნისთვის

- ბაღის ბადე
- ბაღის საბჯენები (პატარა სივრცეებით) და ტირიფის/თხილის დაწნული პანელები
- კედელზე ანჯამებით მიმაგრებული ბადისებრი ჩარჩო ქსოვის საშუალებას მოგცემთ, თანაც შესაძლებელია მისი სა-

ჭიროებისამებრ გადაწევა (ყურადღება მიაქციეთ, რომ ბავშვებს ანჯამებში არ მოყვეთ თითები)

- ნარინჯისფერსი პლასტმასის სამშენებლო ბადე (Harris-ის ბადე)
- პურისა და რძის ყუთები
- ღუმელის ძველი სინი
- ტირიფისა და ბამბუკის ლერწამი (უსაფრთხოებისთვის ბოლოებზე შემოახვიეთ ლენტი)
- დეკორატიული ლენტები, აბრეშუმის ლენტები, კრეპის ქაღალდი
- შალის ძაფი, თასმა, თოკი, გადასაკრავი ლენტი
- ნავის საიზოლაციო ლენტების დიდი ხვეულები (ხელმისაწვდომია წვრილმანების მაღაზიაში)
- დიდი რაოდენობით ფერადი და მბზინავი ქსოვილების ერთმეტრიანი ნაჭრები
- ფერადი პლასტიკის ჩანთები (ზოლებად დაჭრილი)
- მოსართავები და გირლანდები
- ფერადი პლასტმასის საკიდები (IKEA)
- ძველი კომპაქტ-დისკები, მძივები, ბოთლების თავსახურები, ნიჟარები და სხვა მბზინავი ან თვალისმომჭრელი ნივთები
- ბუნებრივი მასალები
- კარის პლასტიკის ფარდა
- რბილი ლახტები - ხელმისაწვდომია სხვადასხვა ფერში
- გრძელი თოკი (მთამსვლელთა ძველი თოკები იდეალური იქნება - მოძებნეთ სპორტის მაღაზიებში)
- მუყაოს ყუთები, ხალიჩის რულონები, პლასტმასის კოჭები/მასრები
- მორები, ხის ნაჭრები, დიდი და პატარა ტოტები
- დრეკადი ხის მოჭრილი ტოტები
- მრგვალი და ბრტყელი რიყის ქვები, მაგალითად, მწვანე, შავი და მეწამული ფიქალი, „ცისარტყელა" ზოლიანი ქვიშაქვა, თეთრი კვარცი, იისფერი და შავი მარმარილო (საოჯახო მეურნეობის ცენტრებში ხელმისაწვდომია ბევრი დეკორატიული ამოსავსები მასალა ბაღისთვის; ასევე ნასვრეტიანი ქვების ნაკრები).

თუკი თქვენი ღია სივრცე მავთულიანი ბადით არის შემოღობილი, თქვენ უკვე გქონიათ გამზადებული „ტილო" ფართო-

მასშტაბიანი ქსოვისთვის. ადრეული ასაკის ბავშვებს ხშირად იზიდავთ სქემატური კვლევები საგნების მოძრაობასთან „შიგნით და გარეთ", „ობიექტების გავლით" და „შეერთებებთან" დაკავშირებით; ამასთან ეს აქტივობა გააუმჯობესებს თქვენი საზღვრების იერს, განსაკუთრებით არამიმზიდველ ან ძალიან ღია მონაკვეთებში. ქსოვა ხელს უწყობს კუნთების განვითარებას, რაც აუცილებელია წერისთვის, გარდა ამისა, იგი სასიამოვნო გამომხატველობითი გამოცდილებაა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ნამუშევარი ხელოვნების მუდმივ ნიმუშად დარჩება, ღია სივრცეში დროებითი ქსოვის ბევრი შესაძლებლობაც უნდა არსებობდეს - სხვადასხვა წვრილი და ფართო ბადეები, მაგალითად, ღობეებზე, ხის საბჯენებზე და ტირიფის ან თხილის დაწნულ პანელებზე, პლასტმასის ბადეები აგრარული მეურნეობის ცენტრებიდან - ბავშვების სიმარდის ხელშესაწყობად. ნარინჯისფერი პლასტმასის დროებითი ღობე, რომელსაც სამშენებლო მოედნებზე იყენებენ (Harris ბადე), ზუსტად პატარა ხელების შესაფერისი ზომისაა, მასზე მუშაობა უფრო ადვილია, ვიდრე პატარა სივრცეებში თითებით ქსოვა. ხის საბჯენები და დაწნული პანელები შეგიძლიათ ორივე მხრიდან გამოიყენოთ, რაც იდეალურ ტიხრებს ქმნის ღია სივრცეში მშვიდი ზონების გამოსაყოფად. მცირე ზომის ღია სივრცეებში საკმარისი იქნება ღუმელის სინის კედელზე მიმაგრება, რათა ბავშვებმა ზედაპირზე ქსოვილის ზოლებით, ლენტებითა და გოფრირებული ქაღალდით მოქსოვონ. ასეთი აქტივობებით დაინტერესებული ბავშვები სხვა ადგილებსაც იპოვიან ქსოვისა და კვანძების შესაკრავად, მაგალითად, რძისა და პურის ყუთების ბადისებრი ფსკერი და ხეების პატარა ტოტები. მასშტაბის თვალსაზრისით, ბალახში ჩარჭობილი ლერწმების რიგი მსხვილად ქსოვის საშუალებას იძლევა - თუკი ლერწმები მოშორებით იქნება ჩარჭობილი, ბავშვები თავად შეძლებენ მათ შორის მოძრაობას და ქსოვას გრძელი თოკით და ამ გამოცდილების მთლიანი სხეულით შეგრძნებას (ამ მოძრაობას უხდება სიმღერა "In and Out the Dusty Bluebells"). ცემენტით სავსე სათლში სახელურით ჩამაგრებული ცოცხის გამოყენებით მაისის ხის გაკეთებით და მასზე გრძელი ფერადი ლენტების მიმაგრებით, ერთდროულად ცეკვისა და ქსოვის წახალისება შეგიძლიათ. ეცადეთ ყოველწლიურად ჩაანაცვლოთ და გააფართოვოთ ნაქსოვი ნამუშევრები, რათა ამ

აქტივობაში ახალი ბავშვები ჩართოთ; საოჯახო ქსოვის დღის შემოღება, თქვენი შეუხედავი ღობეების დაფარვის არაჩვეულებრივი საშუალება იქნება.

შეაგროვეთ ბევრი საქსოვი მასალა და შეინახეთ ისინი კონტეინერებში ან კალათებში, საიდანაც ბავშვები თავად შეარჩევენ სასურველ მასალას - თოკებს, ფერად ზოლებს, მბზინავ ქსოვილებს, დამუშავებულ და დაუმუშავებელ მატყლს, ქსოვილის ზოლებს, მაღაზიის ფერად ჩანთებს, ყვავილებისა და აბრეშუმის ლენტებს, დრეკად ტოტებს და სხვა ნებისმიერ მასალას, რომელიც ამ მასშტაბის ქსოვისთვის გამოდგება. ასევე შეაგროვეთ ფერადი, ბრჭყვიალა და ბუნებრივი საგნები, რომელთა მიკერება ან ჩაქსოვაა შესაძლებელი, მაგალითად ძველი CD-ები, ნიჟარები, კენჭები, პატარა პლასტმასის სათამაშოები, მძივები, ფოლაქები, ფოთლები და სხვა.

გარე სივრცეში დეკორატიული ნივთები მალევე პოპულარული გახდება. ბავშვებს თუ ლამაზ მბზინავ ლენტებს მისცემთ, სრულიად შეიცვლება თქვენი გარე სივრცის იერსახე საშობაოდ! მორთეთ ხეები ნებისმიერი ნივთით რაც თავში მოგივათ, ჩამოკიდეთ ისინი ხის ტოტებზე და ტოტების ბოლოებზე. კარების დეკორატიული დამცავი ბადეების (ზაფხულში მწერებისგან დასაცავად გამოიყენება) წვრილ ზოლებს თუ რამდენიმე ნაწილად შეკრავთ, უფრო ლამაზი იქნება ვიზუალურად, ქარის დროს იმოძრავებს და ბავშვებისთვის ლაბირინთის მსგავსს გასასვლელებს შექმნის. ნაჭრის ფლუგერები და ალმები საკუთარი ხელით შეგიძლიათ გააკეთოთ - დახვეული ბამბის ქსოვილის ცივი წყლის საღებავით შეღებეთ. ბავშვებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ წარმოსახვითი თამაშებისთვის მომზადებული ქსოვილები და ბალახზე შექმნან „ნახატები" გადაცემა „Art Attack[1]"-ის სტილში.

ღია სივრცეში უამრავი საშუალებაა დიდი ზომის სკულპტურების შესაქმნელად. ტირიფისა და ბამბუკის ჯოხები, მუყაოს ყუთები, მუყაოს მილები ხალიჩის რულონებიდან, პლასტამასის რგოლები, ხეები და სხვა ნებისმიერი მოპოვებული, ბუნებრივი თუ გადამუშავებული მასალა არაჩვეულებრივ რესურსებს წარმოადგენენ ამ აქტივობისთვის. ბავშვებს მუყაოს ყუთებითა და ქსოვილის ნაჭრებით ჩინური დრაკონების შექმნა შეუძლიათ, შემ-

1 მთარგმენლის შენიშვნა: პოპულარული ბრიტანული შემოქმედებითი გადაცემა ბავშვებისთვის.

დეგ კი მათი მორგება და ცეკვა, დიდი და ხმაურიანი ხელნაკეთი მუსიკალური ინსტრუმენტების თანხლებით. სკულპტურების შექმნასთან და მასთან დაკავშირებით დამატებითი რესურსების სანახავად იხილეთ თავი 6.

ჩრდილები განსაკუთრებით დამაინტრიგებელი ფენომენია შემოქმედებითი კვლევებისთვის, განსაკუთრებით მზიან ამინდებში სხეულის გამოყენებით, ზაფხულშიც და ზამთარშიც. ბავშვებს შეუძლიათ მიწაზე, კედლებზე ან ხეებს შორის ჩამოკიდებულ თეთრ ზეწარზე ჩრდილების ფორმების ასახვა თავიანთი სხეულით, ხელებითა და ობიეტებით. ამ ჩრდილების ფორმების ცარცით მოხაზვა და ჩრდილის ეფექტების - მაგალითად, ხის ქვეშ ლაქებიანი შუქის - კვლევა კამერის დახმარებით.

მუსიკა და ცეკვა გარეთ

რესურსები ღია სივრცეში მუსიკის შესაქმნელად

- პლასტმასისა და მეტალის დიდი კონტეინერები და სათლები
- მეტალის ძველი სანაგვე ურნები და სხვა დიდი კონტეინერები
- სხვადასხვა სისქისა და სიგრძის პლასტმასისა და სპილენძის მილები (საყოფაცხოვრებო ნივთების მაღაზიებიდან)
- პლასტმასის ძაბრები, მუყაოს მილები მეგაფონებისთვის
- სარეცხი მანქანის გოფრირებული პლასტმასის სადრენაჟო მილი (საუკეთესოა ხმების წარმოსაქმნელად)
- თუნუქის ქილები და ქვაბები
- ძველი ქვაბები და თავსახურები (სამზარეულოს ინვენტარი იდეალურია), მეტალის ჩაიდნები
- ძველი დანა-ჩანგალი
- მეტალის, ხისა და პლასტმასის კოვზები, სათქვეფები და ჯაგრისები
- ბუნებრივი მასალები, ჯოხები
- სარეცხის თოკები
- ქარის მუსიკალური ზარები
- დიდი და ძლიერი დასარტყამი ინსტრუმენტები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან
- მუსიკა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან
- ამობრუნებული პურის ყუთები, საფეხურები, ხალიჩის ფილები

ადრეული ასაკის ბავშვებს მუსიკა ყოველდღე სჭირდებათ და ღია სივრცე ამისთვის საუკეთესო ადგილია, სადაც მათ შეუძლიად შეუზღუდავად, ძლიერად, ენერგიულად და ხმაურიანად იმოქმედონ და სადაც თავად გარემო ახალისებს ბავშვებს გამოსცენ ხმები და იყვნენ მუსიკალურები მთელი თავიანთი სხეულითა და სულით. მუსიკალური ქცევა გარე სივრცის ნებისმიერ ადგილას შეიძლება გამოვლინდეს, ამიტომ ნუ გამოყოფთ ამისთვის რომელიმე კონკრეტულ ადგილს. მიუხედავად ამისა, შეგიძლიათ სხვადასხვა ადგილებში მოაწყოთ მუსიკალური სტრუქტურები, ბავშვების ხმაურიანობისა და აქტიურობის გათვალისწინებით. საუკეთესო მიდგომა იმაზე დაფიქრებაა, თუ როგორ შეიძლება „მუსიკალურობა" ჩართოთ თქვენი გარე სივრცის ყველა ნაწილში და რაც შეიძლება მეტ აქტივობაში, რათა სიმღერა, ცეკვა და რიტმული მოძრაობები გარე თამაშების განუყოფელ ნაწილად აქციოთ. გამოიყენეთ ის მოწყობილობები და რესურსები, რომლებიც უკვე გაქვთ, მაგალითად, ბავშვებს ქვებზე ხტომა შეუძ-ლიათ მელოდიის ტაქტის შესაბამისად ან პურის ამობრუნებული

სურათი 5.3. გარე სივრცის ნებისმიერი ნაწილი შეიძლება გავხადოთ მუსიკალური

ყუთების გასწვრივ - რიტმული მიმდევრობით. წაახალისეთ ბავშვები საკუთარი ხმა გამოიკვლიონ, მაგალითად სასრიალოს საფეხურებზე ასვლისას თანდათან ხმის მომატებით, ზემოდან შეყვირებებით და ჩამოსრიალების დროს ხმების გამოცემით. ხმის გამოცემა შეიძლება ჯოხებისა და ხის ან მეტალის კოვზებით კედლების ტექსტურიანი ზედაპირების ფხაჭნით, ან მოაჯირებსა და ღობეებზე გადატარებით; ხმის გაძლიერება შესაძლებელია პლასტმასის მილების ბოლოებზე ან ღარების გასწვრივ დამაგრებული ძაბრებით. ბავშვებს ხმების გამოკვლევა შეუძლიათ პლასტმასის ღარებში ნივთების ჩაყრით ან ღარების ბოლოებზე კაუჩუკის ზედაპირიანი ნივთების, მაგალითად მაგიდის ჩოგბურთის ჩოგნის, დარტყმით - სხვადასხვა სისქისა და სიგრძის ღარები სხვადასხვა ხმებს გამოსცემენ. ამან შეიძლება წაახალისოს დიდი ზომის წვიმის ჯოხის შექმნა, რომელშიც ხრეში იყრება და ბოლოები ტილოს ნაჭრებით ზედ დახვეული ელასტიური რეზინებით ილუქება.

ღია სივრცეში გამოსაყენებლად მარტივი, თუმცა ეფექტური ინსტრუმენტების გაკეთება ადვილია და ამ სივრცის განსაკუთრებული ბუნების გათვალისწინებით ისინი შეიძლება გაცილებით უფრო ეფექტური იყოს, ვიდრე შიდა სივრცის ინსტრუმენტების გარეთ გამოტანა. საკმარისია ბავშვებს იდეა მიაწოდოთ და ისინი კონტეინერების გამოყენებით ბევრ სხვადასხვა ჟღარუნას გააკეთებენ - მაგალითად, ორცხობილების თუნუქის ქილაში ან ყვავილის ქოთანში ბუნებრივი მასალების მოთავსებით. შესთავაზეთ ბავშვებს აღმოაჩინონ თუ რამდენად დიდი და ხმაურიანი შეიძლება იყოს ჟღარუნა და როგორ შეუძლიათ ამაზე გავლენის მოხდენა საკუთარი მოქმედებებით. შეაგროვეთ პლასტმასისა და მეტალის დიდი კონტეინერები - ნაგვის ან კომპოსტის ყუთები, ასევე ამობრუნებული სათლები; მოიმარაგეთ დიდი კოვზები, ჯაგრისები და სხვა საყოფაცხოვრებო ჭურჭელი დასარტყამ ინსტრუმენტებად. მართლაც გასაოცარი ეფექტის მისაღებად, ამ „ინსტრუმენტებით" დაკვრა სცადეთ ფანჩატურში ძლიერი წვიმის დროს, შემდეგ კი მოასმენინეთ ბავშვებს აფრიკული დასარტყამი მუსიკა. („The Stomp Out Loud" ვიდეო, იხილეთ დამატებითი რესურსები ამ თავის ბოლოს). ხმამაღალი და ძლიერი ხმების წარმოსაქმნელად ასევე შესაძლებელია დიდი თავსახურიანი კონტეინერების

გაგორება შიგნით ჩაყრილი ხრეშით, ქვებით ან რიყის ქვებით. ძველი ქვაბები და თავსახურები (რაც უფრო დიდია, მით უკეთესი) შეგიძლიათ სარეცხ თოკზე ჩამოკიდოთ, ასევე კოვზები - დასარტყამად. შეღებეთ ისინი ზეთოვანი საღებავით მათი მდგრადობისა და მიმზიდველობის გასაზრდელად (მეტალის შემთხვევაში ორმაგი ფენა იქნება საჭირო). მაღაზიებში შემენილი რესურსების გასამრავალფეროვნებლად, სცადეთ ჩამოსაკიდი ჟღარუნების გაკეთება ძველი დანა-ჩანგლებით, ნიჟარებითა და გამხმარი თიხის ნატეხებით. გამოიყენეთ „Stomp Out Loud" („ფეხების ხმამაღლა ბაკუნი") და „Stomp Around the World" („მსოფლიოს გარშემო ბაკუნი") ვიდეოები ბავშვებში ინოვაციური იდეების გასაღვივებლად, სადაც მუსიკოსები/მოცეკვავეები საყოფაცხოვრებო ნივთებს იყენებენ - მაგალითად ცოცხებს, დრენაჟის მილებს და სათლებს - გასაოცარი, ენერგიული მუსიკალური რიტმების შესაქმნელად.

კრეატიული მუსიკალური გარემოს შესაქმნელად აქამდე აღწერილი იდეების განხორციელებას ძალიან ცოტა თანხა სჭირდება, თუმცა შეგიძლიათ თქვენს გარე სივრცეში მუსიკალურ ელემენტებს შეამატოთ დასარტყამი ინსტრუმენტები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, რომლებსაც ბავშვები ენერგიულად და ბევრი მოძრაობის შესრულებით გამოიყენებენ. სხვადასხვა ტიპის მუსიკა - ცოცხალი ჯიგსები, ფლამენკო, სამხრეთ აფრიკული, აფრიკული საკარნავალო და კლასიკური მუსიკა - პირდაპირ რეაგირებას უწყობს ხელს; სახასიათო მუსიკა, მაგალითად ჯუნგლების ხმები, წარმოსახვითი თამაშისთვის ქმნის ატმოსფეროს. შეაგროვეთ საბავშვო ლექსები მარშირებისა და ცეკვებისთვის, ასევე ყველასთვის საყვარელი სიმღერები, რომლებშიც შეგიძლიათ შეცვალოთ სიტყვები ბავშვების საქმიანობის შესაბამისად, მაგალითად „აი ასე ვსრიალებთ...". სიმღერების ჩამონათვალი დაალამინირეთ, იმისთვის რომ არასდროს შემოგაკლდეთ იდეები და სიმღერა ყოველდღიური გარე თამაშების ნაწილად იქცეს. გადასატანი დამკვრელი მოწყობილობა ბავშვებს საშუალებას მისცემს მოუსმინონ მუსიკას და ლექსებს გარე სივრცის მშვიდ ზონაში, ასევე ჩაწერონ საკუთარი ხმები, პერფორმანსები ან ხმები მათ ირგვლივ. ახლად აშენებულ ან განახლებულ დაწესებულებებს ელექტრო გაყვანილობა გარე სივრცეშიც უნდა ჰქონდეთ მუსიკის მიწოდების გასამარტივებლად.

რესურსები ღია სივრცეში ცეკვებისთვის

- ლენტები, ლენტიანი ჯოხები, ქაფის ბუშტები და ბუშტები
- ბუმბულები და ფოთლები
- ლამაზი შარფები, გრძელი ლენტები, ქსოვილის ზოლები, ვუალის შარფები
- სხვადასხვა ზომისა და ტექსტურის ქსოვილის ნაჭრები
- მსუბუქი ვუალის ქსოვილის დიდი ნაჭრები, პლედი
- რბილი ელასტიური თმის რეზინები, ლენტები მაჯებზე დასამაგრებლად
- წელსა და კოჭებზე მისამაგრებელი ზარები
- ხელნაკეთი „მაისის ხე" გრძელი ფერადი ლენტებით
- მარაკასები, კასტანეტები, ტამტამები
- მუსიკა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან (იხ. თავი 4)

მუსიკა და ცეკვა განსაკუთრებით ძლიერად ერწყმის ერთმანეთს იმ ადრეული ასაკის ბავშვებისთვის, რომლებიც გრძნობებსა და იდეებს მთელი თავიანთი სხეულით და სულით განიცდიან. მზად იყავით იმისთვის, რომ ღია სივრცეში წაროქმნილი შემოქმედებითი „ნაპერწკლები" დაიჭიროთ. ბავშვებმა შეიძლება სპონტანურად დაიწყონ ტრიალი და ცეკვა ქარიან ამინდში ჩამოცვენილი ფოთლების დაჭერისას, მზიან ამინდში თავიანთი ჩრდილების მოძრაობის საპასუხოდ ან გაზაფხულის ნათელ დღეს საპნის ბუშტების დასაჭერად ხტომისას. მათ შეიძლება ცხოველების მოძრაობები შეასრულონ, მაგალითად, იხტუნონ ბაჭიებივით, ირბინონ ცხენებივით და მოემზადონ თავდასხმისთვის ლომებივით. წაახალისეთ ბავშვები აქტიურ მოძრაობებს დააკვირდნენ და ამ მოძრაობებს დაარქვან სახელები - ბავშვების გამოგონილი სიტყვები შეიძლება უფრო საინტერესოდ ჟღერდეს, ვიდრე „სწორი" სიტყვები, თუმცა ამის გამოყენებითაც შესაძლებელია მათი ლექსიკური მარაგის ხალისიანად გამდიდრება (იხ. მოძრაობასთან დაკავშირებული ენა/ლექსიკა, თავი 4). გამოიყენეთ ეგზოტიკური სიტყვები და ალიტერაცია, მაგალითად სრიალი, სხლეტა, რადგან ოთხი ან მეტი წლის ბავშვებს ბგერების გადათამაშება უყვართ მოძრაობის დროს.

შეაგროვეთ ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც მოძრაობას და ცეკვას ახალისებს, მაგალითად, მაჯისა და კოჭის ზარები, მარაკასები და ტამტამები; შეარჩიეთ მუსიკა მსოფლიოს სხვა-

დასხვა კუთხიდან და სხვადასხვა ჟანრები, რომლებიც ბავშვებს სირბილს, ტრიალს და ხტომას მოანდომებს - უილიამ ტელი, „კარმენი" და „ბაზის ფრენა", ასევე საკარნავალო მუსიკა განსაკუთრებით კარგია ამისთვის. არსებობს ბევრი სხვადასხვა ტიპის მუსიკა მსოფლიოში, რომელიც არაჩვეულებრივია ღია სივრცეში ცეკვებისთვის, მოუსმინეთ ასეთ მუსიკას ბავშვებთან ერთად და საკუთარი კოლექცია შექმენით. საკარნავალო მსვლელობა აერთიანებს მუსიკას და ცეკვას, ეს შეიძლება წინასწარ მომზადებულ ბანერებთან ერთად გააკეთოთ. მოიმარაგეთ სხვადასხვა რეკვიზიტი, მაგალითად, ლამაზი და მსუბუქი ქსოვილი, ლენტიანი ჯოხები და საპნის ბუშტები. ლენტები და მსუბუქი შარფები შეგიძლიათ თმის რეზინით ბავშვებს მაჯაზე გაუკეთოთ. ეს მეთოდი განსაკუთრებით გამოგადგებათ ბუშტებთან, რომ თავიდან აიცილოთ მათი გაფრენა. გაითვალისწინეთ, რომ ზოგ ბავშვს ეშინია ბუშტის გახეთქვის, ამასთან ბუშტის რეზინის ნაფლეთები შეიძლება საშიში იყოს ბავშვებისთვის და ბუნებისთვისაც.

სურათი 5.4. ადრეული ასაკის ბავშვებს მცირე სტიმული სჭირდებათ ტრიალისა და ცეკვის სპონტანურად დასაწყებად!

წარმოსახვითი თამაში, ამბების თხრობა და სპექტაკლები გარეთ

წარმოსახვითი თამაშები გარეთ

რესურსები ღია სივრცეში წარმოსახვითი თამაშებისთვის

- პლედები, ზეწრები, ძველი ფარდები და ბადისებრი ფარდები
- ხის ლურსმნები, თოკი, ბაწარი, ჭოჭონაქები
- გასაშლელი კარავი, ტანსაცმლის საკიდი
- სამშენებლო მასალები (იხ. თავი 6)
- სხვადასხვა ზომის ქსოვილის ნაჭრები: დიდი, მოსასხამის ან შარფის ზომის ზოლები ჩალმებისთვის და ქამრებისთვის
- სხვადასხვა ტიპის ქსოვილები სხვადასხვა თემების წასახალისებლად (მაგ. შესანიღბი, ცეცხლოვანი, მიწისფერი, თეთრი, ბრჭყვიალა, ცისფერი, მოციმციმე)
- ქუდები, ჩანთები, კალათები
- დიდი გასაღები ან რგოლზე აცმული ბევრი გასაღები
- რბილი სათამაშოები, მარიონეტები, თოჯინები
- ჩირაღდნები, პატარა LED სანთლები
- ტელეფონები, ძველი მობილური ტელეფონები, რაციები
- ბუნებრივი მასალები
- ხალიჩის კვადრატები, პატარა ნოხები
- ველოსიპედები, ურიკები, სატრანსპორტო საშუალებები
- პლასტმასის მოკლე მილები („მეხანძრეობისთვის" ან სალაპარაკო მილების გასაკეთებლად)
- მუყაოს ყუთები: დიდი და პატარა, ხალიჩების მუყაოს როლები
- სახატავი რესურსებით, შესაერთებელი მასალებით, კრეატიული მასალებით, მცირე სამყაროს რესურსებით სავსე ურიკები
- კონკრეტული როლური თამაშების შესაბამისი სპეციფიკური საგნები
- მცირე სამყაროს რესურსების თემატური ნაკრებები შესაბამის კონტეინერებში
- ხის მარტივი გმირები მოძრავი ხელებითა და ფეხებით
- მცირე სამყაროს ლანდშაფტების მასალები, როგორიცაა ჯოხები, ყვავილის ქოთნები, მორები და დიდი ქვები
- მცირე სამყაროს ლანდშაფტების შესავსები მასალები (სოფლის მეურნეობის ცენტრებიდან)

- კონტეინერები მცირე სამყაროს ლანდშაფტების მასალებისთვის - საბურავები და ქოთნები

ორი და სამი წლიდან ადრეული ასაკის ბავშვები შვიდ, რვა წლამდე განვითარების პერიოდში აქტიურად ერთვებიან წარმოსახვით თამაშებში. იმიტაციური წარმოსახვითი თამაში, რომელიც პირდაპირ ეყრდნობა უკვე ნაცნობ გამოცდილებებს, არსებითად ვითარდება ადრეული ბავშვობის წლებში და რთულ წარმოსახვით თამაშად გადაიქცევა; ამ თამაშში სცენა და ისტორიები რამდენიმე ბავშვის მიერ ერთობლივად ვითარდება, რაც გამორჩეულ ვირტუალურ სათამაშო სივრცეს ქმნის. შესაბამისად, წარმოსახვითი თამაშები წარმოადგენს მნიშვნელოვან ინგრედიენტს ღია სივრცეში მდიდარი და სასიამოვნო სათამაშო გარემოს უზრუნველსაყოფად. ამის გაკეთება ადვილია, რადგანაც ღია სივრცეები ისედაც მდიდარია ნებისმიერი ტიპის წარმოსახვითი თამაშების პოტენციური სტიმულებით, კონტექსტებითა და რესურსებით. ვინაიდან, წარმოსახვითი თამაშების როლი მნიშვნელოვანია რეალური გამოცდილებების გააზრებაში, ასეთი თამაშების თემატიკაც დიდწილად ბავშვების ინტერესებიდან უნდა მომდინარეობდეს: ჩვენი მიზანია ვიცოდეთ, თუ რა უნდათ ბავშვებს და შევავსოთ გარემო შესაბამისი შესაძლებლობებით. ადრეული ასაკის ბავშვებს ბევრი თემა აქვთ წარმოსახვითი თამაშისთვის და, ისევე როგორც ტრადიციულ საბავშვო ზღაპრებში, ეს თემები მომდინარეობს ბავშვების, ამ საოცრად სოციალური არსებების, ღრმა საზრუნავებიდან. უნივერსალური თემებია მიკუთვნებულობა, ოჯახი, მზრუნველობა და მეგობრობა; სიკეთე, ბოროტება, ჯადოქრობა, ტრანსფორმაცია და ძალა; დაბადება, დღესასწაული, სიცოცხლე და სიკვდილი; საფრთხეები, საშიშროება, გაუჩინარება და პოვნა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია უპასუხოთ გამოვლენილ ინტერესებს ან აუცილებლობას (რაც ვლინდება როგორც დაკვირვებებით, ასევე მშობლებთან საუბრით) და უზრუნველყოთ, რომ თქვენს დაწესებულებაში შეთავაზებული თამაშები შეესაბამებოდეს ბავშვების კულტურულ კონტექსტებს. ასე მაგალითად, ფეხბურთი წარმოსახვითი თამაშია ბევრი ადრეული ასაკის ბიჭისთვის, განსაკუთრებით მსოფლიო ჩემ-

პიონატის დროს, მაშინ, როცა აზიელი ბიჭებისთვის კრიკეტი უფრო მნიშვნელოვანია.

ღია სივრცის სპონტანურ წარმოსახვით თამაშზე აქცენტიებით მოწყობის შემთხვევაში, ჩვენ საფუძველს ვუყრით იმას, რომ ბავშვებმასაკუთარიწარმოსახვადაშემოქმედებითობაგამოიყენონ. რა თქმა უნდა, არსებობს დაგეგმილი და წინასწარ მომზადებული თემატური გარე სივრცეებიც, მაგრამ მნიშვნელოვანია თავად ბავშვები ჩართოთ გადაწყვეტილებების მიღებაში, მასალების შეგროვებასა და სივრცის მოწყობაში - ასეთი მიდგომით ისინი გაცილებით უფრო მეტ სარგებელს მიიღებენ, ვიდრე მზა სცენების შეთავაზებით. ბავშვები შეიძლება პასიურ მოთამაშეებად იქცნენ და სცენარების მოლოდინში დაკარგონ საკუთარი წარმოსახვითი უნარისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების დიდი ნაწილი - და ეს უკვე მოხდა კიდეც თანამედროვე ბავშვების ცხოვრების ბევრ მიმართულებაში. ეფექტური ადრეული განათლების დაწესებულება ბავშვებს შეუზღუდავად სთავაზობს რესურსებს და ადგილებს, იმისთვის რომ მოულოდნელად გაჩენილი იდეები დაუყოვნებლივ განხორციელდეს თამაშში.

სურათი 5.5. სამწვადეზე დალაგებული ჯოხები სოსისების ცეცხლზე მომზადების ნამდვილ პროცესს ასახავს

ვინაიდან, ღია სივრცეში წარმოსახვითი თამაშებისთვის შესაფერისი თემების საკმაოდ გრძელი ჩამონათვალი არსებობს, მნიშვნელოვანია რომ მუდმივი სათამაშო სტრუქტურები არ იყოს ზედმეტად განცალკევებული. ნუ დაუშვებთ შეცდომას წინასწარ ზედმეტად დაგეგმილი სტრუქტურის მოწყობით: მარტივ ხის სახლს ან/და საბაზისო სტრუქტურას, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს და მოირთოს, გაცილებით უფრო დიდი პოტენციალი აქვს და უფრო დიდი ხნით დარჩება საინტერესო და ღირებული. ხის პატარა ფარდული მარტივად შეიძლება ტრანსფორმირდეს და მომზადდეს ახალი თემისთვის; ბავშვებთან ერთად განიხილეთ და გადაწყვიტეთ თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ეს ადგილი მიმდინარე სეზონზე და ჩართეთ ისინი ამ გარემოს მომზადების პროცესში. ზოგიერთ ადრეული განათლების დაწესებულებას ნამდვილი ნავები აქვს, რომლებიც უკვე გამოუსადეგარია თავისი დანიშნულებით და რომლებსაც არაჩვეულებრივი სათამაშო პოტენციალი გააჩნია - ნავის შიგნით გარკვეული სივრცეა და სწორედ ის ახალისებს ბავშვების წარმოსახვას. შეამატეთ ამ სივრცეს დროებითი სტრუქტურები და რესურსები, რითაც ბავშვები ძირითად სტრუქტურებს განავითარებენ და წარმოსახვითი თამაშისთვის შესაძლებლობებით სავსე გარემოს შექმნიან. ადრეული ასაკის ბავშვებსაც კი შესწევთ უნარი გამოიყენონ თავიანთი წარმოსახვა ტრანსფორმაციისთვის და როგორც მეორე თავში განვიხილეთ, ბავშვებმა გვინდა სწორედ რეპრეზენტაცია გააკეთონ. სავარაუდოდ თანამედროვე ბავშვების წარმოსახვითი თამაშის უუნარობა, რასაც ხშირად აღნიშნავენ საბავშვო ბაღის აღმზრდელები, გამოწვეულია წინასწარ განსაზღვრული სათამაშო მოწყობილობებისა და სათამაშოების გადაჭარბებული გამოყენებით. შეინარჩუნეთ მოთმინება და დაჟინებით დაუჭირეთ მხარი ამ ღია მიდგომას, რადგანაც ამ უნარების აღდგენას გარკვეული დრო დასჭირდება.

ღია სივრცე, რომელშიც ბევრი პატარა კუთხე-კუნჭულია, სადაც ბავშვები „დამალულად" გრძნობენ თავს და სადაც ნიადაგის სხვადასხვა ზედაპირი და სიმაღლეა, კიდევ უფრო ახალისებს წარმოსახვას. ბავშვებს განსაკუთრებით უყვართ ჩამალვა ან მაღლა ყოფნა. მცენარეები, რომელთა შორისაც ბავშვებს თამაში შეუძლიათ, მაგალითად, ბალახი, ბამბუკისა და ტირიფის ხეები, ეგზოტიკურ ატმოსფეროს ქმნიან, მაშინაც კი თუ ასეთი

ადგილი პატარაა. მიეცით ბავშვებს ფუღურეების ასაშენებელი მასალები, რათა ბავშვებმა თავიანთი ზომის შესაბამისი პირადი სივრცეები შექმნან. ასეთი „ფუღურეების" გამოყენება შეიძლება „სახლობანას" თამაშისთვის, კარვებად, სათავგადასავლო ან საკვლევი თამაშებისთვის და ასევე დათვის ბუნაგად (იხ. თავი 6).

ნებისმიერი სახის წარმოსახვითი თამაშის საუკეთესო რეკვიზიტები ყოველთვის მოქნილი და მრავალი დანიშნულების მქონეა; ბავშვებს მათი გამოყენება ბევრი როლისთვის შეუძლიათ, ეს ასევე იმასაც ნიშნავს, რომ კიდევ უფრო ნაკლები რესურსი დაგჭირდებათ. სხვადასხვა ფერის, ტექსტურისა და ზომის ქსოვილი შესანიშნავი რეკვიზიტია, რომელსაც ბავშვები თავშესაფრებად, მოსასხამებად, მანტიებად, თავსაბურავებად და ქამრებად გამოიყენებენ. ქსოვილი ბავშვებს სხვადასხვა თემებს სთავაზობს წარმოსახვითი თამაშისთვის. ქსოვილები მათი მრავალფეროვნების მიხედვით შეარჩიეთ: მაგალითად, დიდი ზომის ცისფერი ნაჭერი შეიძლება ზღვად, მდინარედ, ტბად ან ცად იქცეს; თეთრი - თოვლად ან ღრუბლებად; ბრჭყვიალა შეიძლება იყოს განძეულობა, მეფის მანტია, ჯადოსნური ფრთები ან ჯადოქრის მოსასხამი; კამუფლაჟის ნაჭერი შეიძლება იყოს მიწა, გამოქვაბული ან ჯუნგლები. ქსოვილის დიდი არჩევანის შემთხვევაში ბავშვებს ტანსაცმლის გამოცვლა დიდად აღარ დასჭირდებათ, გარდა უსაფრთხოების ჟილეტებისა და მექანიკოსის სპეცტანსაცმლისა. მაინც შეაგროვეთ ქუდები, ჩანთები და კალათები და კარგ ამინდში წაახალისეთ ბავშვები შიდა სივრციდან გამოიტანონ რბილი სათამაშოები და მარიონები. ნებისმიერი ნაჭრის საგანი დახურულ სივრცეში უკეთ ინახება, განსაკუთრებით ზამთარში, ამიტომ დააორგანიზეთ მარტივად გადასატანი კონტეინერები. მოწნული სკივრი, ჩემოდანი და მაღაზიის ურიკა იდეალურია ამისთვის და ხშირად თავადაც თამაშის ნაწილი ხდებიან. სარეცხის მსუბუქი კალათები და პლასტმასის სახელურიანი ტაშტები ასევე გამოგადგებათ მასალების შესანახად.

ზოგიერთი თემა როლური თამაშისთვის გარე სივრცეს უფრო შეესაბამება ან გააფართოვებს დახურული სივრცის თემატიკას. ქვემოთ მოცემულია შესანიშნავი და შინაარსიანი შესაძლებლობები:

- საშინაო თამაში, კემპინგი, პიკნიკი, ბარბექიუ, სანაპირო, ზეიმი, შუქურის მცველი...
- ავტოფარეხი/მექანიკოსი/ტექნიკური დათვალიერება, ავტო-სამრეცხაო, სატვირთო მანქანა, ექსკავატორი, სამშენებლო მოედანი, მატარებლის ინჟინრები...
- პოლიცია, მეხანძრე, სასწრაფო დახმარება, ქუჩის გადაკვეთა, მხატვარი, ფანჯრების წმენდა, სარეცხის რეცხვის დღე...
- მეკობრეები, საგანძურზე ნადირობა, ნავი, სასახლე, ფერიები, ჯადოსნური ხალიჩა, ჯადოქრები, გამოქვაბული, კუნძული, მკვლევარი, არქეოლოგი...
- ტრადიციული საბავშვო ამბები/ისტორიები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ტყეში ხდება...
- საბავშვო ლექსები, მაგალითად „Humpty Dumpty", „Jack and Jill", "The Owl" და „Pussy Cat"...
- ნახატებიანი საბავშვო წიგნები, მაგალითად „The Gruffalo" da "Owl Babies" ...

სურათი 5.6. წარმოსახვითი თამაშისთვის ეფექტური სივრცეების შექმნა შესაძლებელია მარტივი, ბუნებრივი და სახეცვლილი რესურსებით

- კაფე, სუპერმარკეტი, აგარარული მეურნეობის ცენტრი, ბაზრის დახლი, სავეტერინარო, ფერმა...
- ფოსტა, ამანათისა და პიცის მიტანის სერვისი, გადასვლები, თოვლის ბაბუა, რკინიგზის სადგური, აეროპორტის ასაფრენი ბილიკი...

თუკი რომელიმე თემატიკა ძალიან წარმატებული იქნება, შეინახეთ გამოყენებული დამატებითი რესურსების ჩამონათვალი, რათა მომავალშიც მარტივად დააორგანიზოთ იგივე თემა. ბევრ ზემოთჩამოთვლილ თემასთან ველოსიპედები გამოგადგებათ, ამიტომ გამოიყენეთ ბავშვების მიერ სატრანსპორტო საშუალებების მართვის გაფართოებისა და გამდიდრების შესაძლებლობები. ასევე, სადაც ეს გონივრული და შინაარსიანია, ჩართეთ წერითი აქტივობები, მაგალითად მანქანის ტექდათვალიერების დაჯავშნა ან პოლიციელის მიერ ველოსიპედის ნომრის ჩაწერა წესების დარღვევის გამო. გაუკეთეთ სატრანსპორტო საშუალებებს საპარკინგე ადგილის ნომრები, გამოიყენეთ ეტლები და კალათები წერილებისა და ამანათების შესაბამის მისამართებზე მისატანად; დეკემბერში შეგიძლიათ დახურულ სივრცეში საჩუქრების შესაფუთი სადგური მოაწყოთ, გარეთ კი დასატვირთი მოედანი გააკეთოთ ციგებად გადაკეთებული ეტლისთვის. ასევე შესაძლებელია დახურულ სივრცეში დაწერილი წერილების საფოსტო ყუთებში მიტანა, რომლებიც წარმოდგენილია გარე სივრცეში სპეციალური საფოსტო ჩანთებით.

ღია სივრცეში წარმოსახვითი თამაშების ხელშეწყობის კიდევ ერთი გზა - ნიშნების გაკეთებაა, მაგალითად, სუპერმარკეტის ლოგოები, კაფეს მენიუები და შეკვეთის პადები, მიწოდების დროები საფოსტო ყუთებზე, სანომრე ნიშნები ველოსიპედებზე, სახლის ნომრები, ასევე ნიშნები „გაფრთხილება! მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები", „საწვავი იყიდეთ აქ", „დამყნოსე" და „ჯადოსნური ხეობა აქეთ". ასევე, დილით ბაღში მოსულ ბავშვებს შეგიძლიათ დაახვედროთ წერილი „დამეხმარეთ" გადასაჭრელი პრობლემით ან დამალული განძის რუკით. ეს მეთოდი სრულიად შეცვლის წიგნიერებაზე ფოკუსს, სადაც წერა გამოიყენება წარმოსახვის გასაღვივებლად და ხელშესაწყობად და არა პირიქით - ბავშვების სიყვარული წარმოსახვითი თამაშის მიმართ წერის სწავლებისთვის. როცა ბავშვები მიეჩვევიან ნაწერებისა და ნახატების წარმოსახვით თამაშებში ჩართვას, მათ თავისით

მოუნდებათ ამის გაკეთება, ამიტომ გაამზადეთ შესაბამისი მასალებით სავსე ურიკა.

გარე სივრცეს მცირე სამყაროს წარმოსახვითი თამაშების წახალისებისთვის უდიდესი პოტენციალი გააჩნია თავისი პატარა ლანდშაფტებით, რომელიც ყველგანაა - ქვიშასა და ნიადაგში, ბალახსა და ნარგავებში, გუბეებში, ქვაფენილისა და ასფალტის ბზარებში. წაახალისეთ ბავშვები გამოიყენონ ჯოხები, ყვავილის ქოთნები, მორები და ქვები სახლების, გორაკებისა და გზების შესაქმნელად. თუკი თქვენს გარე სივრცეში ასფალტი ჭარბობს, შეგიძლიათ შექმნათ დამატებითი ლანდშაფტები საბურავებით ან ქოთნებით სხვადასხვა საინტერესო ამოსავსები მასალით, მაგალითად, თეთრი ქვის ნამსხვრევები - არქტიკის ლანდშაფტის მოსაწყობად, ქვიშაქვის კენჭები უდაბნოს ან ნაცრისფერი/შავი ხრეში მთვარის ზედაპირის შესაქმნელად. ნიადაგით სავსე საბურავებში მოყვანილი ბალახი შეიძლება იყოს მაღალი ბალახიანი ჯუნგლები ან მოკლე ბალახიანი ველები; ბავშვებს მოეწონებათ მაკრატლით ბალახის მოჭრა. მცირე სამყაროს რესურსები თემატურად დახარისხებული შეინახეთ, რათა ბავშვებმა სურვილის შემთხვევაში მარტივად წაიღონ ისინი თავიანთ სათამაშო ადგილას; დინოზავრები, ველური ცხოველები, არქტიკის ცხოველები, შინაური და ფერმის ცხოველები, მცირე ზომის ცხოველები, მანქანები, სათამაშო ადამიანები, ფერიები და ა.შ. უმჯობესი იქნება ძირითადი სათავსო ურიკის მომზადება, საიდანაც ბავშვები თავად შეარჩევენ სასურველ ნაკრებებს, რადგანაც ბავშვები კარგად ახერხებენ საინტერესო კომბინაციებისა და იდეების მოფიქრებას. ასევე მოიმარაგეთ მრავალფეროვანი ბუნებრივი მასალები (იხ. თავი 2 რეკომენდაციებისთვის) რათა ბავშვებმა ამ თამაშებში გამოიყენონ. მე-6 თავის ბოლოს იხილეთ იმ ნახატებიანი წიგნების ჩამონათვალი, რომლებიც დაგეხმარებათ ბავშვების მცირე სამყაროს წარმოსახვითი თამაშის ხელშეწყობაში და მასთან დაკავშირებულ საინტერესო იდეებს მოგაწვდით (საბავშვო წიგნები მცირე სამყაროს ასაშენებელი თამაშებისთვის); სხვა ჩამოთვლილი წიგნები ასევე სასარგებლო იქნება თქვენთვის საინტერესო იდეებისა და თემების შესაბამისად.

ზღაპრები, წიგნები და ამბების თხრობა გარეთ

რესურსები ღია სივრცეში ზღაპრების, წიგნებისა და ამბების თხრობისთვის

- ბუნებასთან დაკავშირებული ზღაპრების, წიგნებისა და ლექსების კრებულები
- გარეთ სასიამოვნოდ წასაკითხი ზღაპრების, წიგნებისა და ლექსების კრებულები
- შემდგომ აქტივობაზე გადასასვლელი წიგნებისა და ლექსების კრებულები
- ბუნებაში ყოფნის ინტერესების გასაძლიერებელი ზღაპრების, წიგნების, ლექსების კრებულები
- აუდიოწიგნები და პორტატული დამკვრელები
- წყალგაუმტარი კალათები და სხვა კონტეინერები პატარა კრებულებისთვის, რომელთა ტარებაც შეუძლიათ ბავშვებს
- რბილი სათამაშოების, მარიონეტების, თითებზე წამოსაცმელი თოჯინებისა და მცირე სამყაროს გმირების ნაკრებები, რომლებიც შეესაბამება ბავშვების საყვარელ, ბუნებაში საკითხავ ზღაპრებსა და ლექსებს
- სახატავი და სხვა მასალები ბავშვებისთვის საკუთარი გმირების შესაქმნელად
- პიკნიკის ხალიჩები, ბალიშები, ხალიჩის კვადრატები
- კარავი, დიდი ქოლგა, ჰამაკი
- ჩამწერი მოწყობილობა ბავშვებისთვის საკუთარი ზღაპრების ჩასაწერად

სამიდან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვების უმეტესობისთვის ზღაპარებს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ვიდრე რეალურ სამყაროს. თხრობა ეხმარება მათ სიტყვების გაგებაში და საკუთარი იდეების ამ სიტყვებით გამოხატვაში; სწორედ ამიტომ არის საჭირო ისეთ რთულ საკითხებზე დაფიქრება, როგორიცაა გრძნობები და თოჯინებთან, წიგნებთან და ზღაპრებთან დაკავშირებით ქცევის წესები. წიგნებისა და თხრობისადმი ბავშვების სიყვარულიდან გამომდინარე, მნიშნელოვანია ორივე მათგანის ერთნაირად მიწოდება როგორც ღია, ასევე დახურულ სივრცეში. ზოგ ბავშვს ზღაპრების გარეთ კითხვა უფრო ახალისებს, ვიდრე დახურულ სივრცეში მოსმენილი ზღაპარი. ზოგი ზღაპარი იდეალურია გარე სივრცეში მოსათხრობად და საკვლევად; ადრეული განათლების

დაწესებულება შეიძლება ასახავდეს ზღაპრის კონტექსტს და გარე სივრცე კარგ ატმოსფეროს ქმნდეს ამ ზღაპრის მოსასმენად, ასევე კარგი ადგილი იყოს მისი განსახიერებისთვის.

წიგნები შესანიშნავი დასაწყისია თამაშის, განსაკუთრებით კი წარმოსახვითი თამაშის განვითარებისთვის (იხ. საბავშვო წიგნების ჩამონათვალი ყველა თავის ბოლოს). მარჯორი უვრი (Marjorie Ouvry) თავის წიგნში „Exercising Muscles and Minds" (2003, გვ. 67-69), განიხილავს თამაშის განვითარების მთელ რიგ მიმართულებებს სწავლების თითოეულ სფეროში ნაწარმოების „Mrs Mopple's Washing Line" (Anita Hewitt, 1994) მაგალითზე. წიგნიერების სპეციალისტი ჰელენ ბრომლი (Helen Bromley) თავის წიგნში „Making My Own Mark" (2008, გვ. 56-57) აანალიზებს გარე სივრცეში ენის, კითხვისა და წერის სწავლის შესაძლებლობას, რომელიც შეიძლება გაიწეროს გრძელვადიან გეგმებში. წიგნების გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვისაც, რომ საპასუხოდ აისახოს ბავშვების მიერ გამოვლენილი ინტერესი თამაშის

სურათი 5.7. მცირე სამყაროს თამაშებს გარე სივრცეში უდიდესი პოტენციალი აქვთ, სადაც ბუნების განსაკუთრებულობის დაჭერაა შესაძლებელი

დროს. ეს ხელს შეუწყობს ბავშვების იდეების აღიარებას და იმის ჩვენებას, რომ მათი შემოქმედებითი აზროვნება და მსჯელობა ღირებულია; ეს არის ძალიან ძლიერი ინსტრუმენტი ბავშვებში თვითშეფასების განვითარების და სწავლის გაგრძელების სურვილის გასაძლიერებლად, რაც მათ შინაგან მისწრაფებას წარმოადგენს. შესაბამისი წიგნებით სავსე კარადა, რომლებიც ჰარმონიულად მოერგება ღია სივრცეში ბავშვების სავარაუდო ინტერესებს, დაგეხმარებათ საჭირო მომენტში საჭირო წიგნი გქონდეთ ხელთ. ეს წიგნები ცალკე გადმოალაგეთ და დარწმუნდით, რომ ყველა ზრდასრულმა იცის სად რა დევს, მათი მაქსიმალური გამოყენებისთვის.

ჩვენ გაგვიმართლა, რომ გვაქვს ლამაზად ილუსტრირებული და კარგად დაწერილი ნახატებიანი საბავშვო წიგნები; ბევრი მეორეული წიგნის ყიდვა ინტერნეტითაც შეიძლება, რაც იმას ნიშნავს, რომ კარგი ძველი წიგნებიც ხელმისაწვდომია. მეორეული წიგნები კარგია გარემოსთვის და იაფიცაა, ამიტომ ახალი წიგნის შეძენამდე დაფიქრდით ამაზე. ამ წიგნში ბევრი კარგი საბავშვო წიგნისა თუ ლექსის ჩამონათვალია წარმოდგენილი, რომლებიც ხელს შეუწყობს ადრეული განათლების დაწესებულების ღია სივრცის ძირითად ასპექტებს. ღია სივრცისთვის წიგნებისა და ლექსების შერჩევა აუცილებელია, იმიტომ, რომ წიგნების გარეთ კითხვა განსაკუთრებით კარგია იქ არსებული ატმოსფეროს გამო, შეგვიძლია ვისარგებლოთ მეტი თავისუფლებით (მაგალითად, მაიკლ როსენისა (Michael Rosen) და ჰელენ ოქსენბერის (Helen Oxenbury) „We're Going on a Bear Hunt", 2009); იმიტომ, რომ წიგნები გარე სივრცეში წარმოსახვითი და შემოქმედებითი თამაშის ინიცირებას უწყობს ხელს (მაგალითად, ლეო ლიონის (Leo Lionni) „Frederick", 2011); ასევე იმიტომ, რომ ისინი ხელს უწყობენ ღია სივრცეში ახალი ინტერესების წარმოქმნას, მაგალითად, მწერების, ქარის, თოვლის, მანქანების, მეგობრობისა და სუპერგმირების მიმართ. ჰელენ ბრომლი (Helen Bromley) თავის წიგნში „Making My Own Mark" (2008, გვ. 54) გვთავაზობს ათ საუკეთესო წიგნს ღია სივრცეში წერის წასახალისებლად - ეს ჩამონათვალი ავტორთან შეთანხმებით, ასევე წარმოდგენილია ამ წიგნში (და აღნიშნულია ^ ნიშნით). არ დაგავიწყდეთ აუდიოწიგნების გათვალისწინება პორტატული დამკვრელით, რათა ბავშვებმა სასურველ ადგილას მოუსმინონ და ჩაეფლონ ზღაპრის ატმოსფეროში.

ღია სივრცეში ბევრი კარგი ადგილი უნდა იყოს წიგნების დასათვალიერებლად და გასაზიარებლად, ზღაპრების მოსაყოლად, ზღაპრების ადაპტირების და წარმოდგენების მოწყობისთვის, ასევე ერთად ზღაპრების გამოსაგონად. ღია სივრცეში წიგნების გამოყენება ყველაზე ეფექტურია ბავშვების პატარა ჯგუფებთან, მაგალითად, ერთი ან ორი ბავშვი მასწავლებელთან ერთად, ამიტომ, ადგილიც წიგნის შესაბამისად შეარჩიეთ. ყველაზე მნიშვნელოვანი პირობებია: სურვილით სავსე კომპანიონები, ბევრი დრო, კომფორტი და ატმოსფერო - მაგალითად, მცენარეთა შორის ან მათ სიახლოვეს ჯუნგლების შესაგრძნებად. ზღაპრების მოსაყოლად და საუბრისთვის იდეალური ადგილებია საქანელა სკამი ან ჰამაკი, ტალავერი ან ფანჩატური, პიკნიკის პლედი ან ჯადოსნური ხალიჩა, დიდი ქოლგის ქვეშ წვიმიან ამინდში ან მზის ქოლგის ქვეშ კარგ ამინდში. წიგნის ზონის შესაქმნელად, მოიმარაგეთ ნესტ-გამძლე კალათები პლედებით და ბალიშებით ან შესაბამისად მოაწყვეთ კარვები ან ბუნაგები. დიდი ტრაქტორის საბურავიც შესანიშნავი ადგილია ზღაპრების მოსაყოლად, სადაც შეგიძლიათ გამართოთ დისკუსიები, განხილვები და წაიხემსოთ ერთად.

სურათი 5.8. ერთად ყოფნა და საუბარი ახალი ამბის გამოგონების შესანიშნავი გზაა

თეატრალური დადგმები გარეთ

რესურსები ღია სივრცეში თეატრალური დადგმებისთვის

- მარიონეტები, რბილი სათამაშოები, თოჯინები
- ორი ცალი ძველი ფარდა
- ქუდები, ჩანთები, სამკაულები
- ინსტრუმენტები, მიკროფონი ან კარაოკე დამკვრელი
- პურის ყუთები, ხალიჩის ფილები, ხის პალეტები, ამაღლებული ადგილი
- სახატავი/საწერი და სამაგრებელი/საწები მასალები გმირების, ბილეთების, სარეკლამო ბანერების დასამზადებლად

ამბების თხრობა, მარიონეტებით თამაში, სიმღერა და ცეკვა შეიძლება თეატრალურ წარმოდგენად იქცეს იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც აუდიტორია უყვართ, განსაკუთრებით კი ამ ასაკობრივი კატეგორიის ცოტა უფროსი ბავშვებისთვის (შედარებით უმცროსი ბავშვებისთვის ასეთი წარმოდგენები დიდი ალბათობით უფრო სპონტანური და ხანმოკლე იქნება). მარტივი სცენის გაკეთება შესაძლებელია პურის რამდენიმე ამობრუნებული ყუთით (სიმყარისთვის, უმჯობესია მათი ერთმანეთზე გადაბმა), ხის პალეტები შესაფერისია უფრო დიდი ზომისა და უფრო მუდმივი სცენის მოსაწყობად. ხის ტოტებზე ჩამოკიდებული ფარდებით თოჯინების თეატრის მოწყობა შეიძლება, ასევე შეგიძლიათ კედელზე ცარცით დახატოთ ეკრანი, ან თეთრი ზეწარი ჩამოაფაროთ ჩრდილების წარმოდგენისთვის. როლური თამაშების რეკვიზიტები - ქსოვილი, ქუდები, ჩანთები და სამკაულები, ასევე მიკროფონი თანამედროვე მომღერლებისა და სატელევიზიო შოუების, განსაკუთრებით „ნიჭიერისა" და „იქს-ფაქტორის" იმიტაციას წაახალისებს. ჩამოსაჯდომი ადგილების გაკეთება რძის ყუთებით შეგიძლიათ, ხალიჩის ფილებით კი ისინი უფრო კომფორტული გახდება. პოსტერებისა და ბილეთების მოსამზადებლად საწერი/სახატავი მასალები ახლოს განათავსეთ.

როგორ მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი ღია სივცეში შემოქმედებითი და წარმოსახვითი თამაშებისგან

ციფრული კამერა სასარგებლო რესურსია ადრეული განათლების დაწესებულების ღია სივრცეში, მით უმეტეს, რომ აქ შექმნილი ბევრი შემოქმედებითი პროდუქტი დროებითი და საერთოა და შეუძლებელია მათი შენახვა ან სახლში წაღება. შემოქმედებითი პროცესის გადაღება საშუალებას მოგცემთ უფრო დეტალურად შეისწავლოთ ბავშვების ჩართულობა და სხვა პედაგოგებთან ერთად შემდგომი ნაბიჯები დაგეგმოთ, გაუზიაროთ მშობლებს და შეაფასოთ ისინი, გადაავლოთ თვალი გამოცდილებას და წაახალისოთ ახალი იდეები. ბავშვებს უყვართ საკუთარი სურათების ნახვა და შეიძლება საკმაოდ კარგადაც დახვეწონ კამერის გამოყენების უნარები. მიეცით ბავეშვებს შესაფერისი ციფრული კამერა როგორც კი შეამჩნევთ, რომ მათ მისი გამოყენება შეუძლიათ; ასეთნაირად, ფოტოგრაფიის ხელოვნებისკენ გაუხსნით გზას და ბავშვებს იმ პერსპექტივებისა და ღირებულებების გადმოცემის საშუალებას მისცემთ, რისი ენით გადმოცემასაც ჯერ ვერ ახერხებენ. გამძლე ციფრული და ვიდეო კამერები ამჟამად მისაღებ ფასად ხელმისაწვდომია მაღაზიებში.

ბავშვების მოთხოვნილება ჰქონდეთ უამრავი არასტრუქტურირებული და უწყვეტი დრო, გადაჭარბებული ვერ იქნება. მაღალი ხარისხის შემოქმედებითი და წარმოსახვითი თამაში ვერ განვითარდება, თუკი ბუნებაში გატარებული დრო ხანმოკლეა და ბავშვებს არ ეცოდინებათ შეძლებენ თუ არა მეორე დღეს გარეთ გასვლას. მათ უნდა იცოდნენ, რომ ყოველდღიურად ბევრი დრო აქვთ გარეთ, თავიანთი ინტერესებისა და ჩართულობის გასაღრმავებლად. გამეორების, ცდისა და შეცდომების დაშვების, ასევე რეფლექსიის შესაძლებლობები იდეების წარმოშობას და ახალი უნარების დახვეწას უწყობს ხელს, ამასთან ეხმარება ბავშვებში შემოქმედებითი ძალისხმევისა და პრობლემების გადაჭრისთვის საჭირო უნარების, როგორიცაა კონცენტრაცია, მცდელობა და გამძლეობა, ფორმირება. ბავშვებს ხშირად მოგვიანებით ან მეორე დღეს უჩნდებათ დაწყებული პროექტების გაგრძელების სურვილი, ამიტომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია მოვიფიქროთ თუ როგორ დავტოვოთ დაწყებული პროექტები გარეთ, რათა ბავშვებმა გააგრძელონ ისინი.

უფროსების როლი ძალიან მნიშვნელოვანია წარმოსახვითი თამაშების მხარდაჭერაში. ადრეული ასაკის ბავშვებს უყვართ თამაშში უფროსების ჩართვა, თუმცა ეს ხშირად თამაშის მიმართულების შეცვლის საფრთხესაც წარმოადგენს. ამოსავალი წერტილია თამაშის ტემპის შენელება და ბავშვების დარწმუნება იმაში, რომ მათ არსად ეჩქარებათ, ეს თამაში უაღრესად მნიშვნელოვანია და მოითხოვს დროს. თუკი ვირწმუნებთ ბავშვების საოცარ უნარს - ისწავლონ თამაშით მდიდარ და განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოში, უკეთესად შევძლებთ ჩარევის ან „სწავლების" თავიდან აცილებას და გავაცნობიერებთ „სკაფოლდინგის" მნიშვნელობას. ყურადღებიანი უფროსი, რომელიც ელოდება ბავშვების მოქმედებას და ამავდროულად ცდილობს გაიგოს რა ხდება მათ თავში, შეძლებს თამაშის გაგრძელების ხელშეწყობას მცირე შეთავაზებებით ან უბრალოდ, დამატებითი რესურსების მიწოდებით. შესაძლოა გაჩნდეს იმის საჭიროება, რომ ადრეული ასაკის ბავშვებს ვასწავლოთ ახალი უნარები ან მივაწოდოთ ახალი იდეები, რათა მათ განავრცონ საკუთარი რეპერტუარი და თუკი ეს სწორ მომენტში მოხდება, ბავშვები ენთუზიასტ მონაწილეებად გადაიქცევიან. თუკი წინასწარ განსაზღვრული როლური თამაშის თემა უცნობია ბავშვებისთვის, უფროსებს მაგალითის ჩვენება მოუწევთ მათთვის შესაბამისი როლური ქცევით, ენითა და სათამაშო იდეებით. თუმცა, საუკეთესო როლური თამაში წარმოიშვება იმით, რაც ბავშვისთვის მნიშვნელოვანია, რაც მისთვის კარგად ნაცნობია და მრავალჯერ განცდილი - ამ შემთხვევაში უფროსებს უფრო დამხმარეს როლის მორგება და საპასუხო რეაგირება შეუძლიათ და არა მართვა. მოძებნეთ ერთად ყოფნისა და საუბრის ბუნებრივი გზები აქტივობის მიმდინარეობის პროცესში - ინტუიციური, ქვეცნობიერი გონებრივი პროცესები, „მეორეხარისხოვანი" აზროვნება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც უფრო მართული, ლოგიკური მსჯელობა. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია გარე სივრცეში ბავშვების კრეატიული და წარმოსახვითი თამაშის დაფასება, დაკვირვება იმის გასარკვევად თუ რა ხდება ბავშვის გონებაში და რისი გაკეთება შეუძლიათ ფორმატიული და დასკვნითი შეფასებებისთვის. დიდი ალბათობით, სწორედ ამ თამაშში დაინახავთ ბავშვის ცოდნის, ინტერესების, უნარებისა და მიდრეკილებების ჭეშმარიტ საზღვრებს.

ღია სივრცის მოწყობისას მნიშვნელოვანია თითოეული ინდივიდის საჭიროებების გათვალისწინება, ასევე იმაზე დაფიქრება, თუ როგორ შეძლებენ ისინი ერთმანეთთან ურთიერთობას. შედარებით უფროსი ბავშვები საუკეთესო „მასწავლებლები" არიან უმცროსი ბავშვებისთვის და იგივეა წარმოსახვითი თამაშის შემთხვევაშიც. დაფიქრდით, როგორ შეიძლება გარე სივრცეში შერეული ასაკობრივი ჯგუფების გაერთიანება, რადგანაც განცალკევებულ სათამაშო სესიებში ძალიან ბევრი იკარგება. უზრუნველყავით თქვენი დაწესებულების გარე სივრცეში ყველა კულტურისთვის დამახასიათებელი გამოცდილების მიწოდება, ამასთან ფრთხილად იყავით სტერეოტიპიზაციასთან. სქესობრივი განსხვავებები შეიძლება ძალიან თვალსაჩინო იყოს გარე სივრცეში წარმოსახვითი თამაშების დროს, სადაც ბიჭები უფრო ხმაურიანები არიან ვიდრე გოგონები. დაფიქრდით, რამდენად ვაფასებთ იმას, რაც ხდება ჭიდაობის ან სუპერგმირების თამაშის დროს და რამდენად კმაყოფილდება გოგონების საჭიროებები ღია სივრცეში?

საბავშვო წიგნები ღია სივრცეში ხატვის ხელშესაწყობად

შენიშვნა: ვარსკვლავით (*) აღნიშნული წიგნები სამიდან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვების კატეგორიაში უფრო დიდებს შეეფერება; ^-ნიშნით აღნიშნულია ჰელენ ბრომლის (Helen Bromley) მიერ თავის წიგნში "Making My Own Mark" (2008) რეკომენდებული წიგნები

* "A Journey into the World of Fantasy with Hundertwasser (Painting Book)" Prestel (Prestel Publishing 2008)

ლორა ლჟუნგკვისტი (Laura Ljungkvist) "A Line Can Be" (Pow! 2015)

რუს საიმონსი და ჰელენ აპორნსირი (Ruth Symons & Helen Ahpornsiri) "A Year in the Wild" (Big Picture Press 2018)

კვენტინ ბლეიკი (Quentin Blake) "Angel Pavement" (Red Fox 2005)

ენტონი ბრაუნი (Anthony Browne) "Bear Hunt" (Puffin Books 2010)

ენტონი ბრაუნი (Anthony Browne) "Bear's Magic Pencil" (HarperCollins Children's Books 2010)

ბარნი ზალცბერგი (Barney Salzberg) "Beautiful Oops" (Workman Publishing 2010)

ლილი მურეი და ჰელენ აპორნსირი (Lily Murray & Helen Ahpornsiri) "Beneath the Waves" (Big Picture Press 2019)

იფეომა ონიფულუ (Ifeoma Onyefulu) "Chidi Only Likes Blue: An African Book of Colours" (Frances Lincoln Children's Books 1997)

ლიზა ბრუსი (Lisa Bruce) “Colours in Nature: Blue” (Harcourt Education 2004)
ლიზა ბრუსი (Lisa Bruce) “Colours in Nature: Green” (Harcourt Education 2004)
ლიზა ბრუსი (Lisa Bruce) “Colours in Nature: Red Lisa Bruce” (Harcourt Education 2003)
ლიზა ბრუსი (Lisa Bruce) “Colours in Nature: Yellow Lisa Bruce” (Harcourt Education 2004)
ერიკ კარლი (Eric Carle) “Draw Me a Star” (Franklin Watts 1999)
სიმონე ლია (Simone Lia) “Follow the Line” (Mammoth 2002)
ლეო ლიონი (Leo Lionni) “Frederick” (Andersen Press 2011)
*მაიკლ ფორმანი (Michael Foreman) “Grandfather’s Pencil and the Room of Stories” (Red Fox 1995)
ვაკარო სიჯერი (Vaccaro Seeger) “Green Laura” (Roaring Brook Press 2012)
დაუნ პიგოტი (Dawn Piggott) “Gregory and the Magic Line” (Orion Children’s Books 2003)
კროკეტ ჯონსონი (Crockett Johnson) “Harold and the Purple Crayon” (HarperCollins Children’s Books 2012)
კროკეტ ჯონსონი (Crockett Johnson) “Harold’s Fairy Tale: Further Adventures with the Purple Crayon” (HarperCollins 1994)
მართა ალტესი (Marta Altes) “I Am an Artist” (Macmillan Children’s Books 2014)
*პიტერ ჰ. რეინოლდსი (Peter H. Reynolds) “Ish” (Walker Books 2005)
*აარონ ბეკერი (Aaron Becker) “Journey” (Walker Books 2014)
კანდის უიტმენი და სტივ უილსონი (Candace Whitman & Steve Wilson) “Lines That Wiggle” (Blue Apple Books 2009)
ლეო ლიონი (Leo Lionni) “Little Blue and Little Yellow” (Dragonfly Books 2017)
ლეო ლიონი (Leo Lionni) “Matthew’s Dream” (Andersen Press 2014)
ერიკ კარლი (Eric Carle) “Mister Seahorse” (Puffin Books 2006)
დოქტორ ზეუსი, სტივ ჯონსონი და ლუ ფანჩერი (Dr Seuss, Steve Johnson & Lou Fancher) “My Many Coloured Days” (Red Fox 2001)
ლუი ელერტი(Lois Ehlert) “Planting a Rainbow” (Harcourt Books 1988)
*აარონ ბეკერი (Aaron Becker) “Quest” (Walker Books 2015)
*აარონ ბეკერი (Aaron Becker) “Return Aaron Becker” (Walker Books 2017)
პიტერ ჰ. რეინოლდსი (Peter H. Reynolds) “Sky Colour” (Candlewick Press 2012)
კორინა ლუიკენი (Corinna Luyken) “The Book of Mistakes” (Prentice Hall Press 2017)
დრიუ დეივოლტი და ოლივერ ჯეფერსი (Drew Daywalt & Oliver Jeffers) “The Day the Crayons Came Home” (HarperCollins Children’s Books 2016)
დრიუ დეივოლტი და ოლივერ ჯეფერსი (Drew Daywalt & Oliver Jeffers) “The Day the Crayons Quit” (HarperCollins Children’s Books 2013)
პიტერ ჰ. რეინოლდსი (Peter H. Reynolds) “The Dot” (Walker Books 2004)
*ჯულია დონალდსონი და ჯოელ სტიუარტი (Julia Donaldson & Joel Stewart) “The Magic Paintbrush” (Macmillan Children’s Books 2004)
*ლორენს ანოლტი (Laurence Anholt) “The Magical Garden of Claude Monet” (Frances Lincoln Children’s Books 2016)
ალან ალბერგი და ბრიუს ინგმანი (Allan Ahlberg & Bruce Ingman) “The Pencil” (Walker Books 2018)

ვალერი ტომასი და კორკი პოლი (Valerie Thomas & Korky Paul) “Winnie the Witch” (Oxford University Press 2016)
*მარკ რაიბშტაინი და ედ იანგი (Mark Reibstein & Ed Young) “Wabi Sabi” (Little, Brown & Company 2008)

საბავშვო წიგნები ღია სივრცეში ქსოვის, მოდელირებისა და მორთვა-მოკაზმვის ხელშესაწყობად

*დაიანა ჰათს ასტონი და სიუზან ლ. როზი (Dianna Hutts Aston & Susan L. Roth) “Dream Something Big: The Story of the Watts Towers” (Dial Books 2011)
მაკ ბარნეტი და ჯონ კლასენი (Mac Barnett & Jon Klassen) “Extra Yarn” (Walker Books 2014)
მუენი ჰადიტი და ადრიენნ კენეევი (Mwenye Hadithi & Adrienne Kennaway) “Greedy Zebra” (Hodder Children’s Books 2014)
ლუის ელერტი (Lois Ehlert) “Hands: Growing Up to Be an Artist” (Harcourt Books 2004)
ჯესიკა ლავი (Jessica Love) “Julian Is a Mermaid” (Walker Books 2018)
ჯეკი მორისი და ჯეიმს მეიჰიუ (Jackie Morris & James Mayhew) “Mrs Noah’s Pockets” (Otter-Barry Books 2017)
რობერტ ლიუის სტივენსონი და სარა სანჩესი (Robert Louis Stevenson & Sara Sanchez) “My Shadow” (Imagine That Publishing 2014)
სიუზი ლი (Suzy Lee) “Shadow” (Chronicle Books 2010)
ტანა ჰობანი (Tana Hoban) “Shapes, Shapes, Shapes” (Greenwillow Books 1986)
ფილიპა ლეზერსი (Philippa Leathers) “The Black Rabbit” (Walker Books 2013)
დოტ კლივი და კიმ ჰარლი (Dot Cleeve & Kim Harley) “The Feather” (Tamarind 2003)
პაულა ბოსიო (Paula Bossio) “The Line” (Kids Can Press 2013)
*ედვარდ ლირი და ჰელენ ოქსენბერი (Edward Lear & Helen Oxenbury) “The Quangle Wangle’s Hat” (Mammoth 1994)
ლექსა შეფერი და პიერ მორგანი (Lexa Schaefer & Pierr Morgan) “The Squiggle Carole” (Dragonfly Books 1999)

საბავშვო წიგნები ღია სივრცეში ცეკვისა და მუსიკის ხელშესაწყობად

*ჯენ ფერნლი (Jan Fearnley) “A Very Proper Fox” (HarperCollins Children’s Books 2006)
ტონი მიტონი და გაი პარკერ-რისი (Tony Mitton & Guy Parker-Rees) “Bumpus Jumpus Dinosaurumpus!” (Orchard Books 2016)
ანა კემპი და სარა ოგილვი (Anna Kemp & Sarah Ogilvie) “Dogs Don’t Do Ballet” (Simon & Schuster 2010)

ჯენ ორმეროდი და ლინდსი გარდინერი (Jan Ormerod & Lindsey Gardiner) “Doing the Animal Bop” (Oxford University Press 2005)
ტონი მიტონი და გაი პარკერ-რისი (Tony Mitton & Guy Parker-Rees) “Down by the Cool of the Pool” (Orchard Books 2016)
ტონი მიტონი და გაი პარკერ-რისი (Tony Mitton & Guy Parker-Rees) “Farmer Joe and the Music Show” (Orchard Books 2009)
ჯილეს ანდრეა და გაი პარკერ-რისი (Giles Andreae & Guy Parker-Rees) “Giraffes Can’t Dance” (Orchard Books 2014)
კორტნი დიკმასი (Courtney Dicmas) “Harold Finds His Voice” (Child’s Play International 2013)
რიკ უალტონი და ანა ლოპეზ-ესკრივა (Rick Walton & Anna Lopez-Escriva) “How Can You Dance” (G P Putnam’s Sons 2001)
სიუზი ლი (Suzi Lee) “Mirror” (Seven Footer Press 2010)
ლიზა ისტერლინგი (Lisa Easterling) “Music (Our Global Community)” (Harcourt Education 2007)
ჯაკი ვუდსი (Jakki Wood) “Noisy Parade: A Hullabaloo Safari” (Francis Lincoln 2002)
ჯო ემპსონი (Jo Empson) “Rabbityness” (Child’s Play International 2012)
ჯილეს ანდრეასი და დევიდ ვოიტოვიჩი (Giles Andreae & David Wojtowycz) “Rumble in the Jungle” (book and CD) (Orchard Books 2006)
კეროლ დიგორი შილდსი და სკოტნეში (Carol Diggory Shields & Scott Nash) “Saturday Night at the Dinosaur Stomp” (Walker Books 2008)
ტონი მიტონი და გაი პარკერ-რისი (Tony Mitton & Guy Parker-Rees) “Spookyrumpus” (Orchard Books 2005)
რობინ მიტჩელი და ჯუდის სტიდმანი(Robin Mitchell & Judith Steedman) “Sunny” (Simply Read Books 2003)
დები ჰარტერი (Debbie Harter) “The Animal Boogie: A Barefoot Singalong” (Barefoot Books 2011)
კოლინ ჰოუკინსი და ჟაკი ჰოუკინსი (Colin Hawkins & Jacqui Hawkins) “The Dance of the Dinosaurs” (HarperCollins Children’s Books 2002)
მარსია ვონი და სტენლი ვონგ ჰუ ფუნი (Marcia Vaughan & Stanley Wong Hoo Foon) “The Dancing Dragon” (Mondo Publishing 1996)
მალაჰი დოილი, სტივ ჯონსონი და ლუ ფანჩერი (Malachy Doyle, Steve Johnson & Lou Fancher) “The Dancing Tiger” (Simon & Schuster 2005)
პოლი პიტერსი და ჯეს სტოკჰემი (Polly Peters & Jess Stockham) “The Ding-Dong Bag” (Child’s Play International 2006)
*ამანდა მაკკარდი (Amanda McCardie) “The Frog Ballet” (Red Fox 1997)
ჯენის მეი უდრი და მაურის სენდაკი (Janice May Udry & Maurice Sendak) “The Moon Jumpers” (Red Fox 2002)
ედი ბოსველი და ერიკ ველასკეზი (Addie Boswell & Eric Velasquez) “The Rain Stomper” (Two Lions 2008)
ტონი მიტონი და გაი პარკერ-რისი (Tony Mitton & Guy Parker-Rees) “Twist and Hop Minibeast Bop” (Orchard Books 2016)
მაურის სენდაკი (Maurice Sendak) “Where the Wild Things Are” (Red Fox 2000)

საბავშვო წიგნები ღია სივრცეში წარმოსახვითი თამაშის ხელშესაწყობად

სტელა ბლექსტოუნი და ნიკოლეტა სეკოლი (Stella Blackstone & Nicoletta Ceccoli) “An Island in the Sun” (Barefoot Books 2003)

^ კრის ვორმუელი (Chris Wormwell) “Blue Rabbit and the Runaway Wheel” (Red Fox 2001)

როდ ქემპბელი (Rod Campbell) “Dear Zoo” (Macmillan Children’s Books 2019)

ქეითი ჰიევორზი და დენიელ რილი (Katie Haworth & Daniel Rieley) “Emma Jane’s Aeroplane” (Templar Publishing 2017)

სარა გარლანდი (Sarah Garland) “Going Shopping” (Frances Lincoln Children’s Books 2008)

ამანდა ესკიუ და ბრუნო მერცი (Amanda Askew & Bruno Merz) “Goldilocks and the Three Bears” (QED Publishing 2011)

*დევიდ ვაისნერი (David Wiesner) “Free Fall” (William Morrow 1991)

*ენტონი ბაუნი (Anthony Browne) “Hansel and Gretel” (Walker Books 2008)

^იან ვაიბროუ და ედრიან რეინოლდსი (Ian Whybrow & Adrian Reynolds) “Harry and the Dinosaurs Romp in the Swamp” (Puffin Books 2009)

ალექსის დიკონი და ვივიან შვარცი (Alexis Deacon & Viviane Schwarz) “I Am Henry Finch” (Walker Books 2016)

*რამსინ ურვეტი (Ramsingh Urveti) “I Saw a Peacock with a Fiery Tail” (Tara Books 2012)

სარა პერი (Sarah Perry) “If…” (Getty Publications 2006)

ჯონათან ემეტი და ადრიან რეინოლდსი (Jonathan Emmett & Adrian Reynolds) “If We Had a Sailboat” (Oxford University Press 2006)

*სარა ლ. ტომსონი და რობ გონსალვესი (Sarah L. Thomson & Rob Gonsalves) “Imagine a Day” (Atheneum Books 2005)

*სარა ლ. ტომსონი და რობ გონსალვესი (Sarah L. Thomson & Rob Gonsalves) “Imagine a Night” (Atheneum Books 2018)

*სარა ლ. ტომსონი და რობ გონსალვესი (Sarah L. Thomson & Rob Gonsalves) “Imagine a Place” (Atheneum Books 2008)

*სარა ლ. ტომსონი და რობ გონსალვესი (Sarah L. Thomson & Rob Gonsalves) “Imagine a World Rob Gonsalves” (Simon & Schuster 2015)

რიჩარდ უოლკერი და ნიამ შარკი (Richard Walker & Niamh Sharkey) “Jack and the Beanstalk” (Barefoot Books 2019)

მერი პოუპ ოსბორნი (Mary Pope Osborne) “Kate and the Beanstalk” (Aladdin Paperbacks 2005)

ედ ბრაიანი (Ed Bryan) “Little Red Riding Hood” (Nosy Crow 2015)

ჯონ ბერნინგემი (John Burningham) “Mr Gumpy’s Motor Car” (Red Fox 2002)

^ ჯონ ბერნინგემი (John Burningham) “Mr Gumpy’s Outing” (Red Fox 2001)

ივ სატონი და ლინლი დოდი (Eve Sutton & Lynley Dodd) “My Cat Likes to Hide in Boxes” (Puffin Books 1978)

სანდრია რაო და ნინა საბნანი (Sandhya Rao & Nina Sabnani) “My Mother’s Sari” (North-South Books 2009)

შენ როდი და ჯილ ნიუტონი (Shen Roddie & Jill Newton) “Please Don’t Chat to the Bus Driver” (Bloomsbury Publishing 2001)
ოსკარ სიუორსი და დები კარტერი (Oscar Seaworthy & Debbie Carter) “Port Side Pirates” (Barefoot Books 2011)
^ჯონათან ემეტი და ადრიან რეინოლდსი (Jonathan Emmett & Adrian Reynolds) “Someone Bigger” (Oxford University Press 2003)
ჯეიმს მეჰიუ და ჯეკი მორისი (James Mayhew & Jackie Morris) “Starlight Sailor” (Barefoot Books 2014)
ჯონ ბუში და კორკი პოლი (John Bush & Korky Paul) “The Fish Who Could Wish” (Oxford University Press 2008)
^ კვენტინ ბლეიკი (Quentin Blake) “The Green Ship” (Red Fox 2000)
ჯულია დონალდსონი და აქსელ შეფლერი (Julia Donaldson & Axel Scheffler) “The Gruffalo” (Macmillan Children’s Books 2019)
მაიკ სმიტი (Mike Smith) “The Hundred Decker Bus” (Macmillan Children’s Books 2013)
ალან ალბერგი და ჯანეტ ალბერგი (Allan Ahlberg & Janet Ahlberg) “The Jolly Postman” (Puffin Books 1999)
* მინი გრეი (Mini Grey) “The Last Wolf” (Jonathan Cape 2018)
ჯონ ბერნინგემი (John Burningham) “The Shopping Basket” (Red Fox 1992)
ალან ალბერგი და ანდრე ამსტუცი (Allan Ahlberg & Andre Amstutz) “The Shopping Expedition” (Walker Books 2006)
ნაიმა ბინტ რობერტი და ნილეშ მისტრი (Na’ima bint Robert & Nilesh Mistry) “The Swirling Hijaab” (Mantra Lingua 2002)
დევიდ ვაისნერი (David Wiesner) “The Three Pigs” (Andersen Press 2012)
^ ჯუნ კრებინი და სტეფან ლამბერტი (June Crebbin & Stephen Lambert) “The Train Ride” (Walker Books 1996)
ნიკ ბატერუორსი (Nick Butterworth) “The Treasure Hunt (Tales from Percy’s Park)” (HarperCollins Children’s Books 2011)
ჯულია დონალდსონი და დევიდ რობერტსი (Julia Donaldson & David Roberts) “The Troll” (Macmillan Children’s Books 2010)
*ტომი ფორვარდი და იზჰარ კოენი (Toby Forward & Izhar Cohen) “The Wolf’s Story: What Really Happened to Little Red Riding Hood” (Walker Books 2006)
იან ვაიბროუ და რასელ აიტო (Ian Whybrow & Russell Ayto) “Tim, Ted and the Pirates” (HarperCollins Children’s Books 2013)
^ ალან ალბერგი და ჯილიან ტაილერი (Alan Ahlberg & Gillian Tyler) “Treasure Hunt” (Walker Books 2003)
სიუზან რეიდი და რეიჩელ ოლდფილდი (Susan Reid & Rachel Oldfield) “Up, Up, Up!” (Barefoot Books 2011)
^ჯული ლაკომი (Julie Lacome) “Walking Through the Jungle” (Walker Books 1995)
^მაიკლ როსენი და ჰელენ ოქსენბერი (Michael Rosen & Helen Oxenbury We’re Going on a Bear Hunt (Walker Books 2009)
კობი იამადა და მაე ბესომი (Kobi Yamada & Mae Besom) “What Do You Do with an Idea?” (Compendium 2013)

ჯილ მერფი (Jill Murphy) “Whatever Next!” (Macmillan Children’s Books 2018)
^ჯონ ბერნინგემი (John Burningham) “Where’s Julius” (Red Fox 2001)
ემილი გრავიტი (Emily Gravitt) “Wolf Won’t Bite” (Two Hoots 2018)

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები - მასალები

როჯერ კემპი (Roger Camp) “500 Flowers” (Dewi Lewis Media 2005) – ციფრული ფოტოგრაფია მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ყვავილების ფერადი კოლეჟების შესაქმნელად

ქეითი კუპრი ლუჩარდი და ანტონი ლუჩარდი (Katy Couprie Louchard & Antonin Louchard A Whole World (Milet Publishing 2002)

ენდი გოლდსუორდი (Andy Goldsworthy) “Andy Goldsworthy: A Collaboration with Nature” (Harry N Abrams Inc 1998) – ენდი გოლდსუორსი მხატვარია, რომელიც შესანიშნავად მუშაობს პეიზაჟებზე ბუნებრივი მასალებით; გასაოცარი ფერადი ფოტოები

კალენდრები და ღია ბარათები ფერების, ხელოვნებისა და ფოტოგრაფიის თემებით: Amazon-ზე (www.amazon.co.uk) ხელმისაწვდომია ბევრი მაღალი ხარისხის სურათი, ასევე ბარათებისა და წიგნების მაღაზიებში, მაგალითად “Nouvelles Images” (www.nouvellesimages.com)

ამანდინ გისეზ გალიენისა და ჰილტონ მაკკონიცო (Amandine Guisez Gallienne & Hilton McConnico) “Colourful World” (Thames & Hudson 2005) –ფერადი ფოტოები მთელი მსოფლიოდან

პიტერ კოლი და ლესლი ჯონაზი (Peter Cole & Leslie Jonath) “Foraged Art: Creative Projects Using Blooms, Branches and Other Natural Materials” (Blue Streak Books 2018)

ბენედიქტ ტასშენი (Benedikt Taschen) “Hundertwasser Calendar 2013” (Taschen 2012) – ცალკეული სურათები დემონსტრაციისთვის

ჯიჰემ ჰარელი და ვილენდ შმიდი (Joham Harel & Wieland Schmied) “Hundertwasser Kunst Haus Wein (Album)” (Taschen 2004) – ამ მხატვრის/ არქიტექტორის ნახატებიც და შენობებიც წარმოსახვითი რეაგირების დიდ სტიმულებს გვთავაზობს

მარკ პოიეტი (Marc Poyet) “Land Art in Town: Simple Inspiration Through the Seasons” (Frances Lincoln 2013)

მარკ პოიეტი (Marc Poyet) “Natural: Simple Land Art Through the Seasons” (Frances Lincoln 2009) –მართლაც შთამაგონებელი და ვიზუალური წიგნი, რომელიც სავსეა მხატვარ-ნატურალისტის მარკ პოიეტის ფერადი ნახატებით (სულ ცოტა ტექსტით); ბევრი მათგანი ადრეული ასაკის ბავშვების ნახატების მსგავსია

ენფი გოლდუორსი (Andy Goldworthy) “Parkland” (Yorkshire Sculpture Park 2016) – ხელოვნების დროებითი ნამუშევრების კოლექცია წელიწადის დროების შესაბამისი ბუნებივი მასალებით

ღია სივრცისთვის შესაფერისი პოსტერები და დაბეჭდილი ხელოვნების ნიმუშები: კალენდრები - შესანიშნავი რესურსია (ცალკეული ამობეჭდილი სურათი შეგიძლიათ დაალამინიროთ გარე სივრცეში გამოსაყენებლად);

სტრიტ-არტის მაღაზიებს, მაგალითად "Athena" (https://athenaart.com) საკმაოდ იაფი პრინტები აქვთ (პლასტმასის ფირი გარე სივრცეში გამოსაყენებლად შეინახეთ); ჩამოტვირთეთ პრინტები ინტერნეტიდან, ხელოვნების საიტებიდან. უამრავი ნამუშევარი არსებობს; წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანის მაგალითს:

- პეიზაჟები, მაგალითად, ვულფ კანი (Wolf Kahn), პოლ პოუისი (Paul Powis) (Seeing a Whisper), ჯულიანა ლაზერინი (Giuliana Lazzerini) (Village at Sunset), ვინსენტ ვან გოგი (Vincent Van Gogh) (Cornfield with Cypresses), ჯონ მილერი (John Miller) (Moon Over the Bay), ჰ. ლუნგი (H Leung) (Mountain Glory)
- ფერები, მაგალითად, ჯექსონ პოლაკი (Jackson Pollack), მონე (Monet), ვასილი კანდინსკი (Wassily Kandinsky) (Squares with Concentric Circles); გუსტავ კლიმტი (Gustav Klimt) (Pear Tree), ლაფანკი (Laffanki) (Silent Valley), ნელ უოთმორი (Nel Whatmore) (Colour Field 3)
- ბავშვების თამაში გარეთ, მაგალითად, ლ.ს. ლოვრი (L S Lowri) (On the Sands), პიტერ ბრუგელი (Pieter Bruegel) (Children's Games)
- მოზაიკები, მაგალითად, ანტონი გაუდი (Antoni Gaudi) და ფრიდენსრეიჰ ჰანდერვასერი (Friedensreich Hundertwasser) ნამუშევრები

პოლი ო'ნილი (Polly O'Neil) "Surfaces and Textures: A Visual Source Book" (A & C Black Publishers 2008) – მართლაც საოცარი წიგნია, რომელშიც მოცემულია ბევრი სხვადასხვა სახის ზედაპირი

ლოან ოი და სესილი დე კეგელი (Loan Oei & Cecile De Kegel) "The Elements of Design: Rediscovering Colours, Textures, Forms and Shapes" (Thames & Hudson 2002) – გარემოში არსებული მოდელებისა და ფორმების ფერადი ფოტოების საოცარი კრებული

ჰერვ ტულე (Herve Tullet) "The Five Senses" (Tate Publishing 2004)

დაიან დარსტონი (Diane Durston) "Wabi Sabi: The Art of Everyday Life" (Storey Books 2006) - გამონათქვამების კრებული მარტივისა და ჩვეულებრივის მშვენიერების თემაზე

www.allposters.com პოსტერების, მათ შორის პეიზაჟებისა და სახვითი ხელოვნების ნიმუშების ონლაინ ფოსტით შესაკვეთად

www.artgroup.com პრინტების ონლაინ ფოსტით შესაკვეთად მათ შორის ტეიტის გალერეიდან

www.artnet.com ინფორმაცია მხატვრებსა და ხელოვნების მოძრაობებზე

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები - ხელოვნება

ალისტერ ბრიუს-ქლეგი (Alistair Bryce-Clegg 50 Fantastic Ideas for Creativity Outdoors (Featherstone Education 2013)

Black Rubber Column: From Conception of an Idea to Realisation of a Final Model (Reggio Children 2009) – ბავშვები და მხატვრები ერთად მუშაობენ გარე სივრცის შთაგონებით, ხელმისაწვდომია www.sightlines-initiative.com/online-store.html

Children, Art, Artists: The Expressive Languages of Children, the Artistic Language of Alberto Burri
Reggio Children (Reggio Children 2004) – ცენტრს აქვს ბუნებრივი მასალების არაჩვეულებრივი განყოფილება ბავშვებისთვის, ხელმისაწვდომია www.sightlines-initiative.com/online-store.html
ურსულა კოლბი (Ursula Kolbe) "Children's Imagination: Creativity Under Our Noses" (Peppinot Press 2014) – დაეხმარებათ უფრო ღრმად დააკვირდეთ თუ რას აკეთებენ ბავშვები შემოქმედებით პროცესში
Dialogues with Places (Reggio Children 2008) – from www.sightlines-initiative.com/online-store.html
Everything Has a Shadow, Except Ants (Reggio Children 1999) – ხელმისაწვდომია www.sightlines-
initiative.com/online-store.html
სარა ოლმსტედი (Sarah Olmsted) "Imagine Childhood: Exploring the World Through Nature, Imagination and Play" (Roost Books 2012) – 25 პროექტი ცნობისმოყვარეობის ხელშესაწყობად და თავგადასავლებისთვის
ურსულა კოლბი (Ursula Kolbe) "It's Not a Bird Yet: The Drama of Drawing" (Peppinot Press 2005) – ადრეული ასაკის ბავშვების ხატვის პროცესის არაჩვეულებრივი აღწერილობა, განსაკუთრებით, ჯგუფური ხატვის ძალა
ჰელენ ბრომლი (Helen Bromley) "Making My Own Mark: Play and Writing" (British Association for Early Childhood Education 2008) – ხელმისაწვდომია www.early-education.org.uk
სიუ გასკოინი (Sue Gascoyne) "Messy Play in the Early Years: Supporting Learning Through Material Engagements" (David Fulton 2019) – დაგეხმარებათ კიდევ უფრო ჩაუღრმავდეთ პროცესებსა და შედეგებს
ავსტრალიელი ქალების ყოველკვირეული საშინაო ბიბლიოთეკა (Australian Women's Weekly Home Library) More Children's Art and Crafts (Australia Consolidated Press n.d.)
ენნ ტომსონი, კლერ ტომსონი და გეინორ დევისი (Ann Thompson, Clare Thompson & Gaynor Davies) "Nature's Colour Palette" (C P Thompson Press (2018) – ხელმისაწვდომია www.etsy.com
ფიონა დანკსი და ჯო შოფილდი (Fiona Danks & Jo Schofield) "Nature's Playground" (Frances Lincoln 2006) – მოიცავს ბევრ შთამაგონებელ შემოქმედებით შესაძლებლობას
ელაინ მესი და სემ გუდმანი (Elaine Massey & Sam Goodman) "The Little Book of Mark Making" (Featherstone Education 2014)
სალი ფეზერსტოუნი (Sally Featherstone) "The Little Book of Messy Play" (Featherstone Education 2002)
ურსულა კოლბი (Ursula Kolbe) "Rapunzel's Supermarket: All About Young Children and Their Art" (2nd edition Peppinot Press 2007)
ალისა ჯაგენი (Alyssa Jagen) "Ultimate Slime: DIY Tutorials for Crunchy Slime, Fluffy Slime, Fishbowl Slime, and More Than 100 Oddly Satisfying Recipes and Projects – Totally Borax Free" (Quarry Books 2017)

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები - მუსიკა და ცეკვა

მარჯორი უვრი (Marjorie Ouvry) "Sounds Like Playing: Music and the Early Years Curriculum" (British Association for Early Childhood Education 2004) – ხელმისაწვდომია www.early-education.org.uk

Stomp: Out Loud DVD (1999) – მუსიკოსი-მოცეკვავეები ყოველდღიურ საგნებს იყენებენ გასაოცარი მუსიკალური ხმებისა და რიტმების შესაქმნელად

Stomp: Rhythms of the World DVD (2009) – რიტმები და ცეკვები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან

ჯული ქუინი და ნაომი ვაგნერი (Julie Quinn & Naomi Wager) "The Little Book of Dance" (Featherstone Books 2004)

ჯული მაინტინი (Julie Mountain) "The Little Book of Free and Found" (Featherstone Education 2014)

საიმონ მაკდონალდი და მართა ჰარდი (Simon MacDonald & Martha Hardy) "The Little Book of Junk Music" (Featherstone Education 2013)

სალი ფეზერსტოუნი და კერი ინგემი (Sally Featherstone & Kerry Ingham) "The Little Book of Nursery Rhymes" (Featherstone Education 2002)

The Sounds of Leaping – DVD მოგვითხრობს იმის შესახებ თუ როგორ შეიძლება ბავშვების ხტომის ენთუზიაზმის გამოყენება "Sightlines Initiative"-ის სიმფონიის შესაქმნელად, www.sightlines-initiative.com (CDs და DVDs-ის ონლაინ მაღაზია)

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები - წარმოსახვითი თამაში და ზღაპრები

დებ ვილენსკი (Deb Wilenski) "37 Shadows: Listening to Children's Stories from the Woods; A Story of Smallness and Light; Discovering Detail in the Woods; Outside/Inside: A Gallery of Provocations and Speculations (Cambridge Curiosity and Imagination 2013 & 2014) – ხელმისაწვდომია www.cambridgecandi.org.uk

მარიანე სარჯენტი (Marianne Sargent) "50 Fantastic Ideas for Imaginative Thinking" (Featherstone Education 2014)

ჯუდიტ ჰორვაზი (Judit Horvath) "50 Fantastic Ideas for Storytelling" (Featherstone Education 2017)

A Place to Talk Outside Elizabeth Jarman (Featherstone Education 2009)

ვივიან გასინი (Vivian Gussin) "Paley Bad Guys Don't Have Birthdays: Fantasy Play at Four" (University of Chicago Press 1991)

მარიანე სარჯენტი (Marianne Sargent) "Developing Early Literacy Skills Outdoors" (Practical Pre-school Books 2015)

ლინდა ლაინსი, რობინ დაკეტი და კრის ჰოუმსი (Linda Lines, Robin Duckett & Chris Holmes) "Feathers" (Sightlines Initiative 2002) – ასახავს ბავშვების წარმოსახვით რეაქციებს ერთი წლის განმავლობაში ტყეში გატარებულ დროში

რობინ დაკეტი და მერი ჯეინი (Robin Duckett & Mary Jane) (რედაქტორები) "Drummond Learning to Learn in Nature" (Sightlines Initiative 2014) – წარმოადგენს ბევრ არაჩვეულებრივ ამბავს, რომლებიც პროექტის

„ადრეული სწავლების ოთხი წელი ბუნებაში" ფარგლებში შეიქმნა, ხელმისაწვდომია www.sightlines-initiative.com/online-store.html
რუზ ლუდლოუ (Ruth Ludlow) "Let's Take a Storybook Outside: Exciting Ways to Promote Outdoor Creativity" (Lawrence Educational Publications 2008)
როს ბეილი, ჰელენ ბრომლი და ლინ ბროდბენტი (Ros Bayley, Helen Bromley & Lynn Broadbent) "Literacy Outdoors: 50 Exciting Starting Points for Outdoor Literacy Experiences" (Lawrence Educational Publications 2006)
საბავშვო ბაღის პროექტი "Rising Sun Woodland Preschool" DVD "Look the Trees Are on Fire" - ასახავს ტყეში ყოველკვირეული ვიზიტების წარმოსახვითად გამოყენებას და იმას, თუ როგორ გეგმავდნენ უფროსები „პროვოკაციებს", ხელმისაწვდომია www.sightlines-initiative.com (online store under CDs and DVDs)
ენნ რობერტსი (Ann Roberts) "The Little Book of Prop Boxes for Role Play" (Featherstone Education 2002)
შერონ უარდი (Sharon Ward) "The Little Book of Small World Play" (Featherstone Education 2005)
ლინდა ლაინსი, რობინ დაკეტი და კრის ჰოლმსი (Linda Lines, Robin Duckett & Chris Holmes) "The Mouse House" (Sightlines Initiative 2002) – ასახავს ბავშვების წარმოსახვითი რეაქციებს ერთი წლის განმავლობაში ტყეში გატარებულ დროში
ჰელენ ბრომლი (Helen Bromley) "The Small World Recipe Book: 50 Exciting Ideas for Small World Play" (Lawrence Educational Publications 2004)
დი ჩილვერსი (Di Chilvers) "Young Children Talking: The Art of Conversation and Why Children Need to Chatter" (British Association for Early Childhood Education 2006)

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები - მარაგები

მწერლის ქამრების, საწერი კალმები, ხელოვნებისა და საქსოვი მასალების საყვარელი კატალოგები, www.cosydirect.com
მაღაზიაში "Early Excellence" იპოვით მცირე სამყაროს ბევრ სხვადასხვა რესურსს, ასევე რესურსებს ქსოვისთვის, ცეკვისთვის და როლური თამაშებისთვის გარე სივრცეში, https://earlyexcellence.com/product-category/outdoor-3-7-years/outdoor-resources
Knock on Wood სხვადასხვა მსოფლიო მუსიკისა და ინსტრუმენტების ონლაინ კატალოგი, www.knockonwood.co.uk
მაღაზიაში "Muddy Faces" ხელმისაწვდომია უამრავი რესურსი წარმოსახვითი და შემოქმედებითი თამაშისთვის, მათ შორის ფერიები (სათამაშოების განყოფილებაში) და ბევრი სხვადასხვა საბავშვო წიგნი (წიგნების განყოფილებაში), www.muddyfaces.co.uk/shop
გარე სივრცეში გამოყენებისთვის შესაფერისი TTS საგანმანათლებლო რესურსები CD-ის დამკვრელებისთვის, ჩამწერებისთვის, ციფრული და ვიდეო კამერებისთვის
(განლაგებულია 'ICT for early years' განყოფილებაში), www.tts-groups.co.uk

დასკვნა

- წარმოსახვა და შემოქმედებითობა განუყოფელია ერთმანეთისგან და უაღრესად მნიშვნელოვანია ადრეული ასაკის ბავშვების მრავალმხრივი განვითარებისათვის.
- წარმოსახვისა და შემოქმედებითობის ხელშემწყობი გარემოს შექმნა ღია სივრცეში აფართოებს და ამდიდრებს ბავშვების გამოცდილებას, რადგანაც გარე სივრცე ბავშვებს იმას სთავაზობს, რაც ხელმიუწვდომელია დახურულ სივრცეში. გარე სივრცე საოცარ გარემოს ქმნის წარმოსახვითი და შემოქმედებითი თამაშისთვის.
- ღია სივრცეში შემოქმედებითი გამოცდილებები მოიცავს აღნიშვნების გაკეთებას, ხელოვნებას, ხატვას, ფიგურების შექმნას, ქსოვას, მოდელირებას, დიზაინს, მშენებლობას, ხეზე მუშაობას, მუსიკას, ცეკვას, წარმოსახვით (როლური) თამაშს, მცირე სამყაროს თამაშებს, ამბების თხრობას, წიგნების კითხვას, წერას და პერფორმანსს. გარე სივრცე ბავშვებს სთავაზობს მდიდარ და შესაფერის შესაძლებლობებს ყველა ზემოჩამოთვლილ სფეროებში და ისინი საკმაოდ განსხვავდებიან დახურულ სივრცეში არსებული შესაძლებლობებისგან.
- დაგეგმეთ გარე სივრცე მრავალფეროვანი სტიმულებისა და შესაძლებლობების შეთავაზებით, რესურსებთან უწყვეტი ხელმისაწვდომობით, სპონტანურობასა და მოქნილობაზე ორიენტირებით.
- მაღალი ხარისხის შემოქმედებითი და წარმოსახვითი თამაში მოულოდნელად წარმოიშობა, მისი წინასწარი დაგეგმვა შეუძლებელია და უამრავ დროს საჭიროებს ღრმად განვითარებისთვის. ეს კი აუჩქარებელ მიდგომას მოითხოვს, რომლის პირობებშიც მიმდინარე აქტივობებზე დაკვირვება და შეფასებაა შესაძლებელი.
- მნიშვნელოვანია საუბრის, დასვენებისა და ოცნების შესაძლებლობის, დროის უზრუნველყოფა და რეფლექსია ზეწოლის გარეშე.
- ვინაიდან შემოქმედებითი პროცესი მოუწესრიგებელია, ჭეშმარიტად შემოქმედებითი გარე სივრცე უფრო სამუშაოთა წარმოების ადგილია, ქაოტური და უწესრიგოა - ამ უწესრიგობასთან გამკვლავება გარე სივრცეში უფრო ადვილია! ამიტომ, სწორი დაგეგმვა, ორგანიზება მნიშვნელოვანია.
- გარე სივრცეში ბავშვებს მთელი წლის მანძილზე ფართომასშტაბიანი შემოქმედებითი აქტივობისა და თამაშის შესაძლებლობები აქვთ. თბილ და კომფორტულ ტანსაცმელს არსებითი მნშვნელობა აქვს, რისთვისაც კარგია საწვიმარები.

- ყველაზე ეფექტური და სასიამოვნო შემოქმედებითი თამაში მაშინ ხდება, როცა ადრეული ასაკის დაწესებულების შიდა და გარე სივცეები დაკავშირებულია, სადაც ღია და დახურული გარემო ეფექტურად გამოიყენება.
- ამ გარემოსთვის საბაზისო რესურსები უნდა იყოს იაფი და ადვილად შეგროვებადი მოძრავ კონტეინერებში, რათა ბავშვებმა გადაიტანონ ისინი მათთვის სასურველ ადგილას.
- განვითარების, წარმოსახვისა და გამომხატველობისთვის ყველაზე ეფექტური რესურსები მრავალმხრივი დანიშნულების უნდა იყოს, რათა თითოეულმა ბავშვმა მოახერხოს მათი საჭიროებისამებრ გამოყენება. გარე სივრცე მნიშნელოვნად უწყობს ხელს რეპრეზენტაციული და სიმბოლური აზროვნების განვითარებას.
- წარმოსახვითი თამაშების საუკეთესო ადგილები და მოწყობილობები უნდა იყოს მარტივი და მოქნილი გამოყენებაში, რაც მათი მოდიფიცირების საშუალებას მოგცემთ ბავშვების საჭიროებების შესაბამისად. წარმოსახვითი თამაში ბავშვების სპონტანურ სათამაშო თემებს უნდა ითვალისწინებდეს, წინასწარ დაგეგმილ, მიწოდებულ როლურ თამაშებთან შედარებით.
- წიგნებსა და ამბების თხრობას ღია სივრცეში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეკავოს, სადაც არსებითად შეიძლება გაიზარდოს რელევანტურობა, გაუმჯობესდეს კონტექსტი და ატმოსფერო.

სურათი 5.9. შემოქმედებითი გამოხატულების სტიმული გარე სივრცეში ძალიან ძლიერია

თავი 6

მშენებლობა გარეთ და ქოხებში თამაში

ამ თავში განხილულია შემდეგი საკითხები:

- რატომ არის ეფექტური გარე სივრცეში მშენებლობა?
- გარე სივრცეში სამშენებლო თამაშებისთვის საჭირო რესურსები
- საუკეთესო რესურსები მშენებლობისთვის
- გარე სივრცეში მშენებლობისთვის საჭირო რესურსების შენახვა და ორგანიზება
- ბავშვების მიერ მოწყობილ ნაგებობებში თამაშის ხელშეწყობა
- როგორ მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი სამშენებლო თამაშისგან სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით
- გენდერული განსხვავებები გარე სივრცეში სამშენებლო თამაშების დროს
- გარე სივრცის შეფასება სამშენებლო თამაშებისთვის
- საბავშვო წიგნები, ლექსები და სიმღერები
- დამატებითი ინფორმაცია და რესურსები

რატომ არის ეფექტური გარე სივრცეში მშენებლობა?

სამშენებლო პროექტები ძალიან იზიდავთ ადრეული ასაკის ბავშვებს და ისინი ასაკის მატებასთან ერთად უფრო და უფრო რთულ პროექტებში ერთვებიან. იდეები, რომლებსაც ბავშვები სამშენებლო თამაშების დროს ავითარებენ, შეიძლება ერთ თემატიკაში გავაერთიანოთ - „როგორ მუშაობს სამყარო?" და „როგორ ვერგები მას?"; ეს ორი კითხვა არსებითად მნიშვნელოვანია ჩვენი დაუოკებელი ნორჩი გამომგონებლებისთვის. მშენებლობა ბავშვებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საჭიროების დაკმაყოფილების საშუალებას აძლევს - გაიგონ „რა მოხდება თუ..." და „რისი გაკეთება შემიძლია?". იმის სწავლა და გაგება, რომ მოვლენებსა და მოქმედებებს შორის შედეგობრივი კავშირი არსებობს (მიზეზი და შედეგი), განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეცნიერო და შემოქმედებითი აზროვნებისთვის, რაც ბავშვს ზემოქმედებისა და აგენტობის შე-

გრძნებას ანიჭებს, ამასთან სასარგებლოა საკუთარი (და სხვისი) უსაფრთხოების გაცნობიერებისთვის. ბავშვებს გარეთ დიდი სივრცე, მეტი თავისუფლება და ბევრი სტიმული აქვთ, შესაბამისად, სამშენებლო თამაში კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდება თუ იგი გარე სივრცის ძირითად ნაწილად იქცევა და ბავშვებს მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების კვლევის მეტი შესაძლებლობა ექნებათ.

როგორც ამ თავში ნახავთ, კონსტრუირება, მშენებლობა და გარე სივრცეში საქმიანობა, ადრეული ასაკის ბავშვებს სწავლისა და განვითარების უდიდეს პოტენციალს სთავაზობს კურიკულუმის ნებისმიერი ასპექტის გათვალისწინებით. ეს აქტივობები ბევრი მოძრაობის, მოქმედებისა და ზემოქმედების შესაძლებლობას იძლევა - რაც ბავშვებისათვის სწავლის საუკეთესო გზაა. მშენებლობისთვის მეტი სივრცის გამოყოფა ბავშვებს უფრო დიდ რესურსებს და შესაბამისად, უფრო ფართომასშტაბიან სამუშაოებში ჩართვის საშუალებას აძლევს. მაღალი აქტიურობის, ხმაურისა და უწესრიგობის პირობებში ბიჭები ხშირად გაცილებით უფრო ხალისიანად ერთვებიან სოციალურ, თანამშრომლობით, თეატრალურ თამაშებში, ვიდრე დახურულ სივრცეში (იხ. ჰელენ ბილტონის (Helen Bilton "Outdoor Play in the Early Years", 2002, გვ. 70).

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ მშენებლობის არსებითი ასპექტი დაშლაა, რადგანაც დეკონსტრუქცია აჩვენებს ბავშვებს თუ როგორაა საგნები ერთმანეთთან დაკავშირებული. ამჟამად ბევრი ბაღი სთავაზობს ბავშვებს შესაძლებლობას ნაწილების შესასწავლად ძველი (უსაფრთხო) საყოფაცხოვრებო ნივთების დაშლას და აწყობას. მაგალითად, ტელეფონი, ვენტილატორი ან დინამიკები. ბავშვებს ამ ნაწილებით ახალი კომბინაციების და აქამდე არარსებული ნივთების შექმნა შეუძლიათ. ხელობა და „ფუსფუსი" ბავშვებისთვის საინტერესო, საკვირველი და დამაინტრიგებელი პროცესია, ამასთან ყველაზე ეფექტური გზაა იმის სასწავლებლად, თუ როგორ მუშაობენ საგნები და როგორ შეიძლება მათი შეკეთება. (კვლევების თანახმად, კარგ მეცნიერებს, ხელოვანებსა და გამომგონებლებს ბავშვობაში დიდი დრო ჰქონდათ ამ სახის გამოცდილებების მისაღებად). აშშ-ში „ოსტატობის სკოლის" იდეის ინიციატორი - გევერ ტული (Gever Tulley), აღნიშნავს რომ ეს პროცესი განსაკუთრებით ეფექტურია იმ ბავშვების განათლებაში, „რომლებიც რთულ

პრობლემებს თავსატეხებად აღიქვამენ და რომლებსაც თავსატეხების გამოცნობის მიზანსწრაფულობა, შემოქმედებითი რესურსები და უნარები გააჩნიათ" (Gever Tulley, TEDxKids@ brussels, 2011). ეს მიდრეკილებები ძალიან მნიშვნელოვანია ინოვაციური და სამეწარმეო თვალსაზრისით და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი დროის ისეთ გლობალურ პრობლემებთან გამკვლავებისთვის, როგორიცაა საკვების წარმოება, ნარჩენები და კლიმატის ცვლილება.

მშენებლობის განსაკუთრებულ სახეობას ქოხები წარმოადგენს და იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარე სივრცეში. ადრეული ასაკის ბავშვებს პატარა, მყურდო კუთხეები განსაკუთრებულად უყვართ და მათი მოწყობა შესაძლებელია ბალახზე, ქვიშაზე, ასფალტზე თუ ბუჩქებში. ქოხები ბავშვებში დიდი პოპულარობით სარგებლობენ და კონკრეტული თამაშის სურვილს უღვივებენ, განსაკუთრებით მაშინ, თუკი იქ დამალვა და იქედან შეუმჩნევლად თვალთვალი შეიძლება. ღია სივრცეებს ხშირად სიმყუდროვე და კომფორტი აკლიათ, ამიტომ ქოხები ნამდვილად ეფექტური საშუალებაა ისეთი სივრცეების დასამატებლად, სადაც განმარტოება და ემოციური უსაფრთხოების განცდაა შესაძლებელი და სადაც უფრო მშვიდ და მორიდებულ ბავშვებს შეუძლიათ თამაში. ქოხების შიდა სივრცეების მოწყობა თუ სხვა სამშენებლო თამაში უამრავ რამედ შეიძლება გადაიქცეს ბავშვის ძლიერი წარმოსახვის ძალით. უფროსებს უნდა გვახსოვდეს, რომ ქოხებში ან სხვა ემოციურად კომფორტულ „საიდუმლო" ადგილებში განვითარებული თამაშები ბავშვების შფოთვებიდან და შიშებიდან მომდინარეობს (მაგალითად, დაკარგვის ან დაჭერის შიში) და კარგი ხელშეწყობის შემთხვევაში, ეს აქტივობები შეიძლება შფოთვებთან და შიშებთან გამკვლავების ძლიერ მექანიზმად იქცეს. ტრადიციულად, საბავშვო ზღაპრებს სწორედ ეს ფუნქცია გააჩნიათ და ასეთი ტიპის თამაშების დროსაც შეიძლება გამოგადგეთ.

ამ ასაკობრივი კატეგორიის შედარებით უფროსი ბაშვებისთვის ასევე საინტერესოა წარმოსახვითი ადამიანებისა და საგნებისთვის განსაკუთრებული ადგილების მოწყობა. მცირე სამყაროს თამაშების საფუძველზე (იხ. თავი 5) ბავშვები ფანტასტიურ ზღაპრულ სახლებსა და ბაღებს აშენებენ, ელფებისა და გობლინებისთვის ხის სახლებს, გამოქვაბულებსა

და სათამაშო მოედნებს აწყობენ. თაგვებისთვის და სხვა პატარა ბინადრებისთვის სახლების აშენება ასევე ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია, რაც ცოცხალ არსებებზე ზრუნვის სურვილიდან მომდინარეობს და ხელს უწყობს ემოციის და წარმოსახვის განვითარებას. ასეთი ტიპის მშენებლობებისთვის სხვადასხვა ბუნებრივი მასალა საუკეთესო რესურსს წარმოადგენს, ამას შეიძლება მცირე ზომის ბაღისა და საყოფაცხოვრებო ნივთებიც შეამატოთ, მაგალითად, ყვავილის ქოთნები და შუშის მძივები. ასეთი კუთხეების მოწყობის იდეა გარე სივრცის ნებისმიერი წერტილიდან შეიძლება წამოვიდეს, ყველაზე დიდი სტიმულატორები კი ისეთი ბუნებრივი ადგილებია, როგორიცაა აქერცლილი ხის კუნძი, გუბე, ბუჩქების საზღვარი ან მცირე ხვრელები კედლის აგურებს შორის. გასულ წლებში უამრავი არაჩვეულებრივი საბავშვო ზღაპრების წიგნი გამოიცა, რომლებიც უფროსებისთვისაც ძალიან საინტერესო იქნება (იხილეთ წიგნების ჩამონათვალი ამ თავის ბოლოს). სწორედ ამ სივრცეებში შეუძლიათ უფროსებს ბავშვებთან შინაარსიანი მუშაობა და

სურათი 6.1. საოცარი სათამაშო გარემო ქოხებში

მათი იდეების რეალიზება. ბავშვების ბუნებასთან დაახლოების კონტექსტში სამშენებლო თამაშების შთაგონებისთვის, იხილეთ ვებ-გვერდი: www.fairyhouses.com

ღია სივრცეში მშენებლობის კიდევ ერთი გასათვალისწინებელი ასპექტი ხეზე მუშაობაა. XX საუკუნის დასაწყისში გერმანელი განმანათლებლის, ფრიდრიხ ფრობელის იდეებით შთაგონებული საბავშვო ბაღებიდან გავრცელებული ეს აქტივობა, ჩვეულებრივ ადრეული განათლების პრაქტიკის უმთავრეს ნაწილად მიიჩნეოდა. ხე ლამაზი და მოქნილი ბუნებრივი მასალაა, რომელიც არის და ყოველთვის იყო ჩვენი ცხოვრების მნიშნელოვანი ნაწილი - შესაბამისად, გასაკვირიც არ არის, რომ ბავშვებს იზიდავთ ხეზე მუშაობა. რადგანაც, ხეები და ტყე ესოდენ მნიშვნელოვანია ჯანსაღი გარემოსთვის, ბავშვების პირადი დამოკიდებულების ჩამოყალიბება ბუნების მიმართ მნიშვნელოვანია მათთვისაც და პლანეტისთვისაც. საუბედუროდ, ბოლო პერიოდში რისკების თავიდან აცილების მიდგომა, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გამოწვევებთან ერთად, იმას გულისხმობს, რომ ახალბედა პრაქტიკოსებს არ აქვთ შესაბამისი ცოდნა, რათა უსაფრთხოდ უზრუნველყონ ხეზე მუშაობის გამოცდილებები; შესაბამისად, მშენებლობის ამ კონკრეტულ ასპექტს ახლა უკვე იშვიათად თუ სთავაზობენ ბავშვებს. ეს დიდი დანაკარგია და „ტყის სკოლის" მოძრაობამ უკვე გარკვეულ წარმატებას მიაღწია ამ პრობლემის მოგვარების მიმართულებით. ხეზე მუშაობა მხოლოდ პასუხისმგებლობის, რწმენისა და ეფექტურობის უნარის განვითარებით არ შემოიფარგლება; სწორედ ამიტომ, სულ უფრო მეტი ბაღი ხელახლა ნერგავს ხეზე მუშაობას თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობასა და პრაქტიკაში, რათა ბავშვებმა თანდათან შეძლონ კომპეტენციების გაძლიერება, უსაფრთხოების წესების დაცვა და წარმატების მიღწევა. ხეზე სამუშაო დახლი კარგად უკავშირდება ღია სივრცეში შეთავაზებულ სხვა აქტივობებს და უფრო დიდი კონსტრუქციების შექმნის შესაძლებლობებს აძლევს ბავშვებს. დიდი სამუშაო სივრცე და ყურადღების კონცენტრაცია ბავშვებს მეტ შესაძლებლობას აძლევს ყურადღებით იმუშაონ, რაც უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნაა. დარწმუნდით, რომ ბავშვები იცნობენ უსაფრთხოების წესებს და ფლობენ საჭირო უნარებს, ან დაეხმარეთ მათ ახალი

უნარების დაუფლებაში. პრაქტიკულ რჩევებს იპოვით პიტ მურ-ჰაუსის ვებ-გვერდზე - “Irresistible Learning”, ასევე გაეცანით წიგნს “Learning Through Woodwork”, რომელიც გვთავაზობს ადრეული ასაკის ბავშვების უამრავ სურათს ხეზე მუშაობის პროცესში (იხ. დამატებითი რესურსები ამ თავის ბოლოს). ასევე დარწმუნდით, რომ ბავშვები აცნობიერებენ და აფასებენ ხეებთან და ტყესთან კავშირს.

მშენებლობა ღია სივრცის ნებისმიერ კუთხეში შეიძლება. სხვადასხვა სახის ზედაპირები სხვადასხვა ტიპის მშენებლობებს ახალისებს - როგორც მცირე, ასევე ფართომასშტაბიან კონსტრუქ-ციებს, ამასთან სპონტანური თამაში მოულოდნელ ადგილებში შეიძლება დაიწყოს. სხვადასხვა რესურსი მშენებლობებს ამ-რავალფეროვნებს, რაც განსხვავებულად შესაგრძნობ და განს-ხვავებულ სამუშაო სივრცეებს ქმნის და შესაბამისად, გავლენას ახდენს პასუხად წარმოშობილ თამაშზე. რა თქმა უნდა, ბავშვების ასაკი გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ გამოიყენება მასალები და ეს იცვლება გამოცდილების ზრდასთან ერთად. ერთი და იგივე რესურსების პირობებშიც კი, ყველა დღე განსხვავებული იქნება! შესაბამისი რესურსების სიუხვე და მათი უწყვეტად ხელ-მისაწვდომობა ბავშვებს შესაძლებლობას მისცემს დაფიქრდნენ, თუ როგორ მუშაობენ საგნები და რისი შექმნა შეუძლიათ მათი გამოყენებით. ამ ფანტასტიური აქტივობისგან მაქსიმალური სარგებლის მისაღებად, დაფიქრდით თუ როგორ შეიძლება შესაფერისი მშენებლობების წახალისება გარე სივრცის ყველა ასპექტში, მაგალითად, სარების გადაბმა ხვიარა ლობიოსთვის, ღობის გასწვრივ წყლის კედლის მოწყობა წყლის თამაშებისთვის ან საწურის გაკეთება ბოტების დასაწყობად. იმისათვის, რომ მშენებლობა არ შეიზღუდოს დროში, ფორმაში ან გარე სივრცის რომელიმე კუთხეში, საჭირო იქნება სხვადასხვა რესურსის შეუზღუდავად შეთავაზება მოძრავი კონტეინერებით, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება სახელოსნოს ტიპის ზონაში (სავარაუდოდ ფარდულში), საიდანაც შესაძლებელი იქნება დამატებითი რე-სურსების გამოყენება და წარმოშობილი ინტერესის შესაბამისად აქტივობების გაუმჯობესება.

გარე სივრცეში სამშენებლო თამაშებისთვის საჭირო რესურსები

უამრავი რესურსი არსებობს გარე სივრცეში მშენებლობების და თამაშის წასახალისებლად. დაფიქრდით, რამდენად ავსებს, აკავშირებს და აფართოვებს თქვენ მიერ შეთავაზებული სამშენებლო თამაშები ბავშვების გამოცდილებებს გარეთ და სახლში. სავარაუდოდ, მოგინდებათ წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით ბავშვებისთვის ახალი შესაძლებლობების შეთავაზება და ღია სივრცეში მათი მაქსიმალურად გამოყენება, მათ შორის სივრცისა და მასშტაბის - პატარა და დიდის; მახასიათებლების, ზედაპირების და სივრცეების, რომლებიც გარეთ ძალიან განსხვავებულ გარემოს ქმნიან მასალებისა და რესურსების, რომლებსაც დახურულ სივრცეში ვერ შესთავაზებთ ბავშვებს; გარე სივრცისა და მის ფარგლებს მიღმა, სახლიდან ან მიმდებარე ტერიტორიიდან მიღებული სტიმულები. რა თქმა უნდა, იდეები გარე სივრციდან შიდა სივრცეშიც შეიძლება იქნეს გადატანილი. ღია სივრცეში მიღებულმა სამშენებლო გამოცდილებებმა შეიძლება დახურულ

სურათი 6.2. კარგად მომზადებული ხეზე სამუშაო გარემო სავსეა მოტივაციითა და შესაძლებლობებით

სივრცეშიც წაახალისოს მცირე მასშტაბიანი სამუშაოები, კვლევები წიგნებსა და ინტერნეტში. ორმხრივი გავლენა გულისხმობს, რომ დაკვირვება, უზრუნველყოფა და რეაგირება ერთობლივად უნდა მუშაობდეს ბაღის ორივე სივრცეში.

მრავალმხრივი დანიშნულების რესურსებს, რომლებსაც წინასწარ განსაზღვრული სათამაშო მიზნობრიობა არ გააჩნიათ და რომელთა გამოყენებაც ბავშვებს სხვადასხვანაირად შეუძლიათ, უდიდესი პოტენციალი აქვთ მშენებლობისა და კონსტრუირებისათვის. მათი გამოყენება ბევრ სხვა აქტივობაშიც შეიძლება და შესაბამისად, თქვენი გარე სივრცის საყრდენ ნაწილად გამოდგება. დიდი ზომის საგნები, მაგალითად, სანიაღვრე მილები, ყუთები და პლასტმასის ყუთები, წაახალისებენ ერთობლივ სამშენებლო პროექტებს, თუმცა ასევე არ დაგავიწყდეთ რესურსების მომარაგება მცირე მასშტაბიანი და ინდივიდუალური მშენებლობებისთვის. ბავშვების გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით მნიშვნელოვანია მარტივი მასალებითა და იდეებით დაიწყოთ (გაითვალისწინეთ, რომ სამი წლის ასაკში ზოგიერთ ბავშვს ჯერ კიდევ არა აქვს ქოხის მშენებლობის გამოცდილება), ამასთან უმჯობესია რამდენიმე კარგი რესურსის დიდი რაოდენობით მომარაგება, მაგალითად, ყუთების, შეფუთვების, ვიდრე ბევრი სხვადასხვა რესურსის ქონა. რესურსები შეამატეთ თანდათან, მთელი წლის მანძილზე, რათა ბავშვებმა მშენებლობის კარგი გამოცდილება და ცოდნა მიიღონ. თუკი მშენებლობა ადრეული განათლების დაწესებულების უწყვეტი პრაქტიკაა და ბავშვები ყოველდღიურად დიდ დროს ატარებენ გარე სივრცეში, მათი იდეებიც უნარების შესაბამისად გამდიდრდება ამ იდეების წარმატებულად განხორციელებისთვის.

დაფიქრდით იმ მასალებსა და მეთოდებზე, რომლებსაც ბავშვებს დასაკავშირებლად, შესაერთებლად და დასამაგრებლად აძლევთ. „დაკავშირების" სქემატური წარმოსახვის მქონე ბავშვებს ძლიერად მიიზიდავს მშენებლობის ეს ასპექტი, თუმცა ყველა ბავშვი იღებს დიდ ცოდნას ამ გამოწვევით - განახორციელონ თავიანთი იდეები საგნების მყარად შეერთებით. საგნების შეერთების ტექნოლოგია ძალიან საინტერესოა და ბავშვები ისევ და ისევ უბრუნდებიან მას, რათა დაეუფლონ და გაიგონ მისი მუშაობის პრინციპი. შეერთების გამოცდილებას ბავშვები თავად სამშენებლო მასალების შეერთებით იღებენ, მაგალითად

წყალსადენი მილების რძის შეფუთვებზე დაერთება. შეერთების გამოცდილებების უზრუნველყოფა ბავშვებისთვის ბევრი შესაერთებელი მასალის მიწოდებით შეიძლება, განსაკუთრებით ქოხების მშენებლობისთვის (ქვემოთ იხილეთ შესაერთებელი მასალები). დაიწყეთ მარტივად, მთელი წლის მანძილზე თანდათან შეამატეთ და გაართულეთ რესურსები, რათა ბავშვებმა ცოდნა და უნარები გაიმდიდრონ.

მუდმივად ხელმისაწვდომი რესურსების შერჩევისას, ეცადეთ ყოველთვის მისცეთ ბავშვებს შესაძლებლობა:

- აშენონ მასშტაბურად, მაგალითად, ხიდები, კოშკები და დაბრკოლებათა ზონები;
- აშენონ რეალური მიზნებით, მაგალითად, დროებითი დასაჯდომები საბურავებითა და ძელებით;
- მოაწყონ ფუღურეოები და საიდუმლო კუთხეები;
- მოაწყონ პაწაწინა ნაგებობები პატარა ტოტებითა და კენჭებით;
- გააკეთონ სასურველი საგნები, მაგალითად, ხელსაწყოები, ხის ნაკეთობები ან ინსტრუმენტები;
- აშენონ ბევრ ადგილას სხვადასხვა მახასიათებლებითა და გამოწვევებით;
- გამოიყენონ ფხვიერი მასალები, მაგალითდ, ქვიშა და ნიადაგი, ასევე ისეთი კონსტრუქციები, როგორიცაა სასრიალოები და საცოცი ჩარჩოები;
- აშენონ როლური თამაშების სცენარების ფარგლებში, მაგალითად სამშენებლო მოედანი ქვიშის ორმოში თოკებითა და ჭოჭონაქებით;
- მიიღონ მთელი რიგი სხვადასხვა გამოცდილება საგნების შეერთებითა და დამაგრებით;
- აშენების შემდეგ, ჰქონდეთ კონსტრუქციებით და კონსტრუქციების შიგნით თამაშის უამრავი შესაძლებლობა.

საუკეთესო რესურსები მშენებლობისთვის
რესურსები გარე სივრცეში მშენებლობისთვის

- პლასტმასის ყუთები (ყოველდღიურად შეამოწმეთ, რომ გატეხილი არ იყოს);
- სხვადასხვა ზომის საბურავები - პატარა კარტინგის საბურავებით დაწყებული ტრაქტორის საბურავებით დამთავ-

რებული (დარწმუნდით, რომ ისინი გაწმენდილია მეტალის ამონაზნექებისგან);
- სხვადასხვა სიგრძისა და სისქის სანიაღვრე და წყალსადენი მილების მონაკვეთები;
- სხვადასხვა სისქის მყარი და რბილი პლასტმასის მილის მონაკვეთები (იპოვით სანტექნიკის მაღაზიებში);
- დიდი ზომის მსუბუქი ხის ბლოკები და ფიცრები;
- მოკლე ფიცრები;
- ერთლიტრიანი ხილის წვენის მუყაოს ყუთები წყლით, ქვიშით ან ხრეშით შევსებული წონისა და სიმყარის უზრუნველსაყოფად (ზოგი სავსე, ზოგი ნახევრად სავსე, ისე, რომ შიგთავსი მოძრაობდეს შიგნით);
- სარეცხი საშუალებების დიდი ზომის ბოთლები (შეწებებული ლენტით, რათა ფხვნილი არ გადმოიყაროს) - შევსებული ისე, როგორც ეს ზევით არის ნახსენები;
- სხვადასხვა ზომის მუყაოს ყუთები - გამოიყენეთ როგორც 3D და გაშალეთ დიდ ფურცლებად;
- აგურები (პატარა ზომის ნამდვილი აგურები, მაგალითად, ფილაქანის აგურები, დარწმუნდით, რომ გვერდები ბლაგვი აქვს)
- რბილი სათამაშო ბლოკები;
- დიდი და პატარა ზომის პლასტმასის ქოთნები;
- პლასტმასის დოლები (მაგალითად, წყლის დისპენსერის ბოთლები, თუკი რომელიმეში მანამდე ქიმიური ნივთიერება ესხა, საგულდაგულოდ გამორეცხეთ იგი);
- ხალიჩის მუყაოს როლები (იპოვით ხალიჩები მაღაზიებში);
- პლასტმასის კონუსები, კაბელის მასრები და კაბელის ხის ცილინდრები;
- ბამბუკის ჯოხები (გადაუკარით ბოლოები უსაფთხოებისთვის);
- ცოცხის ტარები - საუკეთესოა ნასვრეტიანი პლასტმასის თავებით თოკებისთვის, თხილის ჯოხები ბოლოში ნასვრეტით;
- ღობის პლასტმასის ბადის ხვეულა (სოფლის მეურნეობის ცენტრებიდან);
- ტანსაცმლის საკიდები (ძველებური ხის საკიდები იდეალურად გამოდგება, მაგრამ მეტალის კაუჭები ქსოვილით ჩაანაცვლეთ უსაფრთხოებისთვის);
- ქსოვილის დიდი ნაჭრები, პლედები, ზეწრები;

- ბადისებრი და სხვა ფარდები, გრძელი მუსლინები ან ვუალის ქსოვილები;
- ბრეზენტი, შესანიღბი ბადეები (კამუფლიაჟი) (სამხედრო აღჭურვილობის მაღაზიებიდან);
- ბაზრის დახლების გამჭირვალე სახურავი, დიდი ზომის პლასტმასის ფირფიტები (ხელმისაწვდომია საყოფაცხოვრებო ნივთების მაღაზიებში);
- შხაპის ფარდები;
- სათბურის საჩრდილობელი, მოძებნეთ ერთი მეტრის სიგანის, ასევე აგროტექსტილი (სოფლის მეურნეობის ცენტრებიდან);
- დეკორატიული გადასახური ზეწრები; დამცავი პლედი (ხელმისაწვდომია საყოფაცხოვრებო ნივთების მაღაზიებში);
- ტვირთის დასამაგრებელი ბადეები (ხელმისაწვდომია ტექნიკის მაღაზიებში);
- პატარა პარაშუტი, გასაშლელი კარვები, სათევზაო კარვები, პლაჟზე ქარისგან დამცავი ფარი;
- ბაღის წყალგაუმტარი დიდი ქოლგა, ქოლგის სადგამი;
- ცარიელი 0.5 და 1 ტონიანი სამშენებლო ჩანთები (სამშენებლო მაღაზიებიდან);
- ხალიჩის ფილები ან ნაჭრები, პლასტმასის „სარჩულიანი" საპიკნიკე პლედი, სანაპიროს ლეიბი;
- სხვადასხვა გრძელი და მოკლე, სქელი და წვრილი თოკები, სარეცხის ბაწრები, მარტივი ჭოჭონაქები (სანაოსნო აღჭურვილობების მაღაზიიდან);
- საჭეები (ტექნიკის მაღაზიიდან);
- სათლები, ურიკები, ველოსიპედები და ეტლები მასალების გადასაზიდად;
- ბუნებრივი მასალები, მაგალითად ნიჟარები, კენჭები, ჯოხები, ხავსი, პატარა ტოტები;
- ხის ნათალები, ხის მორები, ხის მოკლე ტოტები;
- ხეზე სამუშაო დახლები და მარტივი (თუმცა ნამდვილი) ბავშვის ზომის ხელსაწყოები;
- დაუმუშავებელი და შეუღებავი რბილი ხის ნაჭრები (ფიჭვის, ნაძვის, ცაცხვის, კედრის, წითელი ხის. მოერიდეთ შრეებიან ფიცრებს და MDF-ს);
- უსაფრთხოების სათვალეები, ხელთათმანები;
- თარაზო, საზომი ლენტი;

რესურსები საგნების შეერთებისა და დამაგრებისთვის

- უჯრებიანი ან ხელსაწყოების ყუთებიანი ურიკა შესაერთებელი და დასამაგრებელი მასალების ორგანიზებისთვის;
- თოკები, ბაწრები, შესაკრავები;
- ხვიარა მცენარეების რბილი შესაკრავები;
- სამღებრო ლენტი, ხალიჩის ან წებოვანი ლენტი, ამანათის ლენტი, საიზოლაციო ლენტი;
- ორმხრივი ფხრიწი;
- ელასტიური თოკები (საავტომობილო აქსესუარების მაღაზიებიდან), ბოლოებზე ბურთებიანი ელასტიური თოკები;
- სქელი ელასტიური სარტყელი, ფურცლების სამაგრები;
- ტენტის სამაგრები და ხის ჩაქუჩი;
- საშუალო და დიდი ზომის სამაგრები, საბნების/პლედის სამაგრები;
- საშხაპე ფარდის რგოლები და სილიკონის სამაგრები;
- ჩამკეტი კარაბინები - სხვადასხვა ზომის (მთამსვლელთა მაღაზიიდან);
- ბაღის ლერწმის დამჭერები (ცერცვის „კარვების" გასაკეთებლად - ხელმისაწვდომია სოფლის მეურნეობის ცენტრებში);

სურათი 6.3. პლასტმასის ყუთები საუკეთესო სამშენებლო რესურსია

სურათი 6.4 ბავშვების მიერ გარეთ შექმნილი კონსტრუქციები შტამბეჭდავია

- კაუჭები კედლებში და ღობეებზე ბაწრების დასამაგრებლად;
- ლურსმნები, ხრახნები, ბოთლის ზედა ნაწილები, ხის წებო;
- მაკრატელი.

გარე სივრცეში მშენებლობისთვის საჭირო რესურსების შენახვა და ორგანიზება

ბავშვებმა უნდა იცოდნენ თუ რა არის ხელმისაწვდომი მშენებლობისთვის, როგორ შეიძლება ამ მასალების გამოყენება (რა შეზღუდვებია მათთან დაკავშირებით), სად შეიძლება კონკრეტული რესურსების პოვნა და სად უნდა დააბრუნონ ისინი თამაშის შემდეგ. თუკი რესურსებს წყალი არ აფუჭებს, მაგალითად პლასტმასის ყუთები და მილები, მათი დალაგება ღია ცის ქვეშაც შეიძლება, რითაც ფარდულში დიდი ადგილი დაგრჩებათ; წყლის თამაშებით დაინტერესებული ბავშვები ამ რესურსებს რეზინის მილით სიხარულით ჩამორეცხავენ პერიოდულად. ქსოვილის მასალები უმჯობესია დახურულ სივრცეში შეინახოთ, რათა მათი დანესტიანება და დაობება აიცილოთ თავიდან. შეარჩიეთ ისეთი კონტეინერები, რომლებითაც მათი გარეთ გატანა გაგიადვილდებათ, მაგალითად, სარეცხის კალათა, სადაც მასალები თვალსაჩინოც და მარტივად ხელმისაწვდომიცაა ბავშვებისთვის და ასევე, ერთად გადატანაა შესაძლებელი. მუყაოს ყუთების ჩანაცვლება მარტივია, ამიტომ შეგიძლიათ ისინი ფარდულში შეინახოთ და თანდათან დაშალოთ სხვადასხვა დანიშნულებისთვის. მათგან განსხვავებით, ძვირადღირებული ხის ბლოკებისთვის მარტივი ურიკა დაგჭირდებათ, რათა გადაიტანოთ ისინი დახურულ სივრცეში ან ფარდულში შეინახოთ.

დარწმუნდით, რომ ფარდულში შენახულ რესურსებს ბავშვები მარტივად მიაგნებენ, გამოიტანენ და უკან დააბრუნებენ - ეს დამოკიდებულია საგნების ზომასა და ფორმაზე. დიდი ზომის კარებიან ფართო ფარდულში რესურსები ხელმისაწვდომია, მარტივად შეიძლება მათი დალაგება, გამოტანა და შენახვა; კარგია პლასტმასის ყუთებისა და სარეცხის კალათების თაროებზე დალაგება; ცალკეული ნივთისთვის კაუჭები გააკეთეთ და დიდი საგნებისთვის ურნები მოიმარაგეთ; ელასტიური ბაწრებით შეიძლება კედელზე დამაგრებულ კაუჭებზე საგნების ჩამოკიდება; დაამაგრეთ ლამინირებული სურათები კონტეინერებზე,

რათა ბავშვებმა იცოდნენ თუ რომელი რესურსი დევს კონ-კრეტულ კონტეინერში. თუკი ასეთ ეტიკეტებზე ასახული იქნება ამ რესურსებით გაკეთებული ნაკეთობები, ეს კიდევ უფრო შინაარსიანი იქნება მათთვის, ასევე, შეახსენებს მათ თუ რა აქვთ უკვე გაკეთებული ან ახალი მშენებლობის იდეებს გაუღვივებს. ამასთან, სურათების გადაღების, დაბეჭდვისა და ეტიკეტებად მიმაგრების პროცესშიც ბავშვები უამრავ რამეს სწავლობენ.

ბავშვების მიერ მოწყობილ ნაგებობებში თამაშის ხელშეწყობა

ბავშვები განსაკურებით ვითარდებიან (როგორც ჯანმრთე-ლობის, ასევე სწავლის კუთხით), თუკი მათივე გაკეთებულ ნაგებობებში თამაშის უამრავ შესაძლებლობას მისცემთ. დრო და უფროსების მხარდაჭერა, ალბათ, სწორედ ის რესურსია, რო-მელიც ბავშვებს ყველაზე მეტად სჭირდებათ გარე სივრცეში ეფექტური სამშენებლო თამაშებისთვის. ნაკლებ სავარაუდოა, ბავშვებმა ძალისხმევა მიმართონ მშენებლობაზე, თუკი მათ არ ექნებათ საკმარისი დრო ჩაფიქრებული თამაშისთვის, ამასთანავე, გარეთ თამაშის შეზღუდული დრო ხელს უშლის ღრმა და რთულ თამაშებს. როგორც დაკვირვებებმა აჩვენა, თუკი ბავშვებს ქოხების მოსაწყობად დიდი დრო აქვთ, ნაგებობის აშენების შემდეგ ისინი ცოტა ხანს თამაშობენ შიგნით, შემდეგ ალამაზებენ, აფართოებენ ან სხვადასხვანაირ მორთულობებს უკეთებენ, მერე კიდევ ცოტა ხანს თამაშობენ შიგნით. მშენებლობისა და წარმოსახვითი თამა-შის ეს ციკლი დროთა განმავლობაში შეიძლება გაგრძელდეს, თუ-კი ბავშვებს თავიანთ ნაგებობებთან მიბრუნების შესაძლებლობას მისცემთ; ამიტომაც, კარგი იქნება ამ აქტივობას ახლებურად შეხედოთ და დაფიქრდეთ, რამდენად საჭიროა ნაგებობების ყოველთვის ალაგება.

ბავშვებს უამრავი სხვადასხვა ნაგებობის გაკეთება შეუძლიათ გარე სივრცეში და შესაძლო აქტივობების ნაირსახეობა, რომელთა შესრულებაც მათ მოუნდებათ, შთამბეჭდავად ფართოა. ბევრი რესურსი, რომლებიც უკვე ისეც ხელმისაწვდომია თქვენს დაწე-სებულებაში გამოგადგებათ ამაში:

- როლური თამაშების სცენარები, მაგალითად, სამშენებლო მოედანი მშენებლების ჩაფხუტებით, კონუსებით და ური-

კებით ან სახელოსნო ხელსაწყოების ყუთით და საზომი ლენტით;

- „სახლობანას" თამაში, წარმოსახვითი თამაშები, მოიმარაგეთ ჩირაღდანი და ბინოკლები წარმოსახვითი თამაშისთვის;
- თოკები სასახლის ასაწევი ხიდის გასაკეთებლად, ბარები თხრილების გასათხრელად და შესავსებად;
- ჭოჭონაქები (ტექნიკური და სანაოსნო ნაწილების მაღაზიიდან) და თოკები, ფურცლებითა და კალმებით შეტყობინების სისტემის ასამოქმედებლად ან კალათებით სხვა ნივთების ქოხში და უკან გადასატანად, ასევე სათლები სამშენებლო მოედნისთვის;
- მისაბმელიანი ველოსიპედები, ურიკები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები სამშენებლო მასალების მოედანზე და მოედნიდან გადასატანად, ხელთათმანები და მაღალი ხილვადობის ჟილეტი სატვირთოს მძღოლისთვის;
- მცირე სამყაროს რესურსები პატარა ზომის ნაგებობებით, მაგალითად, სათამაშო კაცუნები, ფერიები, სატვირთოები, ფერმისა და გარეული ცხოველები, მეკობრეები, დინოზავრები და ბუნებრივი მასალები - უჯრებიანი ურიკები იდეალურია იმისთვის, რომ ეს რესურსები ხელმისაწვდომი გახადოთ;
- ბალიშები და პლედები მოსასვენებელი კუთხის მოსაწყობად;
- მარიონეტები და წიგნები სპეციალურად მოწყობილ კუთხეში ზღაპრების მოსაყოლად (იხ. საბავშვო წიგნების ჩამონათვალი ქვემოთ);
- მუსიკა შესაფერისი ატმოსფეროს შესაქმნელად, წარმოშობილი სათამაშო თემის თუ უბრალოდ ქოხში დასასვენებლად;
- ნამდვილი საჭმელი ქოხში წასახემსებლად, ერთად ან განმარტოვებულად;
- სამაგრიანი დაფები მშენებლობის დასაგეგმად ან საბოლოო ნაგებობის დასახატად/ დასაგეგმად;
- ნიშნების გასაკეთებელი მასალები (მაგ. ქოხის სახელი ან უსაფრთხოების ნიშნები როგორიცაა „ფრთხილად! - გზაზე ორმოა"), მიმართულებები ან გასასვლელები; კალმებით, ცარცებით, ფურცლებითა და შესაერთებელი მასალებით სავსე უჯრებიანი ურიკა დაგეხმარებათ ამ მასალების საჭირო ადგილზე გადატანაში;

- ნაგებობის თუ ქოხის გასაფორმებელი ნივთები, მაგალითად, ლენტები, ქსოვილის ზოლები, მბზინავი ქსოვილი, ზარები, დიდი ფლომასტერები, ცარცი, საღებავი, ძველი CD-ები, ბუნებრივი მასალები, მატყლი;
- პერფორმანსები შექმნილი მასალებით ამისთვის მოწყობილ ადგილებზე, მაგალითად, ხის ტოტებით, ხის ნივთებით გასაფორმებლად;
- ნამდვილი სამშენებლო მასალები მათი სიღრმისეული შესწავლისთვის, ასევე ხისა და აგურის შენობების ნიმუშები გარე სივრცეში ან მიმდებარედ;
- კედლის კალენდრიდან ამოჭრილი დიდი ზომის ლამინირებული ფერადი სურათები რეალურ თემატიკაზე (ზოგიერთი ნიმუში მოცემულია ამ თავის ბოლოს რესურსების ჩამონათვალში);
- კამერა ბავშვებისთვის და უფროსების სამუშაო პროცესში ფოტოების გადასაღებად, შეიძლება მათი გამოფენა ან პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად დალაგება, ასევე ამბების წიგნების შესაქმნელად, რომლებსაც ბავშვები პერიოდულად დაუბრუნდებიან.

როგორ მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი სამშენებლო თამაშისგან სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით

საუკეთესო საბავშვო ბაღი ბავშვის განვითარების ყველა სფეროს უწყობს ხელს ჰოლისტური გამოცდილებების უზრუნველყოფით. ამ გამოცდილებების შესაფასებლად აუცილებელია იმის შესწავლა, თუ რამდენად ფართოდ არიან ისინი წარმოდგენილი სასწავლო გეგმაში. გარე სივრცეში მშენებლობა ჰოლისტური გამოცდილებების უზრუნველყოფის საუკეთესო გზაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბავშვებს დიდი დრო აქვთ თამაშისთვის და მათ მხარს უჭერენ ყურადღებიანი, კვალიფიციური უფროსები, რომლებიც ამჩნევენ, იჭერენ და ეყრდნობიან იმას, რაც ბავშვებს აინტერესებთ. მოდით გადავხედოთ სწავლისა და განვითარების რამდენიმე შესაძლებლობას, რომელსაც სამშენებლო თამაში უნდა სთავაზობდეს ბავშვებს.

ემოციური და სოციალური განვითარება

როცა ბავშვები თავიანთი ინტერესებისა და ძლიერი შინაგანი სწრაფვის შესაბამისად იკვლევენ საგნებს მათი დაშლა-აწყობის გზით, ისინი იძენენ პოზიტიურ განწყობებს და იუმჯობესებენ იმ თვისებებს, რომლებიც სწავლას ეფექტურს ხდის, მაგალითად, ცნობისმოყვარეობა, დაინტერესება, ღრმა ჩართულობა, დაგეგმარება, კონცენტრაცია, მცდელობა, შეცდომების დაშვება, გამოწვევებისა და სირთულეების გადალახვა. მათ უბრალოდ დასჭირდებათ უფროსების სწორი მხარდაჭერა ამ სასურველი უნარების წარმატებით განვითარებისთვის.

ვინაიდან, ფართომასშტაბიანი მშენებლობისა და როლური თამაშის უამრავი შესაძლებლობა არსებობს, სამშენებლო პარტნიორები ერთად მუშაობას, შეთანხმებას, დათმობას და თანამშრომლობას სწავლობენ. გარე სივრცეში ქოხებში თამაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ემოციური კეთილდღეობის - დაცულობის, უსაფრთხოებისა და სიმყუდროვის შეგრძნების - მხარდასაჭერად, ბავშვებისთვის რბილი კუთხეების შეთავაზებით, ასევე ისეთი ადგილების უზრუნველყოფით, სადაც ბავშვები დააწესებენ სხვებთან ინტერაქციის ფარგლებს. ასეთ პირობებში ისინი უსაფრთხოდ იგრძნობენ თავს, რომ შიშის ან შფოთვის გამომწვევი საკითხებიც გამოიკვლიონ.

კომუნიკაცია და წიგნიერების საფუძვლები

როგორც ერთობლივ, ასევე დამოუკიდებელ სამშენებლო აქტივობებში, უამრავი კონტექსტია ენის გამოყენების, ენის განვითარებისა და ახალი ლექსიკური ერთეულების შესატანად. ბავშვები სიამოვნებით იღებენ უფროსების (სენსიტიურ) დახმარებას თავიანთი გეგმების განსახორციელებლად, შესაბამისად, აღმზრდელებს ერთობლივი თამაშის პროცესში ბევრი შესაძლებლობა აქვთ ღია კითხვების გზით საუბრისა და დისკუსიების მხარდასაჭერად, ასევე ენის გამოყენების მოდელირებისათვის ბავშვების კომენტარებზე პასუხის გაცემით. ნებისმიერმა სამშენებლო აქტივობამ შეიძლება გამოიწვიოს ფიქრისა და საუბრის პროვოცირება ბავშვებსა და უფროსებს შორის საერთო მიზნიდან გამომდინარე. ფართომასშტაბიანი, ჯგუფური მშენებლობა

განსაკუთრებით უწყობს ხელს ენის გამოყენებას, როგორც სააზროვნო, ასევე მთელი რიგი კომუნიკაციური დახვეწილი უნარების განვითარებისთვის - ვიზუალური, წარმოსახვითი იდეის სიტყვებად გადაქცევა, იდეის არტიკულაცია და აღწერა, მისი სხვებისთვის გასაგებად გადაცემა და თანამშრომლობის სურვილის გაღვივება, გეგმის შეთანხმება, პრობლემების გადაწყვეტა დასახული გეგმის განხორციელებისათვის და კომპლექსური ენის გამოყენება შექმნილ ნაგებობაში წარმოსახვითი თამაშის დროს. ბავშვები გაიცნობენ ახალ ლექსიკას, რომელიც დაკავშირებულია მშენებლობასთან, მასალებთან და სტრუქტურებთან, მაგალითად, აგური, კედელი, კუთხე, აშენება, ძლიერი, არამყარი, შიგნით, ბალანსი, დაცემა, დუღაბი და ა.შ.

სამშენებლო თამაში აღნიშვნების გაკეთების და სპონტანურად წერის დაწყების უამრავ მიზეზს მოიცავს, მაგალითად, მშენებლობის დიაგრამის დახატვა ან ნიშნების გაკეთება სამშენებლო ჩაფხუტის საჭიროებასთან დაკავშირებით. ბავშვები უამრავ ამბავს გამოიგონებენ და კიდევ უფრო მეტს წაიკითხავენ. მშენებლობა ძლიერადაა დაკავშირებული ნებისმიერი სახის წარმოსახვით თამაშთან და წიგნები, რომლებშიც ნაჩვენებია თუ როგორ მუშაობს საგნები, ხშირად განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბიჭებში.

მოძრაობა და ფიზიკური განვითარება

მშენებლობა ძალიან აქტიური და ფიზიკური საქმიანობა შეიძლება იყოს, განსაკუთრებით დიდი ზომის სამშენებლო საგნებით და ბიჭების ჩართულობით. ბავშვები საგნებს აწევენ, გადაიტანენ, გადაღუნავენ, მოათავსებენ სხვადასხვა ადგილზე, მიწვდებიან, გაიწელებიან, დაიწყებენ მათ მანევრირებას, დაიჭერენ, მოქაჩავენ და მიაწვებიან - ყველა ეს აქტივობა საუკეთესოდ ავითარებს კუნთებს, სიძლიერეს, კოორდინაციას, ხელს უწყობენ სხეულის შეცნობას, სივრცის აღქმის უნარს, ასევე მოტორიკას და კონტროლს (პრაქსის). ბავშვები თითებს მანიპულირებისა და საგნების შეწებებისთვის იყენებენ, რაც ავითარებს მოხერხებულობას, ხელებისა და თვალების კოორდინაციას; ისინი შეგრძნებებსაც ერთობლივად გამოიყენებენ, რაც ტვინში სენსორულ ინტეგრაციას უწყობს ხელს. მთლიანი სხეულით მუშაობა ააქტიურებს ტვინს და ბევრ დონეზე ფიქრს უწყობს ხელს, შესა-

ბამისად სასწავლო გამოცდილება გაცილებით უფრო ღრმა და ხანგრძლივია - რადგანაც ჩვენი აზროვნება გამოცდილების შესაბამისია. გარე სივრცეში დიდ, მძიმე და მოუქნელ საგნებთან ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობის შესაძლებლობები განსაკუთრებით უწყობს ხელს სხეულის და ტვინის მუშაობას, აკომპენსირებს რა დახურულ სივრცეში ასეთი გამოცდილებების ნაკლოვანებას. ასევე, გახსოვდეთ, რომ ყველა ეს ენერგიული აქტივობა შეგიძლიათ ახლად მოწყობილ ქოხის მყუდრო კუთხეში ხემსით ან ამბების თხრობით დააბალანსოთ.

როგორ მუშაობს სამყარო, მათემატიკური აზროვნება, ტექნოლოგია და დიზაინი

სამშენებლო თამაში ბავშვებს ეხმარება სამყაროს შეცნობაში, თავიანთი ინტერესების დაკმაყოფილებაში: რისგან არის ეს თუ ის საგანი გაკეთებული, როგორ მოქმედებენ ისინი და როგორ შეიძლება მათზე ზემოქმედება. ბავშვებს მასალების კვლევა და ექსპერიმენტირება შეუძლიათ - როგორ შეიძლება მათი შეერთება, დაშლა, განსხვავებულად შეერთება. მშენებლობის პროცესში ისინი აღმოაჩენენ პასუხებს კითხვაზე „რა მოხდება თუ...", მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე („ასე რომ გავაკეთო, ეს მოხდება"). კოშკის ან კედლის მშენებლობისას, ბავშვებმა შეიძლება ნამდვილი მეცნიერებივით დასვან კითხვები, გამოხატონ იდეები საგნებთან დაკავშირებით (თეორიები), ჩაატარონ ექპერიმენტები ამ იდეებით, ივარაუდონ შემდეგ რა მოხდება და დააკავშირონ იმასთან, რაც რეალურად ხდება, შემდეგ გაუმჯობესონ თავიანთი თეორიები ახალი ინფორმაციით. ყოველივე ეს უბრალოდ კი არ ავითარებს ცოდნას და გაგებას გარე სამყაროს შესახებ, არამედ რეალურად აყალიბებს აზროვნების პროცესებს, მსჯელობისა და სწავლის უნარებს ტვინში. სხეულის ბევრი ნაწილით აქტიური ჩართულობა ქმნის მრავალშრიან, ხანგრძლივ მეხსიერებას (იგი ინტუიციურად ინახავს „განცდილ" მნიშვნელობებს), რომელიც ხელს უწყობს კონცეპტუალურ გაგებას. აქტიური, შესაფერისი და მოტივაციური გამოცდილებებიც ასევე ხელს უწყობს თვითრეგულირებისა და აზროვნების მართვის უნარების განვითარებას.

სამშენებლო საქმიანობის დროს ბავშვები უამრავი კონცეპტის - მაგალითად, გრავიტაციის, წონის, მანძილის, პოზი-

ციის, ბალანსისა და ხახუნის შესახებ უშუალო და განცდილ მნიშვნელობებს იგებენ. ისინი გამოიმუშავებენ დიზაინის/დაპრო-ექტების უნარებს და შეიძენენ ტექნიკურ ცოდნას იმის შესახებ თუ როგორ შეაერთონ საგნები. პრობლემების იდენტიფიცირება და გადაწყვეტა მოუწევთ მაშინ, როცა მათი სამშენებლო იდეები არ იმუშავებს, ასევე მოუწევთ წარმატებულად შექმნილი სტრუქ-ტურის შეფასება. ხშირად გამოიყენეთ საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორია, რადგანაც, სავარაუდოდ, მის ფარგლებში რამდე-ნიმე მიმდინარე მშენებლობა იქნება. გაიყვანეთ ბავშვები მიმდი-ნარე სამუშაოების საყურებლად, ფოტოების გადასაღებად და სადისკუსიოდ, შემდეგ კი ბავშვების დაინტერესების შემთხვე-ვაში, შესთავაზეთ შესაფერისი როლური თამაშების სცენარი. არ დაგავიწყდეთ ბავშვების სახლიდან მოტანილი გამოცდილებების მაქსიმალურად გამოყენება - თქვენ შეიძლება პატარა ექსპერტი გყავდეთ, თუკი მის სახლში რაიმე მშენებლობა მიმდინარეობს ან მშობელი ამ ინდუსტრიაში მუშაობს. მაგალითად, სამი წლის ბავშვმა გარეთ წიგნები გაიტანა, მიწაზე გვერდი-გვერდ დაალაგა და აგვიხსნა რომ ის „შიდა ეზოს აშენებდა მამასავით".

სურათი 6.5. ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნება განუყოფელია ბავშვის გონებაში

ბევრი ძირითადი სქემატური თემა (კვლევისა და აღფრთოვანების), რომლებიც ადრეული ასაკის ბავშვებს აინტერესებთ, ბუნებრივად ძლიერდება ისეთ სამშენებლო საქმიანობაში, როგორიცაა საგნების შეერთება, ტრანსპორტირება, ხაზები და ტრაექტორია, შიგნით და გარეთ, საზღვრების გადაკვეთა, შემოსაზღვრა, შეკავება, მოწყობა, ორიენტაცია და მიმდევრობა. მსგავსი ან თანმხვედრი სქემატური ინტერესების მქონე ბავშვების ჯგუფები, სავარაუდოდ კარგად იმუშავებენ ერთობლივად დიდ მშენებლობაზე, მაშინ, როცა განსხვავებული სქემატური ინტერესების მქონე ბავშვები მარტივად შეიძლება შევიდნენ კონფლიქტში, ამიტომ, სასარგებლო იქნება სქემატური საკითხის გათვალისწინება დაგეგმარებისა და მხარდაჭერის დროს. სქემები ძლიერადაა დაკავშირებული ფუნდამენტურ სივრცით იდეებთან, რომელიც მათემატიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს. შესაბამისად, ყოველდღიურად გარე სივრცეში ხანგრძლივი სამშენებლო თამაში ბავშვებს დაუსრულებლად მისცემს საშუალებას რეალურად შეიგრძნონ ფორმა, კიდეები და საზღვრები, სივრცე, ზომა და ფორმა, პოზიცია (შიგნით, ქვეშ, უკან), დაწყვილება და დახარისხება, შედარება (მეტი, ნაკლები, უფრო გრძელი, უფრო სქელი) და ზომები (რამდენად მაღალი, რამდენად გრძელი). ასევე, ეს საქმიანობა საშუალებას აძლევს უფროსებს შემოიტანონ და გამოიყენონ ბავშვებთან შესაბამისი ლექსიკა, როდესაც მას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ბავშვებისთვის. ბავშვები გარე და შიდა სივრცის მნიშვნელობებს მაშინ უფრო აცნობიერებენ, როცა ისინი საკუთარი ხელით ახლახან გაკეთებულ ნაგებობაში იმყოფებიან.

შემოქმედებითი, ესთეტიკური და გამომხატველობითი განვითარება

სამშენებლო აქტივობაში ღრმად გართული ბავშვის ტვინში ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნება ერთობლივად მუშაობს. ბევრი სამშენებლო თამაში შემოქმედებით აზროვნებას წაახალისებს - როგორ „მუშაობენ" მასალები, როგორ შეიძლება მათი გამოყენება, როგორ შეიძლება წინა გამოცდილებისა და ცოდნის გამოყენება ახალ სიტუაციებში და საგნების დაკავშირება ახალი კომბინაციების შექმნის მიზნით. სამშენებლო თამა-

ში ბავშვებს ხელს უწყობს წარმოიდგინონ (გონებაში სურათების მიმდევრობის წარმოდგენა) და შემდეგ გამოხატონ თავიანთი იდეები, ფიქრები და გრძნობები, როგორც დაგეგმილი, ასევე რაიმე კონკრეტული პრობლემის შემთხვევაში, რომელიც რეაგირებას ითხოვს. ზოგჯერ ბავშვებს აქვთ საწყისი იდეა და შეიძლება კიდეც დახატონ რამე, რაც მათ დაგეგმარებაში დაეხმარება. თუმცა ხშირად, იდეები ბავშვებს თამაშის დაწყების შემდეგ მოსდით, რადგან შემოქმედებითობა, როგორც წესი, მხიარულ, დაუგეგმავ და თავისუფალ სიტუაციებში იზრდება, ამიტომ, ხშირად, წინასწარი პროექტისა თუ პროდუქტის (განსაკუთრებით უფროსების მიერ მომზადებული) უქონლობა უფრო პროდუქტიულია. ბევრი ბავშვი მოისურვებს იმ კონსტრუქციების დახატვას ან დასურათებას, რომელთაც ისინი სიხარულით ქმნიდნენ თამაშის პროცესში. ეს ხელს უწყობს აზროვნების შემდგომ განვითარებას.

უამრავი სტიმული არსებობს ბავშვის წარმოსახვის წასახალისებლად, როცა ისინი სამშენებლო საქმიანობაში არიან ჩართულები და წარმოსახვითი თუ შემოქმედებითი თამაშის კიდევ უფრო მეტი პოტენციალი აქვთ, მაგალითად, როლური თამაშები ან მათ მიერ შექმნილი სათამაშო ინსტრუმენტებით თამაში. დააკვირდით ბავშვებს ყურადღებით, რათა დაიჭიროთ ის ნაპერწკლები, რომლებიც დაგეხმარებათ შემდგომი შემოქმედებითი აქტივობის გაღვივებაში.

გენდერული განსხვავებები გარე სივრცეში სამშენებლო თამაშების დროს

სამშენებლო აქტივობისადმი ბიჭებისა და გოგონების დამოკიდებულებებში მნიშვნელოვანი განსხვავებები აშკარაა. გარე სივრცეში ბავშვების გენდერული განსხვავებების კვლევამ გამოავლინა, რომ ბიჭები უფრო აქტიური მოწყობილობებით თამაშობდნენ, გოგონები კი ტენდენციურად უფრო მშვიდ „სახლობანას" ტიპის თამაშს ირჩევდნენ (Cullen 1993, ციტირებულია ბილტონის (Bilton) "Outdoor Olay in the Early Years, 2010, გვ. 158). ბიჭები უფრო ხშირად ცვლიდნენ ლანდშაფტს, მაშინ, როცა გოგონების მოდიფიკაციები წარმოსახვითი იყო, მაგალითად, ისინი ტოტებს თაროებად იყენებდნენ. ბიჭები გარე ნაწილებს აშენებდნენ - კედლებს, ფანჯრებს და სახურავებს, ხოლო გო-

გონები ინტერიერის დიზაინზე მუშაობდნენ - მაგიდები, სკამები და დეკორაციები (Hart 1978, ციტირებულია ბილტონის (Bilton) “Outdoor Olay in the Early Years, 2010, გვ. 158). აღსანიშნავია, რომ როცა ბიჭები გოგონების ნაგებობაში იწყებდნენ თამაშს და იკავებდნენ ამ ტერიტორიას, გოგონები წინააღმდეგობას არ გამოხატავდნენ. ეს აღმოჩენები უკვე 25-40 წლისაა და გენდერული სტერეოტიპიზაციის თავიდან აცილებაზე ფოკუსირების ზრდამ, ალბათ, ხელი შეუწყო გენდერული განსხვავებების შემცირებას სამშენებლო თამაშებში, როგორც დახურულ, ასევე ღია სივრცეში; მართლაც, ბუნებაში მომუშავე ზოგიერთი პრაქტიკოსი აღნიშნავს, რომ ბუნებრივი მასალებით თამაშებში სტერეოტიპული ქცევა ნაკლებად ფიქსირდება იმასთან შედარებით, როცა ბავშვები სათამაშოებით თამაშობენ. ამ პრობლემის შემდგომი კვლევა გარეთ თამაშებთან მიმართებით და იმ ფაქტორების შესწავლა, რომლებიც გავლენას ახდენენ ბავშვების თამაშზე, რასაკვირველია, ძალიან ღირებული იქნება, ამასთან, იმის აღიარებით, რომ ბიჭებმა და გოგონებმა სხვადასხვა პრობლემები უნდა გადაამუშავონ თამაშის გზით.

სურათი 6.6. რთული კონსტრუქციების შესაქმნელად ბავშვებს უფრო მეტი სივრცე, მასალა და დრო სჭირდებათ

ასეთი აღმოჩენები გვიჩვენებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ, შევაფასოთ და დავაკორექტიროთ ის, რასაც ბავშვებს ვთავაზობთ და ის, თუ როგორ ვუწყობთ ხელს გოგონებისა და ბიჭებისათვის ისეთი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, რომლებიც შეესაბამება და ეხმარება წამყვანი როლების შენარჩუნებაში. ხშირად გოგონებს მოსწონთ უფროსებთან საუბარი, ამიტომ, დიდი ალბათობით, ისინი ჩაერთვებიან სამშენებლო აქტივობებში, მაგალითად, ხეზე მუშაობაში, რომელშიც უფროსები მთლიანად არიან ჩართულები.

გარე სივრცის შეფასება სამშენებლო თამაშებისთვის

ძალიან სასარგებლოა ყურადღებით ადევნოთ თვალ-ყური თქვენს გარე სივრცეში მიმდინარე მოვლენებს, რათა პერიოდულად შეაფასოთ თუ რამდენად კარგად მუშაობს ეს ასპექტი ყველა ბავშვისთვის, ასევე დაფიქრდეთ თუ როგორ შეგიძლიათ გაზარდოთ მისი ეფექტურობა. ქვემოთ წარმოდგენილია რამოდენიმე კითხვა, რომელიც შეგიძლიათ საკუთარ თავს დაუსვათ გარე სივრცეში სამშენებლო თამაშებთან დაკავშირებით ან შეიძლება თანამშრომლებთან შეხვედრაზე განიხილოთ; ისინი დაგეხმარებათ დაფიქრდეთ გარე სივრცის ერთ-ერთ მთავარ ინგრედიენტზე. უაღრესად სასარგებლო იქნება წლის განმავლობაში ასეთივე სიღრმისეული დაკვირვება აწარმოოთ გარე სივრცის სხვა ინგრედიენტზეც. სხვადასხვა აღმზრდელმა შეიძლება სხვადასხვა ასპექტზე აიღოს პასუხისმგებლობა, რაც ყველას მისცემს გარე სივრცის ასპექტებში მონაწილეობის შესაძლებლობას.

პირველ რიგში, გამოიყენეთ დაკვირვებები იმაზე, თუ რას აკეთებენ ბავშვები (ან არ აკეთებენ) და როგორ ხდება მათი თამაშის სტიმულირება და მხარდაჭერა, რათა განსაზღვროთ თუ რაოდენ ეფექტურია სინამდვილეში თქვენი გარე სივრცე. შემდეგ ეს საკითხი განიხილეთ და შეთანხმდით იმაზე, თუ რისი გაკეთება შეგიძლიათ ამ გარემოს გაუმჯობესებისთვის. არ დაგავიწყდეთ ბავშვების აზრის, გრძნობებისა და იდეების გათვალისწინება, რაც ძალიან დაგეხმარებათ თამაშის უკეთ გაგებაში, მოგცემთ განვითარების ისეთ იდეებს, რომლებზეც თქვენ, უფროსები არასოდეს დაფიქრებულხართ, ასევე ბავშვებს გარე სივრცის

მიმართ პასუხისმგებლობისა და საკუთრების უდიდეს გრძნობას მიანიჭებს.

- რომელი ბავშვები ერთვებიან მშენებლობაში თქვენ გარე სივრცეში? რა იზიდავს იმათ ვინც ჩართულია?
- არიან თუ არა ისეთი ბავშვები, რომლებიც არ არიან დაინტერესებული? რა იწვევს ამას და როგორ შეიძლება მათი ჩართვა?
- რომელი რესურსია განსაკუთრებულად კარგი მშენებლობისთვის? საჭიროა თუ არა ამ რესურსის დამატება?
- რომელი სამშენებლო აქტივობა და რესურსი აინტერესებთ ბიჭებს და რომელი გოგონებს? როგორ შეიძლება მათი ინტერესისა და ჩართულობის გაზრდა?
- ადრეული განათლების კურიკულუმის რომელი ასპექტის მხარდაჭერა ხდება თქვენი სამშენებლო აქტივობებით? როგორ შეიძლება ამის მშობლებთან გაზიარება?
- როგორ შეიძლება სამშენებლო შესაძლებლობების შემდგომი განვითარება ისე, რომ ყურადღება სწავლის სხვა სფეროებსა და ასპექტებზე გადაიტანოთ წამახალისებელი გზით?
- მოსწონს თუ არა ყველა აღმზრდელს გარე სივრცეში სამშენებლო აქტივობაში ჩართვა და ირგებენ თუ არა ისინი მარტივად შესაბამის და ეფექტურ როლს? რით შეგიძლიათ ამას ხელი შეუწყოთ?
- აფერხებს თუ არა სამშენებლო აქტივობა გარე სივრცის სხვა ასპექტს? რითი შეიძლება ამის გამოსწორება?
- გაქვთ თუ არა რაიმე სხვა საკითხები დაკვირვებებიდან გამომდინარე, ოჯახის კომენტარები ან დისკუსიები ბავშვებთან?

ლექსები და სიმღერები

Hickory Dickory Dock
Humpty Dumpty
If I Had a Hammer
London Bridge Is Falling Down
Peter Hammers with One Hammer
The Animals Went in Two by Two
The House That Jack Built

საბავშვო წიგნები მშენებლობის ხელშესაწყობად

შენიშვნა: ვარსკვლავით (*) აღნიშნული წიგნები უფრო დიდ - სამიდან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებს შეეფერება

*კვენტინ ბლეიკი (Quentin Blake) “A Sailing Boat in the Sky” (Red Fox 2003)

*შირლი ჰიუისი (Shirley Hughes) “Abel’s Moon” (Red Fox 2002)

*რეიჩელ ვალენტინი და ქეთი ვეიმაუზი (Rachel Valentine & Katie Weymouth) “Audrey the Amazing Inventor” (words & pictures 2018)

*ქეი ბარჰემი და ლაზლო ვერესი (Kay Barnham & Lazlo Veres) “Building Bridges” (Collins 2012) Castles Colin Thompson (Red Fox 2007)

*მეგი ფრიმანი და კლიფ მუნი (Maggie Freeman & Cliff Moon) “Castles” (Collins Educational 2005)

ლიბი გლისონი და ფრეია ბლექვუდი (Libby Gleeson & Freya Blackwood) “Clancy & Millie and the Very Fine House” (Little Hare 2010)

*ქრისტი ჰეილი (Christy Hale) “Dreaming Up: A Celebration of Building” (Lee & Low Books 2012)

პიტერ ჰ. რეინოლდსი (Peter H Reynolds) “Going Places” (Atheneum Books for Young Readers 2014)

*ანდრეა ბეტი და დევიდ რობერტსი (Andrea Beaty & David Roberts) “Iggy Peck Architect” (Harry N Abrams 2007)

ანნა მილბურნი და ბენჯი დეივისი (Anna Milbourne & Benjie Davies) “In the Castle” (Usborne Publishing 2011)

დებორა ანდერვუდი (Deborah Underwood) “Interstella Cinderella” (Chronicle Books 2015)

*ადამ დალინი და ემა აკერმანი (Adam Dahlin & Emma Akerman) “Junk Collector School” (R&S Books 2007)

ტონი მიტონი და სელინა იანგი (Tony Mitton & Selina Young) “Once upon a Tide” (Picture Corgi 2006)

ლეო ლიონი (Leo Lionni) “Pezzettino” (Dragonfly Books 2012)

*ალის მაკლერანი და ბარბარა კუნი (Alice McLerran & Barbara Cooney) “Roxaboxen” (HarperCollins Publishers 2004)

პოლ ჰამფრი (Paul Humphrey) “Seaside Buildings” (Franklin Watts 2006)

სტრუან რეიდი და ანი კარბო (Struan Reid & Annie Carbo) “See Inside Bridges, Tunnels and Towers” (Usbourne Publishing 2019)

*ქეთი დეინისი და დევიდ ჰენკოკი (Katie Daynes & David Hancock) “See Inside Castles” (Usborne Publishing 2005)

*გერმანო ზულო და ალბერტინი (Germano Zullo & Albertine) “Sky High” (Chronicle Books 2012)

როსს მიულერი და ქრეიგ სმიტი (Ross Mueller & Craig Smith) “The Boy Who Built the Boat” (Allen & Unwin 2010)

როსს მონტგომერი და დევიდ ლიჩფილდი (Ross Montgomery & David Litchfield) “The Building Boy” (Faber & Faber 2016)

ადამ სტოუერი (Adam Stower) “The Den” (Bloomsbury Children’s Books 2005)

ოლივერ ჯეფერსი (Oliver Jeffers) “The Great Paper Caper” (HarperCollins Children’s Books 2017)

რონდა არმიტაჯი და დევიდ არმიტაჯი (Ronda Armitage & David Armitage) “The Lighthouse Keeper’s Lunch” (Scholastic 2017)

სტეფენ გარნაცია (Stephen Guarnaccia) “The Three Little Pigs: An Architectural Tale” (Harry N. Abrams 2009)

იუჯინ ტრივიზასი და ჰელენ ოქსენბერი (Eugene Trivizas & Helen Oxenbury) “The Three Little Wolves and the Big Bad Pig” (Egmont Books 2015)

მაიკლ როსენი და ბობ გრეჰემი (Michael Rosen & Bob Graham) “This Is Our House” (Walker Books 2007)

კლიფ რაიტი (Cliff Wright) “Three Bears” (Templar Publishing 2005)

ფრენკ ვივა (Frank Viva) “Young Frank, Architect” (Abrams Books for Young Readers 2013)

ვალერი კულმანი და როჟე ჟირარდი (Valerie Coulman & Rogé Girard) “When Pigs Fly” (Valerie Coulman 2017)

საბავშვო წიგნები ხელოსნობისა და ხეზე მუშაობის ხელშესაწყობად

სარა გარლანდი (Sarah Garland) “Eddie’s Toolbox and How to Make and Mend Things” (Frances Lincoln Children’s Books 2012)

ები კოლიჩი (Abby Colich) “Exploring Materials Series: Wood, Metal, Rubber, Plastic” (Raintree 2014)

*ჰენრი პლაკროსი (Henry Pluckrose) “Find Out About Wood” (Franklin Watts 2002)

ლარს კლინტინგი (Lars Klinting) “Harvey the Carpenter” (Kingfisher Books 2005)

შიან სმიტი (Sian Smith) “How Toys Work Series: Wheels & Axles, Springs, Pulleys, Ramps & Wedges” (Raintree 2013)

*პიპ ჯონსი და სარა ოგილვი (Pip Jones & Sarah Ogilvie) “Izzy Gizmo” (Simon & Schuster 2017)

ნიკ დეი და ტომ დიდსბერი (Nick Day & Tom Didsbury) “Junk: A Spectacular Tale of Trash” (Sleeping Bear Press 2018)

კლერ ტომპსონი (Claire Thompson) “Junk DNA” (C P Thompson Art Books 2019) – ხელმისაწვდომია www.etsy.com

კრის ტუგასი (Chris Tougas) “Mechanicals” (Orca Book Publishers 2012)

*ანდრეა ბეტი და დევიდ რობერტსი (Andrea Beaty & David Roberts) “Rosie Revere, Engineer” (Abrams Books for Young Readers 2013)

ჯონატან ემეტი და ელის დოლანი (Jonathan Emmett & Elys Dolan) “The Clockwork Dragon” (Oxford University Press 2015)

ჰელენ უარდი და ვეინ ანდერსონი (Helen Ward & Wayne Anderson) “The Dragon Machine” (Templar Publishing 2007)

ეშლი სპაირსი (Ashley Spires) “The Most Magnificent Thing” (Kids Can Press 2017)

ჰელენ უარდი და ვეინ ანდერსენი (Helen Ward & Wayne Andersen) “The Tin Forest” (Templar Publishing 2013)
კრის რიდელი (Chris Riddell) “Wendel’s Workshop” (Macmillan Children’s Books 2007)

საბავშვო წიგნები სახლებზე

* მერი ენნ ჰობერმანი და ბეტი ფრეიზერი (Mary Ann Hoberman & Betty Fraser) “A House Is a House for Me” (Puffin Books 2007)
ჯული ფოგლიანო და ლეინ სმიტი (Julie Fogliano & Lane Smith) “A House That Once Was” (Two Hoots 2018)
მიკ მენნინგი (Mick Manning) “A Ruined House” (Walker Books 1996)
“At Home (Window on the World)” (Zero to Ten 2010)
კატარინ ანჰოლტი და ლორენს ანჰოლტი (Catharine Anholt & Laurence Anholt) “Harry’s Home” (Orchard 2009)
ალექს ტ. სმიტი (Alex T. Smith) “Home” (Scholastic 2013)
კარსონ ელისი (Carson Ellis) “Home” (Walker Books 2016)
კეიტ პერი და ოქსფამი (Kate Perry & Oxfam) “Home (Around the World)” (Frances Lincoln Children’s Books 2007)
მარგარეტ ჰოლი (Margaret Hall) “Homes (Around the World)” (Heinemann Library 2002)
* ტედ კუსერი და კონ კლასენი (Ted Kooser & Jon Klassen) “House Held Up by Trees” (Walker Books 2015)
ენნ მორისი და კენ ჰეიმანი (Ann Morris & Ken Heyman) “Houses and Homes” (HarperCollins Publisher 1992)
* რუს ნასონი (Ruth Nason) “Houses and Homes (Where You Live)” (Franklin Watts 2010)
ბენედიქტ ბლეზუიტი (Benedict Blathwyt) “Little House by the Sea” (BC Books 2015)
აიფეომა ონიფულუ (Ifeoma Onyefulu) “Look at This! Home” (Frances Lincoln Children’s Books 2013)
დაიანა მაიო (Diana Mayo) “The House That Jack Built” (Barefoot Books 2007)
ფილის რუტი და დელფონ დურანდი (Phyllis Root & Delphone Durand) “The House That Jill Built” (Candlewick Press 2005)
* სიმს ტაბაკი (Simms Taback) “This Is the House That Jack Built” (Puffin Books 2005)

საბავშვო წიგნები ქოხებითა და სხვა კონსტრუქციებით თამაშის ხელშესაწყობად

კარმა უილსონი და ჯეინ ჩეპმანი (Karma Wilson & Jane Chapman) “Bear Snores On” (Simon & Schuster 2002)
მაიკლ ფორმანი, დევიდ ა.კარტერი და დევიდ პელჰამი (Michael Foreman, David A. Carter & David Pelham) “Ben’s Box” (Piggy Toes Press 1997)

ლისა ტეილორი და პენი დენი (Lisa Taylor & Penny Dann) “Beryl’s Box” (HarperCollins Publishers 1993)

*ამანდა ვიზი (Amanda Vesey) “Duncan’s Tree House” (Collins Picture Lions 1992)

სარა გარლანდი (Sarah Garland) “Eddie’s Tent and How to Go Camping” (Frances Lincoln Children’s Books 2015)

კარტერ ჰიგინსი და ემილი ჰიუისი (Carter Higgins & Emily Hughes) “Everything You Need for a Treehouse” (Chronicle Books 2018)

გაბრიელ ალბოროსო (Gabriel Alboroso) “Flora’s Treehouse” (Henry Holt & Co 2019)

საიმონ პატოკი და რასელ ჯულიანი (Simon Puttock & Russell Julian) “Goat and Donkey in the Great Outdoors” (Oxford University Press 2008)

ამანდა ასკიუ და ბრუნო მერცი (Amanda Askew & Bruno Merz) “Goldilocks and the Three Bears” (QED Publishing 2011)

*ლორენ ჩაილდი და ემილი ჯენკინსი (Lauren Child & Emily Jenkins) “Goldilocks and the Three Bears” (Puffin 2008)

ანგელა მაკალისტერი და ჯენი ჯოუნსი (Angela McAllister & Jenny Jones) “Harry’s Box” (Bloomsbury Publishing 2005)

მიკ ინკპენი (Mick Inkpen) “Kipper” (Hodder Children’s Books 2014)

დები გლიორი (Debi Gliori) “Mr Bear’s Holiday” (Orchard Books 2007)

დები გლიორი (Debi Gliori) “Mr Bear’s Picnic” (Orchard Books 2001)

ანტუანეტ პორტისი (Antoinette Portis) “Not a Box” (HarperCollins Children’s Books 2008)

მიკ ინკპენი (Mick Inkpen) “Picnic (Little Kippers)” (Hodder Children’s Books 2001)

რიჩარდ ჰამილტონი და სოფი უილიამსი (Richard Hamilton & Sophy Williams) “Polly’s Picnic” (Bloomsbury Publishing 2004)

ჯუდი ჰინდლი და ჰელენ კრეიგი (Judy Hindley & Helen Craig) “Rosy’s Visitors” (Walker Books 2002)

შირლი ჰიუისი (Shirley Hughes) “Sally’s Secret” (Red Fox 1992)

მელანი უატი (Melanie Watt) “Scaredy Squirrel Goes Camping” (Kids Can Press 2013)

მარტინ უადელი და ბარბარა ფერტი (Martin Wadell & Barbara Firth) “Sleep Tight, Little Bear” (Walker Books 2006)

ჯონ ბატლერი (John Butler) “Ten in the Den” (Orchard 2006)

ჯონ იომანი და კვენტინ ბლეიკი (John Yeoman & Quentin Blake) “The Bear’s Winter House” (Andersen Press 2009)

*კვენტინ ბლეიკი (Quentin Blake) “The Green Ship” (Red Fox 2000)

მაიკლ როსენი და ჰელენ ოქსენბერი (Michael Rosen & Helen Oxenbury) “We’re Going on a Bear Hunt” (Walker Books 2001)

ჯილ მერფი (Jill Murphy) “Whatever Next?” (Macmillan Children’s Books 2018)

საბავშვო წიგნები შიშების დასაძლევად და ქოხებით თამაშის ხელშესაწყობად

ლორენ ჩაილდი (Lauren Child) “Beware of the Storybook Wolves” (Orchard Books 2012)

მარტინ უადელი და ბარბარა ფერტი (Martin Waddell & Barbara Firth) “Can’t You Sleep Little Bear?” (Walker Books 2013)

კლერ ფრიდმანი და ალისონ ეჯსონი (Claire Freedman & Alison Edgson) “Follow That Bear if You Dare” (Little Tiger Press 2008)

ემმა დოდი (Emma Dodd) “I Thought I Saw a Dinosaur!” (Templar Publishing 2007)

ჯესიკა სუჰამი (Jessica Souhami) “In the Dark, Dark Wood” (Frances Lincoln Children’s Books 2007)

კრის უორმელი (Chris Wormell) “In the Woods” (Red Fox 2003)

*ენტონი ბრაუნი (Anthony Browne) “Into the Forest” (Walker Books 2005)

მიკ ინკპენი (Mick Inkpen) “Kipper’s Monster” (Hodder Children’s Books 2015)

ჯეინ ჰისი (Jane Hissey) “Little Bear Lost” (Scribblers 2014)

*ემილი გრავეტი (Emily Gravett) “Little Mouse’s Big Book of Fears” (Macmillan Children’s Books 2007)

კესრინ უაითი და მირიამ ლატიმერი (Kathryn White & Miriam Latimer) “Ruby’s Sleepover” (Barefoot Books 2012)

მელანი უატი (Melanie Watt) “Scaredy Squirrel at Night” (Kids Can Press 2012)

ჯულია დონალდსონი და ალექს სკეფლერი (Julia Donaldson & Axel Sceffler) “The Gruffalo” (Macmillan Children’s Books 2016)

ჯეან უილისი და სიუზან ვარლი (Jeanne Willis & Susan Varley) “The Monster Bed” (Andersen Press 2007)

რიჩარდ ჰამილტონი და ჰელენ ლანზრეინი (Richard Hamilton & Helen Lanzrein) “The Secret Cave” (Orchard 2006)

ემილი გრავიტი (Emily Gravitt) “Wolves” (Two Hoots 2016)

საბავშვო წიგნები მცირე სამყაროს სამშენებლო თამაშების მხარდასაჭერად

ელსა მორა (Elsa Mora) “Blossom Buddies: A Garden Variety” (TeNeues 2009)

*ელსა ბესკოვი (Elsa Beskow) “Children of the Forest” (Floris Books 1987) – შვედური ზღაპარი, რომელიც პირველად 1910 წელს დაიბეჭდა.

*კრისტინ ტაგი და დეგიდ ელუანდი (Christine Tagg & David Ellwand) “Cinderlily: A Floral Fairy Tale” (Candlewick Press 2003)

*ტრეისი კეინი (Tracy Kane) “Fairy Houses” (Light Beams Publishing 2001)

ტრეისი კეინი და ბარი კეინი (Tracy Kane & Barry Kane) “Fairy Houses and Beyond!” (Light Beams Publishing 2008)

*ბარი კეინი და ტრეისი კეინი (Barry Kane & Tracy Kane) “Fairy Houses… Everywhere!” (Light Beams Publishing 2006)

ბობ გრეჰემი (Bob Graham) “Jethro Byrde Fairy Child” (Walker Books 2002)

ჯონ ბერნინგემი (John Burningham) “Mouse House” (Jonathan Cape 2017)

მერი ლუის გეი (Marie Louise Gay) “Stella Fairy of the Forest” (Allen & Unwin 2002)
*ელფ პროისენი და ჰილდა ოფენი (Alf Proysen & Hilda Offen) “The Adventures of Mrs Pepperpot” (Red Fox 2010)
*ელფ პროისენი და ჰილდა ოფენი (Alf Proysen & Hilda Offen) “The Amazing Mrs Pepperpot” (Red Fox 2011)
ჯენ უილისი და გვენ მილუარდი (Jeanne Willis & Gwen Millward) “The Bog Baby” (Puffin 2008)
ელზა ბესკოვი (Elsa Beskow) “The Children of Hat Cottage” (Floris Books 2012)
*ჯილ ბარკლემი (Jill Barklem) “The Complete Brambly Hedge” (HarperCollins Children’s Books 2011)
სისელი მერი ბარკერი (Cicely Mary Barker) “The Complete Book of the Flower Fairies” (Frederick Warne 2002)
ჯენ უილისი და ჯენი დესმონდი (Jeanne Willis & Jenni Desmond) “The First Slodge” (Little Tiger Press 2015)
ჯენ უილისი და გვენ მილუარდი (Jeanne Willis & Gwen Millward) “The King of Tiny Things” (Puffin 2009)
ემილი ჰიუისი (Emily Hughes) “The Little Gardener” (Flying Eye Books 2017)
*როალდ დალი და პატრიკ ბენსონი (Roald Dahl & Patrick Benson) “The Minpins” (Puffin 2013)
*ალან ალბერგი და ჯილიან ტაილერი (Allan Ahlberg & Gillian Tyler) “The Snail House” (Walker Books 2000)
*სიბილ ვონ ოლფერსი (Sibylle von Olfers) “The Story of the Butterfly Children” (Floris Books 2009) – ასევე “the story of the root children, snow children and wind children” (პირველად გამოიცა გერმანიაში 1905-1920 წლებში)
ჯენ უილისი და ლორნა ფრეიტაგი (Jeanne Willis & Lorna Freytag) “Wild Child” (Walker Books 2015)

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები - კითხვა და დათვალიერება

“Brightworks” – არაჩვეულებრივი K-12 სკოლა სან-ფრანცისკოში, აშშ, გევერ ტულის მიერ დაფუძნებული (Gever Tulley), დევიზით „ყველაფერი საინტერესოა, ჩვენ ყველაფრის შექმნა შეგვიძლია”, www.sfbrightworks.org
“Build a Fairy House and Den” მარგარიტა ჰიუისის (Marghanita Hughes) უფასო PDF რესურსი, “Educating the Heart Through Nature Art” http://educatingheartnatureart.com/wp-content/uploads/2015/05/BUILDA-FAIRY-HOUSE-DEN-BOOKLET1.pdf
პეტ გურა (Pat Gura) (რედაქტორი) “Exploring Learning: Young Children and Blockplay” (Paul Chapman Publishing 1992)
ლისა გარდნერ უალში (Lisa Gardner Walsh) “Fairy Garden Handbook” (Down East Books 2013)
ლიზ გარდნერ უალში (Liz Gardner Walsh) “Fairy House Handbook” (Down East Books 2012)

ლიზა გარდნერ უალში (Liza Gardner Walsh) “Fairy Houses All Year: A Four Season Handbook” (Down East Books 2016)
პიტ მურჰაუსი (Pete Moorhouse) “Learning Through Woodwork: Introducing Creative Woodwork in the Early Years” (David Fulton 2018) –სრულყოფილი და შესაფერისი წიგნი ადრეულ წლებში ხის დამუშავების შესახებ
“Look the Trees Are on Fire” – “The Rising Sun Woodland” საბავშვო ბაღის პროექტის DVD –, მოიცავს ბავშვების ტყეში მშენებლობებისა და უკან საბავშვო ბაღში დაბრუნების კარგ თანმიმდევრობას, “Sightlines Initiative”-დან, www.sightlines-initiative.com/online-store.html
პეტ გურა (Pat Gura) “Resources for Early Learning: Children, Adults and Stuff” (Sage Publications 1996)
ელინ მაკკოი (Elin McCoy) “Secret Spaces Imaginary Places: Creating Your Own Worlds for Play” (Prentice Hall 1986)
“Supporting Young Children’s Sustained Shared Thinking: An Exploration” – მერიონ დოულინგის (Marion Dowling) სასწავლო DVD ბრიტანული ადრეული განათლების ასოციაციებისთვის, მოიცავს ბავშვების მიერ ტირიფის ნაგებობის მშენებლობის შესანიშნავ თანმიმდევრობას; ხელმისაწვდომია ადრეული განათლების ვებ-გვერდიდადან: www.early-education.org.uk/training-videos
Teacher Tom blog (ტომ მასწავლებლის ბლოგი) – მოიცავს ბევრ არაჩვეულებრივ პოსტს მშენებლობაზე, ხეზე მუშაობასა და ხელობაზე ადრეული ასაკის ბავშვებისთვის სიეტლის სათემო საბავშვო ბაღში, აშშ, http://teachertomsblog.blogspot.com
კარენ უილკინსონი და მიკი პეტრიჩი (Karen Wilkinson & Mike Petrich) “The Art of Tinkering: Meet 150 Makers Working at the Intersection of Art, Science and Technology” (Weldon Owen Incorporated 2014) - ხელებით მუშაობისა და სწავლის ზეიმი
ჯო სკოფილდი და ფიონა დანკსი (Jo Scofield & Fiona Danks) “The Den Book” (Frances Lincoln 2016)
კლერ ბესუიკი (Clare Beswick) “The Little Book of Bricks and Boxes” (Featherstone Education 2003)
ლინ გარნერი (Lynne Garner) “The Little Book of Dens” (Featherstone Education 2013)
ლიზ უილიამსი (Liz Williams) “The Little Book of Resistant Materials” (Featherstone Education 2006)
ტერი გოულდი და ლინდა მორტსი (Terry Gould & Linda Morts) “The Little Book of Woodwork” (Featherstone Education 2012)
Tinkering School (ხელობის სკოლა) – შემოქმედებითი საზაფხულო ბანაკები აშშ-ში, www.tinkeringschool.com/our-philosophy-2
Tinkering School (ხელობის სკოლა) – ნახეთ თედის ოთხწუთიანი საუბრები (TED Talk), ვებ-გვერდზე www.ted.com Gever Tulley: “Life Lessons Through Tinkering” (2009), ან უფრო ხანგრძლივი (17 წუთიანი) ვერსია ვებ-გვერდზე www.youtube.com TEDxKids@Brussels – Gever Tulley – Tinkering School (2011) რეიჩელ დურლი (Rachelle Doorley) “Tinkerlab: A Hands-on Guide for Little Inventors” (Roost Books 2014)

პეტ ბროდჰედი და ენდი ბერტი (Pat Broadhead & Andy Burt) “Understanding Young Children’s Learning Through Play: Building Playful Pedagogies” (Routledge 2012)
პიტ მურჰაუსი (Pete Moorhouse) “Woodwork in the Early Years” (Community Playthings 2015) – downloadable ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე https://irresistible-learning.co.uk/resource/woodwork-bookpete-moorhouse-published-community-playthings

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები – სათადარიგო ნაწილები

სელი ფეზესტონი და ფილ ფეზერსტონი (Sally Featherstone & Phil Featherstone) “50 Fantastic Ideas for Found Materials” (Featherstone Education 2014)
ჯუდიჰ ჰორვატი (Judit Horvath) “50 Fantastic Things to Do with Cardboard” (Featherstone Education 2017)
ქესი უეისმან ტოპალი და ლელა განდინი (Cathy Weisman Topal & Lella Gandini) “Beautiful Stuff: Learning with Found Materials” (Davis Publications 1999) – მიუხედავად იმისა, რომ რესურსი არ ეხება გარე სივრცეს, მაინც ღირს მისი წაკითხვა, ძირითადი აქცენტი გაკეთებულია საგნების თანდათან შემოტანაზე.
I Made a Unicorn! Open-Ended Play with Blocks and Simple Materials – უფასო PDF ვერსია, მომზადებულია
“Community Playthings” ტინა ბრუსთან (Tina Bruce), ლინ მაკნაირთან (Lynn McNair) და სიან უინ სინსინთან (Sian Wyn Siencyn) ერთად (თარიღი არ მოიპოვება), www.communityplaythings.co.uk/learning-library/training-resources/i-made-a-unicorn
ჯენ უაიტი (Jan White) (რედაქტორი) “Loose Parts and Flexible Thinking” (Early Education Journal No. 82 Summer 2017)
ლისა დელი, მირიამ ბელოგლოვსკი და ჯენა დელი (Lisa Daly, Miriam Beloglovsky & Jenna Daly) “Loose Parts: Inspiring Play in Young Children” (Red Leaf Press 2015) – მინი ფხვიერი მასალები შიდა და გარე სივრცეში
მორგან ლიხერ-სექსბი და სიუზანა ლოუ (Morgan Leichter-Saxby & Suzanna Law) “Loose Parts Manual: A Guide to Creating a Playground in a Box”, “Pop-Up Adventure Play” (Playground Ideas 2015) – უფასო PDF ვერსია https://playgroundideas.org/handbooks
ტერესა კესი და ჯულიეტ რობერტსონი (Theresa Casey & Juliet Robertson) “Loose Parts Play: A Toolkit” (Inspiring Scotland 2016) – შესანიშანვი სახელმძღვანელო ფხვიერი ნაწილების გარეთ გამოყენებისთვის, უფასო PDF ვერსია www.inspiringscotland.org.uk/hub/loose-parts-play
ჯოან ალმონი (Joan Almon) (რედაქტორი) “Play It Up: With Loose Parts, Playpods and Adventure Playgrounds” (Alliance for Childhood 2017)
სიუ გატერიჯი და ჯუდი ლეგი (Sue Gutteridge & Judi Legg) “This Place Is Like a Building Site: A Report on the Introduction of Loose Materials to Three Primary Schools in North Lanarkshire” (North Lanarkshire Council n.d.) – ვიდეოები YouTube-ზე და უფასო PDF ვერსია: http://outdoorplayandlearning.org.uk/wp-content/uploads/2016/07/this_place_is_like_a_building_site.pdf

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები

ტერი ბორდერი (Terry Border) “Bent Objects: The Secret Life of Everyday Things” (Running Press 2009)

“Bridges (Our Earth)” (Parkstone Press International 2010) – ქვის, აგურის, ხის, მეტალის და ბეტონის ხიდების დიდი ფერადი ფოტოსურათები

ლოიდ კაჰნი (Lloyd Kahn) “Builders of the Pacific Coast” (Shelter Publications 2008) – ფერადი ფოტოების უზარმაზარი კოლექცია შთაგონებისთვის ხენაკეთობების და სამშენებლო ჟურნალები უამრავი ფერადი სურათებით

დევიდ ელუანდი (David Ellwand) “Fairie-ality Style: A Sourcebook of Inspiration from Nature” (Walker Books 2009)

მაურინ ჰეფერმანი და რობერტ მიტჩელი (Maureen Heffernan & Robert Mitchell) “Fairy Houses of the Maine Coast” (Down East Books 2010)

გამომცემლობა “Sally J. Smith & Amber Lotus Publishing”-ის “Fairy Houses” კვადრატული კედლის კალენდარი (ყოველწლიური) – შენობაში გამოიყენეთ დიდი ფერადი, ხოლო გარეთ გამოსაყენებლად დაალამინირეთ ისინი

ბერი კეინი და ტრეისი კეინი (Barry Kane & Tracy Kane) “Fairy Houses… Unbelievable: A Photographic Tour” (Light Beams Publishing 2012)

“Gaudi” კვარდატული კედლის კალენდარი 2019 (Carousel Calendars 2018)

სლინკაჩუ (Slinkachu) “Global Model Village: The International Street Art of Slinkachu” (Boxtree 2012) - პერსპექტივების გასაოცარი ცვლილება მცირე სამყაროს ხელოვნების გზით (გაუფრთხილდით: ზოგიერთი სურათი არ შეეფერება ადრეული ასაკის ბავშვებს)

“Hundertwasser Architecture”-ის კვადრატული კედლის კალენდარი 2019” Freidensreich Hundertwasser (Korsh Verlag 2018)

სლინკაჩუ (Slinkachu) “Little People in the City: The Street Art of Slinkachu” (Boxtree 2008) – პერსპექტივების გასაოცარი ცვლილება მცირე სამყაროს ხელოვნების გზით (გაუფრთხილდით: ზოგიერთი სურათი არ შეეფერება ადრეული ასაკის ბავშვებს)

სკულპტურები რძის ყუთებით – ყუთების გამოყენებით უამრავი საოცარი ხელოვნებისა და დიზაინერული ნამუშევარი არსებობს – დასაწყისისთვის, სცადეთ “Google Images” და მოძებნეთ ფრაზით ‘milk crate sculpture’ (სკულპტურები რძის ყუთებით); ასევე სცადეთ სკულპტურები PVC მილებით და საბურავებით (მათ შორის დევიდ მაჩის (David Mach) ‘Polaris’)

“The Amusement Park for Birds” – ვიდეო “Reggio Emilia”-დან სადაც ბავშვები გარე სივრცეში გასართობ პარკს აპროექტებდნენ და ქმნიდნენ მათი სათამაშო მოედნის სტუმარი ჩიტებისთვის (Reggio Children 1992)

სტივ ვინი (Steve Wheen) “The Little Book of Little Gardens” (Dokument Press 2012) – შესანიშნავი სტიმულია პაწაწინა ცოცხალი ბაღებისთვის ურბანულ სივრცეებში

პიტერ ნელსონი და ჯუდი ნელსონი (Peter Nelson & Judy Nelson) “The Treehouse Book” (Universe Publishing 2000) – ინტერიერისა და ექსტერიერის ფერადი სურათები

პიტერ ფისჩილი და დევიდ ვაისი (Peter Fischili & David Weiss) “The Way Things Go” – მართლაც შესანიშნავი „გენიალურად დადგმული” DVD უსასრულო მიზეზებისა და შედეგების შესახებ (2006)
ტოდ მაკლელანი (Tod Mclellan) “Things Come Apart: A Teardown Manual for Modern Living” (Thames & Hudson 2013) – ყოველდღიური საგნების დანაწევრების ხელოვნება
ლოიდ კანი (Lloyd Kahn) “Tiny Homes on the Move: Wheels and Water” (Shelter Publications 2014) – პაწაწინა მობილური სახლების არაჩვეულებრივი ფერადი სურათები
პიტერ ნელსონი (Peter Nelson) “Treehouses: The Art and Craft of Living out on a Limb” (Houghton Mifflin 1994) – უამრავი შთამაგონებელი ფერადი ფოტოსურათი
მსოფლიოს 2015 წლის საუკეთესო შენობების კედლის კვადრატული კალენდარი (Peony Press 2014) – მოძებნეთ სხვა კალენდრებიც შესაბამისი მაღალხარისხიანი ფოტოსურათებისთვის დაბალ ფასად

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები - ორგანიზაციები და მომწოდებლები

“Community Playthings’ Outlast” წარმოადგენს დიდი ხის სამშენებლო ბლოკების არაჩვეულებრივ სისტემას, იგი სპეციალურად გარე სივრცეებისთვისაა განკუთვნილი (თანაც ერგება თავიანთ “Hollow Blocks” ნაირსახეობებს), www.communityplaythings.com/products/outdoor/outlast-blocks
“Cosy”-ის კატალოგში წარმოდგენილია უამრავი სხვადასხვა სამშენებლო რესურსი, მათ შორის მეორადი ყუთები, საბურავები და დიდი ზომის ხის მორები, www.cosydirect.com
“Early Excellence”-ში მოიპოვება სამშენებლო კოლექციები, ქოხების სათამაშო კოლექცია და პატარა ზომის ხეზე სამუშაო ხელსაწყოები, http://earlyexcellence.com/get-equipped/our-resources
Early Years Woodwork Association (ადრეულ ასაკში ხეზე მუშაობის ასოციაცია), www.stwerburghs.com/early-years-woodwork-association
“Irresistible Learning” - ადრეულ ასაკში ხეზე მუშაობის სპეციალისტისა და ხელოვანის/მკვლევრის - პიტ მურჰაუსის ვებ-გვერდზე წარმოდგენილია უამრავი წერილობითი რესურსი, რეკომენდაცია, ხელსაწყოების მომწოდებლები და ხეზე სამუშაო სივრცეების გალერეა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, https://irresistible-learning.co.uk/resources
“Muddy Faces”-ის ონლაინ მაღაზიაში ხელმისაწვდომია ქოხების აშენებისთვის და სხვა არაჩვეულებრივი სათამაშო რესურსები, ასევე ნამდვილი პატარა ხელსაწყოები ხეზე სამუშაოდ, www.muddyfaces.co.uk/shop
Outdoor Play and Learning (OPAL) – ადრეული ასაკის და სკოლის მოედნების სოციალური საწარმოს კომპანია, რომელიც აერთიანებს ფხვიერი ნაწილების გამოყენებას საბავშვო თამაშებში http://outdoorplayandlearning.org.uk
ReusefulUK „ბავშვის თამაშის ხელახლა გამოყენება” არის საქველმოქმედო

ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ჯართის მაღაზიებს, რესურსებს და კრეატიული მეორადი გამოყენების ცენტრებს; მათ ხშირად აქვთ მასალების ფართო არჩევანი, რომელიც შესაფერისია გარე მშენებლობისთვის და სათამაშოდ; იპოვეთ ჯართის მაღაზიების ვრცელი ჩამონათვალი გაერთიანებული სამეფოს მასშტაბით, საფოსტო კოდით მოძიება შესაძლებელია შემდეგ ვებ-გვერდზე www.reusefuluk.org/scrapstore-locations/directory

Scrapstore PlayPod – "Playpods" ნერგავს ფხვიერი ნაწილების გამოყენებას სკოლებსა და ადრეული განათლების დაწესებულებებში რათა გარდაქმნას თამაშისთვის განკუთვნილი დრო – იხილეთ ვიდეოები YouTube-ზე, ასევე იხილეთ ვებ-გვერდი www.playpods.co.uk

დასკვნა

- სამშენებლო თამაშები ადრეული ასაკის ბავშვებს განსაკუთრებულად აინტერესებთ, რადგან ეს მათ საშუალებას აძლევს გაიცნონ სამყარო ყველაზე სასურველი მეთოდით - მოძრაობით, მოქმედებით და მთელი სხეულის გამოყენებით.
- გარე სივრცეში შესაძლებელია უამრავი სამშენებლო აქტივობის გამართვა, რასაც ასტიმულირებს და ხელს უწყობს განსაკუთრებული ბუნებრივი გარემო.
- გარე სივრცეში გამოგონების, მოძრაობის, დიდი, მძიმე და მოუქნელი რესურსების გამოყენების თავისუფლება, ასევე სივრცის გამოყენება გულისხმობს, რომ აქ ძალიან ფართომასშტაბიანი მშენებლობა შეიძლება მიმდინარეობდეს. თუმცა, გარეთ ასევე არსებობს მცირე მასშტაბიანი მშენებლობის უამრავი სტიმული და შესაძლებლობა.
- დეკონსტრუქცია, არეულობა ირგვლივ და შეკეთება სამშენებლო თამაშის მნიშვნელოვანი ასპექტებია ადრეულ ასაკში, რათა ბავშვებმა გაიგონ თუ როგორ მუშაობს სამყარო. ისინი მნიშვნელოვანია დაგეგმარების პროცესში ინოვაციებისთვის. სწორედ ღია სივრცე უწყობს ასეთ უწესრიგო თამაშებს ხელს.

- ხის, როგორც განსაკუთრებული სამშენებლო მასალის, გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია ადრეულ განათლებაში. აღმზრდელების თვითრწმენის, უნარებისა და ენთუზიაზმის ამაღლება ხეზე მუშაობისთვის უსაფრთხო გარემოს ხელშესაწყობად, ხელს შეუწყობს გარე სივრცეში სამშენებლო თამაშის ამ არაჩვეულებრივ, თუმცა მივიწყებულ ასპექტს.
- კარგი რესურსებით მხარდაჭერილი სამშენებლო თამაში, აშკარად ჰოლისტურ გამოცდილებას ანიჭებს ბავშვებს, რომელსაც ადრეული განათლების სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა სფეროში და ასპექტში სწავლის ხელშეწყობის დიდი პოტენციალი აქვს.
- სამშენებლო თამაში გარე სივრცის უმეტეს ნაწილში შეიძლება მიმდინარეობდეს, ასევე იგი შეიძლება გარე სივრცის სხვა ასპექტების ნაწილს წარმოადგენდეს, მათ შორის ნამდვილ მშენებლობას სასარგებლო დანიშნულებებით.
- ბავშვებს დიდი დრო სჭირდებათ ნაგებობის ასაშენებლად და შემდეგ იქ სათამაშოდ; გარე სივრცეში შეზღუდული დროით თამაში აფერხებს ბავშვების ასეთ აქტივობაში სიღრმისეულად ჩართვას.
- გარე სივრცეში სამშენებლო თამაშის საუკეთესო რესურსი არის „ცალკეული, სათადარიგო ნაწილები" - მათ არ აქვთ წინასწარ განსაზღვრული დანიშნულება, ისინი სხვადასხვანაირია და ბავშვების ინტერპრეტაციებს შეეფერება, შეიძლება მათი მანიპულირება, გადაადგილება და მოდიფიცირება სურვილის შესაბამისად. რეალური სამყაროს მეორეული საგნების გამოსაყენებლად უამრავი შესანიშნავი შესაძლებლობა არსებობს. არ არის აუცილებელი გარე სამშენებლო გამოცდილებებისთვის „საგანმანათლებლო რესურსების" ყიდვა, თუკი მათ განსაკუთრებული სათამაშო ღირებულება არ აქვს.
- დიდი რესურსები ხელს უწყობს ფართომასშტაბიან თანამშრომლობაზე დაფუძნებულ სამშენებლო აქტივობას. დიდი, მძიმე და მოუქნელი რესურსების გამოსაყენებლად ბავშვებს მთელი გონებითა და სხეულით უწევთ ჩართვა, რაც აფართოვებს შინაარსს, სწავლასა და მეხსიერებას.
- სამშენებლო თამაშის რესურსები ყოველთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, რათა ხელი შეეწყოს როგორც დაგეგმილ, ასევე სპონტანურ იდეებსა და ინტერესებს. ასეთი რესურსების საუკეთესოდ ორგანიზება შესაძლებელია ფარდულში, მოძრავ კონტეინერებში.

- უფროსებმა სამშენებლო თამაშებში შეიძლება უამრავი როლი იტვირთონ: მჭიდროდ იურთიერთონ ბავშვებთან, რათა ხელი შეუწყონ მათ ენას, აზროვნებას და უნარებს, მხარი დაუჭირონ ბავშვების ინტერესებს შორიდან დაკვირვებისა და დაგეგმარების გზით. ამ როლების ნაირსახეობას არსებითი მნიშვნელობა აქვს გარე სივრცის ფანტანსტიური ასპექტის მაქსიმალურად გამოყენებისთვის.
- ყურადღებით დაკვირვება იმაზე, თუ რას აკეთებენ ბავშვები და მნიშვნელოვანია, რას ფიქრობენ გარე სივრცის შესაფასებლად.

სურათი 6.7. დიდი ზომის, მძიმე და მოუქნელი მასალები განსაკუთრებულ თამაშს უწყობს ხელს

თავი 7
გამოცდილება გარეთ, ბაღის მიღმა

ამ თავში განხილულია შემდეგი საკითხები:

- რატომ უნდა გავიდეთ ბაღის საზღვრებს გარეთ?
- რას სთავაზობს ბაღის საზღვრებს მიღმა სამყარო ბავშვებს?
- საბავშვო ბაღის საზღვრებს გარეთ გასასვლელად მომზადება
- რესურსები ადგილობრივი ექსპედიციების ხელშესაწყობად
- რას აღმოაჩენენ ბავშვები და რით შეიძლება დაინტერესდნენ?
- კიდევ სად შეიძლება წასვლა?
- როგორ მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი ექსპედიციებიდან?
- საბავშვო ბაღის საზღვრები და მათ მიღმა სამყაროს შიგნით შემოტანა
- გარე სივრცის სეზონური ანბანი
- საბავშვო წიგნები ბაღის მიღმა გამოცდილებების ხელშესაწყობად
- დამატებითი ინფორმაცია და რესურსები

რატომ უნდა გავიდეთ ბაღის საზღვრებს გარეთ?

ჩემი თაობის ბავშვების უმეტესობის მსგავსად, ხუთი-ექვსი წლიდან სახლში ყოველდღე სკოლიდან ფეხით ვბრუნდებოდი (ზოგჯერ ჩემს და-ძმასთან ერთად, თუმცა უმეტესად მაინც მარტო); დრო ხეტიალში გამყავდა, გზად ყველაფერს ვამჩნევდი და ხშირად, დედაჩემისთვის საჩუქრად მინდვრის ყვავილებს ვკრეფდი, რომლებიც გზის განაპირას იზრდებოდა. სახლამდე მანძილი რვაას მეტრომდე იქნებოდა, თუმცა მის დასაფარად შეიძლება სხვადასხვა დრო დამჭირვებოდა - საერთოდ არ ვფიქრობდი იმაზე, რომ სადმე მეჩქარებოდა. ასეთი „მოგზაურობები" ცხადად ჩამრჩა მეხსიერებაში და 50 წელზე მეტი ხნის შემდეგაც კი, ჯერ კიდევ მახსოვს ჩემი მარშრუტის თითოეული მონაკვეთი, იმ ბილიკებისა და გზების ბუნება და ჯერ კიდევ არ დამვიწყებია წვიმისგან დასველების განცდა. ერთი თაობის შემდეგ, ჩემი საყვარელი მოგონებებიდან ზოგიერთმა ისევ დაიწყო გა-

ცოცხლება, როცა ჩემი ორი წლის ქალიშვილთან ერთად საბავშ-ვო ბაღიდან ფეხით სიარული დავიწყეთ. ისევ ნაცნობ ბილიკებს მივყვებოდით აუჩქარებლად, მისი ტემპით - როგორც მას უნდო-და და ათი წუთის სავალი გზა, ჩვეულებრივ ერთ საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ბავშვი ყურადღებით აკვირდებოდა ირგვლივ ყველაფერს - როგორც ტროტუარის ბზარებში მოძრავ მწერებს, ასევე ასო-ბგერებს მანქანის სანომრე ნიშნებსა თუ საგზაო ნიშნებს (ტროტუარზე დამაგრებული სახანძრო ჰიდრანტებსა და გაზის მილებზე არსებული ნიშნები განსაკუთრებით უყვარდა). მას ასევე ძალიან უყვარდა „განძის" შეგროვება, მაგალითად მანქანის დაზიანებული უკანა ფარების წითელი და ყვითელი ნატეხები. ამ მეტად ცნობისმოყვარე ბავშვის ტემპით სეირნობა, იმის გარკვე-ვა თუ რა იყო მისთვის საინტერესო, მისი აღფრთოვანების გაზია-რება და ამაზე ფოკუსირება ბევრი თვალსაზრისით ღირებული იყო ორივესთვის, განსაკუთრებით კი ჩვენი ურთიერთობის გამყარებისა და მისი, როგორც მსწავლელის დანახვის კუთხით.

ადრეული ასაკის ბავშვები ბიოლოგიურად ცნობისმოყვა-რეები არიან, რათა მოახერხონ სამყაროს გაცნობა და შეძლონ უსაფრთხო და ეფექტური მოქმედება - რა არის ამ სამყაროში, რას აკეთებს ის და რას მიკეთებს ის მე, როგორ ვერგები მას, რი-სი გაკეთება შეუძლია და რა შეიძლება გავაკეთებინო მას? სამყა-როს ორი საკვანძო ასპექტი, რომელთა გამოკვლევასაც ბავშვე-ბი ასე მოწადინებით ცდილობენ არის: 1. რეალური ფიზიკური სამყარო - მიწა, წყალი, ქვები, მცენარეები, ცხოველები, ბუნებ-რივი პროცესები და სხვა; 2. რეალური ადამიანური სამყარო - ხალხი, ურთიერთობები, განსხვავებები, ადამიანების საქმია-ნობა, ინტერაქციის გზები, მათი როლები და ამ როლების არსი ადამიანებისთვის. ეს ასპექტები მაქსიმალურად შეგვაქვს საბავშ-ვო ბაღში, მაგრამ როგორც უკვე ვნახეთ, გამოცდილებები დახუ-რულ სივრცეში გაცილებით უფრო შეზღუდულია ვიდრე ღია სივრცეში. ჩვენ ვცდილობთ ბავშვებს ბაღის ღია სივრცეში მაქსი-მალურად მდიდარი რეალური გამოცდილებები შევთავაზოთ, მაგრამ მაინც გვაკლია მთელი რიგი იმ შესაძლებლობებისა, რომ-ლებიც ბავშვებს სამყაროს შესასწავლად სჭირდებათ.

ქუჩებს, სახლებს, ბინებს, ბაღებს, გორაკებს, მაღაზიებს, სა-წარმოებს, ადამიანებს და ცხოველებს, რომლებიც თქვენი ბა-ღის მიღმა მიდამოებს და საზოგადოებას წარმოადგენენ, ნე-

ბისმიერ სფეროში სწავლების უდიდესი პოტენციალი აქვთ. გარე სივრცის ამ „დამატებით შრეში“ ბავშვების გაყვანით, უსასრულოდ ფართოვდება მათი ჩართულობის, ფიქრისა და სწავლის შესაძლებლობები. იქედან მოტანილი მასალები კი, რომელიც შემდგომ საკვლევად, შესასწავლად, სათამაშოდ და სხვადასხვა რამის შესაქმნელად ხელმისაწვდომი ხდება ბაღის დახურულ და ღია სივრცეებში, უხვი და მდიდარია. ეს პრაქტიკა ერთ დროს არა მხოლოდ გავრცელებული, არამედ მიღებული იყო ადრეული განათლების დაწესებულებებში და იგი დღესაც ბევრ ტრადიციულ საბავშვო ბაღში გამოიყენება. თუმცა, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ფაქტორებით, აღმზრდელთა გადანაწილებითა და ლოჯისტიკით, რისკების თავიდან აცილების საკითხებითა და რისკების მართვასთან დაკავშირებული უამრავი დოკუმენტით, ეს ასპექტი დიდი ბრიტანეთის უმეტეს დაწესებულებაში შემცირდა ან ძალიან შეიზღუდა. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების გარეთ გასვლა გართულდა (ან საერთოდ შეუძლებელი გახდა), ამ პრაქტიკის საერთოდ ამოღების უარყოფითი შედეგები იმდენად ფართო და ღრმაა, რომ ნამდვილად საჭიროა საკითხზე უფრო აქტიური დაფიქრება. საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიის დამატებით შრედ განხილვა, კიდევ უფრო გაამდიდრებს თქვენ დახურულ და ღია სივრცეში შეთავაზებული გამოცდილების, განვითარებისა და სწავლის შესაძლებლობებს, რომლებსაც უბრალოდ ვერ უზრუნველყოფენ ეს სივრცეები.

ადრეული ასაკის ბავშვი ახლა გაცილებით უფრო ნაკლებ დროს ატარებს თავის უბანში, ვიდრე წინა თაობის ბავშვები, განსაკუთრებით კი საკუთარ ინტერესებზე ფოკუსირებით. ამიტომ ადგილობრივ უბანში მიღებული გამოცდილებები, სადაც ისინი მიზანმიმართულად გაყვანის გარეშე ვერანაირად მოხვდებოდნენ, თქვენი დაწესებულების მნიშვნელოვანი კომპონენტია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მაშინაც კი, როცა ბავშვები ამ ადგილებში ხვდებიან, ხშირად მათ მშობლები ან მზრუნველები ახლავთ, რომლებსაც ეჩქარებათ ან ვერ მიყვებიან ბავშვების ტემპს, ან აკეთებენ თავიანთ საქმეებს და ნაკლებად ახერხებენ ყურადღების გამახვილებას ბავშვების ინტერესებსა თუ სურვილებზე. ბავშვები უმეტესად, ალბათ, ეტლში ან მან-

ქანის სავარძელში არიან. მცირე შემადგენლობით აუჩქარებელი, ბავშვზე ორიენტირებული ექსკურსიები ადგილობრივ უბანში ბავშვებს და მათ თანმხლებ უფროსებს ჯადოსნურ გამოცდილებას სძენს. ეს არის ბავშვების გაცნობის, მათი უნარებისა და ცხოვრების შესახებ ბევრი სხვა რამის აღმოჩენის დრო. როგორც ბოგნორ რეჯისის საბავშვო ბაღისა და ბავშვთა ცენტრის (Bognor Regis Nursery School and Children's Centre) მასწავლებელი ამბობს, სანაპიროზე სათამაშოდ მიმავალი ბავშვები გზად „ყველაფერზე საუბრობენ და მასწავლებელი იმასაც კი იგებს, რომ მათ დედას „მამა მია" უყვარს". ბავშვებთან ერთად წერილის გასაგზავნადაც შეგიძლიათ გასეირნება და პრობლემას არ წარმოადგენს, საფოსტო ყუთამდე საერთოდ თუ ვერ მიაღწევთ.

რას სთავაზობს ბაღის საზღვრებს მიღმა სამყარო ბავშვებს?

საბავშვო ბაღის საზღვრებს გარეთ მუშაობისას მნიშვნელოვანია მისი დამატებით ელემენტად განხილვა, რომელიც თავისი კონკრეტული მახასიათებლებით ბავშვებს განსხვავებულ შეგრძნებებს სძენს, მთელ რიგ განსაკუთრებულ შესაძლებლობებს

სურათი 7.1. მცირე შემადგენლობით აუჩქარებელი, ბავშვზე ორიენტირებული ექსკურსიები ადგილობრივ უბანში, ბავშვებს ჯადოსნურ განცდებს უქმნიან

აძლევს და რომელიც გამოიყენება ყველა ბავშვთან (სასურველია დღის საათებში). ამ მიდგომით, ბავშვები გარე სივრცის ამ ნაწილს ხშირად და დიდი ხნით ესტუმრებიან, რათა კარგად გაიცნონ იგი, თავი კომფორტულად იგრძნონ, სულ უფრო მეტი დეტალი შეისწავლონ და გამოიკვლიონ. როცა ეს მოხდება, ბავშვებს შესაძლებლობა ექნებათ:

- გაეცნონ თავიანთ უბანს და შეიგრძნონ საბავშვო ბაღის მიღმა არსებული დიდი სამყარო;
- აღმოაჩინონ რა ხდება რეალურ სამყაროში და უშუალო კონტაქტი დაამყარონ მის ფიზიკურ მხარესთან, მახასიათებლებთან და ქცევებთან;
- გაეცნონ ადამიანებს მათ თემში, შეიგრძნონ მათ ირგვლივ არსებული, უფრო დიდი ადამიანური სამყარო და ამ სამყაროს ნაწილად იგრძნონ საკუთარი თავი;
- გამოიკვლიონ და უშუალოდ იურთიერთონ ადამიანების რეალურ სამყაროსთან - საზოგადოების სხვადასხვა წევრთან, რას საქმიანობენ ისინი, როგორ ურთიერთობენ ერთმანეთთან, როგორ უვლიან ერთმანეთს;

სურათი 7.2. ნებისმიერი მოგზაურობა ასტიმულირებს კომენტარებს, კითხვებსა და განხილვებს

- გამოიყენონ თავიანთი სხეული სივრცეში, წინააღმდეგობების დასაძლევად, გამოიყენონ გარემო სახალისო მოძრაობებისთვის და ფიზიკური დატვირთვისთვის, განავითარონ გამძლეობა და სიმტკიცე ხანგრძლივი აქტიურობის პერიოდში;
- იყვნენ თანატოლებთან სხვადასხვა ვითარებაში, იურთიერთონ და დაამყარონ კონტაქტი სხვა ბავშვებთან და უფროსებთან;
- შეიგრძნონ მასშტაბი და პოზიცია - უდიდესი და უსასრულო, ასევე პაწაწინა და თითქმის უჩინარი;
- განავითარონ მხედველობა, განსაკუთრებით სივრცესთან, მანძილთან, მიმართულებასთან, სიმაღლესთან, სივრცით აღქმასთან, მოძრაობასთან დაკავშირებით, ისწავლონ მოძრაობისა და სიჩქარის შეფასება;
- განიცადონ ბევრი ძლიერი სტიმული შესაფასებლად, კითხვების დასასმელად და განხილვებში ჩასართველად, შინაარსიან კონტექსტებში ჩვეულებრივ დიალოგში მონაწილეობისა და ლექსიკური მარაგის, ფრაზებისა და ენის გასამდიდრებლად;
- ადევნონ თვალყური სამყაროს ცვლილებებს სხვადასხვა ამინდში წელიწადის სხვადასხვა დროს;
- აღმოაჩინონ და შეისწავლონ სხვადასხვა ცხოველი, მცენარე და ბუნებრივი პროცესი ყველაზე ურბანულ პირობებშიც კი;
- შეამჩნიონ ნიშნები, სიმბოლოები, რიცხვები, ასოები და პრინტები გარემოს რეალურ კონტექსტებში და გაიგონ მათი მნიშვნელობები;
- დააგროვონ უსასრულოდ ბევრი შეგრძნება, ინფორმაცია და გამოცდილება რეალურ სამყაროში, რასაც თამაშითა და სხვა კრეატიული/შემოქმედებითი აქტივობებით გამოიკვლევენ და გადაამუშავებენ ბაღში დაბრუნების შემდეგ.

საბავშვო ბაღის საზღვრებს გარეთ გასასვლელად მომზადება

ამ მიმართულებით დამატებითი რეკომენდაციები შეგიძლიათ იპოვოთ ჯენი ლინდონის (Jennie Lindon) წიგნში "Planning for the Early Years: The Local Community (2012 - იხილეთ დამატებითი რესურსები).

მშობელთა ჩართულობა

ძალიან მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა გარე სივრცის ამ ასპექტში მანამ, სანამ ამ პრაქტიკის გამოყენებას დაიწყებთ. გაესაუბრეთ მშობლებს იმაზე, თუ რას აკეთებდნენ ისინი ბავშვობაში და რა მისცა მათ ამ გამოცდილებებმა. განიხილეთ თუ რა სარგებელს მიიღებენ მათი შვილები ამ პრაქტიკიდან და დარწმუნდით, რომ ისინი ზუსტად ხვდებიან რას სთავაზობთ თქვენ. დიდ ბრიტანეთში მშობლების წერილობითი თანხმობაა საჭირო ბავშვების საბავშვო ბაღის გარეთ გაყვანისთვის, თუმცა მთელი პერიოდის მანძილზე ერთჯერადი, ზოგადი ნებართვაც საკმარისი იქნება (მიზანშეწონილი იქნებოდა თანხმობის სპეციალური ფორმა სრულდღიანი ექსკურსიებისთვის). ისევე როგორც სხვა ასპექტებთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაშიც საჭირო იქნება მშობლების მუდმივი ინფორმირება იმაზე, თუ რას აკეთებენ მათი შვილები - მათ უნდა დაინახონ თუ როგორ უწყობს ხელს ეს კონკრეტული გამოცდილება ბავშვის კეთილდღეობას, სწავლასა და განვითარებას. ციფრული ფოტოების და ვიდეოების გაზიარება საუკეთესო დასაწყისი იქნებოდა, ბავშვების გამოცდილებები ამ თემსა და უბანში, სავარაუდოდ, კავშირში იქნება მათი ოჯახების ცხოვრებასთან, ხოლო ინფორმაცია თქვენს ექსკურსიებსა და გამოცდილებებზე გადაინაცვლებს ბავშვის საშინაო ცხოვრებაში.

სარგებლისა და რისკის მართვა

სარგებლისა და რისკის სიღრმისეულ შეფასებას და მართვის დაგეგმარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ღია სივრცის ამ დამატებითი შრის გამოყენებისთვის. ამ გარემოს გაცნობა მნიშვნელოვანია, რათა პრაქტიკოსებმა თავი კომფორტულად იგრძნონ; კომფორტი კი ამ გარემოში ადრეული ასაკის ბავშვებთან ერთად ყოფნისას თავდაჯერებულობას უზრუნველყოფს. ნებისმიერ წარმოქმნილ გარემოებასთან გამკვლავებისთვის მზაობა მშვიდ და წარმატებულ ექსპედიციას უზრუნველყოფს, ამიტომ გირჩევთ სიღრმისეულ და კარგად მომზადებულ წერილობით დოკუმენტს გაეცნოთ სარგებლისა და რისკის მართვასთან დაკავშირებით, სადაც იპოვით ბავშვებთან ერთად

მოსანახულებელი ადგილების მარშრუტებსა და ბუნებას. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისში უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნებით არაა საჭირო ყველანაირი რისკის წერილობითი ფორმით შეფასება, მაინც „პროვაიდერმა წერილობით უნდა შეაფასოს რისკები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, რათა პრაქტიკოსების ინფორმირება მოახდინოს და განსაზღვროს თუ როგორ შეიძლება რისკების მართვა მშობლების, მზრუნველების თუ ინსპექტორების მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში" (Statutory Framework for the Early Years Foundation Stage, 2017 3.64) - სწორედ ეს არის ის სფერო, სადაც წერილობითი დოკუმენტი ნამდვილად სასარგებლო იქნებოდა, განსაკუთრებით ამ პრაქტიკის განვითარების ეტაპზე. საბავშვო ბაღებს ამის გაკეთება მხოლოდ ერთხელ დასჭირდებათ ზოგად სიტუაციასთან და რუტინულად მოსანახულებელ ადგილებთან დაკავშირებით, ამასთან საჭირო იქნება სიტუაციის დინამიური შეფასება ყოველდღიურად წარმოშობილ ცვლილებებთან დაკავშირებით.

სარგებლისა და რისკის მართვის პირველი ნაბიჯი არის ბავშვების ზოგადად გარეთ და კონკრეტულად, რომელიმე ადგილზე გაყვანის საჭიროების დასაბუთება. მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ რა სარგებლობა და ღირებულება აქვს აღნიშნულ პრაქტიკას ბავშვებისთვის და რატომ არის იგი თქვენი დაწესებულების მისიისა და ეთოსის ნაწილი. სარგებლიანობის მკაფიოდ დასაბუთება დაგეხმარებათ რისკების მართვისადმი პოზიტიური და ისეთი მიდგომის ჩამოყალიბებაში, რომელიც ბავშვებს ამ გამოცდილების უსაფრთხოდ მიღების საშუალებას მისცემს. გაეცანით ყველა ადგილს და მარშრუტს, გაითვალისწინეთ ყველა ცვლილება, რომელიც დროთა განმავლობაში შეიძლება მოხდეს და რა შედეგი შეიძლება ამას მოყვეს თქვენთვის. შეაფასეთ ყველა სავარაუდო საშიშროება და რისკი, განსაზღვრეთ სერიოზული საშიშროებების აღმოფხვრის, თავიდან აცილებისა თუ შემცირების, ასევე სხვა რისკების მართვის გზები. ცხადია, თავად ბავშვები რისკის მართვის მთავარი სამიზნეა და ამ უნარის გამომუშავება ბავშვებში ღირებული და ხანგრძლივი პროცესია ადრეული ასაკის განათლებაში, ამიტომ დარწმუნდით, რომ ბავშვებს თქვენი რისკების მართვის პროცედურებში მთავარი როლი აკისრიათ. განსაზღვრეთ გარემოს ის ასპექტები, რომლებიც რეგულარულ შემოწმებას საჭიროებენ და ბავშვების

გაყვანამდე შეამოწმეთ მარშრუტი. უმნიშვნელო ცვლილებების შემთხვევაში არ არის აუცილებელი ზოგადი სარგებლისა და რისკების შეფასების ხელახლა ჩამოყალიბება (წერილობით), თუმცა მაინც ყურადღებით უნდა იყოთ. ასევე აუცილებელი იქნება რისკის დინამიური შეფასება ყოველდღიურ ექსკურსიებზე ბავშვების გაყვანისას (იგივე საჭიროა დაწესებულების ყველა სხვა ნაწილისთვის), მაგრამ კარგმა მომზადებამ აღმზრდელებს თავიდან უნდა ააცილოს ზედმეტი შფოთვები და უნდა უზრუნველყოს მათი მშვიდი დამოკიდებულება ბავშვების მიმართ.

ბავშვებთან ერთად ექსპედიციის განხორციელებამდე დარწმუნდით, რომ ყველა აღმზრდელი თავს კომფორტულად და თავდაჯერებულად გრძნობს. ყურადღებით შეარჩიეთ ახალი თანამშრომლები და განიხილეთ ყველა საკითხი, რათა მათ კომპეტენტურად იგრძნონ თავი. ნუ აიყვანთ პერსონალს მათთვის არაკომფორტულ პოზიციაზე. დარწმუნდით, რომ ისინი ნებისმიერი პრობლემის შესახებ შეგატყობინებენ და სრულიად მომზადებულები ხვდებიან ახალ დღეს. გამოუცდელი აღმზრდელების კომპეტენციისა და თავდაჯერებულობის გაზრდის მიზნით ყოველთვის კარგია ისინი თან გაყვნენ გამოცდილ თანამშრომლებს. კომპეტენტურობის მთავარი ნაწილია იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა მოიქცე რთულ მომენტებში, ამიტომ არასოდეს გამოტოვოთ რისკების მართვის პროცედურების დაგეგმარება.

სარგებლისა და რისკის მართვის ზოგადი დოკუმენტი შეიძლება ასევე მოიცავდეს შემდეგ პოლიტიკას და პროცედურებს:

- კომუნიკაცია მშობლებთან - ინფორმირებულობაზე დაფუძნებული თანხმობის მოპოვება, ინფორმაციის მუდმივი გაზიარება და დისკურსიები;
- აღმზრდელებსა და ბავშვებს შორის აუცილებელი რაოდენობრივი შეფარდების შეფასება - საკანონმდებლო მოთხოვნებისა და გაიდლაინების გარდა, უფრო დაბალი შეფარდების საჭიროება იმის შეფასების შედეგად ვლინდება, თუ რა არის შესაფერისი მოცემულ პირობებში და რა ზრდის ჩართული პერსონალის თავდაჯერებულობას ბავშვებისა და აღმზრდელების შესახებ ცოდნის გათვალისწინებით;
- დამატებით დამხმარე მოხალისეების, სტაჟიორებისა და სტუდენტების ჩართვა - მათი ინფორმირება, მარშრუტისა

და გარემოს, ასევე ბავშვების მხარდაჭერისთვის თქვენი პოლიტიკის და პროცედურების გაცნობა;

- მკაფიო ინსტრუქციები გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის, საჭირო ტელეფონის ნომრებით;
- პირველადი დახმარების ღონისძიებები, მედიკამენტებისა და მკურნალობის პროტოკოლები;
- საგზაო უსაფრთხოების პროცედურები და საერთო მიდგომები უცხო ადამიანებთან ურთიერთობასთან დაკავშირებით;
- ჰიგიენური საშუალებები და გონივრული პროცედურები;
- კონსულტაციები დამზღვევთან თქვენი პრაქტიკის ამ რუტინულ ნაწილთან და უსაფრთხოების მოთხოვნებთან დაკავშრებით (საჭიროების შემთხვევაში).

სარგებლისა და რისკების პროცესის, პროცედურების გადახედვა წელიწადში ერთხელ მაინც საჭიროა. აუცილებლად ჩართეთ სრული პერსონალი დისკუსიაში და შეაფასეთ რამდენად კარგად მუშაობს ეს პრაქტიკა და საჭიროებს თუ არა იგი რაიმე ცვლილებას. შეიძლება თავიდან მოგეჩვენოთ, რომ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ ამოქმედების შემდეგ, ექსკურსიები მშვიდ, სასიამოვნო ყოველდღიურ ღონისძიებად იქცევა, ყოველდღიური ექსპედიციების შედეგად მიღებული სარგებელი კი ღირებულებით გადასწონის თქვენს ძალისხმევას.

ტანსაცმელი და ფეხსაცმელი

ზამთარში მშვენიერი სასეირნო დღე ბავშვებს შეიძლება რეზინის ჩექმებში გაყინულმა ტერფებმა გაუფუჭოს! ბავშვებისთვის და უფროსებითვის შესაბამის ტანსაცმელზე ყურადღების გამახვილების ნაწილია, რომ მათ ყოველთვის თბილად, მშრალად ჰქონდეთ ფეხები და თავს კომფორტულად გრძნობდნენ. ყოველთვის თან იქონიეთ გამოსაცვლელი ტანსაცმელი გაუთვალისწინებელი სიტუაციებისთვის. ვინაიდან სხეული მოძრაობით თბება, მრავალშრიანი ტანსაცმელი საუკეთესო მიდგომაა, რათა ბავშვები არ გადახურდნენ და თავი კომფორტულად იგრძნონ. ბავშვებს საკუთარი ზურგჩანთების ტარება შეუძლიათ, სადაც გახდილი ან გამოსაცვლელი ტანსაცმლის, ასევე სხვა საჭირო ხელსაწყოებისა და სასმელი წლის ჩადება შეუძლიათ. უფროსებსაც სჭირდებათ გამოსაცვლელი

ტანსაცმელი გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის. გარდა ამისა, შეეცადეთ ბავშვები არ გადატვირთოთ ბლოკნოტებით, ბინოკლებით და სხვა რესურსებით, რათა მათ ხელებითა და სხეულებით შეიგრძნონ თავისუფალი მოძრაობა.

ბავშვების მომზადება

კარგი დაგეგმარების არსებითი ელემენტი ბავშვების კარგი მომზადებაა. ჩვეულებრივ, ბავშვების ჩართულობა წესებისა და საზღვრების დადგენაში - რომლებიც ყველას უსაფრთხოებასა და კმაყოფილებას უზრუნველყოფს, ყველაზე ეფექტური გზაა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბავშვებმა კარგად დაიმახსოვრონ და გაითვალისწინონ ისინი. სასარგებლო იქნება შეახსენოთ ბავშვებს, რომ „ჩვენ თვალებით ვიყურებით, ყურებით ვუსმენთ და თავით ვფიქრობთ" (Jenny Lindon, *Planning for the Early Years: The Local Community,* 2012, p. 3). წესები არ უნდა იყოს რთული და ბევრი - გამოიყენეთ მხოლოდ ის წესები, რომლებიც ბავშვებს ექსკურსიებიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებაში დაეხმარებათ. სეირნობისას დარწმუნდით, რომ ბავშვები უფროსებს ხედავენ, რათა მათ ნებისმიერ დროს მოგმართონ, როცა თავს დაუცველად ან შეწუხებულად იგრძნობენ - ამაში მაღალი ხილვადობის ჟილეტები დაგეხმარებათ.

რესურსები ადგილობრივი ექსკურსიების ხელშესაწყობად

- ზურგჩანთები უფროსებისა და ბავშვებისთვის (ბავშვის ზომის ზურგჩანთები ხელმისაწვდომია მაღაზიებში "Muddy Faces" და "Early Excellence") - ბავშვები მალევე ეჩვევიან საკუთარი რესურსების ტარებას და ზურგჩანთები წაახალისებთ მათ
- პირველადი დახმარების ნაკრები (ხელმისაწვდომია მაღაზიაში "Muddy Faces") ხშირად უნდა შეამოწმოთ და შეავსოთ
- სპეციფიკური მედიკამენტები და სამკურნალო საშუალებები (მაგალითად, ინჰალატორი ან EpiPen) ცალკეული ბავშვისთვის - დარწმუნდით, რომ ყველა უფროსმა იცის და შეუძლია სათანადო სამედიცინო რეაგირება
- ტელეფონი - შეამოწმეთ ისინი ყოველდღე ბაღიდან გასვლამდე

- საჭირო ტელეფონის ნომრები (მაგალითად, პირდაპირი კავშირი გადაუდებელი დახმარების სამსახურთან და საგანგებო მდგომარეობების სამსახურების შესაბამისი ნომრებით)
- მკაფიო ინსტრუქციები და ღონისძიებები გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის
- მაღალი ხილვადობის ჟილეტები (ხელმისაწვდომია მაღაზიაში "Muddy Faces") ან ლენტები თოთოეული აღმზრდელისთვის
- თოკი, ბავშვებისთვის ხელის ჩასაჭიდად სახიფათო ადგილებში, მაგალითად, ქუჩების გადაკვეთისას (სურვილის შემთხვევაში)
- ახალი სასმელი წყალი კონტეინერში და ჭიქები (გამოიყენეთ მრავალჯერადი ჭიქები) ან წყლის მსუბუქი ბოთლები ბავშვების ზურგჩანთებში მოსათავსებლად
- საწვიმარები გამოსასცვლელად (მოულოდნელი წვიმის შემთხვევისთვის)
- თბილი ტანსაცმელი (გამოსაცვლელი წინდები, ხელთათმანები, შალის ქუდები, მზის ქუდები და სხვა) - ამინდისა და სეზონის შესაბამისად
- ციფრული კამერა უფროსებისთვის, ასევე ბლოკნოტი ან ხმის ჩამწერი
- გამადიდებელი შუშები, ბინოკლები, ტელესკოპები (სურვილისამებრ)
- ძლიერი ციფრული კამერა
- ბლოკნოტები, ბევრი ფანქარი და ფლომასტერი
- პატარა კალათები, ჩანთები ან სათლები საკვების მოსაპოვებლად ან საინტერესო საგნების შესაგროვებლად.

რას აღმოაჩენენ ბავშვები და რით შეიძლება დაინტერესდნენ?

ბავშვებმა უამრავი რამ შეიძლება შეამჩნიონ და დაინტერესდნენ. ვინაიდან ისინი ძალიან სხარტები არიან, გარემო კი ასე მდიდარია სტიმულებით, მათი ყურადღება ბევრმა და ნებისმიერი მასშტაბის საგანმა შეიძლება მიიპყროს - დიდმაც და სულ პატარამაც, რომელთაც უფროსები უკვე დიდი ხანია აღარ აქცევენ ყურადღებას. თანმხლები უფროსებისთვის, რომლებიც ამ შენელებული ტემპით მიყვებიან ბავშვებს, ნამდვილი სიამოვნებაა გაიხსენონ რამდენად მომხიბლავია ეს ყველაფერი,

ახლებურად, განსხვავებულად შეხედონ ყველაფერს და დაინახონ ყოველდღიური საგნებისა და მოვლენების (განსაკუთრებით კი ბუნებრივის) დეტალები, მათი სირთულეები და სიღრმე. აღმზრდელებს დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ შესანელებლად და დასაკვირვებლად, კიდევ უფრო მეტი დრო იქნება საჭირო ბავშვების კომენტარებსა და მოქმედებებზე რეაგირებისთვის, ბავშვების აღმოჩენების შესაფასებლად. დაყოვნდით (დაითვალეთ ათამდე) სანამ იმაზე გადაინაცვლებთ, რაც ბავშვებმა ისედაც იციან ყოველდღიური გამოცდილებებიდან. ირგვლივ მყოფ გარემოში საგნების და მოვლენების შემჩნევის შემდეგ, ბავშვებს ხშირად მათი განცდა შეუძლიათ გრძნობით, სმენით, მხედველობით, ყნოსვითა და მოძრაობით - თუკი ეს შესაძლებელია. ბავშვების ყველაზე დიდი რეაგირება მოვლენებზე - სხეულით ჩართულობის მოთხოვნილებაში მდგომარეობს და ხშირად, დანახვას მოსდევს მოქმედება. მოემზადეთ იმისთვის, რომ ბავშვები აღფრთოვანებით დაიწყებენ ხტომას, კედლების კიდეებზე სიარულს, მოაჯირებზე ჯოხების ხმაურიანად ჩამოსმას, ბორდიურების ქვებზე სიარულს წონასწორობის შენარჩუნებით ან ფილებს შორის ხტომას.

ქვემოთ მოცემულია ადრეული ასაკის ბავშვებისთვის საინტერესო საგნები და ცოცხალი არსებები ირგვლივ მყოფ გარემოში, რომლებზე რეაგირებაც შეიძლება მოუნდეთ, თუმცა ეს ჩამონათვალი ამოუწურავია!

- ჭიანჭველები და სხვა პაწაწინა არსებები
- გასასვლელები, თაღები და ნაპრალები (*გასაძვრომად*)
- ჩვილები, თინეიჯერები, ასაკიანი ადამიანები
- ყველაფერი, რაც დიდი და უზარმაზარია
- მენაგვეები, მეეზოვეები, ქუჩის გამწმენდი მანქანები
- ხიდები და გადასასვლელები
- მშენებლები და სამშენებლო მოედნები, ექსკავატორები და ამწეები
- მანქანები, ავტობუსები, სატვირთოები და ა.შ.
- ღრუბლები, ცა და ამინდი
- ფერები, ბრწყინვალება და ანარეკლი, ნათელი და მუქი ჩრდილები
- ბორდიური, ქვები, ფილაქანი და ზოლები ქვაფენილზე (ტრაექტორიები)

- ძაღლები, კატები, ცხენები, მტრედები, ჩიტები, ციყვები
- შენობის შესასვლელები, საფეხურები, ფანჯრები, ავტოფარეხის კარები (შიგნით გასავლელად)
- მაღაზიების წარწერები - რისთვისაა და რას ნიშნავს
- სახანძრო და პოლიციის სადგურები, საავადმყოფო, საცხოვრებელი სახლები ხანდაზმულებისთვის
- ჭიშკრები - ღია და დახურული, სხვადასხვა ტიპის სახელურები და ჩამკეტები (გასაძვრომად)
- ღარები და სანიაღვრეები (ტრაექტორიები)
- ცოცხალი ღობეები და კედლები
- ხვრელები და პაწაწინა არსებებისა და ადამიანების „სახლები" (შემოსაზღვრული ადგილები)
- სახლების ნომრები, რიცხვები, ასოები, სახანძრო ჰიდრანტები
- ქუჩის განათებები, შუქები, ზებრა გადასასვლელები, ბოძები და საფოსტო ყუთები
- ხმების მოსმენა, ყნოსვა, ტექსტურისა და ფორმების შეგრძნება
- ნაგავი და სანაგვე ყუთები
- მოქმედებები - მაგალითად, შუქნიშნის ღილაკზე ხელით მიწოლა
- საკანალიზაციო ლუკების თავსახურები, პატერნები, ტექსტურა

სურათი 7.3. ქუჩებში ბევრია უცნაური და საინტერესო საგნები და მოვლენები

- მოგზაურობის რუკის შედგენა - ბილიკები და მათი გადაკვეთის წერტილები (შეერთება)
- ხავსის ფორმები და ფერები კედლებზე
- მცენარეები, სარეველა ბალახები, ყვავილების მაღაზიები, ჩამოკიდული კალათები, კონტეინერები
- ფოსტალიონი, რომელსაც წერილები და ამანათები მოაქვს
- საფოსტო წერილები, საფოსტო ყუთები
- პრინტები ავტობუსებზე, ფურებზე, სატვირთოებზე და სხვა სატრანსპორტო საშუალებებზე
- მოაჯირები, უსაფრთხოების ბარიერები
- საგზაო უსაფრთხოების ნიშნები, ზებრა გადასასვლელები, გადასასვლელები ავტომატური შუქნიშნებით
- საგზაო სამუშაოები, ხვრელები მიწაზე, მშენებლები
- სახურავის თავები, საკვამურები და შენობები
- მაღაზიები - სუპერმარკეტები, ადგილობრივი მაღაზიები, თევზის მაღაზია, საცხობი, ხელნაკეთობების მაღაზია, საოჯახო მეურნეობის მაღაზია
- საფეხურები, დახრილობები და ზემოთ-ქვემოთ სიარული (ზემოთ-ქვემოთ, ვერტიკალური ტრაექტორია)
- სატრანსპორტო საშუალებები - ველოსიპედები, ავტობუსები, მგზავრები და მისაბმელიანი ტრანსპორტი (ტრანსპორტირება)
- მბრუნავი საგნები (ბრუნვა)

სურათი 7.4. ადრეული ასაკის ბავშვებს იზიდავთ პაწაწინა სამყარო

- ყველაფერი, რაც პატარა და პაწაწინაა - მაგალითად, ხავსი კედლის აგურზე
- ხეები და მათი ტოტები, ფესვები
- გვირაბები, გასასვლელები შენობებს შორის და სხვა ადგილები ქვემოთ, შიგნით ან გასასვლელი (შემოსაზღვრული სივრცეები, შიგნით გავლა)
- საგზაო ნიშნები, აღნიშვნები, შუქნიშნები
- წყალი - განსაკუთრებით გუბეები, ნაკადულები, ტალახი, ფეხისა და საბურავების ნაკვალევი
- მიწისქვეშ რა არის?
- ბორბლები, ველოსიპედები, მოტოციკლეტები, ტრაქტორები

კიდევ სად შეიძლება წასვლა?

ამ თავში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია საბავშვო ბაღის მიღმა სივრცეზე, რომელიც მარტივად შეიძლება იქცეს მრავალჯერად მოსანახულებელ გარემოდ, საბავშო ბაღის მესამე ნაცნობ სივრცედ (ბაღის შიდა და გარე სივრცეები, სივრცე ბაღის საზღვრებს მიღმა). მნიშვნელოვანია ისეთი ადგილების შერჩევა, სადაც პატარა ბავშვების მცირე ჯგუფთან ერთად შეიძლება ფეხით წასვლა, საითაც მიმავალი გზა სეირნობის გახანგრძლივების საშუალებას იძლევა. თუკი თქვენი მთავარი მიზანი დანიშნულების ადგილას მისვლაა, მაშინ ექსპედიციის მთავარი ღირებულება დაკარგულია, ვინაიდან სწორედ ქუჩები თუ ბილიკები წარმოადგენენ განსაკუთრებულ ღირებულებას თითოეული ბავშვისთვის. ამის გათვალისწინებით. თქვენი ბაღის სიახლოვეს შეიძლება იყოს არაჩვეულებრივი ადგილები. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ვარიანტი, თუმცა ყველაფერი დამოკიდებულია თქვენი საბავშვო ბაღის ადგილმდებარეობაზე:

- მიწის ნაკვეთები, საზოგადოებრივი ბაღები
- სანაპირო, ნაკადული, ბუნებრივი ზონები
- მაყვლის კრეფა
- ქალაქის სკვერები და ბაღები
- ფერმები, ქალაქის ფერმები და ფერმის ცხოველები, აკვარიუმი
- საინტერესო შენობები, ქალაქის/სოფლის ცენტრები ან განსაკუთრებული ადგილები
- სოფლის მეურნეობის ცენტრი

- ავტობუსით, ტრამვაით, მეტროთი გადაადგილება
- ბიბლიოთეკა
- მემორიალები და ჰიდროგრაფიული ელემენტები ქალაქის სკვერებში
- პარკი, სათამაშო მოედნები, ღია სათამაშო მოედნები, ხეებით დაბურული ან ბუნებრივი საზღვრების მქონე ბილიკები
- პიკნიკები და გარეთ ჭამა - სოფლის მეურნეობის ცენტრების კაფეები არაჩვეულებრივია ბავშვებისთვის
- სალოცავი ადგილები, სასაფლაოები (ხშირად მდიდარი ბუნებრივი ადგილია)
- შოპინგი - სუპერმარკეტები, ადგილობრივი მაღაზიები, მწვანილის, თევზის მაღაზიები
- სპეციალური მაღაზიები ან სერვისცენტრები, მაგალითად ტურისტული სააგენტო, ფოსტა, ბანკი, ფლორისტი, საპარიკმახერო ან ოპტიკოსი
- მატარებლები და რკინიგზის/ავტოსადგურები
- წყლის არხები, მდინარეები, წყალგამყოფები, ნავები

მეზობელი გარემოდან მაქსიმალური სარგებლის მიღება

- გარე სივრცის ეს შრე გულისხმობს გარემოს უშუალოდ საბავშვო ბაღის, მისი ჭიშკრის მიღმა, თუმცა ასეთი სივრცეები იმდენად ახლოს უნდა იყოს, რომ ბავშვები ადვილად მივიდნენ იქამდე, შეჩერდნენ პერიოდულად, რათა დააკვირდნენ მათთვის საინტერესო საგნებს და მოვლენებს, ან გადაამოწმონ ის, რამაც მათი ყურადღება ადრე მიიქცია, გამოიკვლიონ და ერთმანეთს გაუზიარონ მოსაზრებები. ასევე მნიშვნელოვანია შეჩერება და მიმდინარე მოვლენებზე დაკვირვება. სწორედ ეს ლოკალური ფოკუსირება დააახლოვებს ბავშვებს უბანთან, საზოგადოებასთან და არა სწრაფი გადაადგილება მოშორებულ ადგილებში.
- თუკი ბავშვებს მართლაც მოეწონებათ ეს მრავალფეროვანი სივრცეები, მნიშვნელოვანია, რომ მათ ამ ადგილების ხშირი მონახულების, ერთი და იგივე მარშრუტით სიარულისა და ერთი და იგივე ადგილზე მიბრუნების შესაძლებლობა ჰქონდეთ. მას შემდეგ, რაც ასეთი მოგზაურობები გახშირდება, გარემო ნაცნობი და უფრო პროგნოზირებადი გახდება,

ბავშვები მოეშვებიან და უკეთესად ჩაწვდებიან მიმდინარე მოვლენებს.

- ახლო ადგილებში ხშირი ვიზიტები ბავშვებს საშუალებას მისცემს შეამჩნიონ სხვადასხვა პატერნები, ასევე ცვლილებები, რაც გააღრმავებს მათ ცოდნას დეტალებთან დაკავშირებით და გააუმჯობესებს მიმდინარე მოვლენების აღქმას. ისინი მეტს შეამჩნევენ, შეიგრძნობენ და მეტ სამუშაო მასალას წამოიღებენ ბაღში, რასაც რეალური და პირდაპირი გამოცდილებით დაამუშავებენ როლური და მცირე სამყაროს თამაშების გზით, ხატვით, მოდელირებით, ამბების თხრობით და ა.შ. ყოველივე ეს ისეთი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რომლებიც ბავშვებს საკუთარი თავის ამ თემისა და უბნის ნაწილად აღქმაში დაეხმარება.
- ექსკურსიისთვის კარგად მომზადების გარდა - რაც საჭიროა იმისთვის, რომ ყველამ კომფორტულად, თავდაჯერებულად და უსაფრთხოდ იგრძნოს თავი, მოერიდეთ სასეირნო პროცესის განსაკუთრებულ დაგეგმარებას ან რაიმე განსაკუთრებული მიზნების დასახვას. თქვენი მიზანია უბრალოდ იყოთ იმ ადგილებში და ბავშვებს მისცეთ საშუალება გაამახვილონ ყურადღება იმაზე, რაც მათთვის საინტერესოა; ამიტომ უმჯობესია ეს პროცესი თქვენი ჩარევის გარეშე განვითარდეს.
- „ნელა გადაადგილება" ამ ტიპის პრაქტიკის ძლიერი მხარეა, რომელიც მაქსიმალურ სარგებელს გვაძლევს ადგილობრივი ექსპედიციებიდან, რაზეც ამ თავში რამდენჯერმე გამახვილდა ყურადღება. აღმზრდელების უმთავრესი როლი უფრო ხშირად ბავშვების თანხლებაში მდგომარეობს და არა გაძღოლაში ან გაყოლაში - როგორც გადატანითი, ასევე პირდაპირი მნიშვნელობით (სიტყვა „pedagogue" ძველი ბერძნულიდან მომდინარეობს და მოსწავლის გვერდით და ცოტათი ჩამორჩენით სიარულს ნიშნავს); გარდა ამისა, აღმზრდელები გულწრფელად ცნობისმოყვარეები უნდა იყვნენ, გააკეთონ აღმოჩენები და ისწავლონ ბავშვებთან ერთად, რასაც როზმერი რობერტსი (Rosemary Roberts) „თანაზიარ სწავლას" ("companionable learning") უწოდებდა (Wellbeing from Birth, 2010).
- ამ ასპექტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ფეხით სიარული და სეირნობა (თუკი ბავშვს მოძრაობის შეზღუდვა

ან სხვა ფიზიკური სირთულეები არ აქვს). თანამედროვე მედიცინის შეშფოთებამ დიდ ბრიტანეთში ფიზიკური აქტივობების მკვეთრ ნაკლებობასთან და მჯდომარე აქტივობების სიჭარბესთან დაკავშირებით, ადრეული ასაკის ბავშვებშიც კი, შედეგად გამოიღო ოფიციალურ გაიდლაინში დღეში მინიმუმ სამსაათიანი ფიზიკური დატვირთვისა (მთელი დღის განმავლობაში და ბავშვის მიერ მართული) და ბავშვების მჯდომარე დროის შემცირების პირობის გათვალისწინება (Start Active: Stay Active, Department of Health 2011). თუკი ჩვენი შვილებისთვის ჯანსაღი ცხოვრება გვინდა, ისინი მაქსიმალურად უნდა გამოვიყვანოთ დახურული სივრცეებიდან და ამოვიყვანოთ ეტლებიდან, რითაც ხელს შევუწყობთ მათ სიჯანსაღეს, ამტანიანობას და ფიზიკურ სიძლიერეს.

- ფეხით სიარული საგნებზე ახლოდან დაკვირვებას და ინტერაქციას უწყობს ხელს, ასევე ასტიმულირებს ბავშვებს მთელი სხეულით მოახდინონ ფიზიკური რეაგირება. ფიზიკურ მოძრაობას ხმაური და ბავშვების საუბრები ახლავს, რაც ხმის ტემბრისა და მეტყველების უნარების განვითარებას უწყობს ხელს. შესაბამისად, ასეთი ტიპის სეირნობის დროს, ბავშვები საკმაოდ ბევრს ლაპარაკობენ და გამოხატავენ მათთვის საინტერესო საკითხების განხილვის სურვილს. ამ შემთხვევაში უმჯობესია უფროსებმა უპასუხონ ბავშვების კითხვებს, ვიდრე თავად დასვან შეკითხვები ან შეეცადონ ბავშვების ყურადღების გადართვას.
- ერთად სეირნობა ბევრი საუბრის წარმოშობის საფუძველია, რომელიც ბუნებრივად მიმდინარეობს ერთად მოძრაობიდან და აღმოჩენების გაზიარებიდან. ერიდეთ ბავშვების კომენტარების შევსებას, მიეცით ფიქრის დრო, დააკავშირეთ საუბარი მათი ოჯახების ცხოვრებასთან და ეზიარეთ მათ მიერ ენთუზიაზმით მონათხრობ ამბებს. სავარაუდოდ ბევრს გაიგებთ მათ ნათესავებსა და შინაურ ცხოველებზე, მათ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებზე და გრძნობებზე. თქვენ აუცილებლად გახდებით ბავშვების წარმოსახვითი, შემოქმედებითი, ლინგვისტური, ლოგიკური, ფიზიკური, ემოციური და სოციალური კომპეტენციების მოწმენი, რომლებიც აქამდე არ გექნებოდათ გაცნობიერებული!

- წარმოსახვითი სცენარები, რომლებიც გზაში წარმოიშვება, შეიძლება სხვა ბავშვებმაც აირჩიონ და/ან გააგრძელონ მომდევნო სეირნობისას. ყურადღებით მოუსმინეთ, რას მოგითხრობენ ეს ამბები ბავშვების ფიქრების, შფოთვების, შიშების, განვითარების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანია და შინაარსით დატვირთულია მათთვის („37 ჩრდილი" („37 Sadows") ამის კარგი მაგალითია, იხილეთ დამატებით რესურსებში ამ თავის ბოლოს).
- გარე სივრცის ეს შრე სამ განზომილებიანია. ყურადღება გაამახვილეთ ქვემოთ - მიწა (და მის ქვემოთ ჩახედვის შესაძლებლობებზე), მაღლა - ფოთლების თაღი, სახურავები და ჩიტები და კიდევ უფრო მაღლა - ცა. თან წაიღეთ კამერა და შესთავაზეთ ბავშვებს მათთვის საინტერესო საგნებს გადაუღონ სურათები. ბაღში დაბრუნების შემდეგ, ამ სურათების განხილვისას, კიდევ უფრო მეტს აღმოაჩენთ ბავშვების გატაცებებისა და ამის მიზეზების შესახებ.
- მეზობელი სივრცეები ასევე ძალიან მდიდარი სტიმულებისა და რესურსების წყაროა ბავშვების დაჟინებული ინტერესის დასაკმაყოფილებლად (სქემატური ინტერესები). ეს გარემო სავსეა ტრანსპორტირების, ტრაექტორიების, ზემოთ-ქვემოთ მიმართულებების, შემოსაზღვრულობის, საზღვრების და ამ საზღვრების გავლის, ბრუნვის, შეერთებისა და ბევრი სხვა დიდი იდეების კვლევა-ძიების შესაძლებლობებით. ცალკეული ბავშვისთვის საინტერესო საკითხების (სქემების) ცოდნა, დაგეხმარებათ იმის გაგებაში, თუ რატომ არიან ისინი დაინტერესებული გზად შემხვედრი სხვადასხვა მოვლენებით, რატომ სჭირდებათ რეაგირება ამ მოვლენებზე და რატომ არის მნიშვნელოვანი მათთვის საკმარისი დროის მიცემა ასეთი რეაგირების მოსახდენად. ზემოთ ჩამონათვალში (თავში „რას აღმოაჩენენ ბავშვები და რით შეიძლება დაინტერესდნენ?") ყურადღება გავამახვილე სქემებთან დაკავშირებულ ზოგიერთ იდეაზე, რომლებიც შეიძლება საინტერესო იყოს ბავშვებისთვის მეზობელ გარემოში.
- გარდა ამისა, სიარული ან სირბილი მაქსიმალურად მოიცავს ნებისმიერ ფიზიკურ ელემენტს გარემოში, რომელიც მოძრაობასა და მოქმედებას ახალისებს, მაგალითად, დაბალი კედლების პირზე სიარული, იქედან გადმოხტომა, ფილაქნის

ქვებზე წონასწორობის შენარჩუნება, ქვაფენილებზე - ერთის გამოტოვებით ხტომა, საფეხურებზე ასვლა და გადმოხტომა, განათების ბოძების ირგვლივ ტრიალი, ველოსიპედის ჩარჩოს ქვემოთ გაძვრომა, მოაჯირებზე აცოცება, დაბალ ბოძებზე გადახტომა. ქალაქის სკვერებსა და ბაღებში ბევრი შესანიშნავი ელემენტია, სადაც ბავშვებს ფიზიკურად ჩართვა შეუძლიათ.

- ითამაშეთ თამაშებიც, მაგალითად, მხიარული სიარული და ქვაფენილების ბზარებზე გადაბიჯება, მარშირება სიმღერით (მაგ. "The Grand Old Duke of York" ან "The Wheels on the Bus"). აახმაურეთ გარემო, მაგალითად, ჯოხების მოაჯირებზე სწრაფად ან ნელა ჩამოტარებით. გარკვეულ მონაკვეთებზე დატვირთეთ ბავშვები ლიდერის ფუნქციებით (მარშრუტის ცოდნა და გაძღოლა), ეს დაეხმარება ბავშვებს იგრძნონ საკუთარი კომპეტენტურობა, მათ მიმართ გამოხატული ნდობა და დაკისრებული პასუხისმგებლობა.
- ბავშვებს საკვების მოპოვებისა და შეგროვების ბუნებრივი უნარები აქვთ, ამიტომ განსაკუთრებული ობიექტების თუ „განძეულობის" შეგროვება მეტად საინტერესო იქნება მათთვის. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები შეიძლება ყველა გასვლაზე არ დაკავდნენ ამ აქტივობით, მაინც კარგი იქნება ექსკურსიებზე პატარა კალათების თუ სათლების წაღება ყოველი შემთხვევისთვის, ან მაშინ, როცა მიზნობრივად გჭირდებათ მასალების შეგროვება რაიმე პროექტისთვის, ამასთან უფროსებმა ყოველთვის უნდა იქონიოთ დასაკეცი ჩანთები თქვენს ზურგჩანთებში. კარგი იქნება მარშრუტის დახატვა ან ბუნების ცხრილის შექმნა, ან კიდევ უფრო უკეთესი იქნება ბავშვებთან ერთად მარშრუტის საჩვენებელი დაფის შექმნა კედელზე, მათი აღნიშვნებით, კომენტარებით, შეკითხვებით, ნახატებითა და სურათებით.

საბავშვო ბაღის საზღვრები და მათ მიღმა სამყაროს შიგნით შემოტანა

საბავშვო ბაღის საზღვრებს მიღმა მეზობელ უბანში გასვლის გარდა, კარგია იმაზე დაფიქრება თუ როგორ შეიძლება ამ „მიღმა" სამყაროს საბავშვო ბაღში „შემოტანა". მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა შეიგრძნონ კავშირი ადგილობრივ გარემოსთან,

რომლის ნაწილიც თავადვე არიან. საჭიროა, რომ მათ ამ სამყაროს დანახვა შეეძლოთ ყოველდღიურად, გარეთ კვლევისა და თამაშის დროს, ასევე საჭიროა მისი ასპექტების შემოტანა საბავშვო ბაღის გარე სივრცეში, რაც ბავშვებს სტიმულს მისცემს და სათამაშო მასალებს გაამრავალფეროვნებს. ზედმეტად ღია საზღვრებმა შეიძლება ბავშვებში (და უფროსებში) დაუცველობის, საფრთხის, ან პირიქით გალიაში გამოკეტილობის შეგრძნება გამოიწვიოს.

ამიტომ, კარგია გარე სივრცის შემოსაზღვრა მყარი საზღვრებით, რაც ემოციურ, ასევე ფიზიკურ დაცულობას უზრუნველყოფს. თუმცა, მნიშნელოვანია, რომ ეს სივრცე და ბავშვები იზოლირებული არ დარჩნენ ადგილობრივი გარემოდან და უბნიდან. ამის უზრუნველყოფის საუკეთესო გზაა ბავშვებს მივცეთ საზღვრებს მიღმა გახედვის საშუალება ზოგიერთი მონაკვეთების ღიად დატოვების გზით, ისე, რომ ბავშვებმა შეამჩნიონ გამვლელები და ცხოველები, რეაგირება მოახდინონ მათზე. ასე მაგალითად, შეიძლება რამდენიმე „სათვალთვალო" ადგილის მოწყობა, საიდანაც ბავშვები გარეთ გახედვას ან ქვევით ჩახედვას შეძლებენ, ასევე შეიძლება შესაბამის სიმაღლეზე საჭვრეტების დატოვება ან თუნდაც ერთი - ორი პერისკოპის დადგმა. "Hind Leys" საბავშვო ბაღის გარე სივრცე ძალიან მაღალი

სურათი 7.5. შეანელეთ ტემპი, რათა ბავშვები სიღრმისეულად ჩაწვდნენ მათვის საინტერესო დეტალებს

და მყარი ღობეებით არის გარშემორტყმული, მაგრამ ბავშვებს ამ ღობეებზე აცოცება შეუძლიათ გვერდი-გვერდ უსაფრთხოდ განლაგებული კიბეებით და ერთად საუბარი იმაზე, რასაც ამ შთამაგონებელი სიმაღლიდან ხედავენ. ეს იმდენად ღირებული აღმოჩნდა, რომ როდესაც მესამე ბავშვი ორი კიბის ძირში თავის რიგს ელოდა, მასწავლებელი მიხვდა, რომ მათ კიდევ ერთი კიბე სჭირდებოდათ.

თუკი თქვენს დაწესებულებაში ღია საზღვრები ან დაბალი ღობეებია, სადაც ადგილობრივი უბნის მაცხოვრებლები (და მათი შინაური ცხოველები) მოძრაობენ, დაფიქრდით როგორ შეიძლება ამ გარემოს სარგებლისა და უცხო საფრთხეებთან დაკავშირებული შიშების დაბალანსება. ბავშვები თავიანთ გარემოში უსაფრთხოების განცდით უნდა აღიზარდონ და საჭიროებისას მიიღონ დახმარება.

ადგილობრივ გარემოსთან და საზოგადოებასთან კავშირის დამყარება ასევე შესაძლებელია ბაღის ღია სივრცეში შესაბამისი არტეფაქტების შემოტანით ან მშობლების მოწვევით სხვადასხვა ნივთების შესაქმნელად, რაც შემდგომ ამ სივრცის მახასიათებელ ელემენტებად იქცევა და ხელს შეუწყობს ამ გარემოში თამაშს. მაგალითად, შვედეთში, სტოკჰოლმის ადრეული განათლების ცენტრში ნანახი მაქვს მიწაში ნახევრამდე ჩაფლული ძველი მოპედი და ცხენის ფორმის კონსტრუქციები, რომლებიც საზრიანმა მშობლებმა ხის სადგამებისგან გააკეთეს, გრძელტარიანი ცოცხები კი ფაფარის ნაცვლად გამოიყენეს. ავსტრალიაში, მელბურნის ერთ-ერთ საბავშვო ცენტრში, ქვიშის ორმოში ჩადგმული ძველი ბუხარი მიმზიდველ საკვებ სივრცედ იყო გადაქცეული. ხოლო ჩრდილოეთ უელსის სანაპიროზე ადგილობრივმა საზღვაო იუნკერებმა საბავშვო ბარს ორი პატარა ხის ნავი აჩუქეს.

გარე სივრცის სეზონური ანბანი

ადგილობრივ გარემოში და უბანში მრავალრიცხოვანი ვიზიტების დროს, ბავშვებთან და მშობლებთან აღმზრდელების კოლაბორაციის ფარგლებში წელიწადის სხვადასხვა დროს შეაგროვეთ გამოცდილებებთან, გრძნობებთან და ემოციებთან დაკავშირებული სიტყვები; ჩაინიშნეთ ისინი პირდაპირ სეირნობისას რვეულში (ბავშვებს მოეწონებათ სპეციალურად ამ მიზ-

ნისთვის შექმნილი დიდი რვეული), ასევე „სეზონური ანბანის კედელზე” თქვენს გარე სივრცეში. ეს კოლექცია უკეთესად გაჩვენებთ თუ რამდენად სასარგებლოა ამ განსაკუთრებულ გარემოში ყოფნა; გაგამახვილებინებთ ყურადღებას იმაზე, რაც ბავშვებს მართლა აინტერესებთ თქვენი გარე სივრცის ამ არაჩვეულებრივ „დამატებით” შრეში და სავარაუდოდ, წაახალისებს ბავშვებისა და უფროსების იდეებს დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების დასაგეგმად.

მაგალითის სახით წარმოგიდგენთ გრძნობების, საგნებისა და აქტივობების ანბანს გარე სივრცისთვის ზამთრის პერიოდში:

ა - აქტიური …
ბ - ბურუსი, ბუდე, ბუ, ბილიკები …
გ - გამოქვაბული, გაფორმებული, გირლანდები, განათება, გუბეები, გვირგვინი …
დ - დედამიწა, დაფქული, დარტყმა, დნობა, დაუფარავი …
ე - ეზო, ელვა, ელვარება...
ვ - ვარსკვლავები, ველი...
ზ - ზედაპირები, ზოლები, ზომა...

სურათი 7.6. ბავშვებს სჭირდებათ ღობის მიღმა ადგილებთან და საზოგადოებასთან კავშირის დამყარება

თ - თოვლი, თბილი, თეთრი …
ი - ია, ირემი, იხვი, ივლისი
კ - კვირტები, კვანძები, კავშირები …
ლ - ლოდინი, ლენტი …
მ - მიწა, მყუდრო, მუქი, მარადმწვანე, მთვარე, მზის ჩასვლა, მიწისქვეშა, მყუდრო …
ნ - ნათურები, ნესტიანი, ნისლი, ნაკვალევი, ნაგავი, ნაცრისფერი, ნახტომი, ნიმუში, ნაპერწკალი …
ო - ორმო, ონავარი...
პ - პალმა, პატარა, პეპელა...
ჟ - ჟოლო...
რ - რუკა, რუ, რემა...
ს - სათავგადასავლო, სამოქმედო, საბანი, სანთელი, სახლი, სქელი, სველი …
ტ - ტოტები, ტალახი, ტალახის ღვეზლები, ტექსტურა, ტალღები …
უ - ურიკა, უთვალავი...
ფ - ფარანი, ფორმები …
ქ - ქურთუკები, ქუდები, ქარიშხალი …
ღ - ღამე, ღრიალი…
ყ - ყავისფერი, ყინვა, ყინული …
შ - შავი, შუქურა, შეერთებები, შერევა, შარფები …
ჩ - ჩიტები, ჩუმად, ჩონჩხები, ჩირაღდანი …
ც - ცივი, ცეცხლის შუქი, ცა, ცისარტყელა …
ძ - ძილი …
წ - წვიმა …
ჭ - ჭექა-ქუხილი …
ხ - ხეები, ხელთათმანები, ხვრელები, ხავერდოვანი …
ჯ - ჯოხები, ჯაჭვი...
ჰ - ჰაერი…

საბავშვო წიგნები ბაღის მიღმა გამოცდილებების ხელშესაწყობად - მხატვრული ლიტერატურა

შენიშვნა: ვარსკვლავით (*) აღნიშნული წიგნები უფრო დიდ - სამიდან-შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებს შეეფერება

ჟაკი ვუდი (Jakki Wood) "A Hole in the Road" (Frances Lincoln Children's Books 2009)

დუგლას ვუდი და დენ ანდრეასენი (Douglas Wood & Dan Andreasen) "A Quiet Place" (Alladin Paterback 2005)

ნიკ ბათერუორსი (Nick Butterworth) "After the Storm (Tales from Percy's Park)" (HarperCollins Children's

Books 2011)

ჯინი ბეიკერი (Jeannie Baker) "Belonging" (Walker Books 2008)

ჟაკი ვუდი (Jakki Wood) "Bumper to Bumper" (Frances Lincoln Children's Books 1997)

ლორენ ჩაილდი (Lauren Child) "But Where Completely Are We?" (Puffin 2009)

ჯონ ბერნინგემი (John Burningham) "Cloudland" (Red Fox 1999)

საიმონ ჯეიმსი (Simon James) "Days Like This" (Walker Books 1999) – პატარა და საყვარელი ლექსების კრებული

ანნა უოლკერი (Anna Walker) "Florette" (Clarion Books 2018)

ჯონ არნო ლოუსონი და სიდნი სმიტი (Jon Arno Lawson & Sydney Smith) "Footpath Flowers" (Walker Books 2015)

სარა გარლანდი (Sarah Garland) "Going Shopping" (Frances Lincoln Children's Books 2008)

სარა გარლანდი (Sarah Garland) "Having a Picnic" (Francis Lincoln Children's Books 2009)

ფილის გერშატორი და ელისონ ჯეი (Phillis Gershator & Alison Jay) "Listen, Listen" (Barefoot Books 2007)

ერიკ კარლი (Eric Carle) "Little Cloud" (Puffin Books 2001)

პოლეტ ბოგანი (Paulette Bogan) "Mummy's Magical Handbag" (Bloomsbury Publishing 2005)

სტელა ბლექსტოუნი და ქრისტოფერ კორი (Stella Blackstone & Christopher Corr) "My Granny Went to Market: A Round-the-World Counting Rhyme" (Barefoot Books 2012)

*სარა ფანელი (Sara Fanelli) "My Map Book" (Walker Books 2007)

კარი-ლინ უინტერსი და ქრისტინა ლეისტი (Kari-Lynn Winters & Christina Leist) "On My Walk" (Tradewind Books 2010)

მალახი დოილი და გილის გრინფილდი (Malachy Doyle & Giles Greenfield) "Owen and the Mountain" (Bloomsbury Publishing 2001)

ანა უოლკორი (Anna Walker) "Peggy: A Brave Chicken on a Big Adventure" (Howard Mifflin 2017)

დევიდ კოველი (David Covell) "Run Wild" (Viking 2018)

ნენსი შოუ და მარგო ეფლი (Nancy Shaw & Margot Apple) "Sheep in a Shop" (Houghton Mifflin 2009)

ნენსი შოუ და მარგო ეფლი (Nancy Shaw & Margot Apple) “Sheep Out to Eat” (Houghton Mifflin 1995)
ნენსი შოუ და მარგო ეფლი (Nancy Shaw & Margot Apple) “Sheep Take a Hike” (Houghton Mifflin 1994)
*ჯერმანო ზულლო და ალბერტინი (Germano Zullo & Albertine) “Sky High” (Chronicle Books 2011)
*ჯონათან ლონგი და კორკი პოლი (Jonathan Long & Korky Paul) “The Dog Who Could Dig” (OUP Oxford 2008)
პოლი ფარკეჰარსონი (Polly Farquharson) “The Green Line: A Walk in the Park” (Frances Lincoln Children’s Books 2011)
ჟანეტ ალბერგი და ალან ალბერგი (Janet Ahlberg & Allan Ahlberg) “The Jolly Postman or Other People’s Letters” (Heinmann 1986)
პოლ შოვერსი და ალიკი (Paul Showers & Aliki) “The Listening Walk” (HarperCollins 1993)
ანდრე ამსტუცი და ალან ალბერგი (Andre Amstutz & Allan Ahlberg) “The Shopping Expedition” (Walker Books 2006)
საიმონ ჯეიმსი (Simon James) “The Wild Woods” (Walker Books 2008)
მ. ჰ. კლარკი და მედელინ კლოპერი (M H Clark & Madeline Kloepper) “Tiny, Perfect Things” (Compendium Publishing & Communications 2018)
ემმა გარსია (Emma Garcia) “Tip Tip Dig Dig” (Boxer Books 2008)
*ენტონი ბრაუნი (Anthony Browne) “Voices in the Park” (Picture Corgi Books 1999)
ჯულია დენოსი და ე.ბ. გუდეილი (Julia Denos & E B Goodale) “Windows” (Candlewick Press 2017)
მარკ სპერინგი და ბრიტა ტეკენტრაპი (Mark Sperring & Britta Teckentrup) “Your Hand in My Hand” (Orchard Books 2014)

საბავშვო წიგნები საბავშვო ბაღის მიღმა გამოცდილების ხელშესაწყობად - დოკუმენტური

გევინ პრეტორ-პინი (Gavin Pretor- Pinney) “A Pig with Six Legs and Other Clouds: From the Cloud Appreciation Society” (Sceptre 2007)
სალი ჰიუიტი (Sally Hewitt)” A Walk by the River” (Franklin Watts 2012)
ჯო უოტერსი (Jo Waters) “A Walk in the City (Little Nippers: Nature Detectives)” (Harcourt Education 2007)
ჯო უოტერსი (Jo Waters) “A Walk in the Park (Little Nippers: Nature Detectives)” (Heinemann Library 2006)
ქეტი კუპრი და ანტონინ ლუჩარდი (Katy Couprie & Antonin Louchard) “A Whole World” (Milet Publishing 2002)
თომას ლოკერი (Thomas Locker) Cloud Dance (Houghton Mifflin Harcourt 2000)
გევინ პრეტორ-პინი (Gavin Pretor-Pinney) “Clouds That Look Like Things: From the Cloud Appreciation Society” (Sceptre 2012)
ტანა ჰობანი (Tana Hoban) “Count and See” (Prentice Hall 1972)
ტანა ჰობანი (Tana Hoban) “Dig, Drill, Dump, Fill” (Mulberry Books 1992)

ალექსანდრა ბონფანტე-უორენი (Alexandra Bonfante-Warren) “Doors” (Freidman/Fairfax Publishing 1998)
ტანა ჰობანი (Tana Hoban) “Exactly the Opposite” (William Morrow 1998)
*რუზ ნასონი (Ruth Nason) “Houses and Homes (Where You Live)” (Franklin Watts 2010)
*ბენედიქტ ბლეზუეიტი (Benedict Blathwayt) “In the Town: A Picture Word Book” (OUP Oxford 2007)
ტანა ჰობანი (Tana Hoban) “Is It Larger? Is It Smaller?” (William Morrow 1997)
ტანა ჰობანი (Tana Hoban) “Is It Red? Is It Yellow? Is It Blue? An Adventure in Colour” (Eos 2008)
ტანა ჰობანი (Tana Hoban) “Look Book” (William Morrow 1999)
კლერ უარდენი და ნიკი ბუჰენი (Claire Warden & Niki Buchan) “Look, Look, Look Again: Winter, Spring, Summer, Autumn” (Mindstretchers 2007)
ტანა ჰობანი (Tana Hoban) “Look Up, Look Down” (Greenwillow Books 1992)
სარა ფანელი (Sara Fanelli) “My Map Book” (Walker Books 1995)
შირლი ჰიუისი (Shirley Hughes) “Out and About: A First Book of Poems” (Walker Books 2016)
ტანა ჰობანი (Tana Hoban) “Over Under & Through” (Aladdin 2008)
ტანა ჰობანი (Tana Hoban) “Shadows and Reflections” (Greenwillow Books 1990)
*დენიელ ნანი (Daniel Nunn) “Shadows and Reflections (Light All Around Us)” (Harcourt Education 2013)
ტანა ჰობანი (Tana Hoban) “Shapes, Shapes, Shapes” (Greenwillow Books 1986)
ჰელენ ფროსტი და რიკ ლიდერი (Helen Frost & Rick Lieder) “Step Gently Out” (Candlewick Press 2018)
შარლოტა ზოლოტოვი და ტანა ჰობანი (Charlotte Zolotow & Tana Hoban) “The Moon Was Best” (Greenwillow Books 1993)
ალეკ ფინლეი (Alec Finlay) “Wind Blown Clouds” (Rizzoli International Publications 2004)
კეიტი დიკერი (Katie Dicker) “Wood (Sparklers: Out and About)” (Laburnum Press 2013)

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები - უბნის გამოყენების სპეციალური გზამკვლევი

Children, Spaces, Democracy (the BRIC project) – საჯარო სივრცეების, მწვანე სივრცეებისა და ქუჩების გამოყენების სამწლიანი კვლევა კემბრიჯშირ, ჩრდილოეთ იტალიასა და სტოკჰოლმში, რამდენიმე ქეის სთადის გამოყენებით www.bricproject.org
დევიდ ბალლი, ტიმ გილი და ბერნარდ შპიგალი (David Ball, Tim Gill & Bernard Spiegal) “Managing Risk in Play Provision: Implementation Guide” (2nd edition Play England 2012) – ჩამოსატვირთად ხელმისაწვდომია: www.playengland.org.uk/media/172644/managing-risk-in-play-provision.pdf
ანნა სალამანი და სიუზი ტუტჩელი (Anna Salaman & Suzy Tutchell) “Planning Educational Visits for the Early Years” (Sage Publications 2005) –

ფოკუსირებულია სპეციფიკურ ადგილებზე, მაგალითად. გალერეები, მუზეუმები, ფერმები და ა.შ., თუმცა ძალიან სასარგებლოა აშენებულ გარემოსთან დაკავშირებული ნაწილი.

ჯენი ლინდონი (Jennie Lindon) "Planning for the Early Years: The Local Community" (Practical Pre-School Press 2012) – მართლაც შესანიშნავი საკითხავი რესურსი გარე უზრუნველყოფის ამ ასპექტთან დაკავშირებით

კეტრინ სოლი (Kathryn Solly) "Risk, Challenge and Adventure in the Early Years: A Practical Guide to Exploring and Extending Learning Outdoors" (Routledge 2015) – წიგნში არის სასარგებლო თავი ადრეული ასაკის მკვლევართა „ექსპედიციებთან" დაკავშირებით

დაუნ როპერი (Dawn Roper) "Walks and Visits" (Key Issues Series) (Featherstone Education 2009)

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები - წიგნები

ქეით ბასი და ჯეინ ველა (Kate Bass & Jane Vella) "50 Fantastic Ideas for Exploring Nature" (Featherstone 2015)

პარკსტოუნის პრესა (Parkstone Press) "Bridges" (Parkstone Press International 2010) – მდინარეების ფერადი ფოტოების ზღაპრული კოლექცია მთელი მსოფლიოდან

ნიკ როუელი (Nick Rowell Door) "J'Adore: A Celebration of the World's Most Beautiful Doors" (Ryland Peters & Small 2018) – გასაოცარი და თან უცნაური კარები

ბობ უილკოქსი (Bob Wilcox) "Doors" (Pepin Press 2015) – კარების ფერადი ფოტოების არაჩვეულებრივი და მდიდარი კოლექცია მთელი მსოფ-ლიოდან, ტექსტის გარეშე

დომინიკ ლენკლოსი და ჟან-ფილიპ ლენკლოსი (Dominique Lenclos & Jean-Phillip Lenclos) "Doors of the World" (W W Norton 2005) – გეოგრაფიასა და კულტურასთან დაკავშირებული კარების ფოტოები

რიჩარდ კობელი (Richard Cobelli) "Doorways: The Book of Doors" (Psychology News Press 2017) – კარების ფოტოები

სლინკაჩუ (Slinkachu) "Global Model Village: The International Street Art of Slinkachu" (Boxtree 2012) სრულიად შეცვლის თქვენს წარმოდგენას მასშტა-ბებზე (შენიშნვნა: ყველა სურათი არ არის ბავშვებისთვის შესაფერისი)

კრის ჰოლანდი (Chris Holland) "I Love My World: Mentoring Play in Nature, for Our Sustainable Future" (2nd edition Wholeland Press 2012)

მარკ პუიეტი (Marc Pouyet) "Land Art in Town: Simple Inspiration Through the Seasons" (Frances Lincoln 2013)

სლიკაჩუ (Slinkachu) "Little People in the City: The Street Art of Slinkachu" (Boxtree 2008) – სრულიად შეცვლის თქვენს წარმოდგენას მასშტაბებზე (შენიშნვნა: ყველა სურათი არ არის ბავშვებისთვის შესაფერისი)

ლინდა ტორნტონი და პეტ ბრანტონი (Linda Thornton & Pat Brunton) "Making the Most of Outdoor Learning" (Featherstone Education 2011)

ჯეისონ ჰოუკისი (Jason Hawkes) "Oxfordshire from the Air" (Halsgrove 2010) – და სხვა ამდაგვარი წიგნები ქვეყნის სხვადასხვა კუთხის შესახებ

ვალ კორბეტი (Val Corbett) “Rainy Days in the Lake District” (Frances Lincoln 2012) – წვიმიან ამინდში ადამიანებისა და საგნების უამრავი სურათი
Reggio Tutta: A Guide to the City by the Children (Reggio Children 2001) – ხელმისაწვდომია www.sightlines-initiative.com/online-store.html
დევიდ ზინი (David Zinn) “Slugo and Phil: Kreidekunst” (Mitteldeutscher Verlag 2017) – საოცარი ქუჩის ხელოვნება ცარცით, რომელსაც 2D ნახატები 3D-ში გადაჰყავს
ჯაკოპო პავესი და რობერტს პიეტრობელლი (Jacopo Pavesi & Roberts Pietrobelli) “Street Covers” (Westzone Publishing 2000) – ლონდონის, პარიზის, ბერლინის, ამსტერდამისა და რომის საკანალიზაციო ჭების სახურავების შესანიშნავი ფოტოსურათების კოლაჟი!
პოლი ო’ნილი (Polly O’Neil) “Surfaces and Textures: A Visual Sourcebook” (A&C Black 2008) –კედლების, ხეების, გრუნტის, ჟანგის და ა.შ. დიდი ფერადი ფოტოების შესანიშნავი წიგნი
ჯონ ა. დაი (John A. Day) “The Book of Clouds” (Sterling Publishing 2006) – ყველა სახის ღრუბლების სურათების უამრავი ლამაზი ფერადი სურათები
ჯურის კრონბერგი და ანეტ მილისი (Juris Kronbergs & Anete Melece) “The Book of Clouds” (Emma Press 2018) – ილუსტრირებული ლექსები ღრუბლებზე მათი უცნაური ანიმაციებით
მერი ს. რივკინი (Mary S. Rivkin) “The Great Outdoors: Restoring Children’s Right to Play Outside” (2nd edition National Association for the Education of Young Children 2014)
ლორენ ფრანკიში და ჯენ სტრინჯერი (Lorraine Frankish & Jan Stringer) “The Little Book of All Through the Year” (Featherstone Education 2007)
სტივ უინი (Steve Wheen) “The Little Book of Little Gardens” (Document Press 2012) – მხატვარი, რომელიც ტროტუარზე ნაპრალებსა და ხვრელებს პატარა ცოცხალ ბაღებად აქცევს: პარტიზანული მებაღეობა პატარა მასშტაბით
მარიან ტეილორი და მელანი როანი (Marian Taylor & Melanie Roan) “The Little Book of Maps and Plans” (Featherstone Education 2012)
სალი ფეზერსტოუნი (Sally Featherstone) “The Little Book of Outside in All Weathers” (Featherstone Education 2003)
პეტ ბრანტონი და ლინდა ტორნტონი (Pat Brunton & Linda Thornton) “The Little Book of the Seasons” (Featherstone Education 2005)
რეიჩელ კარსონი (Rachel Carson) The Sense of Wonder, ნიკ კეშის (Nick Kelsh) ფოტოებით (Harper Perennial 2017)
ვალერია მანფერტო დე ფაბიანისი (რედაქტორი) (Valeria Manferto de Fabianis) (editor) “The Sky” (White Star Publishers 2006) – ცის ყველა ასპექტის ასობით ფერადი სურათი მინიმალური ტექსტით
ჯო შოფილდი და ფიონა დანკსი (Jo Schofield & Fiona Danks) “The Wild City Book: Loads of Things to Do Outdoors in Towns and Cities” (Frances Lincoln 2014)
ფიონა დანკსი და ჯო შოფილდი (Fiona Danks & Jo Schofield) “The Wild Weather Book: Loads of Things to Do Outdoors in Rain, Wind and Snow” (Frances Lincoln 2013)

ჯენი ლინდონი (Jennie Lindon) “Too Safe for Their Own Good? Helping Children Learn About Risk and Lifeskills” (2nd edition National Children’s Bureau 2011) – ძირითადი ტექსტი რისკისა და გამოწვევის შესახებ დასაფიქრებლად

შერვუდ ფორლი (Sherwood Forlee) “Walls Notebook” (Quirk Books 2009) – წიგნაკი, სადაც ყველა გვერდი სხვადასხვა კედლის ფოტოებია

მელვინ ჯოუნსი და იან ჰეი (Melvyn Jones & Ian Hay) “West Yorkshire from Above” (Myriad Books 2006)

კლერ მორპუგო, მაიკლ მორპუგო და ოლივია ლომნენეჰი (Clare Morpugo, Michael Morpugo & Olivia Lomnenech) “Gill Where My Wellies Take Me” (Templar Publishing 2014)

ჟან-ფილიპე და დომინიკ ლენკლოსი (Jean-Philippe & Dominique Lenclos) “Windows of the World” (W W Norton & Co. 2005) – სხვადასხვა ქვეყანაში ფანჯრების უბრალოდ ლამაზი და დამაინტრიგებელი ფერადი ფოტოები ტექსტის გარეშე

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები - სასარგებლო რესურსები

დებ უილენსკი (Deb Wilenski) “37 Shadows: Listening to Children’s Stories from the Woods” (Cambridge Curiosity and Imagination 2012) – სამი და ოთხი წლის ბავშვების ისტორიების შესანიშნავი ანალიზი, რომლებიც რამდენიმე კვირის განმავლობაში ადგილობრივ ტყეებს სტუმრობდნენ, www.cambridgecandi.org.uk

ჯულიეტ რობერტსონი (Juliet Robertson) “50 Maths Outdoors: Things to Do Before You Are 6 ¾” (Creative STAR Learning 2017) – წარმოსახვითი იდეები რგოლებით შეკრულ ჯიბის ზომის წყალგაუმტარ ბარათებზე, ასევე ხელმისაწვდომია წყალგაუმტარი სამაგრის სახით www.cosydirect.com

დებ უილენსკი (Deb Wilenski) “A Story of Smallness and Light: Discovering Detail in the Woods” (Cambridge Curiosity and Imagination 2014) – www.cambridgecandi.org.uk

ბევრი კალენდარი არსებობს სხვადასხვა თემებზე, რომლებიც ბავშვების ინტერესებს აღვივებენ, მაგალითად ბრიტანეთი ჰაერიდან, ასევე ტრაქტორები და კლასიკური მოტოციკლეტები - ამოჭერით იქედან სურათები და დაალამინირეთ გარეთ გამოსაყენებლად. ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდებზე: www.thegiftedstationeryco.com (located under square wall calendars) and www.amazon.co.uk

კატალოგები სათბურების, ჭიშკრების, კარების, ფანჯრებისა და ა.შ. სურათებით

ჯენი დოილი და კეტრინ მილჰემი (Jenny Doyle & Katherine Milchem) “Developing a Forest School in Early Years Provision” (Practical Pre-School Books 2012)

Doing the Right Thing: Working with Children in a Natural Environment, Early Childhood Educators Revaluate Their Theory and Practice – DVD “Sightlines Initiative”-დან, www.sightlines-initiative.com (ონლაინ მაღაზია)

Google Earth and Google Maps – უზარმაზარი სურათებით

ჟურნალები სოფლების, მოგზაურობის, სატრანსპორტო საშუალებებისა და ა.შ. შესახებ – შეარჩიეთ ისეთები, სადაც ბევრი ფერადი სურათია. რუკები, სხვადასხვა ზომის და ტიპის, განსაკუთრებით საინტერესოა საგზაო რუკები
დებ უილენსკი (Deb Wilenski) "Outside/Inside: A Gallery of Provocations and Speculations" (Cambridge Curiosity and Imagination 2014) – www.cambridgecandi.org.uk
სხვადასხვა ჟურნალი სახლებით, შენობებით და წვრილმანებით, ფანჯრებზე, კარებზე, საკეტებზე და ა.შ. ფოკუსირებით - შეარჩიეთ ისეთები, სადაც ბევრი ფერადი სურათია
დებ უილენსკი და კაროლინ უენდლინგი (Deb Wilenski & Caroline Wendling) "Ways into Hinchingbrooke Country Park: A Fantastical Guide" (Cambridge Curiosity and Imagination 2013) – არაჩვეულებრივი რესურსია იმის გასაგებად, თუ როგორ უნდა დააკავშიროთ ბაღის საზღვრებს მიღმა გამოცდილებები საკლასო ოთახის გამოცდილებებთან ოთხიდან ხუთ წლამდე ასაკის ბავშვბების ჯგუფებთან, ხელმისაწვდომია უფასოდ www.cambridgecandi.org.uk/projects/footprints/waysinto#waysinto
"Wingate Woodland" სკოლის DVD ჩანაწერი – ფილმში ასახულია ამ საბავშვო ცენტრის მიერ გარე უზრუნველყოფაში დამატებული კიდევ ერთი ელემენტი, available from www.wingate-nur.durham.sch.uk/training-and-research-base/resources-2/dvd-packages

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები – ორგანიზაციები და ვებგვერდები

სანაპირო და ტყის სკოლების ტრენინგები (Beach School and Forest School) – მეტი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით ტყის სკოლის ასოციაციას (The Forest School Association), www.forestschoolassociation.org
კამერები – ტექნიკის მაღაზიაში ხელმისაწვდომია ხარისხიანი და ბავშვებისთვის შესაფერისი კამერები, ასევე ხმის ჩამწერები www.tts-group.co.uk/early-years/ict/cameras
საკლასო ოთახის გარეთ სწავლის საბჭო (Council for Learning Outside the Classroom (CLOtC)) –გვთავაზობენ ადრეული განათლების სასწავლო რესურსებს, www.lotc.org.uk (განლაგებულია რესურსების/LOtC resource packs წარწერიანი თაროების ქვემოთ)
"Health and Safety Executive" – 2012 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული განცხადება ჯანმრთელობისა და უსაფრთოხების შესახებ
"Children's Play and Leisure" – დაბალანსებული მიდგომის ხელშეწყობა, რომელშიც წარმოჩენილია ახალი ოფიციალური და სამართლებრივი პოზიცია ბავშვებისთვის სათამაშო და სასწავლო გამოცდილების უზრუნველყოფის პროცესში რისკებისა და სარგებელის სწორად დაბალანსებისთვის www.hse.gov.uk/entertainment/ childrens-play-july-2012.pdf
"Living Streets" საქველმოქმედო კამპანია ადგილობრივი ქუჩების გაუმჯობესებისა და გამოყენების ხელშესაწყობად, ასევე სკოლაში ფეხით სიარულის კამპანია, www.livingstreets.org.uk/what-we-do/projects

პარკების სიყვარულის კვირეული “Love Parks Week” ტარდება ყოველწლიურად ივლისში ან აგვისტოში, www.loveparksweek.org.uk

“Muddy Faces’ Outdoor Hub” გვთავაზობს კიდევ უფრო მრავალფეროვანი და სასარგებლო ვებ-გვერდების კოლექციას, იხ. www.muddyfaces.co.uk/linkpage

ღია კარის შაბათი ფერმაში (Open Farm Sunday) (2019 წლის 9 ივნისი) – ორგანიზებულია LEAF-ის (გარემოსა და სოფლის მეურნეობის კავშირი) მიერ, https://farmsunday.org

სათამაშო რუკა (Play Map) – „თამაშით ბუნების კვლევა” (‘Exploring Nature Play’) პროექტის ფარგლებში, “Play England”-მა ინტერაქტიული სათამაშო რუკა შეიმუშავა, რომელიც ოჯახებსა და დაწესებულებებს ეხმარება ბავშვებისთვის კარგი სათამაშო ადგილის შერჩევაში და ხელს უწყობს ბუნებასთან ინტერაქციას მთელი ინგლისის მასშტაბით. ვიზიტორებს ადგილების დამატება, მათი შეფასება, ასევე კომენტარებისა და სურათების დამატება შეუძლიათ, www.playengland.org.uk/resources-list/play-in-your-area

სოციალური ფერმები და ბაღები (Social Farms and Gardens) – ხელს უწყობს ათასობით საზოგადოებრივ პროექტს მთელი ბრიტანეთის მასშტაბით, www.farmgarden.org.uk

The Woodland Trust – ბუნების დეტექტივთა კლუბი (Nature Detectives club) გვთავაზობს უფასო ჩამოტვირთვად აქტივობებს ნოლიდან ორ წლამდე, სამიდან ხუთ წლამდე, ექვსი და მეტი წლის ბავშვებისთვის www.woodlandtrust.org.uk/naturedetectives, and free tree and seed packs for schools (short hedge and small copse packs) ასევე ხეებისა და სხვა მცენარეების თესლებს სკოლებისთვის უსასყიდლოდ (დაბალი ცოცხალი ღობე და პატარა ბუჩქნარი, იხ. www.woodlandtrust.org.uk/plant-trees/free-trees

Visiting Woods – Woodland Trust-ი ასევე გვთავაზობს საზოგადოებისთვის ღია, ათასობით ტყის მონაცემთა ბაზას, რომლებიც საფოსტო კოდით ან ადგილის სახელწოდებით იძებნება, www.woodlandtrust.org.uk/visiting-woods/map

დასკვნა

- თქვენი ადრეული განათლების ცენტრის მიმდებარე ქუჩები და ადგილები მდიდარია შესანიშნავი გამოცდილებებით, რომლებიც უბრალოდ ვერ იქნება უზრუნველყოფილი ბაღის დახურულ თუ ღია სივრცეებში.
- სივრცეები, ადგილები, მარშრუტები, ადამიანები, ობიექტები, აქტივობები და მოვლენები ამ გარემოში უზომოდ ბევრ შესაძლებლობას სთავაზობენ ბავშვებს, მდიდარი და შინაარსიანი გამოცდილების, განვითარებისა და სწავლის პოტენციალით.
- ბაღის საზღვრებს მიღმა არსებული გარემო შეიძლება გარე სივრცის დამატებით შრედ და დაწესებულების მესამე სივრცედ (დახურული, ღია და მიღმა სივრცეები) მივიჩნიოთ.

- თითოეულმა ბავშვმა ხშირად უნდა მოინახულოს ეს ადგილები, პატარა ჯგუფის შემადგენლობაში და ხანგრძლივი დროით. ეს ხელს შეუწყობს კომფორტის შეგრძნებას და ამ ადგილის კარგად შეცნობას. ეს მათ დაეხმარება უფრო ღრმად ჩაწვდნენ იმას, რასაც ეს გარემო სთავაზობს, ამ ადგილთან და საზოგადოებასთან დაკავშირების გზით და დიდ სამყაროსთან ერთობის შეგრძნებას გაუღვივებს.
- ძალიან მნიშვნელოვანია ყველა მშობლის თავიდანვე მთლიანად ჩართვა იმაში, რასაც თქვენ მათ შვილებს სთავაზობთ. საჭიროა პერიოდულად შეატყობინოთ მშობლებს თუ რას აკეთებენ მათი შვილები და როგორ უწყობს ხელს ეს კონკრეტული გამოცდილება მათ კეთილდღეობას, სწავლას და განვითარებას.
- შესაძლებლობის ფარგლებში ბავშვები ფეხით ატარეთ, რათა მათ მთლიანად და ხალისიანად მოახერხონ ინტერაქცია არსებულ შესაძლებლობებთან. უმჯობესია ახლოს იაროთ, რათა ბავშვების დაჩქარება არ მოგიხდეთ. თანდათან განუვითარეთ გამძლეობა და ამტანობა.
- ექსკურსიები ნელი ტემპით უნდა მიმდინარეობდეს, აუჩქარებლად და ბავშვების სურვილების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ თანმხლებ აღმზრდელებს გაჩერების, ბავშვების ინტერესებზე ყურადღების გამახვილებისა და მათი ფიზიკური თამაშის ძლიერი სურვილის გათვალისწინების საშუალება ჰქონდეთ. მიზანი თავად მოგზაურობაა და მისი თანმხლები მდიდარი გამოცდილებები. „ნელი გადაადგილება“ პედაგოგიური სტრატეგიის გასაღებია. უსაფრთხოებისა და კომფორტისთვის კარგი მომზადების გარდა, მხოლოდ მინიმალური სტრუქტურირება და დაგეგმარებაა რეკომენდებული, რათა თავისუფალი მოძრაობის ბევრი საშუალება დარჩეს.
- უფროსების როლია თანხლება, ბავშვებთან ერთად „თანაზიარი“ სწავლა და იმ დეტალების, სირთულეებისა თუ სიღრმეების აღქმა, რომლებიც ჩვეულებრივ ყოველდღიურ ობიექტებს და მოვლენებს ახასიათებთ, განსაკუთრებით კი ბუნების წიაღში.
- დარწმუნდით, რომ ძირითადი აქცენტი საუბრებზე კეთდება და უბრალოდ „ჭორაობის“ უამრავი საშუალება გაქვთ ბავშვებთან. ეს საოცარი შესაძლებლობაა გაიცნოთ თქვენი ბავშვები და დიდი ალბათობით, ბევრ ისეთ რამეს გაიგებთ მათი ცხოვრების, ოჯახების, ინტერესებისა და უნარების შესახებ, რაც აქამდე უცნობი იყო თქვენთვის.

- ექსკურსიების დროს ინტერესებზე, ინტერაქციებზე, გამოცდილებებსა და მოვლენებზე ყურადღების გამახვილება, ფოტოების გადაღება და ჩანიშვნები, შიდა და გარე სივრცეების დაგეგმარებაში გამოგადგებათ, რათა ბავშვებმა თავიანთი პირადი, მდიდარი გამოცდილება თამაშებსა და შემოქმედებით აქტივობაში გამოიყენონ.
- კარგი მომზადება წარმატების გასაღებია. ყველა უფროსი კომფორტულად, თავდაჯერებულად და თავისუფლად უნდა იყოს. მათ ასევე ნებისმიერი სიტუაციის მართვის უნარი უნდა შესწევდეთ. ეს კი ყველაზე ეფექტურად სარგებლისა და რისკის სიღრმისეული და პოზიტიური მართვის პროცესების გზით მიიღწევა.
- მნიშვნელოვანია გარე სივრცის ამ შრის კარგად გამოყენება მთელი წლის განმავლობაში. ეს გაზრდის ბავშვების სწავლის პოტენციალს ამ გარემოს სისტემატიურად მონახულებით, განმეორებებით, ცვლილებების აღმოჩენით და მათ შორის კავშირის დადგენით, ასევე მიმდინარე პროცესის მოდელის გაგებით.

სურათი 7.7. საბავშვო ბაღის საზღვრის გარეთ ბავშვებს გამოცდილების დამატებითი შრეები ელოდებათ

საძიებლები

აბსტრაქტული აზროვნება 216
აგენტობა 267
ადგილობრივი გარემო/ადგილები 327
ადგილობრივი უბანი 325, 327
ადრეული განათლების კურიკულუმი 21, 291
ავთენტური გამოცდილებები 48;
ავთენტური შესაძლებლობები 48;
ავტომატური თვითსარწყავი სისტემები 135
აზროვნება 21, 34, 55, 92, 118, 178; უნარები 92–93; შექმნა 41; წარმოსახვითი 153; წარმოსახვითი და შემოქმედებითი 153; კოგნიტური განვითარების მნიშვნელობა 70; სწავლა და 212; ლოგიკური და შემოქმედებითი 285, 286; მათემატიკური 144, 113; არასტანდარტული 215; კენჭები და ქვები კენჭები; პოზიტიური 131; პროცესები და პოტენციალები 132; სამეცნიერო 11, 92; საერთო 92; უნარები 92–93; სიმბოლური 92, 94
აზროვნება იხ. აბსტრაქტული აზროვნება
აზროვნების ფორმა 65
ამბავი/ზღაპრები 49, 55, 56, 67, 250; ასევე იხ. ამბების თხრობა
ამბების თხრობა 247-250; კრეატიული/წარმოსახვითი თამაში 215, 216, 236, 239, 240, 242, 243, 263; ცოცხალი სამყარო 168; ბუნებრივი მასალები 192; ასევე იხ. წიგნები; ამბავი/ზღაპრები
ამინდი 147-153
ანაბეჭდი/ნაკვალევი: გარემოს-დაცვითი 73, 45; კედლები 193
ასაცოცი ადგილები 67, 102, 182, 186, 187
ასფალტი 224
აუდიოწიგნები 247, 249,
აუჩქარებლობა/შენელება 183, 140, 109
აქტიური თამაში/აქტივობა 11, 12, 24, 27, 50, 71-75, 113-115, 150, 193, 213; მოძრაობის ხელშეწყობა და ფიზიკური 282, 192, 213; მშენებლობა 26, 53, 68, 88, 92, 190; ცოცხალ სამყაროსთან დაკავშირებული აზრები 149–154; წერა, როგორც დახურულ სივრცეში შესასრულებელი სამუშაო 218; ასევე იხილეთ ფიზიკური აქტივობა
აღბეჭდილი სწავლა 175
აღნიშვნების გაკეთება 221-223; მშენებლობაში და ფუღუროებში თამაშში 9, 13, 190; მასალები 192; ბუნებრივი მასალები და 192; რესურსების ორგანიზება ღია სივრცეში 225-226; თამაში გარეთ 33; გარე სივრცის პოტენციალი 132; ვერტიკალურის გამოყენება ზედაპირები 183; წყლის თამაშები 50; ამინდი და 147–153; ასევე იხ. შემოქმედებითი და წარმოსახვითი თამაში
აღტაცება 21, 118, 119, 134, 150,
აღჭურვილობა და რესურსები: ხელოვნება და აღნიშვნების გაკეთება 221-223; ბაღის საზღვრებს მიღმა 182, 335,

---

შენიშვნა: დახრილი შრიფტით აღნიშნულია გვერდებზე წარმოდგენილი სურათები.

337; წიგნები და ამბების
თხრობა 247-250; მშენებლობა
და თამაში ფუღუროებში 9,
13, 190; შემოქმედებითი და
წარმოსახვითი თამაში 215,
216, 236, 239, 240, 242, 243, 263;
ცეკვა 60, 83, 184; მებაღეობა და
მემცენარეობა 135, 141-142; მუსიკა
60, 83,; ბუნებრივი მასალები 192;
თეატრალური დადგმები 251;
ფიზიკური თამაში და მოძრაობა
316-317, 322; სკულპტურა და ხეზე
მუშაობა 64, 184; წყლის თამაშები
50; ცოცხალი ბუნება 317, 320;
ასევე იხ. რესურსები
ახალი უნარები 136, 159, 173
ბაბუაწვერები და გვირილები 98,
126, 139
ბავშვების მიერ მართული თამაში
149
ბავშვთა უფლებები 1
ბავშვის მიერ მართული თამაში 17,
18, 49
ბავშვობის მოგონებები 117
ბაზის ფრენა (მუსიკა) 204
ბალანსი 212, 186; ფილაქანის
ქვებზე 222; ველოსიპედები 277;
თიხის, ქვიშის და ნეშომპალა 96;
კონცეპტები 74; ხახუნი და 286;
ნევროლოგიური სენსორული
სისტემები 173; გრძნობა 160;
ვესტიბულარული ორგანოები 176
ბალანსის შეგრძნება 212, 186
ბალახი 96, 139, 180, 181
ბაღის დეკორირება, ფხვიერი
მასალა 275
ბაღის მიღმა 305, 306, 309, 320,
325, 326, აღმზრდებლებსა და
ბავშვებს შორის რაოდენობრივი
შეფარდების შეფასება 313,
სარგებლისა და რისკის
შეფასებისა და მართვის
დაგეგმარება 311–312; და
ბავშვების შიშები და შფოთვები
283, 324; ბავშვების ინტერესები
324, 338; ტანსაცმელი და
ფეხსაცმელი 103; აღჭურვილობა
და რესურსები 315;
ექსკურსიებიდან მაქსიმალური
სარგებლის მიღება 321-
235; ჯანმრთელობისა და
უსაფრთხოების საკითხები
271, 336; დაკავშირება 325-326;
მშობელთა ჩართულობა 311;
ფიზიკური თამაში და მოძრაობა
316-317, 322; შესაძლებლობები
316-320; მომზადება 315-
320; შესაძლებლობების
მრავალფეროვნება 308; ლექსები
და სიმღერები 291; წესებისა
და საზღვრების დადგენა 315;
და სქემატური ცნობიერება
324; სეზონური ანბანი 327;
შესაფერისი ადგილები 320;
გამოცდილებების ღირებულება
303-305; წყლის თამაშები 50;
ცოცხალი ბუნება 317, 320
ბილიკები 141, 183, 181, 184, 185, 194
ბიჭები 38, 58, 60, 64, 174, 184, 193
ბორბლებიანი სათამაშოები 219
ბორბლებიანი ტრანსპორტი 183,
151,94
ბოსტნეული და ხილი 137
ბოძები 182, 187
ბრეზენტი 191
ბრტყელი ზედაპირები 183
ბრუნვა 53, 62, 94,
ბუმბულები 100, 192-193
ბუნება: მიდრეკილება 213, 253;
კავშირი 140, 175, ყოველდღე 193;
გარე სივრცეები 194; ასევე იხ.
ბუნებრივი მასალები
ბუნებასთან კავშირი, მიჯაჭვულობა
25, 86, 130, 134
ბუნებრივი მასალები 91, 100,
106, 111; კალათა 58, 187, 190,
19; თამაში გარეთ 33; გარემოს
დაცვასთან დაკავშირებული
ცნობიერება 23, 73; აღჭურვილობა
და რესურსები 141, 212;

საკვლევად 55–56; მაქსიმალური სარგებლის მიღება 321 - 235; ხრეში 195; ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხები 271, 336; აღნიშვნების გაკეთება 221-223; სხვა მასალები 195; ლექსები და სიმღერები 155; ქვიშა 52, 69; ნიადაგი 95, 151, 182; ამბების თხრობის შესაძლებლობები 247-250; და მარაგები 55–59; სათამაშო ზედაპირები 183; გარე სივრცის ღირებულება 267-272; ლექსიკონი და 198
ბუნებრივი სამყარო 18, 167, 153
ბუჩქები 139, 140
გავლა / საზღვრების გავლა 324
გამოგონება/გამომგონებელი 73, 154, 141, 155, 212
გამომხატველობითი განვითარება 287-288
გამომხატველობითი თამაში 217
გამოცდილებები: ავთენტური 48; ფეხშიშველი 171; ბაღის საზღვრებს მიღმა, ღირებულება 185; უშუალო 11, 13, 91; ცოცხალი ბუნება მნიშვნელობა 317, 320; მულტისენსორული 17, 35, 66, 92, 100, 128, 131, 182; რეალური (იხ რეალური გამოცდილებები); სენსორული 176; შემოქმედებითი ქსოვა გარე სივრცეში 265
გამოწვევა 226, 195, 226, 271, 274, 275
გამოწყობა: ჩანთები, 191; ტანსაცმელი 116, 128, 143; ქუდები 251; სამკაულები, 251
განცდილი მნიშვნელობები 257
გარე სივრცე იხ. გარე სივრცის ღირებულება
გარე სივრცის განსაკუთრებული ბუნება 194; სპონტანურობა 29
გარე სივრცის დინამიური ბუნება 35
გარე სივრცის ინგრედიენტები 30
გარე სივრცის ღირებულება: მშენებლობა და ფუღუროებში თამაში 9, 13, 190; შემოქმედებითი და წარმოსახვითი თამაში 215, 216, 236, 239, 240, 242, 243, 263; ბუნებრივი მასალები 192; ფიზიკური თამაში და მოძრაობა 316-317, 322; ქვიშა 52, 69, 87; წყლის თამაში 50
გარეთ: გამოცდილების მთავარი ღირებულება 267-272; საგანმანათლებლო გარემო 19-20; ხალისიანი სწავლის ადგილი 23-26
გარემო, იხ. სპეციფიური გარემო, ცნობიერება გარემოს დაცვის შესახებ: მეგაღეობა და 142; ცოცხალი ბუნება 317, 320; ბუნებრივი მასალები192; წყლის თამაშები 50
გაუმჯობესება 133, 186,
გენდერი 267, 288-289
გენდერული პერსპექტივები: მშენებლობა და თამაში ფუღუროებში 9, 13, 190; შემოქმედებითი და წარმოსახვითი თამაში 215, 216, 236, 239, 240, 242, 243, 263; ფიზიკური თამაში და მოძრაობა 316-317, 322
გოგონები 184, 254, 290;
გრავიტაცია, კონცეპტები 176
გრძელვადიანი დაგეგმვა 136; ასევე იხ. დამატებითი მასალების დაგეგმარება 119, 175, 196
გუბეები 67, 320, 328
დაგეგმარება 61, 66, 70, 81, 91, 109, 118, 136, 157, 184, 204, 213; ასევე იხ. გრძელვადიანი დაგეგამრება
დაერთებადი სარწყავი კონტეინერის სისტემა 147
დათბილული, წყალგაუმტარი თოვლის ბოტები 51
დაკავშირება/დამაკავშირებელი 140, 175; ბაღის მიღმა 305, 306, 309, 320, 325, 326; ემოციური 172, 190; საგნების შეკეთება 201; ბუნება 160, 167; ქსელი 175; სქემა

93, 148; სტიმულით 36; Y-ტიპის დაერთებები 64
დაკავშირებული 284, 287, 307, 324, 327
დაკავშირებული სივრცეები (საკლასო ოთახი) 265
დაკვირვება 15, 26, 29
სამეცნიერო უნარები 92
დაკვირვება 15, 26, 29; ასევე იხ. ჩანაწერები
დამოუკიდებელი წვდომა, უწყვეტი უზრუნველყოფა 28
დასაბუთება 40, 98
დასარგავი მასალა 74, 166, 48
დასაწყობება, შენახვა 29, 50, 55; ასევე იხ. მობილური კონტეინერები; ფარდული
დასაჯდომი ადგილები 60, 81, 85, 159, 175
დასვენება 181, 168;
დასვენება 181, 168; ასევე იხ. დასვენება
დასურათებული საბავშვო წიგნები 8, 75, 199
დასურათებული წიგნები 8, 75, 199
დაუგეგმავი დრო, საჭიროება იმისა, რომ ბავშვებს ჰქონდეთ 212
დაწესებულების შესაფასებელი 290-291
დახარისხება, კალათები 58, 187, 190, 19
დახრილობა/რელიეფი 64, 184; ასევე იხ. ზედაპირები
დე-კონსტრუქცია 268
დიდი იდეები 267, 321
დიდი, მძიმე, მოუხერხებელი რესურსები 196;
დიზაინი 11, 21, 33, 47, 82, 217, 285–286
დინამიური რისკის შეფასება/ მართვა 202–203
დინოზავრები 116, 199, 246, 281
დისპრაქსია 180
დოკუმენტი 312, 313
დრეკადი მილი 61, 191
დრენაჟი 146, 144, 136; კონტეინერები, 50, 190; 319, ხვრელები, 102, 107, 190; მილი, 233, 306; ნარგავებისთვის, 74, 138; წვიმის წყლისა და წყლის, 143, 147; ქვიშის 102
დრო 198, 168; ხანგრძლივი პერიოდი 310; აუჩქარებლად 37, 338, 306; უწყვეტად 202; არასტრუქტურირებულად 159; ასევე იხ. დაუგეგმავი დრო, საჭიროება იმისა, რომ ბავშვებს ჰქონდეთ
დროებითი ხელოვნება 69
ემოციური განვითარება 149, 167, 170, 283
ემოციური თავდაჯერებულობა 167
ემოციური უსაფრთხოება 283, 269
ემოციური ჯანმრთელობა 91
ემპათია 216
ენის განვითარება 59, 283
ესთეთიკური განვითარება 287-288
ეტლები 190, 195
ეფექტურობა 113
ექსკურსიები/ექსპედიციები 321-235
ექსპერიმენტები 212, 89
ვარდის ფურცლების სუნამო 117, 139
ველოსიპედები 66, 193;
ვერტიკალური ზედაპირები 183, 140, 109
ვესტიბულარული გამოცდილებები 188
ვესტიბულარული სენსორული სისტემა 110, 176 ცეკვის კამერაზე ჩაწერა 146
ვესტიბულარული სისტემები წონასწაროობის შესანარჩუნებლად 176
ვიზიტები გასაცნობად 233
ვიზიტები: ფამილიაროობა/ცოდნა 202, 203, 219; ხშირი 208–209, 219; ადგილობრივ უბანსა და თემში/ საზოგადოებაში 325, 327; ხშირი

322; ფეხით სიარული 323
ზამთარი 139, 314, 243, 233, 227
ზამთრის ანბანი 327
ზედაპირები 183, 140, 109; ასევე იხ. სასრიალო; დახრილობები/ რელიეფი
ზრდაზე ორიენტირებული მენტალობა 200
თავდაჯერებულობა 167
თავდაჯერებულობა 167, 173; ასევე იხ. თვითნდობა
თავდაჯერებულობა 3, 133, 137, 172, 173, 176, 202; ასევე იხ. ასევე იხილეთ თვითეფექტურობა
თავისუფალი არჩევა 57, 63, 66, 117, 145, 175–176
თავისუფლება 38, 51, 53, 128, 201
თავშესაფარი 139, 140
თამაშები 50; ცარცით ხატვა 194; იატაკი 96; ლიკრის ზეწრები 192; ფიზიკური თამაშის რესურსების კოლექცია 194
თამაში გარეთ: სარგებელი 19; მოძრაობის გამოცდილებები 175-178; ბუნებრივი მასალები და 192
თამაში: მასალები 195; სილაღე 224; ღირებულება 185; ასევე იხ. სპეციფიკური თამაში/აქტივობა იხ. აქტიური თამაში/აქტივობა
თანაზიარი სწავლა 49, 338
თანხლება 338, 322
თაღები 317
თემი/საზოგადოება 74, 93, 281, 322
თეორიები 67, 93; ფორმირება 67; განვითარება 33–34; მუშაობა 54
თეორიების ფორმირება იხ. თეორიების ფორმირება
თეორიების ჩამოყალიბება 93
თეორიის განვითარება 62
თერაპიული თამაში 85
თერაპიული მასალა 89
თვითორგანიზება 34, 174
თვითრეგულირება 23, 64, 285
თვითშეფასება 38, 249
თიხა, ბალანსი 212, 186
თიხნარი ნიადაგი 95, 151, 182, 63, 88
თოვლი ფეხებით 54
თოკები 61, 64, 102, 105, 116, 170; ასევე იხ. ჭოჭონაქები
თხრა 107, 119, 149, 190, 123
ინტერნეტი 64, 118
კალათები 58, 187, 190, 19, 222, 279, 319, 325
კალენდრები 118, 146
კამერები 66, 67, 116, 146; იხ. ასევე ფოტოები/ფოტოებიანი მუყაოს ყუთები 75, 113, 118, 153, 154
კარმენი (Music) 204
კედლები 83, 117, 135, 186, 193; აგური 116, 72; ხავსურების ფერები 140; ღობეები 64, 117,135; მიმაგრებული 187; ხელის ანაბეჭდები 226; ცოცხალი ღობეები და 140; დაბალი 116, 210; ტყორცნა 198
კეთილდღეობა 25, 203, 212; დასვენების მნიშვნელობა 181, 168; ცოცხალი სამყარო და 168; და ფიზიკური მოძრაობა 316-317, 322
კენჭები 195
კვლევა 133, 151, 172, 174, 197, 200, 212
კვლევა 133, 151, 172, 174, 197, 200, 212 უხვი მარაგები 28; შემოქმედებითი 153; ბავშვების საკუთარი ინიციატივის ხელშეწყობა 123, 136, 150; პოტენციალის გაზრდა 132; ხანგრძლივი დაგეგმარება ბავშვებისთვის 136; მოძრაობები 150; ბუნებრივი მასალები 192
კოგნიტური უნარები 92–93
კოლაბორაცია/თანამშრომლობა 21, 198, 282
კომპანიები, აგრეგატები 97
კონსტრუქცია 170–187; აქტივობა 194, 212; ასპექტი 94, 192, 213; უწყვეტი პრაქტიკა 274; ციკლი

181; დეკორაცია 289; იდეები 20; მასალები 195; გარეთ 198; ფოტოების გადაღება 118; თამაში 3, 16, 22, 70; უზრუნველყოფა 17, 25; მთელი რიგი 286; რესურსები 64, 74, 84; მოედანი 116, 102
კონტეინერები/კონტეინერებით თამაში 53, 52, 59, 61, 70
კონცეპტები/კონეფციები 74, 94
კოორდინაცია 176, 178, 180, 187, 284
კუთხე-კუნჭული 242
კურიკულუმი 35, 75, 88, 13; სამშენებლო თამაში 282–286; წარმოსახვისა და შემოქმედებითობისთვის 218; გარე სივრცე 194
ლაბორატორია/სტუდია 39; ღვეზელი 75
ლანგრები ასევე მშენებლის ლანგრები,
ლანდშაფტი 96, 104, 111, 141, 144
ლანდშაფტი 96, 104, 111, 141, 144; ნეილონის ბადე 104; ბრჭყვიალა 243, 239; დახვეული ბამბის ქსოვილი 232
ლექსები და სიმღერები: ბაღის საზღვრებს მიღმა 182, 335, 337; მშენებლობა და ფუღუროებში თამაში 9, 13, 190; ფოთლები 99; ცოცხალი სამყარო 168; ბუნებრივი მასალები 192; ფიზიკური თამაში და მოძრაობა 316-317, 322; წყლის თამაში 50
ლექსიკონი: ბავშვებისთვის 136; მშენებლობა/თამაში ფუღუროში 9, 13, 190; ფართო 35; ზრდა 200; მოძრაობა 316-317, 322; ბუნებრივი მასალები და 192; ახალი 20; გამოყენება 184; ვერბალური 124; წყლის თამაში და 50; ასევე იხ. ფრაზები; სიტყვები
მათემატიკური აზროვნება 21, 92, 285
მათემატიკური ლანდშაფტი 96, 104, 111, 141, 144
მანიპულაციური სიძლიერისა და მოქნილობის 24, 31, 38, 172
მანძილი, კონცეპტები 305
მართვა 37, 200, 201; სარგებლისა და რისკის შეფასება 90,201, 339, 313, რისკის საწინააღმდეგო პროცედურები 90, 201, 339, 313; ასევე იხ. რისკის შეფასება/მართვა
მარტოდ/დამოუკიდებლად თამაში 95, 151, 182
მარცვლები 57–58, 84, 93
მასშტაბი 26, 89, 59, 55, 223; უზარმაზარი/პაწაწინა 88, 116, 118, 140; დაგვა 115; აწონვა 38
მაღაზიების წარწერები 318
მდგრადობა 64, 184
მებაღეობა 142, 149, 161, 163, 193; იხ. ასევე შეგროვება/კოლექცია
მებაღეობა და მემცენარეობა 135, 141-142; უფროსების როლი 253; მშენებლობა/ფუღუროებში თამაშის შესაძლებლობები 9, 13, 190; კონტეინერის შერჩევა და განლაგება 135; აღჭურვილობა და რესურსები 141, 212; კავშირი სახლთან 81; შეთავაზებული შესაძლებლობები 82; მცენარეთა შერჩევა 137-141; დავალებები და ადაწყვეტილების მიღება 89; წყლის თამაშები და 50
მებაღეობის უნარების განვითარება 137
მებაღის რეზინის ხელთათმანები 116
მესამე გარემო 337
მესამე სივრცე 337
მეცნიერები 70, 73, 88, 93, 119
მზარდი კავშირები 81
მზრუნველები 4, 21, 29, 171, 212
მიდრეკილებები 213, 253, 267
მიზეზობრივ-შედეგობრივი 25, 32, 33, 89, 170, 183
მილები და ღარები 64, 191, 55,
მინდვრის ყვავილები 98
მინერალები 148

მიწა 306, 324, 327, 328

მიწა 306, 324, 327, 328

მიწის ზედაპირები 132
მმართველობა 23
მობილური კონტეინერები 319, 90, 190
მობილური შესანახი სათავსოები 28; ასევე იხ. საწყობი
მოგონებები 117
მოკლევადიანი დაგეგმარება 49; ასევე იხ. დაგეგმარება
მომწოდებლები 85, 211
მორები 92, 94, 97, 103, 112, 145, 187
მოტივაცია 21, 74, 129, 154, 169, 273
მოტორული დაგეგმარება/ კონტროლი 190 მოძრაობა 316-317; სამშენებლო თამაში 273–278; წახალისება 178; ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითები 271, 336; მნიშვნელობა of 107–109; ენა 199, 124; თამაში; რესურსები 315, 196; ლექსები და სიმღერები 155; ასევე იხ. ფიზიკური თამაში და მოძრაობა
მოქნილობა 24, 31, 38, 172
მოხერხებულობა 53, 284
მრავალფეროვანი/მრავალფეროვ-ნება 308
მრავალფუნქციური მასალა 217
მსხვილი მოტორიკა 190
მულტისენსორული გამოცდილებები 17, 35, 66, 92, 100, 128, 131, 182
მუსიკა 92, 184, 192, 195, 204
მუსიკა და ცეკვა, შემოქმედებითი და წარმოსახვითი 60, 83, 184
მუსიკალური ინსტრუმენტები 233
მუსიკალური ქცევა 234
მშენებლობა და ფუღუროებში თამაში 9, 13, 190; ფუღუროებში თამაშის სურვილი 171; კომუნიკაცია/რიგნიერება 21, 59, 245, 248, 283; სამშენებლო რესურსები 273-279; შემოქმე-დებითი/ესთეთიური/ფართოდ განვითრება 287-288; ადრეული განათლების კურიკულუმის მხარდაჭერა 282–286; ემოციური/ სოციალური განვითარება 282; დაწესებულების შეფასება 290-291; მებაღეობა/მემცენარეობა 142; გენდერული განსხვავებები 288-290; გენდერული პერსპექტივები 286–286; ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხები 271, 174; წარმოსახვითი 215, 239; დაერთება და შეკეთება 275; ცოცხალი ბუნება 133; მოძრაობა/ ფიზიკური განვითარება 284; მრავალფუნქციური მასალა 217; სათამაშო და მხარდამჭერი შესაძლებლობები 280-282; წარმოსახვითი თუ შემოქმედებითი თამაშის პოტენციალი 219, 223; ლექსები და სიმღერები 291; სქემატური ცნობიერება 274; რესურსების შენახვა და ორგანიზება 267-279; სამყაროს მუშაობის პრინციპის გაგება 285-287; გარე სივრცის ღირებულება 267-272; წლის თამაშების შესაძლებლობები 178; ხეზე მუშაობა 290, 303,
მშვიდი/მშვიდობა 34, 132, 154, 194
მშობელთა ჩართულობა, ბაღის საზღვრებს მიღმა მომზადება 182, 335
მშობლები/მზრუნველები 47, 110, 171, 212
მშრალი ზედაპირები 107
მცენარეთა მოვლა 146
მცენარეთა მორწყვა 137-141
მცირე სამყაროს თამაშები 322, 246, 248
მცირე სამყაროს ლანდშაფტები 219, 239, 240
მცირე სამყაროს რესურსები 239, 246
მცირე სამყაროს შემოქმედებითი განვითარება 246

მწერები 99, 104, 116, 138, 140; ასევე იხ. ცოცხალი ბუნება
მწვანე სავარჯიშო დარბაზი 91
მწვანილი 151
მხატვრობა 182; საღებავით 186; პოსტერი 251; წყლით 186
ნარგავები 74, 166; წყლის თამაშები და 50;; ასევე იხ. მებაღეობა და მემცენარეობა; ჯოხები, პლასტმასი: ყუთები 75, 113; მეტალის კონტეინერები 235; მილები 64, 191,; სუპის კონტეინერები 73; ბრეზენტი 191
ნატიფი-მანიპულაციური განვითარება 190
ნდობა 146, 325
ნეკერჩხლის მარცვლები 99-100
ნერვული ქსელის ურთიერთდაკავშირება 175
ნეშომპალა, ბალანსი 212, 186
ნიადაგი 95, 151, 182; ასევე იხ. ტალახი; ზედა ნიადაგი
ნიადაგის ზედა ფენა 95, 151, 182
ნიჟარები 89,94, 100, 101, 106, 113, 121, 124, 128
ნიშნები 92, 94, 119
ნოტიო ზედაპირები 183, 140, 109
ორგანიზება 247-250
ოცნება 37, 132, 132
ოჯახები 16, 99, 110
პასუხისმგებლობა 31, 32, 30, 35, 44, 57,62; რისკების შესაბამისი მართვა 30; გრძნობის განვითარება 26; ნარგავების მოსავლელად 74, 166; ბავშვები 19, 24, 28; სწავლა და 212
პატერნების/ფორმების გაკეთება 318, 322.
პაწაწინა 88, 116, 118, 140, 319
პერიფერიული მხედველობა 174
პერსპექტივა 288-290
პიროვნული განვითარება 19
პოზიცია, კონცეპტები 74
პოლიტიკა 46, 117
პოსტერის საღებავი 251
პრაქტიკა 15, 16,
პრობლემის მოგვარება 273
პროგნოზირებადი ინტერესები 81, 155, 157
პროცედურები: ბავშვების უსაფრთხოება და კეთილდღეობა 70; ჰიგიენა 71, 101, 108; რისკების მართვა 30, 37, 200, 201, 210; საგზაო უსაფრთხოება 319
პურის ყუთები, იხ. რძის და პურის ყუთები/შეფუთვები
რბილი ზედაპირები 185
რეალური გამოცდილებები 11, 14, 20, 29, 36, 151;
რეალური მიზნები 190
რესურსები: ხელოვნება და აღნიშვნების გაკეთება 221-223; დიდი 171, 196, 196; ზრუნვა 59, 88; კონსტრუქცია 172, 174–178; ცეკვა 60, 83, 184; ექსკურსიები 321 – 235; ზრდა 81, 87–88, 90, 94; მძიმე 122, 182, 195, 196, 196; წარმოსახვითი თამაში 215, 216, 236, 239, 240, 242, 243, 263; კვლევა 133; მულტისენსორული 17, 35, 66, 92, 100, 128, 131, 182 მუსიკა 60, 83,; ბუნებრივი მასალები (იხ. ბუნებრივი მასალები); თეატრალუერი დადგმები 251; ფიზიკური თამაში 316-317, 322; ზღაპრები და წიგნები 49, 55, 56, 67; წყლის თამაში 50; ქსოვა, სკულპტურების შექმნა და ხეზე მუშაობა 290, 303; ასევე იხ. სპეციფიკური მასალები
რესურსების მოვლა 142
რესურსების ორგანიზება 225-226
რეცხვა: ჯამების, საბავშვო აბაზანა და სარეცხის კალათები 58, 187, 190, 19; ჯაგრისები 28; თოჯინები, საბავშვო ტანსაცმელი, ფანჯრები, ველოსიპედები 47; ტანსაცმლის ჩამორეცხვა და გადაკიდება

26; ხელები 193, 192, 187, 188, 186, 170, 117; ზოლები 194, 94; მანქანის სადრენაჟო მილი 61, 146; ტალახის ქოთნები 115; გარე მოწყობილობები 30; სარეცხი საშუალების ყუთები 176; წყლის სათამაშო რესურსები 65
რისკებთან დაკავშირებული კომპეტენცია 37
რისკებთან დაკავშირებული ცნობიერება 37
რიყის ქვები 96
რიცხვები/ნომრები 92, 94, 96, 318,
რკოები 61, 99, 152,162-163, 168, 200
როლური თამაში 59, 95, 151, 192, 193; რეკვიზიტები 153, 194, 243; სცენარები 241, 275, 280, 324, თემატიკა 30, 69, 142
რძისა და პურის ყუთები 64, 115, 195
რწევა 198
საბურავები 59, 104, 112, 140
საგზაო უსაფრთხოება 319
საერთო თამაში 136
საერთო საუბრები 182
საერთო სივრცის ორი მხარე 139, 174
საზღვრები 26, 32, 132, 63, 86
სათლები 114, 117, 147, 151, 191, 192, 195
საკვები 139, 148, 152, 153
საკვების მოპოვება 139, 148, 152, 153
საკვლევი თამაში 129, 212
საკლასო ოთახი, იხ. დაკავშირებული დაკავშირებული სივრცეები
სამბორბლიანი ველოსიპედები 118
სამგანზომილებიანი გარემო 105
სამგანზომილებიანი სივრცე 105
სამეცნიერო აზროვნება 67
სამზარეულოს ჭურჭელი 58, 59, 70, 73, 69, 115
სამუშაო ზედაპირები 183, 140, 109
სამუშაო თეორიები 71
სამშენებლო ლანგრები 60, 67, 116, 140
სარგებლისა და რისკის შეფასება/ მართვა 90, 201, 339, 313
სარეველებისგან დამცავი სპეციალური ქსოვილი 108,
სარეცხის კალათები 58, 187, 190, 19; ასევე იხ. კალათები
სარწყავები 59, 61, 62, 116, 136, 135, 144
სარწყავი აღჭურვილობა და მოწყობილობა 141, 212
საუბარი 103, 250, 290, 323, 327
საუბარი 103, 250, 290, 323, 327; ასევე იხ. თანამშრომლური საუბრები/ თანამშრომლობითი თამაში 265, 288
საუბარი 250, 327, 323
საფეხურები 141
საფრთხე იხ. უცნობ ხალხთან ურთიერთობის საფრთხე
საღებავით ხატვა 186,
საჭმლის მზადება 69, 71
სახატავი ფუნჯები 192
სახელმძღვანელო 47, 164
სახვითი ხელოვნება 57
სახლისა და დაწესებულების დაკავშირება 132
სეზონური ანბანი 327
სეირნობა 306, 324, 323
სენსორული გამოცდილება 109
სენსორული განვითრება 82
სენსორული გარემო 131
სენსორული გზებით ინტეგრაცია 284
სენსორული ინტეგრაცია 182; ასევე იხ. მულტისენსორული გამოცდილებები
სენსორული კვლევები/სესწავლა 17
სენსორული კონტეინერები 72
სენსორული მასალები 100,
სენსორული რესურსები 182
სენსორული სისტემები 176, 190
სივრცეები 21, 23, 24, 31, 33, 34, 35, 36, 42, 46, 49, 52, 99
სივრცითი აზროვნება იხ. აზროვნება/დასაბუთება

სივრცითი ცნობიერება 35, 36, 42, 46, 49
სივრცის მნიშვნელობა 287
სიმბოლოები 92, 94,
სიმბოლური აზროვნება 92, 94,
სიმფონია 63
სიმღერა 76, 153, 155; ასევე იხ. სიმღერის უნარების 53–54, 111, 121, 122, 136, 159, 173, 196
სიმღერები 155, 291; ასევე იხ. სიმღერა
სირბილე 220
სიტყვები 68, 92, 94; ასევე იხ. ფრაზები; ლექსიკონი
სიჯანსაღე 20
სკულპტურა 229-233
სლაიმი 228
სოციალური განვითარება 20, 282
სოციალური ინტერაქცია 20, 74, 174
სოციალური ჯანმრთელობა 174,
სპონტანურად წერის დაწყება 284
სპონტანური თამაში 272, 266, 241
სტერეოსკოპული მხედველობა 174, 178;
სუნამო იხ. ვარდის ფურცლების სუნამო
სუპერ გმირების თამაში 184 ასევე იხ. ჭიდაობა
სქემა/სქემები/სქემატური/სქემა
სწავლა 212, 282; თანაზიარი 49, 338; გამოცდილებით 36; უწყვეტი 23, ხალისიანი 16-17; მოქმედებითა/კეთებით და მოძრაობით 212, 133
სწავლა გამოცდილებით 36
სწავლის მახასიათებელი 282
სხეული/მთლიანი სხეული 51, 102, 121, 134, 172, 173, 175, 177, 186, 187, 188, 190, 194, 200, 212
სხეულის კონტაქტი/შეხება 117, 132, 180
სხეულის შესახებ ცნობიერება176, 179, 121, 188, 178;
სხეულის/ტვინის მოძრაობა 172;
სხეულის/ტვინის სისტემა 173, 175;
სხვებთან ერთად თამაში 22, 89, 174
ტალახი 71, 74, 73, 320; ორმოს თხრა 107, 119; სამზარეულოები 75, 111
ტანსაცმელი 116, 128, 143; ექსკურსიებისთვის 182; უწესრიგო თამაში 119; წვიმა 51, 53, 78, 86; წყლით თამაში 195
ტექ. უზრუნველყოფა, მხარდაჭერა 28, 87, 89
ტექნოლოგია 144, 285, 274
ტვინის განვითარება 93, 170, 171, 174, 175, 188, 216,
ტრაექტორია/ტრაექტორიები 317, 319, 324,
ტრანსპორტირება/გადატანა 151; კალათა 58, 187, 190, 19; კონტეინერი წყლისთვის 50, 190; 319; კონტეინერები 50, 190; 319; მასალები 192; ზურგჩანთების გამოყენება 314; კალათების გამოყენება, ურიკები, ველოსიპედები და ეტლები 114, 191; კაუჭების, ჭოჭონაქებისა და თოკების გამოყენება 239
ტრანსფორმაცია 38, 151
“ტყის სკოლის” მოძრაობა 271
ურთიერთობები 216, 306
ურიკები 154, 182, 188, 190, 191, 195
ურიკები: აღნიშვნების გასაკეთებელი რესურსებით 221-223; მობილური 319, 90, 190; გორგოლაჭიანი ურიკა 52; უჯრებში 101; ლანგრებითა და ბოსტნეულის საწურებით 154; შესაერთებელი და შესაკეთებელი რესურსები 61; დასაწყობება/შენახვა 267-279; გარე სივრცეში გამოყენება 138, 139; ბორბლებიანი 219
ურყეობა 107
უსაფრთხოება 30, 38, 37, 43, 128, 202; უსაფრთხოების ნორმების სწავლა 34-35; ასევე იხ. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხები
უფროსები, თანამშრომლები/

აღმზრდელები 60, 200, 313, 327;
უფროსის როლი 34, 146, 149, 228, 253, 304, 322, 338
უშუალო გამოცდილებები 33, 36, 149
უცხო ადამიანებთან ურთიერთობის საფრთხე 314
უწესრიგობა/უწესრიგო 89, 102, 117, 128
უწყვეტი უზრუნველყოფა 81
უხვი გარემო 136
უხვი/სიუხვე 28, 53, 58, 93, 98, 99
ფანტაზიური თამაში 51, 72, 73,
ფარდული 112, 139, 142, 151
ფართომასშტაბიანი მუშაობა 182
ფერიები 281, 246, 244; ჯადოსნური ბაღები 172; ფერიების სახლები 281, 246, 244
ფეხები 54, 179, 181, 188, 193, 195;
ფეხით სიარული: უფროსები ბავშვებთან 194; ოთხ ფეხზე სიარული 193; კედლების გასწვრივ და იქედან გადმოხტომა170; უკანსვლა 171; ან სირბილი 193; ფეხზე დგომა 193; ვიზიტები 233
ფეხსაცმელი 103
ფეხშიშველა სიარული 117
ფიზიკური აქტივობა 284-286, 212, 211, 194, 173
ფიზიკური განვითარება 211, 212, ,
ფიზიკური თამაში და მოძრაობა 316-317, 322; უფროსების როლი 253; კალათების გამოყენება 58, 187, 190, 19; ბაღის საზღვრებს მიღმა 182, 335, 337; ძირითადი ნევროლოგიური სისტემების ჩამოყალიბება 173, მშენებლობა/ ფუღუროებში თამაში 9, 13, 190; განმავითარებელი როლი 109–113, 123; მოძრაობის განზომილებები 124; აღჭურვილობა და რესურსები 141, 212; გენდერული პერსპექტივები 286–286; ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხები 271, 336; მნიშვნელობა 107–109; ენა 199; კეთებით და მოძრაობით სწავლა 212; ფსიქიკური ჯანმრთელობა 171-172; ფიზიკური ჯანმრთელობა და 211, 212, 284-286; ლექსები და სიმღერები 155; სოციალური ჯანმრთელობა 174; შესაფერისი დაწესებულება219-220; გარე სივრცის ღირებულება 267-272; ადრეული ასაკის ბავშვების მოთხოვნები 109–113
ფიზიკური კოორდინაცია 180, 195, 186, 187,
ფიზიკური ჯანმრთელობა 211, 212, 284-286,
ფიქალი 144; ზედაპირები 183
ფიჭვის გირჩები 99-101
ფოთლები 99, 139, 192, 193,
ფოტოგრაფიის ხელოვნება 146
ფოტოები 118, ასევე იხ. კამერები
ფრაზები: ენა და 199; ადგილობრივი 140; სიტყვები და 68, 92, 94
ფსიქიკური ჯანმრთელობა 171-172
ფურცლები 57
ფუღუროები/ფუღუროში თამაში/ შენობა/კეთება 26, 181, 195; ასევე იხ. მშენებლობა და ფუღუროებში თამაში
ქვაფენილი 61, 112, 113, 184; ასევე იხ. ქუჩის ტემპი/მშვიდი 29, 37, 92, 167
ქვები 87, 88, 94, 96, 97, 101
ქვები 87, 88, 94, 96, 97, 101
ქვიშა 52, 69, 87, 89, 88, 101, 102, 106
ქვიშიანი ზონა 189
ქვიშიანი ორმო 89, 88
ქვიშით დაფარვა 183
ქმნილებები 75, 227, 240, 270, 317, 318
ქსოვა 229-233; შემოქმედებითი გამოცდილებები გარეთ 198;

მაღალ მცენარეებს შორის 151; რესურსები გარეთ სკულპტურების შესაქმნელად 229-233; თოკები, ლენტები და ბრჟღვიალა ლენტები 152; სკულპტურა 229-233
ქსოვილი 104, 192, 195, 197;
ქუდები 251
ქუჩა 244, 306, 317, 316, 337; ასევე იხ. ქვეფენილი
ღარისებრი მილები 26–27, 31–32, 35, 58, 61, 67, 91, 119, 147, 176
ღირსების შეგრძნება 32
ღობეები: როგორც თოკების დასამაგრებელი ადგილები 135; ეფექტური და ხელმისაწვდომი ვერტიკალური ბაღებისთვის 135; მაღალი და მყარი 212; ჭოჭონაქების სისტემების გაკეთება 239; ფიზიკური თამაშისთვის 116; რესურსები დახრილობების მოსაწყობად მიმაგრებული ტექსტურიანი ზედაპირი 235; ნაკლებად გამოყენებული რესურსები 224; მავთულის ბადე 230
ყვავილები 117
ყვავილების ქოთნები 58, 135, 145
ყოველდღიური ბუნება 79
ყუთები 61, 64, 112, 114-115, 145, 184
შეგროვება/კოლექცია 152, 168, 190; ასევე იხ. კომუნიკაცია შეგროვების მიზნით 19, 63, 121, 282–288
შეერთება და შეკეთება 201; მშენებლობა და ფუღუროებში თამაში 9, 13, 190; ურიკები როგორც რესურები 191
შეზავება 37, 37–41, 51, 60–61, 85, 89
შეკეთება 302
შემოსაზღვრული/დახურული ადგილები 24, 102, 105, 318, 320, 326
შემოქმედებითი და წარმოსახვითი თამაში 215, 216, 236, 239, 240, 242, 243, 263; უფროსების როლი 253; ხელოვნება/ნიშნების გაკეთება/ხატვა 225-226; წიგნები და ამბების თხრობა 247-250; მშენებლობა/თამაში ფუღუროებში 9, 13, 190; აღჭურვილობა და რესურსები 141, 212; გენდერული პერსპექტივა 288-290; ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხები 271, 336; მაქსიმალური სარგებლის მიღება 321-325; მუსიკა და ცეკვა 60, 83, 184; თეატრალური დადგმები გარეთ 251; უზრუნველყოფა 218; როლური თამაშის თემები 253; შესაფერისი დაწესებულებები 219-220; ქსოვა და სკულპტურების გაკეთება 229-233; ასევე იხ. წარმოსახვითი თამაში
შემოქმედებითი თამაში 219, 229, 249, 264, 265
შენობა 52, 98, 145; ზონა სანაპიროს მსგავსი ქვიშით 102, 104; ტვინის განვითარება BDNF 175; ბავშვის სხეული/ტვინი 173; სამშენებლო თამაში გარეთ 273–278; კონტეინერები 319; ფუღუროები/ქოხები 274; ემოციური და სოციალური განვითარება 283; კვლევა324; მოძრაობა და ფიზიკური აქტივობა 284-286; ურთიერთობები 216, 306; პატარა აგურები 320; კედლის საჩვენებელი დაფა 325
შესავსები მასალები 230, 239, 246
შესაფერისი დაწესებულება: ბაღის საზღვრებს მიღმა 182, 335, 337; შემოქმედებითი და წარმოსახვითი თამაში 215, 216, 236, 239, 240, 242, 243, 263; ცოცხალი სამყარო 168; ფიზიკური თამაში და მოძრაობა 316-317, 322
შესაძლებლობები: ავთენტური 48; ბაღის საზღვრებს მიღმა

182, 335, 337; მშენებლობა და ფუღუროებში თამაში 9, 13, 190; მებაღეობა და მემცენარეობა 135, 141-142; ასევე იხ. ამბების თხრობა
შეფასება/მართვა 37, 200, 201; ასევე იხ. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხები
შეხება 117, 132, 180
შეხედულება საკუთარ თავზე 14, 32, 106, 107, 157
შიდა და გარე სივრცის დაკავშირება 35, 102, 200, 212,
შიდა და გარე სივრცის ურთიერთშევსება 33
შიშები და შფოთვები 283, 324
ჩამოკიდებული კალათები 58, 187, 190, 19,; ასევე იხ. კალათები
ჩანაწერები 118; იხ. ასევე დაკვირვება
ჩანთები 230, 232, 243, 251, 314, 316, 325
ჩრდილი 105, 136
ცარცი/ცარცით ხატვა 222, 224, 225, 226, 227, 233, 251, 282
ცეკვა 28, 60, 83, 184, 188, 194
ცნობიერება 36, 118, 174, 178; ასევე იხ. სხეული/მთლიანი სხეული; ეკოლოგიური ცნობიერება
ცნობისმოყვარეობა 21, 90, 119, 283
ცოცვა 184, 187
ცოცვა 184, 187
ცოცხალი ბუნება 317, 320; ბაღის მიღმა 320, 325, 326; აღჭურვილობა და რესურსები 141, 212; ხეების სარგებელი 85; დაკვირვების ღირებულება 15, 26, 29
ცოცხალი ბუნება 317, 320; სამოქმედო შეთავაზებები 91–95; და ფუღუროები/თამა-ში ფუღუროებში 9, 13, 190; ჯანმრთელობისა და უსაფრ-თხოების საკითხები 271, 336; გამოცდილების მნიშვნელობა 130-133; უშუალო კავშირი ცოცხალ სამყაროსთან 167; ლექსები და სიმღერები 155; შესაფერისი დაწესებულება 219-220; რას აძლევს მცენარეთა გაზრდა ბავშვებს 133; ასევე იხ. მებაღეობა და მემცენარეობა; ცოცხალი ბუნება
ცოცხები 61, 68, 115, 144, 191, 192, 195, 222, 229, 236, 327,
ცხენის წაბლი 168
ცხოველთა პათოგენები 95, 96, 99
წარმოდგენა/პერფორმანსი 236, 282, 265
წარმომადგენლობა/ წარმომადგენლობითი აზროვნება 55, 57, 153, 169
წარმოსახვა 199, 139; წახალისება 178; გაძლიერება 186; გასაოცარი შესაძლებლობები 23; რესურსები 315, 196; სტიმულები 92, 170
წარმოსახვითი თამაში 215, 216, 236, 239, 240, 242, 243, 263
წარმოსახვითი თამაში: აქტივობა 157; უფროსების როლი 253; ტვინის განვითარება 93, 170, 171, 174; ბავშვების პატარა მასშტაბები 334; ციკლი 181; ეფექტური სივრცეები 169; მუსიკა და ცეკვა 60, 83, 184; გარეთ 198; წარმოსადგენი სურათები და პატერნები 318; რესურსები 315, 196; მცირე სამყარო 246; მარტო/დამოუკიდებლად და ზიარად 193; ხელშეწყობის არაჩვეულებრივი გზა 38–39; გაღვივება დაკავშირებული 173; ამბების თხრობის შესაძლებლობები 247-250; შესაფერისი დაწესებულება 219-220; გარე სივრცის ღირებულება 267-272; ასევე იხ. შემოქმედებითი და წარმოსახვითი თამაში

წარწერები/ეტიკეტები 56, 57, 219, 228, 280
წასახემსებლები 68, 281
წებოვანი მასა 96, 228
წელიწადის დროები 35, 55, 131
წერა 141, 145; უფროსების როლი 253; ღვედები 278; ხატვა და 67, 97; უეცრად წარმოქმნილი 182; როგორც დახურული სივრცეში შეთავაზებული აქტივობა 23; წიგნიერება და 21, 59, 245, 248, 283
წვიმა 51, 53, 78, 86
წვიმის წყალი 67
წვრილი ღორღი 96; ასევე იხ. ხრეში
წიგნები 27, 154, 199, 130, 139, 286
წიგნიერება 21, 59, 245, 248, 283
წონა, კონცეპტები 74
წყალგაუმტარი კალათები 58, 187
წყალი 26, 116, 147, 195, 192; ასევე იხ. წყლის თამაში
წყალმომრაგება 143, 147,
წყლის დაზოგვა 147
წყლის თამაში 50; ბაღის საზღვრებს მიღმა 182, 335, 337; ტანსაცმელი 103; მშენებლობა და ფუღუროში თამაში 9, 13, 190; კონტეინერებში 52, 59, 61; აღჭურვილობა და რესურსები 141, 212; მებაღეობა/მემცენარეობა და 142, 149, 161, 163, 193; ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხები 271, 336; აღნიშვნების გაკეთება და 221-223; სხვა მასალებთან შეზავება 84, 86, 111; გამდინარე წყალი 86, 67; მშენებლობისა და ფუღუროებში თამაშის შესაძლებლობები 9, 13, 190; წვიმა 51, 53, 78, 86; რესურსების შერჩევა 135; ლექსები და სიმღერები 155; შენახვის იდეები 267-279; გარე სივრცის ღირებულება 267-272
წყლის კასრი 51, 53,143,
ჭიდაობა 171, 174; ასევე იხ. სუპერგმირების თამაში
ჭოჭონაქები 239; იხ. ასევე თოკები
ჭურჭელი იხ. სამზარეულოს ჭურჭელი
ხატვა 222, 224, 225, 226, 227, 233
ხატვა 67, 194, 186,
ხახუნი 286
ხე 188, 271
ხედვა 212; ბინოკლი 146; განვითარება 26, 287-288; ბალანსთან და სმენასთან ინტეგრირება 212, 186; პერიფერიული 174
ხეები: სარგებელი ცოცხალი ბუნებისთვის 85; ტოტები პატარა 97; მწერებისა და პათოგენების ეფექტი 96; ტყის მნიშვნელობა 272; გარე სივრცის ანბანი 327; დარგვა 139; Rowan 85; ხის მორები 94, 97, 103
ხეზე მუშაობა 290, 303
ხელები 193, 192, 187, 188, 186, 170, 117;
ხელის განვითარება 188
ხელის დაბანა 107
ხელის კონტროლი 172
ხელისა და თვალის კოორდინაცია 188
ხელოვნება 215, 225, 261, 264, 300, 301, 333,
ხელსაწყოები 37, 40, 63, 68, 88, 89, 142, 177, 180
ხვრელები 102, 107, 190
ხიდები 112, 115
ხილი და ბოსტნეული 137
ხრეში 104, 111-112, 144, 180, 189, 190, 195
ხშირი ვიზიტები 322
ხშირი ვიზიტები 322
ჯაგრისები 57, 66, 145, 227, 222
ჯანმრთელობა 19, 204, 172, 22;
ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხები: ბაღის საზღვრებს მიღმა 182, 335, 337; მშენებლობა

და თამაში ფუღუროებში 9, 13, 190; შემოქმედებითი და წარმოსახვითი თამაში 215, 216, 236, 239, 240, 242, 243, 263; ფოთლებით თამაში 99; ცოცხალი ბუნება 317, 320; მორები 195; თამაში ტალახში 84; ბუნებრივი მასალები ფიზიკური თამაში და მოძრაობა 316-317, 322; მცენარეები და მარცვლები 57–58; ბუმბულებით თამაში 100, 192-193; ქვიშაში თამაში 103; ნიადაგი 95, 151, 182; წყლის თამაში 50; ტყე 24, 271; ასევე იხ. ფიზიკური ჯანმრთელობა
ჯოხები 70, 97, 98, 119, 122, 124, 191
ჰიგიენა 71, 101, 108
ჰორიზონტალური ბარიერები 117–118
ჰორიზონტალური ზედაპირები 182

Big Body Play (Carlson) 197
Bromley, Helen 229, 248,
Burningham, John 161
Carlson, Frances 197
Carson, Rachael 10
Casey, Theresa 30
Community" (Lindon) 30
"Community Playthings" 301
Dinwiddie, Sue 83
"Every Child a Mover: A Practical Guide to Providing Young Children with the Physical Opportunities They Need" (White) 109
"Exercising Muscles and Minds" (Ouvry) 173
Frederick (Lionni) 239
Froebel, Friedrich 271
Handa's Surprise (Brown) 153
Hewitt, Anita 60, 76
Hind Leys Preschool 16
Inclusive Play (Casey) 42
Learning Through Woodwork (Moorhouse)
Lindon, Jennie 30, 210
Lionni, Leo 249
Making a Mud Kitchen (White) 110
Making My Own Mark (Bromley) 249
McMillan, Margaret 185
Moorhouse, Pete 296
Mrs Mopple's Washing Line (Hewitt) 76, 60
Oliver's Vegetables (French/Bartlett) 153
Out of Our Minds: Learning to Be Creative (Robinson) 22
Ouvry, Marjorie 40, 118, 173
Owl Babies 244
Oxenbury, Helen 249
Pinterest 64
Playing in the Gutters (Dinwiddie) 83
"Planning for the Early Years: The Local
Robinson, Ken 21
Rosen, Michael 208
Shared Vision and Values for Outdoor Provision in the Early Years 32
Stomp Around the World (DVD) 263
Stomp Out Loud (DVD) 263
TED/TEDx საუბრები 250, 290, 323, 327
The Grand Old Duke of York (Music) 325
The Gruffalo 296
The Sense of Wonder (Carson) 32
The Wheels on the Bus (Music) 208
Too Safe for Their Own Good? (Lindon) 9
Tulley, Gever 268
We're Going on a Bear Hunt (Rosen and Oxenbury) 203
Where's Julius (Burningham) 120
White, Jan 110
William Tell (Music) 204
X- გადაკვეთა 213
Y-ტიპის დაერთებები 64

თამაში და სწავლა გარეთ

ჯენ უაითი

მესამე გამოცემა

ინგლისურიდან თარგმნა

წიგნის ***თამაში და სწავლა გარეთ*** ეს სრულიად განახლებული გამოცემა აღწერს დიდ ბრიტანეთში ადრეული განათლების დაწესებულებებში გარეთ თამაშისა და სწავლების თანამედროვე პრაქტიკებსა და გამოცდილებას. ***თამაში და სწავლა გარეთ*** ადრეული ასაკის პრაქტიკოსებს აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება მაქსიმალური სარგებლის მიღება ღია ცის ქვეშ თამაშისა და სწავლებისაგან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვების გართობის, ჯანმრთელობისა და განათლებისათვის.

ეს ფასდაუდებელი რესურსი წარმოადგენს პრაქტიკულ გზამკვლევს და მიმართულია შემდეგი შედეგების უზრუნველყოფისკენ:

- თამაშები წყლით, ქვიშით და სხვა ბუნებრივი მასალებით;
- მცენარეებთან, ცოცხალ ორგანიზმებთან ურთიერთობა;
- მოძრაობა და ფიზიკური თამაში;
- მშენებლობა, წარმოსახვითი და შემოქმედებითი თამაში;
- ბაღის მიღმა ადგილებისა და საზოგადოების „კვლევა".

წინამდებარე, ილუსტრირებული მესამე გამოცემა კიდევ უფრო დაიხვეწა და წარმოადგენს შესაბამისი მასალების, წიგნებისა და რესურსების ამომწურავ ცნობარს, უმაღლესი ხარისხის გარეთ თამაშისა და სწავლების ძირითადი კომპონენტების გზამკვლევს; თითოეული თავი ასევე მოიცავს თემატიკის შესაბამის ილუსტრირებულ საბავშო წიგნების მთელ კოლექციას.

თამაში და სწავლა გარეთ ძირითად პრაქტიკულ სახელძღვანელოდ იქცა ადრეული ასაკის ყველა დაწესებულებისთვის. ეს ცოცხალი, შთამაგონებელი და ხელმისაწვდომი წიგნი ნებისმიერ განმანათლებელს დაეხმარება სწავლების წარმატებული და სასიამოვნო მიდგომის ჩამოყალიბებაში გარეთ თამაშის გზით.

ჯენ უაითი მოაზროვნე, მწერალი და წამყვანი სპეციალისტია შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ღია ცის ქვეშ თამაშისა და სწავლების მაღალი ხარისხის პრაქტიკის უზრუნველყოფის მიმართულებით. იგი საპატიო პრაქტიკოსი პროფესორია უელსის თრინითი სენთ დევიდის უნივერსიტეტში და ღია ცის ქვეშ ადრეული განათლების მიმართულების სტრატეგიული დირექტორი გარეთ თამაშების, სწავლისა და კეთილდღეობის ეროვნულ ცენტრში.

ISBN 978-9941-9890-1-8

9 789941 989018

წიგნის ქართულენოვანი
ვერსია იხილეთ:
http://library.bsu.edu.ge/